საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი

თავდაცვის გარემოს და შეიარაღებული ბრძოლის საფუძვლები სამხედრო ინჟინრებისათვის

ლექციების კურსი

თბილისი
2018 წ.

შემდგენელი – პროფესორი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მეძმარიაშვილი

ISBN 978-9941-8-0284-3 (PDF)

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამხედრო-პოლიტიკური სივრცე და მისი ზემოქმედება საქართველოს თავდაცვის კონცეფციაზე

საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის მომზადების სამხედრო-პოლიტიკური წინაპირობები და სამხედრო უსაფრთხოების კონცეპტუალური მოთხოვნები 1

საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია 17

საქართველოს შეიარაღებულ ძალათა დაპირისპირების სახასიათო გარემო

საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის მზადყოფნის და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საომარი, საგანგებო და ექსტრემალური გარემო 32

შეიარაღებული ბრძოლის თეორია

შეიარაღებული ბრძოლის ზოგადი ცნებები 37

ომის თეატრი და ტერიტორიები 41

სამხედრო ფორმირებები 47

შეიარაღებული ბრძოლის გრადაცია სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის მიხედვით 61

ომის პრინციპები, სტრუქტურა და ზოგადი დებულებები 67

ომის დონეები და სამხედრო ძალა 76

ჯარების მოქმედების პრინციპები და ოპერაციების პარამეტრები 80

ოპერაცია თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში 85

შეტევითი ოპერაცია და მისი სახეები 89

თავდაცვითი ოპერაცია და მისი სახეები 99

მარში 107

შეტევითი ბრძოლა 109

თავდაცვითი ბრძოლა 113

უკანდახევის ოპერაცია 120

შეიარაღებული ძალების განსხვავებული გამოყენება და პარტიზანული მოძრაობა

შეიარაღებული ძალები დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებში 125

სახმელეთო ძალები მშვიდობიანობის დროს 126

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი 127

დახმარება ამბოხებისას და ამბოხების საწინააღმდეგო ღონისძიებებში 129

ტერორიზმთან ბრძოლა 131

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები 134

დაუგეგმავი ოპერაციები 137

პარტიზანული მოქმედებები 139

საჰაერო-კოსმოსური სტრატეგიული მიმართულება და ახალი ორბიტული კომპლექსები

კოსმოსური ტექნიკა და პირველი ქართული კოსმოსური ობუექტი 142

სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების როლი თანამედროვე სამხედრო ხელოვნების კონცეფციაში საჰაერო-კოსმოსური ვითარების უზრუნველყოფისათვის 159

საჰაერო-კოსმოსური სტრატეგიულ მიმართულებათა დაჯგუფების განსხვავებული კონფიგურაცია და ახალი თაობის ორბიტული სამხედრო-საინჟინრო კომპლექსები 171

საქართველოს ტიპის სამხედრო უსაფრთხოების სისტემის მძრონე სახელმწიფოების პრიორიტეტები თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში და არსებული კონცეფციების ტრანსფორმაციის აუცილებლობა

დაპირისპირებული შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის, დაზიანებისა და ბრძოლაში უშუალო და არაპირდაპირი მოქმედებების კლასიფიკაცია დინამიკური სისტემების ანალოგიით 182

მოწინააღმდეგე მხარის ბრძოლისუნარიანობა 184

“მებრძოლი სისტემის” დინამიკური და გეომეტრიული პარამეტრები 196

არაპირდაპირი მოქმრდებების დინამიკური პროცესების სისტემატიზაცია 211

საქართველოს ტიპის სამხედრო უსაფრთხოების სისტემის მძრონე სახელმწიფოების პრიორიტეტები თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში და არსებული კონცეფციების ტრანსფორმაციის აუცილებლობა

სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკუდებულების ახალი სქემები 246

სამხედრო დაგეგმარების ფუნქციური სივრცის განსაზღვრა 255

საქართველოს ტიპის სამხედრო უსაფრთხოების სისტემის მძრონე სახელმწიფოების პრიორიტეტები თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში და არსებული კონცეფციების ტრანსფორმაციის აუცილებლობა

სტრატეგიული მახასიათებლების განსაზღვრა საქართველოს ტიპის უსაფრთხოების სივრცის მქონტ ქვეყნებისათვის 264

სამხედრო- სამრეწველო ბაზა და მისი ფუნქცია საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში

დამოუკიდებლობის ადრეულ ეტაპზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საწყისი ბაზა და თავდაცვის სამხედრო-საინჟინრო სპექტრი 269

საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბების სახასიათო ისტორიული პერიოდი 281

საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწყისი მდგომარეობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში 284

საქართველოში ბრძოლებისა და ოპერაციების უზრუნველყოფისათვის სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების, ტექნიკისა და კონსტრუქციული სისტემების ბაზის შექმნის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები 290

ლოგისტიკა

NATO-ს ლოგისტიკა 306

შეიარაღება, მასობრივი განადგურების იარაღი, ეკოლოგია და საგანგებო ღონისძიებები

იარაღი და სამხედრო ტექნიკა 313

ბირთვული იარაღი 322

ქიმიური იარაღი 326

ბიოლოგიური იარაღი, მისი გამოყენების ხერხები და საშუალებები 334

ცეცხლგამჩენი იარაღი 337

საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვა 341

სამხედრო ეკოლოგია 347

ლიტერატურა 352

ლექცია 1

სამხედრო-პოლიტიკური სივრცე და მისი ზემოქმედება საქართველოს თავდაცვის კონცეფციაზე

საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის მომზადების სამხედრო-პოლიტიკური წინაპირობები და სამხედრო უსაფრთხოების კონცეპტუალური მოთხოვნები

საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური, ეკონომიკური, საწარმო-ტექნიკური, ფინანსური, სამეცნიერო, ინფრასტრუქტურული, საკომუნიკაციო და ენერგეტიკული რესურსი და პოტენციალი, სამხედრო-გეოგრაფიული მონაცემები და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ფართო სპექტრი, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკით, სახელმწიფო სამხედრო პოლიტიკით და თავისი შემადგენელი სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკით, განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო სტრატეგიის ძირითად პრინციპებს. სწორედ აღნიშნულმა ძირითადმა პრინციპებმა, სათანადო სახელმწიფო სამხედრო მშენებლობის მიდგომებით და სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციით, უნდა განაპირობოს საქართველოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის და მთლიანად ტერიტორიის ომისათვის მომზადების ადგილი, როლი, ხასიათი, სასიცოცხლო ბაზა, მოცულობა და ინტენსიობა სახელმწიფოს თავდაცვის კომპლექსში, როგორც საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგიულმა მიმართულებამ [1].

სამხედრო გეოგრაფიული წინაპირობა საქართველოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისა, მეტად რთული და მრავალფეროვანია. ამას განაპირობებს არა მარტო განსაკუთრებული გეოგრაფიული ბუნებრივი გარემო და მისი სირთულის ზემოქმედება სამხედრო ინფრასტრუქტურაზე, კომუნიკაციებზე, სტრატეგიულ და ოპერატიულ გაშლაზე და ბრძოლებისა და ოპერაციების წარმოებაზე, არამედ: ქვეყანაში და მის გარეთ არსებული პოლიტიკური ძალების ინტერესები, ხასიათი და სპექტრი; ეკონომიკური, საწარმოო, ტექნოლოგიური, ინტელექტუალური და სასოფლო-სამეურნეო და სხვა არსებული დონე; დემოგრაფიული სურათი და, რაც განსაკუთრებულად აღსანიშნავია — დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა.

საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო ქვეყანათმცოდნეობის უმთავრეს პირობებს განსაზღვრავს მისი მოსაზღვრე სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და მილიტარისტული გარემო და მათი დაპირისპირება თუ შეთავსებადობა, ან სხვა პროგნოზირებადი, ნაკლებად პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოს და ასევე ერთმანეთის მიმართ.

ყოველივე ეს აყალიბებს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ძირითად პარამეტრებს, რომლის სრულყოფილი სახით ფორმირებაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მდებარეობას მსოფლიო და რეგიონალური მასშტაბის სამხედრო პასუხისმგებლობის და ინტერესთა

კონტროლის არეალში და სამხედრო სხვადასხვამასშტაბიან შესაძლო ქმედებათა დინამიკური პროცესების გავრცელების აქტუალობას, ინტენსიობას და მიმართულებებს საქართველოს ტერიტორიასთან მიმართებით.

სამხედრო უსაფრთხოების იდეოლოგია, კონცეფცია, ამოცანები და მისი კონკრეტული რეალიზაცია სამხედრო პოლიტიკური ვითარების სრულ სპექტრზეა დამოკიდებული, რომელზეც, ერთის მხრივ, რა თქმა უნდა გარკვეულწილად ზემოქმედებს სახელმწიფო პოლიტიკა, მაგრამ, რომელიც უკუკავშირით ასევე განსაკუთრებულ მოთხოვნებს აყენებს სახელმწიფო პოლიტიკის ყველა შემადგენელ მიმართულებებზე, მის საშინაო და საგარეო სპექტრზე.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს, როგორც გლობალური და რეგიონალური, ასევე საკუთრივ მისი და მის მისადგომებთან განვითარებული ვითარებები და მოვლენათა განვითარების პერსპექტივები. მათ შორის სახასიათოა ის, რომ XX საუკუნის ბოლოს ობიექტურად შემცირდა მსხვილმასშტაბიანი, ეგრეთწოდებული მსოფლიო ომის საფრთხე მასიური განადგურების იარაღის გამოყენებით, მაგრამ XXI საუკუნის რეალობები არ გამორიცხავენ ლოკალურ, მცირემასშტაბიანი და რეგიონალური კონფლიქტების მსხვილმასშტაბიან ომში გადაზრდას. ამ ახალი, მეტად საფრთხილო ტენდენციების უმნიშვნელოვანესი ეპიცენტრები საქართველოსთან ახლოს და მის გეოპოლიტიკურ ვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რაც ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ურთულეს და ყველაზე არახელსაყრელ, მაგრამ შესაძლო სცენარად უნდა განვიხილოდ.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ცვლილება დამოკიდებულია იმ ტენდენციებზეც, რომელიც მეტად აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოსათვის, და რამაც თავისი უარყოფითი გამოვლენით შეიძლება ზეგავლენა იქონიოს საქართველოზეც. ეს არის მასიური განადგურების და განსაკუთრებით საშიში იარაღის და მისი კომპონენტების გავრცელება მსოფლიოში.

და ბოლოს, სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას და მის ხასიათს, მოცემულ ეტაპზე, დიდი წილით განსაზღვრას ლოკალური, რეგიონალური და გლობალური მასშტაბით გამძაფრებული ინფორმაციული დაპირისპირება არა მარტო კონკრეტული სახელმწიფოსადმი, არამედ სახელმწიფოების იდეოლოგიებისადმი.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პარამეტრია მისი ცვალებადობის დრო. ის პროცესები, რომლებიც დამოკიდებულია სახელმწიფოთა სამხედრო ძლიერების ცვლით წარმოქმნილი, პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის სამზადისით და რეალიზაციით, როგორც წესი ინერციულია და ხორციელდება დიდი დროის ინტერვალში. ასეთ ვითარებაში, მათდამი შეხებაში მყოფი სხვა სახელმწიფოების ადაპტაციის პროცესები ჯერ ერთი, პროგნოზირებადია და, მეორეს მხრივ, დროის ფაქტორის ცაიტნოტს ნაკლებად იწვევს.

გაცილებით მყიფეა სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სტაბილურობა და მისი ცვლილება უსწრაფესად ხდება, როცა ეს გამოწვეულია საერთაშორისო

სტრუქტურების, ცალკეული სახელმწიფოების და სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების გადაწყვეტილებების, დეკლარაციების, კონვენციების, ხელშეკრულებებისა და სხვა შეთანხმებების, ასევე პოლიტიკური ქცევის დამყარებული პრინციპების დარღვევით.

თანამედროვე კომუნიკაციების პირობებში, განსაკუთრებული და ხშირად წინასწარ ნაკლებად პროგნოზირებად ცვლილებებს სამხედრო-პოლიტიკური ვითარებისა იწვევს საერთაშორისო ტერორიზმის, დანაშაულებრივი ქმედებების, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო გავრცელება, რასაც აძლიერებს ექსტრემისტული, ნაციონალისტური, რელიგიური, სეპარატისტული და ტერორისტული ორგანიზაციების ფართო ქსელი და ქმედებათა ინტენსიობის სწრაფი ზრდა.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ასეთ სახასიათო სივრცეში, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს სამხედრო უსაფრთხოებისადმი მიმართული მუქარა.

მუქარის პრაქტიკულად განხორციელებისას, საქართველოს სამხედრო სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური მიზნებით განსაზღვრულ ისეთ საომარ მოქმედებებს, საბრძოლო მოქმედებებს და ოპერაციებს, რომელიც არის სამართლიანი და მისი განხორციელება დაეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს, საკუთარი ტერიტორიის მთლიანობას, აღკვეთას მისი ხელყოფისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებას.

შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებით და არსებული საფრთხეებითა და მუქარებით საქართველოს მიმართ არ გამოირიცხება არცერთი მასშტაბები შეიარაღებული კონფლიქტებისა – ლოკალური, რეგიონალური და ფართომასშტაბიანი. სრულებით არ არის აუცილებელი და ეს, რიგ შემთხვევაში, შეუძლებელიცაა, რომ საქართველოს საწინააღმდეგოდ მიმართული შეიარაღებული კონფლიქტი ჩაეტიოს ჩვენი სახელმწიფოს საბრძოლო მოქმედებების თეატრში. მოსალოდნელია, საქართველო, საკუთარი ინტერესების დასაცავად, ჩართული ან ზეწოლით, აღმოჩნდეს მონაწილე რეგიონალური და ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტისა.

მიუხედავად იმისა, შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელშიც საქართველო აღმოჩნდება ჩართული, იქნება ლოკალური, რეგიონალური თუ ფართომასშტაბიანი, ჩვენი სახელმწიფო შეიძლება აღმოჩნდეს მცირე ინტენსივობის კონფლიქტების საფრთხის, საშუალო ინტენსივობის საბრძოლო მოქმედებების საფრთხისა და, ბოლოს, სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების საფრთხის წინაშე.

ასეთ ვითარებაში რისკის ზრდის დონე მატულობს იმის მიხედვით წარმოქმნილ სიტუაციებში მონაწილეობს რამოდენიმე ასეული, რამოდენიმე ათასი, რამოდენიმე ათეული ათასი, თუ რამოდენიმე ასეული ათასი მოწინააღმდეგე.

საქართველოს მცირე ინტენსივობის კონფლიქტების საფრთხეებს განაპირობებს საკუთარი აგრესიული პოლიტიკური, ეთნიკური ან ეკონომიკური ექსპანსიის მიზნით მოქმედი ჯგუფები. ამ მხრივ, ახლო პერსპერტივაში რისკის ფაქტორი შეიძლება შეიქმნას ჯავახეთის დიასპორაში, გარკვეული მიზნით ინდუქცირებული

სეპარატისტული ჯგუფების და პანკისის ხეობაში მყოფ ან გარკვეულ ეტაპზე შემოსულ ჩრდილოკავკასიელების მიერ.

ცალკე პოზიციად უნდა განვიხილოთ "თურქი მესხების" საკითხი, რომელიც საფრთხეების მხრივ უკავშირდება თურქეთს, სომხეთს, ჯავახეთის სომხურ დიასპორას და რუსეთს.

ამდენად, "თურქი მესხების" საკითხის საფრთხეების ამოქმედებამ შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა მასშტაბის, უპირატესად მცირე და შესაძლოა საშუალო ინტენსივობის კონფლიქტები. თუმცა გარკვეულ სამხედრო პოლიტიკურ ვითარებაში მას შეიძლება მასშტაბების გაზრდაც მოჰყვეს.

საქართველოს საბრძოლო მოქმედების განსაკუთრებული საფრთხე არსებობს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში, აქ საბრძოლო მოქმედების საფრთხის ინტენსივობის მნიშვნელოვან ზრდას იწვევს სეპარატისტების პირდაპირი და არაპირდაპირი დახმარება რუსეთიდან, ჩრდილოკავკასიიდან და სხვა შესაძლო დონორებიდან. მთლიანობაში, პროგნოზირებადი საბრძოლო მოქმედების საფრთხე ამ მხრივ განისაზღვრება ნომინალური საშუალო ან საშუალო ზღვარს გადაცილებული მასშტაბით.

რაც შეეხება სრულმასშტაბიან სამხედრო მოქმედების საფრთხეს, საქართველოში მისი მეზობლების, განსაკუთრებით კი მათ შორის უძლიერესი სახელმწიფოს შემოჭრა ნაკლებად მოსალოდნელია, უფრო მეტი ალბათობით, მაგრამ ასევე ნაკლები რეალობით პროგნოზირდება საქართველოს ტერიტორიაზე მისი მეზობელი მძლავრი სახელმწიფოების ურთიერთ სამხედრო დაპირისპირება. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში მსოფლიოს სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონში წარმოქმნილი ანტიდასავლური სამხედრო დაპირისპირების მარშრუტების საქართველოზე გავლის რეალობა, სრულმასშტაბიანი საფრთხეების პროგნოზირების ახალი მეთოდიკის და დასკვნების ფორმულირებას მოითხოვს.

ამ მხრივ პრაქტიკული შანსები არსებობს იმისა, რომ საქართველოს მიმართ მუქარა და რეალური საფრთხე შეიძლება მიმართული იყოს იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც უპირისპირდება ამერიკის შეერთებული შტატების ანტიტერორისტულ კოალიციას და რა თქმა უნდა მის წევრ ქვეყნებსაც.

პრაქტიკულად ახლო პერიოდისათვის, ნაკლები ალბათობით, თეორიული განსჯით, მაგრამ მაინც გარკვეული არგუმენტაციით, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება გახდეს, სამხრეთელი მეზობლის საშინაო ვითარების გამძაფრება მისი გარკვეული სხვა მოსაზღვრე მეზობელი სახელმწიფოებიდან მასზე არაპირდაპირი ⁄ პირდაპირი ზემოქმედების სცენარით, რასაც მათი მხრიდან გარკვეულ ტეროტორიებზე ავტონომიური მმართველობის მოთხოვნები დაედება საფუძვლად. ამის პრეტენზიები, და არა მარტო პრეტენზიები, უკვე არსებობს.

საერთოდ იმ გეოპოლიტიკური სივრცისათვის, რომელშიც საქართველოა განთავსებული, ცალკეული სახელმწიფოების სამხედრო მუქარები შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

— ტერიტორიული პრეტენზიები;
— შეიარაღებული კონფლიქტების არსებობა საკუთარ ტერიტორიაზე, მეზობელ სახელმწიფოებში და უპირატესად მაშინ, როდესაც ისინი სახელმწიფოს საზღვართან ახლოს არის;
— რეგიონის მძლავრი სამხედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოების ინტერესების საწინააღმდეგო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის გავლენის სფეროს გაფართოება ან რეგიონში რომელიმე სხვა ქვეყნის ჯარების შეყვანა;
— მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ფორმირების შექმნა, მეზობელი ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს დასაპირისპირებლად ან მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ;
— საერთაშორისო ტერორიზმი და ორგანიზებული დანაშაული;
— კონსტიტუციური წყობის დამხობა;
— სახელმწიფოს დესტაბილიზაციისათვის და შესუსტებისათვის მის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების, ენერგეტიკული და საინფორმაციო სისტემების, სასიცოცხლო ობიექტების, სამხედრო ობიექტებისა და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების მოშლისაკენ მიმართული პირდაპირი და არაპირდაპირი ქმედებები;
— ექსტრემისტული, სეპარატისტული, ნაციონალისტური, რელიგიური და ტერორისტული ორგანიზაციები და მოძრაობები, რომელთა შეიარაღებული ქმედება მიმართულია სახელმწიფოს ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობის რღვევისა და სახელმწიფოში დესტაბილიზაციისაკენ;
— სახელმწიფოს შიგნით არაკანონიერი ფორმირებების შექმნა, აღჭურვა და მომზადება კონკრეტული ან მადესტაბილიზებელი უნივერსალური ამოცანებისათვის;
— ორგანიზებული დანაშაულის, დივერსიის, ტერორიზმის, კონტრაბანდის, მათ შორის, იარაღის და საბრძოლო მასალების გავრცელების მცდელობები.

მართალია აღნიშნული პარამეტრები გეოპოლიტიკური სივრცისა, რომელშიც საქართველოა მოქცეული, რეალობაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თვით გეოპოლიტიკური პროგნოზი, როგორც შედეგი მწყობრი მეცნიერული სისტემის ანალიზური აპარატისა, სრულყოფილი სახით არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი "გეოპოლიტიკა" გამოიყენება საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო-სამხედრო პოლიტიკურ სპექტრში.

საერთოდაც, სახელმწიფოების პოლიტიკურ შეფასებებში და მათ შორის, სამხედრო უსაფრთხოების სისტემებში, ცნება "გეოპოლიტიკა" გამოიყენება ძალიან ფართოდ [2]. შედეგად, ხშირ შემთხვევებში, ეს მეცნიერება კარგავს თავის სახასიათო

ზღვრებს და გადაინაცვლებს უშუალოდ ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სამხედრო სტრატეგიაში და სხვა დისციპლინებში, ისეთებშიც კი, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, საგარეო პოლიტიკა და ა.შ.

რეალურად გეოპოლიტიკა უნდა განვიხილოთ, როგორც ცოდნა სივრცის კონტროლის შესახებ. იგი გაცილებით დინამიკურია, ვიდრე პოლიტიკური გეოგრაფია და მას, როგორც მეცნიერებას, გააჩნია ორი ძირითადი მიმართულება – დოქტრინალურ-ნორმატიული და შეფასებით-კონცეპტუალური. სწორედ ამ მიმართულებით გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება, დიდ სივრცეებში მოიცავს გლობალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და სხვა პროცესებს და, რაც მთავარია, ფლობს ხელოვნებას მათი მართვისა.

საქართველოს სამხედრო უსაფრთხოება, როგორც სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, თავისი ფორმირებისას აუცილებლად უნდა იყოს ურთიერთკავშირში გეოპოლიტიკასთან, როგორც სამეცნიერო დისციპლინასთან, რომელსაც გააჩნია მრავალმხრივი ფუნქციური ანალიზის რთული სისტემა ცალკეული სახელმწიფოების, სახელმწიფოთა კავშირების და ურთიერთდაპირისპირებული ბლოკების დინამიკისა.

საქართველოს სამხედრო უსაფრთხოება, მისი დოქტრინალური და კონცეპტუალური ბაზა, არა ზოგადად უნდა იყენებდეს ტერმინს "გეოპოლიტიკა"-ს, როგორც საქართველოსადმი სამხედრო-პოლიტიკური დამოკიდებულების ფუნქციონალური ასახვის ტერმინს, არამედ მათში კონკრეტული მიზნით უნდა იყოს განსაზღვრული გეოპოლიტიკის ყველა ცნობილი ფუნქციები: შემეცნებითი ფუნქცია; პროგნოსტიკური ფუნქცია; მართვის ფუნქცია, იდეოლოგიური ფუნქცია სხვა.

ამდენად, საკითხი შეეხება იმას, რომ საქართველოს უსაფრთხოების ცალკეული სტრუქტურული მიმართულებით, გეოპოლიტიკური სიტუაციური სცენარი გაკეთდეს არა იმდენად საქართველოს გეოგრაფიული განთავსების არეალში მყოფი სახელმწიფოთა ინტერესების თანხვედრისა და დაპირისპირების და მათი რესურსებისა და პოტენციალის მიხედვით, არამედ უპირატესად თვით საქართველოს გეოპოლიტიკის შემეცნებითი, პროგნოსტიკური, მართვისა და იდეოლოგიური ფუნქციების მოდელის შექმნით.

ამ მხრივ არსებული მეთოდების არსენალი, რომელიც მოიცავს: სისტემურ, შედარებით, ისტორიულ, ნორმატიულ ფასეულობათა, სტრუქტურულ-ფუნქციურ, ანთროპოლოგიურ, საერთო ლოგიკურ და ემპირიულ კვლევებს, ასევე ფუნქციონალურ მეთოდებს, მთლიანად უნდა იქნას ამოქმედებული საქართველოს მოვლენათა და მისი პერსპექტივების მოდელირების მიმართ.

ეს კომპლესური, სხვადასხვა სამეცნიერო მონაცემთა ბაზის მქონე განსაკუთრებული ამოცანაა და მისი სრული წარმოჩენა იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც საინტერესო და მრავალფეროვანია საქართველოს მოსახლეობის, გეოგრაფიული გარემოს, მსოფლმხედველობის, ადათ-ჩვეულებების, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ინტერესების, ისტორიული პროცესების, კულტურული განვითარების,

მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების და მისი სტრატეგიული ფუნქციის მდიდარი და მრავალმხრივი სპექტრი.

რაც მთავარია, ასეთი კომპლექსური მიდგომა აუცილებელია უმთავრესი მიზნის მისაღწევად - პროგრესული და მდგრადი უსაფრთხო განვითარების პროცესის პროგნოზირებისა და მართვისათვის.

და მაინც, როდესაც საქართველოს გეოპოლიტიკური პარამეტრებით ვსაზღვრავთ, კვლევის და შეფასებების ორიენტირებს უკვე გააჩნია პრიორიტეტები, რომლებიც მოიცავს:

— რუსეთის მიერ ადგილის ძიებას გეოპოლიტიკური ურთიერთობების თანამედროვე სისტემაში;
— ამერიკის შეერთებული შტატების როლს გეოპოლიტიკური ურთიერთობის სისტემაში მოცემულ ეტაპზე და პერსპექტივაში;
— აზერბაიჯანის და სომხეთის გეოპოლიტიკური პროცესები და პრეტენზიები;
— თურქეთის, ირანის, ერაყის, ავღანეთის და კასპიისგაღმა მუსულმანური სამყაროს გეოპოლიტიკა და მათი ინტერესთა დამოკიდებულება რუსეთისადმი და ამ მიმართულებებში საქართველოს როლი;
— ევროპაში და უწინარეს აღმოსავლეთ ევროპაში გეოპოლიტიკური პროცესების განვითარების სცენარი;
— ურთიერთობა თურქეთსა და სომხეთს შორის;
— თურქეთის და სომხეთის დამოკიდებულება "თურქი მესხებისადმი" და ამ საკითხში რუსეთის პოზიცია;
— თურქეთის საშინაო ინტერესთა სპექტრი და მისი გავლენა თურქეთის მეზობლებზე;
— თურქეთისა და საბერძნეთის ინტერესთა დაპირისპირების გეოპოლიტიკა;
— ისრაელის ფაქტორი.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური პროგნოზის ყველა პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც ემატება ჩამოცილებული ტერიტორიები, საშინაო სპექტრი და ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორი თავისთავად არის ურთულესი, წინააღმდეგობრივი და ძნელად პროგნოზირებადი.

მიუხედავად ყველა პრიორიტეტული მიმართულების აქტუალობისა, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო შემოსვლით საქართველოს ინტერესებთან დაკავშირებულ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ გარემოში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და, რაც მთავარია, მისი არა მარტო სახელმწიფო-სამხედრო, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათის და მიმართულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რუსეთის გეოპოლიტიკა. გეოპოლიტიკა იმ სახელმწიფოსი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა მეტწილად კონტინენტური სახელმწიფო, რომელსაც შეზღუდული გასასვლელები აქვს შავ და ბალტიის ზღვებზე და, რაც მთავარია, შემოიფარგლა ახლადშექმნილი,

სხვადასხვა ინტერესების ბევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოებით და უშუალო კონტაქტი არ გააჩნია ცენტრალურ ევროპასთან.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი, რომელიც განაგებდა საბჭოთა კავშირს და იყო სუპერ სახელმწიფო გლობალური მასშტაბით, რეალურად გახდა რეგიონალური სახელმწიფო შეზღუდული ეკონომიური შესაძლებლობებით და რთული სოციალური და დემოგრაფიული ვითარებით.

რუსეთის წინაშე სამი არჩევანია:

— გახდეს ევროპის დანამატი;

— კვლავ "შემოატრიალოს" ისტორია და მიაღწიოს "ზესახელმწიფოს" დონეს, რაც მოცემულ ეტაპზე პრაქტიკულად მიუღწევადია;

— შეეგუოს იმას, რომ ის ითვლება აღმოსავლეთის რეგიონის სახელმწიფოდ.

თავისთავად რუსეთის მიერ კონკრეტული არჩევანის გაკეთება არც თუ იმდენად სახიფათოა საქართველოსათვის, საკითხი რომ არ შეეხებოდეს თვით რუსეთის სახელმწიფოს იმ შეფასებას, რომელსაც თავის თხზულებაში აკეთებს ა. დუგინი: "რუსეთის ფედერაციას არ გააჩნია სახელმწიფო ისტორია, მისი საზღვრები შემთხვევითია, მისი კულტურული ორიენტაცია ბუნდოვანია, მისი პოლიტიკური რეჟიმი მერყევია, ეთნიკური რუქა მრავალეროვანი, ხოლო ეკონომიკური სტრუქტურა ფრაგმენტული და ნაწილობრივ გახრწნილი" [3].

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩამოთვლილ არგუმენტებთან ერთად, რუსეთი, რომელსაც აქვს იმპერიის შექმნის მყარი ტრადიციები, სამხედრო სიძლიერე, განპირობებული არა მარტო მხედრული ტრადიციებით, არამედ შეიარაღებული ძალებით, თანამედროვე უმძლავრესი ტექნიკითა და შეიარაღებით, და მიზანი - გახდეს უძლიერესი სახელმწიფო, ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას განაპირობებს ყველა იმ მეზობლისათვის, რომელიც მას ესაზღვრება და, მათ შორის, განსაკუთრებით საქართველოსათვის, რაც ბოლო ათწლეულმა მთლიანად დაადასტურა.

რუსული სცენარები საქართველოს მიმართ, განპირობებულია არა მარტო რუსეთის რეალური ინტერესებით და მიზნებით ჩვენი სახელმწიფოს მიმართებაში, არამედ მრავალი საერთაშორისო პროცესებით, ნატოს და უმეტესად ამერიკის შეერთებული შტატების როლით და, ჩვენს რეგიონში რუსეთისა და თურქეთის ურთიერთდამოკიდებულებითაც მათი ინტერესების დაპირისპირებით თუ ბალანსირებით. რუსეთ-თურქეთის ფაქტორი არა მარტო პირდაპირ ზემოქმედებს, მათ შორის მოთავსებულ საქართველოზე, არამედ საქართველოს მიმართ განაპირობებს ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოკიდებულებას. მათი ურთიერთდამოკიდებუ-ლება და ინტერესთა ფორმულირება მეტწილად ასევე უკავშირდება რუსეთისა და თურქეთის, რუსეთისა და ირანის, ირანისა და თურქეთის სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს და ემყარება რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობათა ტრადიციებსა და პერსპექტივებს, რომელიც მართალია "რუსული დატვირთვით", "რუსული სიმწვავით", მაგრამ მაინც

მეტად თანმიმდევრულად გადმოცემულია ნ.ანარტოვის მიერ, თავის წიგნში "გეოპოლიტიკა" [2].

საქართველოს გეოპოლიტიკაზე, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ურთიერთდამოკიდებულების და მათ უშუალოდ საქართველოსთან მიმართების გარდა, ასევე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს, ერთის მხრივ, საბერძნეთისა და თურქეთის დაპირისპირების გარკვეული ალბათობა.

საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების და საერთოდ ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კონტექსტში, ფუნქციონალური მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ განხილულ იმ საკითხებს, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე უკავშირდება თეირანის ინტერესებს — კავკასიაში ამოქმედდეს სატრანსპორტო დერეფანი ჩრდილოეთიდან სამხრეთით, რომელიც, რიგ შემთხვევაში, თურქეთზეც გავა, ამას ემატება საერთაშორისო, ფართომასშტაბიან ინტერესებთან დაკავშირებული, დასავლეთ-აღმოსავლეთის სატრანსპორტო მარშრუტები, რომელშიც საქართველოს საკვანძო პოზიცია უკავია.

აღნიშნული მარშრუტების ფუნქციონირება უშუალოდ უკავშირდება, ამ მიზნით შექმნილ და ფუნქციონირებად საქართველოს საინჟინრო ინსფრასტუქტურის, კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების სტრატეგიულ როლს და კავკასიის გეოპოლიტიკურ შემეცნებით ფუნქციას, სათანადო იდეოლოგიურ-ფუნქციონალური დატვირთვით (ნახ. 1).

საქართველოს ენერგეტიკული და სატრანსპორტო მაგისტრალების ეკონომიკური, სტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბების ცვლილებაზე ზეგავლენას იქონიებს ისიც თუ, როგორ განვითარდება მოვლენები ერაყში და მის ირგვლივ.

არ გამოირიცხება, რომ კასპიის მიღმა და კასპიის გამოღმა ნავთობისა და გაზის საბადოების სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულის იმპორტის ნაკადების მაგისტრალების ინტენსივობამ გადაინაცვლოს ერაყის მიმართულებით და სამხრეთით გავიდეს ოკეანეზე, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონიდან გაიზიდება ქუვეითის და ერაყის ნავთობის ნედლეულები.

ამ შემთხვევაში საერთო სცენარში მსოფლიო მასშტაბით შეიძლება დაიკლოს საქართველოსა და თურქეთის მიმართულების მაგისტრალების ეკონომიკურ-სტრატეგიული ფუნქციის მნიშვნელობამ, ხოლო ევროპისათვის გაძლიერდეს რუსული ნედლეულის და მარშრუტების სტრატეგიული პოზიცია.

ნახ. 1

ასეთ ვითარებაში მართალია შემცირდება საქართველოს და უფრო მეტად თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბები დაკავშირებული ნავთობგაზსადენების ფაქტორებთან, მაგრამ გაცილებით მოიმატებს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბები, როგორც ოპერაციული ზონისა, დასავლეთის სახელმწიფოების სამხედროყოფნისა ახლო აღმოსავლეთის საომარი მოქმედების თეატრზე, საიდანაც ოპერატიულად იქნება უზრუნველყოფილი საქართველოდან სამხრეთ-აღმოსავლეთის შესაძლო საომარი მოქმედებების მიმართულება.

თავისთავად ასეთი შესაძლო სცენარი გარკვეულ ეტაპზე გაართულებს საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულებას, მაგრამ პროგნოზირებადია ისიც, რომ ნავთობის ბაზრის ამერიკისა და რუსეთის მიერ გადანაწილების შემდეგ, საქართველო დასავლეთის სამხედრო კონტროლის უფრო სტაბილურ გარემოში მოექცევა.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტერიტორიის მთელი ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და სატრანსპორტო მაგისტრალები, დაკავშირებული სამხედრო უსაფრთხოების სფეროსთან, წარმოადგენს ასევე სამხედრო ინფრასტუქტურას, კომუნიკაციებს და მაგისტრალებს, როგორც სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს კომპლექსს, გასაგები ხდება ის, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვის სისტემის და კონკრეტულად სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგია, მნიშვნელოვნად რეაგირებს და დამოკიდებულია საქართველოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიაზე.

ერთ შემთხვევაში, საქართველოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგია და მისი უკვე მიღწეული გლობალური მნიშვნელობის შედეგები, პირდაპირ ზემოქმედებს სამხედრო უსაფრთხოების პარამეტრებზე — საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მხრივ. მეორე შემთხვევაში, საქართველოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიის აღნიშნული შედეგები არაპირდაპირი გზით ცვლის საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების პარამეტრებს, რაც მიიღება საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების დინამიკის სახეცვლილებით და წონასწორობის ახალი ფორმის ჩამოყალიბებით.

პირველი შეფასებით საქართველოს სამხედრო ინფრასტუქტურის, კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების ისეთი განვითარება და ფუნქციის მინიჭება, რომელიც მეზობელი, და ამასთან დაპირისპირებული, სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების საწინააღმდეგოა, ზრდის იმ საფრთხეების, მუქარების და შესაბამისი რისკების ფაქტორს, რომელიც საქართველოსკენ არის მიმართული. ამასთან სამხედრო უსაფრთხოების დონის შეფასებისათვის მარტო მუქარების, საფრთხეებისა და სათანადო რისკების სიმძაფრე, ინტენსივობა და სიძლიერის ზრდა არ არის საკმარისი. სამხედრო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი პარამეტრია მისი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გავრცელების მასშტაბი.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბები, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო, სიდიდით მინიმუმამდე დაეცა. მისი მასშტაბი გავრცელების მიხედვით შეესაბამებოდა სახელმწიფოს მხოლოდ ნაწილის სივრცეს და უკეთეს შემთხვევაში სახელმწიფოს სივრცეს, რომლის მთლიანობა ფაქტობრივად უკვე დარღვეული იყო.

მოცემულ ეტაპზე, როდესაც საქართველომ თავის ტერიტორიაზე მიაღწია ტრანსკონტინენტური ნავთობგაზსადენის გატარებას, რომელიც დასავლეთის სტრატეგიულ ინტერესებში შედის; ამოქმედდა დასავლეთ-აღმოსავლეთის სატრანსპორტო მარშრუტები; სტრატეგიული პრინციპების თანხვედრით დაიწყო აშშ და საქართველოს თანამშრომლობა სამხედრო სფეროში; საქართველო გახდა ანტიტერორისტული კოალიციის წევრი, და რაც მთავარია, მიღწეულია შეთანხმება NATO-ში საქართველოს ინტეგრირებისა, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გავრცელების მასშტაბმა გადალახა რეგიონული სივრცე და მიაღწია უმაღლეს დონეს – გლობალურ და საერთაშორისო სივრცეს (ნახ. 2).

თავისთავად სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გავრცელების მასშტაბის ზრდა იწვევს იმას, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელ საფეხურზე იმყოფება სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სიმძაფრის მხრივ, მნიშვნელოვნად იბლოკება კინეტიკა უმაღლესი დაძაბულობის მიღწევისა, რომელიც შეესაბამება სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სიმძაფრის ისეთ საფეხურებს, როგორებიცაა: "კონფლიქტური", რომელიც ხასიათდება შეიარაღებული კონფლიქტების შეზღუდული მასშტაბებით; და, განსაკუთრებით, "საომარი", როდესაც შეიარაღებული შეტაკების შეზღუდვები ფაქტობრივად მოხსნილია.

საერთოდ, თუ საქართველოს მიმართ სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სიმძაფრის საფეხურებზე ვიმსჯელებთ, უნდა ითქვას, რომ იგი თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში არასდროს ყოფილა "სტაბილური". იყო პერიოდები საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გარკვეული პერიოდი შეიძლება მიჩნეულიყო, როგორც "მდგრადი" სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, მაგრამ ძირითადში იგი იმყოფებოდა "თავდაცვის საკმარისობის პირობებთან დაკავშირებულ" სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში. ამ საკმარისობის პირობას საბჭოთა კავშირი განაპირობებდა, თუმცა გარკვეულ პერიოდში, განსაკუთრებით სუეცის არხის მოვლენების და კარიბის ზღვის კრიზისის დროს, საბჭოთა კავშირი და სათანადოდ საქართველო დადგა არა მარტო "დაძაბულ" სამხედრო-პოლიტიკური ვითარების საფეხურზე, არამედ "წინასაომარზეც", როდესაც საქმე მივიდა შეიარაღებული ძალების გამოყენების ზღვართან.

ახალი სისტემური მოდელის სტრუქტურული ელემენტების განსაკუთრებული სპექტრი

სამხედრო პოლიტიკური ვითარების სიმძაფრის საფეხურები	სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გავრცელების სივრცის მასშტაბები	სამხედრო-პოლიტიკური ვითარების განვითარების პირობები
• სტაბილური • მდგრადი • თავდაცვის საკმარისობაზე დამოკიდებული • დაძაბული • წინასაომარი • კრიზისული • კონფლიქტური • საომარი	I. მსოფლიო მასშტაბები • გლობალური • საერთაშორისო	• მშვიდობიანობის დრო • ომის დრო
	II. რეგიონალური მასშტაბი გავრცელების სივრცეები: • საომარი მოქმედების თეატრი ან • სტრატეგიული და ოპერაციული მიმართულებები	სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ცვლილებები დროის მიხედვით
	III. სახელმწიფო მასშტაბი • მთლიანად სახელმწიფო • სახელმწიფოს ნაწილი	• ინერციული - ხანგრძლივვადიანი • სწრაფი ცვალებადობა

საქართველოს გეოპოლიტიკური ველის მახასიათებლები

საქართველოს "ტოტალურ ველთან" "ენდემური ველის" სიდიდეთა ფარდობის მნიშნელობა ბუნებრივად იწვევს სამხედრო დაძაბულობის ფაქტორს, რაც ძლიერდება საქართველოში "სასაზღვრო ველის" საკმაოდ დიდი სივრცით. "სასაზღვრო ველი" მთლიანად უტოლდება "ჯვარედინ ველს". ეს სწორედ ის სივრცეებია ჩვენს სახელმწიფოში, რომლებთანაც მრავალი პრეტენზიებია დაკავშირებული.

ამდენად, საქართველოს გეოპოლიტიკის კატეგორიებით შედგენილი ფორმულა, საკმაოდ მძაფრია, რომელსაც ემატება დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა.

ნახ. 2.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს არასტაბილურობა მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, მაგრამ მისი განზოგადოებული ახსნა და, რაც მთავარია, შეფასება შეიძლება იმით, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირი დავტოვეთ ისე, რომ საქართველო აღმოჩნდა "წინასაომარ" სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში.
ეს, სიმძაფრის მხრივ, ძალიან მაღალი საფეხურია. დრომ არ დააყოვნა და იმის გამო, რომ საქართველოს მაშინ გააჩნდა თავისი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გავრცელების შეზღუდული სივრცე, რაც სახელმწიფოს კი არა, მხოლოდ მის ნაწილს მოიცავდა, რაც საერთოდ მინიმალური მაჩვენებელია, ჯერ შეიქმნა "კონფლიქტური" სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და შემდეგ კი "საომარი", რაც დაუკავშირდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოვლენებს.

მოგვიანებით კი, როდესაც საქართველომ საერთაშორისო სტრატეგიული ინტერესების შესაბამისი სახელმწიფოებრივი ფუნქცია მოიპოვა, და მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის გავრცელების მასშტაბი გლობალური გახდა, ჯერ პანკისის ხეობის ინცინდენტები, ხოლო შემდეგ სამაჩაბლოს 2004 წლის მოვლენებში, რომლებიც "კონფლიქტურ" სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას შეესაბამებოდა, აღარ და ვეღარ გადაიზარდა "საომარ" სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში, რისი დიდი სურვილიც დაპირისპირებულ ძალებიდან უდაოდ იყო.

ამდენად, სახელმწიფოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა და სახელმწიფოს ტერიტორიის მომზადება, იმდენად არის სტრატეგიული და წარმოადგენს სახელმწიფოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიას, რამდენადაც განსაზღვრავს მნიშვნელოვან პარამეტრებს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სიმძაფრისა და მისი გავრცელების მასშტაბისა, როგორც მშვიდობიანობის, ასევე, განსაკუთრებით საომარი მდგომარეობის დროს, რომ არაფერი ვთქვათ სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიის მიერ ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისა და ტერიტორიული დაცვის განსაკუთრებული პირობის შექმნის შესრულების ფუნქციაზე — ოპერატიულ დონეზე.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ტერიტორიის მომზადება ომისათვის და სახელმწიფოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა, წარმოადგენს სახელმწიფოს სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის კარდინალურ, სტრატეგიულ მიმართულებას და იგი ქვეყნის სამხედრო დოქტრინით დაწყებული ჯეროვან ასახვას მოითხოვს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში, სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობაში, შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციაში და სამხედრო-სამრეწველო და საგანმანათლებლო-სამეცნიერო კომპლექსში, როგორც სამხედრო-საინჟინრო დარგის ერთიანი მწყობრი სისტემა.

საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების და მისი ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსის შექმნის ხასიათზე, ფორმაზე და ფუნქციონირების შინაარსზე, ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიული საბაზრო მონაცემების გარდა, ასევე უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას ახდენს მისი ტერიტორიის

სტრუქტურული ანალიზი გეოპოლიტიკური კატეგორიების, საბრძოლო, საკომუნიკაციო ზონებისა და, რა თქმა უნდა, საბრძოლო მოქმედებების მიმართულებების მიხედვით.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, და, რა თქმა უნდა, ეროვნული სამხედრო სტრატეგია, სათანადოდ უნდა პასუხობდეს და შეესაბამებოდეს იმ სიტუაციებს, რითაც ხასიათდება საქართველოს გეოპოლიტიკური ველის კატეგორიები [4].

საქართველოს სახელმწიფო "ტოტალური ველი" - უწყვეტი სივრცე, რომელიც სრულ ნაციონალურ კონტროლს ექვემდებარება, საკმაოდ ნაკლებია, ვიდრე მისი "ენდემური ველი", ანუ ის სივრცე, რომელსაც ისტორიულად ფლობდა ერი და რომელიც ისტორიული წყაროებით, ცივილიზაციის და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია საქართველოს საკუთრებად.

საქართველოს "ტოტალურ ველთან" "ენდემური ველის" ნაკლებობა ბუნებრივად იწვევს სამხედრო დაძაბულობის ფაქტორსაც, რაც ძლიერდება საქართველოში "სასაზღვრო ველის" საკმაოდ დიდი სივრცით. "სასაზღვრო ველის" ათვისება ნაციონალური უმცირესობის და სხვა ეთნიკური ჯგუფების დასახლებით და ასევე სხვა სახელმწიფოების მოტივირება დაასაბუთოს მათი დისტრუქციული და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედების ისტორიული სამართლიანობა, საქართველოში განაპირობებს იმას, რომ "სასაზღვრო ველი" მთლიანად უტოლდება "ჯვარედინ ველს". ეს სწორედ ის სივრცეებია ჩვენს სახელმწიფოში, რომელზეც ბევრი სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიებს (ნახ. 3).

ამდენად, საქართველოს გეოპოლიტიკის კატეგორიებით შედგენილი ფორმულა, საკმაოდ მძაფრია, რომელსაც ემატება დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა და ისიც რომ რუსეთი თავის "სასაზღვრო ველში" განიხილავს კავკასიას, ხოლო რიგ შემთხვევებში სომხეთის და აზერბაიჯანის სხვადასხვა ძალები, სიტუაციების მიხედვით, ასევე, "სასაზღვრო ველს" მიაკუთვნებს შესაბამისად ჯავახეთის და მარნეულის მხარეს. ამას ემატება საბჭოთა ეპოქამდე, რთულ ისტორიულ პერიოდებში დაკარგული ტერიტორიები, რაც საბოლოო ჯამში საქართველოს გეოპოლიტიკურ ველს ურთულესი კატეგორიებით ახასიათებს.

მეზობელი სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური მიზნები და ამით განპირობებული საქართველოს გეოპოლიტიკური ველის ურთულესი კატეგორიების სურათი, განპირობებულია იმით, რომ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, სიმძაფრის მხრივ ყოველთვის მაღალი იყო და თვით მისი ისტორიული აღმავლობის ეპოქაშიც, იგი არასდროს ყოფილა სტაბილური. ეს ისტორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე ეპოქის რეალობები, სამხედრო-პოლიტიკური ვითარებების მხრივ, საქართველოს მძაფრი ვითარების ქვეყნებს შორის აყენებს, რაც აუცილებლად უნდა აისახოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში და, კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების თავდაცვისათვის მომზადების იდეოლოგიაში, პრინციპებში და აქტუალურ ორიენტირებაში.


საქართველოს მიმართ შეიარაღებული ბრძოლის წინაპირობების შექმნის, დაწყებისა და ბლოკირების სახელმწიფო პოლიტიკური არგუმენტების ფუნქციური დინამიკური მოდელის სტრუქტურა
საომარი
კონფლიქტური
კრიზისული
წინასაომარი
დაძაბული
თავდასხმის საქმარისობის
მღელვარე
სტაბილური
შესაძლო „ომის" არეალი
შესაძლო „წინასწორობის"-სახასიათო არეალი
შესაძლო „მშვიდობის" არეალი
მაღალი რისკის ზონა
საშუალო რისკის ზონა
დაბალი რისკის ზონა
I. მშვიდობიანობის პერიოდები
II. ვითარების ინერციული ცვლილება
I. ომის პირობები
II. ვითარების სწრაფი ცვლილება
„ტოტალური ველის"
„ენდემური ველის"
„სასაზღვრო ველის"
და
„ჯვარედინი ველის"
კრიტიკული თანაფარდობები
ვითარების სიმძაფრის საფეხურები
ვითარების გავრცელების სივრცის მასშტაბები
„სახელმწიფო" მასშტაბი
სახელმწიფოს ნაწილი
მთლიანად სახელმწიფო
„რეგიონული" მასშტაბი
სტრატეგიული ან ოპერაციული მიმართულება
საომარი მოქმედებების თეატრი
„მსოფლიო" მასშტაბი
საერთაშორისო
გლობალური
სქემა შედგენილია ემპირიული მეთოდით ჩატარებული კვლევებით

ნახ. 3.

საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია

საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ვითარებების პარამეტრებით უნდა განისაზღვროს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი – საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია და მისი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებები, რაშიც ასახვა უნდა ჰპოვოს სახელმწიფოს თავდაცვის სისტემის პოტენციალმა, თანამედროვე ომების, საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების ხასიათმა, არსმა და მასშტაბმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებს და სხვა სახელმწიფოებს, მათ შორის NATO-ში შემავალთ, გააჩნიათ სხვადასხვა სახის და ხედვის სახელმწიფო სტრატეგიები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამხედრო სტრატეგია, ან სამხედრო დოქტრინა. მათში შერწყმულია სახელმწიფოებრივი და სამხედრო ინტერესები ქვეყნებისა, კონკრეტულ მომენტში და კონკრეტულ ვითარებებში.

ამ მხრივ, საქართველოს გააჩნია ეროვნული სამხედრო სტრატეგია და იგი არის მეორე რიგის დოკუმენტი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემდეგ. საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც მიღებულია 2005 წელს, შეიცავს საქართველოს სამხედრო პოლიტიკას 2010 წლამდე, საქართველოს თავდაცვის ზოგად პრინციპებს, ეროვნული სამხედრო სტრატეგიის მნიშვნელობას, სტრატეგიული გარემოს ძირითად ასპექტებს, ეროვნულ სამხედრო მიზნებს, სამხედრო წარმატების აუცილებელ ფაქტორებს, შეიარაღებული ძალების სტრუქტურასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების სამომავლო ხედვას.

შესავალში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირითადი ფუნქციები და ამოცანები განსაზღვრულია:

საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროცესისათვის პოლი-ტიკური მიმართულების განსაზღვრა;

- ქვედანაყოფის მაღალი მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღსრულება;
- შეიარაღებული ძალების სტრუქტურის სრულყოფა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიხედვით სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითადი მიმართულებებია:

- შეიარაღებული ბრძოლის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება;
- NATO-ში ქვეყნის გაწევრიანების პრიორიტეტულობა;
- მართვის პოლიტიკის გაუმჯობესება.

საქართველოს თავდაცვის ზოგადი პრინციპები ჩამოყალიბებულია ხუთ პუნქტად:

1. პირდაპირი აგრესიის თავიდან აცილება და მისგან დაცვა;
2. NATO-სთან ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა;
3. სტრატეგიული გარემოს ზუსტი შეფასების უნარი;
4. კავკასიის რეგიონში სტაბილურობის ხელშეწყობა;
5. საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობა.

პირდაპირი აგრესიის თავიდან აცილება და მასთან ბრძოლა საქართველოს სამხედრო მზადყოფნის და პოტენციალის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობას და საქართველოს ეროვნული ინტერესების მშვიდობიანი გზით განხორციელებას.

NATO-სთან ინტეგრაცია და საერთაშორისო შეთანხმება, არის საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის ქვაკუთხედი, იგი გულისხმობს თავდაცვის ტერიტორიულ პრინციპებიდან კოლექტიურზე გადასვლას.

სტრატეგიული ვითარების ზუსტად შეფასების უნარი, დროული დასკვნების გაკეთებაზეა ორიენტირებული. საქართველოს კარგად უნდა იყოს ინფორმირებული ზოგად საერთაშორისო გარემოსა და კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ეროვნული ძალისხმევა ამ მხრივ მიმართულია, სადაზვერვო მონაცემებით ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებზე, ასევე ტექნოლოგიების გამოვლინებით საომარი მოქმედებების სფეროში.

კავკასიის რეგიონში სტაბილურობის ხელშეწყობა საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობაში, საქართველო აცნობიერებს იმას, რომ მისი, როგორც თავისუფალი და უსაფრთხო ქვეყნის, მომავალი დიდად დამოკიდებულია საერთაშორისო წესრიგზე.

ეროვნული სამხედრო სტრატეგია აერთიანებს ძირითად მიმართულებებს თავდაცვის სამინისტროს, მისი შეიარაღებული ძალების და ასევე სხვა სამინისტროებისათვის თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერის პროცესსაც.

ეროვნული სამხედრო პოლიტიკა აყალიბებს მიზნებს, ამოცანებს, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკიდან. იგი განსაზღვრავს თუ როდის და რა პოლიტიკური მიზნით შეიძლება იქნას გამოყენებული ძალა.

ამ მხრივ, ეროვნული სამხედრო სტრატეგია –

1. გამომდინარეობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიდან;
2. აყალიბებს სამხედრო მიზნებს, ამოცანებს და მოთხოვნებს;
3. განსაზღვრავს შეიარაღებული ბრძოლის მოქმედებებს და ოპერატიული დაგეგმარების მიმართულებებს;
4. განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების სტრუქტურას და მოთხოვნებს 2010 წლამდე.

სტრატეგიული გარემოს ძირითადი ასპექტები მოიცავენ გარემოს მახასიათებელ სწრაფად ცვლილებად პოლიტიკურ ლანდშაფტებს, პოტენციურ

მოწინააღმდეგეთა მრავალფეროვნებას და საქართველოს შესაძლო შეზღუდულ შესაძლებლობებს.

კავკასიის ზოგადად და განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის როლი, თავისი გაყინული კონფლიქტებით არის მეტად საშიში საქართველოსათვის. ამ მხრივ, გაცილებით საშიშია ახლად წარმოშობილი კერები. მათი პირდაპირი ზემოქმედება საქართველოზე ნაკლებია, მაგრამ არაპირდაპირი გზით მათ შეიძლება მიიღონ ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სახეები.

საქართველოსათვის დიდ საფრთხეებს შეიცავს მის ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული, უკონტროლო ტერიტორიები. მათი მოქმედების საერთო სურათი და კერძო გამოვლენები კონკრეტულად ქმნის საფრთხეებს ჩვენი ქვეყნის მიმართ. მათზე ზრუნვა არის არა მარტო ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, არამედ ქვეყნის განვითარების პერსპექტივაზე ჩვენი ზემოქმედება.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის ძალების სამხედრო ბაზები და მათი შესაბამისი სტრუქტურები ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან მადესტაბილიზებელ ფაქტორს წარმოადგენენ. ამას ემატება რუსეთის აქტიური ნეგატიური როლი სამშვიდობო ოპერაციებში.

გარდა ამისა, ძალიან დიდია როლი საქართველოს ჩართვისა მეზობელი ქვეყნის ეკონომიკურ პროექტებში. თუმცა, ისინი ქმნიან საფრთხეებს სამრეწველო და ინფრასტრუქტურის ობიექტების მიმართ. საქართველო ხასიათდება ისეთი საშიში და არამდგრადი, ძლიერი მეზობლების სიახლოვით, რომლებსაც აქვთ ფართო სპექტრის ტერორისტული იარაღი და მზად არიან დაუპირისპირდნენ მსოფლიოს.

უსაფრთხოების მხრივ, საქართველოს წინაშე მრავალი ამოცანა დგას. იგი ხაზს უსვამს ქვეყნის შესაბამისი სამხედრო ძალების ძირითად ფაქტორებს: გაწვრთნილობა, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და ეფექტური მართვის სისტემა. სამივე სფეროში მაღალი შედეგების მიღწევა შესაძლებელია ფინანსების მოზიდვით, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენით და სხვა რესურსის გამოყენებით.

ეროვნული სამხედრო მიზნები გამოიხატება:

- თავდაცვაში;
- შეკავებაში და პრევენციაში;
- მზადყოფნაში;
- საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობაში.

თავდაცვა, საქართველოს ძირითადი სუვერენული და ტერიტორიის მტრისაგან დაცვის ფორმაა. დაცული სახემელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ამოსავალი წერტილია. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს NATO-სთან კავშირსა და პარტნიორულ ურთიერთობას.

შეკავებას და პრევენციას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება მოწინააღმდეგის მიერ ქვეყნის თავდასხმაზე ასაცილებლად. მოწინააღმდეგის შეკავება არის არა

მხოლოდ თავდაცვის საქმე, არამედ შეიცავს პოლიტიკურ და დიპლომატიურ სპექტრებსაც.

მზადყოფნა გულისხმობს, პირველ რიგში, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მზადყოფნას ნებისმიერი სახით საბრძოლო თუ სხვა ოპერაციების ჩატარებას.

საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობისას, სამხედრო სფეროს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოლიტიკური მიზნების მიღწევაში.

სამხედრო წარმატების აუცილებელ ფაქტორებს შორის სახელდება:

1. მოქნილობა;
2. ერთიანი ოპერაციების წარმართვა;
3. NATO-სთან თავსებადობა;
4. თავდაცვისა და კრიზისების დროს მოქმედებების სწორი დაგეგმვა;
5. სამოქალაქო უწყებებისათვის დახმარების აღმოჩენა;
6. საინფორმაციო და სადივერსიო შესაძლებლობები.

მოქნილობა უპირველეს პრინციპს წარმოადგენს სამხედრო ქვედანაყოფებისათვის, სტრატეგიული გარემოს არასტაბილურობის და მოსალოდნელი საფრთხეების პირობებში სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება ერთი ტიპის ოპერაციიდან მეორე ტიპის ოპერაციაში გადართვისა.

მნიშვნელოვანი წარმატების აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს სამხედრო ქვედანაყოფის ერთიან საოპერაციო ქსელში ჩართვა და კოორდინირება, როგორც კონკრეტულ გეოგრაფიულ პირობებში, ასევე საქართველოს წინაშე მდგარი საფრთხეების მიმართ. ასეთი გარემოება მოითხრვს ჯარების სახეობათა ურთიერთთავსებადობას. ერთიანი ოპერაციის ჩატარების უნარი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს NATO-სთან და განსაკუთრებით აშშ-ს შეიარაღებულ ძალებთან თავსებადობის მისაღწევად.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ოპერატიული გეგმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას:

- ერთიან გეგმაში სახელმწიფო უწყებების ჩართვა;
- ქვეყნის თავდაცვის შესაბამისობა დასავლეთის სტანდარტებთან;
- კრიზისების დროს გენერალურ შტაბსა და გაერთიანებულ შტაბებში მოქმედებათა დაგეგმვა;
- სამოქალაქო მხარდაჭერის დაგეგმვა.

ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო უწყებებისათვის დახმარების გაწევა და სადაზვერვო და ინფორმაციული შესაძლებლობები.

შეიარაღებული ძალების სტრუქტურა, დასახული ღონისძიებების დროს უნდა ეყრდნობოდეს:

- სახმელეთო ძალებს;
- საჰაერო ძალებს;
- საზღვაო ძალებს;
- საქართველოს ეროვნულ გვარდიას;

- სამხედრო პოლიციის სამსახურს.

ასეთია საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის მოკლე მიზანი.

ამერიკას კი უფრო სრულყოფილი დოკუმენტები გააჩნია. აქ პირველი არის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სტრატეგია, რომლის შემდეგ მოდის აშშ სტრატეგია ნაციონალური თავდაცვისა. დოკუმენტებში განხილულია სტრატეგიული მიზანი, ამ მიზნის მიღწევის გზები, მოქმედებების ძირითადი გეგმები, ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოება XXI საუკუნეში, საბაზო ფორმულირება სტრატეგიისათვის, სტრატეგიული მიზანი, მიზნის მიღწევის საშუალებები, ძირითადი მიმართულებები გეგმების რეალიზაციისა და სხვა.

აღნიშნული დოკუმენტის შემდეგ, როგორც სამხედრო დოკუმენტი, არის ნაციონალური სამხედრო სტრატეგია ამერიკის შეერთებული შტატებისა.

სათანადო მოხსენება წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარის მიერ. მის სიტყვაში ყურადღებას იპყრობს ის, რომ - 1) მოიპოვოს მოგება ტერორიზმთან ბრძოლაში; 2) ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აიმაღლოს თავისი შესაძლებლობა იმისათვის, რომ იბრძოლოს ერთობლივ მტერთან; 3) აუცილებელია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რეფორმირება, რათა მან შეძლოს ახალი ძალებით, ახალი ტექნოლოგიებით ბრძოლების წარმართვა ნებისმიერ დონეზე.

“ნაციონალური სამხედრო სტრატეგია” არის პირველი სამხედრო დოკუმენტი. იგი გამომდინარეობს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ “ეროვნული უშიშროების სტრატეგიიდან” და თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული “ნაციონალური თავდაცვის სტრატეგიიდან”.

ნაციონალური სამხედრო სტრატეგიის საფუძველზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ცალკეული სახეობებით თავდაცვის სამინისტროების და თვით გაერთიანებული შტაბების კომიტეტი განსაზღვრავს ურთიერთობას ერთმანეთთან და შეიარაღებული ბრძოლის წარმოების ხერხებს.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ უსაფრთხოებაზე:

- მოწინააღმდეგის ფართო სპექტრი;
- გაცილებით რთული და განაწილებული ბრძოლის სივრცე;
- ტექნოლოგიების გავრცელება და მასზედ ხელმისაწვდომობა.

პრინციპი ერთიანი ძალის აგებისა:

- მოქნილობა;
- გადაწყვეტილების მიღება;
- ინტეგრაცია.

სამხედრო მიზანი:

- აშშ დაცვა გარე აგრესიისაგან და თავდასხმისაგან;

- კონფლიქტის აღმოფხვრისა და მოულოდნელი თავდასხმის ანულირება;
- მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მიღწევა.

ერთიანი ძალის ძირითადი მახასიათებლები:

- სრული ინტეგრაცია;
- ექსპედიციური ხასიათი;
- გაერთიანება საერთო ქსელში;
- დეცენტრალიზაცია;
- ადაპტაცია;
- უპირატესობა გადაწყვეტილების სწრაფად და ხარისხიანად მიღებაში;
- საცეცხლე ძალა.

ასევე განხილულია შესაძლებლობები და ფუნქციები.

აშშ მზადყოფნისათვის ისეთი შეიარაღებული ძალების შექმნას, რომელიც წარმატებით იბრძოლებს ერთ მთავარ ფრონტზე და ასევე ორ დამხმარე ფრონტზე და სამომავლოდ ექნება საბრძოლო შესაძლებლობების ერთიანი პერსპექტივა.

ასეთი მიდგომით შედგენილია ეროვნული სამხედრო სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს სათავო სამხედრო დოკუმენტს. ამი შემდეგ, სახმელეთო ჯარებში, თუ არ გავითვალისწინებთ სხვა სახეობის ჯარებს, სპეცჯარების ჩათვლით, ფლობენ დოქტრინებს, რომლებიც ივსება საველე წესდებებით.

განსაკუთებით ამერიკული და ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინული ლიტერატურისაგან, მაგალითად რუსეთს და სხვა სახელმწიფოებს გააჩნია სამხედრო დოქტრინა, რომელშიც ასახულია მთელი შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალი.

საქართველოს სამხედრო სტრატეგია, როგორც თავდაცვის უმთავრესი ელემენტი, შემდეგი სქემით ეწერება სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციაში და სამხედრო მშენებლობაში:



ნახ. 4

სამხედრო-პოლიტიკური ვითარების კონკრეტული სცენარის, სამხედრო გეოგრაფიის ყველა სხვა პარამეტრების, მათ შორის გეოგრაფიული გარემოს, გეოპოლიტიკური კატეგორიების, კომუნიკაციური ზონების და საბრძოლო მოქმედებების მიმართულებების გარდა, სამხედრო ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების სისტემური ფორმირებისა და განვითარების სტრატეგია, თუნდაც მსგავსი სიტუაციური სცენარებისა, სხვადასხვა ეტაპზე თავისი კარდინალური მიდგომითაც კი დამოკიდებულია კონკრეტულ ვითარებაში და კონკრეტულ დროს ომის და შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათზეც.

ყველაზე ხშირ შემთხვევაში, საქართველოში განვითარებული სამხედრო კონფლიქტების ძირითადი ნიშნები შესატყვისი ან მსგავსი იქნება თანამედროვე ომების ხასიათისა. ამ მხრივ საქართველოს განვითარებული სამხედრო კონფლიქტების უმთავრესი სახასიათო ნიშანი სხვადასხვა რიგითობით, დაჯგუფებით და მოსალოდნელობით იქნება:

— საქართველოს მოსახლეობის, რეგიონის, სახელმწიფოთა მოსახლეობის და მსოფლიოს საზოგადოების დეზორიენტაცია, რომელიც მიიღწევა და გავრცელდება ინფორმაციის ყველა საშუალებით და ექნება უკიდურესი საინფორმაციო დაპირისპირების ხასიათი, რაც მთლიანობაში განაპირობებს რთულ მორალურ-ფსიქოლოგიურ გარემოს სამოქალაქო და სამხედრო სივრცეში;

— საქართველოს სახელმწიფოს მართვის, მისი ხელისუფლების და თვითმართველობის სტრუქტურების ფუნქციონირების ქმედითუნარიანობის მოშლის და სრული ბლოკირების ქმედებები, რაც გამოიხატება ქვეყნის შიგნით და მის გარეთ არსებული ყველა დესტრუქციული ძალებისა და რესურსების ამოქმედებით;

— განსაკუთრებული სადაზვერვო, აგენტურული, დივერსიული და მრავალი ფორმისა და შინაარსის ძირგამომთხრელი ზემოქმედება სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის შესასუსტებლად;

— საიარაღო ზემოქმედებები ინფრასტრუქტურებზე, კომუნიკაციებზე, სატრანსპორტო მაგისტრალებზე, მათ შორის, სამხედრო, ეკონომიკურ, ზურგის და სხვა სახელმწიფო ობიექტებზე, განსაკუთრებით კი იმ კლასზე ობიექტებისა და ენერგეტიკული კომპლექსებისა, რომელთა რღვევა ანადგურებს სამხედრო ძლიერების პოტენციალს და სასიცოცხლო უზრუნველყოფის ფუნქციებს;

— მიზანდასახული საიარაღო ზემოქმედება ისეთ საინჟინრო და ბუნებრივ ობიექტებზე, სისტემებზე და გარემოზე, რომელთა რღვევა ქმნის ხელოვნურ საგანგებო სიტუაციას, რომლის კატასტროფის მასშტაბები ხშირ შემთხვევაში შეიძლება მასიური განადგურების იარაღის გამოყენების ეფექტის ექვივალენტური გახდეს;

— განადგურება სამხედრო ძალების პირადი შემადგენლობის, მოსახლეობის, საიარაღო სისტემების და კომპლექსების, სატრანსპორტო საშუალებების და საერთოდ სახელმწიფოებრივი ფუნქციის მატარებელი ყველა ინსტიტუტებისა;

— ყველა მადესტაბილიზებელი საშინაო და საგარეო რესურსის ამოქმედება სეპარატისტული, პოლიტიკური და ტერიტორიული პრეტენზიების სახასიათო და შესაძლო სპექტრში, დივერსიების და ყველა სახის ტერორის ინტენსიური გამოყენებით;

— გარდა აღნიშნულისა, უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტის დინამიკა შეიძლება განვითარდეს, როგორც ერთი სახელმწიფოს მხრიდან ან ერთ რეგიონში, ასევე მრავალ რეგიონში და მრავალი სახელმწიფოს მიერ, რითაც არ გამოირიცხება ომის წარმოების კოალიციური ხასიათი;

— საქართველოს მიმართ და მის ტერიტორიაზე წარმოებულ შეიარაღებულ კონფლიქტში შეიძლება ჩართული იყოს სხვადასხვა მხარეების რეგულარული სამხედრო ფორმირებები, რეზერვის ფართო გამოყენებითაც, ასევე არარეგულარული შეიარაღებული ფორმირებები და მრავალრიცხოვანი ადგილობრივი მოსახლეობა;

— საქართველოს გეოპოლიტიკური კოორდინატები, მასთან დაკავშირებული ინტერესები და არსებული საფრთხეებისა და მუქარების სარისკო სპექტრი დიდი ალბათობით წარმოშობს ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის მასშტაბის ეტაპობრივ, სწრაფ გაზრდას თვით ფართომასშტაბიან, თუნდაც საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში და ასევე სამოქალაქო ომებშიც კი, რაც ფართოდ გავრცელდება რეგიონში და ნაკლებად პროგნოზირებად გარემოს შექმნის, მისი არეალის განსაზღვრისათვის;

— მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის საწყის ეტაპზე, თუნდაც უმარტივესი ტიპის შეიარაღება იქნას გამოყენებული, მეტწილად მოსალოდნელია კონფლიქტში უახლესი ტიპის, განსაკუთრებული განადგურების პარამეტრების მქონე თანამედროვე საიარაღო სისტემების გამოყენება.

იმისათვის, რომ საქართველომ უზრუნველყოს სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის სრულყოფილი სისტემის შექმნა სამხედრო მშენებლობაში, შეიარაღებული ძალების მშენებლობაში და მთლიანად სახელმწიფოს მომზადებაში ომისათვის, სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის ბაზაზე უნდა განისაზღვროს საქართველოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგია და მან ასახვა უნდა ჰპოვოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში და თავდაცვის მინისტრის დირექტივებში და ყველა სამინისტროების თეთრ წიგნებში, ასევე სახელმწიფოს სამოქალაქო ორგანიზაციებში.

სახელმწიფო სამხედრო პროგრამებში რეალიზებული უნდა იქნეს ის უმნიშვნელოვანესი საკითხები სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციისა, როგორებიცაა:

— ტერიტორიის მომზადება და ადგილმდებარეობის საინჟინრო აღჭურვა ომისათვის;

— სამხედრო ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და მათი განვითარება;

— ტერიტორიული თავდაცვის სისტემა;

— სამოქალაქო თავდაცვის სისტემა;

— წყლით და საინჟინრო ნედლეულით მომარაგების სისტემები;
— სტრატეგიული და ოპერატიული გაშლის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსი;
— ძალების მანევრირების მიმართულებების და ინტენსივობის გაზრდა და დაჩქარება, რაც განაპირობებს სამხედრო მიმოსვლე-ბის ფართო ქსელის აუცილებლობას, სათანადო სატრანსპორტო საშუალებებს და უსწრაფესი მანევრისადმი თავსებადი დესანტის, სპეციალური დანიშნულების ნაწილების და აერომობილური ძალების მრავალმხრივი გამოყენების აუცილებლობებს;
— სამხედრო-საინჟინრო კომპლექსის მომზადება;
— სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ორიენტაცია სამხედრო-საინჟინრო დარგის სამეცნიერო, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაზე და სათანადო რესურსებით მატერიალური და საწარმოო ბაზის შექმნა;
— ერთიანი სამხედრო-საინჟინრო სახელმწიფო კომპლექსის, ოპერატიული გაშლის, ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მომსახურება ერთიან სახელმწიფო სადაზვერვო სივრცეში;
— სამხედრო ეკონომიკის, სამობილიზაციო რესურსების, ზურგის და ტექნიკური უზრუნველყოფის ორიენტირება სახელმწიფოს ერთიან სამხედრო-საინჟინრო კომპლექსზე;
— სამხედრო-საინჟინრო და სამოქალაქო, საგანმანათლებლო სისტემის თავსებადობა სახელმწიფოს ერთიან სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცესთან;
— სამხედრო-საინჟინრო კარტოგრაფიის, ორიენტაციის საშუალებების, გეოდეზიის, კლიმატომეტეოროლოგიის, გეოლოგიის, ჰიდროლოგიის და საინჟინრო დაზვერვის ჯც ც ტექნიკური სისტემის საბაზო კომპლექსის შექმნა და განვითარება.

საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მზადებისათვის და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის შექმნის, ამოქმედებისა და გამართული ფუნქციონირებისათვის საქართველოს სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციის ყველა ელემენტში უნდა აისახოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგია:
— ინტელექტუალურ და ორგანიზაციულ-მმართველობით ბლოკში სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა უნდა შედიოდეს თავდაცვის სამინისტროს აპარატის, გენერალური შტაბის, გენერალური შტაბის სასწავლო ცენტრების და სამხედრო დაწესებულებების; გენერალური შტაბის საზღვაო საბრძოლო ოპერაციების დაგეგმარების ჯგუფის, ეროვნული გვარდიის შტაბის, ეროვნული გვარდიის სასწავლო ცენტრების და სწრაფი რეაგირების შტაბის სტრუქტურების საქმიანობის სფეროში.
— სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიამ და, უფრო მეტად, ოპერატიულ დონეზე ბრძოლებისა და ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფამ თავისი ხასიათით, შინაარსით, ინტენსიობით და, რაც მთავარია, ეფექტით, ასახვა უნდა ჰპოვონ

შეიარაღებული ძალების სტრუქტურულ შემადგენლობაში, მათ აღჭურვასა და რაოდენობრივ პარამეტრებში.

— საერთოდ შეიარაღებული და სხვა სამხედრო ძალების საშტატო, მოქმედი შემადგენლობის რიცხოვნობის და სტრუქტურის პარამეტრების განხილვა შეუძლებელია, თუ ეს კომპლექსურად არ იქნა ერთიანი მოდელით წარმოდგენილი, სადაც აუცილებელ გათვალისწინებას მოითხოვს, სათანადო ვითარებებში სამხედრო-საინჟინრო რეზერვის მოზიდვისა და ამოქმედების დრო, ინტენსიობა და სტრუქტურა.

საკითხების ასეთი სპექტრით განხილვა შესაძლებლობას იძლევა არა ტოტალიტარული, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიული დაცვის სისტემების თვითმყოფადი მოდელის შექმნისა და რეალიზაციისა საქართველოში.

ამასთან, შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში უნდა გაძლიერდეს და გაფართოვდეს სპეციალური დანიშნულების სამხედრო ნაწილის სახით ისეთი საინჟინრო დანაყოფები, რომელთა სპეციალიზაცია აუცილებელი გახდება სამთო პროფილითაც და ასევე სხვა გარკვეული ქვედანაყოფების სახით - საგზაო, ნავთობმილსადენების, სარკინიგზო, ჰიდროტექნიკური, სააეროდრომო, წყალმომარაგებისა, სახანძრო და სხვა მიმართულებებით.

თანამედროვე ეტაპზე, სამხედრო ხელოვნების ახალი კონცეფციის რეალიზაციის შემთხვევაში, თუ პერსპექტივაში შეიარაღებული ძალები გადავიდა ფუნქციონალურ ჩამოყალიბებაზე "შეტევითი ჯარების და ძალების" და "თავდაცვითი ჯარების და ძალების" სახით [5] სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება, სათანადო უზრუნველყოფით და ორგანიზაციული ფორმით მოითხოვს ტრანსფორმაციას და ადაპტაციას ისე, რომ ორივე ფუნქციის შესრულებას შეესაბამებოდეს სრული სპეციალიზირებული სპექტრით.

ყველა შემთხვევაში საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა უნდა იძლეოდეს საშუალებას, შეიარაღებული კონფლიქტების დროს, მოწინააღმდეგისაგან სახელმწიფოს თავდაცვის და მოწინააღმდეგის განადგურებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, სამხედრო ხელოვნებისათვის ცნობილი, ნებისმიერი სტრატეგიული და ოპერატიული ვარიანტების გამოყენებით და ტაქტიკური ქმედებებით.

ამდენად, საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მზადება და მისი ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსი, ერთის მხრივ, თავის მოთხოვნებს უყენებს მისი შექმნის და ფუნქციონირების სახელმწიფოებრივ წინაპირობას, ხოლო მეორეს მხრივ, იგი, როგორც კონკრეტული მიმართულება გამომდინარეობს ეროვნული სამხედრო სტრატეგიიდან, რაც უკუკავშირშია საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიასთან.

როდესაც საკითხი შეეხება საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მზადების და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკურ წინაპირობებს და სამხედრო უსაფრთხოების კონცეპტუალურ მოთხოვნებს, ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი საინჟინრო სისტემის შექმნის იდეოლოგია ადაპტირებული უნდა იყოს იმ

სიტუაციებთან, თუ საქართველოს ტერიტორია ნაწილობრივ ან მთლიანად მოექცევა საომარი მოქმედების თეატრის სტრატეგიული მიმართულების უმთავრეს ოპერაციული მიმართულების სივრცეში. ამ მხრივ გეოპოლიტიკური წინაპირობები არსებობს და წინასწარი შეფასებით, საქართველოს ტერიტორიის მიმართ შეიძლება გაჩნდეს მოთხოვნა იმისა, რომ მას დაეკისროს სტრატეგიულ მიმართულებაში ერთ-ერთი ოპერაციული მიმართულების ზურგის საკომუნიკაციო რაიონის ფუნქცია, რომელიც სიტუაციების მიხედვით შეიძლება ტრანსფორმირდეს მიმართულების მოწინავე საკომუნიკაციო რაიონად და უფრო მეტიც, დაჯგუფების ზურგის რაიონად, რაც ჩვენს სახელმწიფოს ძალიან დაახლოვებს საბრძოლო მოქმედებების ზონასთან. ასეთი მიდგომით საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მზადება აქტუალური შემადგენელი ნაწილი ხდება საომარი მოქმედების თეატრისა, სადაც გარკვეულ ვითარებაში გლობალური პროცესების ფონზე თეორიულად არ გამოირიცხება საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მზადების ის დონე, რომელსაც ითხოვს საომარი მოქმედების მიმართულების, საბრძოლო ზონის I ან II ეშელონის შენაერთების რაიონები.

ამდენად, არა მარტო საკუთრივი სახელმწიფოებრივი საფრთხეებით არის განპირობებული საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადებისათვის სტრატეგიული დონის მინიჭება, არამედ იგი განპირობებულია მისი აქტუალური პოზიციით საომარი მოქმედების თეატრში.

სახელმწიფოს თავდაცვა გარკვეული მასშტაბით და სპეციფიკური მიდგომით, ისევე როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოება, წარმოადგენს სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, ინტელექტუალურ, სოციალურ და სხვა კომპონენტთა ერთიან სტრუქტურას, მაგრამ ეროვნული უსაფრთხოებისაგან განსხვავებით, რომლის სისტემამ უნდა უზრუნველყოს როგორც მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიები, ასევე ქვეყნის პოტენციალი, მზადყოფნა და მოქმედების ფართო სპექტრის სახელმწიფოებრივი საგარეო და საშინაო კომპლექსი, "საქართველოს თავდაცვამ" კონკრეტულად უნდა "უზრუნველყოს სახელმწიფოს, საქართველოს მოსახლეობის, ტერიტორიისა და სუვერენიტეტის დაცვა შეიარაღებული თავდასხმისაგან".

სახელმწიფოს თავდაცვა საქართველოში რეგულირდება კანონით "საქართველოს თავდაცვის შესახებ" [6] და ის "განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის საფუძვლებსა და ორგანიზაციას, თავდაცვის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების, ორგანოების, საწარმოთა, დაწებულებათა, ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს".

საქართველოს თავდაცვის კარდინალური მიზანია, საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო სამხედრო საფრთხეების, მათი განვითარების სიტუაციის რისკების შეფასებით და სათანადო მზადყოფნით აარიდოს სახელმწიფო, შეაჩეროს ან მოახდინოს ლიკვიდაცია მცირე ინტენსივობის კონფლიქტებს, საშუალო ინტენსივობის საბრძოლო მოქმედების და დიდი, სრულმასშტაბიან სამხედრო მოქმედებებისა.

სწორედ პარამეტრების კომპლექსური ანალიზი განაპირობებს ქვეყანაში პრინციპებს, რომელიც უნდა ესადაგებოდეს სახელმწიფოს პოლიტიკურ, სოციალურ,

იდეოლოგიურ, დემოგრაფიულ და ისტორიულ ბაზას და რაც მთავარია, სამხედრო აღშენებლობის რეალური პერსპექტივების გათვალისწინებით შეესაბამებოდეს ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და მთლიანად სამხედრო პოტენციალის მაჩვენებლებს.

აღნიშნულის საფუძველზე ყალიბდება ძირითადი პრინციპები სტრატეგიისა სამხედრო სფეროში, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკასა და მიზნებს, რაც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ძირითადად, შემდეგია:

- საქართველოს სახელმწიფომ, თავისი განვითარების შეუქცევადობის გარანტიების შესაქმნელად, უნდა შექმნას კომპლექსური ბაზა ქვეყნის დამოუკიდებლობის, მშვიდობის და თავისუფლებისა.
- ქართველთა ისტორიული და ამასთან ერთერთი უმთავრესი ეროვნული მისიის აღსრულება — სახელმწიფოს ტერიტორიის თავდაცვა და ჩამოცილებული ტერიტორიების შემოერთება";
- მოსახლეობის დაცვა და მისი სასიცოცხლო ინტერესების ხელშეუხებლობა და უზრუნველყოფა;
- ტრადიციული და თანამედროვე რეალობებიდან გამომდინარე სხვადასხვა საფრთხეების მოგერიებისათვის მზადყოფნა;
- საქართველოს საკუთარი უსაფრთხოების დაკავშირება და შეთავსება საერთაშორისო უსაფრთხოების სივრცესთან, რაც მიიღწევა თავდაცვის ინტერნაციონალიზაციით, სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობით და სახელმწიფოს იმ პოლიტიკური კურსის რეალიზაციით, რომელიც გულისხმობს საქართველოს წვლილს საერთაშორისო სტაბილურობაში;
- ეროვნული სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე ომის პრევენცია, რაც ასევე თავდაცვის გაძლიერებასაც ემსახურება.

თუმცა, ომის პრევენცია თავდაცვის მიზნით ორმაგ საფეხურს იძენს და ბევრი ქვეყნისათვის მიუღებელ მეთოდად რჩება მაშინ, როდესაც იგი თავდასხმის წინამორბედ სტრატეგიად იქცევა, და თავისთავად, მიუღებელია თავდაცვითი სამხედრო დოქტრინისათვის.

სახელმწიფოს მიერ სამხედრო სტრატეგიის ნებისმიერი სახეობის არჩევის შემთხვევაში, იქნება ეს პირდაპირი, არაპირდაპირი თუ კომბინირებული მოქმედების სტრატეგია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ხდება მათი უზრუნველყოფა - მხოლოდ სამხედრო, ან სამხედრო-სამოქალაქო თუ სამოქალაქო ძალებით, არის ისეთი პროცესები და სისტემები, რომლებიც ყველა შემთხვევაში ქვეყნის თავდაცვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და რომელთა სისტემის შექმნა, ფუნქციონირებად სისტემად შენარჩუნება, მაქსიმალური მზადყოფნა, ამოქმედება, გამოყენება და შემდგომი აღდგენა-განვითარება, სახელმწიფოს პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებებს წარმოადგენს.

ამასთან, მათი რეალიზაცია უფრო მეტ რესურსებს, დანახარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს სწორედ მშვიდობიანობის დროს, რათა საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალურად აკუმულირებული შესაძლებლობების სრული მზადყოფნა სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის.

სახელმწიფოში სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება და მისი განვითარების სტრატეგიული პროგნოზი გავლენას ახდენს, ასე ვთქვათ, კონსტიტუციური მართვის, "საგანგებო მდგომარეობის" და "საომარი მდგომარეობის" სახელმწიფოებრივ პროცესებზე, რომელთა რეგულირება მკაცრ საკანონმდებლო ბაზას ემყარება. ამდენად, მნიშვნელოვანია თვით ამ საკანონმდებლო ბაზის მზადყოფნა შესაძლო სიტუაციების მიმართ საკანონმდებლო უზრუნველყოფის საკმარისობის და ეფექტიანობის მხრივ. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ბაზა "თავდაცვის", "საგანგებო" და "საომარი" მდგომარეობების შესახებ უკვე არსებული შეფასებებით მოითხოვს ცვლილებებსა და დაზუსტებებს. ეს თავისთავად, ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ახლადშექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, როდესაც აღნიშნული კანონების შექმნა წინ უსწრებდა მისი ფუნქციონირების და გავრცელების რეალური კომპონენტებისა და სისტემების ჩამოყალიბებას, განვითარებასა და სრულყოფას, საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება გარკვეული ხნის განმავლობაში საკმაოდ დიდი იქნება.

როდესაც კანონმდებლობის მხრივ და საერთოდ, სახელმწიფოს თავდაცვის, უფრო ფართოდ კი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალურ შეფასებებს ვახდენთ, განხილვასა და დაკონკრეტებას მოითხოვს ინტელექტუალური სფერო, განსაკუთრებით, სამეცნიერო-ტექნიკური, საგანმანათლებლო და საინჟინრო სპექტრი, რომელიც თანამედროვე ეტაპზე შეიარაღების, საბრძოლო უზრუნველყოფისა და მართვის უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შესახებ მოხსენება, რომელიც წარმოადგინა XXI საუკუნეში აშშ ეროვნული უსაფრთხოების კომისიამ, და გათვლილია უახლოესი 25 წლისათვის [7]. დოკუმენტის ავტორები "წინადადებას სვამენ, გაფართოვდეს ტრადიციული "ეროვნული უსაფრთხოების" მნიშვნელობის ცნება და ჩაირთოს მასში ჰუმანიტარული ასპექტი – განათლების საკითხები ამერიკის შეერთებულ შტატებში". დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ეს უნდა მოხდეს "განსაკუთრებით ისეთ საგნებში, როგორიცაა მათემატიკა და სხვა ზუსტი მეცნიერებები".

შეერთებული შტატების მიერ, რომელიც ზუსტი მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების განვითარების დონით მსოფლიო ლიდერია, საკითხის ამგვარ დაყენებას განაპირობებს ორი ფაქტორი:

პირველი – ეს არის უსაფრთხოების გაზრდის შემდგომი უზრუნველყოფისათვის საჭირო თანამედროვე შეიარაღება, სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მართვის, კონტროლისა და ინფორმაციის სისტემები და პროცესები, ამასთან,

ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივი ზრდა, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებენ საინჟინრო ხელოვნება და საწარმოო-ტექნოლოგიური ბაზის ახალი მიღწევები.

მეორე გახლავთ ის, რომ XX საუკუნის ბოლოს დაირღვა ოპტიმალური თანაფარდობა ტექნიკური და ჰუმანიტარული დარგების სპეციალისტების მომზადებაში, ამ უკანასკნელის საგრძნობი უპირატესობით, რომელმაც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების წინაშე, არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შექმნა განსაკუთრებული სიძნელეები სამხედრო ტექნიკის განვითარების, წარმოებისა და საერთოდ, ეკონომიკის პროგრესის პერსპექტივების მხრივ.

ამ სპექტრით, საჭირო შეფასებებისა და დასკვნებისათვის აუცილებელია, საქართველოში განხილულ იქნას საინჟინრო-ტექნიკური და სამხედრო-საინჟინრო განათლება, მათი ურთიერთშეთავსებადობა და სამოქალაქო საინჟინრო სპეციალისტების სამხედრო-საინჟინრო დარგთან ადაპტაციის პროცესის გაუმჯობესება, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დონეები და პროფილები, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელებისა და ათვისების მასშტაბები და სახეობები, მიმართულებათა დარგობრივი და ერთიანი მართვისა და დაგეგმარების სისტემა, სტრუქტურა და მექანიზმები და, ასევე, საკანონმდებლო ბაზის მაორგანიზებელი და მასტიმულირებელი როლი მთელ ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა კომპლექსში, რომელსაც სახელმწიფოს განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობის განვითარების სტრატეგიული პროგნოზი, ქვეყნის საკანონმდებლო ბაზასა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ეს ბუნებრივია, რამდენადაც ორივე კომპონენტი დემოკრატიულ, საბაზრო პრინციპებზე აგებულ საზოგადოებაში, რომელიც ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების ბაზას ემყარება, განაპირობებს მიღებული გადაწყვეტილებების დიაპაზონს და შესაძლებლობებს. რამდენადაც ძლიერია საკანონმდებლო ბაზა და ინტელექტუალური დონე, იმდენად ეფექტიანია ძალისხმევა, როგორც ეროვნული უსაფრთხოების მდგრადი პროცების უზრუნველსაყოფად, ასევე კონკრეტულად სახელმწიფოს თავდაცვითი მიზნებისათვის.

ყოველივე ეს ერთბაშად გადმოდის წინა პლანზე, როგორც კი საკითხი შეეხება ქვეყნის ერთიანი დაცვის ისეთ მიმართულებებს, რომლებიც ვრცელდება არა მარტო შეიარაღებულ და საერთოდ, სამხედრო ძალებზე, არამედ მთელ სამოქალაქო სფეროზე და უპირატესად სამოქალაქო-საინჟინრო ინფრასტრუქტურაზე, საინჟინრო-ტექნოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური იდეოლოგიით რომ იქმნება და წარიმართება.

აღნიშნული ტიპის მიმართულებათაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საკითხი, რომლის საფუძველს წარმოადგენს სამხედრო ხელოვნების, საინჟინრო მეცნიერების და სამხედრო პოლიტიკის სინთეზი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსათვის

თავისი რელიეფის, კლიმატურმეტეოროლოგიური პირობების, აკვატორიის, ჰიდრორესურსების, სეისმური აქტივობის, დემოგრაფიული ვითარების, ტერიტორიის აღდგენის პრობლემების, სასაზღვრო სიტუაციის, შეიარაღებული ძალების დონისა და შესაძლებლობების, სამხედრო საფრთხეებისა და რისკების და რაც ყველაზე მთავარია, არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საკითხი არის პირველხარისხოვანი და განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი რანგის მიმართულება, რომლის განვითარებაც, არსებული რთული სიტუაციის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით.

უფრო კონკრეტულად: ქვეყნის ერთიან სამხედრო-საინჟინრო სისტემას განეკუთვნება კომპლექსი უშუალოდ სამხედრო-საინჟინრო და სამოქალაქო საინჟინრო უზრუნველყოფისა, რომელიც მოიცავს სამხედრო-საინჟინრო შეიარაღებას, ნაგებობებს, კონსტრუქციებსა და სამოქალაქო-საინჟინრო სტრუქტურებს, მათი ურთიერთშეთავსების, მზადყოფნისა და ფუნქციონირების სისტემით, რომლის ვერტიკალური და ჰორიზონტალური განშტოებები სახელმწიფოს მართვის უმაღლესი დონიდან ვრცელდება ქვეყნის მართვის მთლიან სტრუქტურაზე დაკანონებულ სქემითა და უფლებამოსილებით.

სახელმწიფო უსაფრთხოების ყველა შეშფოთება, იქნება ეს საგარეო თუ საშინაო სამხედრო მუქარა ან სხვა ფაქტორებით გამოწვეული საგანგებო და ექსტრემალური მდგომარეობები და ვითარებები, სახელმწიფოს მხრივ მოითხოვს ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სისტემის შექმნას, მისი მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბებას, ეტაპობრივ აპრობირებასა და სრულყოფას არა საფრთხეების რეალური წარმოშობის, არამედ პერსპექტივაში პროგნოზირების ეტაპებზე. ამდენად, იგი სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის საინჟინრო, ენერგეტიკული და საკომუნიკაციო კომპლექსის შექმნის მთელ პროცესში უნდა იყოს ასახული სათანადო მოთხოვნილების სისტემატიზაციითა და კლასიფიკაციით.

სახელმწიფოს ტერიტორიის, ხელისუფლების ორგანოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მთლიანად მოსახლეობის მომზადება ტერიტორიული დაცვის და სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების გადაწყვეტისათვის, უმთავრესი შემადგენელი პრინციპებია განვითარებული სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინებისა და მასთან რანგით გათანაბრებული დოკუმენტებისა. ეს ნათლად ასაბუთებს ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის გარდაუვალ აუცილებლობას და პირველხარისხოვან მნიშვნელობას, რომელიც მრავალმხრივ და პირდაპირ კავშირშია "ტერიტორიულ დაცვასთან", "სამოქალაქო თავდაცვასთან" ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფასთან, რაც საქართველოს თავდაცვის საკანონმდებლო ბაზაში მთელი სისრულით და მიმართულებათა კონკრეტიზაციით უნდა ჩამოყალიბდეს და აისახოს.

ლექცია 2

საქართველოს შეიარაღებულ ძალათა დაპირისპირების სახასიათო გარემო

საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის მზადყოფნის და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საომარი, საგანგებო და ექსტრემალური გარემო

იარაღით ზემოქმედება, რომელსაც უნდა დაუპირისპირდეს საქართველოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსი, შეიძლება განხორციელდეს მოძალადე ან მოწინააღმდეგე მხარისაგან უშუალოდ სახელმწიფოს შიგნით, სახელმწიფოს საზღვრის ზოლის მიღმა ტერიტორიებიდან და საქართველოდან დაშორებული სახელმწიფოების ტერიტორიებიდან.

თავდაცვით საინჟინრო სისტემებზე და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსზე ზემოქმედება, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს სტიქიური მოვლენებით, ავარიებით და კატასტროფებით.

სამხედრო-საინჟინრო სისტემებზე იარაღით ზემოქმედებაში, უნდა ჩაითვალოს დამაზიანებელი ფაქტორები "ჩვეულებრივი თავდასხმის იარაღის" და მასობრივი განადგურების იარაღისა, მათ შორის ბირთვული და თერმობირთვული იარაღის სახითაც. ასევე პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს ახალ ფიზიკურ ბუნებაზე დაფუძნებული სრულიად სხვა ტიპის იარაღის გამოყენება.

ასეთი გრადაცია, საინჟინრო სისტემებზე იარაღის სხვადასხვა სახეობით გამანადგურებელი ქმედების, მიუხედავად მათი ეფექტურობის, სიძლიერის და ინტენსიურობისა, მაინც აუცილებელია. ეს გამოწვეულია არა მარტო იმ ფიზიკური განადგურების ხარისხებით, რასაც იწვევს ცალკეული იარაღი, არამედ მათი მოქმედებების სხვადასხვა გამოვლინებებით, რაც მათგან დასაცავად, აუცილებელია სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მეთოდებისა და ხერხების განსაზღვრისათვის [8].

მაქსიმალური სიდიდის პარამეტრებამდე რამდენადაც არ უნდა გაიზარდოს მართვადი საავიაციო ბომბების, ცეცხლგამჩენი, ბეტონმგრეველი, ბურთულოვანი, კუმულატური იარაღის და მოცულობითი აფეთქების თუ კასეტური საბრძოლო მასალების დამანგრეველი ძალა, როგორც ჯგუფი შეიარაღებისა თავისი სპეციფიკით და ბუნებით საინჟინრო სისტემებზე ზემოქმედებისა, ყოველთვის განიხილება, როგორც თავდასხმის ჩვეულებრივი იარაღის ჯგუფი.

მიუხედავად საქართველოს სახასიათო გეოგრაფიული გარემოსი, ინფრასტუქტურებზე და კომუნიკაციებზე ზემოქმედების მასშტაბები, როგორც იარაღით ზემოქმედებით, ასევე ბუნებრივი სტიქიური მოვლენებით ან სხვა ხელოვნური ქმედებით გამოწვეული სტიქიური მოვლენები და კატასტროფები, შეიძლება უპირატესად იყოს ლოკალური, საობიექტო, ადგილობრივი და რეგიონული.

მაგრამ, თუ განვიხილავთ ისეთი ნაგებობის რღვევებს, რომელიც არის უნიკალური მაღლივი ენგურჰესის კაშხალი ან ტრანსკონტინენტალური ნავთობ-გაზსადენების მაგისტრალები, მაშინ ინფრასტრუქტურაზე და კომუნიკაციებზე ზემოქმედების მასშტაბები შეიძლება ნაციონალურსა და გლობალურსაც აღწევდეს.

ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსის მიმართ მაბლოკირებელ და დამანგრეველ ზემოქმედებებს ახდენს გეოფიზიკური, მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, საზღვაო ჰიდროლოგიური, ჰიდროსფეროს უარყოფითი ცვლის მოვლენები და ასევე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ავარიები და კატასტროფები.

ამდენად, მოწინააღმდეგე, შესაძლებობების ფარგლებში, შეიძლება შეეცადოს აღნიშნული მოვლენების პროვოცირებას ან ხელოვნურად წარმოქმნას.

ტერიტორიის სამხედრო-საინჟინრო მომზადების და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსზე განსაკუთრებით მიზანმიმართულ – დესტრუქციულ შედეგებს იწვევს სამხედრო და დივერსიული ხასიათის იარაღის ზემოქმედებები ან სხვა ხელოვნური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება მშვიდობიანობის დროს (ნახ. 5).

ამ მხრივ, თუ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ სპექტრს და გეოპოლიტიკურ პარამეტრებს გავაანალიზებთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაიზარდა საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეფასების მასშტაბი, მშვიდობიანობის პერიოდშიც არ გამოირიცხება ერთიანი სამხედრო- საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის მზადყოფნის აუცილებლობაც ისეთი ქმედებების მიმართ, როგორებიც შეიძლება იყოს:

— მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ბრძოლებისა თუ ოპერაციების, ასევე სამხედრო წვრთნების მოტივაციით ან მიზეზით საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის იარაღის მატარებელი მფრინავი ობიექტების ჩამოვარდნა;
— არამოსაზღვრე სახელმწიფოდან მიზანმიმართულად, აშკარად, ან შეცდომის მოტივაციით სარაკეტო დარტყმების მიყენება ან საჰაერო სივრცეში "უკონტროლოდ" შემოსული საფრენი აპარატიდან დაბომბვა ან "ჰაერი-მიწა" ტიპის სარაკეტო დარტყმა;
— ნეიტრალური წყლები ან აკვატორიიდან, გაურკვეველი ვითარებისას ან მიზანდასახული მოტივით დარტყმის განხორციელება.

ყველა შემთხვევაში თავდაცვისათვის საქართველოს ტერიტორიის მომზადება და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსი მოქცევა საომარ, საგანგებო თუ ექსტრემალურ გარემოში, იგი შესატყვისი ფუნქციონირებისათვის უნდა ფორმირდებოდეს და მოქმედებდეს სათანადო ორგანიზაციულ-სტრუქტურულ სივრცეში (ნახ. 6).

ნახ. 5.

როდესაც ვაჯამებთ შეფასებებს საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მზადებისა და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ფუნქციონირების შესახებ, უნდა ჩამოყალიბდეს ის პოზიცია, რომ თანამედროვე ეპოქაში აღნიშნული გარემოს უმთავრესი სამხედრო მახასიათებლები იქნება:

1. ტერორისტული, დივერსიული ან პირდაპირი შეიარაღებული ზემოქმედების აქტები ინფრასტრუქტურაზე და კომუნიკაციებზე შედეგობრივი დამანგრეველი და გამანადგურებელი ძალის გამოყოფის გარეშე;
2. ტერორისტული ან პირდაპირი შეიარაღებული ზემოქმედების აქტი შემდგომი დამანგრეველი და გამანადგურებელი ძალის გამოყოფით;
3. დარტყმა;
4. სასაზღვრო ინციდენტი;
5. სამხედრო ინციდენტი;
6. სამხედრო აქცია;
7. ლოკალური ომი;
8. რეგიონალური ომი;
9. მსხვილმასშტაბიანი ომი.

ყველა შემთხვევაში, რა მასშტაბების შეიარაღებული კონფლიქტების სივრცეშიც არ უნდა მოხვდეს საქართველო, მის სამხედრო ინფრასტუქტურას და კომუნიკაციებს, ასპარეზის და სახელმწიფოს ტერიტორიის სამხედრო-საინჟინრო მომზადებას ომისათვის და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო კომპლექსს დაეკისრება:

— მცირე ინტენსივობის კონფლიქტის საინჟინრო უზრუნველყოფა;

— საშუალო ინტენსივობის კონფლიქტის საინჟინრო უზრუნველყოფა;

— სრულმასშტაბიანი, დიდი სამხედრო მოქმედების საინჟინრო უზრუნველყოფა.

ჩამოთვლილი მახასიათებლები — ”მცირე“, “საშუალო“ და “დიდი“, გეომეტრიული განსაზღვრის გარდა, სხვა განსაკუთრებული ფუნქციური თვისებების მატარებელია. ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ამ მხრივ ის არის, რომ თუ სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ძალები და საშუალებები კონფლიქტის გეომეტრიული მახასიათებლების პირდაპირ პროპორციულია, ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფა და საერთოდ, საკომუნიკაციო უზრუნველყოფის მასშტაბების ინტენსივობა და სივრცე სხვა პროპორციებით იცვლება, ეს თვისება აუცილებელ გათვალისწინებას და ასახვას უნდა ჰპოულობდეს სტრატეგიული მიზნების, ოპერატიული დაგეგმარების, უზრუნველყოფისა და სამხედრო ეკონომიკის მხრივ.

სტრატეგიული დაგეგმარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს – სამუშაოთა და საინჟინრო ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება მშვიდობიანობის პერიოდში, რაც მეტწილად ასევე უკავშირდება სახელმწიფოს ტერიტორიის მომზადებას ომისათვის.

უმთავრესი სამხედრო მახასიათებლები



ნახ. 6.

ლექცია 3

შეიარაღებული ბრძოლის თეორია

შეიარაღებული ბრძოლის ზოგადი ცნებები

ომი ეწოდება სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოებს, ხალხებს, ერებს, კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური, აგრეთვე ეროვნული, რელიგიური, ტერიტორიული და სხვა წინააღმდეგობების სამხედრო ძალადობის საშუალებებით გადაწყვეტის უკიდურეს ფორმას.

შეიარაღებული ძალადობის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, როგორიცაა სამხედრო კონფლიქტი, შეიარაღებული აჯანყება და სხვა, ომს წარმოშობენ, უწინარეს ყოვლისა, სიღრმული სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები. მისი შინაარსი შეესაბამება სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც მიიღწევა შეიარაღებული ძალადობის საშუალებებით. ომს შედეგად მოსდევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი სფეროების მდგომარეობის თვისებრივი ცვლილება, ვინაიდან ხდება მათი კარდინალური გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე. ამ პროცესის განსახორციელებლად იქმნება სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაცია. ომის წარმოების მთავარი იარაღია შეიარაღებული ძალები და სხვა შეიარაღებული ფორმირებები, რომლებსაც შესწევთ უნარი, აწარმოონ ფართო მასშტაბის შეიარაღებული ბრძოლა.

ომის არსია მეომარ მხარეთა საშინაო და საგარეო პოლიტიკის განგრძობა შეიარაღებული ძალადობის საშუალებებით. პოლიტიკა შეადგენს ომის არსის ძირითად ელემენტს, ვინაიდან იგი წარმოშობს ომს, როგორც საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის საშუალებას, განსაზღვრავს მის მიზნებს, სოციალურ-პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ხასიათს. ახდენს გადამწყვეტ ზემოქმედებას საზოგადოებაზე საჭირო სამხედრო ძლიერების შექმნისა და გამოყენების მიზნით. იგი უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას არა მარტო შეიარაღებული ძალადობის მეშვეობით, არამედ აგრეთვე ომში ბრძოლის სხვა საშუალებებით – ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, დიპლომატიური, იდეოლოგიური და სხვა. ომისშემდგომი მსოფლიოს ხასიათს და მიმართულებას განაპირობებს მისი შედეგი.

ომის არსის მეორე სპეციფიკური მხარეა შეიარაღებული ბრძოლა, რომელსაც აქვს პოლიტიკაზე უკუქმედების უნარი. მაგალითად, შეიარაღებული ბრძოლის მიმდინარეობამ შეიძლება საჭირო გახადოს არა მარტო ომის პოლიტიკური მიზნების, არამედ აგრეთვე მეომარი მხარის მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გადასინჯვაც.

ისტორიისთვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც ომში შეიარაღებული ბრძოლის შედეგს შეუცვლია საზოგადოების პოლიტიკური სისტემა, მისი სულიერი ცხოვრება, ეკონომიკა და ა.შ.

მაგრამ თანამედროვე ომის არსი არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ შეიარაღებულ ბძოლამდე. უახლეს ისტორიაში თანდათან იზრდება ე.წ. „არატრადიციული" ომების როლი, რომლებშიც პრიორიტეტულად აყენებენ მოწინააღმდეგის სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვაგვარი დათრგუნვისა და განადგურების ამოცანებს. ასეთ პირობებში დამოუკიდებელ ხასიათს იძენს ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური, სპეცსამსახურების, საინფორმაციო და სხვა სახეობათა კონფრონტაცია, რომელიც წარმოებს ომის კანონების მიხედვით.

ომების სოციალურ-პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ხასიათი არის ომის ორი ურთიერთდაკავშირებული მხარე, რომლებიც გამოხატავენ მის კავშირს ომის არსთან და რაობასთან. ომის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი ავლენს მის მრავალფეროვან კავშირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგთან და სფეროსთან.

ომის სამხედრო-სტრატეგიული ხასითი, თავის მხრივ, ავლენს მის მრავალფეროვან ურთიერთდამოკიდებულებას საქმიანობის საკუთრივ სამხედრო დარგთან. ომის სამხედრო-სტრატეგიული ხასითის ანალიზი მოითხოვს, განისაზღვროს მისი სამხედრო-სტრატეგიული მიზნები, მეომარი მხარეების მიერ გამოყენებული დაზიანების საშუალებანი და სამხედრო ტექნიკა. საომარი მოქმედების სახეობები და მასშტაბები, მისი წარმოების ხერხები, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და ა.შ. ომის სოციალურ-პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის განსაზღვრას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ომების კლასიფიკაცია თანამედროვე ისტორიაში ხორციელდება იმ ყველაზე არსებითი და ზოგადი ნიშნების საფუძველზე, როგორიც არის სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიული და სხვა [9].

ომების კლასიფიკაციისათვის ყველაზე ინტეგრაციულად იქცა რაოდენობრივ-მასშტაბური საფუძველი, რომლის შესაბამისადაც გამოიყოფა მსოფლიო, რეგიონული, ლოკალური და მცირე ომები, აგრეთვე სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო კონფლიქტები. ამჟამად ომების ყველაზე გავრცელებული სახეობა ატარებს სუბრეგიონულ, ლოკალურ ანუ ადგილობრივ, შიდასახელმწიფოებრივ ხასიათს. შეიარაღებული დაპირისპირების ახალი, ნაკლებად შესწავლილი სახეობა ხდება სხვადასხვაგვარი სამშვიდობო ოპერაციები.

თანამედროვე პერიოდში კვლავინდებურად მწვავედ დგას ომებისა და სამხედრო კონფლიქტების წარმოშობის სიხშირის შემცირების პრობლემა. ორგანიზებული და აქტიურად მოქმედი ომის მოწინააღმდეგე ძალების არსებობასთან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შემდგომ სრულყოფასთან, გლობალურ და რეგიონულ დონეებზე სახელშეკრულებო-შეთანხმებითი პროცესებისა და პროცედურების

განტოტვილ სისტემასთან ერთად, ომების თავიდან აცილების ძირითად ელემენტად რჩება ეროვნული შეკავების ძალები.

მსოფლიო ომი არის გლობალური ხასიათისა და მასშტაბის საერთაშორისო წინააღმდეგობათა სამხედრო ძალადობის გამოყენებით გადაწყვეტის ფორმა, მის არსს შეადგენს საკითხი მსოფლიოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობისა და განვითარების საერთო გეზის შესახებ, ხოლო საბოლოო ანგარიშით – კაცობრიობის ცივილიზაციის მომავლის შესახებ.

ნიშნებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავაკვალიფიციროთ საომარი შეტაკება, როგორც მსოფლიო ომი, წარმოადგენს: სახელმწიფოთა კოალიციების დაპირისპირება – მსოფლიოს ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის მოცვა პრაქტიკულად ყველა დიდი სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობით; მოპირისპირე მხარეთა პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების გადამწყვეტი ხასიათი; საომარი მოქმედების წარმოება უდიდეს ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს საომარი მოქმედების მრავალ თეატრს სხვადასხვა კონტინენტზე და მსოფლიო ოკეანის აკვატორიებში: სტრატეგიული ოპერაციების, ოპერაციებისა და სხვა საბრძოლო მოქმედების მასშტაბურობა და ინტენსივობა დიდი დამანგრეველი ძალის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მაქსიმალური გამოყენების პირობებში.

„ცივი ომის" დაძლევამ, რომელიც თავის დროზე ორი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა დაპირისპირებამ წარმოშვა, მნიშვნელოვნად შეამცირა მსოფლიო ომის როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი ომების საფრთხე.

რეგიონულ ომს უწოდებენ ომს, რომელიც წარმოებს ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მონაწილეობით, შემოიფარგლება ერთი რეგიონის საზღვრებით და ეხება უპირატესად ამ რეგიონში განლაგებული ქვეყნების ინტერესებს. მას ახასიათებს მხარეების სამხედრო-პოლიტიკური მიზნების დიდი მნიშვნელობა და ოპერატიულ-სტრატეგიული მიზნების გადამჭრელი ხასიათი, შეიარაღებული ბრძოლის წარმოება ყველა სფეროში, შეიარაღების თანამედროვე სახეობათა გამოყენება და სხვ. იგი შეიძლება იყოს როგორც ჩვეულებრივი, ისე ბირთვული და ჰქონდეს სწრაფმდინარი ან ხანგრძლივი ხასიათი.

ლოკალური ომი შეზღუდულია პოლიტიკური მიზნების, საომარი მოქმედების სივრცული გაქანების, გამოყენებული შეიარაღებული ძალებისა და საშუალებების რაოდენობის და ხარისხის მიხედვით. კონკრეტული ლოკალური ომების მასშტაბების მრავალფეროვნების გამო ზოგიერთი მათგანის აღსანიშნავად, რომლებსაც ახასიათებთ შეიარაღებული წინააღმდეგობის შედარებით დაბალი ინტენსივობა, ზოგჯერ იყენებენ „მცირე ომების" სამხედრო-ისტორიულ ტერმინს. თანამედროვე ლოკალური ომების უმრავლესობა იწყებოდა ომის ფორმალური იურიდიული გამოცხადების გარეშე.

XXI საუკუნის დამდეგს მთელ რიგ ლოკალურ ომებს ახასიათებდა შეიარაღებულ ბრძოლაში ჩაბმული ძალების ფართო დიაპაზონი – ორივე მხრივ ოპერატიულ-სტრატეგიულ დაჯგუფებებამდე; ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული

მასშტაბის საომარი მოქმედების წარმოების სხვადასხვა ხერხებისა და ფორმების გამოყენება; შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა მთელი არსებული არსენალის ამოქმედება. არ არის გამორიცხული დაზიანების ბირთვულ საშუალებათა შემთხვევითი ან წინასწარგანზრახული, პროვოკაციული გამოყენების ვარიანტი.

კოალიციური ომი არის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ომი ცალკეული სახელმწიფოების ან მეორე სამხედრო-პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგ. კოალიციური ომები ისტორიაში უძველესი დროიდან არის ცნობილი. კოალიციურ ომში მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო თანამშრომლობის მთავარ და ყველაზე ეფექტიან ფორმას წარმოადგენს შეიარღებული ბრძოლის ერთობლივი წარმოება მტრული კოალიციებისა და ძალების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, მოკავშირე სახელმწიფოების თანამოქმედებამ კოალიციურ ომში შეიძლება მიიღოს სხვადასხვა დონე და ფორმა: პოლიტიკური სოლიდარობა და ეკონომიკური ან სხვაგვარი დახმარება მოკავშირე ქვეყნებისადმი, აგრეთვე სხვადასხვა სანქციები მოპირისპირე მხარის სახელმწიფოების მიმართ; საომარი მოქმედების სხვადასხვა თეატრში მიმდინარე ეროვნული შეიარაღებული ძალების ოპერაციების სტრატეგიული კოორდინაცია სამიზნეების, ამოცანების, დროისა და ადგილის მიხედვით; ეროვნული ჯარების ოპერატიული დაქვემდებარება ერთიანი სარდლობისადმი; სხვადასხვა არმიების ნაწილებისა და ქვედანაყოფების ტაქტიკური თანამოქმედება; სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო ძალების ორგანიზაციული ერთიანობა მათი მოქალაქეებით ნაწილების ცალცალკე ან შერეული დაკომპლექტების დროს.

კოალიციური ომის წარმოებისათვის არცთუ იშვიათად წინასწარ იქმნება შეიარაღებული და სხვა ფორმების ბრძოლის ხელმძღვანელობის საკოორდინაციო პოლიტიკურიდა სამხედრო ორგანოები, სამოკავშირეო სამხედრო დაჯგუფებანი ან გაერთიანებული შეიარაღებული ძალები.

პრევენტულ ომად მოიხსენიება დამსწრები დარტყმებით გაჩაღებული ომი, რომლებსაც მათი მიმყენებელი სახელმწიფო ასაბუთებს მოწინააღმდეგის მხრივ მოსალოდნელი აგრესიის აშკარა საფრთხის არსებობით. ამასთან, არცთუ იშვიათად ისახავენ მიზნად შენიღბონ საკუთარი შეტევითი განზრახვები, ხელთ იგდონ სტრატეგიული ინიციატივა, ჩაუშალონ მოწინააღმდეგეს სამხედრო გეგმები, თავს მოახვიონ საბრძოლო მოქმედება არახელსაყრელ პირობებში და სხვ. მთელი რიგი სახელმწიფოები თავიანთ სამხედრო დოქტრინაში უარყოფენ პრევენტული ომის იდეას.

„გამოუცხადებელი ომი" პირობითი სახელწოდებაა მტრული მოქმედებისა, რომელსაც ერთი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი უწევს ორგანიზაციას და ახორციელებს, როგორც წესი, სხვა ხალხებისა და ქვეყნების წინააღმდეგ შეიარაღებული საშუალებებისა და საომარი მეთოდების გამოყენებით ისე, რომ არ წარმოადგენს მეომარ მხარეს.

იგი ხორციელდება მრავალფეროვანი ხერხებით, რომელთა შორის არის: ეკონომიკური ბლოკადა; დიპლომატიური იზოლაცია; პოლიტიკური კონფრონტაცია; სასაზღვრო ინციდენტებისა და კონფლიქტების პროვოცირება; ძალის დემონსტრაცია;

ძალის გამოყენებით მუქარის გაძლიერება; სეპარატისტული, ნაციონალისტური და სხვა მოძრაობების გაღვივება და მხარდაჭერა და ა.შ.

სამამულო ომი ეწოდება საყოველთაო-სახალხო ომს მამულის, მისი ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის დასაცავად. თავისი შინაარსით სამამულო ომი მიზნად ისახავს, შეინარჩუნოს, აღადგინოს ან მოიპოვოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, და მიმდინარეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომისა და გარეშე აგრესორის წინააღმდეგ თავდაცვითი ომის ფორმებით, საზოგადოების მთელი ძალებისა და საშუალებების მაქსიმალური მობილიზაციით დამპყრობლის მოსაგერიებლად.

პარტიზანული მოძრაობა არის ხალხთა მასების შეიარაღებული ბრძოლა თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომელიც წარმოებს მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ან კონტროლირებულ ტერიტორიაზე, ან თავის ქვეყანაში შიდასახელმწიფოებრივი სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებისათვის. ამ ბრძოლის ძირითად ძალად გამოდიან პარტიზანები, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზებული შეიარაღებული ფორმირებების შემადგენლობაში და ეყრდნობიან ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას. პარტიზანული მოძრაობა შეიძლება მიმართული იყოს როგორც უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ისე შინაური მოწინააღმდეგის, მთავრობის ასალაგმავად. ამ შემთხვევაში პარტიზანებს ხშირად უწოდებენ მეამბოხეებს. რომლებიც იბრძვიან თავიანთი ხალხების დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების დროს. მას ახასიათებს საქმიანობის ბევრი საერთო სახეობა, უწინარეს ყოვლისა, საბრძოლო, დივერსიული, სადაზვერვო, აგრეთვე მათი სხვადასხვაგვარი შეხამება. პარტიზანულ მოძრაობაში არცთუ იშვიათად მონაწილეობენ სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული ძალების ნაწილებიც, რომლებიც მტრის ზურგში იბრძვიან.

„კონტროლირებულ ომად" დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო თეორიაში მოიხსენიება ომის დაგეგმვისა და წარმოების ხერხი, რომლის დროსაც ძალებსა და საშუალებებში გადამწყვეტი უპირატესობის საფუძველზე გამორიცხულია საომარი მოქმედების არასასურველი ესკალაცია, რჩება გარანტირებული შესაძლებლობა, დროულად და ეფექტიანდ ჩაახშონ ნებისმიერი მტრული აქტი მინიმალური დანაკარგებით. ეს არის აგრეთვე პირობითი სახელწოდება ომისა, რომელშიც იცავენ ომის კანონებსა და წესებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ომის ფენომენს, მის პრინციპებსა და სტრუქტურას ჩვენ კვლავაც შევეხებით, როდესაც განვიხილავთ ოპერატიულ და ტაქტიკურ ხელოვნებას.

ომის თეატრი და ტერიტორიები

ომის თეატრი არის ცნება, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებშია მიღებული და გულისხმობს ხმელეთის ტერიტორიას, ოკეანის აკვატორიას და მათ თავზე მდებარე საჰაერო-კოსმოსურ სივრცეს, რომელთა ფარგლებშიც სახელმწიფოების და სახელმწიფოთა კოალიციების შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ აწარმოონ ომი ან

სტრატეგიული მასშტაბის საომარი მოქმედება. ომის თეატრს არ გააჩნია მკაცრად შემოფარგლული საზღვრები. ჩვეულებრივ, მასში შეჰყავთ ერთი კონტინენტი მიმდებარე აკვატორიებითურთ ან ერთი ოკეანე კუნძულებითა და კონტინენტების სანაპირო ზონითურთ. ომის თეატრი შეიძლება იყოფოდეს რამდენიმე საომარი მოქმედების თეატრად. საერთაშორისო სამართალში ომის თეატრად იწოდება მეომარი სახელმწიფოების სახმელეთო ტერიტორია, საზღვაო აკვატორია და საჰაერო სივრცე, აგრეთვე ღია ზღვა და მის თავზე მდებარე საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც მეომარ მხარეებს შეუძლიათ აწარმოონ ან აწარმოებენ საომარ მოქმედებას. ამასთან, მასში არ შედის ნეიტრალური სახელმწიფოების ტერიტორიები და ნეიტრალიზებული ტერიტორიები.

საომარი მოქმედების თეატრს უწოდებენ კონტინეტის ნაწილის ვრცელ ტერიტორიას მიმდებარე ზღვებით ან ოკეანის და ზღვის აკვატორიით, კუნძულებითა და მიმდებარე კონტინენტების სანაპიროთი, აგრეთვე საჰაერო კოსმოსურ სივრცეს მათ თავზე, რომლის ფარგლებშიც გაიშლება შეიარაღებული ძალების სტრატეგიული დაჯგუფებანი და შეიძლება წარმოებდეს სტრატეგიული მასშტაბის საომარი მოქმედება.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით საომარი მოქმედების თეატრი შეიძლება იყოს კონტინენტური, საოკეანო და საზღვაო. თითოეულ საომარი მოქმედების თეატრს აქვს გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული პირობები, აგრეთვე ტერიტორიის ოპერატიული გამართვა, რომლებიც გავლენას ახდენენ სტრატეგიული მასშტაბის ოპერაციებისა და მთლიანად ომის მომზადებასა და წარმოებაზე.

საომარი მოქმედების თეატრის საზღვრებსა და შემადგენლობას ადგენს სახელმწიფოების ან სახელმწიფოთა კოალიციის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

შიდა და კონტინენტების მიმდებარე სამხედრო-გეოგრაფიული თვალსაზრისით გამოცალკევებული ზღვების აკვატორიებში მათში განლაგებული კუნძულებით, კონტინენტების სანაპირო ზოლითა და საჰაერო-კოსმოსური სივრცითურთ შეიძლება მთელ რიგ ქვეყნებში ქმნიდეს საზღვაო საომარი მოქმედების თეატრებს.

ტერმინის „საომარი მოქმედების თეატრის" სინონიმად დასავლურ ლიტერატურაში იხმარება „ომის თეატრის" ცნება. საომარი მოქმედების თეატრების ყოველმხრივი შესწავლა და შეფასება აგრესიის მოსაგერიებლად შეიარაღებული ძალებისა და ტერიტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს და საშუალებას იძლევა, აწარმოონ საომარი მოქმედება ნებისმიერ რეგიონში კონკრეტული საომარი მოქმედების თეატრის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

საომარი მოქმედების საოკენო თეატრად ითვლება მსოფლიო ოკეანის აკვატორიის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი კუნძულებით, მიმდებარე კონტინენტების ზოლითა და მათ თავზე არსებული საჰაერო-კოსმოსური სივრცითურთ, სადაც ბაზირებულია, გაიშლება, ხოლო ომის დროს შეიძლება აწარმოონ საომარი მოქმედება მეომარი მხარეების შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებმა, რომლებიც სტრატეგიულ

და ოპერატიულ-სტრატეგიულ ამოცანებს ასრულებენ. საომარი მოქმედების საოკეანო თეატრის საზღვრებს ადგენს სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კოალიციის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული და საკუთრივ სამხედრო ფაქტორების გათვალისწინებით. საომარი მოქმედების საოკეანო თეატრის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ოპერატიული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი რაიონები-ზონები და ცალკეული მიმართულებანი.

საომარი მოქმედების საზღვაო თეატრად მიჩნეულია კონტინენტის მიმდებარე იმ ერთი ან რამდენიმე ზღვის აკვატორია, რომელიც არ შედის საომარი მოქმედების საოკეანო თეატრში, კუნძულებით, მოსაზღვრე ხმელეთის ზოლით, მის თავზე მდებარე საჰაერო-კოსმოსური სივრცითურთ, სადაც არიან ბაზირებულნი, განლაგდებიან და შეუძლიათ, აწარმოონ ოპერაციები და საბრძოლო მოქმედებანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალების დაჯგუფებებს, შეიარაღებული ძალების სხვა სახეობათა გაერთიანებებთან, შენაერთებთან თანამოქმედებით ოპერატიულ-სტრატეგიული ან ოპერატიული ამოცანების შესრულებისას. საზღვაო თეატრში შეიძლება გამოიყოს ცალკე მიმართულებანი და ოპერატიული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი რაიონები-ზონები.

რეგიონი არის სტრატეგიული რაიონის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც განლაგდება სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი, და საომარი მოქმედების გაჩაღების შემთხვევაში შეიძლება წარმოებდეს ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების დიდი მასშტაბის ოპერაციები. იგი იყოფა რაიონებად და სტრატეგიულ მიმართულებებად. რეგიონის საზღვრებს ადგენს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხემძღვანელობა შედარებით ერთგვაროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და, უმთავრესად, სამხედრო-პოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე.

რაიონი ეწოდება ტერიტორიის, წყლის, საჰაერო და კოსმოსური სივრცის ნაწილს, აგრეთვე ადგილს ან არემარის და ზღვის უბანს, რომლის ფარგლებშიც იგეგმება და ხორციელდება შეიარაღებული ძალების ჯარების სახეობებისა და გვარეობების, სპეციალური ჯარების სხვადასხვა ფორმირებების, აგრეთვე სახელმწიფოს სხვა ძალისმიერი სტრუქტურების ნებისმიერი მოქმედება. რაიონი ინიშნება ყველა სახეობის საბრძოლო მოქმედებისას და ჯარების ნებისმიერი სხვა საქმიანობისას და განისაზღვრება ზემდგომი მეთაურის მიერ. იგი გადააქვთ რუკაზე და აცნობენ ხელქვეითებს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტში, გარდა ამისა, განისაზღვრება ფლოტის ძალების გაშლის რაიონი – სანაპიროს უბანი მიმდებარე ზღვის ტერიტორიით, სადაც განსაზღვრულია ხომალდთა სადგომების გაშლის, მომარაგების, გემების რემონტისა და სხვა პუნქტები ძალების სრულ საბრძოლო მზადყოფნაში გადაყვანისა და საომარი მოქმედების წარმოების დროს, ასევე საცეცხლო პოზიციების რაიონები.

სტრატეგიული რაიონი წარმოადგენს პლანეტის ზედაპირის გეოგრაფიულად განცალკევებულ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც ვლინდება ან შეიძლება შეხების

ობიექტი გახდეს სახელმწიფოს ინტერესები. სტრატეგიული რაიონი – ეს არის მშვიდობიანი დროისათვის გეოსტრატეგიული სივრცის თანამედროვე დაყოფის ელემენტი იმ პირობებისა და ფაქტორების შესწავლის მიზნით, რომლებმაც შეიძლება, გავლენა მოახდინონ შეიარაღებული ბრძოლის მიმდინარეობაზე, აგრეთვე შეიარღებული ძალების გამოყენების კონკრეტული დაგეგმვის მიზნით.

სტრატეგიული რაიონები იყოფა კონტინენტურ (კონტინენტის ნაწილი ან კონტინეტი მთლიანად სანაპირო აკვატორიებითა და საჰაერო-კოსმოსური სივრცითურთ) და საოკეანო სტრატეგიულ რაიონებად. კონტინენტური რაიონები იყოფა რეგიონებად.

საოკეანო სტრატეგიული რაიონი ფრაგმენტია მსოფლიო ოკეანის ზედაპირის თანამედროვე გეოსტრატეგიული დაყოფისა იმ საზღვრებში, რომლებსაც აწესებს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა მშვიდობინი დროისათვის. არის მსოფლიო ოკეანის აკვატორიის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი კუნძულებით, მიმდებარე ზღვებით, ხმელეთის ოკენისპირა ზოლითა და საჰაერო სივრცით პირობითად დადგენილ საზღვრებში, სადაც ვლინდება ან შეიძლება შეხების ობიექტი გახდეს ეროვნული ინტერესები.

საოკეანო სტრატეგიული რაიონი იყოფა საოკეანო და საზღვაო ზონებად.

სახელმწიფო ტერიტორია საერთაშორისო სამართალში ნიშნავს მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტს დაქვემდებარებული დედამიწის ზედაპირის გარკვეულ ნაწილს. გამოყოფილია სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიისაგან სახელმწიფო საზღვრით. მოიცავს ხმელეთს, შიდა წყლებს, წიაღს, ტერიტორიულ წყლებსა და მათ თავზე მდებარე საჰაერო სივრცეს. სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება აგრეთვე ხომალდები და გემები, რომლებიც სახელმწიფოს ალმით დაცურავენ, და მისი საჰაერო-საფრენი აპარატები. სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი და ამ ხაზზე გამავალი ვერტიკალური ზედაპირი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ტერიტორიის – ხმელეთის, წყლის, წიაღის, საჰაერო სივრცის ფარგლებს – სახელმწიფო სუვერენიტეტის მოქმედების სივრცობრივ ზღვარს. სახელმწიფო საზღვარი წესდება მომიჯნავე სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, ზღვაზე – ზღვისპირა სახელმწიფოების შინაგანი საკანონმდებლო აქტებით. სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული გამიჯვნა ხორციელდება ეტაპობრივად. სახელმწიფო საზღვრის ხაზზე აყენებენ სასაზღვრო ნიშნებს.

სახელმწიფო საზღვრის დარღვევა ნიშნავს პირის, ობიექტის, ნებისმიერი ტექნიკური ან სხვა საშუალების მიერ სახელმწიფოს სახმელეთო, წყლის ან საჰაერო საზღვრის გადაკვეთა გამშვები პუნქტების გვერდის ავლით ან პუნქტებიდან, მაგრამ უნებართვოდ ან დადგენილი წესის დარღვევით. საქართველოს საზღვრის დამრღვევთ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საზღვრის დემარკაცია არის სახელმწიფო საზღვრის ხაზის დადგენა ადგილზე, სასაზღვრო ნიშნებით მონიშვნის გზით მისი დელიმიტაციის დოკუმენტების

საფუძველზე. დემარკაციას ახორციელებენ მომიჯნავე სახელმწიფოების შერეული კომისიები.

ღია ქალაქი საერთაშორისო სამართალში ეწოდება დასახლებულ პუნქტს, რომელსაც ერთ-ერთი მეომარი მხარე აცხადებს დაუცველად მისი ნგრევის თავიდან აცილების მიზნით. ღია ქალაქის სამართლებრივი მდგომარეობა ასახულია ჰააგის კონვენციაში (1907წ.). კანონებში ომის წესების შესახებ, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ღირებულებათა დაცვის კონვენციაში (1954). ღია ქალაქში არ უნდა იყოს სამხედრო ობიექტები და ჯარები, აკრძალულია ასეთ ქალაქზე იერიშის მიტანა და დაბომბვა. მე-2 მსოფლიო ომის დროს ღია ქალაქებად იყო გამოცხადებული პარიზი და რომი.

სასაზღვრო რაიონი არის გარკვეული ნიშნების მიხედვით გამოყოფილი ტერიტორია ან აკვატორია, რომელიც ეკვრის სახელმწიფო საზღვარს და მოიცავს სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთს, საჰაერო სივრცეს მის თავზე და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რაიონს. სასაზღვრო რაიონი შეიძლება შედიოდეს სასაზღვრო ზონის შემადგენლობაში. ასე ეწოდება აგრეთვე სამხედრო ფორმირებას სასაზღვრო დაცვის სტრუქტურაში.

სასაზღვრო მდინარე არის მდინარე, რომელიც გადის ორი ან რამდენიმე ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის მთელ სიგრძეზე ან მნიშვნელოვან ნაწილზე. ასეთ მდინარეზე სახელმწიფო საზღვარი წესდება მდინარისპირა სახელმწიფოთა შორის მიღწეული შეთანხმებით. გემსანაოსნო მდინარეებზე ტალვეგის – მაქსიმალური სიღრმის ხაზის მიხედვით ან მთავარი ფარვატერის შუაში, არასანაოსნოზე – შუა მდინარეზე. საზღვრის რეჟიმი განისაზღვრება მომიჯნავე სახელმწიფოთა შეთანხმებით და მათი შიდა კანონმდებლობით. სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამავალი სასაზღვრო მდინარის ნაწილი შედის მისი შიდა წყლების სისტემაში. სასაზღვრო მდინარის ტიპიური მაგალითია ფსოუ.

ღია ცად იწოდება საჰაერო სივრცის საერთშორისო სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც დამყარებულია განიარაღების შესახებ არსებულ ხელშეკრულებათა შესრულებისადმი კონტროლის მიზნით. ნდობის ერთ-ერთი ღონისძიება ითვალისწინებს თვითმფრინავების ფრენას იმ ქვეყნების ტერიტორიაზე სამხედრო საქმიანობისადმი კონტროლის მიზნით, რომლებიც შეთანხმდნენ, გაეხსნათ თავიანთი საჰაერო სივრცე ერთმანეთისთვის. 1992წ. ჰელსინკში დაიდო მრავალმხრივი ხელშეკრულება ღია ცის შესახებ.

ღია ნავსადგური არის უცხოური გემებისა და იმ სამამულო გემების შესვლისათვის თავისუფალი ნავსადგური, რომლის ბორტზეც არიან უცხოელები. საერთაშორისო ჩვეულებისამებრ, სახელმწიფოები აქვეყნებენ თავიანთი ღია ნავსადგურების ნუსხას „საზღვაოსნო უწყებებში”. უცხოეთის სამხედრო ხომალდებს ღია ნავსადგურში შესასვლელად უნდა ჰქონდეთ ზღვისპირა სახელმწიფოს მიწვევა ან წინასწარი ნებართვა. ეს არის აგრეთვე პორტი, რომლის აკვატორიას აქვს უშუალო კავშირი ზღვასთან და მასთან ერთნაირი წყლის დონე.

ღია ზღვად იწოდება საზღვაო სივრცე, რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტს დაუქვემდებარებელი ტერიტორიული, არქიპელაგური და შიდა წყლების ფარგლებს გარეთ, რომლითაც ყველა ქვეყანა სარგებლობს. ზოგჯერ უწოდებენ საერთაშორისო ან ნეიტრალურ წყლებს, მაგრამ ეს ტერმინები არ დამკვიდრდა საერთაშორისო სამართალში. ღია ზღვის გამოყენებას საფუძვლად უდევს მისი თავისუფლების პრინციპი – გემთნაოსნობის, ფრენის, თევზჭერის, მეცნიერული კვლევის, წყალქვეშა კომუნიკაციებისა და ხელოვნური კუნძულების აგების თავისუფლება.

ნეიტრალური წყლების ტერმინი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. პირველი არის სახელმწიფოების ტერიტორიული და შიდა წყლები; მეორე საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნეიტრალიზებული ზღვის სივრცეები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საომარი მოქმედების წარმოების ან მომზადებისათვის; და მესამე, ღია ზღვის წყლების პირობითი სახელწოდება, რომელიც არ არის დამკვიდრებული საერთაშორისო სამართალში.

საერთაშორისო მდინარეებად იწოდება შიდა წყალსანაოსნო გზები – მდინარეები, მათ შორის ხელოვნური წყლის შეერთებანი და ა.შ., რომლებიც რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადის და გამოიყენება საწერთაშორისო ნაოსნობაში. მათ რიცხვს განეკუთვნება მსოფლიოს 200-მდე უდიდესი მდინარე შენაკადებითურთ. ეს მდინარეებია: დუნაი, რაინი, ამაზონი, კონგო, ნიგერი, ნილოსი, ამური, განგი, მეკონგი და სხვ.

საერთაშორისო სრუტეები ეწოდება ბუნებრივი ზღვის ვიწრობებს. რომლებიც საერთაშორისო ნაოსნობისათვის გამოიყენება და ღიაა გემების გასავლელად ყველა ალმის თანასწორობის პრინციპის საფუძველზე. განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ ბალტიისა და შავი ზღვის სრუტეები, რომელთა რეჟიმი განსაზღვრულია საერთაშორისო შეთანხმებით. საერთაშორისო სრუტეების სამართლებრივი რეჟიმის სხვადასხვა სახეობანი ასახულია გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციაში.

საერთაშორისო არხები არის ხელოვნური წყალსანაოსნო გზები, რომლებიც აკავშირებენ ზღვებსა და ოკეანეებს და რომლებსაც იყენებს ყველა სახელმწიფო ნაოსნობისათვის, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და იმ სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომლებსაც ისინი ეკუთვნის. საერთაშორისო არხებს წარმოადგენს სუეცის, პანამის, კილის, კორინთოს და საიმენის არხები.

დახურული ზღვის რაიონი ეწოდება ტერიტორიული წყლების რაიონს, რომელშიც ზღვისპირა სახელმწიფო დროებით ან მუდმივ საფუძველზე კრძალავს თავისი და უცხოეთის გემების ნაოსნობას და გარკვეულ სახეობათა საქმიანობას. ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ სახიფათო მოქმედების - მაგალითად, რაკეტების გამოცდის განხორციელებისას ცხადდება არა დახურული ზღვის რაიონი, არამედ ნაოსნობისთვის სახიფათო რაიონები, რომელთა რეჟიმმა არ უნდა მოუტანოს ზიანი ღია ზღვის თავისუფლების პრინციპს.

დახურულ ნავსადგურად ითვლება ის, რომელშიც სპეციალური ნებართვის გარეშე აკრძალული აქვთ შესვლა უცხოეთის გემებს, აგრეთვე საკუთარ გემებს, რომლებშიც უცხოელები არიან. იგი არ აღინიშნება ნავსადგურების ნუსხაში, რომელიც ქვეყნდება „საზღვაოსნო უწყებებში". დახურული ეწოდება აგრეთვე ნავსადგურს, რომელიც შედგება ზღვისაგან რაბებით ან ნახევარრაბებით გამოყოფილი აუზებისაგან.

დახურულია ზღვა, რომელიც ეკვრის ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ნაპირებს და თავისი გეოგრაფიული მდებარეობით არ შეიძლება, გამოყენებულ იქნეს მეორე ზღვაში მისი გავლით გადასასვლელად. დახურული ზღვის სამართლებრივი რეჟიმი, ჩვეულებრივ, მოიცავს სავაჭრო გემთნაოსნობის ნების დართვას და არაზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების ნაოსნობის შეზღუდვას ან სრულ აკრძალვას.

აკვატორია ეწოდება წყლის ზედაპირის არეს დაწესებული საზღვრების ფარგლებში. პორტის აკვატორიაში შეიძლება შედიოდეს ნავსაყუდლები, შინაგანი რეიდი, ხომალდების დგომის და გემების დატვირთვა-გადმოტვირთვის მოწყობილობა. მას აქვს სანავიგაციო მოწყობილობა. ტერმინი „აკვატორია" იხმარება აგრეთვე წყლის იმ უბნების აღსანიშნავად, სადაც ხდება ჰიდროთვითმფრინავების აფრენა და დაშვება, და მთელ რიგ სხვა შემთხვევებში.

ტერიტორიულ წყლებად ან ტერიტორიულ ზღვად ითვლება სანაპირი სახელმწიფოს სუვერენიტეტს დაქვემდებარებული კონტინენტური ნაპირისა და კუნძულების მიმდებარე ზღვის და ოკეანის ზოლი, რომელიც შეადგენს მისი ტერიტორიის ნაწილს. ტერიტორიული წყლების სიგანე, როგორც წესი, არ აღემატება 12 საზღვაო მილს. ტერიტორიული წყლების რეჟიმს არეგულირებს გაეროს 1982წ. საზღვაო სამართლის კონვენცია და სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა.

შელფი ეწოდება მსოფლიო ოკეანის ფსკერის სანაპირო ნაწილს სანაპიროდან კონტინენტურ ფერდომდე. სანაპირო სახელმწიფო ინარჩუნებს ზღვის ფსკერის ზედაპირისა და წიაღის დამუშავების სუვერენულ უფლებას თავისი კონტინენტური შელფის ფარგლებში, ისე რომ არ შეეხოს შელფის თავზე გამავალი წყლისა და საჰაერო სივრცის სამართლებრივ სტატუსს. შელფის სამართლებრივ რეჟიმს არეგულირებს 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენცია და სახელმწიფოს შიდა კანონები.

სამხედრო ფორმირებები

სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კოალიციის ჯარების ერთიანი ორგანიზაციის და შესაბამისი ძალების და საშუალებების კომპლექსური და ინტეგრირებული გამოხატვა ხშირად უკავშირდება ტერმინს „არმია". ამასთან, აღნიშნული ცნება სხვადასხვა მნიშვნელობებსაც შეიცავს. უშუალოდ სამხედრო ხელოვნებაში არმია წარმოადგენს ოპერატიულ გაერთიანებას, რომელიც შედგება შენაერთებისაგან. სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში, რიგ შემთხვევებში, არმია

განიხილება, როგორც შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც არ შეიცავს მხოლოდ სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, არმია თავისი სრული, სამხედრო-პოლიტიკური გაგებით წარმოადგენს სახელმწიფოს ორგანოს, რომელსაც იგი ქმნის და ინახავს. არმია არის ომის წარმოების ძირითადი საშუალება და აქვს საამისო საბრძოლო ძლიერება.

სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში ჯარების ერთიან ორგანიზაციებში აღინიშნება პირველადი სისტემატიზაციის ორი ძირითადი მიმართულება. ესენია ჯარების გვარეობა და შეიარაღებული ძალების სახეობა.

ჯარების გვარეობა და შეიარაღებული ძალების სახეობები მოიცავს სამხედრო ფორმირებებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ძირითადი შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, აგრეთვე მათი საბრძოლო გამოყენების ხერხები.

შეიარაღებული ძალების სახეობა წარმოადგენს სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემადგენელ ნაწილს, რომელიც განკუთვნილია გარკვეულ სფეროში (ხმელეთზე, ზღვაზე, საჰაერო სივრცეში) საომარი მოქმედების წარმოებისათვის. შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობა შედგება ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარებისა და ზურგისაგან. მეტ წილ სახელმწიფოებში შეიარაღებული ძალები შედგება სამი სახეობისაგან: სახმელეთო ჯარები (სახმელეთო ძალები, არმია,) სამხედრო-საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ძალები (სამხედრო-საზღვაო ფლოტი).

სწორედ ჯარების გვარეობა და შეიარაღებული ძალების სახეობა, ერთად, სრულყოფილად წარმოაჩენენ შეიარაღებულ ძალებს, სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის უმნიშვნელოვანეს შეიარაღებულ ორგანიზაციას. თანამედროვე შეიარაღებული ძალები მეტ წილ სახელმწიფოებში შედგება სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალების, ჯარების გვარეობების, მართვის უმაღლესი ორგანოებისა და ზურგის ორგანოებისაგან. ცალკეულ სახელმწიფოებში შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შეჰყავთ აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოების, სამხედრო ჟანდარმერიის (საფრანგეთი), ეროვნული გვარდიის ჯარები და სხვ. შეიარაღებული ძალების დანიშნულება, მშენებლობის, პირადი შემადგენლობის სწავლებისა და აღზრდის პრინციპები განისაზღვრება სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინით, ქვეყნის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური შესაძლებლობებით, სამხედრო-გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებით და სხვ.

შეიარაღებული ძალები, როგორც ერთიანი სამხედრო სისტემა, ახასიათებს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ, აგრეთვე სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს, სამხედრო კავშირებს, კოალიციებს და სხვა ფორმითა და შინაარსით ინტეგრირებულ სახელმწიფოებს. ასეთი სინთეზით რეალიზებული ძალების ტიპიური მაგალითებია გაეროს შეიარაღებული ძალები, თ -ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალები და კოალიციის შეიარაღებული ძალები.

გაეროს შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ გაეროს წევრი ქვეყნების საჯარისო კონტინგენტებს, რომლებიც გამოიყენება გაეროს წესდების თანახმად, რათა უშიშროებისამდმი ერთობლივი იძულებითი მოქმედების გზით, მიაღწიოს მიზანს, თუ ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებანი არ აღმოჩნდება საკმარისი. გაეროს შეიარაღებული ძალების შექმნის, შემადგენლობის, გამოყენებისა და დაფინანსების გადაწყვეტილებას იღებს გაეროს უშიშროების საბჭო. სტრატეგიული ხელმძღვანელობა ევალება სამხედრო-საშტაბო კომიტეტს.

NATO-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალები არის ძირითადი ნაწილი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალებისა. 1950 წ. სექტემბერში შეიქმნა NATO.

NATO-ს გაერთიანებული შეიარღებული ძალების შემადგენლობაში შედის ომის თეატრის ბირთვული ძალები და ზოგადი დანიშნულების ძალები. ბირთვული ძალები მოიცავენ გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავ-მატარებლებს, აგრეთვე ატომურ არტილერიას. ზოგადი დანიშნულების ძალები წარმოადგენილია გაერთიანებული შეიარაღებული ძალებით, გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალებითა და გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ძალებით.

NATO-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალები, რომელთაც სამკომპონენტიანი სტრუქტურა აქვთ, ოპერატიული დანიშნულების მიხედვით იყოფიან რეაგირების ძალებად, მთავარ თავდაცვითს ძალებად და გაძლიერების ჯარებად (ძალებად). საბრძოლო მზადყოფნის მხრივ უპირველესნი არიან რეაგირების ძალები, რომლებიც მოიცავენ დაუყოვნებელი რეაგირების ძალებს და სწრაფი გაშლის ძალებს. მთავარი თავდაცვითი ძალები ქმნიან NATO-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების პირველ ეშელონს და განკუთვნილი არიან დიდი მასშტაბის საომარი მოქმედების წარმოებისათვის მსოფლიო ომში ან შეზღუდულ ომში ევროპის ტერიტორიაზე და ატლანტიკაში. ამ ძალების მეტი ნაწილი მშვიდობიან დროს ეროვნულ დაქვემდებარებაშია და ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობას გადაეცემა სტრატეგიული გაშლის დაწყებისას. გაძლიერების ჯარები გათვალისწინებულია, გამოყენებულ იქნეს ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების პირველი ეშელონის გასაძლიერებლად, სტრატეგიული და ოპერატიული რეზერვების შესაქმნელად.

კოალიციური შეიარაღებული ძალები იქმნება, როგორც ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დროებითი გაერთიანება ერთიანი სარდლობით ერთობლივი თავდაცვის, კოალიციური ომის წარმოების ან კოალიციის მიზნების სხვა ხერხებით მიღწევისათვის. ჩვეულებრივ, კოალიციური შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის ეროვნული შეიარაღებული ძალების ნაწილი. კოალიციური შეიარაღებული ძალების არსს განსაზღვრავს კოალიციის ხასიათი, სამხედრო-პოლიტიკური მიზნები, რომლებსაც იგი ისახავს.

თუ დავუბრუნდებით შეიარაღებული ძალების ცნებას, როგორც სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემის ძირითად ინსტიტუტს, მისი განხილვა მაინც უნდა იქნეს დაწყებული იმ ძირითადი შემადგენელი კომპლექსებით, რომლებიც თითქმის ყველა სახელმწიფოში მეტნაკლებად იდენტურად და საერთო ლოგიკით ჩამოყალიბდა სამხედრო ისტორიის ევოლუციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ შეიარაღებული ძალების როგორც ერთიანი სისტემის შემადგენელი კომპლექსებია – სახმელეთო ჯარები, სამხედრო-საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ამასთან, ჯარების მიხედვით კლასიფიცირებულ ჩამონათვალში შეიძლება ცალკე იქნეს განხილული საბაზო ფუნქციების მატარებელი ჯარები და სპეციალური ჯარები. ასევე იცვლება მიდგომები სამხედრო-საჰაერო ძალებისადმი იმ მხრივ, რომ რიგ შემთხვევებში მას ერთ ჯგუფად აერთიანებენ სამხედრო-კოსმოსურ ძალებთან და უწოდებენ საჰაერო-კოსმოსურ ძალებს. ბოლო პერიოდში, სამხედრო-კოსმოსური ფუნქციის მრავალმხრივობის, ინტენსივობისა და მნიშვნელობის სწრაფმა ზრდამ განაპირობა სამხედრო-კოსმოსური ერთიანი კომპლექსის განცალკევებულად წარმოჩენა შეიარაღებულ ძალებში, სადაც რიგ შემთხვევებში მას სამხედრო-კოსმოსურ ძალებს, სამხედრო-კოსმოსურ ჯარებსა და სხვა სახელებს უწოდებენ. სხვადასხვა სახელმწიფოებში და სხვადასხვა დროს ასევე განსხვავებული ტერმინით მოიხსენიება სამხედრო-საზღვაო ფლოტი და მას უწოდებენ სამხედრო-საზღვაო ძალებს, ხოლო სამხედრო-საჰაერო ძალებს, რიგ შემთხვევებში, ეწოდება სამხედრო ავიაცია.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სავსებით შენარჩუნებულია კანონზომიერება იმისა, რომ შეიარაღებული ძალები, როგორც ერთიანი სისტემა, განვიხილით შემდეგი ძირითადი კომპლექსებისა და მათი მნიშვნელობის ჩამონათვალით:

სახმელეთო ჯარები (მთელ რიგ სახელმწიფოებში – არმია – სახმელეთო ძალები), არის შეიარაღებული ძალების სახეობა, რომელიც განკუთვნილია საომარი მოქმედების წარმოებისათვის უპირატესად ხმელეთზე. თავიანთი საბრძოლო შესაძლებლობების მეოხებით მათ შეუძლიათ, დამოუკიდებალად და შეიარღებული ძალების სხვა სახეობებთან თანამოქმედებით აწარმოონ შეტევა მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფებათა გასანადგურებლად და მისი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად, მიაყენონ საცეცხლე დარტყმები დიდ სიღრმეზე, მოიგერიონ მოწინააღმდეგის, მისი მსხვილი საჰაერო და საზღვაო დესანტების შემოჭრა, მტკიცედ შეინარჩუნონ დაკავებული ტერიტორიები„ რაიონები და ზღუდეები. მეტ წილ სახელმწიფოებში სახმელეთო ჯარები წარმოადგენენ შეიარაღებული ძალების ყველაზე მრავალრიცხოვან, შეიარაღებისა და საბრძოლო მოქმედების ხერხების მიხედვით ყველაზე მრავალფეროვან სახეობას.

სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, შედის სხვადასხვა გვარეობის ჯარები, სპეციალური ჯარები და სამსახურები.

სახმელეთო ჯარებში შედის მოტომსროლელი ჯარები, სატანკო ჯარები, სარაკეტო ჯარები და არტილერია, სახმელეთო ჯარების ავიაცია, რომლებიც

სახმელეთო ჯარების გვარეობებს წარმოადგენენ, აგრეთვე სპეციალური ჯარების შენაერთები და ნაწილები - სადაზვერვო, კავშირგაბმულობის, რადიოელექტრონული ბრძოლის, საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის და სხვა, ასევე ზურგის ნაწილები და სხვა.

იგი ორგანიზაციულად შედგება საერთო-საჯარისო არმიების, საარმიო კორპუსების, დივიზიების და გამაგრებული რაიონების შენაერთებისაგან.

სახმელეთო ჯარები შეადგენენ შეიარაღებული ძალების საფუძველს საომარი მოქმედების თეატრში, ფრონტებზე და სამხედრო ოლქებში.

სახმელეთო ჯარები წარმოიშვა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში. მონათმფლობელური წყობილების ეპოქაში იგი შედგებოდა ორი გვარეობის – ქვეითი და ცხენოსანთა ჯარისაგან ან მხოლოდ ერთისაგან. ძველ ეგვიპტეში, ასურეთსა და ძველ საბერძნეთში გაჩნდა ქვეითი ჯარისა და ცხენოსანი ჯარის ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც შეესაბამებოდა მათი მოქმედების ხასიათს. სახმელეთო ჯარების ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა ძველ რომში, სადაც შეიქმნა ლეგიონები, მანიპულები, ცენტურიები და კოჰორტები. VIII-XIV სს. ევროპულ ქვეყნებში სახმელეთო ჯარების მთავარი გვარეობა იყო ცხენოსანი ჯარი, ხოლო ქვეითი ჯარი დამხმარე როლს ასრულებდა. XIV ს. დაიწყო ქვეითი ჯარის როგორც სახმელეთო ჯარების ძირითადი გვარეობის აღორძინება და გაჩნდა არტილერია.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საარტილერიო ქვემეხების შექმნამ და სახმელეთო ჯარების ამ იარაღით აღჭურვამ მკვეთრად გაზარდა მათი საბრძოლო ძლიერება, გამოიწვია ცვლილებები ჯარების მოქმედების ტაქტიკასა და ორგანიზაციაში.

XVს. სახმელეთო ჯარებში შეიქმნა ასეულები, შემდეგ პოლკები, XVI–XVIII სს. – ბატალიონები და ბრიგადები. პტრველი მსოფლიო ომის დამდეგს სახმელეთო ჯარები შეადგენდნენ მოპირისპირე კოალიციების ქვეყნების შეიარაღებული ძალების ძირითად მასას. ამ დროისათვის სახმელეთო ჯარებმა მიიღეს ხიშტიანი შაშხანები, დაზგიანი და ხელის ტყვიამფრქვევები, სწრაფმსროლი ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ჯავშანავტომობილები, ხოლო ომის ბოლოს – ტანკებიც.

ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების არსებობისა და მათი ორგანიზაციის მხრივ მსხვილი სახელმწიფოების სახმელეთო ჯარებს დიდი მსგავსება ჰქონდათ. ისინი შედგებოდნენ ქვეითი ჯარისაგან, კავალერიის, არტილერიის, სპეციალური საინჟინრო და კავშირგაბმულობის ჯარებისაგან.

ჯარები გაერთიანებული იყო არმიებად რომლებიც შედგებოდა კორპუსებისა და დივიზიებისაგან, შემდეგ საერთო-საჯარისო შენაერთებად რომ იქცნენ.

ომის დროს ახალ სახეობათა შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შექმნამ და ჯარებში დანერგვამ გამოიწვიეს სახმელეთო ჯარების სტრუქტურის არსებითი ცვლილებები. მათ შემადგენლობაში გაჩნდა ჯავშანსატანკო, ქიმიური, საავტომობილო და ჰაერსაწინაღო თავდაცვის ჯარები. შეიქმნა ფრონტები და არმიების ჯგუფები.

ომის შემდეგ სახმელეთო ჯარების განვითარება მეტ წილ ქვეყნებში მიმდინარეობდა შეძენილი საბრძოლო გამოცდილების ათვისებისა და მათი ორგანიზაციული სტრუქტურის და შეიარაღების შემდგომი სრულყოფის გზით.

ყველაზე არსებითი ცვლილებები სახმელეთო ჯარებში მოხდა გასული საუკუნის 60-იან წწ. ბირთვული იარაღის გაჩენასთან დაკავშირებით. შემდგომში სახმელეთო ჯარები ვითარდებოდა უახლესი სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო მეცნიერების მიღწევათა ბაზაზე.

სამხედრო-საჰაერო ძალები, მთელ რიგ სახელმწიფოებში კი სამხედრო ავიაცია, წარმოადგენენ შეიარაღებული ძალების სახეობას, რომელიც განკუთვნილია სხვა სახეობებთან ერთობლივი მოქმედებისათვის მოწინააღმდეგის საავიაციო, სახმელეთო და საზღვაო დაჯგუფებების განადგურებლად, მისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ძირგამოთხრის, სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის დეზორგანიზაციის, ზურგისა და ტრანსპორტის მუშაობის დარღვევის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თავისი სახმელეთო ჯარებისა და ფლოტის ძალების მხარდაჭერის, საჰაერო დესანტის გადასხმის, საჰაერო დაზვერვის და საჰაერო გადაზიდვა-გადაყვანის მოსაწყობად.

ჩვეულებრივ, სამხედრო-საჰაერო ძალები მოიცავს ავიაციის გვარეობას - ბომბდამშენ, გამანადგურებელ-ბომბდამშენ, გამანადგურებელ, მოიერიშე, სადაზვერვო და სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციას; ჰაერსაწინაღო თავდაცვის ჯარების გვარეობას - საზენიტო სარაკეტო და რადიოტექნიკური ჯარები; გვარეობის ორგანოებს - სპეციალურ ჯარებს, ზურგის ნაწილებსა და დაწესებულებებს, სხვა ნაწილებსა და ორგანიზაციებს.

მთელი რიგი ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში შედის ჰაერსაწინაღო თავდაცვის შენაერთები და ნაწილები, რომლებიც საჰაერო მოწინააღმდეგის დარტყმებისაგან იფარავენ ქვეყნის ადმინისტრაციულ, სამრეწველო ცენტრებსა და რაიონებს, შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებს, დიდმნიშვნელოვან სამხედრო და სხვა ობიექტებს.

სამხედრო მიზნით გამოყენებისათვის გამოსადეგი პირველი თვითმფრინავები მე-20 საუკუნის დამდეგს გაჩნდა. 1909 წლიდან სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო სამინისტროებმა დაიწყეს თვითმფრინავების შეძენა და სამხედრო მფრინავთა კადრების მომზადება. 1911 წელს იტალიამ პირველმა გამოიყენა ავიაცია მოწინააღმდეგის ჯარების დაზვერვისა და დაბომბვისათვის. პირველ მსოფლიო ომში გერმანიას ჰყავდა 232 თვითმფრინავი სამხედრო მიზნებისათვის, საფრანგეთს – 156, ავსტრია-უნგრეთს-65. ომის წლებში მეომარი ქვეყნების თვითმფრინავების საერთო რიცხვი 12-ჯერ გაიზარდა. ცალკე გამოიყო ავიაციის გვარეობანი. საავიაციო ტექნიკის რაოდენობრივმა და თვისებრივმა განვითარებამ გააძლიერეს ავიაციის როლი ბრძოლაში, ოპერაციასა და მთლიანად ომში. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჰაერში ბატონობისათვის ბრძოლას.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი ან მთელ რიგ სახელმწიფოებში - სამხედრო-საზღვაო ძალები ეწოდება შეიარაღებული ძალების სახეობას, რომელიც განკუთვნილია სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანების გადასაწყვეტად საოკეანო და საზღვაო საომარი მოქმედების თეატრებში.

თავისი საბრძოლო შესაძლებლობებით თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ფლოტს ან სამხედრო-საზღვაო ძალებს შეუძლია მოიპოვოს ბატონობა საზღვაო და საოკეანო რაიონებში, მიაყენოს ბირთვული დარტყმები მოწინააამდეგის დიდმნიშვნელოვან სახმელეთო ობიექტებს, გაანადგუროს მისი ფლოტის ძალები ზღვაში და ბაზებში, დაარღვიოს საოკეანო და საზღვაო გადაზიდვები, ხელი შეუწყოს სახმელეთო ჯარებს საომარი მოქმედების კონტინენტურ თეატრებში ოპერაციების მოწყობაში, დაიცვას თავისი საოკეანო და საზღვაო გადაზიდვები, გადასხას საზღვაო დესანტები, მონაწილეობა მიიღოს მოწინააღმდეგის დესანტების მოგერიებაში და გადაწყვიტოს სხვა ამოცანები.

ბირთვული იარაღის მქონე ძირითადი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ფლოტი იყოფა საზღვაო სტრატეგიულ ბირთვულ ძალებად და ზოგადი დანიშნულების ძალებად. მას ახასიათებს დიდი ბირთვულსარაკეტო ძლიერება, სახომალდო და საავიაციო დაჯგუფებათა მაღალი მობილურობა, მნიშვნელოვანი ავტონომიურობა და უნარი, მოქმედებდეს მსოფლიო ოკეანის ნებისმიერ რაიონში, მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა და წყალქვეშა ძალებისა და საავიამზიდო დაჯგუფებების მაღალი საბრძოლო მდგრადობა.

ფლოტის განვითარება იწყება უძველეს წარსულში. ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთში, რომსა და ჩინეთში თავდაპირველად შენდებოდა სავაჭრო გემები, ხოლო შემდეგ – სამხედრო ნიჩბიანი ხომალდები, რომლებიც იყენებდნენ ტარანს, აბორდაჟს, ხოლო მოგვიანებით – სატყორცნ მანქანებსაც.

მე-10-12 საუკუნეებში მთელ რიგ ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებს, ანგლოსაქსებს, ნორმანებსა და დანიელებს უკვე აქვთ იალქნიანი გემები. ამ გემების ძირითადი იარაღი ხდება არტილერია.

მე-16-17 საუკუნეებში ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ჰოლანდიაში იქმნება მუდმივი სამხედრო ფლოტები.

მე-19 საუკუნის დამდეგს გაჩნდა პირველი ორთქლის ხომალდები, ორთქლის ფლოტზე გადასვლა დაემთხვა კუთხვილი არტილერიის დანერგვას.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ნაღმების, მერე კი ტორპედოების გაჩენამ განაპირობა ნაღმგადამღობებისა და ნაღმოსნების შექმნა.

ძალების დამოუკიდებელ გვარეობად გამოიყვნენ წყალქვეშა ნავები. გაჩნდა ავიამზიდები, სადარაჯო ხომალდები, ტორპედული კატარღები. ზღვაზე საბრძოლო მოქმედების დროს დაიწყეს საზღვაო ავიაციის გამოყენება. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას სახაზო ხომალდებმა ავიამზიდებს დაუთმეს ზღვაზე შეიარაღებული ბრძოლის მთავარი დამრტყმელი ძალის როლი.

ინტენსიური განვითარება ჰპოვა საზღვაო ავიაციამ. ფლოტების შემადგენლობაში გაჩნდა ჰაერსაწინაღო თავდაცვის ხომალდები. ომისშემდგომ პერიოდში დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობაში ძირითადი ძალისხმევა ხმარდებოდა ჩვეულებრივი იარაღით და ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავების, აგრეთვე ავიამზიდების შექმნას.

წყალზედა ხომალდები აღიჭურვა ხომალდსაწინაღო, ნავსაწინაღო და საზენიტო რაკეტებით, ხოლო ატომური წყალქვეშა ნავები - სტრატეგიული რაკეტებით. გაჩნდა ნავსაწინაღო და სადესანტო შვეულმფრენმზიდები, წყალქვეშაფრთიანი, ჰაერბალიშიანი ხომალდები და კატარღები და სხვ.

საომარი მოქმედების, საბრძოლო მოქმედებისა და ბრძოლების მართვა, წარმოება, ოპტიმიზაცია და სათანადო მიზნების განსაზღვრა, დაგეგმვა და რეალიზაცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ, ზოგადად, კამპანიებისა და ოპერაციების დროს, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი სტრუქტურით და სისტემით განისაზღვრება ჯარებისა და ძალების სახეობანი და გვარეობანი, და როგორ კლასიფიცირდება სამხედრო ფორმირებები.

ამდენად, ზოგადი მიდგომით, საქმე ეხება ჯარების ორგანიზაციას.

ჯარების ორგანიზაცია არის შეიარაღებული ძალების მშენებლობის ნაწილი და მდგომარეობს მათს დაყოფაში შეიარაღებული ძალების სახეობების ქვედანაყოფებად, სამხედრო ნაწილებად, შენაერთებად და გაერთიანებებად, აგრეთვე ჯარების და ძალების გვარეობების, სპეციალური ჯარებისა და სამსახურების ფორმირებებად.

იგი წარმოადგენს შეიარაღებული ძალების, სამხედრო ფორმირებების სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს მათს ყველაზე ხელსაყრელ შემადგენლობას, ჯარების და ძალების გვარეობებისა და იარაღის სახეობების ყველაზე მიზანშეწონილ შეხამებას და თანაფარდობას, მაღალ საბრძოლო მზადყოფნას და უნარს, წარმატებით აწარმოონ საბრძოლო მოქმედება.

ცნობილია ჯარების ორგანიზაციის შემდეგი ძირითადი ფორმები: სახმელეთო ჯარებში – ათეული (ეკიპაჟი, ჯგუფეული), ოცეული, ასეული (ბატარეა), ბატალიონი (დივიზიონი), პოლკი, ბრიგადა, დივიზია, კორპუსი, არმია, ოლქი, ჯარების დაჯგუფება, ფრონტი.

სამხედრო-საჰაერო ძალებში – ეკიპაჟი, რგოლი, ესკადრილია, პოლკი, ფრთა, ესკადრა, დივიზია, კორპუსი, არმია (საჰაერო არმია, სამხედრო-საჰაერო ძალები და ჰაერსაწინაღო თავდაცვა), საჰაერო ფლოტი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტში (სამხედრო-საზღვაო ძალებში) – ათეული, ჯგუფი, საბრძოლო ნაწილი, გუნდი, ეკიპაჟი, ხომალდი, დივიზიონი, ბრიგადა, ხომალდების დივიზია, ესკადრა, ფლოტილია, ფლოტი.

სამხედრო ფორმირებები, როგორც წესი, განიხილება სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილების – სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური დონეების მიხედვით, ასევე, ტერიტორიული ნიშნით.

ტრადიციულად და არსებული მოდგომების მიხედვით, სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული და ოპერატიული დონეების შესაბამისია სამხედრო ფორმირება – გაერთიანება. იგი წარმოადგენს ოპერატიული და სტრატეგიული მასშტაბის და დანიშნულების სამხედრო ფორმირებას, რომელშიც საერთო ხელმძვანელობით არის გაერთიანებული რამდენიმე შენაერთი ან ნაკლებად მრავალრიცხოვანი გაერთიანება.

ჩვეულებრივ, გაერთიანება აწყობს ოპერაციას, შენაერთებისა და ნაწილებისაგან (ტაქტიკური მასშტაბი) განსხვავებით, რომლებიც ბრძოლას ეწევიან.

გაერთიანების შემადგენლობა, როგორც წესი, ცვალებადია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ოპერატიული ვითარება შეიქმნება და როგორია შესასრულებელი ამოცანები.

განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ-სტრატეგიულ, ოპერატიულ-სტრატეგიულ ტერიტორიულ, ოპერატიულ, ოპერატიულ-ტერიტორიულ და ოპერატიულ-ტაქტიკურ ტერიტორიულ გაერთიანებებს.

სამხედრო ფორმირება, მუდმივი და დროებითი საბრძოლო სტრუქტურები შეიარაღებულ ძალებში შეიძლება დაიყოს შემდეგი გრადაციით:

გაერთიანება – რომელიც შედგება რამდენიმე შენაერთისაგან ან რამდენიმე მცირერიცხოვანი გაერთიანებისაგან.

გაერთიანება შეიძლება იყოს:

- სტრატეგიული – ფრონტების ჯგუფი;
- ოპერატიულ-სტრატეგიული – ფრონტის ან არმიის ჯგუფი;
- ოპერატიული – არმია ან ცალკეული არმიის კორპუსებები;
- ტერიტორიული – სამხედრო ოლქი.

შენაერთები – რომლებიც შედგება რამოდენიმე ქვედანაყოფისაგან, სამხედრო ნაწილებისაგან ან მცირე შენაერთებისაგან.

შენაერთი შეიძლება იყოს:

- ოპერატიულ-ტაქტიკური – საჯარისო კორპუსი;
- ტაქტიკური – დივიზია, ბრიგადა.

სამხედრო ნაწილი – ორგანიზაციული, თვითმყოფადი, საბრძოლო და ადმინისტრაციული სამეურნეო ერთეული ყველა სახის შეიარაღებულ ძალებში. ეს შეიძლება იყოს პოლკი, ცალკეული ბატალიონი, დივიზია და სხვა.

სამხედრო ქვედანაყოფი – სამხედრო ფორმირება, რომელსაც გააჩნია ერთგვაროვანი შემადგენლობა და ორგანიზაცია.

ქვედანაყოფებს, გრადაციის მიხედვით, მიეკუთვნება – ბატალიონი, ასეული, ოცეული, ათეული და ა.შ.

შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების ფორმირებებს, ადამიანთა რესურსებს, შეიარაღებას, სამხედრო ტექნიკას და სხვა მატერიალურ საშუალებებს, რომლებიც განკუთვნილია ჯარების და ძალების ახალ დაჯგუფებათა შესაქმნელად და

მოქმედთა გასაძლიერებლად, ომის, კამპანიის, ოპერაციისა და ბრძოლის დროს ახლად წამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად, მოქმედი არმიისა და ფლოტის შესავსებად და უზრუნველსაყოფად – რეზერვი ეწოდება.

საერთო-საჯარისო გაერთიანებებში, შენაერთებსა და ნაწილებში, ჩვეულებრივ იქმნება საერთო-საჯარისო, ტანკსაწინაღო და სპეციალური ჯარების რეზერვი, ხოლო თავდაცვაში აგრეთვე დესანტსაწინაღო რეზერვი. თავისი დანიშნულებისა და გამოყენების მასშტაბის მიხედვით რეზერვები არის ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული.

სტრატეგიული რეზერვი არის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის, ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარებისა და ზურგის სარეზერვო ფრონტები, ცალკეული გაერთიანებები, შენაერთები და ნაწილები, რომლებიც უმაღლესი სარდლობის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან. შტრატეგიულ რეზერვს ასევე მიეკუთვნება სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და მატერიალური საშუალებების მარაგი არსენალებში, ბაზებზე, ცენტრალური დაქვემდებარების საწყობებში.

ოპერატიული რეზერვი არის სხვადასხვა გვარეობის ჯარებისა და სპეციალური ჯარების შენაერთები და ნაწილები, რომლებიც ფრონტის ან არმიების ჯგუფის, არმიის სარდლობის უშუალო დაქვემდებარებაში არიან. იგი შეადგენს ოპერატიული დაწყობის ელემენტს.

ტაქტიკური რეზერვი არის შენაერთის, ნაწილის, ქვედანაყოფის მეთაურის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული ნაწილები და ქვედანაყოფები.

ამასთან, განიხილება საერთო-საჯარისო რეზერვი, ანუ საერთო-საჯარისო ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები, რომლებიც განკუთვნილია ძალისხმევის გასაძლიერებლად მთავარ მიმართულებაზე, კონტრდარტყმების მოსაგერიებლად, ფლანგებისა და პირაპირების უზრუნველსაყოფად და ოპერაციის დროს წამოჭრილი სხვა ამოცანების გადასაწყვეტად. იგი შეიძლება იყოს ოპერატიული დაწყობის ან საბრძოლო წყობის ელემენტი.

ხშირად, უზუსტეს დაკონკრეტებას მოითხოვს რეზერვის შექმნის სპეციალიზაცია, მაგალითად, ისეთისა, როგორიც არის დესანტსაწინაღო რეზერვი. ეს რეზერვი წარმოადგენს საერთო-საჯარისო ქვედანაყოფს, რომელიც განკუთვნილია საჰაერო დესანტებთან საბრძოლველად. ინიშნება შენაერთის ან ნაწილის მეორე ეშელონში მოქმედი ქვედანაყოფებისაგან.

შეიარაღებული ძალების განხილვის ფონზე აუცილებელ, თუნდაც ზოგად, განხილვას მოითხოვს არსი და მნიშვნელობა გვარდიის, ეროვნული გვარდიის, ჟანდარმერიის და სამხედრო პოლიციისა, რომლებიც რიგ შემთხვევებში შინაგან ჯართან ერთად, ერთი მიზნის მისაღწევად, კომპლექსურად მოქმედებენ.

გვარდია ყოველთვის ნიშნავდა რჩეულ ჯარებს. წარმოიშვა მონათმფლობელობის ეპოქაში მონარქებისა და მხედართმთავრების ყორჩთა რაზმების სახით. ძველ საბერძნეთში – წმინდა რაზმი, სპარსეთში - „უკვდავთა” კორპუსი, მაკედონიაში - „მეფის ნებიერები”, ძველ რომში – პრეტორიანელები. ჯარების ამ ნაწილს ეკისრებოდა

აგრეთვე ყველაზე რთული ამოცანები საომარი მოქმედების დროს. ტერმინი „გვარდია" გაჩნდა იტალიაში (XIIს.) და ნიშნავდა სახელმწიფოთა დროშის დამცველ რჩეულ რაზმს. მოგვიანებით გვარდია შეიქმნა საფრანგეთში (XVს.), ინგლისში, შვედეთში, პრუსიაში (XVIIIს.), თურქეთში, იაპონიაში (XIXს.) და სხვა სახელმწიფოებში. თანამედროვე არმიებში გვარდია, როგორც სახელმწიფოს მეთაურის პირადი დაცვა, არსებობს დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და სხვ.

ეროვნული გვარდია ეწოდებოდა შეიარაღებულ სამოქალაქო ლაშქარს, რომელიც მე-18-19 სს. არსებობდა საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. პირველად შეიქმნა პარიზში 1789-99 წწ. რევოლუციის დასაწყისში და აერთიანებდა 50 ათასამდე კაცს. 1848 წ. პარიზის მდიდრული უბნების ეროვნული გვარდია გამოიყენებოდა მუშათა გამოსვლების ჩასახშობად, ხოლო 1871 წ. პარიზის კომუნაში ეროვნული გვარდია რევოლუციური მთავრობის დასაყრდენს წარმოადგენდა.

დღეს ეროვნულ გვარდიას უწოდებენ ტერიტორიულ სამხედრო ფორმირებებს ჩრდილოეთი და ლათინური ამერიკის, აფრიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. კომპლექტდება ტერიტორიული პრინციპით და გამოიყენება მშვიდობიან დროს საგანგებო სიტუაციებში, საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად და სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების დასაცავად, ომიანობის დროს რეგულარული შეიარაღებული ძალების გაშლისა და შევსებისათვის.

ჟანდარმერია არის სამხედრო ორგანიზაციის მქონე პოლიცია, რომელიც ასრულებს დაცვით ფუნქციებს ქვეყნის შიგნით და არმიაში. იგი 1791 წელს შეიქმნა საფრანგეთში. რუსეთში არსებობდა ჟანდარმთა კორპუსი, რომელიც ასრულებდა პილიტიკური პოლიციის როლს.

დღეს ჟანდარმერიად იწოდება მთელი რიგი სახელმწიფოების (საფრანგეთის, თურქეთის, არგენტინისა და სხვ.) შეიარაღებული ძალების ნაწილი, რომელიც სამხედრო პოლიციის ფუნქციებს ასრულებს.

სამხედრო პოლიცია არის სამხედრო-პოლიტიკური სამსახური მთელი რიგი სახელმწიფოების არმიებში – აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ნიდერლანდი, შვედეთი, იაპონია და სხვ., რომელიც განკუთვნილია შეიარაღებულ ძალებში პოლიციური ფუნქციების შესრულებისათვის. ძირითადი ამოცანებია: გამოიძიოს სამართალდარღვევები, დააკავოს დეზერტირები, გაქცეულები და სხვ. ხელი შეუწყოს წესრიგის დამყარებას სამხედრო გარნიზონებში, დაეხმაროს ადმინისტრაციას არეულობის ლიკვიდაციისა და სტიქიური უბედურებების დროს, განახორციელოს მოძრაობის კონტროლი და რეგულირება გზებზე და სხვ. შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში წარმოადგენს სახმელეთო ჯარების გვარეობას, წყვეტს აგრეთვე ამოცანებს შეიარაღებული ძალების სხვა სახეობათა ინტერესებისათვის.

საჯარისო ორგანიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სათანადოდ ჩამოყალიბებულ ორგანოებსა და სამსახურებს, მათი უმრავლესობა, როგორც წესი, კონცენტრირებულია ზოგადად ლოგისტიკის სფეროში, რომელთაგან აღსანიშნავია

ზურგის ორგანოები, მომარაგების ორგანოები, მატერიალური უზრუნველყოფის ორგანოები, სამხედრო მიმოსვლის ორგანოები და სხვ.

ზურგის ორგანოები კრებსითი სახელწოდებაა შეიარაღებული ძალების ზურგის შენაერთების, ნაწილების, დაწესებულების, საწარმოების, ორგანიზაციების ქვედანაყოფების და მართვის ორგანოების, აგრეთვე სხვა უწყება-სამინისტროთა იმ ფორმირებებისა, რომლებიც ასრულებენ ამოცანებს ჯარების და ძალების ზურგის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

მომარაგების ორგანოები – ეს არის მართვის დაწესებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჯარების და ძალების მატერიალური საშუალებებით მომარაგებისათვის. მოგვიანებით ეწოდა მატერიალური უზრუნველყოფის ორგანოები.

მატარიალური უზრუნველყოფის ორგანოები კრებსითი სახელწოდებაა საშტატო და არასაშტატო სამხედრო ფორმირებების და მართვის ორგანოებისა. განკუთვნილია ჯარების და ძალების მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

გასული საუკუნის 80-იანი წწ.-მდე უწოდებდნენ მომარაგების ორგანოებს. მატერიალური უზრუნველყოფის ორგანოების ძირითად ფორმირებებს წარმოადგენენ მატერიალური უზრუნველყოფის ბრიგადები, ბატალიონები, ასეულები და ოცეულები. მატერიალური უზრუნველყოფის ორგანოების შემადგენლობაში შედის აგრეთვე ზურგის ბაზები და უზრუნველყოფის ბაზები, მატერიალური საშუალებების სახეობათა საწყობები, საავტომობილო და სარემონტო-აღდგენითი ნაწილები, ტექნიკის საწვავით გაწყობის ქვედანაყოფები და სხვ.

სამხედრო მიმოსვლის ორგანიები – ეს არის სამხედრო მიმოსვლის სამსახურის ორგანოები, მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში მართვის სპეციალური ოპერატიულ-ზურგის ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ თავდაცვის სამინისტროს სრულუფლებიან წარმომადგენლებს სარკინიგზო, საზღვაო სამდინარო და საჰაერო ტრანსპორტზე. უზრუნველყოფენ სამხედრო სარდლობის თანამოქმედებას შესაბამისი სამინისტროების სატრანსპორტო ორგანიზაციებთან შეიარაღებული ძალების ინტერესებისთვის ტრანსპორტის გამოყენების მიზნით, ორგანიზაციას უწევენ ყველა სახეობის სამხედრო გადაზიდვა-გადაყვანას, შეიმუშავებენ და წარადგენენ სპეციალურ მოთხოვნებს მიმოსვლის გზათა და ტრანსპორტის მომზადებისა და გამოყენების შესახებ, ახორციელებენ კონტროლს მათი შესრულებისადმი.

ასევე ფართოა დიაპაზონი სათანადო სამსახურებისა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩამონათვალი მხოლოდ ზოგადად მოიცავს სამხედრო-საინჟირო დარგს.

მეტი წილი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში მოქმედებს საინჟირო სამსახური - სპეციალური სამსახური, რომელიც ასრულებს საომარი მოქმედების საინჟინრო უზრუნველყოფის, ჯარების და ძალების საინჟინრო მომზადების, საინჟინრო შეიარაღების საშუალებებით მათი მომარაგებისა და სწორი გამოყენების და რემონტის უზრუნველყოფის ამოცანებს.

სტრატეგიული ზურგი მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ზურგის უმაღლეს რგოლად ითვლება. ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს ჯარების და

ძალების დაჯგუფებათა ზურგის უზრუნველყოფას საომარი მოქმედების თეატრისა და ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში. მოიცავს ცენტრის ზურგის და შეიარაღებული ძალების სახეობათა ზურგის უმაღლეს რგოლს. ცენტრის ზურგი შეადგენს სტრატეგიული ზურგის საფუძველს და მოიცავს ცენტრალური დაქვემდებარების ზურგის შენაერთებს, ნაწილებსა და დაწესებულებებს, მათ შორის ბაზებსა და საწყობებს მატერიალურ საშუალებათა მარაგით, აგრეთვე სახელმწიფო რეზერვების ნაწილს და სპეციალურ ფორმირებებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური კომპლექსიდან შეიარაღებული ძალების უშუალო განკარგულებაში გადასაცემად არის განკუთვნილი ომის წინ და ომის დროს. შეიარაღებული ძალების სახეობათა უმაღლესი რგოლი მოიცავს ზურგის უზრუნველყოფის ძალებსა და საშუალებებს, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარება შეიარაღებული ძალების სახეობათა მთავარსარდალს.

ფრონტის ზურგს უწოდებენ ზურგის შენაერთებს, ნაწილებსა და დაწესებულებებს, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარება ფრონტის ზურგის მართვის ორგანოებს, შეადგენს ოპერატიული ზურგის საფუძველს და ასრულებს ზურგის უზრუნველყოფის ამოცანებს ფრონტის ზოლში მოქმედი ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების ჯარების ინტერესებისათვის.

ოპერატიულ ზურგს შეადგენენ ზურგის შენაერთები, ნაწილები და ოლქების შეიარაღებული ძალების სახეობათა გაერთიანებების შემადგენლობაში. იგი წარმოადგენს შემაკავშირებელ რგოლს სტრატეგიულ და საჯარისო ზურგს შორის და განკუთვნილია გაერთიანებებისა და შენაერთების ზურგის უზრუნველყოფისათვის. მისი გაშლა ხდება ფრონტების ზურგის ზოლებში და საზღვრისპირა და შიდა სამხედრო ოლქების ტერიტორიაზე. მას ჰყოფენ საფრონტო, საფლოტო, საოლქო, საარმიო, საკორპუსო, საფლოტილიო და საესკადრო ზურგად.

შეიარაღებული ძალების სახეობების ზურგი არის შეიარაღებული ძალების სახეობათა ძალები და საშუალებანი, რომლებიც განკუთვნილია მათი ზურგის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. იგი მიეკუთვნება შეიარაღებული ძალების შემადგენელ ნაწილს.

კორპუსის ზურგს ქმნიან ზურგის ნაწილები და დაწესებულებანი, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარება კორპუსის მეთაურის მოადგილეს ზურგის საკითხებში და ემსახურება კორპუსის შენაერთებისა და ნაწილების ზურგის უზრუნველყოფას. იგი განეკუთვნება ოპერატიულ ზურგს.

ჯარის ზურგი – ეს არის ზურგის ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც ორგანიზაციულად შედიან ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების შენაერთებისა და ნაწილების შემადგენლობაში და განკუთვნილია უშუალოდ მათი ზურგის უზრუნველყოფისათვის. შეიარაღებული ძალების ზურგის პირველადი რგოლი გადასაწყვეტი ამოცანების მოცულობისა და კუთვნილების კვალობაზე იყოფა სადივიზიო, საბრიგადო, საპოლკო, საბატალიონო და სადივიზიონო ზურგად.

სამხედრო-საჰაერო ძალებში, გარდა ამისა, საჯარისო ზურგში შედიან საავიაციო-ტექნიკური ნაწილები.

ზურგის უზრუნველყოფა მოიცავს ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც ხმარდება ჯარების და ძალების მატერიალურ, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მათი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების, დასახული ამოცანების შესრულების ან ყოველდღიური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. იგი არის საომარი მოქმედების უზრუნველყოფის სახეობა. მასში შედის მატერიალური, სატრანსპორტო, საინჟინრო, სააეროდრომო, სააეროდრომო-ტექნიკური, სამედიცინო, სავეტერინარო, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საბინაო-საექსპლუატაციო და საფინანსო უზრუნველყოფა. ზურგის უზრუნველყოფას ორგანიზაციას უწევენ: გაერთიანებაში – სარდლის მოადგილე ზურგის დარგში, ქვედანაყოფში – ქვედანაყოფის მეთაური.

მატერიალურ საშუალებებს შეადგენს პროდუქცია, რომელიც გამოიყენება შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად მშვიდობიან და ომიანობის დროს. მატერიალურ საშუალებებს განეკუთვნება ყველა სახეობის შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მასალები, სხვადასხვა სახეობის სათბობი, საწვავი, სურსათი, სანივთო, საინჟინრო, ქიმიური, სამედიცინო, სავეტერინარო და სხვა სახეობათა სამხედრო ქონება.

მატერიალურ უზრუნველყოფას უწოდებენ ღონისძიებათა კომპლექს, რომელიც ეწყობა მშვიდობიან და ომიანობის დროს ჯარების და ძალების ყოველდღიური ცხოვრებისა და საბრძოლო საქმიანობისათვის საჭირო მატერიალურ საშუალებებზე მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით. ზურგის უზრუნველყოფის სახეობა, მატერიალური უზრუნველყოფა მოიცავს: სხვადასხვა სახეობის მატერიალურ საშუალებებზე არსებული მოთხოვნილების განსაზღვრას, მათს წარმოებას, გამოთხოვნას, მარაგის მიღებას და შექმნას, შენახვის ხარჯებისა და დანაკარგების შევსებას, გაგზავნას და მიტანას მომხმარებლებთან, აგრეთვე მარაგის მანევრს.

ზურგის სამსახურების ტექნიკურ საშუალებებს შეადგენენ: ჯარების გადაყვანის, მატერიალურ საშუალებათა მიტანისა და ევაკუაციის სატრანსპორტო საშუალებანი; საწვავის ტრანსპორტირების, გადატუმბვის, გაწყობის, შენახვის, გაწმენდისა და ხარისხის კონტროლის ტექნიკური სისტემები; სარკინიგზო და საავტომობილო გზების აღდგენისა და მშენებლობის ტექნიკური საშუალებანი; სამედიცინო, სასურსათო, სანივთო და ზურგის სხვა სამსახურების ტექნიკური მოწყობილობანი.

ლექცია 4

შეიარაღებული ბრძოლის თეორია

შეიარაღებული ბრძოლის გრადაცია სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის მიხედვით

სამხედრო ხელოვნების პრინციპები – ეს არის საომარი მოქმედების ორგანიზაციისა და წარმოების სახელმძღვანელო დებულებები, წესები, უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები. ისინი გამოხატავენ შეიარაღებული ბრძოლის ობიექტურად არსებულ კანონებსა და კანონზომიერებს. სამხედრო ხელოვნებაში ძირითად პრინციპებს განეკუთვნება ის პრინციპები, რომლებიც სავალდებულოა მისი სამივე შემადგენელი ნაწილის – ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნებისა და სტრატეგიისათვის. მაგალითად, ძირითადი ძალვის თავმოყრა უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე მთავარი საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად, მოქმედების აქტიურობა, უწყვეტობა და გადამჭრელი ხასიათი, ინიციატივის უეცრობა, წართმევა და შენარჩუნება, მართვის სიმტკიცე და უწყვეტობა, ძალებისა და საშუალებების მანევრი, საომარი და საბრძოლო მოქმედების ყოველმხრივი უზრუნველყოფა და სხვ. სამხედრო ხელოვნების პრინციპების გამოყენების ცოდნა და უნარი აუცილებელია გამარჯვების მისაღწევად ვითარების ნებისმიერ პირობებში.

სტრატეგია წარმოადგენს შემადგენელ ნაწილს სამხედრო ხელოვნებისა, მის უმაღლეს სფეროს, რომელიც მოიცავს ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მათ შორის, ომის თავიდან აცილების, აგრესიის მოსაგერიებლად ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების მომზადების თეორიასა პრაქტიკას, სტრატეგიული ოპერაციებისა და მთლიანად ომის დაგეგმვას და წარმოებას.

სტრატეგია სწავლობს და განსაზღვრავს: ომების შესაძლო ხასიათს და სამხედრო საშუალებებით მათი თავიდან აცილების გზებს; შეიარაღებული ძალების მიზნებსა და ამოცანებს ომში და სტარატეგიული მასშტაბის საომარ მოქმედებაში; მათი წარმოებისათვის საჭირო საშუალებებს; მთლიანად ომისა და სტრატეგიული მოქმედების სხვადასხვა ფორმების მომზადებისა და წარმოების შინაარსს, ხერხებსა და პირობებს; ომსა და სტრატეგიულ ოპერაციებში შეიარაღებული ძალების გამოყენების დაგეგმვას, მასში შეიარაღებული ძალების სახეობათა გამოყენებას; შეიარაღებული ძალების მოქმედების სტრატეგიული, მორალურ-ფსიქოლოგიური, ტექნიკური და ზურგის უზრუნველყოფის საფუძვლებს; შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას მშვიდობიან და ომიანობის დროს; შეიარაღებული ძალების მშენებლობისადმი, საომრად ქვეყნის ეკონომიკის, მოსახლეობისა და ტერიტორიის მომზადებისადმი სტრატეგიული მოთხოვნების შემუშავებას; წამყვანი სახელმწიფოებისა და კოალიციების სტრატეგიულ შეხედულებებს, მათს შესაძლებლობებს სტრატეგიული მასშტაბის ომისა და საომარი მოქმედების მომზადების, გაჩაღებისა და წარმოებისათვის.

სტრატეგიის ძირითად ამოცანებსა და განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავენ სახელმწიფო პოლიტიკა და ქვეყნის ეკონომიკა, ზოგადად ისინი ჩამოყალიბებულია კონსტიტუციასა და სამხედრო დოქტრინაში. პოლიტიკა განსაზღვრავს შესაძლო ომისათვის მზადების წესს, მისი წარმოების საშუალებებსა და ხერხებს. იგი რაზმავს ადამიანთა და მატერიალურ რესურსებს ომში გამარჯვების მისაღწევად, ქმნის ხელშემწყობ საშინაო და საგარეო-პოლიტიკურ პირობებს სტრატეგიისათვის. თავის მხრივ, სტრატეგია უკუზემოქმედებას ახდენს პოლიტიკაზე. სტრატეგიული კვლევის შედეგები გადაიცემა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების განკარგულებაში, რომლებსაც იყენებენ სამხედრო მშენებლობის, ომის მზადებისა და წარმოების საკითხთა გადაწყვეტისათვის.

ბირთვული სტრატეგია არის კონცეფცია, რომელიც გამოხატავს ბირთვულ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეხედულებებს ბირთვული ძალების მშენებლობაზე, გამოყენების პრინციპებზე და მათ როლს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

თითოეულ ბირთვულ სახელმწიფოს აქვს თავისი სტრატეგია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. აშშ ბირთვული სტრატეგიის საფუძველია სტრატეგიული შეკავება, რომელშიც მთავარი როლი ეკისრება სტრატეგიულ შეტევით ძალებს. აშშ შეიარაღებული ძალების ბირთვულ ომში გამოყენების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური შეტევა. სხვა სახელმწიფოთა ბირთვული სტრატეგიის არსია, განიხილონ ბირთვული იარაღი, როგორც სტრატეგიული სტაბილურობის, ეროვნული და სამხედრო უსაფრთხოების გარანტი, პოტენციურ მოწინააღმდეგეთა შეკავებისა და დაშინების საშუალება.

სტრატეგიული ამოცანა – ეს არის დიდი ამოცანა, რომელიც წყდება ომის მსვლელობისას და რომლის შესრულებას შედეგად მოსდევს ვითარების მკვეთრი შეცვლა საომარი მოქმედების თეატრში. მას ასრულებს ჯარების და ძალების სტრატეგიული დაჯგუფება, რომელიც შედგება შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის გერთიანებებისა და შენაერთებისაგან.

სტრატეგიული გაშლა წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც განკუთვნილია საომარ მდგომარეობაზე შეიარაღებული ძალების გადაყვანის, ომის წარმოებისათვის შეიარაღებული ძალების დაჯგუფებათა შექმნისა და საომრად უშუალო მომზადების დასრულებისათვის.

სტრატეგიული გაშლა მოიცავს: შეიარაღებული ძალების გადაყვანას მშვიდობიანიდან საომარ მდგომარეობაზე, ჯარების სტრატეგიულ გადაჯგუფებას ქვეყნის სიღრმიდან და საომარი მოქმედების თეატრებს შორის, და სტრატეგიული რეზერვების გაშლას. იგი ვითარების, მიზნებისა და სხვა ფაქტორების კვალობაზე შეიძლება ხორციელდებოდეს ერთდროულად ან თანამიმდევრულად, ფარულად ან ღიად.

დროული სტრატეგიული გაშლის მისაღწევად ხორციელდება საგულდაგულო დაგეგმვა ომის გაჩაღების შესაძლო ხერხების გათვალისწინებით. ჯარების და ძალების

მუდმივი მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის შენარჩუნებით, ქვეყნის ტერიტორიის წინასწარი ოპერატიული მომზადებით, შეიარაღებული ძალების ყოველმხრივი უზრუნველყოფით, ჯარების და ძალების მართვის მწყობრი ორგანიზაციით და მათი საიმედო ოპერტიული დაფარვით.

სტრატეგიულ მიზანს უწოდებენ საომარი მოქმედების დასახულ შედეგს ომში, კამპანიაში, სტრატეგიულ ოპერაციაში, რომლის მიღწევა იწვევს სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული ვითარების ძირეულ ცვლილებებს, ხელს უწყობს ომის შემდგომ წარმატებულ წარმოებას და ძლევამოსილ დამთავრებას. დამოკიდებულია გლობალური და რეგიონული მასშტაბის სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე, საომარი მოქმედების თეატრში და ცალკეულ სტრატეგიულ მიმართულებებზე შექმნილ სტრატეგიულ ვითარებაზე, მათს ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებზე, შინაპოლიტიკურ მდგომარეობაზე მოპირისპირე მხარეების სახელმწიფოებში, შეიარაღებული ძალების პროფესიულ მომზადებასა და გამოყენებულ იარაღზე. სტრატეგიული მიზანი განისაზღვრება სახელმწიფოს და სახელმწიფოთა კოალიციის პოლიტიკური და სამხედრო-ხელმძღვანელობით.

ოპერატიული ხელოვნება წარმოადგენს შეიარაღებული ძალების სახეობათა გაერთიანების მიერ ოპერატიული მასშტაბის საომარი მოქმედების მომზადებისა და წარმოების თეორიას და პრაქტიკას, სამხედრო ხელოვნების შემადგენელ ნაწილს შუალედური მდგომარეობა უკავია სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის.

იგი ექვემდებარება სტრატეგიას, და თავის მხრივ, განსაზღვრავს ტაქტიკის განვითარების ამოცანებსა და მიმართულებებს.

იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ოპერატიული ხელოვნების შინაარსსა და განვითარებას, წარმოადგენენ: სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინა და სამხედრო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალების ტექნიკური აღჭურვილობა, არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის სწავლების სისტემა, შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა ხარისხი, უცხოეთის სახელმწიფოთა ჯარების და ძალების შეიარაღებით აღჭურვის დონე, აგრეთვე სხვადასხვა ფორმის საომარ მოქმედებაში ჯარების და ძალების გამოყენებაზე მათი შეხედულებების ცვლილებანი, საომარი მოქმედების თეატრის სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.

ოპერატიული ხელოვნების თეორიის ამოცანები მდგომარეობს მისი სტრუქტურის შემუშავებაში, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობის ოპერატიული ხელოვნების ზოგადი საფუძვლებითა და თეორიით: საერთო-საჯარისო ოპერატიული ხელოვნება; სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინაღო თავდაცვის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოპერატიული ხელოვნება; აგრეთვე სამხედრო-კოსმოსური ძალების ოპერატიული გამოყენებისა და ოპერატიული ზურგის თეორია.

შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობის ოპერატიული ხელოვნების თეორია ხელმძღვანელობს ზოგადი საფუძვლებით, ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების

თავისი სახეობის გაერთიანების და შენაერთის ორგანიზაციის, შეიარაღების, მოქმედების სფეროს სპეციფიკას, საბრძოლო შესაძლებლობებსა და ოპერატიული გამოყენების ხერხებს.

ზოგადი საფუძვლები განიხილავენ ზოგადთეორიულ დებულებებს; უმნიშვნელოვანეს კატეგორიათა შინარსს; ოპერატიული მასშტაბის საომარი მოქმედების ფორმების კლასიფიკაციასა და დამახასიათებელ ნიშნებს, მათი მომზადებისა და წარმოების პრინციპებს; საომარ მოქმედებაში შეიარაღებული ძალების სახეობათა გაერთიანების და შენაერთის როლს, ადგილსა და ამოცანებს და მათი შეთანხმებული გამოყენების ხერხებს, აგრეთვე ჯარების და ძალების მართვის საფუძვლებს.

ოპერატიული ხელოვნების ზოგადთეორიული დებულებანი განსაზღვრავენ ოპერატიული ხელოვნების არსს, შინაარსს, ადგილს და როლს სამხედრო ხელოვნებაში, მის საგანსა და სტრუქტურას.

ოპერატიული ხელოვნების პრაქტიკის ამოცანები გამოიხატება და ხორციელდება სარდლობის, შტაბების, მართვის სხვა ორგანოებისა და ჯარების და ძალების გაერთიანებების უშუალო საქმიანობაში საერთო-საჯარისო, საზღვაო, ერთობლივი და დამოუკიდებელი საბრძოლო მოქმედების მომზადებისა და წარმოებისათვის.

ოპერატიული მომზადება სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიული და ოპერატიულ-ტაქტიკური რგოლების მართვის ორგანოების და გენერლების, ადმირალების, ოფიცრების მომზადების ძირითადი სახეობაა.

ოპერატიული მომზადების მთავარი მიზანია: შეიძინონ მომზადების მონაწილეებმა ღრმა ოპერტიულ-სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური ცოდნა იმ უნარის გამომუშავებასთან შეხამებით, რომ ხორცი შეასხან მათ პრაქტიკულ საქმიანობაში და სხვადასხვა ვითარებაში; იყოლიონ მართვის ორგანოები მუდმივ მზადყოფნაში ჯარების და ძალების ხელმძღვანელობისადმი მათ მიერ ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტისას.

იგი მოიცავს სამხედრო სტრატეგიისა და ოპერატიული ხელოვნების თეორიული საფუძვლების; თავისი შეიარაღებული ძალების მშენებლობის, სამხედრო გეოგრაფიის, საომარი მოქმედების თეატრებისა და მათი გამართვის თავისებურებების; სხვა სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედების შესაძლო ხასიათისა და ხერხების შესწავლას და თანამდებობის პირთა პრაქტიკული ჩვევების სრულყოფას.

ოპერატიული მომზადება ითვალისწინებს აგრეთვე წვრთნებისა და სხვა იმ ღონისძიებების მომზადებისა და მოწყობის მეთოდიკის სწავლებას, რომლებიც ხორციელდება გენერლების, ადმირალების, ოფიცრებისა და ჯარების და ძალების მართვის ორგანოების მოსამზადებლად.

ოპერატიულ მომზადებაში გამოიყენება ოპერატიული შტაბების, გენერლების, ადმირალებისა და ოფიცრების სამეთაურო მომზადება სხვადასხვა საგანში; ჯგუფური სამეთაურო მეცადინეობანი და შეკრებები; სამეცნიერო მუშაობაში მონაწილეობა; გენერლების, ადმირალებისა და ოფიცრების მომზადება აკადემიებში და უმაღლეს

აკადემიურ კურსებზე; სამეთაურო-საშტაბო სამხედრო თამაშები და წვრთნები, მათ შორის, კომპიუტერული ვარჯიშები; ოპერატიულ-ტაქტიკური წვრთნები; ოპერატიული საველე გასვლები; სამობილიზაციო და სხვა სპეციალური წვრთნების, აგრეთვე ჯარების და ძალების მანევრები.

გაერთიანებას ოპერატიულ ამოცანას უსახავს ზემდგომი უფროსი ოფიცერი. დადგენილი ვადისათვის ოპერაციაში გარკვეული მიზნის მისაღწევად. ოპერატიული ამოცანის შესრულება ხელს უწყობს მთელი ოპერაციის წარმატებით მოწყობას.

ჯარების ოპერატიული გაშლა არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ჯარების და ძალების დაჯგუფებათა შექმნისა და დაწყობისათვის საომარი მოქმედების თეატრებში, სტრატეგიულ და საოპერაციო მიმართულებებზე.

მისი მიზანია უზრუნველყოს საომარი მოქმედების ორგანიზებული და დროული დაწყება, აგრესიის მოგერიება და ოპერაციების მოწყობა შეიარაღებული კონფლიქტების ლოკალიზაციისათვის. ხორციელდება, როგორც წესი, წინასწარ, ომის წინ, ხოლო მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმის შემთხვევაში – მისი დაწყებისთანავე. ოპერატიული გაშლა შეიძლება ხორციელდებოდეს ერთდროულად ან თანმიმდევრულად.

ოპერატიულ გამოყენებას უწოდებენ შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის, ჯარების გვარეობებისა და სპეციალური ჯარების ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების შერჩეულ ვარიანტს დედამიწაზე, ჰაერში და ზღვაზე, აგრეთვე სხვადასხვა სახეობათა რესურსების გამოყენებას ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის მიზით როგორც მშვიდობიან დროს საფრთხეშემცველ პერიოდში, ისე ომის მიმდინარეობისას.

ოპერატიული დაფარვა არის მოქმედება სპეციალურად გამოყოფილი ჯარებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელშემწყობ პირობებს პირველი ოპერატიული ეშელონის შენაერთების გაშლისა და პირველი ოპერაციების ორგანიზებული დაწყებისათვის. იგი არის ჯარების და ძალების ოპერატიული გაშლის შემადგენელი ნაწილი. მისი მიზანია, უზრუნველყოს საჭირო პირობები ძალების და ჯარების სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის, გაშლისა და ბრძოლაში ორგანიზებული შეყვანისათვის. მას ახორციელებენ სპაციალურად გამოყოფილი შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების საბრძოლოდ გამზადებული შენაერთები და ნაწილები შინაგან და სასაზღვრო ჯარებთან ერთად.

ოპერატიული დაწყობა წარმოადგენს ჯარების და ძალების და საერთო-საჯარისო გაერთიანების საშუალებების განლაგებას, მთლიანად და დაჯგუფებებში ადგილზე, ჰაერში და ზღვაზე გარკვეული სისტემით საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის.

ოპერატიული დაწყობა იქმნება ოპერაციის ჩანაფიქრის შესაბამისად და დამოკიდებულია ოპერატიული ვითარების პიროებებზე.

საერთო-საჯარისო გაერთიანების ოპერატიული დაწყობა შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი, ზოგჯერ უფრო მეტი ეშელონებისაგან, რომლებიც მოიცავენ საერთო-საჯარისო გაერთიანებებს, სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის, ავიაციის,

ჰაერსაწინაღო თავდაცვის ჯარების, სპეციალური ჯარების დაჯგუფებებს, საჰაერო, საზღვაო დესანტებს, მობილურ გადამღობ რაზმებს, სხვადასხვა დანიშნულების რეზერვებს, აგრეთვე ზურგის დაჯგუფებებს.

სამხედრო-საჰაერო ძალების და ჰაერსაწინაღო თავდაცვის ჯარების გაერთიანების ოპერატიული დაწყობა, როგორც წესი, მოიცავს ერთ ან რამდენიმე ეშელონს, რეზერვებსა და ზურგს.

ფლოტის ძალების ოპერატიული დაწყობა შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე დაჯგუფებას ოპერაციის ამოცანების გადასაწყვეტად ძალების უზრუნველმყოფ დაჯგუფებებს, ოპერატიულ რეზერვს და ზურგს.

თითოეული დაჯგუფება შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა გვარეობის ან ფლოტის ერთი გვარეობის ძალების შენაერთებისა და ნაწილებისაგან.აგრეთვე მოიცავდეს მათთან თანამოქმედ შენაერთებსა და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობათა ნაწილებს.

ოპერატიული პაუზა ეწოდება დროის შუალედს თავდაცვითს ან შეტევითს ოპერაციებს შორის ან ამ ოპერაციების დროს, რომლებიც თანმიმდევრულად ხორციელდება ერთ მიმართულებაზე. ოპერაციული პაუზის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 1-2 დღიდან რამდენიმე კვირამდე. ოპერატიულ პაუზას განაპირობებს ჯარების და ძალების არსებული დაჯგუფებების საბრძოლო შესაძლებლობების ზრდის ან ახალი დაჯგუფებების შექმნის, მატერიალურ საშუალებათა მარაგის, დანაკარგების შევსების და მომდევნო ოპერაციის მომზადების აუცილებლობა. შეტევით ან კონტრშეტევით ოპერაციებში საუკეთესო შედეგებს აღწევენ მინიმალური პაუზების დროს, ან, საერთოდ, ამ პაუზების არარსებობის პირობებში.

ოპერატიული ცნობა არის გაერთიანების და შენაერთის შტაბის საბრძოლო საანგარიშგებო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ვითარების ამსახველ მონაცემებს, ჩვეულებრივ, წინა დღე-ღამისას ან საბრძოლო მოქმედების პერიოდისას. ოპერატიულ ცნობაში გაშუქებულია: მთლიანად გაერთიანების და შენაერთის მოქმედების ხასიათი, მდგომარეობა და მდებარეობა; მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფება, მდგომარეობა და მოქმედების ხასიათი; საკუთარი შენაერთების ან ნაწილების მდებარეობა და მდგომარეობა ორი საფეხურით დაბლა; დანაკარგი და ნადავლ-ნაალაფევი; მატერიალური უზრუნველყოფა; მოკლე ცნობები მეზობლების მდგომარეობისა და მოქმედების, აგრეთვე სხვა მონაცემები საბრძოლო მოქმედების მიმდინარეობის შესახებ.

ტაქტიკას უწოდებენ სამხედრო ხელოვნების შემადგენელ ნაწილს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახეობების შეიარაღებული ძალების, ჯარების და ძალების გვარეობებისა და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების მიერ ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორისა და პრაქტიკას.

ტაქტიკის თეორია იკვლევს ბრძოლის კანონზომიერებებს, ხასიათსა და შინარსს; შეიმუშავებს მისი მომზადებისა და წარმოების ხერხებს.

ტაქტიკის პრაქტიკა მოიცავს მეთაორების, შტაბებისა და ჯარების და ძალების საქმიანობას ბრძოლის მომზადებისა და წარმოებისათვის.

მასში შედის: ვითარების მონაცემების მუდმივი შესწავლა; გადაწყვეტილების მიღება; ხელქვეითებისათვის ამოცანების დასახვა და თანამოქმედების ორგანიზაცია; ბრძოლის დაგეგმვა და ჯარების და ძალების მომზადება საბრძოლო ამოცანის შესრულებისათვის; ბრძოლის წარმოება და ქვედანაყოფებისა და ნაწილების მართვა; საბრძოლო მოქმედების ყოველმხრივი უზრუნველყოფა.

ტაქტიკის განვითარებაზე გამუდმებით ახდენს გავლენას შეიარაღებისა და ჯარების პირადი შემადგენლობის ხარისხის შეცვლა. ტაქტიკა დიალექტიკურ თანამოქმედებაშია ოპერატიულ ხელოვნებასა და სტრატეგიასთან, რომლის დებულებებითაც ხელმძღვანელობს.

ომის პრინციპები, სტრუქტურა და ზოგადი დებულებები

როგორც აღინიშნა, ომი სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი გზით მოუგვარებელი პრობლემების ძალისმიერი მეთოდით გადაწყვეტაა, რომელიც მთელი ეროვნული პოტენციალის, ან მისი ნაწილის გამოყენებით წარმოებს.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პიროვნებამ სხვადასხვანაირად გადმოსცა ომის არსი. ჩვენ, კრებსითი ფორმით და შინაარსით, კვლავაც შევეხებით ომის პრინციპებს, როგორც შეიარაღებული ბრძოლის ძირითად სახეობებს [10].

თუ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი მნიშვნელოვანი უთანხმოებების გადაჭრა მშვიდობიანი გზით ვერ ხერხდება, ქვეყნები ომის გზას მიმართავენ. შეიძლება ითქვას, რომ თუ ქვეყნები არ იმყოფებიან ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში, არის მშვიდობა. ამასთან ერთად, პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება სრული საომარი, ან სრული მშვიდობის მდგომარეობა. სამხედრო ძალის სხვადასხვა ფორმებით გამოყენების საჭიროება შეიძლება წარმოიშვას ამ ორ, საპირისპირო მდგომარეობას შორის არსებულ ნებისმიერ მონაკვეთში, თვით მშვიდობიანობის მდგომარეობად მიჩნეულ ვითარებაშიც კი.

საბრძოლო მოქმედება არის:

— საომარი მოქმედებების მსვლელობისას ორი მხარის შეიარაღებულ ძალებს შორის განხორციელებული ყოველი შეტაკება;
— საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას, განსაზღვრულ დროსა და ადგილზე წარმოქმნილი შეტაკება;
— რაიმე საფრთხის საპირისპიროდ, ერთი ან მეტი სახეობის შეიარაღების სისტემის გამოყენება;
— ორ ან მეტ დაპირისპირებულ მხარეს შორის წარმოქმნილი შეიარაღებული შეტაკება.

ომი ზოგადი ცნებაა და გულისხმობს მხარეებს შორის არსებული, მშვიდობიანი გზით გადაუწყვეტელი პრობლემის მოგვარების მიზნით, დაპირისპირებული მხარეების შეიარაღებული ძალების შეტაკებას, ან შეიარაღებული ძალების აქტიურ საბრძოლო

მოქმედებებში ჩაურთველად, ეროვნული პოტენციალის, როგორც ზეწოლის საშუალების, გამოყენებას. საბრძოლო მოქმედება კი ომის მსვლელობისას მხარეების სამხედრო ძალების საცეცხლე შეტაკებაა.

შესაბამისად, ომი ყოველთვის არ მოითხოვს სამხედრო ძალების ჩართვას აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში, მაშინ როდესაც საბრძოლო მოქმედებები სამხედრო ძალების უცილობელ შეტაკებას გულისხმობს. სხვაგვარად, საბრძოლო მოქმედებები – ეს არის ორი მხარის შეიარაღებული ძალების ურთიერთდაპირისპირებით წარმოებული საომარი მოქმედებების შემადგენელი ეტაპი ან ეტაპები.

სახელმწიფოთაშორისი უთანხმოებების გადაწყვეტა ძალადობის გამოყენებით, კონფლიქტის ხელსაყრელობის არსის თვალსაზრისით, სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. საომარი მოქმედებები წარმოებს სხვადასხვა გარემოში და ერთმანეთისაგან განსხვავდება მიმდინარეობის ფორმის, მიზეზებისა და მიზნების მიხედვით.

ქვეყნები, ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, აქტიური საბრძოლო მოქმედებების მასშტაბურ ომად გადაზრდის საშიშროების გათვალისწინებით, ახორციელებენ ფარულ ან ღია ღონისძიებებს, ან საომარ მოქმედებებს აგრძელებენ განსხვავებულ გარემოში.

კლასიფიცირდება შემდეგ სახეობათა სამხედრო მოქმედება:

– ცივი ომი;

– შეიარაღებული ომი:

– შეზღუდული ომი;

– ფართომასშტაბიანი ომი;

– სპეციალური საომარი მოქმედებები.

ცივი ომის ეს სახეობა გამოიყენება მოპირისპირე მხარის წინააღმდეგობისა და ნების გატეხვის მიზნით და ხორციელდება პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებითა და საფრთხის ჩვენებით. სხვაგვარად, ეს არის ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად, შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაურთველად, ეროვნული პოტენციალის შემადგენელი კომპონენტების მეშვეობით წარმოებული დაპირისპირება. ასეთი დაპირისპირებისას შეიარაღებული ძალები გამოიყენება ისეთი მოქმედებების განსახორციელებლად, როგორიცაა ძალის დემონსტრირება, გადაწყვეტილების შეცვლის იძულება და მუქარა.

შეიარაღებული ომი – ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, შეიარაღებული ძალების გამოყენებით განხორციელებული საბრძოლო მოქმედებაა.

შეზღუდული ომი ორი ან მეტი ქვეყნის ან ერის შეიარაღებულ ძალებს შორის პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის კონფლიქტია, რომელიც არ გადაიზრდება ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებად. ისეთი თავისებურების გათვალისწინებით, როგორიცაა მონაწილე მხარეები, მიზნები, გამოყენებული შეიარაღება, მოქმედების

არეალი ან მონაწილე ძალები, ეს ომი შესაძლებელია დახასიათდეს, როგორც შეზღუდული მასშტაბის მოქმედებები.

ფართომასშტაბიანი ომი შეიარაღებული შეტაკებაა, სადაც შეუზღუდავად გამოიყენება დაპირისპირებული ქვეყნების, ან კოალიციების ეროვნული პოტენციალი. ფართომასშტაბიანი ომის თავისებურება ის არის, რომ არ არსებობს ძალების გამოყენებაში შეზღუდვა და მსოფლიოს ყველა სახელმწიფო მისი ზემოქმედების ქვეშ ექცევა.

სპეციალური საომარი მოქმედებები – მოწინააღმდეგე ქვეყანაში ანარქიის, ტერორისა და სამხედრო გადატრიალების ინსპირირებისა და გახანგრძლივების, ან მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე წინააღმდეგობის მოძრაობის ხელშემწყობი და სხვა სპეციალური ოპერაციებია.

საომარი ველი – სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების ერთობლიობაა, რომელიც უშუალოდ არის, ან შესაძლებელია იქნას დაკავშირებული საომარი მოქმედებების მართვასთან. მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილებია ოპერაციის რაიონი და შიდა ტერიტორია. საჰაერო სივრცეც ძირითადად ამ დაყოფას შეესაბამება.

მცირემასშტაბიან და ხანმოკლე შეტაკებებში საომარ ველად მიიჩნევა მხოლოდ ოპერაციისათვის გამოყენებული გეოგრაფიული რაიონი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი შეტაკებების შემთხვევაში კი – ქვეყნის მთელი ტერიტორია.

ოპერაციის რაიონი – საომარი ველის ნაწილია, რომელიც საჭიროა სამხედრო ოპერაციისა და მასთან დაკავშირებული ბრძოლის უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის. ოპერაციის რაიონის გეოგრაფიულ საზღვრებს ადგენს გენერალური შტაბი, რომელსაც უნდა გააჩნდეს საკმარისი სივრცე მანევრის, უსაფრთხოების, ტრანსპორტირებისა და ბრძოლის უზრუნველყოფისათვის.

სახმელეთო ოპერაციის თვალსაზრისით, როგორც წესი, ოპერაციის რაიონი იყოფა ბრძოლის ველად და მიწვდომის მანძილად. ამ შემთხვევაში მიწვდომის მანძილსა და შიდა ტერიტორიას შორის იქმნება მომარაგებისა და ევაკუაციის ჯაჭვის შემადგენელი რგოლი. მაგრამ თუ ბრძოლის ველი ესაზღვრება შიდა ტერიტორიას, ან მისი საზღვრის სიახლოვეს მდებარეობს, საჭირო აღარ არის მიწვდომის მანძილის დადგენა.

ბრძოლის ველი სახმელეთო ძალების სამანევრო ქვედანაყოფების რეალური საომარი მოქმედებების ადგილია. ის მოიცავს საბრძოლო მოქმედებისათვის განსაზღვრული ძალების ოპერაციებისთვის საჭირო რაიონს.

ბრძოლის ველი, როგორც წესი, იყოფა ბრიგადის, დივიზიის, კორპუსისა და არმიის რაიონებად.

ომების მართვაში გამოყენებული მრავალი მეთოდის შესწავლა და თავისი ხასიათით ერთმანეთთან ახლოს მყოფი საომარი მოქმედებების გამოცდილება, მათი მეშვეობით ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება და პრაქტიკული გამოყენება მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ომის საბოლოო მიზნების მიღწევაზე.

გარდა ამისა, აღნიშნული პრინციპები განმსაზღვრელ ფაქტორს წამოადგენენ იმ სტრუქტურების ორგანიზებაში, რომლებმაც უნდა განახორციელონ ესა თუ ის მოქმედება. შესაძლებლობები მუდმივად უნდა ვითარდებოდეს მიზნებისა და სათანადო პრინციპების შესაბამისად.

ომების ისტორია თვალნათლივ წარმოგვიჩენს იმ პიროვნებებს, რომელთაც ომის პრინციპების სათანადო გამოყენებით, წარმატებებს მიაღწიეს, აგრეთვე, იმ არმიების მდგომარეობასაც, რომელთა სარდლებმაც პრაქტიკაში ვერ გამოიყენეს ომის პრინციპები. ბუნებრივია, რომ სარდლის წარმატება ან წარუმატებლობა სახელმწიფოების გამარჯვების ან დამარცხების მიზეზია.

ომის ოპერატიული პრინციპების თვალსაზრისით, ურთიერთდა-პირისპირებული ორი შეიარაღებული ძალის, ან კოალიციური ძალების ყოველმხრივი გაანალიზებისას, ყოველთვის შესაძლებელია დავინახოთ, რომ გამარჯვებული ქვეყნის მოქმედებები უფრო მეტად შეესაბამებოდა ომის პრინციპებს, ვიდრე დამარცხებული ქვეყნისა. ისტორიის მანძილზე ყოველმა შეიარაღებულმა ძალამ საბრძოლო ოპერაციები, რომელშიც ის მონაწილეობდა, დაუკავშირა თავისსავე ჩამოყალიბებულ პრინციპებს. სამხედრო საქმის თეორეტიკოსებმა, შეისწავლეს რა ეს პრინციპები, გარკვეული ფორმულა ჩამოაყალიბეს.

ყურადღებით თუ განვიხილავთ სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინებში სხვადასხვა სახით ჩამოყალიბებულ ამ პრინციპებს, ისინი თავს მოიყრიან ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი პრინციპების გარშემო:

- მიზნის პრინციპი;
- შეტევის პრინციპი;
- მანევრირების პრინციპი;
- ძირითადი ძალდატანების პრინციპი;
- ძალების დაზოგვის პრინციპი;
- სიმარტივის პრინციპი;
- ძალისხმევის ერთიანობის პრინციპი;
- ზნეობრივი პრინციპი.

ეს პრინციპები ქმნიან შეიარაღებული ძალების დოქტრინის საფუძველს. პრინციპები განიხილება, როგორც საბრძოლო ოპერაციის ყოველი ეტაპის განხორციელების გზისა და მიმართულების მაჩვენებელი ძირითადი მოსაზრებები.

პრინციპები საბრძოლო ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების საწყისი წერტილია, თუმცა ნაჩვენები გზა შესაძლოა იქნეს მიღებული, ან უარყოფილი და მისი შესრულება დამოკიდებულია არსებულ ვითარებაზე. პრინციპებს შორის პრიორიტეტი არ არსებობს. ეს პრინციპები უნდა განიხილებოდეს არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არამედ მთლიანად, ერთიანობაში.

პრინციპები არ არის რაიმე დოგმა. შეუძლებელია ყოველი ვითარებისა და ოპერაციისათვის მისი უცვლელად მისადაგება.

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სამხედრო პოტენციალი სხვადასხვა ფორმით გამოიყენება. სამხედრო პოტენციალი მოწინააღმდეგის ნების გატეხვის, მისი დატყვევების, ან განადგურების საშუალებაა და არ შემოიფარგლება მხოლოდ ძალის გამოყენებით. ომის პრინციპები პრაქტიკულად ხორციელდება ყველა სამეთაურო დონეზე.

ყოველი სამხედრო ოპერაცია მიმართული უნდა იყოს ისეთი მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ გადამწყვეტი შედეგების მიღებას და რომელთა განხორციელება რეალურად შესაძლებელია.

მიზნის პრინციპის საფუძვლები წარმართავს მთელ სამხედრო საქმიანობას. რაიმე ამოცანის მიღებისას მეთაურები წინასწარ უნდა ხედავდნენ მოსალოდნელ შედეგებსა და ეფექტებს. სტრატეგიულ დონეზე ეს ნიშნავს მკაფიოდ წარმოსახვას იმისა, თუ როგორი იქნება მსოფლიო ომის შემდეგ.

როგორც კლაუზევიცი განსაზღვრავს, „იმის გაუცნობიერებლად, თუ რას მოიგებს ომის შედეგად, ან მხოლოდ პიროვნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ომი არავინ არ უნდა დაიწყოს“. სწორედ ეს არის ის საბოლოო პოლიტიკური მდგომარეობა, რომლის მიღწევაც სასურველია.

სტრატეგიულ დონეზე სარდლებმა სრულყოფილად უნდა შეაფასონ, თუ რა წვლილს შეიტანს მიღწეული სამხედრო ვითარება პოლიტიკური მდგომარეობის არსში.

ოპერატიული და ტაქტიკური დონის მიზნები ისე უნდა განისაზღვროს, რომ მან ხელი შეუწყოს ზემდგომი შტაბების მიერ დადგენილი მიზნების განხორციელებას.

შუალედური მიზნები უშუალოდ უნდა უწყობდეს ხელს სასურველი პოლიტიკური მდგომარეობის სწრაფად და ეკონომიურად მიღწევას.

მიზნის სწორად შერჩევას, ყველა სხვა თვალსაზრისთან შედარებით, გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რის გამოც ამ პრინციპს ღირსეულად უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი ომის სხვა პრინციპებს შორის. ისტორიის მრავალი მაგალითი გვიჩვენებს, რომ მისი გაუთვალისწინებლობა, სულ მცირე, დაგვიანების მიზეზი გამხდარა.

მაგალითად, 1941 წელს, საბჭოთა კავშირზე თავდასხმისას, გერმანიამ ძირითად მიზნად შეარჩია საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, მაგრამ ამ წლის განმავლობაში გერმანიამ გადამწყვეტ შედეგებს ვერ მიაღწია. 1942 წლის ზაფხულზე ჰიტლერმა დატოვა მოწინააღმდეგის მოსკოვთან განლაგებული ძირითადი ძალები და შეტევა მიმართა გეოგრაფიული მიზნებისაკენ – სტალინგრადი და კავკასია. ამგვარად, ჩრდილოეთით თავისუფლად დატოვებულმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა სტალინგრადის მისადგომებთან დაამარცხეს გერმანელები, რაც მიზნის პრინციპის უგულებელყოფის ნათელი მაგალითია.

შეტევის პრინციპი გულისხმობს ინიციატივის ხელში ჩაგდებას, მის შენარჩუნებას ოპერაციის განმავლობაში და მიღწეული წარმატების განვითარებას.

შეტევითი ოპერაცია მნიშვნელოვანია გადამწყვეტი შედეგების მისაღებად. შეტევა წარმატების საფუძველია. საბრძოლო ოპერაციის ხასიათის, მასშტაბისა და ტემპის

მოწინააღმდეგისათვის იძულებით თავსმოხვევის მიზნით, სხვადასხვა სახის შეტევითი ოპერაციები გამოიყენება. შეტევა მოწინააღმდეგეს არა მოქმედებას, არამედ რეაგირებას აიძულებს. შეტევა მოწინააღმდეგისათვის ჩვენი მიზნების იძულებით თავსმოხვევის საშუალებაა და უზრუნველყოფს წარმატების მიღწევისათვის საჭირო მოქმედების თავისუფლებას. მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების გამოყენება, ვითარების სწრაფი ცვლილება და მოულოდნელობა მუდმივ მზადყოფნას მოითხოვს.

კლაუზევიცის აზრით, „ომში მთავარია, გამუდმებით აყენებდე ზიანს მოწინააღმდეგეს“. რთულია იმის წარმოდგენა, თუ როგორ უნდა მიაყენო მოწინააღმდეგეს ზიანი შეტევის გარეშე.

შეტევა უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ შეტევის მიზნით, არამედ ამისათვის ხელსაყრელი პირობები უნდა შეიქმნას.

მანევრირება – ეს არის საომარი პოტენციალის მიზანმიმართული გამოყენება და მოწინააღმდეგის ჩაყენება მისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაში.

მანევრი ბრძოლის დროს არის ჯარის ორგანიზებული ტაქტიკური მოქმედება, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის მიმართ ხელსაყრელი მდგომარეობის დაკავება. მანევრი ბრძოლის შემადგენელი დინამიკური ელემენტია. ის უზრუნველყოფს მოწინააღმდეგის მოქცევას მისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაში, საომარი პოტენციალის ერთ წერტილში თავმოყრასა და საბოლოო მიზნამდე მიღწევას დანაკარგების გარეშე.

ეფექტური მანევრი მოწინააღმდეგეს აყენებს ახალი საფრთხეებისა და ისეთი სირთულეების წინაშე, რომლის სწრაფად გადაწყვეტა შეუძლებელია, და ამით არღვევს მისი ძალების ბალანსს. ოპერაციის მიმდინარეობისას მანევრი მოქმედებათა თავისუფლების, დანაკარგების შემცირებისა და მიღწეული წარმატების განვითარების ძირითადი საშუალებაა.

მანევრი არ გულისხმობს მხოლოდ ცეცხლის წარმოებასა და ადგილის შეცვლას. ეს არის საომარი პოტენციალის ყველა კომპონენტის, ცეცხლის, დინამიკურობისა და მოქნილობის პრაქტიკული განხორციელება. მანევრირება მოითხოვს სწრაფ გააზრებას, დაგეგმვისა და განხორციელების სიმარტივეს, ძირითადი დარტყმის, ძალების დაზოგვისა და მოულოდნელობის პრინციპების სათანადოდ გამოყენებას.

ძირითადი ძალდატანების მიმართულების პრინციპი – ეს არის საომარი პოტენციალის თავმოყრა გადამწყვეტი შედეგების მისაღებ ადგილზე და საჭირო დროს.

მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებისა და ხელსაყრელი ვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველი საბრძოლო ერთეული ახორციელებს საომარი პოტენციალის კონცენტრირებას. ძირითადი ძალდატანების დროულად წარმოება, სამხედრო პოტენციალის ფიზიკური, მორალური და ინფორმაციული ეფექტის დროული თავმოყრა უზრუნველყოფს მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას. ფიზიკური წერტილების მოწესრიგებული კომბინაციების საპირისპიროდ, ერთ წერტილში ძალების კონცენტრაცია ზრდის საომარი პოტენციალის ეფექტურობას.

კონცენტრაცია არ ნიშნავს ყურადღების თავმოყრას ერთ ან ორ წერტილში. მეთაურები უპირატესობას ანიჭებენ მოწინააღმდეგის დასაზიანებელი წერტილების კომბინაციების სწორად შერჩევას, რომლის მიზანია მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის დარტყმის მიყენება. აღნიშნული ობიექტების დაკარგვა ანადგურებს მოწინააღმდეგის ოპერაციის მდგრადობას. თუ ეს მიზნები თავს მოიყრიან შეზღუდულ რაიონში, ისინი ადგილსა და დროში კონცენტრირებული შეტევის წინაშე უძლურნი ხდებიან, ხოლო თუ დანარჩენი ობიექტები გაფანტულია ბრძოლის ველზე, მათი განადგურება შესაძლებელია დროში კონცენტრირებული მომდევნო შეტევით.

სხვა პრინციპებთან ერთად, ძირითადი ძალდატანების პრინციპის, სათანადოდ განხორციელება მოწინააღმდეგესთან შედარებით მცირერიცხოვან ქვედანაყოფებს საბრძოლო უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას აძლევს. ამ პრინციპის ყველაზე ერთგული მიმდევრის, ნაპოლეონის აზრი ასეთია: „ომის ხელოვნება შესაძლებელია ერთადერთ პრინციპზე დავიყვანოთ. ეს არის ერთ წერტილში მტრის ძალებზე ჭარბი ძალების თავმოყრის პრინციპი“.

ძალების დაზოგვის პრინციპი გულისხმობს არსებული საომარი პოტენციალის უმთავრესი ნაწილის გამოყოფას ძირითადი ამოცანისათვის, ხოლო მინიმალური საომარი პოტენციალის განსაზღვრას მეორეხარისხოვანი ამოცანისათვის. ძალების დაზოგვის პრინციპი თავიდან აგვაცილებს ძალისხმევის არამიზნობრივ ხარჯვას. როგორც კლაუზევიცი განსაზღვრავს, „შეტევის დროის დადგომისთანავე ყველა ერთეული უნდა ამოქმედდეს გადამწყვეტი შედეგის მისაღებად“.

ძალების დაზოგვის პრინციპი ძალისხმევათა კონცენტრირების პრინციპის საპირისპიროა. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს შემდეგში: როდესაც ამოცანის შესრულების მიზნით ხორციელდება ძირითადი ძალების კონცენტრაცია დაგეგმილ წერტილში ან წერტილებში, სხვა მოშორებულ წერტილებში საჭიროა მინიმალური ძალების გამოყენება. ძალების დაზოგვის პრინციპი, გადაწყვეტილების მიღებისას, გულისხმობს გარკვეულ რაიონებში გონივრული რისკის გაწევას უპირატესობის მოპოვების მიზნით.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის რვა არმიიდან შვიდის გამოყოფა საფრანგეთის ოკუპაციის, ხოლო ერთი არმიისა – აღმოსავლეთ პრუსიის დაცვისაათვის, ძალების დაზოგვის ერთი ჩვეულებრივი მაგალითია.

სიმარტივის პრინციპი – ეს არის მარტივი, მკაფიო გეგმების შედგენა და ყველასათვის გასაგები ბრძანებების გაცემა. ყველა დონის გეგმა და ბრძანება უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი და ლაკონური. მკაფიო ბრძანებას მინიმუმამდე დაჰყავს დასახული ამოცანის წარუმატებლობა. ყველა რანგის მეთაური ვალდებულია, ბრძანებისა და გეგმების შედგენისას გაითვალისწინოს ყველა შესაძლო ვითარება და არახელსაყრელი გარემოებანი.

ისტორიაში მრავლად არის უმაღლესი სარდლობის მიერ გაცემული მარტივი და ლაკონური ბრძანებების მაგალითი. ერთი მათგანია მე-8 არმიის სარდლის, გენერალ

უოლტონ უოლკერის მიერ 1950 წელს კორეაში გაცემული ბრძანება – „სდიეთ მტერს და გაანადგურეთ.“

მოულოდნელი შეტევა უზრუნველყოფს ძალების ნაკლები დანახარჯით არსებულზე მეტი წარმატების მოპოვებას.

მოუმზადებელ მდგომარეობაში მყოფ მოწინააღმდეგეზე შეტევა ხორციელდება მოულოდნელი თავდასხმით. ყოველივე ზემოთ თქმულის უზრუნველსაყოფად საჭიროა მოსალოდნელი მოქმედებების შესახებ მოწინააღმდეგის დეზინფორმირება, ან ინფორმირება იმ დონეზე, რომ მოკლე დროში ვერ მოახერხოს ჩანაფიქრის ამოცნობა. მოულოდნელი თავდასხმის თანმხლები ფაქტორებია სისწრაფე, მოულოდნელი სისტემების გამოყენება, დეზორიენტაციის მანევრები, ოპერაციის უსაფრთხოება და ოპერაციის სხვადასხვა ტაქტიკა და ტექნიკა. მოულოდნელი თავდასხმის განხორციელება შესაძლებელია მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელ ადგილზე და დროს, მოულოდნელი ძალების გამოყენებით.

მოულოდნელი თავდასხმა ხორციელდება ოპერაციის ყოველ ეტაპზე. მოწინააღმდეგის ძალებზე განხორციელებული მოულოდნელი თავდასხმა ერთიორად ზრდის საბრძოლო მოქმედებათა ეფექტურობას. მომარაგებისა და მომსახურების საქმიანობაში გამომუშავებული წესების ხშირი შეცვლით შესაძლებელია მოწინააღმდეგის საჰაერო და სახმელეთო დაზვერვისა და დარტყმების ეფექტიანობის მაქსიმალური შემცირება, ან საერთოდ გამორიცხვა.

მოულოდნელობის პრინციპისაგან მაქსიმალური შედეგის მისაღებად მთავარია, ძირითადი ძალდატანების მიმართულება და თავდასხმა წარმატებით განხორციელდეს ისეთი ადგილმდებარეობის გამოყენებით, სადაც ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეუძლებელია.

ძალისხმევის ერთიანობის პრინციპი კოორდინაციისა და ერთობლივი მუშაობის მეშვეობით ერთიანი მართვის უზრუნველყოფაა.

ძალისხმევის ერთიანობის პრინციპის არსია ყველა სახის ძალების გამოყენება სახმელეთო ძალების საომარი პოტენციალის განვითარებისა და მისი მთავარი მიმართულებით წარმართვისათვის. ძალისხმევის ერთიანობის პრინციპი მთელ სამხედრო და სამოქალაქო პოტენციალს საერთო მიზნისაკენ წარმართავს. ეს პრინციპი ბრძოლის ველზე განხორციელებული ოპერაციისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. საომარი საშუალებების ფლობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მათი გამოყენება დასახული მიზნის შესაბამისი, სასურველი ეფექტის მისაღებად. ურთიერთმხარდაჭერის უზრუნველსაყოფად მეზობელი ქვედანაყოფების მეთაურები ცდილობენ სრულყოფილად გამოიყენონ საკუთარი საშუალებები. მეთაურები თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებს ინაწილებენ ისე, რომ მოხდეს სახიფათო მიმართულებების ურთიერთგადაფარვა. მართვის ერთიანობა ძალისხმევის ერთიანობის პრინციპის მნიშვნელოვანი შემავსებელი ელემენტია. საერთო მიზნისათვის მოქმედი ძალების კოორდინირებისა და წარმართვისათვის, საჭირო ავტორიტეტისა და

უფლებამოსილების ერთი მეთაურისათვის მინიჭება ძალისხმევის გაერთიანებისაკენ გადადგმული პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

უსაფრთხოების პრინციპი არის მოწინააღმდეგისათვის უპირატესობის ხელში ჩაგდების თავიდან აცილების ღონისძიებების ერთობლიობა. უსაფრთხოება საჭიროა საომარი პოტენციალის დაცვისათვის. უსაფრთხოება – ეს არის საკუთარ ძალებზე მოწინააღმდეგის მოულოდნელი თავდასხმის, თვალთვალის, აღმოჩენის, ჯაშუშობის, ბრძოლაში ჩათრევის ან საბოტაჟისაგან თავდაცვის მიზნით, მეთაურის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგი. გარდა ამისა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლებელია მოწინააღმდეგის ძალისხმევის დანაწევრებისა და მასში კონტროლის მოშლის მეშვეობით.

ოპერაციის გეგმის სწრაფი განხორციელება ხელს უწყობს უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ზოგ შემთხვევებში აუცილებელია მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა გაბედული გადაწყვეტილებების მიღების გზით. ამ დროს უსაფრთხოების პრინციპის დაცვას შესაძლებელია ნაკლები ყურადღება დაეთმოს. ოღონდ ეს უნდა განიხილებოდეს უსაფრთხოების გარკვეულ მომენტამდე ხელშემწყობ ზოგიერთ საკითხთან ერთად. ასეთი შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის ინერტულობა, ტაქტიკური დაფარვა და დეზორიენტაციის ეფექტურობა, მანევრირების საშუალება და სხვა.

ზნეობა განსაზღვრავს საომარი სულისკვეთების ჩამოყალიბებას, შენარჩუნებასა და განვითარებას.

ბრძოლა ძირითადად წარმოადგენს შეტაკებაში მონაწილე ჯარისკაცებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო სულისკვეთებაზე დაფუძნებულ ადამიანურ ძალისხმევას. ყველა დონის ლიდერი ვალდებულია ჩაწვდეს ქვედანაყოფის საომარი სულისკვეთების მნიშვნელობას, რომელიც აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს, შენარჩუნდეს და განვითარდეს.

ჯარისკაცებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო სულისკვეთებას მუდამ სჭირდება ზნეობრივი წყარო. მაღალი ზნეობა ვითარდება რეალური და გულმოდგინე განსწავლით. ის უზრუნველყოფს ლიდერის, მოვალეობისა და აღჭურვილობისადმი ნდობას, თუმცა ოპერაციის ხანგრძლივობა, საფრთხე და სირთულე ამცირებს სულისკვეთებას. საკმარისი კვებისა და დასვენების, დასმული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის საჭირო საშუალებების უზრუნველყოფით შესაძლებელია საომარი სულისკვეთების შენარჩუნება. ლიდერებმა ყველა ღონეს უნდა მიმართონ, რათა აამაღლონ თავიანთი ქვედანაყოფების საომარი განწყობა. წარმატება აძლიერებს ჯარისკაცებს და ასუსტებს მოწინააღმდეგეს. ძალიან ძნელია მოწინააღმდეგის საომარი ნებისყოფის შეფასება. ღონისძიებები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მოწინააღმდეგის მორალურ მდგომარეობაზე, ამცირებენ მის ძალებსა და სიმტკიცეს და აყალიბებენ პირობებს დამარცხებისათვის.

ომის დონეები და სამხედრო ძალა

ომის დონეებით ირკვევა ურთიერთობები სტრატეგიულ მიზნებსა და ტაქტიკურ მოქმედებებს შორის, თუმცა შეუძლებელია მათ შორის ზღვარის გავლება. არსებობს ომის სამი დონე: სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური. მათ შორის კავშირის განსაზღვრით მეთაურები ცხადყოფენ ლოგიკურ თანამიმდევრობას, ანაწილებენ რესურსებს და ახორციელებენ ამოცანებს. მოქმედებათა დონე არ განისაზღვრება განსაკუთრებული დონის ბრძანებით, ქვედანაყოფის ფორმით, აღჭურვილობისა და შეიარაღებული ძალების ტიპით. სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მიზნების მისაღწევად ხორციელდება სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მოქმედებები.

სტრატეგიულ დონეს განსაზღვრავენ ეროვნული თავდაცვის მიზნები, რომლებიც ეროვნული რესურსების გამოყენებით ხორციელდება. სტრატეგია არის შეიარაღებული ძალების განვითარებისა და გამოყენების ხელოვნება და მეცნიერება. ეროვნული მმართველობა თავის პოლიტიკას აკავშირებს ეროვნულ სტრატეგიულ სამხედრო მიზნებთან. სამხედრო სტრატეგია, რომელსაც პოლიტიკა განსაზღვრავს, ყველა სამხედრო ოპერაციის ბაზისია.

ოპერატიული ხელოვნება არის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ოპერაციების მართვა და განხორციელება საბრძოლო მოქმედებათა რაიონში. საბრძოლო ოპერაციათა სამართავად აუცილებელია ოპერატიული ხელოვნების დაუფლება – შეიარაღებული ძალების გამოყენება ოპერაციებში, ბრძოლებსა და გადაადგილების დროს.

ლაშქრობა არის სამხედრო ოპერაციათა სერია, რომელსაც საფუძვლად უდევს სტრატეგიული და ოპერატიული მიზნების განხორციელება მოცემულ დროსა და სივრცეში. მთავარი ოპერაციები არის სხვადასხვა შეიარაღებული ძალების მიერ მართული მოქმედებების სერია ოპერატიული და ზოგჯერ ტაქტიკური მიზნების მისაღწევად. ასეთი მოქმედებები ხორციელდება ერთდროულად ან თანამიმდევრულად. მათ მართავს მხოლოდ ერთი მეთაური. ოპერატიული ხელოვნება განსაზღვრავს, როდის და სად უნდა იმოქმედონ მთავარმა ძალებმა, მათ შორის, ბრძოლის დაწყებამდე მოწინააღმდეგის დისლოკაციის ადგილებში ზეგავლენის მოსახდენად. ოპერატიულ ხელოვნებას დაუფლებული სარდლობა მართავს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნას ბრძოლაში, მათ შეტევასა და უკან დახევას.

საბრძოლო ოპერაციების განხორციელებისას დროსა და სივრცეს მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ტაქტიკას. სტრატეგიული ორიენტაციისათვის საჭიროა მეთაურები არსებულის გარდა, მომავალ ვითარებასაც ჭვრეტდნენ.

ტაქტიკური მეთაურები მოქმედებენ მიმდინარე ბრძოლაში. ჯარების მეთაურები ღრმად უნდა ერკვეოდნენ დროში, სივრცესა და ვითარებაში. ისინი ცდილობენ, წინასწარ შექმნან პირობები სავარაუდო ვითარების საპასუხოდ. ამ დროს მათი თანაშემწეები ტაქტიკური სვლებით ახორციელებენ გადაადგილებას. ჯარების

სარდლობა წინასწარ ხედავს ბრძოლების შედეგებს და ცდილობს მოიპოვოს უდიდესი უპირატესობა.

ოპერატიული ხელოვნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საბრძოლო ოპერაციათა გეგმა. კარგად შედგენილი გეგმა და წარმატებით შესრულებული ოპერაცია ქმნის ვითარებას ტაქტიკური მოქმედებების განსახორციელებლად. გონივრულად შედგენილი გეგმა ზრდის ტაქტიკური წარმატების შანსს. ამის საფუძველია საკუთარი ძალების უპირატესობა. სრულყოფილი გეგმა ტაქტიკურ მეთაურებს აძლევს თავისუფლად მოქმედების საშუალებას.

ტაქტიკური წარმატების გარეშე შეუძლებელია ბრძოლის მიზნის მიღწევა. ოპერატიულ ხელოვნებას დაუფლებულ მეთაურებს მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ შეადგინონ საბრძოლო მოქმედებათა ისეთი გეგმა, რომლის განხორციელებაც მაქსიმუმამდე აიყვანს ბრძოლაში წარმატებების შანსს. თუ საბრძოლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული არ არის ტაქტიკური წარმატება, ბრძოლებში დახარჯული რესურსები ვერ უზრუნველყოფენ საბრძოლო წარმატებას. ჯარების მეთაურმა უნდა იცოდეს, რომელი საბრძოლო მოქმედებაა შესასრულებული. იგი სარგებლობს ხელსაყრელი შემთხვევით და ახორციელებს ტაქტიკურ მანევრს, რაც ხელს უშლის მოწინააღმდეგის მიერ საბრძოლო ინიციატივის ხელში ჩაგდებას. ჯარების მეთაურს სჭირდება ოპერატიული და ტაქტიკური გამოცდილება. გამოცდილება მას აძლევს ცოდნას და უყალიბებს ინტუიციას.

ოპერატიული ხელოვნების დაუფლება მეთაურებს საშუალებას აძლევს პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს:

- როგორი პირობები უნდა შეიქმნას ბრძოლის სტრატეგიული მიზნის მისაღწევად;
- მოქმედებათა მანევრირების რა თანამიმდევრობის დაცვაა საჭირო ამ პირობებში;
- რამდენად მომგებიანია მანევრირების ასეთი თანამიმდევრობის დაცვა.

ტაქტიკა არის შენაერთის გამოყენება ბრძოლაში. ეს ნიშნავს ქვედანაყოფების მიერ ურთიერთშეთანხმებული მანევრების შესრულებას. ბრძოლა არის ურთიერთშეთანხმებული მანევრები, რომელიც გრძელდება უფრო დიდხანს, ვიდრე ერთი საბრძოლო ოპერაციაა, სადაც მონაწილეობს რამდენიმე ქვედანაყოფი. ბრძოლა დაპირისპირებულ ძალებს შორის ხდება. მას ასრულებს შენაერთი, მცირე შენაერთი, ქვედანაყოფი. მის შესრულებას სჭირდება წუთები, საათები ან ერთი დღე.

სტრატეგიული მზადყოფნა მოითხოვს, ჯარი იყოს კარგად გაწვრთნილი, ორგანიზებული და შეიარაღებული გლობალური ოპერაციების ჩასატარებლად. ქვედანაყოფები და შენაერთები დახელოვნებული უნდა იყვნენ საბრძოლო მოქმედებებში. სტრატეგიულად მზადმყოფი შენაერთების შემადგენლობაში არიან როგორც მოქმედი, ისე სარეზერვო საჯარისო ფორმირებები. მათ უნდა შექმნან მაქსიმალური საბრძოლო ძალა იმ დროს და იმ ადგილზე, სადაც მოითხოვს გაერთიანებული ძალების ხელმძღვანელობა.

სტრატეგიული მზადყოფნა განაპირობებს ჯარების უცვლელ დინამიკას. ჯარი ემყარება ნაციონალური შეიარაღებული ძალების მიერ შექმნილ რესურსებს. ბრძოლის ველზე აღნიშნული პირობების შესაბამისად მეთაურები ფრთხილად ახორციელებენ საბრძოლო ძალების განლაგებას და მოყავთ ისინი საბრძოლო მზადყოფნაში.

სტრატეგიული მზადყოფნის სამხედრო ხელოვნების დაუფლების შედეგს წარმოადგენს ოპერატიული წარმატება. საბრძოლო ძალა, რომელსაც შეუძლია სწრაფად განლაგება და საბრძოლო წყობად გაშლა, უზრუნველყოფს გაერთიანებულ ძალთა მეთაურებს იმ საშუალებებით, რომლებიც გამოხატავენ საბრძოლო მოქმედებებისათვის მნიშვნელოვან საბრძოლო ძალებს, ბრძოლის ველზე შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დროს. ჯარის მზადყოფნა გაერთიანებული ძალების მეთაურებს უზრუნველყოფს საშუალებებით მოწინააღმდეგის შესაჯერობად, სიტუაციის დასარეგულირებლად, საბრძოლველად და ბრძოლის მოსაგებად იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე დაუშვებს შეცდომას. საპასუხო ქმედობისათვის მზადმყოფი საბრძოლო ძალები სხვა სამსახურებს აძლიერებენ საბრძოლო მოქმედებებით, საერთო უზრუნველყოფით და მატერიალურ-ტექნიკურად უზრუნველყოფილი საბრძოლო შენაერთებით, რომლებიც სწრაფად ეწყობიან და მოქმედებენ საჭირო შედეგების მისაღებად.

სტრატეგიულად მზადმყოფი საბრძოლო ძალის შვიდ მახასიათებელს განსაზღვრავს ოპერატიული მოთხოვნები. ამის მიხედვით ჯარებში ხდება ძალების გადანაწილება. სტრუქტურა, აღჭურვილობა და წვრთნა შეიცავს საბრძოლო წყობის გაშლის დოქტრინას. ძალების პროექცია, პლატფორმა, ბრძანებისა და კონტროლის სისტემები, ასევე მეთვალყურეობა, დაზვერვა და გაერთიანებული სატრანსპორტო სისტემები საფუძველს უქმნიან რეაგირების საბრძოლო ძალებს.

ძალის პროექცია არის სამხედრო სიმძლავრის პროექციის კომპონენტი და შეადგენს ეროვნული, სამხედრო სტრატეგიის ცენტრალური ელემენტი. მთელ მსოფლიოში, სადაც არ უნდა ხდებოდეს ძალის პროექცია, იყენებენ მოქმედ და სარეზერვო ძალებს, სახმელეთო ჯარების დეპარტამენტის რეზერვისტებს. საჯარისო ფორმირებები და სამხედრო ბაზები ეროვნულ ძალებთან ერთად ქმნიან სტრატეგიულ პლაცდარმს სამხედრო ძალების შესანარჩუნებლად და დასახმარებლად მათი განლაგების ადგილზე.

ძალის პროექცია გულისხმობს პროცესების შემდეგ თანამიმდევრობას: მობილიზაციას, სამობილიზაციო შევსებას, მოქმედებებს, მხარდაჭერას, საბრძოლო წყობად გაშლას. ეს პროცესები მსვლელობისას განმეორებად ხასიათს ატარებენ ძალის პროექციის ოპერაციების ჩატარება მოითხოვს დეტალურ დაგეგმვასა და სინქრონიზაციას. წინასწარმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება განსაზღვროს მთელი შემდგომი კამპანიის წარმატება.

ძალის პროექციის მიზანია, აწარმოონ გადამწყვეტი ოპერაციები ისე სწრაფად, რომ მოწინააღმდეგე დაამარცხონ მანამ, სანამ იგი შეძლებს შეტევაზე გადმოსვლას.

ძალის პროექციას გააჩნია ოთხი დამახასიათებელი ნიშანი: სიზუსტე, ერთდროული მოქმედება, სისწრაფე და ზუსტი ინფორმაცია.

ეფექტური ძალის პროექციისას მაქსიმალურად ხდება არსებული დროის გამოყენება. სივრცისა და დროის ფუჭად გამოყენების აღმოსაფხვრელად საჭიროა თითოეული მოქმედება სიზუსტით შესრულდეს. სიზუსტის შედეგი უფრო შორს არის გამიზნული. მისი დაცვით იზრდება საბრძოლო წყობად გაშლის სიჩქარე და საბრძოლო ძალის მოქმედება ბრძოლის ველზე. სიზუსტე მოქმედებისას ზრდის გადაადგილების სიჩქარეს და უსაფრთხოებას. თანამედროვე სწავლება, ნაყოფიერი წვრთნები და ადეკვატური მხარდამჭერი სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრუქტურების სიზუსტეს.

მეთაურები ერთდროულად ახორციელებენ საბრძოლო ძალების მოქმედებებს. ეფექტური სინქრონიზაციის დროს ხდება რესურსების მაქსიმალური გამოყენება. ჩვეულებრივ, სინქრონიზაცია მოითხოვს ზუსტ კოორდინირებას საბრძოლო ძალებსა და შტაბებს შორის, მხარდამჭერ ქვედანაყოფებსა და შტაბებს შორის, სხვადასხვა სამოქალაქო სააგენტოებთან და სხვ. მუდმივი და ნაყოფიერი ერთობლივი ვარჯიშები და წვრთნები არის სინქრონიზაციის წარმატების საწინდარი.

მეთაურები ძალის პროექციას მიიჩნევენ, როგორც შეჯიბრებას საკუთარ ძალებსა და მოწინააღმდეგეს შორის.

ჯარისკაცების ან სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების სისწრაფე არ არის გადამწყვეტი; მთავარია, მოწინააღმდეგის მზადყოფნამდე და სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვამდე ბრძოლისათვის მომზადებული საბრძოლო ძალა იყოს ბრძოლის ველზე.

სისწრაფე დამახასიათებელია მთელი საბრძოლო ძალის პროექციისათვის – დაგეგმვიდან დასრულებამდე. იგი დამოკიდებულია ძალის პროექციის ბევრ ფაქტორზე. დაგეგმვა ეხმარება მეთაურებს, წარმატებით დაასრულონ ოპერაცია.

ძალის პროექციისას წარმატების მისაღწევად საჭიროა მეთაურები დაუფლებული იყვნენ საბრძოლო წყობის გაშლის პროცესს, ჰქონდეთ განსჯის უნარი და სათანადო ინფორმაცია. მეთაურები მოკლე დროში იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსაზღვრავენ საბრძოლო წყობის გაშლასა და შესაბამისი მოქმედებების შესრულებას დროის გარკვეულ მონაკვეთში.

გადაწყვეტილებათა უმეტესობის შეცვლა ძალიან ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც. სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ფლობდე სათანადო ინფორმაციას. სათანადო ინფორმაციის ფლობა არ იძლევა საბრძოლო წყობის შეუფერხებლად გაშლის გარანტიას, თუმცა გამოცდილებასთან და განსჯის უნართან ერთად აძლევს მეთაურებს სიტუაციის კონტროლისა და მიზანშეწონილი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ლექცია 5

შეიარაღებული ბრძოლის თეორია

ჯარების მოქმედების პრინციპები და ოპერაციების პარამეტრები

ჯარის ოპერაციების ჩატარების დოქტრინა – ინიციატივა, სისწრაფე, სიღრმე, სინქრონიზაცია და მრავალმხრივობა – აგებულია ომის პრინციპზე. იგი გვაძლევს წარმატებული ოპერაციების დახასიათებას. ეს ცოდნა საჭიროა გამარჯვების მოსაპოვებლად.

ინიციატივას აქვს ორი კომპონენტი – ოპერატიული და ინდივიდუალური. ოპერატიული თვალსაზრისით ინიციატივა წარმოშობს და კარნახობს მოქმედების პირობებს და გულისხმობს მებრძოლი სულის ადამიანებს ყველა ოპერაციაში. ბრძოლის პირობების დადგენისას მეთაურები გამორიცხავენ ან ამცირებენ მოწინააღმდეგის თავდასხმის ვარიანტების რაოდენობას. ისინი აიძულებენ მოწინაარმდეგეს, დაემორჩილოს საკუთარი ძალების მოქმედებების რიტმს, უზღუდავენ მათ მოქმედებების თავისუფლებას. მეთაურები განჭვრეტენ მოვლენებს, ეფექტური ხელმძღვანელობითა და კონტროლით, შესაძლებლობას აძლევენ თავიანთ ქვედანაყოფებს, იმოქმედონ მოწინააღმდეგეზე უფრო სწრაფად და ენერგიულად.

ინდივიდუალური ხედვით ინიციატივა არის შესაძლებლობა, იყოს დამწყები, იმოქმედოს, როცა არ არის მოცემული ნათელი ინსტრუქცია, და როცა სიტუაცია იცვლება. ინდივიდუალური ინიციატივიანი ლიდერი, როცა არასტანდარტულ სიტუაციაში აღმოჩნდება, იწყებს დამოუკიდებელ მოქმედებებს. ლიდერები იყენებენ ამ თვისებას, როცა ისინი მოქმედებენ დამოუკიდებლად მეთაურის განზრახვის ფარგლებში. დისციპლინირებული ინიციატივა მოითხოვს კარგად გაწვრთნილ, კომპეტენტურ ლიდერებს, რომლებიც ატარებენ საფუძვლიანად შესწავლილ და გათვლილ მოქმედებებს.

ინიციატივა მოითხოვს გადაწყვეტილების შესრულების მინდობას უფრო დაბალი პრაქტიკული დონისათვის. მეთაურები ანიჭებენ ხელქვეითებს მოქმედების თავისუფლებას, ამხნევებენ მათ ენერგიული მოქმედებისათვის. მეთაურები ხელქვეითებს აძლევენ დავალებებს, მაგრამ არა – დაწვრილებით მითითებებს. ასეთი დეცენტრალიზაცია ათავისუფლებს მეთაურებს და ისინი ფართომასშტაბიანი ოპერაციის დროს არ ამახვილებენ ყურადღებას ყველა მხარეზე. საბრძოლო ბრძანებები მოითხოვენ კარგად გაწვრთნილი, დისციპლინირებული ჯარისკაცებისაგან ინდივიდუალური ინიციატივის გამომჟღავნებას. ლიდერებისაგან კი მოითხოვენ ხელქვეითების ნდობას და გარკვეულ რისკზე წასვლას.

თავდასხმისას ინიციატივას თან სდევს მოწინააღმდეგის ბალანსის დარღვევა ძლიერი, მოულოდნელი დარტყმებით, არ აძლევს მას შოკიდან გამოსვლის საშუალებას. ამისათვის მეთაურები თავს უყრიან საბრძოლო ძალების ყველა ელემენტს და მოქმედებენ სწრაფად და გაბედულად. ინიციატივის შენარჩუნებისთვის ლიდერები

ბრძოლას იწყებენ შეუპოვრად და აგრესიულად, წევენ რისკს და უბიძგებენ ჯარისკაცებს, იმოქმედონ შესაძლებლობების ზღვარზე. ინიციატივის შეზღუდვა მოითხოვს ოპერაციის შედეგების წინასწარ განჭვრეტას და შესაძლო მოვლენების დანახვას. რაც უფრო მაღალ დონეზეა სამხედრო ეშელონი, უფრო წინ წასული უნდა იყოს მათი გეგმები და მოვლენების განვითარების წინასწარი ხედვა.

ინიციატივა თავდაცვისას გულისხმობს სწრაფ მოქმედებას თავდამსხმელის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს ენერგიულ მოქმედებას ინფორმაციის მოპოვებისათვის. თავდამსხმელი უნდა ვაიძულოთ გამოამჟღავნოს განზრახვა. მცველები მიზნად ისახავენ შეარყიონ თავდამსხმელის საწყისი უპირატესობა, მოიპოვონ მოქმედების თავისუფლება და აიძულონ თავდამსხმელი გადავიდეს თავდაცვაზე. ამ დროს თავდაცვითი ძალები გადადიან შეტევით მოქმედებაზე, იყენებენ მანევრებს და ცეცხლს მათთვის ბრძოლის ტემპისა და მოქმედების თავზე მოსახვევად.

ოპერაციაში სტაბილურობის მისაღწევად ინიციატივა ხელს უწყობს ცალკეულ დაჯგუფებებზე გავლენის მოხდენას. იგი ქმნის პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ საკითხის პოლიტიკურ მოგვარებას.

მხარდაჭერის ოპერაციებში ინიციატივის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის მეთაურები ყოველმხრივ სწავლობენ სიტუაციას და ამუშავებენ მოთხოვნებს, ამით ისინი ახდენენ ყველა რესურსის მობილიზაციას პირობების შესამსუბუქებლად და უბედურების თავიდან ასაცილებლად.

მოძრაობის უნარი არის საბრძოლო ქვედანაყოფის უნარი იმოძრაოს სწრაფად და ადვილად. იგი მიიღწევა წვრთნებითა და მაღალი დისციპლინით. შენაერთებში და დაქვემდებარებაში მყოფთაგან მოითხოვს იმოქმედონ მეთაურის განზრახვის შესასრულებლად და იბრძოლონ ნებისმიერი დაბრკოლებების გადასალახავად.

ოპერატიული მოძრაობის უნარი არის ძალების განლაგების და გამოყენების შესაძლებლობა ოპერაციის ფარგლებში. საბრძოლო ძალები და მეთაურები დასახული ამოცანისა და მდგომარეობის მიხედვით გადაადგილდებიან თავდასხმის, თავდაცვის, მხარდამჭერ და სხვა ოპერაციებში. ეს შესაძლებლობა მოითხოვს როგორც ფიზიკური ძალების, ისე გონებრივ დაძაბვას.

ტაქტიკური მოძრაობის უნარი არის საკუთარი ძალების უნარი, უფრო სწრაფად მოახდინოს მოწინააღმდეგეზე რეაგირება. საზრიანი მეთაურები სწრაფად ერკვევიან არასტანდარტულ სიტუაციებში, შემოქმედებითად იყენებენ დოქტრინას და იღებენ დროულ გადაწყვეტილებას.

ოპერაციის სიღრმე არის ოპერაცის გაფართოება დროში, სივრცეში და რესურსების ხარჯვაში. მეთაურები იყენებენ სიღრმეს ტერიტორიის მოსაპოვებლად ეფექტური მანევრებისათვის, დროს ოპერაციის წარმართვისათვის და რესურსებს წარმატების მისაღწევად. სიღრმე არის თავდასხმაში მამოძრავებელი ძალა, მოქნილობა თავდაცვაში და ძალის შენარჩუნება ყველა ოპერაციაში.

თავდასხმისას და თავდაცვისას სიღრმეს მოჰყვება მოწინააღმდეგეზე შეტევა, როცა შესაძლებელია – თანამიმდევრულად, როცა საჭიროა – მოწინააღმდეგისათვის

მანევრირების შესაზღუდად. აქტიური სიღრმე საშუალებას აძლევს მეთაურებს შეინარჩუნონ შეტევის ტემპი და დაიწყონ ბრძოლა. თავდაცვითი პოზიცია მრავალი მიმართულებით ქმნის მანევრირების საშუალებას მოწინააღმდეგის წინააღმდეგ.

სტაბილურ და მხარდამჭერ ოპერაციებში სიღრმე აფართოებს გავლენას დროზე, სივრცეზე, შედეგებზე და რესურსებზე და მოქმედებს გარემოსა და პირობებზე. სტაბილური ოპერაციები ეხმარება მეთაურებს, გაიგონ განხეთქილების მოტივები და განსაზღვრონ ძალების თავმოყრის ცენტრი.

სინქრონიზაცია არის შეთანხმებული მოქმედებები გადამწყვეტ დროსა და ადგილზე. სინქრონიზაციის გარეშე ყველა მოქმედება ნაკლებ ეფექტურია. სინქრონიზაციით მეთაურები მიმართავენ ველზე მოქმედების სისტემებს მოწინააღმდეგის დასამარცხებლად ან სიტუაციის გასაკონტროლებლად. სინქრონიზაცია არის ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება, მეთაურები უპირისპირებენ მას სისწრაფეს და ინიციატივას. სინქრონიზაციისთვის ისინი არასოდეს არ ამბობენ უარს ინიციატივაზე.

ზოგიერთი მოქმედება – როგორიცაა ელექტრონული ომი, მოწინააღმდეგის საჰაერო დაცვის საშუალებების ჩახშობა და მოძრავი სამანევრო ძალები შეიძლება განხორციელდეს გადამწყვეტი ოპერაციის წინ. ისინი შეიძლება განხორციელდეს ერთმანეთისაგან დაშორებულ ადგილებში, მაგრამ მეთაურები ახდენენ ამ მოქმედებების სინქრონიზაციას საჭირო დროსა და ადგილას. იგი მოითხოვს მონაწილეებს შორის სავსებით გარკვეულ კოორდინაციას.

უნივერსალურობა არის საბრძოლო ძალების უნარი, გადაწყვიტონ გლობალური, მრავალმხრივი მოთხოვნები ამოცანის შესრულებისას.

კომპეტენტურობა სხვადასხვა ამოცანებში და კვალიფიკაცია საშუალებას აძლევს ჯარის ქვედანაყოფებს სწრაფად გადაინაცვლონ ერთი სახის ოპერაციიდან მეორეზე. ჯარების განლაგების სტრუქტურაში მინიმალური ცვლილებებით უნივერსალურობა დამოკიდებულია ლიდერებზე, კომპეტენტურ და ერთგულ ჯარისკაცებზე და კარგად აღჭურვილ ქვედანაყოფზე. ეფექტური წვრთნა, მაღალი სტანდარტები და დეტალური დაგეგმვა ასევე ხელს უწყობს უნივერსალურობას. დრო და რესურსები ზღუდავს იმ ამოცანათა რიცხვს, რომლებიც ქვედანაყოფს შეუძლია კარგად შეასრულოს. ამ შებოჭილობის დროს მეთაურები ზრდიან მოქნილობას ჯარისკაცის უნარის მაქსიმალური გამოვლენით. უნივერსალურობა ხელს უწყობს ქვედანაყოფების სისწრაფეს.

უნივერსალურობა დამახასიათებელია მრავალფუნქციური ნაწილებისათვის, მეთაურებმა კარგად უნდა იცოდნენ მათი ქვედანაყოფების შესაძლებლობები და სპეციალურად მოამზადონ ნაწილები თითოეული ამოცანის შესასრულებლად.

სამხედრო პოლიციას, მაგალითად შეუძლია უზრუნველყოს ძალების მობილურობა, აღადგინოს სამოქალაქო წესრიგი და ხელი შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებას.

საინჟინრო ნაწილებს შეუძლიათ აღადგინონ ინფრასტრუქტურა, ააშენონ პორტები და შეინარჩუნონ კომუნიკაციები.

ოპერატიული მოქმედების ჩარჩოები არის საკუთარი ძალების ორგანიზება დროის, სივრცისა და მიზნის მიხედვთ. ოპერატიული ჩარჩოები ადგენს მოქმედებების პასუხისმგებლობის ფარგლებს და მეთაურებს უსახავს გზას, როგორ მიმართონ ძალები მოწინააღმდეგის მიმართ. რიგითი მეთაურები ყველა ოპერაციის ფარგლებს ადგენენ ოპერატიული ჩარჩოების სამი კომპონენტის გათვალისწინებით.

სამწყობრო მეთაურების მოვალეობაა საბრძოლო მოქმედებათა ასპარეზის ორგანიზება, გაერთიანებული ძალების ხელმძღვანელობა მათ აკისრებთ პასუხისმგებლობას განსაზღვრულ გეოგრაფიულ ადგილზე საბრძოლო ოპერაციების წარმართვაზე. ისინი მოხაზავენ ომის ასპარეზის ფარგლებს, ფრონტის ხაზის და კომუნიკაციების ზონას.

დამატებითი და ერთმანეთის შემავსებელი ეფექტების მიღწევა მოითხოვს სინქრონიზაციას, ინიციატივასა და უნივერსალობას. სინქრონიზებული მოქმედება არის ძირითადი ბაზისი. მეთაურები განალაგებენ სისტემებს სივრცეში და დროში მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად. მდგომარეობის შეცვლის მიხედვით მეთაურები ბრძანების გარეშე აერთიანებენ სამხედრო ქვედანაყოფებსა და თავდაცვით სისტემებს და ქმნიან ახალ კომბინაციებს მოწინააღმდეგის რთულ მდგომარეობაში ჩასაყენებლად. სათანადოდ კომბინირებული საშუალებები წარმოშობენ ასიმეტრიას, რომელსაც გაერთიანებული ძალები იყენებენ.

ასიმეტრია არის განსხვავებები ქვედანაყოფებში, აღჭურვაში, დოქტრინაში, შესაძლებლობებსა და შეფასებაში სხვადასხვა შეიარაღებულ ძალებს და ძირითად ჯარს შორის. გაერთიანებული ძალების ხელმძღვანელობა ახორციელებს სიმეტრიულ და ასიმეტრიულ მოქმედებებს, სარგებლობს საკუთარი ძალების სიძლიერით და მოწინააღმდეგის ნაკლოვანებებით და ინარჩუნებს მოქმედების თავისუფლებას.

შეტაკებები არის ასიმეტრიული, თუ შეიარაღებული ძალები, ტექნოლოგიები და იარაღი არის სხვადასხვა, ან თუ დამოკიდებულება ტერორიზმთან და მიღებული კანონებიდან გადახრა შეტაკების დროს არის ნორმა. შეიარაღებულ ძალებს შორის ყოველთვის არის ასიმეტრია.

ასიმეტრია ხდება მნიშვნელოვანი, ხშირად გადამწყვეტი, როცა განსხვავების ხარისხი ანიჭებს საგნობრივ უპირატესობას ერთ მხარეს. ასიმეტრიული შეტაკებები შეიძლება იყოს უკიდურესად დამანგრეველი, განსაკუთრებით, თუ სამიზნე არ არის მზად, დაიცვას თავი ასიმეტრიული საშიშროებისაგან. ასიმეტრია შეიძლება შემცირდეს დროის მანძილზე თუ მოწინააღმდეგეები ეჩვევიან განსხვავებას. უფრო ფართო გაგებით, ასიმეტრიული ბრძოლის დროს ცდილობენ მოერიდონ მოწინააღმდეგის ძლიერ მხარეებთან შეხვედრას და დარტყმა მოახდინონ შედარებით სუსტ მხარეებზე. ტაქტიკური და ოპერატიული მაგალითები გვიჩვენებს ასიმეტრიის დინამიურ ბუნებას.

ასიმეტრიული დარტყმები დილემის წინაშე აყენებს საკუთარ და მოწინააღმდეგე სამხედრო ძალებს. ასიმეტრიული თავდასხმების ნეიტრალიზაცია მოითხოვს

შემოწმებებს თავდასხმების, ქვედანაყოფების დოქტრინის, წვრთნების ჩატარებაში და აღჭურვაში. რაც უფრო მაღალია საფეხური, მით უფრო დიდი დრო სჭირდება მოწინააღმდეგის ასიმეტრიული უპირატესობის დაძლევას. ამ ეფექტის მინიმუმამდე დასაყვანად შეიარაღებული სამხედრო ქვედანაყოფები, მათი სწავლება და აღჭურვა კონცენტრირებულია მოქნილ მუშაობაზე სხვადასხვა სიტუაციებში. უსაფრთხოების ზომები, როგორიცაა ფიზიკური უსაფრთხოება და ოპერაციის ჩატარების უსაფრთხოება, ამცირებს ასიმეტრიის ეფექტს. მეთაურებმა წინასწარ უნდა განსჭვრიტონ ასიმეტრიის გავლენა და მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რაც შეამცირებს მოწინააღმდეგის უპირატესობას და დააყენებს მას ასიმეტრიული საფრთხის წინაშე.

ლექცია 6

შეიარაღებული ბრძოლის თეორია

ოპერაცია თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში

ომის დოქტრინა გარკვეულ პრინციპზეა დამოკიდებული. ეს პრინციპი როგორც საველე მოქმედების წარმოებას, ასევე თეორიული მომზადების ბაზას წარმოადგენს. ძირითადი კანონი არის ოპერაციის სპექტრის ბაზისი. მასში მნიშვნელოვანია მანევრის სახეები, რომლებიც მდგომარეობს სიღრმეებში, სინქრონიზაციასი, მრავალმხრიობაში, საცეცხლე ძალაში, ხელმძღვანელობაში, დაცვაში და ინფორმაციაში.

მანევრი არის ამოცანის შესრულებისას ცეცხლთან ან საცეცხლე პოტენციალთან დამაკავშირებელი ძალის გამოყენება. მანევრის საშუალებით მეთაურები მოულოდნელობის და გავლენის მისაღწევად ახდენენ საომარი ძალების საშუალებების კონცენტრაციას.

საბრძოლო მანევრები არის უპირატესობის მოსაპოვებლად საომარი ძალების და რესურსების განლაგება საჭირო ადგილას და დროს. იგი მოითხოვს ერთობლივ და მრავალმხრივ მხარდაჭერას. ძალთა დისლოკაციით და ასპარეზის შიგნით მოქმედებები ქმედითი აღმოჩნდება, თუ საბრძოლო შენაერთები მიაღწევენ პოზიციურ უპირატესობებს და გავლენას მოახდენენ ბრძოლის შედეგებზე.

ომისა და საბრძოლო ოპერაციების პრინციპების დაუფლება საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ომის პრინციპები არმიის ოპერატიული დოქტრინის საფუძველია.

არსებობს ომის წარმოების ცხრა პრინციპი, რომლებიც სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე ჩამოყალიბდა. მიუხედავად რიგი შესწორებებისა, მათ გაუძლეს ანალიზს, ექსპერტიზას და პრაქტიკას.

ომის პრინციპებია:

- მიზანი
- შეტევა
- ძალების თავმოყრა
- ძალების დაზოგვა
- მანევრი
- საბრძოლო ხელმძღვანელობა
- თავდაცვა
- მოულოდნელობა
- მისაწვდომობა

სამხედრო ოპერაცია კარგად განსაზღვრული, გადამწყვეტი და მისაწვდომი უნდა იყოს.

ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე მიზანი განსაზღვრავს ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც ახორციელებს ხელმძღვანელობა. მეთაურებს უნდა ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა მოსალოდნელ შედეგებსა და ზეგავლენაზე.

მეთაურმა უნდა შეაფასოს პოლიტიკური სიტუაცია, ის შედეგები, რაც მიეკუთვნება ამა თუ იმ საბრძოლო ოპერაციას.

სამხედრო ლიდერმა, მიზნის შერჩევის დროს, უნდა გაითვალისწინოს კანონიერება და გამოიჩინოს მაქსიმალური თავდაჭერილობა, განსაკუთრებით, მხარდაჭერის ოპერაციებში.

მიზნის მისაღწევად საბრძოლო ძალის სიდიდე სწორად უნდა იყოს შერჩეული.

ოპერატიული ჩანაფიქრი – იდეა, რომელიც მართავს ოპერაციას, არის კავშირი პროექტის ელემენტებს შორის.

მისი ელემენტებია:

- საბრძოლო მდგომარეობა და სამხედრო პირობები;
- სიმძიმის ცენტრი;
- გადამწყვეტი პუნქტები და ოპერაციები;
- ოპერაციის ხაზები;
- კულიმინაციის წერტილი;
- საბრძოლო მოქმედებების რადიუსი;
- ერთდროული და თანამიმდევრული ოპერაციები;
- ხაზობრივი და არახაზობრივი ოპერაციები;
- ოპერაციის ტემპი.

სტრატეგიულ დონეზე საბრძოლო მდგომარეობა არის ის მდგომარეობა, რომელსაც ეროვნული სამეთაურო ინსტანცია ჩათვლის საჭიროდ, მიაღწიონ ოპერაციის დასრულებისას იქ, სადაც საბრძოლო მოქმედება მიზნის მისაღწევის უპირატესი საშუალებაა, და სადაც ის გამოდის მხარდამჭერის როლში.

იგი აღნიშნავს იმ შემობრუნების წერტილს, როცა სამხედრო ძალები აღარ არის ძირითადი სტრატეგიული საშუალება; ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე საბოლოო მდგომარეობა არის ვითარება, როცა ამოცანა შესრულებულია ოპერატიულ დონეზე. ამ პირობებში მიღწეულია კამპანიის ან მთავარი ოპერაციის მიზანი.

სიმძიმის ცენტრი. ეს არის ადგილი, სადაც ხდება საბრძოლო ძალების შესაძლებლობების მაქსიმალური თავმოყრა, და საიდანაც ეძლევათ მათ ძალა – თავისუფალი მოქმედების საშუალება. მოწინააღმდეგის სიმძიმის ცენტრის დესტრუქცია ან ნეიტრალიზაცია გამარჯვების ყველაზე მოკლე გზაა. მოწინააღმდეგე იცავს თავის სიმძიმის ცენტრს. ამიტომაც პირდაპირი მიახლოება შეიძლება იყოს ძვირადღირებული, ზოგჯერ – უშედეგოც.

საომარი მოქმედებების და მთავარი ოპერაციის გეგმაში სიმძიმის ცენტრს არსებითი ადგილი უკავია, იგი ხდება მეთაურის შემდგომი მოქმედებების გამსაზღვრელი.

მეთაურები შეისწავლიან როგორც მოწინააღმდეგის, ისე საკუთარი ძალების სიმძიმის ცენტრს, მას შემდეგ, რაც დადგინდება საკუთარი ძალების სიმძიმის ცენტრი.

გადამწყვეტი პუნქტი არის ის გეოგრაფიული ადგილი, ან დამხმარე სისტემა, რომლის საშუალებითაც მეთაურები მოიპოვებენ შესამჩნევ უპირატესობას მოწინააღმდეგეზე და გავლენას მოახდენენ იერიშის შედეგზე.

გადამწყვეტი პუნქტი არ არის სიმძიმის ცენტრი, ის შეტევის და დაცვის საშუალებაა, ჩვეულებრივ, თვით ვითარება წარმოაჩენს გადამწყვეტ პუნქტს, სამხედრო ძალებმა არსებული რესურსებით შეიძლება ვერ შეძლონ ყველა გადამწყვეტი პუნქტის კონტროლირება, ხელში ჩაგდება, ან განეიტრალება. ბრძოლის მართვის ხელოვნება იმ გადამწყვეტი პუნქტების დადგენაა, რომელთა ხელში ჩაგდებას დიდი მნიშვნელობა ექნება მოწინააღმდეგის სიმძიმის ცენტრის წინააღმდეგობის დაძლევაში. ოპერატიულ პროექტში მოცემულია გადამწყვეტი პუნქტები, რაც საშუალებას აძლევს მეთაურებს, ამოირჩიონ განსაზღვრული, გადამწყვეტი და მისაწვდომი მიზანი.

ზოგ გეოგრაფიულ ადგილს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქმედებების მიმდინარეობაზე. მნიშვნელოვანია პორტები, სატრანსპორტო ქსელები ან კვანძები. სხვა გადამწყვეტ პუნქტებში შედის მოწინააღმდეგის საბრძოლო ძალების ელემენტები, ქვედანაყოფები, სამეთაურო პოსტები, ცეცხლით მხარდაჭერის ქვედანაყოფები ან მნიშვნელოვანი კავშირგაბმულობის საშუალებები. ზოგს შეიძლება მასობრივი განადგურების იარაღიც გააჩნდეს. მოწინააღმდეგის რეზერვის ხელში ჩაგდება შეიძლება ბრძოლაში გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

სტაბილურობის და მხარდაჭერის ოპერაციებში გადამწყვეტი წერტილი შეიძლება სხვადასხვა იყოს.

ოპერაციების საზღვრები შემოფარგლავენ საბრძოლო ძალების მოქმედების სივრცეს. ისინი აკავშირებენ სამხედრო ძალას სამოქმედო ობიექტებთან და ბაზასთან. გეოგრაფიული გაგებით ოპერაციის საზღვრები ერთმანეთთან აკავშირებენ გადამწყვეტ პუნქტებს, რასაც მივყავართ ობიექტის ხელში ჩაგდებამდე ან მოწინააღმდეგის დამარცხებამდე.

ოპერაციის მოქმედებები შეიძლება წარიმართოს ერთ ან რამდენიმე ხაზზე. როცა ოპერაცია ერთ ხაზზე მიმდინარეობს მთელი ძალები თავმოყრილია ამ ხაზზე და დაგეგმვა გაადვილებულია.

მრავალი ხაზის არსებობის დროს იზრდება საბრძოლო ძალების მოქნილობა და იქმნება რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი წარმატებისათვის. ამ დროს მოწინააღმდეგისთვის გაძნელებულია მოკავშირეთა ძალების მიზნის დადგენა, რაც აიძულებს მას რესურსები გადაანაწილოს რამდენიმე სახიფათო ხაზისკენ.

თითოეული ვარიანტი ართულებს მოწინააღმდეგის მდგომარეობას და არყევს მართვის სისტემას. საპასუხო მოქმედებების სტრატეგიული უნარი და საბრძოლო ძალების მოქნილობა ქმნის პირობებს მრავალ ხაზზე ოპერაციის ჩასატარებლად.

ოპერაციის ხაზი შეიძლება იყოს შიდა ან გარე. ოპერაცია მიმდინარეობს შიდა ხაზებზე, თუ იგი წარიმართება ცენტრალური წერტილიდან დაშორებით. შიდა გზებით

მოკავშირეთა საბრძოლო ძალები უფრო ახლო მანძილზეა განლაგებული მოწინააღმდეგის ცალკეულ ძალებთან, ვიდრე მოწინააღმდეგის ძალები – ერთმანეთთან. შიდა საბრძოლო ხაზებით ხდება უფრო სუსტი ქვედანაყოფების მიერ ძალების უფრო სწრაფად თავმოყრა და რესურსების გადაადგილება.

საბრძოლო ძალები მოქმედებენ გარე ხაზზე, თუ ოპერაცია წარიმართება მოწინააღმდეგესთან დაახლოებისას. გარე ხაზზე მოქმედებისას შეიძლება მოწინააღმდეგის ალყაში მოქცევა და განადგურება, თუ იგი უფრო სუსტი ან ნაკლებად მობილურია, მაგრამ მაშინ საბრძოლო ძალები უნდა იყვნენ უფრო ძლიერნი და მობილურნი.

ოპერატიულ და ტაქტიკურ თავდასხმაში კულმინაციური წერტილი ის დრო და ადგილია, როდესაც თავდამსხმელის საბრძოლო ძალა აღარ აღემატება თავდაცვაში ყოფნას, ან თავდასხმის შეტევის ტემპის შენარჩუნება თუ ვეღარ ხერხდება, ან ორივე მდგომარეობას აქვს ადგილი. კულმინაციური წერტილის იქით შეტევას აგრძელებტნ მხოლოდ დიდი რისკის ფასად. თავის დამცველი ძალები კულმინაციურ წერტილს აღწევენ, როცა აღარ შეუძლიათ წარმატებით დაიცვან თავი ან განახორციელონ კონტრშეტევა მათი თავდაცვის სიძლიერის აღსადგენად. შეტევითი კულმინაციური წერტილი აღნიშნავს იმ მომენტს, როცა თავდაცვაში მყოფმა უკან უნდა დაიხიოს ძალების შესანარჩუნებლად. მეთაურები სპეციალურად ამუშავებენ მოთხოვნებს ინფორმაციაზე კულმინაციის წერტილის ადრეულად განსაზღვრისათვის ან მისი არიდებისათვის. თუ თავის არიდება შეუძლებელია, საბრძოლო ძალებს განალაგებენ ყველაზე უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში.

ოპერაციებში, რომლებშიც დომინირებს სტაბილურობა ან მხარდაჭერა, კულმინაცია შეიძლება დადგეს ეროვნული ნების დეგრადაციით, ხალხის მხარდაჭერის შემცირებით, ან დაცვაში გარღვევით, რამაც გამოიწვია დიდი მსხვერპლი. სტაბილურობის ან მხარდაჭერის ამოცანის შესრულების დროს ოპერატიული კულმინაცია დგება, როცა საბრძოლო ძალები გაშლილია რესურსების ნაკლებობის ან მათი დროულად მიუწოდებლობის გამო.

კულმინაციური წერტილი დგება მაშინ, როცა პატარა შეფერხებები შეიძლება გადაიზარდოს უფრო დიდ საფრთხედ, პოლიტიკურ ასპარეზზე კრახის დროს ან საჭირო მხარდაჭერის აღმოუჩენლობის შემთხვევაში.

საბრძოლო მიახლოვება – ეს არის მანევრი, რომელიც თავს ესხმის მტრის გრავიტაციის ცენტრს. პირდაპირი მიახლოვება, როდესაც საბრძოლო ძალებს პირდაპირ მიმართავენ მოწინააღმდეგის მამოძრავებელი ძალების წინააღმდეგ.

არაპირდაპირი მიახლოვებით იერიში მიაქვთ მოწინააღმდეგის გრავიტაციის ძალებზე საბრძოლო ძალების გამოყენებით რიგ გადამწყვეტ პუნქტებზე, რითაც თავიდან იცილებენ მოწინააღმდეგის ძალებთან პირდაპირ შეჯახებას. ხელსაყრელი სიტუაციის დროს მეთაური ირჩევს არაპირდაპირ მიახლოვებას. მანევრირებას ახდენს ისე, რომ თავი დააღწიოს მტრის ძალებს და დააქვეითოს მოწინააღმდეგის

შესაძლებლობები, უარს ამბობს საბრძოლო მოქმედებებზე, როდესაც სიტუაცია არახელსაყრელია ან შედეგი არ ახდენს მნიშვნელოვან ეფექტს ოპერაციაზე.

ეფექტური ოპერატიული მიახლოვება, პირდაპირი ან თუნდაც არაპირდაპირი, ყურადღებას ამახვილებს ობიექტზე სიმეტრიული და არასიმეტრიული ეფექტების წარმართვაზე.

შორსმჭვრეტელი ოპერატიული მიახლოვებით, ერთობლივი შესაძლებლობების ეფექტური შეერთებით და მოქნილი საბრძოლო ოპერატიული სისტემების კომბინაციით, შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეს თავისი გავლენის ქვეშ აქცევენ იმ დროს, როდესაც ის თავს იცავს.

სტაბილურობის დასამყარებელი და მხარდამჭერი ოპერაციები, ჩვეულებრივ, არის არახაზობრივი. "უდაბნოს ქარიშხლის" ოპერაციის ბოლო 36 საათი ხასიათდებოდა დიდმასშტაბიანი არახაზობრივი შეტევითი ოპერაციებით. წარმოსახვაში მობილური თავდაცვა გარდაქმნის მოწინააღმდეგის შეტევას არახაზობრივ ოპერაციაში, რაც ანადგურებს მას.

ტემპი არის საბრძოლო მოქმედების სისწრაფე. სისწრაფის კონტროლი და ტემპის ცვალებადობა საჭიროა ინიციატივის ხელში ჩასაგდებად. ჯარები ტემპს არეგულირებენ მოკავშირეების შესაძლებლობების მიხედვით. მეთაურები შეისწავლიან ეფექტების გავლენას საბრძოლო ძალის ან მისი შესაძლებლობების თანამიმდევრული გამოყენების მიხედვით. ტემპს სამხედრო ოპერაციებისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ შესაბამის პირობებში. როცა მოკავშირეთა შესუსტებული მოქმედების ტემპი აღემატება მოწინააღმდეგის რეაგირების შესაძლებლობას, მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ ინიციატივა და მოიპოვონ შესამჩნევი უპირატესობა.

მეთაურები სწრაფ ტემპს ინარჩუნებენ სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანაფიქრით. პირველი საბრძოლო ჩანაფიქრი ყურადღებას ამახვილებს ერთდროულად მიმდინარე ოპერაციებზე, მეორე ოპერაციამ შეიძლება მიაღწიოს მაღალ ტემპს ზედმეტი ბრძოლის გარეშე. ამ დროს წინააღმდეგობის გაწევა ხდება სხვადასხვა ადგილებში, რომლებსაც მეთაურები არ თვლიან გადამწყვეტ პუნქტებად. მესამე ჩანაფიქრი ქვემდგომ მეთაურებს აძლევს მაქსიმალურ საშუალებას, იმოქმედონ დამოუკიდებლად და გამოიჩინონ ინიციატივა საჭირო დროს.

ჩვეულებრივ, ჯარების მიერ ტემპის განვითარებას შედეგად მოყვება დაღლილობა და რესურსების ხარჯვის მაღალი დონე. მეთაურები განიხილავენ საკუთარ საბრძოლო ძალების შესაძლებლობებს მაღალი ტემპით მოქმედებისათვის. ისინი ოპერაციის პროექტს ადგენენ სხვადასხვა ტემპით მოქმედებისათვის, სადაც ითვალისწინებენ საბრძოლო ძალების ამტანიანობას.

შეტევითი ოპერაცია და მისი სახეები

შეტევა ომის გადამწყვეტი ფორმაა. შეტევითი ოპერაციების მიზანია მოწინააღმდეგის დამარცხება ან განადგურება. მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგეს საკუთარი სურვილი მოახვიოს თავს და მიაღწიოს გადამწყვეტ წარმატებას.

გადაუდებელი მოქმედებების დროს ხშირად საჭიროა დაცვა, მაგრამ გადამწყვეტი მოქმედებები მოითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად გადახვიდე შეტევაზე.

შეტევითი ოპერაციების მიზანია დაეუფლონ ინიციატივას, შეინარჩუნონ იგი და გამოიყენონ მოწინააღმდეგის საბოლოო დამარცხებისათვის. შეიარაღებული ძალები გადადიან შეტევაზე საომარ მოქმედებათა მთელ ასპარეზზე ერთდროულად, რათა წონასწორობა დააკარგვინონ მოწინააღმდეგეს, გაანადგურონ მისი შესაძლებლობები, გაარღვიონ მათი თავდაცვა და უზრუნველყონ მათი დამარცხება ან განადგურება. შეტევა მთავრდება, როდესაც ჯარი მიაღწევს ოპერაციის მიზანს, მოახერხებს იერიშის დასრულებას ან მიუახლოვდება კულმინაციურ წერტილს. შეიარაღებული ძალები შეტევით ფაზას ამთავრებენ დაკავებული პოზიციების გაძლიერებით შეტევის გახანგრძლივებით ან შემდგომი ოპერაციებისათვის მზადებით. გარდა ამისა, შეტევითი ოპერაციების დასრულებისათვის საჭიროა:

— მოწინააღმდეგის შეთანხმებული მოქმედების გარღვევა;

— ტერიტორიის მიტაცება ან განთავისუფლება;

— მოწინააღმდეგისათვის რესურსების მიწოდებაში ხელის შეშლა;

— მოწინააღმდეგის შებოჭვა;

— ინფორმაციის მოპოვება.

ჯარის ოპერატიული მეთაურები წარმართავენ შეტევით კამპანიას და ძირითად ოპერაციებს საუკეთესო შედეგის მისაღწევად ტაქტიკური მოქმედების საფუძველზე. ისინი ადგენენ შეტევის ადგილის ხაზს, განსაზღვრავენ, რომელი მოქმედების შესრულებაა საჭირო გადამწყვეტი შედეგების მისაღწევად, სად უნდა იმოქმედოს ჯარმა, როგორი უნდა იყოს ურთიერთობა დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებს შორის დროსთან, სივრცესთან და მიზანთან მიმართებაში და სად გამოიყენონ გადამწყვეტი მოქმედებები. ოპერატიული მეთაურები განსაზღვრავენ ტაქტიკური მეთაურებისათვის ოპერაციის რაიონს და ხელმძღვანელობასა და მხარდამჭერთა შორის ურთიერთობის ფორმებს.

ტაქტიკური მეთაურები წარმართავენ შეტევით ოპერაციებს მიზნის მისაღწევად – ესაა მოწინააღმდეგის ძალების განადგურება და ტერიტორიის ხელში ჩაგდება.

ოპერატიულ დონეზე შეტევითი ოპერაციების დროს პირდაპირ თუ არაპირდაპირ უტევენ მოწინააღმდეგის სიმძიმის ცენტრს. მეთაურები ამას აღწევენ მოწინააღმდეგის გადამწყვეტ პუნქტებზე ერთდროული ან თანამიმდევრული შეტევით. ერთობლივი და მრავალეროვნული ძალების მასირებული შეტევა საშუალებას აძლევს შეტევის დამწყებს, ხელში ჩაიგდოს ინიციატივა. არ აძლევს მოწინააღმდეგეს თავისუფლად მოქმედების საშუალებას, ანადგურებს მისი ძლიერების წყაროს, და ქმნის პირობებს ოპერატიული და ტაქტიკური წარმატებისათვის.

მოქმედების ერთიანობის მისაღწევად ოპერატიული მეთაურები ნათლად განსაზღვრავენ ოპერაციის მიზანს და განამტკიცებენ კავშირს დაქვემდებარებულ

ძალებს შორის. ისინი განალაგებენ საკმარისი რაოდენობის ერთობლივ და მრავალეროვნულ ძალებს მიზნის მისაღწევად.

ტაქტიკური მეთაურები შეტევისას იყენებენ ერთობლივ და მრავალეროვნულ ძალებს, ახდენენ ამ ძალების სინქრონიზებას დროსა და სივრცეში რესურსების გამოყენებისას, მიზნის დასახვისა და მოქმედებების დროს, რათა მოახდინონ საბრძოლო ძალის საშუალებების მასირება გადამწყვეტ პუნქტებში. მეთაურები ბრძოლას წარმართავენ, როგორც ძირითად ოპერაციის ნაწილს. ბრძოლის მიზანი დაკავშირებულია ოპერატიული მეთაურის მიზნებთან.

ბრძოლა შეიძლება იყოს სწორხაზოვანი და არასწორხაზოვანი, წარიმართოს მომიჯნავე და არამომიჯნავე რაიონებში. ტაქტიკური მეთაურები იღებენ თავიანთი ზემდგომი მეთაურისაგან მითითებებს მოქმედების რაიონის მისიის, მიზნების, საზღვრების, კონტროლის ზომებისა და განზრახვის შესახებ. ისინი განსაზღვრავენ გადამწყვეტ ფორმირებებსა და მხარდამჭერ ოპერაციებს; წარმართავენ ცეცხლს და მანევრებს მოწინააღმდეგეზე შეტევისათვის და მის გასანადგურებლად, სხვადასხვა ობიექტების ხელში ჩასაგდებად.

მოულოდნელობა, კონცენტრირება, ტემპი და გამბედაობა არის შეტევის მახასიათებლები. შედეგიანი შეტევითი ოპერაციებისთვის მნიშვნელოვანია მოწესრიგებული დაზვერვა და საჭირო ინფორმაციის მიწოდება მოწინააღმდეგის ძალების, კლიმატური პირობებისა და ადგილის შესახებ. მეთაურები ახორციელებენ თავიანთი ძალების მანევრს საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე. ძალების დაცვა, მათ შორის თავდაცვითი ოპერატიული ინფორმაცია, ხელს უშლის მოწინააღმდეგეს მოიპოვოს ზუსტი ინფორმაცია, მოწინააღმდეგემ უნდა დაინახოს მხოლოდ ის, რაც სურთ დაანახონ მეთაურებმა.

იერიში გადამწყვეტი ოპერაციის წინ უნდა იყოს კარგად მოფიქრებული, რათა შეიქმნას ოპტიმალური გარემო. გადამწყვეტი ოპერაცია არის უეცარი, დამანგრეველი მოქმედება, რომელიც ეფუძნება სუბორდინაციულ ინიციატივას და ზოგად ოპერატიულ სურათს. მთელი მოქმედების რაიონში მეთაურები უყოყმანოდ იყენებენ ძალას მოწინააღმდეგის გასანადგურებლად.

შეტევას ახორციელებენ მოულოდნელად, როდესაც თავს ესხმიან მოწინააღმდეგეს იმ დროს ან ისეთ ადგილას, სადაც არ ელის ან ისეთი მეთოდით, რომლისთვისაც იგი არ არის მომზადებული გამოიცნოს მოწინააღმდეგის განზრახვა, არ მისცე მას საშუალება, კარგად და დროულად გაერკვეს სიტუაციაში, აუცილებელია მოულოდნელობის ეფექტისათვის, სიმამაცე და გაუთვალისწინებელ შემთხვევაში სწრაფი ორიენტირების უნარი, სწორი მიმართულება, დროის რეგულირება და შემტევი ძალები ასევე აუცილებელია მოულოდნელობის მისაღწევად. მოულოდნელობა ანელებს მოწინააღმდეგის რეაქციას, ზედმეტად ტვირთავს და აბნევს მისი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სისტემას, იწვევს ჯარისკაცებში და ხელმძღვანელობაში ფსიქოლოგიურ შოკს და ამცირებს დაცვის თანამიმდევრულობას. მოწინააღმდეგის

საბძროლო ძალის შემცირება შემტევ ძალას საშუალებას აძლევს, გამოიყენოს მისი დაბნეულობა და ყოყმანი.

ოპერატიული და ტაქტიკური მოულოდნელობა ავსებენ ერთმანეთს. ოპერატიული მოულოდნელობა ქმნის პირობებს წარმატებული ტაქტიკური ოპერაციისათვის. ტაქტიკურმა მოულოდნელობამ შეიძლება აიძულოს მოწინააღმდეგე შეფერხდეს და არასწორად შეაფასოს სიტუაცია, მაგრამ ტაქტიკური მოულოდნელობა სწრაფად წარმავალია. მეთაურებმა უნდა გამოიყენონ ის მანამ, სანამ მოწინააღმდეგე გაერკვევა სიტუაციაში.

კონცენტრირება არის საბრძოლო ძალებისა და საშუალებების თავმოყრა რაიმე გარკვეული მიზნის მისაღწევად. მეთაურები ადარებენ, რა არის უკეთესი – ძალების თავმოყრა თუ მათი დაფანტვა, რათა მტერს არ შეუქმნან მოხერხებული სამიზნე. წინსვლა ხმელეთზე და ჰაერში, მიზნის მოპოვება და ზუსტი შორსმოქმედი ცეცხლი შემტევ ძალას აძლევს სწრაფი კონცენტრირების საშუალებას. ხელმძღვანელობისა და კონტროლის სისტემა აწვდის საიმედო საჭირო ინფორმაციას, რომელიც ეხმარება მეთაურებს, გადაწყვიტონ, როდის მიახდინონ ძალების კონცენტრირება.

შემტევი ძალები ახდენენ საკუთარი და მოწინააღმდეგის ძალების კონცენტრირებათა მანიპულირებას გაფანტვით, ჯარების თავმოყრით, ცრუ ობიექტებითა და შეტევით. გაფანტვით შემტევი ძალები იძულებულს ხდიან მოწინააღმდეგეს, გაიშალოს და ვერ მოიპოვოს მოხერხებული სამიზნე. შემტევი ძალა ანადგურებს მოწინააღმდეგის ძალას გადამწყვეტ ადგილებში კონცენტრირებული საბრძოლო ძალითა და მასალებით. წარმატებული შეტევის შემდეგ მეთაურები თავიანთ ძალებს კონცენტრირებულს ტოვებენ, რათა ბოლომდე გამოიყენონ მოპოვებული უპირატესობა და შეინარჩუნონ მებრძოლი სულისკვეთება.

ინიციატივის შესანარჩუნებლად აუცილებებლია მოქმედების ტემპის კონტროლი და საჭიროებისას – შეცვლა. საბრძოლო თვალსაზრისით, ტემპის მატება შემტევ ძალას საშუალებას აძლევს, დაბრკოლებები შეუქმნას მოწინააღმდეგეს.

თავდაცვის გეგმების განხორციელებაში, ტექნიკური თვალსაზრისით, ტემპის მატება შემდეგ ძალას აძლევს საშუალებას, რომ სწრაფად გადალახოს დაბრკოლებები, დაიცვას თავი და გაანადგუროს მოწინააღმდეგე ამოქმედებამდე.

მეთაურები, სიტუაციიდან გამომდინარე, ტაქტიკური თვალსაზრისით, არეგულირებენ მოქმედების ტემპს. საბრძოლო მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა და შესაძლებლობები უზრუნველყოფენ ქვედანაყოფების სინქრონულ და კოორდინირებულ მოქმედებას მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. მოქმედების სწრაფი ტემპი მოითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღებას. მოწინააღმდეგეს არ უნდა ჰქონდეს სულის მოთქმის საშუალება.

ტემპის მატებით მეთაურები ეუფლებიან ინიციატივას, ირჩევენ შეტევებისთვის საუკეთესო პოზიციებს. გეგმავენ მოქმედებას შემდეგ საფეხურზე სწრაფად გადასვლის გათვალისწინებით. ახდენენ კონცენტრაციას და ეფექტიანად აერთიანებენ შეიარაღებულ ძალებს.

გამბედაობა არის თამამად შესასრულებელი მოქმედება. მოფიქრებული გეგმების განხორციელებისას, გადამწყვეტი შედეგების მისაღებად, ისინი გამბედაობის დემონსტრირებას ახდენენ საბრძოლო სიძლიერისათვის აქტიური მიმართვისას. გეგმის შესრულების დროს მეთაურებმა იციან, სად და როდის არის რისკის საშიშროება, ან ყოყმანი საჭირო არ არის. მათ უნდა გაფანტონ ეჭვი მოქმედების დროს. გამბედაობა ჯარისკაცებს მატებს ძალას, რათა თავიდან აიცილონ არახელსაყრელი მდგომარეობა და საფრთხე.

მეთაურები შეტევის ოპერაციებს ქვედანაყოფების საბრძოლო სტრუქტურის მიხედვით ახორციელებენ. ისინი საერთო მიზნის მისაღწევად და რესურსების ერთდროული მიღებით სინქრონულად ამოქმედებენ ქვედანაყოფებს, რაც უზრუნველყოფს ფორმებისა და მხარდაჭერის ოპერაციების ერთდროულ და თანამიმდევრულ განხორციელებას. ამგვარი სიტუაციების დროს მეთაურები გამოყოფენ მოწინააღმდეგესთან მიახლოების, სიღრმისა და ზურგის რაიონებს.

გადამწყვეტი შეტევითი ოპერაციები საბოლოოდ განსაზღვრავენ ძირითადი ოპერაციებისა და ბრძოლების შედეგს. საბრძოლო თვალსაზრისით, გადამწყვეტი ოპერაციები უზრუნველყოფენ კამპანიის ყოველი ფაზის მიზნების მიღწევას.

სახმელეთო ოპერაცია მოიცავს რამდენიმე ფაზას. ყოველი მათგანი გადამწყვეტი ოპერაციით სრულდება. მისი შედეგები გავლენას ახდენენ კამპანიის მიმართულებაზე. ტაქტიკური თვალსაზრისით გადამწყვეტი ბრძოლები გენერალური შტაბის დავალების მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს. მეთაურები გადამწყვეტ ოპერაციებში უშუალო ბრძოლით აღწევენ გამარჯვებას, რაც ფიზიკურად ანადგურებს მოწინააღმდეგეს და აკარგვინებს ტერიტორიას.

სახმელეთო ოპერაციის წარმატებით წარმართვისათვის აუცილებელია:

- რეაგირებისთვის და მანევრირებისთვის დროისა და სივრცის გათვალისწინება;
- სიტუაციის შესწავლა;
- უსაფრთხოების მიზნით ორიენტირება ძალასა და საშუალებებზე;
- ტაქტიკური დაზვერვა
- მოწინააღმდეგესთან მიახლოება.

მეთაურები საბრძოლო მოქმედებათა არამომიჯნავე რაიონებში განლაგებულ ქვედანაყოფებს შორის არსებულ გასასვლელებზე თვალთვალით ხელმძღვანელობენ დაზვერვას. ისინი, გასასვლელების დასაცავად გამოყოფენ ძალებს, ამოწმებენ ტერიტორიას, მოწინააღმდეგის მოახლოებაზე საპასუხო მოქმედების განსახორციელებლად ნიშნავენ ქვედანაყოფს და მოწინააღმდეგეს უქმნიან დაბრკოლებებს.

შეტევის დროს მხარდამჭერი ოპერაციები უზრუნველყოფენ მოქმედების თავისუფლებას და იყენებენ ხელსაყრელ შემთხვევას. მეთაურები აშორიშორებენ შემტევ ძალებსა და საბრძოლო მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ბაზას, მაგრამ

მათ შორის კავშირი არ წყდება, რაც უზრუნველყოფს მათი მოქმედებების უსაფრთხოებას.

არახაზოვანი შეტევითი ოპერაციები ხორციელდება, როგორც მომიჯნავე, ისე არამომიჯნავე საბრძოლო მოქმედებათა რაიონებში. მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები შეიძლება არ იყვნენ თავმოყრილი, ამიტომ გადამწყვეტი საბრძოლო ძალის წინააღმდეგ განვითარებული შეტევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებზე. ტაქტიკური თვალსაზრისით სარეზერვო ძალა მობილური უნდა იყოს. არახაზოვანი ოპერაციების განხორციელებისას შეიარაღებულ ძალებს ესაჭიროებათ კავშირგაბმულობა, რომლის უსაფრთხოდ მოქმედებას სამხედრო პოლიცია უზრუნველყოფს.

არსებობს მანევრირების ხუთი ფორმა: გარშემორტყმა, შემოვლითი გადაადგილება, შეღწევა, გარღვევა და ფრონტალური იერიში. მანევრირების ეს ფორმები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და შესაბამისად, განსხვავებული ფორმით უზრუნველყოფენ მოწინააღმდეგეზე იერიშის მიტანას. ყოველი მათგანი განსხვავებულ საფრთხეს უქმნის თავდაცვის ძალებს. მეთაურები მანევრირების ფორმას მხოლოდ ამოცანის, მოწინააღმდეგის, დროის, ადგილმდებარეობისა და ძალების შესწავლით ირჩევენ.

არსებობს შეტევითი ოპერაციების ოთხი ტიპი: გადაადგილება მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხებამდე, შეტევა, წარმატების განვითარება და დევნა.

მეთაურები აწარმოებენ შეტევით ოპერაციებს თანამიმდევრულად ან კომბინირებულად, რათა განავითარონ მაქსიმალური საბრძოლო ძალა და გაანადგურონ მოწინააღმდეგე.

მაგალითად, წარმატებულმა შეტევამ შეიძლება მიგვიყვანოს წარმატების განვითარებასთან, რასაც შეიძლება მოჰყვეს დევნა. დევნას შეიძლება მოჰყვეს წინასწარგანზრახული იერიში მოწინააღმდეგის საბოლოოდ გასანადგურებლად. ზოგ შემთხვევაში მეთაურები შეიძლება გადავიდნენ შეტევაზე დევნის დროს, მოწინააღმდეგის უკან დახევის შესანელებლად.

იერიში არის შეტევითი ოპერაცია, რომელიც ამარცხებს ან ანადგურებს მოწინააღმდეგის ძალებს, იკავებს ან იცავს ტერიტორიას, იერიშების დროს კოორდინირებული მოქმედებები შერწყმულია და მათ მხარს უჭერს ცეცხლი ღია და დახურული პოზიციებიდან. იერიში შეიძლება იყოს მოულოდნელი ან წინასწარგანზრახული, რაც დამოკიდებულია დროზე, რომელიც მეთაურებს აქვთ ვითარების შეფასების, დაგეგმვისა და მომზადებისათვის.

მეთაურები მოულოდნელ იერიშს იწყებენ, როდესაც სიტუაცია მოითხოვს დაუყოვნებლივ მოქმედებას ხელთ არსებული ძალებითა და რესურსებით. წინასწარგანზრახული იერიში ხორციელდება, როდესაც მეთაურებს აქვთ საკმარისი დრო გეგმის მოსამზადებლად და განსახორციელებლად. ასეთივე პრინციპებით მოქმედებენ ყველა ტიპის შეტევის დროს. წარმატება დამოკიდებულია საბრძოლო ძალის და საშუალებების მოხერხებულ გამოყენებაზე.

იერიშის ტიპებია:

ა) მოულოდნელი;

ბ) წინასწარგანზრახული;

გ) სპეციალური:

- წინმსწრები;
- კონტრშეტევა;
- თავდასხმა;
- ჩასაფრება;
- ცრუ იერიში;
- ძალების დემონსტრირება.

მეთაურები გადადიან მოულოდნელ იერიშზე, რათა ხელთ იგდონ მოწინააღმდეგის განადგურების შესაძლებლობა ან ხელში ჩაიდგონ ინიციატივა. ეს შესაძლებლობები სწრაფად წარმავალია და, ჩვეულებრივ, მათ იყენებენ შემხვედრი გადაადგილების ან თავდაცვითი ოპერაციების დროს. მოულოდნელი იერიშის დროს მეთაურები გულმოდგინედ მომზადებულსა და სინქრონიზებულ გეგმას ამჯობინებენ დაუყოვნებლივ მოქმედებას.

შემხვედრი გადაადგილებისას მეთაურები იწყებენ მოულოდნელ იერიშს მოწინააღმდეგის ძალის გასანადგურებლად, სანამ ისინი ახერხებენ ძალების კონცენტრირებას და დაცვის გაძლიერებას.

როდესაც იერიში გადაწყვეტილია, მეთაურები ახორციელებენ მას რაც შეიძლება სწრაფად, რადგან მოულოდნელი იერიში ზრდის ეფექტს. ჩნდება სინქრონულობის დაკარგვის საფრთხე. რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, მეთაურები მაქსიმალურად იყენებენ მოქმედ ოპერაციებს.

მოულოდნელი იერიშისაგან განსხვავებით, წინასწარგანზრახული შეტევა კარგად მომზადებული და დეტალურად დაგეგმილია. წინასწარგანზრახული შეტევის დროს მეთაურები მოქმედებენ ერთდროულად მთელი საბრძოლო მოქმედების რაიონში, გეგმავენ ცეცხლისა და ფორმირების ოპერაციებს. საჭირო მომენტში გამოსაყენებლად რესურსებს წინასწარ განალაგებენ. მეთაურები იტოვებენ საჭირო დროს ძალების განლაგების და დაზვერვისათვის, რათა დაარტყან მოწინააღმდეგეს, როგორც მანევრებით, ასევე გაბედული გამანადგურებელი ცეცხლით.

რამდენადაც წინასწარგანზრახული იერიშის დაგეგმვასა და მომზადებას დრო სჭირდება, მეთაურები იწყებენ მას თავდაცვითი პოზიციებიდან. თუმცა წინასწარგანზრახული იერიში შეუძლია განახორციელოს მანამდე ბრძოლაში ჩაურთველმა ძალამ, როგორც მიმდინარე შეტევითი ოპერაციის გაგრძელება.

წინასწარგანზრახული იერიშის მოსამზადებლად საჭიროა დრო, რომელსაც მოწინააღმდეგე იყენებს დაცვის გასაუმჯობესებლად, უკან დასახევად ან დამსწრები იერიშის დასაწყებად. ამის გამო მეთაურები იწყებენ წინასწარგანზრახულ იერიშს

მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლიათ მოწინააღმდეგის დაძლევა მოულოდნელი იერიშით.

წინასწარგანზრახული იერიშისთვის საჭიროა ვრცელი დაგეგმვა და კოორდინირება, მათ შორის რეზერვების და უკან მომავალი ძალების განლაგების დაგეგმვა და კოორდინირება. სანამ ჯარები და აღჭურვილობა მოემზადება. მეთაურები და შტაბი ამუშავებენ გეგმებს, რომლებიც ეყრდნობა გამოცდილებას და დაზვერვის მასალებს. მეთაურები წარმართავენ დაზვერვის ოპერაციებს მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად და იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ ეფექტიან ხელმძღვანელობასა და კონტროლს. კარგი სადაზვერვო ოპერაცია ნიღბავს იერიშისათვის მზადებას და მოკავშირე ძალების განზრახვას და უნარს. მეთაურები წარმართავენ დაზვერვას და თვალთვალს, რომლის მიზანია მოწინააღმდეგეზე და საბრძოლო მოქმედებების რაიონზე ინფორმაციის შეგროვება. დაზვერვის სისტემა ახდენს ამ ინფორმაციის ანალიზს, რათა იპოვოს მოწინააღმდეგის შესაძლებლობებში სუსტი მხარეები. განლაგება, გეგმები ითვალისწინებენ მოწინააღმდეგის სუსტ მხარეებს იერიშამდე და იერიშის დროს. ინფორმაციის ეფექტიანი მართვა დაზვერვის მონაცემებს წარმართავს სწორი მიმართულებით. ინფორმაციის მართვა აგრეთვე ხელს უწყობს ქვედანაყოფებში დაზვერვის მასალების დროულად გავრცელებას.

იერიშის ზოგიერთი ფორმა მოითხოვს განსაკუთრებულ ხერხებსა და დაგეგმვას. მეთაურები ასეთ იერიშებს ახორციელებენ განსხვავებული მიზნების მისაღწევად, წინმსწრები იერიში და კონტრიერიში, ჩვეულებრივ, უფრო დიდი ოპერაციების ნაწილია. თავდასხმა და ჩასაფრება კი ერთფაზიანი ოპერაციებია, რომელსაც ახორციელებენ მცირე ქვედანაყოფები, ცრუ იერიში და დემონსტრაცია – მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაციები.

წინმსწრები იერიში არის იერიშის ფორმა, რომელიც ხელს უშლის ან ჩაშლის მოწინააღმდეგის იერიშს მისი დაგეგმვის ან მზადების პროცესში. იერიში, ჩვეულებრივ, მზადდება დაცვის პოზიციიდან და ურტყამს მოწინააღმდეგეს იმ დროს და იმ ადგილას, სადაც ყველაზე სუსტი ადგილი აქვს.

კონტრიერიში არის ფორმა მთელი დამცავი ძალის ან მისი ნაწილის იერიშისა მოწინააღმდეგის მოიერიშე ძალის წინააღმდეგ. მისი მთავარი მიზანია – არ მისცეს მოწინააღმდეგეს მიზნის მიღწევის საშუალება. ჩვეულებრივ, მეთაურები იწყებენ კონტრიერიშს დაცვის პოზიციებიდან, იმისათვის, რომ დაამარცხონ ან გაანადგურონ მოწინააღმდეგის ძალები, მოიპოვონ ტერიტორიული უპირატესობა მოწინააღმდეგის წარმატების შემდეგ.

მეთაურები კონტრიერიშს ბრძოლაში წარმართავენ მსუბუქი ქვედანაყოფებით ან სპეციალურად დანიშნული ძალებით. მოწინააღმდეგის მიერ იერიშს დაწყების შემდეგ იწყებენ კონტრიერიშს, მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე ავლენს მთელ ძალებს ან გამოააშკარავებს თავისი ფლანგის სუსტ ადგილებს.

მეთაურები აწარმოებენ კონტრიერიშს სხვა ოპერაციების მსგავსად. კონტრიერიშის ძალებს შეუძლიათ აწარმოონ ადგილობრივი მოქმედებები, მაგრამ შემდეგ, ჩვეულებრივ,

უბრუნდებიან დაცვის პოზიციას. დიდი ქვედანაყოფების შტაბები წინასწარ გეგმავენ კონტრიერიშს ისევე, როგორც მნიშვნელოვანი მოქმედების განვითარებას და დევნას. ამ სიტუაციაში კონტრიერიში შეიძლება იყოს პირველი ნაბიჯი ინიციატივის ხელში ჩასაგდებად და შეტევით ოპერაციებზე გადასასვლელად. კონტრიერიში არის გადამწყვეტი ოპერაცია ძლიერი დაცვის დროს.

თავდასხმა არის, ჩვეულებრივ, მცირე მასშტაბის იერიშის ფორმა, რომელიც გულისხმობს სწრაფ შესვლას მტრის ტერიტორიაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად, მოწინააღმდეგის დასაბნევად ან ობიექტის გასანადგურებლად, იგი ჩვეულებრივ მთავრდება მისიის დამთავრებისთანავე ბრძოლიდან დაგეგმილი გამოსვლით. თავდასხმას აქვს განსაზღვრული მიზნები, რომლებისთვისაც საჭიროა დეტალური დაზვერვა და წინასწარი დაგეგმვა. თავდასხმის მიზანია მოწინააღმდეგის ობიექტების და მოწყობილობის გაანადგურება, ტყვეების შეპყრობა ან განთავისუფლება, მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობისა და კონტროლის ან სხვა სისტემების მოშლა.

ჩასაფრება არის ფორმა ცეცხლით ან სხვა გამანადგურებელი საშუალებებით იერიშისა ფარული პოზიციებიდან მოძრავ ან დროებით შეჩერებულ მტერთან. ჩასაფრება ანადგურებს მოწინაღმდეგის ძალებს მოულოდნელობის ეფექტის მაქსიმალური გამოყენებით, ჩასაფრებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს საცეცხლე ან სხვა დამაზიანებელი სისტემები, როგორიცაა დეტონატორიანი ნაღმი, არაგამანადგურებელი ცეცხლი, ცეცხლი დახურული პოზიციებიდან. ჩასაფრებამ შეიძლება დაშალოს მოწინააღმდეგის დარაზმულობა, შეარყიოს უსაფრთხოების შეგრძნება და თავდაჯერებულობა. ეს ოპერაცია ეფექტურია მოწინააღმდეგის დამხმარე ოპერაციების წინააღმდეგ.

ცრუ იერიში არის იერიშის ისეთი ფორმა, რომელსაც იყენებენ ძირითადი ოპერაციის დროისა და ადგილის შესახებ მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად. ძალები, რომლებიც აწარმოებენ ცრუ იერიშს, ცდილობენ ცეცხლი გაუხსნან მოწინააღმდეგეს, მაგრამ გადამწყვეტ მოქმედებებს თავს არიდებენ. ცრუ იერიშებს ძირითადი ოპერაციებიდან ყურადღება გადააქვთ მეორეხარისხოვან ოპერაციაზე და ხელს უშლიან მოწინააღმდეგეს, მოახდინოს საბრძოლო ძალის და მასალების კონცენტრირება.

დემონსტრაცია არის იერიშის ფორმა, რომლის მიზანია ძალების განლაგებით შეცდომაში შეიყვანოს მოწინააღმდეგე ძირითადი ოპერაციის ადგილისა და დროის შესახებ. ძალები, რომლებიც ახდენენ დემონსტრაციას, არ ცდილობენ მოწინააღმდეგესთან კონტაქტის დამყარებას. დემონსტრაია იმავე დროს არის ფორმირების ოპერაცია. იგი ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მოწინააღმდეგე მოიერიშე ძალის ნამდვილი შესაძლებლობის განსაზღვრის შესახებ. მეთაურები ცდილობენ არ გამოამჟღავნონ დემონსტრაციის ნამდვილი მიზნები, რისთვისაც საჭიროა დიდი გამოცდილება. თუ დემონსტრაცია გამოამჟღავნებს მოწინააღმდეგის სუსტ მხარეს, მას შეიძლება მოჰყვეს სხვა ფორმა.

წარმატების განვითარება არის შეტევითი ოპერაციის ისეთი ტიპი, რომელიც ჩვეულებრივ მოჰყვება წარმატებულ იერიშს და რომლის მიზანია მოახდინოს მოწინაღმდეგის დეზორგანიზება სიღრმეში. წარმატების განვითარებისას ცდილობენ მოწინააღმდეგის ძალები ისეთ ადგილას მოაქციონ, სადაც ისინი იძულებული იქნებიან, დანებდნენ ან გაიქცნენ. იმ ძალების მეთაურებს, რომლებიც ავითარებენ წარმატებას, აქვთ ფართო ასპარეზი ამოცანის შესასრულებლად. ისინი მოქმედებენ გაბედულად, მიზანმიმართულად და იჩენენ ინიციატივას. წარმატების განვითარება შეიძლება იყოს ადგილობრივი ან გაფართოებული.

ფართომასშტაბიან ოპერაციებში მოწინააღმდეგე ცდილობს საბრძოლო ძალისა და მასალების თავმოყრას იერიშის წინააღმდეგ ძალების გადაადგილებით სხვა ნაკლებად აქტიურ რაიონში ან რეზერვის ბრძოლაში შეყვანით. წარმატების განვითარების დროს მეთაურები აწარმოებენ ერთდროულ იერიშებს მთელი საბრძოლო მოქმედების რაიონში, რათა ხელი შეუშალონ მოწინააღმდეგის მოქმედებებს.

იერიშის დროს, მეთაურები ფხიზლად უნდა იყვნენ, რომ გამოიყენონ წარმატების განვითარების შესაძლებლობა. ამისათვის არსებობს შემდეგი მაჩვენებლები:

— თუ სამხედრო ტყვეები დიდი რაოდენობითაა ან მთელი ქვედანაყოფი ბარდება;

— თუ მოწინააღმდეგის ქვედანაყოფი იშლება კონტაქტის დაწყებისთანავე;

— თუ არ არსებობს ორგანიზაციული დაცვა;

— არ არსებობს მოწინააღმდეგის წამყვანი ძალა.

მეთაურები გეგმავენ ყველა იერიშს იმ პირობით, რომ შემდეგ განავითარონ წარმატება, თუ ეს არ არის შეზღუდული ზემდგომი შტაბის მიერ ან იგი არ არის პირობებით გამოწვეული. წარმატების განვითარება თრგუნავს მოწინააღმდეგეს, იწვევს მის დეზორგანიზებას და ამცირებს წინააღმდეგობის სურვილს. მოწინააღმდეგის ერთიანობის დარღვევის შემდეგ მოიერიშე ძალები ურტყამენ იმ მიზნებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოწინააღმდეგის გადაჯგუფებას. ისინი უტევენ სამეთაურო საგუშაგოებს, უჭრიან გადარჩენის გზას, ურტყამენ მოწინააღმდეგის რეზერვს, საველე არტილერიას, აგრეთვე ძირითად საბრძოლო მხარდაჭერისა და ბრძოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ობიექტებს.

ადგილობრივად წარმატების განვითარების შესაძლებლობა გამოიკვეთება მაშინაც, როდესაც მთავარი მოქმედება ხდება სხვა საბრძოლო მოქმედებების რაიონში. მეთაურები ცვლიან ქვედანაყოფების ტემპს, რათა შესძლონ გამოიყენონ მანამ, სანამ ძირითადი საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს.

წარმატების განვითარება მნიშვნელოვანია წინასწარგანზრახული იერიშის შემდეგ, როდესაც მეთაური ძირითადი ოპერაციისთვის ახდენს საბრძოლო ძალების კონცენტრირებას. ძირითად ოპერაციაში წარმატების განვითარების ბოლომდე გამოუყენებლობის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ეძლევა საშუალება გამოიყენოს მოიერიშე ძალის სისუსტე და ხელთ იგდოს ინიციატივა.

როცა შესაძლებელია, წამყვანი ძალა პირდაპირ გადადის წარმატების განვითარებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის შესაძლებელი, მეთაურებს გადაჰყავთ ახალი ძალები წამყვან პოზიციებზე. წარმატების განვითარება მოითხოვს ფიზიკურ და გონებრივ, დაძაბვას რათა დაძლიონ სიბნელე, ცუდი ამინდი, შესაძლო შეტაკება მოკავშირე ქვედანაყოფებს შორის და ოპერაციის გაჭიანურება.

წარმატებული განვითარება ახდენს მოწინააღმდეგის დემორალიზებას და შლის მის ფორმირებებს. მეთაურებმა უნდა გაითვალისწინონ ეს სიტუაცია და მოემზადონ დადევნებისათვის. მათ არ უნდა დაუშვან, რომ მოწინააღმდეგე გაერთიანდეს და აღიდგინოს ძალები.

დევნა არის შეტევითი ოპერაცია, რომლის მიზანია შეიპყრონ ან გზა გადაუჭრან მოწინაღმდეგის ძალას, რომელიც ცდილობს გაქცევას. დევნა არის ძირითადი ოპერაცია, რომელიც მოსდევს წარმატებულ იერიშს ან წარმატების განვითარებას. იგი წარმოებს მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე ვერ ახერხებს დაცვის ორგანიზებას და ცდილობს ბრძოლიდან გამოსვლას. დევნა მოითხოვს სწრაფ მოძრაობას და არაცენტრალიზებულ კონტროლს. წარმატების განვითარებისაგან განსხვავებით დევნისას ძნელია სიტუაციის წინასწარ განსაზღვრა, ამიტომ ამისათვის სარეზერვო ძალები არ ჰყავთ.

თავდაცვითი ოპერაცია და მისი სახეები

თავდაცვის ოპერაციის მიზანია მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება. თავდაცვისას ქვედანაყოფები ელოდებიან მოწინააღმდეგის შეტევას და გეგმავენ ცეცხლით კონტრშეტევას. თუ შეტევის ოპერაციების მხარდაჭერის პირობები არ იქნება, მეწინავე ქვედანაყოფები გარკვეული დროის განმავლობაში, სანამ გაერთიანებული ქვედანაყოფების მეთაური ჩამოაყალიბებს საბრძოლო ძალას, იცავენ საბრძოლო პოზიციებს.

თავდაცვის ოპერაციები მომზადებისას საჭიროებენ მოქნილ გეგმებს, მარაგის ეფექტიან გამოყენებასა და უდიდესი ბრძოლისუნარიანობის გამოვლენას. მეთაურები იჩენენ მოქნილობას და განსაზღვრავენ სათადარიგო პოზიციებს, ადგენენ გეგმებს და ემზადებიან კონტრშეტევისთვის.

არსებობს თავდაცვის ოპერაციის სამი სახეობა: მობილური, რაიონული და უკანდახევით თავდაცვა. ისინი გამოიყენება ბრძოლაში ტაქტიკური და ოპერატიული მოქმედებების დროს.

მობილური თავდაცვის დანიშნულება არის მოწინააღმდეგე ძალების განადგურება და მათთვის იმის საშუალების მიცემა, რომ წაიწიონ კონტრშეტევებისთვის ვარგისი ადგილმდებარეობისკენ.

რაიონული თავდაცვის დანიშნულება არის ტერიტორიის დაცვა.

უკანდახევით თავდაცვისას საკუთარი ძალები გადაადგილდებიან მოწინააღმდეგესთან შეხებამდე დროის მოგებისა და ძალების დაზოგვის მიზნით და

ტოვებენ მოწინააღმდეგეს არახელსაყრელ პოზიციებზე ან თავს არიდებენ ბრძოლისთვის შექმნილ არახელსაყრელ პირობებს.

თავდაცვაში მეთაურები იყენებენ სამივე სახეობის ოპერაციებს ვითარების მიხედვით.

მობილური თავდაცვისას მყარი პოზიციების დაკავებით შესაძლებელია მოწინააღმდეგის გარკვეულ პოზიციებში შეღწევა და მთელი ტერიტორიის კონტროლი. რაიონული თავდაცვისას მეთაურები აერთიანებენ პატრულს, უსაფრთხოებისა და სარეზერვო ქვედანაყოფებს, იყენებენ დისტანციური მართვის სადაზვერვო მოწყობილობას და ცეცხლით იცავენ პოზიციებს თავდაცვის ხაზის შუიდან. აძლიერებენ პოზიციებს და გადადიან კონტრშეტევაზე გარკვეული მიმართულებით. უკანდახევის ოპერაციებში გარკვეული ქვედანაყოფები რაიონში ახორციელებენ მობილურ თავდაცვას ან უსაფრთხოების პროცედურებს.

მობილური თავდაცვა არის თავდაცვის ოპერაციის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც გადამწყვეტი შეტევის დროს გამოიყენება დარტყმის ძალით მოწინააღმდეგის დასამარცხებლად ან გასანადგურებლად. ქვედანაყოფები აერთიანებენ შეტევის, თავდაცვის და შემაყოვნებელ მოქმედებებს იმ პოზიციებში მოწინააღმდეგის შესატყუებლად, სადაც ის უძლური იქნება კონტრშეტევისთვის. მეთაურები თავდაცვის ტერიტორიის შუაგულში გადაადგილების, შეცდომაში შეყვანის გზით, დაბრკოლებებითა და მანევრირებით ართმევენ ინიციატივას მოწინააღმდეგეს.

მეთაურებს თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად ბროლაში შეჰყავთ ქვედანაყოფების ძალების ნაწილი. ის განლაგდება უდიდესი საბროლო ძალის შემტევ ქვედანაყოფებთან და როგორც კი მოწინააღმდეგე დაიწყებს მანევრირებას, გადადის კონტრშეტევაზე. შემტევი ქვედანაყოფების ამოცანაა: დაგეგმვა, მომზადება და გადამწყვეტი ოპერაციის შესრულება–კონტრშეტევა. თავდაცვაში მყოფი ქვედანაყოფები თავიანთთვის ხელსაყრელ ტერიტორიაზე შეიტყუებენ მოწინააღმდეგეს და გადადიან შეტევაზე მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი მხრიდან. ისინი კონტრშეტევას ახორციელებენ მთელი თავიანთი ძალებით.

კონტრშეტევის დაგეგმისას მეთაურები ითვალისწინებენ მოწინააღმდეგის არჩევანს და სავარაუდო გზით მიჰყავთ ქვედანაყოფები – წყვეტენ, სად განალაგონ შემდეგი ქვედანაყოფები, რომელი გზა და ადგილი, რა მისადგომები გამოიყენონ, როგორი ცეცხლით დაჭერირონ მხარი, რა მოჰყვება ქვედანაყოფების შეტევებს იზოლაციაში მოწინააღმდეგის მოქცევის შემდეგ. ისინი აერთიანებენ საბროლო მოქმედებებსა და უსაფრთხოების ოპერაციებს, რათა უშედეგო იყოს მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული სადაზვერვო პროცედურები.

დამატებითი შემტევი ქვედანაყოფები იმყოფებიან რეზერვში. აქვე, არიან რეზერვისტები. მათ შეუძლიათ შეასრულონ მრავალი ამოცანა და მეთაურს მატებენ მოქნილობას. რეზერვისტებს მხარს უჭერენ მიკუთვნებული ქვედანაყოფები და აძლევენ გარანტიას, რომ თავდაცვა წარმატებული კონტრშეტევის პირობებს შექმნის.

რაიონული თავდაცვა არის თავდაცვის ოპერაციის ერთერთი სახეობა, რომლის დანიშნულება არის ის, რომ მოწინააღმდეგეს არ მისცეს ტერიტორიასთან მიახლოებისა და მისი დაპყრობის საშუალება.

თავდაცვის ქვედანაყოფების დიდ ნაწილს უკავია თავდაცვის მყარი პოზიციები. რაიონული თავდაცვის წარმატება დამოკიდებულია ქვედანაყოფის ეფექტიან მოქმედებაზე, მათ კონტროლსა და ცეცხლით მხარდაჭერაზე. რაიონული თავდაცვისას უსაფრთხოების ქვედანაყოფებს იყენებენ მოწინააღმდეგის სავარაუდო ახლო მისადგომებთან, რეზერვისტებს კი პირველადი კონტრშეტევისთვის. პოტენციური რეზერვისტების მისიაა მოწინააღმდეგის ბლოკირება და თავდაცვის ქვედანაყოფის გაძლიერება. რაიონული თავდაცვა შეიძლება იყოს უდიდესი მობილური თავდაცვის ნაწილი.

მეთაურები იცავენ გადამწყვეტი მნიშვნელობიის მქონე ადგილმდებარეობას, როდესაც შექმნილი ვითარება სხვა არჩევანის საშუალებას არ იძლევს და საკუთარი ძალები აღემატება მოწინააღმდეგისას. ქვეითი ეშელონის ტაქტიკური ქვედანაყოფები იკავებენ შესაბამის ადგილმდებარეობას საბრძოლო პოზიციაზე: მეთაურებს შეუძლიათ გამოიყენონ საყრდენი პუნქტი, რათა მოწინააღმდეგეს გადამწყვეტი მნიშვნელობის ადგილმდებარეობის დაპყრობისა და სხვადასხვა მიმართულების დაკავების შესაძლებლობა არ მისცენ. საყრდენი პუნქტის მოწყობა მოითხოვს მნიშვნელოვან დროსა და საინჟინრო ძალების მოზიდვას.

უკანდახევით თავდაცვა არის თავდაცვის ოპერაციის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც გულისხმობს ორგანიზებულ გადაადგილებას მოწინააღმდეგესთან შეხებამდე.

უკანდახევის სამი ფორმაა: ერთდროული უკანდახევა, შეყოვნება და ჩვეულებრივ უკანდახევა.

მეთაურები იყენებენ ჩვეულებრივ უკანდახევას, რომელიც არის მანევრირების სქემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და ქმნის პირობებს ინიციატივის დასაუფლებლად და მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. უკანდახევის მეშვეობით შექმნილი სიტუაცია გამოსწორდება და მდგომარეობის გაუარესებაც გამოირიცხება. ოპერაციული დონის მეთაურები უკანდახევის ოპერაციებს მართავენ კავშირგაბმულობის საშუალებებით.

ერთდროული უკანდახევა არის დაგეგმილი უკანდახევის ერთ-ერთი სახეობა, რომლის დროსაც ქვედანაყოფები ბრძოლიდან გამოდიან ერთდროულად. უკან იხევს ყველა ან მხოლოდ მთავარი ძალების ნაწილი. მეთაურები ხელმძღვანელობენ ერთდროულ უკანდახევას ძალების დაცვის მიზნით. ქვედანაყოფებს უსახავენ ახალ ამოცანას, რათა თავიდან აიცილონ ბრძოლის არახელსაყრელი პირობები ან დაისვენონ. ეს შეიძლება ხდებოდეს მოწინააღმდეგის ზემოქმედების პირობებში. ტაქტიკური ეშელონების ქვედანაყოფები შეიძლება იხევდნენ ან არ იხევდნენ უკან.

კორპუსის ან დივიზიის უკანდამხევი ძალების მეთაურები აყალიბებენ უსაფრთხოების ქვედანაყოფებს და მთავარ ძალებს. უსაფრთხოების ქვედანაყოფები ერთდროული უკანდახევით თავს არიდებენ მოწინააღმდეგესთან შეტაკებას. მთავარი ძალები მოწინააღმდეგესთან შეხებამდე განლაგებულ არიან უსაფრთხოების

ქვედანაყოფების უკან. უსაფრთხოების ქვედანაყოფები რჩებიან მოწინააღმდეგისა და მთავარ ძალებს შორის და ამთავრებენ მთავარი ძალების მომზადებას და განლაგებას. თუ ერთდროული უკანდახევის დროს უსაფრთხოების ქვედანაყოფები არ არის შემჩნეული, მაშინ მათ შეუძლიათ დარჩნენ თავიანთ პოზიციებზე. მას შემდეგ, რაც მთავარ ძალებს ერთდროულად უკან დახევენ უსაფრთხო ადგილას, უსაფრთხოების ქვედანაყოფები გადაადგილდებიან შუაში ან გადამწყვეტ პოზიციებზე. თუ მოწინააღმდეგესთან შეტაკება გამოაშკარავდება, უსაფრთხოების ქვედანაყოფები შეაყოვნებენ მოწინააღმდეგეს და მთავარ ძალებს უკანდახევის საშუალებას მისცემენ. მთავარი ძალების შენაერთებს შეუძლიათ გააძლიერონ უსაფრთხოების ქვედანაყოფები, საჭიროებისას კი მოწინააღმდეგეს შეზღუდავენ. თუ ეს ვერ შეძლეს, დაიცავებენ უსაფრთხოების ქვედანაყოფებს.

მეთაურების გეგმით გათვალისწინებულია, გამოიყენონ საჰაერო და სახმელეთო რეზერვები, არაპირდაპირი რაკეტულ-რეაქტიული ცეცხლი და საჰაერო თავდაცვა. კორპუსისა და დივიზიის რეზერვები რჩებიან მთავარი ძალების ქვედანაყოფების ახლოს და მათ საჭიროებისას მხარს უჭერენ ცეცხლითა და მანევრირებით. ეს რეზერვები ასრულებენ წინმსწრებ შეტევებს მოწინააღმდეგის შესაყოვნებლად და გარშემორტყმული მოწინააღმდეგის მოსაშორებლად.

მეთაურები უკანდახევისას იყენებენ ინფორმაციულ უპირატესობას და უსაფრთხოების ოპერაციებს, და მოწინააღმდეგეს აწვდიან მცდარ ინფორმაციას. ისინი თავს არიდებენ ქვედანაყოფების ნაადრევ გადაადგილებას ან ფარულად ასრულებენ უკანდახევის გეგმით გათვალისწინებულ მოქმედებებს.

უკანდახევის ოპერაცია დამოკიდებულია საკმარისი რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებებზე. საბრძოლო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დამგეგმავები მონაწილეობენ მოქმდებათა კურსის განვითარებაში და ახორციელებენ უწყვეტ ოპერაციებს მეთაურის გადაწყვეტილების შესაბამისად. უკანდახევა მთავრდება მაშინ, როდესაც წყდება მებრძოლი ძალების ურთიერთშეხება ან ქვედანაყოფები იწყებენ სხვა ოპერაციას. ქვედანაყოფებს შეუძლიათ, უკან დაიხიონ თავდაცვის რაიონში და შეუერთდნენ იქ მყოფი შენაერთებს.

შეყოვნება არის უკანდახევის ოპერაციის ფორმა, რომელშიც ქვედანაყოფები მეთაურების ბრძანებით, დროის მოგების მიზნით, ცდილობენ მოწინააღმდეგის მოქმედების შეზღუდვას და დარტყმებით მისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენებას. მოწინააღმდეგის შეყოვნებით, უკანდამხევნი იგებენ დროს და აგრძელებენ:

- თავდაცვის ორგანიზებას;
- უკანდახევის დროს ცეცხლით მხარდაჭერას;
- საკუთარი ქვედანაყოფების ფლანგების დაცვას;
- შეიტყუებენ მოწინააღმდეგეს მისთვის არახელსაყრელ პოზიციებზე;
- ზოგავენ ძალებს;
- აზუსტებენ მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს.

მეთაურები შემაყოვნებელ მოქმედებებს წარმართავენ მაშინ, როდესაც არ ჰყოფნით ძალები შეტევისთვის ან რაიონის მობილური დაცვისთვის. შეყოვნება არის ხერხი მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად იმ რაიონში, სადაც დაგეგმილია მომდევნო კონტრშეტევა. მეთაურები ადგენენ შეყოვნების კრიტიკულ პარამეტრებს:

- მისი ხანგრძლივობა;
- ადგილმდებარეობის დაცვა;
- მომდევნო ოპერაციის არსი.

შეყოვნებისას ქვედანაყოფებს ბრძოლა შეუძლიათ სხვადასხვა პოზიციიდან. შეყოვნებები მთავრდება მაშინ, როდესაც:

- მოწინააღმდეგე ძალები წყვეტენ შეტევებს, საკუთარი ძალები იმყოფებიან მოწინააღმდეგესთან კონტაქტში უკანდახევის და კონტრიერიშის დროს;
- საკუთარი ძალები თავდაცვაზე გადადიან;
- შემაყოვნებელი ძალა ამთავრებს თავის მისიას და გადადის სხვა ქვედანაყოფში ან წყვეტს მოწინააღმდეგესთან კონტაქტს;
- საკუთარი ძალები კონტრშეტევიდან გადადიან შეტევაზე.

შემაყოვნებელი ქვედანაყოფები, სულ მცირე, არ უნდა ჩამორჩებოდნენ მობილურობით მოწინააღმდეგეს. მეთაურები ზრდიან საკუთარი ქვედანაყოფების მობილურობას და ზღუდავენ მოწინააღმდეგის მობილურობას. დაზიანებული მოწინააღმდეგის მოქმედებები სუსტია, რის შედეგადაც უჭირს წინააღმდეგობის გაწევა და იძულებულია უკან დაიხიოს.

უკანდახევა ოპერაციის ერთ-ერთი სახეობაა, რომელსაც ქვედანაყოფები მიმართავენ მოწინააღმდეგესთან შეხებამდე და გადაადგილდებიან ტაქტიკური მარშით. უკანდახევები ისეთი სახიფათო არ არის, როგორც შეყოვნებები და ერთბაშად უკანდახევა.

უკანდახევა მოითხოვს მტკიცე კონტროლს და რისკის მართვას. პოზიციის დათმობა ზრდის ფსიქოლოგიურ სტრესს ჯარისკაცებს შორის. მათ უკანდახევა შეიძლება აღიქვან, როგორც დამარცხების ნიშანი. წარმატებული უკანდახევისთვის საჭიროა ძლიერი ხელმძღვანელობა, შესაბამისი საფუძვლიანი გეგმა, სამსახურების ეფექტიანი საქმიანობა და ორგანიზებული მოქმედება.

საკუთარი ქვედანაყოფები გადაადგილდებიან სწრაფად და ფრთხილად. მოწინააღმდეგის ზეგავლენით უკანდახევის დეზორგანიზება უბედურების მომასწავებელია. ამგვარ ვითარებაში მეთაურები თავს არიდებენ სახიფათო გადაწყვეტილებებს:

- გაურბიან გადამწყვეტ შეტაკებას, რისთვისაც იყენებენ რეზერვებს და დახურული პოზიციებიდან ცეცხლის დაშენას;
- შემუშავებენ გეგმებს და მის სწრაფ შესრულებას კონტროლს უქვემდებარებენ;
- ეწევიან მოწინააღმდეგის დეზინფორმაციას ქვედანაყოფების მანევრირების შესახებ;

- თავიდან იცილებენ მუდმივ და მოულოდნელ დაზვერვას;
- მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანისათვის ააქტიურებენ შემაყოვნებელ მოქმედებებს, რითაც მოწინააღმდეგის ძალების ერთმანეთთან მიახლოებას ხელი ეშლება.

მეთაურები თავდაცვის ოპერაციებისთვის ოპერატიულად იყენებენ საბრძოლო მოქმედების რაიონს, მის საბრძოლო ძალებს. ასევე ოპერატიულია მათი საქმიანობა ამოცანის, მოწინააღმდეგის ადგილმდებარეობის, დროისა და ძალების შესაბამისად. ისინი ახორციელებენ ერთდროულ და თანამიმდევრულ გადამწყვეტ შენიღბვის და უწყვეტ ოპერაციებს ადგილმდებარეობის ძალების და მეთოდის მიხედვით. მეთაურები ოპერაციების განხორციელებისთვის ირჩევენ ღრმა, ახლო და ზურგის რაიონებს, რომლებიც მდებარეობენ თავდაცვის ძირითად და მოსაზღვრე ხაზებთან.

მეთაურები მოწინააღმდეგეს არ აძლევენ თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობას მათ მიერ მინიშნებული გარღვევის ადგილას ან არამოსაზღვრე საბრძოლო მოქმედებების რაიონში. ისინი ოპერაციების მეშვეობით ფლობენ მთელ საბრძოლო მოქმედებათა რაიონს.

როდესაც მეთაურები დანიშნავენ დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებს არამოსაზღვრე საბრძოლო მოქმედებების რაიონში, ისინი ვალდებული არიან დაჰყონ ქვედანაყოფებისათვის ნაწილებად საბრძოლო მოქმედებების რაიონი. მეთაურები გადამწყვეტ შენიღბვის და უწყვეტ ოპერაციებს ახორციელებენ ერთობლივად, ერთდროულად და ერთი მიზნის მისაღწევად. ეს მიზანია მოწინააღმდეგის შეტევის აღკვეთა და შემდგომში კონტრშეტევაზე გადასვლა.

თავდაცვაში გადამწყვეტი ოპერაციების შედეგად ხდება მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება. მობილური თავდაცვის დროს ძალების მიერ განხორციელებული კონტრშეტევა არის გადამწყვეტი ოპერაცია. მეთაურთა უმეტესობამ იცის მოწინააღმდეგის მდგომარეობა და ისიც, შეუძლია თუ არა გავლენა იქონიოს კონტრშეტევაზე. თავდაცვის რაიონში ყოფნის დროს მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება რაიონის შიგნით გადამწყვეტ ოპერაციად მიიჩნევა. მეთაურები მოწინააღმდეგეს შეიტყუებენ თავდაცვის სიღრმეში, სადაც თავდაცვაში მყოფი ქვედანაყოფები მასირებული ცეცხლით, დაბრკოლებების შექმნით და სხვა აქტიური საშუალებების გამოყენებით ანადგურებენ მათ.

რაიონის მობილური თავდაცვის დროს მეთაურები ყველგან განსაზღვრავენ მთავარ ძალისხმევას და საბრძოლო ოპერატიული სისტემისადმი ერთდროულ მხარდაჭერას. საჭიროებისას მთელ ძალისხმევას ახმარენ ძალების ეფექტიანობის კონცენტრირებას. თავდაცვაში მყოფ მეთაურებს შეუძლიათ მთავარი ძალისხმევა გადაიტანონ განმეორებით შეტევის აღკვეთაზე.

რეზერვისტები ასტიმულირებენ მეთაურების მოქნილობას და იღებენ ზომებს გაურკვევლობის აღსაკვეთად. ზოგჯერ რეზერვი შეჰყავთ ბრძოლაში და მისი ოპერაციები ხდება მთავარი ძალისხმევა. მეთაურები რეზერვისტებს იყენებენ ოპერაციებში. რეზერვისტების მისიაა კონტრშეტევები, გაძლიერება, ბლოკირება და

მოწინააღმდეგის მიერ თავდაცვის გარღვევების აღკვეთა. მეთაურები, საკუთარი ძალებისგან განსხვავებით, რეზერვისტებს არიდებენ საერთო ამოცანისა და გეგმების შესრულებას.

პოზიციების გაძლიერების, გამარჯვების სწრაფად მოპოვებისა და დამარცხების თავიდან აცილების საშუალებაა რეზერვის გამოყენება. ოპერაციის ცნება განსაზღვრავს რეზერვის ძირითად მისიას. ყველა შემთხვევაში მეთარები პასუხს აგებენ რეზერვებზე.

შენიღბვის ოპერაციები სრულდება ერთდროულად საბრძოლო მოქმედებების რაიონის მხარდასაჭერად. თავდაცვაში მყოფი ქვედანაყოფები ახორციელებენ გადამწყვეტ ოპერაციებს მოწინააღმდეგის გეგმის ჩასაშლელად. ისინი ამჯობინებენ, ცეცხლით ჩაახშონ მოწინააღმდეგის საბრძოლო ოპერატიული სისტემა. ოპერატიული ინფორმაცია იტყობინება მოწინააღმდეგის გეგმებს და შეუძლია, გავლენა მოახდინოს გადამწყვეტ საომარ მოქმედებებზე. შენიღბვის ოპერაციები თავდაცვისას მოიცავს:

- კონტრმობილურობისა და მობილურობის ოპერაციებს;
- სადაზვერვო და უსაფრთხოების ოპერაციებს;
- საჰაერო დარტყმების და დახურული პოზიციებიდან დიდ მანძილზე ცეცხლის დაშენას;
- ზღუდეების გადაკვეთა-გადმოკვეთას;
- მაფიქსირებელი ძალების მოქმედების გამოყენებას გადამწყვეტი ოპერაციის მხარდასაჭერად; გადამწყვეტ ოპერაციებზე ქვედანაყოფების გადასვლას შენიღბულად;
- რეზერვის ძალების გამოყენებას ბრძოლაში ჩართვამდე.

უსაფრთხოების ქვედანაყოფები თავდაცვაში ასრულებენ მნიშვნელოვან მოვალეობებს: მოულოდნელი თავდასხმისაგან იცავენ დაუცველი ქვედანაყოფების შუალედებს და თავდაცვაში მყოფ ძალებს; ხვდებიან მოწინააღმდეგის მეწინავე ძალებს; განაიარაღებენ სადაზვერვო და უსაფრთხოების ელემენტებს; იტყობინებიან მოწინააღმდეგის სიძლიერესა და ადგილმდებარეობაზე; მოიპოვებენ ინფორმაციას მოწინააღმდეგის გადამწყვეტ ოპერაციაზე; დროის მოსაგებად აფერხებენ და ანელებენ მოწინააღმდეგის შეტევებს; იცავენ ბრძოლის ველს მოწინააღმდეგის მოქმედებისგან, აგრეთვე შტაბს და საცეცხლე მხარდაჭერის ქვედანაყოფებსა და რეზერვს.

საბრძოლო მოქმედებების რაიონის დაცვისას ხორციელდება უწყვეტი სამხედრო ოპერაციები. მეთაურები უზრუნველყოფენ თავისუფალ მოქმედებას და განუწყვეტელ თავდაცვას საბრძოლო მატერიალურ-ტექნიკურ ოპერაციების, ზურგში მყოფი რეზერვის უსაფრთხოების დაცვის, ტექნიკური მომსახურების, გადაადგილების კონტროლისა და ტერიტორიის მართვის მეშვეობით.

უსაფრთხოების უწყვეტი საბრძოლო ოპერაციებისთვის მეთაურები, ძირითადად აყალიბებენ ძალებს ტერიტორიის დასაცავად და მოქმედების თავისუფლების შესანარჩუნებლად. ისინი ახორციელებენ უწყვეტ ოპერაციებს ბაზების მხარდასაჭერად,

დამატებით გამოყოფენ რეაგირებისა და ტაქტიკურ საბრძოლო ძალებს ბაზების დაჯგუფებების თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად.

ძალების პროექტირებას ხელს უწყობს უწყვეტი ოპერაციები. ქვედანაყოფები, რომლებიც თავდაცვის რაიონში საბრძოლო მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ემსახურებიან, ამავე რაიონში მოქმედებენ მანამ, სანამ არ გაამაგრებენ თავდაცვის პოზიციებს. მეთაურები შეაფასებენ მოწინააღმდეგისაგან მოსალოდნელ მუქარას და განსაზღვრავენ, როდის და სად გასწიონ რისკი, ამასთან, ქვედანაყოფებს აძლევენ შესაბამის მითითებებს.

მეთაურები თავდაცის ხაზის გარეთ, მოსაზღვრე და არამოსაზღვრე საბრძოლო მოქმედებების რაიონებში, ახორციალებენ ოპერაციებს. ამ შემთხვევაში თავდაცვაში მყოფი ქვედანაყოფების ძალები მიმართული არიან მოწინააღმდეგე ძალების გასანადგურებლად. თავდაცვის ხაზის შიგნით მყოფი უსაფრთხოების ძალების წარმატებული დაცვა მეთაურისგან მოითხოვს არსებულ ოპერატიულ სიტუაციაში გარკვევას და მონაწილეობას.

გადამწყვეტი, შენიღბვისა და უწყეტი ოპერაციების განსახორციელებლად მეტ უპირატესობას ანიჭებენ ბრძოლის ველს, ვიდრე ღრმა, ახლო და ზურგის რაიონებს. ამ დროს უსაფრთხოების დაცვის ქვედანაყოფების მოქმედება ძირითადად არის მობილური. დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებს შეუძლიათ, დაიკავონ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე თავდაცვის რაიონის ადგილმდებარეობა ან აიძულონ მოწინააღმდეგე, გადაადგილდეს საბრძოლო არეალში.

შეიარაღებული ძალები კონტრშეტევის დროს ცდილობენ, დაეუფლონ ინიციატივას ბრძოლის ველზე. ამ შემთხვევაში დრო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ოპერაციის დაგვიანებისას რესურსების გამოყენება ნაკლებად ეფექტიანია და მეტიც იხარჯება. მეთაურები კონტრშეტევას ახორციელებენ ვითარების შესწავლის შემდეგ. ისინი გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად უნდა ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას საკუთარ ძალებსა და მოწინააღმდეგეზე. შეიარაღებული ძალების გადაადგილებისა და საბრძოლო განლაგების დროს დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება დააგვიანონ კონტრშეტევის დაწყება. შემტევი ძალების შესახებ მონაცემების დროული ან ნაგვიანევი მიღება გავლენას ახდენს მოქმედების ტემპზე. მეთაურს გაწვრთნილობა, გამოცდილება და მიღებული ინფორმაციის ეფექტიანად გამოყენება ზუსტი გადაწყვეტილების საშუალებას იძლევა.

შემტევი ძალებისთვის კულმინაციურია კონფლიქტი, რომელსაც იწვევს მათი მანევრირება, დანაკარგი, შეცდომები, გადაღლა და სხვა ფაქტორები. ამ დროს ინიციატივას ეუფლებიან თავდაცვისთვის განკუთვნილი ძალები, მათი მეთაურები იწყებენ კონტრშეტევის, როგორც გადამწყვეტი ოპერაციის განხორციელებას, ანადგურებენ მოწინააღმდეგის მეწინავე ძალებს და გადადიან შეტევაზე.

ლექცია 7

შეიარაღებული ბრძოლის თეორია

მარში

მარში არის ორგანიზებული გადაადგილება კოლონებით, გზებსა და საკოლონო გზებზე დანიშნულ რაიონში, ან მითითებულ ზღუდეზე გასვლის მიზნით.

მარში იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც არაა მოსალოდნელი, საჰაერო საფრთხის გარდა, მოწინააღმდეგესთან შეხება. ის ბრძოლის ველის გარეთ გადაადგილებებს მოიცავს. ჯარების გადაადგილება შეიძლება განხორციელდეს მარშის სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო გადაზიდვა-გადაყვანის რომელიმე ხერხით, ან ჩატარდეს კომბინირებული გადაადგილება. ტაქტიკურ დონეზე ძირითადად ხმელეთით, ქვეითად, ან მექანიზირებული მარშის ფორმით სრულდება.

მარში, მოძრაობის პირობებიდან გამომდინარე, სამარშო კოლონის შიგნით ქვეითად, ან მექანიზირებული სვლის ჯგუფებით სრულდება. მოწინააღმდეგის მოულოდნელი საჰაერო და სახმელეთო თავდასხმის გამორიცხვის მიზნით, კოლონის შიგნით, თვალთვალის ღონისძიებებზე დაყრდნობით, უსაფრთხოების ღონისძიებები ტარდება [17].

ტაქტიკური მარში მოწინააღმდეგესთან შესაძლო შეხების დროს, ძირითადად ბრძოლის ველის შიგნით გადაადგილებისას ხორციელდება.

იმ ადგილებში და დროს, სადაც მოწინააღმდეგესთან შეხება რეალურად ხდება, მიახლოება გამოიყენება. მას იყენებენ ძირითადად შეკრების რაიონიდან შეტევის პოზიციაზე, შეტევაზე გადასვლის ხაზამდე, ან კიდევ შეკრების რაიონიდან თავდაცვის პოზიციამდე.

ტაქტიკური მარშის ძირითადი თავისებურება, მოწინააღმდეგის შესაძლო შეტევის საპირისპიროდ, საჭირო უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებაა.

როდესაც მოწინააღმდეგესთან შეხებაში საკუთარი ძალები, ან სხვა ქვედანაყოფები იმყოფებიან, მოსალოდნელია მოწინააღმდეგის მხრიდან არტილერიის დარტყმები და საჰაერო თავდასხმების განხორციელება, ან მოწინააღმდეგის სპეცდანიშნულების ერთეულებისა და საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფების მოქმედებები. მარშის დროს ასეთი მოქმედებების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება.

ტაქტიკური მარშები სალაშქრო კოლონების ფორმით ეწყობა. სალაშქრო კოლონა, მართვის გაადვილების მიზნით, სამარშო ჯგუფებად, სამარშო ჯგუფები კი – სამარშო ქვედანაყოფებად იყოფა. სალაშქრო კოლონა ბრიგადა, ან უფრო დიდი ქვედანაყოფი შეიძლება იყოს. გარდა ამისა, ბატალიონს შეუძლია დამოუკიდებლად კოლონით განახორციელოს მარში.

სამარშო ჯგუფი ბატალიონი, ან უფრო დიდი ქვედანაყოფია, ასეული კი წარმოადგენს სამარშო ქვედანაყოფს.

მარშზე, კოლონის უსაფრთხოების მიზნით, კოლონის თავში ავანგარდი, ფლანგებსა და ზურგში – გვერდითი და ზურგის სალაშქრო საგუშაგოები გამოიყოფა.

ყველა სახის მარშის დროს ქვეითი ოცეული და ათეულები ერთი საფეხურით მაღალი ქვედანაყოფის შემადგენლობებში მოქმედებენ. ტაქტიკური მარშისას ქვეითმა ოცეულებმა ავანგარდის მეწინავე რაზმის, გვერდითი, ან ზურგის სალაშქრო საგუშაგოს, ხოლო ქვეითი ათეულები მზირის, ან გვერდითი სალაშქრო საგუშაგოს ამოცანებს ასრულებენ. ტაქტიკურ მარშზე ქვეითი ბატალიონი ძირითადად ერთ ასეულს ავანგარდში, ერთ ოცეულს, ან უფრო პატარა დანაყოფს გვერდით და ზურგის სალაშქრო საგუშაგოზე განაწესებს.

მარშზე გადასვლის ხაზი გვიჩვენებს მარშის დაწყების წერტილს.

მარშის დაწყების დრო ის ვადაა, როცა კოლონამ გადაადგილება უნდა დაიწყოს.

მარშის მიმართულება ჩასატარებელი მარშის მარშრუტს განსაზღვრავს.

კონტროლის წერტილი განსაზღვრავს სამარშო გზაზე გადაადგილებისას უფროს მეთაურობაზე მოხსენების გადასაცემ წერტილებს. მარშის სისწრაფისა და მიმდინარეობის გათვალისწინებით საჭირო რაოდენობის კონტროლის წერტილები განისაზღვრება.

ყველა ჯარისკაცი სალაშქრო კოლონის შიგნით, თვალთვალის და საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლის გახსნის შესაძლებლობის ფორმით განლაგდება, რომელიც მარშის მიმართულების სრულ კონტროლს უნდა უზრუნველყოფდეს. მეთაურები, სალაშქრო წყობისა და გადაადგილების ხერხების შერჩევისას უსაფრთხოებას, სიჩქარესა და კონტროლის მოთხოვნილებებსაც ითვალისწინებენ. მეთაური თავისი ქვედანაყოფის, ადგილმდებარეობის, წელიწადის დროის შესაფერის შენიღბვის ორგანიზებას უნდა ახდენდეს.

ოცეული და ათეულები დიდი ქვედანაყოფების შიგნით ავანგარდში, ზურგის ან გვერდით სალაშქრო საგუშაგოში დანიშვნისას, ზემოთ აღნიშნული გადაადგილების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

მცირე შესვენების დროს ჯარისკაცები, საფრის უკან განლაგდებიან და მათზე გაპიროვნებულ მიმართულებებს უთვალთვალებენ. მეთაურები სათვალთვალო პუნქტებს, ტყვიამფრქვევებსა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღს მოწინააღმდეგის შესაძლო მოახლოების მიმართულებაზე განალაგებენ. შეზღუდული ხედვის პირობებში კი ღამის ხედვის ხელსაწყოებს გამოიყენებენ.

ოცეული ხანგრძლივ შესვენებებზე, წრიული თავდაცვის მსგავსად, უსაფრთხოების ღონისძიებებს ახორციელებს. ოცეულის მეთაური, ოცეულის თავდაცვითი წყობის მოწყობას უზრუნველყოფს.

მოწინააღმდეგესთან მიახლოებისას სამარშო კოლონის სხვადასხვა ელემენტები თავიანთი განლაგების ადგილებში, მიღებული დავალებისა და მოსალოდნელი მდგომარეობის მიხედვით, გადაადგილების სხვადასხვა ხერხების გამოყენებით განაგრძობენ გზას.

გადაადგილების ყველა ხერხისათვის აუცილებელი ფაქტორებია კონტროლი, გაფანტვა, სიჩქარე და უსაფრთხოება. გადაადგილების ხერხები არ არის სისტემატური სტაბილური წყობა, და ამოცანის, მოწინააღმდეგის, ადგილმდებარეობის, ხედვის პირობების გათვალისწინებით, ჯარისკაცებსა და ათეულებს შორის მანძილის მიხედვით იცვლება. ჯარისკაცები თავიანთი ჯგუფის მეთაურს, ათმეთაურები თავიანთ ჯგუფების მეთაურებს, ოცმეთაური კი – ასეულთან დამაკავშირებელ ათმეთაურს უნდა ხედავდნენ. მეთაურები მარშს ხელის სიგნალებით მართავენ, ხოლო რადიოკავშირს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებენ.

ზემოთ ხსენებული გადაადგილების ხერხები მარშის შემცველ ყველა სახის ოპერაციებზე გამოიყენება. გადაადგილების ხერხების გამოყენება მთავრდება მარშის ოპერაციაში მოწინააღმდეგესთან შეხებისას. ამას გარდა, დაფარვით გადარბენის ხერხები შეტევაშიც გამოიყენება, ვიდრე დაიწყებოდეს საცეცხლე ბრძოლა. გადაადგილების ხერხები ქვეითად, ან მექანიზებულად შეიძლება შესრულდეს.

შეტევითი ბრძოლა

შეტევა მოწინააღმდეგეზე თავდასხმას ნიშნავს. ის ბრძოლის ერთ-ერთი სახეობაა და ახლო ბრძოლაში ცეცხლითა და მანევრირებით მოწინააღმდეგის განადგურებას ისახავს მიზნად. ბრძოლაში წარმატება მხოლოდ შეტევითი ბრძოლით მიიღწევა. ბრძოლის სხვა სახეები შეტევისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად გამოიყენება. შეტევითი ოპერაცია საომარი პოტენციალის უპირატესობას საჭიროებს. შეტევისას, გადამწყვეტი შედეგის ადგილას, მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებაა საჭირო. უპირატესობა კი, რიცხობრივ სიმრავლესთან ერთად, კარგად მომზადებული ქვედანაყოფებით, მაღალხარისხოვანი მართვით, მოხერხებული და გამბედავი მანევრირებით მოიპოვება. ხოლო მოულოდნელი თავდასხმა და ვითარების უპირატესობა ძალების თანაფარდობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

შეტევითი ოპერაციის მიზნებია:

— მოწინააღმდეგის ძალების განადგურება;

— ადგილმდებარეობის ერთი ნაწილის ხელში ჩაგდება;

— მოწინააღმდეგის საჭირო რესურსებიდან მოწყვეტა;

— შექმნილი უპირატესობის გაფართოება;

— მოწინააღმდეგის ყურადღების სხვა რაიონში გადატანა;

— მოწინააღმდეგის ბლოკირება პოზიციებზე;

— მოწინაღმდეგის შეტევის ჩაშლა.

წარმატებული შეტევითი ოპერაცია, მოულოდნელი თავდასხმით, სისწრაფით, ძალების კონტროლირებით და გამბედაობით მიიღწევა.

მოულოდნელი თავდასხმა – ეს არის მოწინააღმდეგეზე შეტევა, მისთვის მოულოდნელ ადგილზე და დროს, ან მოუმზადებელ მდგომარეობაში ყოფნისას.

მოულოდნელი თავდასხმა ნაკლებად მისაღწევია, მაგრამ მიზანი განხორციელებულად ითვლება, თუ მოწინააღმდეგის საპასუხო მოქმედებები და რეაქცია შეყოვნდება.

სისწრაფე დიდი ყურადღებით დაგეგმვას მოითხოვს. მისი მიზნობრივი გამოყენებისას მოულოდნელი თავდასხმის ეფექტურობა იზრდება, მოწინააღმდეგის წყობას არღვევს და მის მიერ ეფექტური ღონისძიებების გატარებას უშლის ხელს.

შემტევი მხარე საომარ პოტენციალს თავს უყრის გადამწყვეტი უპირატესობის მისაღებ კრიტიკულ ადგილზე და დროს.

მეთაური საომარი პოტენციალის ასამაღლებლად ძირითადი ძალდატანების მიმართულებაზე უზრუნველყოფს ხელთ არსებული ქვედანაყოფების პატარა ჯგუფებად გაფანტვასა და მათი ძალისხმევის ერთ წერტილში თავმოყრას.

მოქნილობა ბრძოლაში წარმოქმნილი არახელსაყრელი მდგომარეობიდან მოხერხებული გამოსვლაა, რომელიც მოითხოვს არსებულ გეგმებში საჭირო ცვლილებების შეტანას.

გამბედაობა მოწინააღმდეგეზე გადამწყვეტი შედეგის მისაღწევად რისკით გათვალისწინებული მოქმედებაა. მეთაური თავისი მოქმედებების მეთოდებს, ტაქტიკური მდგომარეობის, თავისი ქვედანაყოფის შესახებ მონაცემების, მოწინააღმდეგის ძალებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით განსაზღვრავს.

ინიციატივის მოპოვება და შენარჩუნება წარმატების მოპოვების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის დაგეგმვისა და ბრძოლისათვის მომზადებას, მოწინააღმდეგის განლაგების ადგილის დაფიქსირებასა და საკუთარი განლაგების რაიონის ფარულობას, მოწინააღმდეგის ერთ წერტილში ბლოკირებას და მოულოდნელი და ეფექტური შეტევის განხორციელებას მოიცავს.

შეტევითი ოპერაცია, შეტევამდე ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების დონის მიხედვით, იყოფა მომზადებულ და მოუმზადებულ შეტევად. მათ შორის ძირითადი განსხვავება ის არის, რომ დაგეგმვისა და მომზადებისათვის მოცემული დრო მომზადებულ შეტევაში უფრო მეტია.

ფართომასშტაბიანი შეტევა ყოველთვის მომზადებული შეტევით ხორციელდება, ხოლო მცირემასშტაბიანი – ორივე ფორმით.

შეტევით ოპერაციებში მანევრის ოთხი ძირითადი სახეა გამოყენებული. ესენია:

ფრონტალური შეტევა მოწინააღმდეგის პოზიციებზე ბლოკირების, შებოჭვის მიზნით ჩატარებული შეტევაა.

გარღვევა მოწინააღმდეგის თავდაცვის ფრონტის ერთ, ან რამდენიმე წერტილში შეჭრით, მის სიღრმეში გასვლით და შემდეგ გარღვევის მონაკვეთის გაფართოებით მოწინააღმდეგის განადგურებისათვის გამოყენებული მანევრის სახეა.

შემორტყმა ხორციელდება მოწინაღმდეგის ერთი, ან ორივე ფლანგისკენ მიმართული შეტევის მეშვეობით, მისი ალყაში მოქცევისა და განადგურების მიზნით. შემორტყმა შეიძლება განხორციელდეს ერთი მიმართულებიდან, ორივე მიმართულებიდან – მოწინააღმდეგის ფლანგებზე და ვერტიკალურად – საჰაერო-სადესანტო და სადესანტო ქვედანაყოფების ჰაერიდან ჩატარებული შემორტყმა.

შემოვლა არის მანევრების მიმართვა მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში შემოვლით დარტყმით. შემოვლის მიზანია, მოწინააღმდეგის მიერ პოზიციების დატოვება და მისი განადგურება.

შეკრების რაიონი შეტევის მომზადებისას ქვედანაყოფების თავმოყრის რაიონია. ეს რაიონი ინიშნება შეტევაზე გადასვლის ხაზამდე ერთი საათის სავალზე. რაიონი უნდა უზრუნველყოფდეს მოკლე დროში თავდაცვაზე გადასვლასა და, საჭიროების შემთხვევაში, წრიული თავდაცვის მოწყობას, გააჩნდეს დამცავი და შემნიღბავი თვისებები, ქვედანაყოფების მოკლე დროში გაფანტვის შესაძლებლობა, წინ წაწევის რამდენიმე მარშრუტი დასახული ამოცანის შესრულებისათვის და ქმნიდეს ხელსაყრელ პირობებს მოწინააღმდეგის საჰაერო და სახმელეთო შეტევების მოგერიებისათვის.

შეტევითი პოზიცია შეტევაზე გადამსვლელი ქვედანაყოფების, შეტევაზე გადასვლის ხაზამდე საბოლოო შეტევისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრებისა და კოორდინირებისათვის, ადგილმდებარეობისა და მიზნების ადგილზე შესწავლისათვის განსაკუთრებული პოზიციაა. შეტევაზე გადასვლის ხაზის პირველივე დაფარული და შენიღბული ადგილი ამ მიზნით გამოიყენება. ვითარებიდან გამომდინარე, იღებენ გადაწყვეტილებას მის დასაკავებლად, რისთვისაც ეძლევა მინიმალური დრო, რომელიც საჭიროა შეტევის მოსამზადებლად.

შეტევითი პოზიცია უნდა უზრუნველყოფდეს:

— მოწინააღმდეგის თვალთვალისა და პირდაპირი ცეცხლისაგან დაფარვას;

— ადგილზე ადვილად ორიენტირებას;

— ასეულის საბრძოლო წყობად გაშლას.

შეტევაზე გადასვლის ხაზი არის შეტევის მონაწილე ქვედანაყოფების მიერ დანიშნულ დროს შეტევის ერთდროულად დაწყებისა და მოწინააღმდეგესთან მაქსიმალურად ფარული მიახლოვების ხაზი. მანძილი, ვითარებიდან და ადგილმდებარეობის ხასიათიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზიდან 300-1000 მ-ით არის დაშორებული. მან უნდა უზრუნველყოს:

— მეზობელი ქვედანაყოფების კონტროლქვეშ ყოლა;

— ადგილზე ადვილად ორიენტირება;

— საბრძოლო წყობის სწორ ხაზად განლაგება;

— ფარულად მიახლოების შესაძლებლობები;

— მხარდამჭერი შეიარაღებისათვის საცეცხლე პოზიციები.

შეტევაზე გადასვლის დრო ეს ის დროა, როდესაც შემტევმა ქვედანაყოფებმა შეტევაზე გადასვლის ხაზი უნდა გაიარონ. ათვლა იწყება ხაზის პირველი ქვედანაყოფის მიერ გადაკვეთისთანავე.

შეტევის მიმართულება შემტევი ქვედანაყოფის შეტევაზე გადასვლის ხაზიდან მიზნამდე გასვლის დაგეგმილი მიმართულებაა. ძირითადად გამოიყენება შეტევის გეგმებში დაბალი დონის ქვედანაყოფების ადვილად მართვისა და კონტროლისათვის. სქემაზე გრაფიკულად, წარწერის გარეშე, ისრის სახით არის მოცემული.

ფართო მასშტაბის შეტევის მიმართულება, შეტევის მიმართულების უფრო ფართო მასშტაბით განსაზღვრაა. ძირითადად ჯავშნიანი და მექანიზებული ქვედანაყოფებისათვის გამოიყენება.

გამმიჯნავი ხაზები შეტევისას ასეულის, ან უფრო მაღალი ქვედანაყოფების მოქმედების რაიონის საზღვრების აღმნიშვნელი ხაზებია.

გამმიჯნავი ხაზები გამოიყენება ქვედანაყოფების ცეცხლისა და მანევრის კონტროლისა და მართვის დახმარების მიზნით, რომელიც ძირითადად ისეთი ადვილად ამოსაცნობი ადგილმდებარეობის, უსწორმასწორობათა საზღვრის გასწვრივ გადის, როგორიცაა მდინარე, გზა, ტყისპირი და ა.შ. ის არ უნდა კვეთდეს მოწინააღმდეგის შესაძლო, წინ წაწევის მარშრუტს. ეს ხაზები დაგეგმილი საბრძოლო მოქმედების ბოლომდე გრძელდება. უკან გაგრძელებული გამმიჯნავი ხაზები ქვედანაყოფის პასუხისმგებლობის რაიონის საზღვრებს უჩვენებს.

შეტევაში ოცეულებს გამმიჯნავი ხაზი არ ენიშნებათ. უმეტეს შემთხვევაში, ასეულის მეთაური ერთპიროვნულად წყვეტს ოცეულის გამმიჯნავი ხაზების აუცილებლობას. თუ შესაძლებელია ახლო მანძილიდან ოცეულების მართვა, გამოირიცხება გამმიჯნავი ხაზების არსებობა.

ოცეულებს გამმიჯნავი ხაზები ენიშნებათ:

— ადგილმდებარეობის რთულ მონაკვეთებზე, სადაც შეზღუდულია თვალთვალი და მანევრის შესაძლებლობები – განსაკუთრებით დასახლებულ პუნქტებში;

— მეზობელ ქვედანაყოფებთან საცეცხლე კავშირის კოორდინირებისას;

— ქვედანაყოფების შეცვლის შემთხვევაში.

იერიშზე გადასვლის ხაზი გამოიყენება შეტევის დროს სამიზნეზე იერიშის კოორდინირებისათვის. საკუთარი და მხარდამჭერი საცეცხლე საშუალებების ცეცხლისაგან უსაფრთხოების მიზნით, იერიშზე გადასვლის ხაზი ინიშნება მოწინააღმდეგის პირველი პოზიციიდან 100 – 150 მეტრზე. მოსალოდნელი მოქმედებების ხასიათიდან გამომდინარე, ოცეულის მეთაური ერთპიროვნულად ირჩევს და მიუთითებს ხელქვეითებს იერიშზე გადასვლის ხაზს.

მიზანი ბრძანებით ხელში ჩასაგდები ადგილმდებარეობის ერთი მონაკვეთია. ვედანაყოფი ბრძანების შესაბამისად ხელთ იგდებს ამ მიზანს და ანადგურებს იქ მყოფ მოწინააღმდეგეს. ოცეულს ასეულის მიზნის ერთი ნაწილი მიზნად მიეცემა. ათეულებს ოცეულის მიზნის გარეთ არსებული სხვა მიზანი არ გამოეყოფა. ისინი ოცეულზე გამოყოფილი მიზნის ერთ ნაწილს მიიღებენ.

ოცეულების მიზნების მახასიათებლებია:

— არემარეში ადვილად ამოსაცნობი უნდა იყოს.

— ცეცხლი და მანევრი ისეთ ადგილზე და ისეთი ფორმით ეწყობა, რომ შესაძლებელი იყოს მისი კოორდინირება.

— სამიზნეები ნაღმტყორცნის ეფექტური ცეცხლის ქვეშ უნდა ექცეოდეს.

— მიზნის ტიპი – სიღრმე და სიგანე განისაზღვრება იმ გაანგარიშებით, რომ ოცეულმა თავისი შემადგენლობით შეძლოს მასზე კონტროლის დაწესება.

თავდაცვითი ბრძოლა

თავდაცვა შესაფერის ადგილმდებარეობაზე პოზიციერებით, ცეცხლით, წინაღობებითა და ახლო ბრძოლით მოწინააღმდეგის შემტევი ძალის გასანადგურებლად და მისი ჩანაფიქრის ჩასაშლელად განკუთვნილი საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთი ფორმაა.

თავდაცვითი ოპერაციის საფუძველია ცეცხლი, წინაღობები და ფორტიფიკაციული ნაგებობები. თავდაცვის სიმტკიცის, საკუთარი საცეცხლე ეფექტურობის ამაღლებისა და მოწინააღმდეგის საცეცხლე ეფექტურობის მაქსიმალურად შემცირებისათვის, თავდაცვით ოპერაციებში ფართოდ გამოიყენება ფორტიფიკაციული ნაგებობები. მოწინააღმდეგის უკუსაგდებად, ან მისი შეყოვნებისათვის, თავდაცვის პოზიციების წინ იგება საინჟინრო დაბრკოლებები, რომლებიც მუდმივად ცეცხლით კონტროლის ქვეშ იმყოფება.

თავდაცვის პოზიციებთან ზღვრულ მანძილზე მოახლოებისას, მოწინააღმდეგე ხელთ არსებული ყველა საშუალებებით ცეცხლის ქვეშექცევა.

თავდაცვით ოპერაციებს სხვადასხვა მიზანი გააჩნია, რომელთაგანაც ერთ-ერთი, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, ხორციელდება. ესენია:

— შეტევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და დროის მოგება;
— მოწინააღმდეგის შემტევი ძალის განადგურება და მისი ჩანაფიქრის ჩაშლა;
— განსაკუთრებული მნიშვნელობის რაიონებისა და ობიექტების დაცვა;
— სხვა რაიონში ჩასატარებელი შეტევისათვის ძალების დაზოგვა;
— შემტევ მოწინააღმდეგეზე საკუთარი ნების თავზე მოხვევა და კონტრიერიშით განადგურება.

თავდაცვითი ოპერაციების განსახორციელებლად, ოპერაციის ყველა დონეზე, გამოიყენება შემდეგი ძირითადი პრინციპები:

— ადგილმდებარეობის მომარჯვება;
— ფორტიფიკაციული ნაგებობები;
— საინჟინრო ნაგებობები;
— ცეცხლის ეფექტური ფორმით წარმართვა;
— ურთიერთმხარდაჭერა;
— უსაფრთხოება;
— წრიულ მოგერიებაზე სწრაფი გადასვლა;
— ღრმა ეშელონირებული თავდაცვა;
— მანევრირება;
— შეტევითი ოპერაციის მაქსიმალურ დონეზე გამოყენება.

თავდაცვითი ოპერაცია, პოზიციური, მობილური და აქტიური თავდაცვის სახით, სამი ძირითადი სახეობისაა.

პოზიციური თავდაცვის მიზანი მოწინააღმდეგის შეტევის ძირითადი თავდაცვის ხაზის წინ ჩაშლა. მობილური თავდაცვისას პოზიციის სიღრმეში უკანდახევით, მოწინააღმდეგის კონტრშეტევით განადგურებაა. აქტიური თავდაცვისას კი ოპერაციის საფუძველს წარმოადგენს მოწინააღმდეგის შემტევი ძალის დაუძლურება საკუთარი პოზიციების სიღრმეში, შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლების მეშვეობით.

თავდაცვის სახეები თავდაცვის პრინციპებს უმეტესწილად არ ცვლიან. თავდაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, თავდაცვითი ოპერაცია, დასახული ამოცანის შესრულების შინაარსის მიხედვით, აღნიშნული პრინციპების დასახელებას იღებს. მაგალითად, თუ დაგეგმილია შეტევითი ოპერაციის მაქსიმალურ დონეზე გამოყენების პრინციპი, მაშინ თავდაცვითი ოპერაცია მობილური თავდაცვის სახეს მიიღებს. ორი პრინციპის ერთად გაერთიანებისას, როგორიცაა მანევრირება და შეტევითი ოპერაციის მაქსიმალურად გამოყენება, თავდაცვის ოპერაციას აქტიური თავდაცვის სახე ექნება. ფორტიფიკაციის, წინაღობებისა და ცეცხლის პრინციპების გათვალისწინებით, თავდაცვითი ოპერაციის განხორციელებისას თავდაცვის სახე – პოზიციური თავდაცვა იქნება.

როგორიც უნდა იყოს თავდაცვის სახე, თუ არ არის მიღებული შეკავების ამოცანა, ოცეულისა და ათეულის დონის ქვედანაყოფები ყოველთვის განლაგდებიან ისე, როგორც პოზიციური თავდაცვის დროს.

ქვეით ოცეულს, ზემოთ განხილული ძირითადი თავდაცვის სახეების გარდა, შეუძლია ასეულის შემადგენლობაში განახორციელოს თავდაცვის შემდეგი სახეები:

— წრიული თავდაცვა;

— რაიონული თავდაცვა;

— საყრდენ პუნქტში თავდაცვა;

— სიმაღლის პირიქითა თავდაცვა.

თავდაცვა, როგორი სახისაც უნდა იყოს, ძირითადი პრონციპებიდან გამომდინარე, შემდეგი ფორმით აიგება:

— უსაფრთხოების ეშელონი;

— ძირითადი თავდაცვის ხაზის – პირველი ხაზის ქვედანაყოფები;

— სარეზერვო ეშელონი.

უსაფრთხოების ეშელონი – ეს არის თავდაცვის ძირითადი ხაზის წინ გაყვანილი ძალები, რომლებიც შედგება საჰაერო დაზვერვის, დაფარვის ძალების, წინა პოზიციის ძალების, საბრძოლო დაცვისა და ახლო უსაფრთხოების ელემენტებისაგან.

თავდაცვის ძირითადი ხაზი კი არის რაიონი, სადაც პრაქტიკულად ხორციელდება თავდაცვითი ოპერაცია. თავდაცვის ძირითადი ხაზისა და რეზერვების რაიონის მთელ სიღრმეში ტარდება თავდაცვის წარმოებისათვის საჭირო ღონისძიებები.

თავდაცვისათვის არჩეულ და მომზადებულ ადგილმდებარეობის ხელსაყრელ მონაკვეთს, საიდანაც შესაძლებელია ზღვრულ მანძილზე თვალთვალი და ცეცხლის წარმოება, რომელიც შენიღბვის საშუალებებით შეუმჩნეველი ხდება მოწინააღმდეგისთვის, თავდაცვითი პოზიცია ეწოდება. ის ძირითადი თავდაცვის ხაზისა და რეზერვის რაიონებს შორის მდებარეობს. თავდაცვითი პოზიციებისათვის ადგილის შერჩევა თავდაცვით ოპერაციაზე გადაწყვეტილების მიმღები ყველაზე მაღალი რანგის მეთაურის მიერ ხორციელდება. მომზადებული თავდაცვითი ოპერაციების წარმართვის დროს ამ ღონისძიებას ბრიგადისა და უფრო მაღალი ქვედანაყოფების მეთაურები ახორციელებენ.

სახელდახელო თავდაცვაზე გადასვლისას თავდაცვითი პოზიციების შერჩევა ბატალიონისა და უფრო დაბალი ქვედანაყოფების მეთაურების მიერ ხორციელდება. თავდაცვითი პოზიციების შერჩევისას, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იყოს მოწინააღმდეგის შესაძლო წინ წაწევის მარშრუტი და ამ მარშრუტის გასწვრივ არსებული ადგილმდებარეობის რელიეფის კონტროლი, როგორიცაა სიმაღლეები, ხევები, მდინარეები და სხვა.

თავდაცვის ოპერაციის უპირატესობა თავდასაცავი პოზიციის წინასწარ არჩევასა და მომზადებაში მდგომარეობს. თავადაცვითი ოპერაციის ძირითადი მიზანი შემდგომში შეტევითი ოპერაციების წარმატებით წარმართვაა.

თავდაცვითი ოპერაციების დროს მოწინააღმდეგის დაზიანება ცეცხლით უშორესი მანძილიდან იწყება, მისი მოახლოებისდა მიხედვით, ცეცხლი უმაღლეს ინტენსივობამდე ძლიერდება და ხელთ არსებული საცეცხლე საშუალებების საინჟინრო დაბრკოლებებთან ურთიერთშეთავსებით მოწინააღმდეგე მაქსიმალურად დაბრკოლდება, ხოლო თავდაცვის პოზიციებზე შემოჭრისას ნადგურდება ახლო ბრძოლებითა და კონტრშეტევით. თავდაცვის სიღრმეში შემოჭრილი მოწინააღმდეგე ნადგურდება ბრძოლებით სიღრმეში.

თავდაცვითი ოპერაციების დროს, დაადგენენ რა მოწინააღმდეგის შეტევის მიმართულებასა და დროს, მეთაურები გონივრულად განსაზღვრავენ ღონისძიებებს უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის.

მეთაურები მოწინააღმდეგის შეტევის გეგმაში აღმოაჩენენ სუსტ წერტილებს და თავდაცვითი ოპერაციის გეგმებში ითვალისწინებენ ამ წერტილებზე ძლიერი კონტრშეტევის მიტანას. ჩანაფიქრის განსახორციელებლად თავდაცვით პოზიციებს არსებული გეგმის მიხედვით აგებენ.

ოცეულისა და ათეულის მეთაურები, ქვედანაყოფის მართვის ხერხის გამოყენებით, ოპერაციის მომზადებისათვის საჭირო ნაბიჯის გადადგმას უზრუნველყოფენ. ამოცანის, მოწინააღმდეგის, ადგილმდებარეობის, ხელთ არსებული საშუალებებისა და დროის ფაქტორის შესწავლით, თავდაცვითი ოპერაციის საუკეთესო გეგმას შეიმუშავებენ. მხარდამჭერი საცეცხლე საშუალებების ცეცხლი ძირითადად თავმოიყრება თავდაცვის მიზნებზე, კრიტიკულ მონაკვეთებზე და დაბრკოლებების დასაცავად.

ოცეულის მეთაურები მოწინააღმდეგის ბრძოლის ხერხებსა და მოსალოდნელი მოახლოების მიმართულებებზე ცნობებს სათვალთვალო პუნქტებიდან და ეფექტური დაზვერვის წარმართვით მოიპოვებენ და შეისწავლიან.

თავდაცვის რაიონში და პოზიციებზე უსაფრთხოების ღონისძიებებით, ათეულებისა და შეიარაღების ფარულ და შენიღბულ ადგილებზე განლაგებით, ხმისა და სინათლის დისციპლინის დაცვით, ოცეულები მოწინააღმდეგისაგან ფარულობას უზრუნველყოფენ.

ოცეულები, ტაქტიკური წინაღობებისა და ცეცხლის ფართო გამოყენებით, შეაჩერებენ მოწინააღმდეგის შეტევას და წარმართავენ მისთვის არახელსაყრელი მიმართულებით.

ოცეულები, შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობისა და კონტროლის მოშლით, ჯავშანტექნიკის წინსვლის შეჩერებით, ქვეითების დროზე ადრე ჩამოქვეითების იძულებით, ღამის ხედვის ხელსაწყოების ფართო გამოყენებით, ან ელვისებური დამაბრმავებელი საშუალებებით, მოწინააღმდეგის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაგდებას უზრუნველყოფენ.

ოცეულები, რომლებიც კონტრიერიშს ახორციელებენ მოწინააღმდეგის სუსტ წერტილებზე, ფლანგებსა და ზურგში, ითვალისწინებენ თავისი ქვედანაყოფების მოწინააღმდეგის მსუბუქი და მძიმე შეიარაღების ცეცხლისაგან თავდაცვის ზომებს და მოქმედებენ ისე, რომ არ შეეჯახონ მოწინააღმდეგის რეზერვს.

მოწინააღმდეგის რეზერვების შეტევის მოსაგერიებლად, ოცეულები და ათეულები წინასწარ განსაზღვრავენ პოზიციებს და უზრუნველყოფენ მათ სწრაფ დაკავებას.

თავდაცვით ოპერაციებში ქვეითი ოცეულები, როგორც წესი, უფრო დიდი ქვედანაყოფების შემადგენლობაში იღებენ მონაწილეობას. მათ უსაფრთხოების ეშელონში საბრძოლო დაცვის, თავდაცვის ძირითად ხაზზე თავდაცვის, ან კიდევ ასეულის რეზერვის ამოცანები შეიძლება დააკისრონ. პირველ ხაზზე თავდაცვაში განწესებულ ქვეით ოცეულებს, ქვეითი ოცეულების წინააღმდეგ თავიანთი ძალებით წარმატებით შეუძლიათ თავდაცვა, საჭირო რაოდენობის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით აღჭურვილი ქვედანაყოფის შემადგენლობაში კი – მოწინააღმდეგის მექანიზებული შეტევის მოგერიება.

ქვეითი ოცეული თავდაცვაში 400 მ-მდე და სიღრმეში 200 მ-მდე ფრონტით პასუხისმგებლობის რაიონს იკავებს. ოცეულის ცეცხლით უზრუნველყოფის ფრონტი 750 მ-ია.

ოცეულის განლაგება მისთვის გამოყოფილ პასუხისმგებლობის რაიონში, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია შემტევი მოწინააღმდეგის შემადგენლობაზე. თუ მოწინააღმდეგე ჯავშანტექნიკით ახორციელებს შეტევას, ამ შემთხვევაში თავდაცვაში განლაგებული ქვედანაყოფი აღიჭურვება ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებით, ხოლო თუ ქვეითი ძალით ახორციელებს შეტევას – ტყვიამფრქვევებით.

ოცეულისა და უფრო მაღალი ქვედანაყოფების მეთაურები, მოწინააღმდეგის სატანკო და მექანიზებული შეტევის მოსაგერიებლად, გეგმავენ ღონისძიებებს, რათა დროზე ადრე მოწყვიტონ ცოცხალი ძალა ჯავშანტექნიკას.

ცოცხალი ძალა ჯავშანტექნიკას სწყდება:

— ეფექტური ტანკსაწინააღმო ცეცხლით;

— წინაღობებითა და დაბრკოლებებით;

— ჯავშანტექნიკის რთულად გადასალახავ მონაკვეთებზე საცეცხლე პოზიციების მოწყობით.

თავდაცვითი პოზიცია წინასწარ შერჩეული და მომზადებული ადგილმდებარეობის მონაკვეთია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოწინააღმდეგის ქვეითი და ჯავშანსატანკო ძალების იერიშის მოგერიება, ყველა საცეცხლე საშუალებით მოწინააღმდეგის განადგურება და ამ პოზიციებზე მყოფი ქვედანაყოფების დაცვა.

ძირითადი ბრძოლის ველი თავდაცვის ძირითადი ხაზიდან პირველი ხაზის ბატალიონების უკანა საზღვრამდე გადაჭიმულ ველს, პირველი ხაზის თავდაცვითი პოზიციების სიღრმეში განლაგებული გადამღობი ცეცხლის პოზიციებსა და პირველი ხაზის ქვედანაყოფების რეზერვს მოიცავს.

ლოდინის პოზიცია ძირითადი თავდაცვის პოზიციების უკან ჯავშანტრანსპორტიორების, ქვეითთა საბრძოლო მანქანების, ტანკსაწინააღმო საშუალებების პოზიციების ჩათვლით, მოწინააღმდეგის დაზვერვის, ავიაციისა და შორი მანძილიდან საცეცხლე დარტყმებისაგან დაფარვისა და შენიღბვის მიზნით წინასწარ მოწყობილი პოზიციაა.

საცეცხლე პოზიცია შეიარაღებიდან და ტექნიკიდან ცეცხლის საწარმოებლად, საინჟინრო თვალსაზრისით, წინასწარ მოწყობილი მოედანია. საცეცხლე პოზიციები არსებობს ძირითადი, შესაცვლელი და სათადარიგო.

თავდაცვის ძირითადი ხაზი ძირითადი ბრძოლის ველზე განლაგებული ყველაზე დაწინაურებული ქვედანაყოფების პოზიციაზე გამავალი ხაზია. ის, როგორც წესი, უფროსი მეთაურების მიერ დგინდება. რუკებსა და ტაქტიკურ სქემებზე, ქვედანაყოფის თავდაცვითი ოპერაციის პასუხისმგებლობის რაიონის საზღვრებთან, ორი წერტილის ერთმანეთთან დაკავშირებული წყვეტილი ხაზით აღინიშნება. ადგილმდებარეობაზე თავდაცვის ძირითადი ხაზის მდებარეობა ასეულის მეთაურის მიერ დგინდება. თავდაცვის ძირითადი ხაზი ქვეითი ოცეულის მითითებულ ადგილზე გასვლითა და პოზიციის დაკავებით წარმოიქმნება. თავდაცვის ძირითადი ხაზის შერჩევამ უნდა უზრუნველყოს შორ მანძილზე თვალთვალი და ცეცხლის წარმოება.

საბრძოლო დაცვის ხაზი მოწინააღმდეგის შეტევის დროულად აღმოჩენის, რეალური თავდაცვის ძირითადი ხაზის დაფარვის, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის, მისი თვალთვალის შეზღუდვისა და დროზე ადრე საბრძოლო წყობად გაშლის მიზნით, თავდაცვის ძირითადი ხაზიდან 1000-2400 მ-ით წინ გასული ქვედანაყოფების განლაგების ხაზია. იგი თავდაცვის ძირითადი ხაზის მსგავსად, პასუხისმგებლობის რაიონის საზღვრებზე აღნიშნული წერტილებით გამოისახება.

პასუხისმგებლობის რაიონი – ერთი ქვედანაყოფის მიერ ადგილმდებარეობის რაიმე მონაკვეთზე საკუთარი ძალებითა და საშუალებებით კონტროლის დაწესების რაიონია. გვერდითი საზღვრები ასეულისა და უფრო მაღალი ქვედანაყოფების აღმნიშვნელი გამმიჯნავი ხაზებით, ხოლო ოცეულისა და ათეულის დონეზე პასუხისმგებლობის რაიონი – თავდაცვის გამომხატველი რკალებით გამოისახება.

გამმიჯნავი ხაზი საბრძოლო ველზე ორი ქვედანაყოფის პასუხისმგებლობის რაიონების ფარგლების განმსაზღვრელი ხაზია. ძირითადად ასეულისა და უფრო მაღალი ქვედანაყოფების მოქმედების დროს გამოიყენება, რომელიც თავდაცვის ძირითადი ხაზიდან მოწინააღმდეგის მიმართულებით თვალთვალისა და ცეცხლდაშენის ბოლო ზღუდემდე გრძელდება. ადგილმდებარეობაზე შეხვედრის წერტილიდან ჯერ წინ, შემდეგ კი უკან მიეთითება. გამმიჯნავი ხაზი ასეულის ქვემოთ ქვედანაყოფებს არ ენიშნება. თუ საჭიროა განისაზღვროს ოცეულისა და ათეულის პასუხისმგებლობის რაიონის საზღვრები, ამ შემთხვევაში გამმიჯნავი ხაზების ნაცვლად შეხების წერტილები გამოიყენება.

მეზობელი ქვედანაყოფების მეთაურებთან შეხვედრის წერტილი, ოპერაციის გეგმის, თავდაცვის მოწყობისა და ცეცხლის კოორდინირების მიზნით შესახვედრი წერტილებია. ამ მიზნით, თავდაცვის ძირითადი ხაზი, საბრძოლო დაცვის ხაზებისა და გამმიჯნავი ხაზების გადამკვეთი წერტილები გამოიყენება და თავდაცვაში განლაგებული ქვედანაყოფის ერთი საფეხურით მაღალი მეთაურის მიერ დგინდება. იმავდროულად, თავდაცვის ძირითადი და საბრძოლო დაცვის ხაზების ძირითად ადგილებს უჩვენებს. შეხვედრის წერტილები როგორც რუკაზე, ასევე ადგილმდებარეობაზე ადვილი აღმოსაჩენი უნდა იყოს და პირადი შემადგენლობის უსაფრთხოებას უნდა უზრუნველყოფდეს.

შეხების წერტილი ერთმანეთთან მიახლოების, ან კიდევ ორ მეზობელ ქვედანაყოფს შორის ფიზიკური შეხების წერტილია. წერტილების მდებარეობა უფროსი მეთაურების მიერ განისაზღვრება. ისინი გამმიჯნავ ხაზებთან დაკავშირებული არ არის.

უკანა საზღვარი თავდამცავი ქვედანაყოფების პასუხისმგებლობის რაიონის უკანა ხაზის განმსაზღვრელი, ადგილდებარეობასა და რუკაზე ადვილად ამოსაცნობი ხაზია, იმავდროულად ქვედანაყოფის სიღრმესაც გვიჩვენებს. უკანა საზღვარი ბატალიონისა და უფრო მაღალი დონის ქვედანაყოფებში გამოიყენება.

ცეცხლის ზოლი ერთი იარაღით, ან ქვედანაყოფის ცეცხლით დასაფარავი პასუხისმგებლობის ზოლია. ქვეითი ოცეულისათვის ზოლის სიგანე 750 მ, ხოლო ათეულისათვის – 300 მ-ია. ცეცხლის ზოლის ორგანიზების დროს მეზობელი ქვედანაყოფების საცეცხლე საშუალებების ცეცხლის ზოლი ერთმანეთს უნდა ფარავდეს.

სროლის ძირითადი მიმართულება დადგენილი შეიარაღებით მოწინააღმდეგის სავარაუდო მოახლოების მიმართულებაზე არსებული ადგილის მონაკვეთის ცეცხლის ქვეშ მოქცევის მიზნით, საცეცხლე უპირატესობის მქონე მიმართულებაა. თუ დადგენილი შეიარაღება მონაწილეობას არ იღებს ცეცხლის სხვა სახის

უზრუნველყოფაში, მაშინ ყოველთვის ძირითადი სროლის, ან გადამღობი ცეცხლის ხაზზეა მიმართული.

მიზანზე ორიენტირების წერტილი დღე-ღამის და საომარი ოპერაციების მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე მოწინააღმდეგის ადვილი მიზანჩვენების წერტილია. ის შეიძლება იყოს ბუნებრივი, ან ხელოვნური ობიექტი.

ეფექტური ცეცხლის ხაზი საშტატო და მიკუთვნებული იარაღის ყველაზე ეფექტური ცეცხლდაშენის ხაზია.

ცეცხლის გახსნის ზღუდეები არის ხილული ხაზი, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი ქვედანაყოფების საცეცხლე კონტაქტს მოწინააღმდეგის შეტევაზე გადმოსვლის შემთხვევაში. მისი ეფექტური დაზიანების მიზნით, ეს ხაზები შეიძლება განისაზღვროს ადგილმდებარეობის, დაბრკოლებების, მიზანზე ორიენტირების წერტილებისა და ეფექტური ცეცხლის გახსნის ხაზის მიხედვით.

თავისუფალი ცეცხლის ხაზი მოწინააღმდეგის თავდაცვის პოზიციებთან მაქსიმალურად მიახლოებისას, მსუბუქი იარაღიდან და ტყვიამფრქვევიდან ცეცხლდაშენის ზღუდეა. ოცეულისა და ათეულის დონეზე აღნიშნული მონაკვეთი მსუბუქი იარაღის ცეცხლით კონტროლის ქვეშ მოქცევისათვის ინიშნება. ტყვიამფრქვევისათვის ეს ზღუდე თავდაცვის წინა ხაზის წინ 750 მ-დე, ავტომატური იარაღისათვის – 400-მდე ინიშნება.

ჩაწერტებული გადამღობი ცეცხლის ხაზი თავდაცვის ძირითადი ხაზის წინ, მოწინააღმდეგის შეტევის შეჩერების მიზნით, საინჟინრო დაბრკოლებების დასაცავად ფლანგებიდან დაგეგმილი ტყვიამფრქვევებით ცეცხლდაშენის ხაზია. იგი თავდაცვის ძირითადი ხაზიდან 50-150 მ-ით წინ, მის პარალელურად, დაფენილი ფორმით შესრულებული ხანგრძლივი ცეცხლია, და ტყვიამფრქვევიდან 600 მ მანძილზე ერთი წერტილის მიზანში ამოღებით სრულდება.

ცეცხლი მკვდარ წერტილებზე პირდაპირი სროლით საცეცხლე საშუალებების ცეცხლისათვის მიუწვდომელ, ან ფარულ ადგილმდებარეობის მონაკვეთებზე, საცეცხლე კონტროლის დაწესების მიზნით, ნაღმმტყორცნებიდან და ქვემეხებიდან საცეცხლე დარტყმების წერტილებია.

დაბრკოლება ეწყობა ყველა სახის ბრძოლაში მოწინაღმდეგისათვის დანაკარგის მიყენების, წინსვლის, შეჩერებისა და მისი მანევრის შეზღუდვის მიზნით. ის შეიძლება იყოს როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი. ხელოვნურ დაბრკოლებებს ძირითადად მიეკუთვნებიან: დანაღმული ველები, მავთულხლართების ღობურები და ბადეები, ტანკსაწინაღო თხრილები, გზიზ ხერგილები და სხვა. ფართოდ გამოიყენება ბუნებრივი დაბრკოლებებიც.

სათვალთვალო პუნქტი ბრძოლაში მოწინააღმდეგისა და საკუთარ ძალებზე უწყვეტი მონაცემების მოპოვების მიზნით აიგება. თავდაცვაში სათვალთვალო პუნქტისათვის ადგილმდებარეობის გაბატონებული წერტილები შეირჩევა. სათვალთვალო პუნქტიდან თვალთახედვის სექტორი მაქსიმალურ მანძილზე უნდა

ფარავდეს მოსალოდნელი მოქმედების რაიონს. უნდა იყოს შენიღბული და მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნეველი.

რეზერვის რაიონი თავდაცვაში რეზერვის შემადგენლობაში დანიშნული ქვედანაყოფების განლაგების რაიონია. ის ასეულისა და უფრო მაღალი ქვედანაყოფებისათვის ინიშნება.

ოცეულის თავდაცვის გეგმა ოცეულისათვის მიცემული პასუხისმგებლობის რაიონის თავდაცვის განხორციელების გეგმაა, და ძირითადად განლაგების, საცეცხლე, ფორტიფიკაციისა და კავშირის გეგმებს მოიცავს.

განლაგების გეგმა ოცეულის პასუხისმგებლობის რაიონში ტაქტიკური განლაგებისა და საბრძოლო წყობის მაჩვენებელი ტიპის გეგმაა, რომელიც შესრულებულია სქემის სახით.

ოცეულის მეთაური, ადგილმდებარეობის დაზვერვის წარმოების დროს და შემდეგ ფაქტორების გონებრივი შეფასებით, იღებს გადაწყვეტილებას და ადგენს აღნიშნულ გეგმას. განლაგების გეგმაში ძირითადად აისახება:

— ოცეულის პასუხისმგებლობის რაიონი;

— თავდაცვის ძირითადი ხაზი;

— ქვეითი ათეულების პოზიციები;

— ოცეულის საშტატო და მიკუთვნებული საცეცხლე საშუალებების პოზიციები;

— ოცეულის სათვალთვალო პუნქტი;

— ქვეითი ათეულების შესაცვლელი და სათადარიგო პოზიციები;

— წინ გამოსატანი სათვალთვალო საგუშაგოები და ახლო უასაფრთხოების ელემენტების ადგილები.

უკანდახევის ოპერაცია

უკანდახევის ოპერაცია ქვედანაყოფების მოწინააღმდეგისაგან მოწყვეტის მიზნით უკან გადაადგილებაა. ეს მოქმედება ხორციელდება წინასწარ განზრახვით, ან იძულებით. ორივე შემთხვევაში ყოველთვის ერთი საფეხურით მაღალი მეთაურის ბრძანება, ან ნებართვაა საჭირო.

უკანდახევის ოპერაციები ხშირად არ გამოიყენება. ამასთანავე, როგორც მოწინააღმდეგეზე საკუთარი ზემოქმედების შემცირების, ასევე ფსიქოლოგიური ეფექტის თვალსაზრისით, უფრო მეტ რისკს მოითხოვს. ამიტომ შენიღბვა, შეცდომაში შეყვანა, სისწრაფე და გამბედაობა ბრძოლის სხვა სახეებთან შედარებით აქ უფრო მნიშვნელოვანია, რადგანაც დაწვრილებით დაგეგმვას, მაღალზნეობრივად და გამბედაობით შესრულებას საჭიროებს. შეუსწავლელი, დაუგეგმავი, უდისციპლინო, შესაფერისი განლაგების გარეშე გადადგილებები შეიძლება დამარცხების მიზეზი გახდეს.

უკანდახევის ოპერაციები, როგორც მისი ერთი შემადგენელი ნაწილი, ძირითადად თავდაცვითი ოპერაციის შიგნით გამოიყენება.

უკანდახევის ოპერაციის ძირითადი მიზნებია:

— მოწინააღმდეგის მასირებული ზეწოლისაგან თავის დახსნა;

— არახელსაყრელ პირობებში ბრძოლისათვის თავის დაღწევა;

— ბრძოლის გადამწყვეტ ფაზაში შესვლამდე დროის მოგება;

— ხელსაყრელი პირობების მქონე სხვა პოზიციაზე მოწინაღმდეგესთან ბრძოლისათვის მომზადება;

— სხვა ამოცანების მისაღებად მზადყოფნა.

უკანდახევის ოპერაციები ძირითადად სამი სახის ტაქტიკური გადაადგილებისაგან შედგება. ესენია:

— ბრძოლის შეწყვეტა – მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში მყოფი ქვედანაყოფის მთლიანად, ან მისი რომელიმე ნაწილის მიერ სხვა ოპერაციის წარმოების მიზნით, მოწინააღმდეგისაგან მოწყვეტაა.

— შემაკავებელი ბრძოლა – მოწინააღმდეგესთან აქტიურ საბრძოლო მოქმედებაში ჩაურთველად, მისი მაქსიმალურად მოქანცვის ან შეყოვნების მიზნით წარმოებული ბრძოლა.

— უკანდახევა – ბრძოლის შემწყვეტი ქვედანაყოფის, დამფარავი ძალების მიერ დაფარვით, უკან არსებულ შეკრების რაიონში სხვა დავალებისათვის გასვლაა.

უკან დახევის ოპერაციის დაგეგმვისას და მართვისას ოცეულისა და ასეულის დონეზე გამოსაყენებელი კონტროლისა და კოორდინირების ძირითადი ელემენტებია:

— მოწინაღმდეგისაგან მოწყვეტის მიმართულებები;

— დაფარვის პოზიციები;

— ათეულისა და ოცეულის შეკრების წერტილები;

— უფროსი მეთაურის დაფარვის ელემენტების პოზიციები;

— უფროსი მეთაურის დაფარვის ელემენტების უკან დახევის მიმართულებები;

— ასეულის შეკრების რაიონი;

— ასეულის გამმიჯნავი ხაზები;

— შემაკავებელი პოზიციები;

— უკანდასახევი გზები.

ქვეითი ოცეული და ათეულები უკანდახევის ოპერაციებში, ხშირ შემთხვევებში, უფრო დიდი ქვედანაყოფის შემადგენლობაში იღებენ მონაწილეობას. ამასთან ერთად, ქვეითი ოცეულები ხშირად, ხოლო ათეულები – იძულებით დამოუკიდებლად ასრულებენ უსაფრთხოებისა და დაფარვის დავალებას.

უკანდახევის ოპერაციები ძირითადად თავდაცვით ოპერაციებში მის ერთ შემადგენელ ნაწილად გამოიყენება. თავდაცვის მიზანია შემტევი მოწინააღმდეგის განადგურება, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა ყოველთვის როდია შესაძლებელი. ბრძოლის

დროს ზოგჯერ, ხელსაყრელი პირობების კვლავ მოსაპოვებლად, თავდაცვაში მყოფი ქვედანაყოფის მოწინააღმდეგესთან შეხების შეწყვეტა და უკანდახევაა საჭირო.

უკანდახევამ არასოდეს უწესრიგობა და პანიკა არ უნდა შექმნას. შესაძლებელი პანიკის აღკვეთა მეთაურისა და ლიდერების ხელშია. ამ მიზნით, პირადი შემადგენლობის ლიდერები ყველგან და ყველანაირ პირობებში უნდა უხსნიდნენ პირად შემადგენლობას ოპერაციის მნიშვნელობას. სამაგალითო ლიდერიზმის გატარებით, კარგი მართვითა და წინასწარმომზადებული დაგეგმვით შესაძლებელია პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება.

ბრძოლის შეწყვეტა მოწინააღმდეგესთან საბრძოლო შეხებაში მყოფი ქვდანაყოფის რაიმე მიზნით მოწინააღმდეგისაგან მოსაწყვეტად გამოყენებული ტაქტიკური ოპერაციაა. მას უკანდახევა, შემაკავებელი ბრძოლა, ან ახალ პოზიციაში თავდაცვა შეიძლება მოჰყვეს.

ბრძოლის შეწყვეტის ოპერაცია დღისით ან ღამით, მოწინააღმდეგის ზეწოლის ქვეშ, ან ზეწოლის გარეშე შეიძლება განხორციელდეს. დაწვრილებით დაგეგმვას, შენიღბულ, სწრაფ და გამბედავ მოქმედებას მოითხოვს.

მოწინააღმდეგის ზეწოლის ქვეშ ბრძოლის შეწყვეტის ოპერაცია თავდაცვის პოზიციაში მოწინააღმდეგის მოჭარბებული ძალების იერიშისაგან თავის დასაღწევად, ხელსაყრელი პოზიციების დაკავებისა და შემდგომი წინააღმდეგობის გაწევის მიზნით ხორციელდება. ვინაიდან ოპერაცია მოწინააღმდეგის ხედვასა და ცეცხლქვეშ მიმდინარეობს, რისკი დიდია, ამდენად, გამოიყენება, როგორც ყველაზე უკიდურესი საშუალება. იგი დაწვრილებით დაგეგმვას, პანიკის დაძლევას და გამბედაობას საჭიროებს. ოპერაცია ძირითადად დღისით ხორციელდება.

მოწინაღმდეგის ზეწოლის ქვეშ ბრძოლის შეწყვეტის ოპერაცია უფროსი მეთაურის დამფარავი ელემენტებით ხორციელდება დაფარვის ქვეშ. ოცეულისა და ათეულის დონის ქვედანაყოფები, უფროსი მეთაურების მიერ დადგენილი პირველი დაფარვის პოზიციის უკან, მოწინააღმდეგესთან ბრძოლით, ბრძოლის შეწყვეტის მეთოდით და ერთმანეთის დაფარვით გადაადგილდებიან. ასეთი მეთოდით ისინი ფაქტობრივად წყდებიან მოწინააღმდეგეს. დაფარვის ამოცანის მიმღები ქვედანაყოფი, უკან დახევის წინ 1 საათით ადრე დაფარვის პოზიციაში შემაკავებელი ბრძოლის საფუძვლების მიხედვით განლაგდება და უკანდამხევი ქვედანაყოფების მანევრებს მხარს უჭერს.

ოპერაციის შესრულებისას მთავარია სისწრაფე, ძლიერი ცეცხლით ზეწოლა და ქვედანაყოფების გონიერი მართვა.

მოწინააღმდეგის ზეწოლის გარეშე ბრძოლის შეწყვეტა მიზნად ისახავს საფრთხეში მყოფი სხვა ქვედანაყოფების დახმარებას, ანდა კიდევ სხვა რაიონში ამოცანის შესრულებისათვის გასვლას. მისი განხორციელებისას მთავარია ფარულობა. ამიტომ ოპერაცია ძირითადად ღამით, ან შეზღუდული ხედვის პირობებში სრულდება. თუ გარდაუვალია უკანდახევა, საჭირო შენიღბვის და შეცდომაში შეყვანის ღონისძიებების გამოყენებით, დღისითაც შეიძლება განხორციელდეს.

ამ ოპერაციის ძირითადი თავისებურებაა შეხების ხაზის საჭირო ძალებით უსაფრთხოების ქვეშ აყვანა. შეხების ხაზზე დარჩენილი ქვედანაყოფების უსაფრთხოებაზე აყვანის შემდეგ, მათი დაფარვით ქვედანაყოფები უკანა ელემენტებიდან დაწყებით, ეტაპობრივად უკან იხევენ.

ზეწოლის გარეშე ბრძოლის შეწყვეტისას მნიშვნელოვანი ფაქტორია შეხების ხაზზე არსებული საომარი პოტენციალის შენარჩუნება იმ რაოდენობით, რომ შესაძლებელი იყოს მოწინააღმდეგის მოულოდნელი შეტევის მოგერიება. ამ მიზნით, არსებული შემადგენლობის დაახლოებით მესამედი შეხების ხაზზე რჩება. ოცეულის დონეზე, უმეტეს შემთხვევაში, ოცეულის ზემდეგის ხელმძღვანელობით, ერთი ქვეითი ათეული თავისი შეიარაღებითა და ოცეულზე მიკუთვნებული იარაღების მესამედით, შეხების ხაზზე რჩება.

ოპერაციის მსვლელობისას მისი შენიღბვისა და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით, შეხების ხაზზე დარჩენილი ელემენტები საბრძოლო ოპერაციასა და მოქმედებას ძველი ფორმით აგრძელებენ.

შემაკავებელი ბრძოლა არის ბრძოლის ისეთი სახე, რომელიც წარმოებს ერთმანეთის უკან განლაგებულ პოზიციებზე ახლო ბრძოლებში ჩაურთველად, რაც ითვალისწინებს მოწინააღმდეგესთან დისტანციურ ბრძოლას, თავდაცვასა და უკანდახევას შერეული ფორმით. ამ ბრძოლის მიზანია, მოწინააღმდეგის შეყოვნება, მოქანცვა, მისი კონტროლის ქვეშ აყვანა და დროის მოგება გადამწყვეტი ბრძოლის მოსამზადებლად.

ოპერაცია ხშირ შემთხვევებში თავდაცვით, ბრძოლის შეწყვეტით, კონტრშეტევით, უკანდახევითა და ისევ თავდაცვის ფორმით სრულდება.

შემაკავებელი ბრძოლის საერთო თავდაცვითი ბრძოლისაგან ძირითადი განსხვავებებია:

— შემაკავებელი პოზიციების მთის თხემზე განლაგება;

— მოწინააღმდეგის შეყოვნებისათვის შორ მანძილზე ცეცხლის წარმოება.

— მოწინააღმდეგესთან ახლო ბრძოლაში ჩაურთველად, ბრძოლის შეწყვეტით შემდგომ პოზიციაში გადაადგილება, მოწინააღმდეგე ძალების საბრძოლო წყობის დარღვევა, შემაკავებელი ბრძოლის მსვლელობის გაგრძელება და ინიციატივის ხელში ასაღებად კონტრშეტევისა და დამანგრეველი შეტევების გამოყენება.

შემაკავებელი ოპერაციისას ძირითადი მნიშვნელობა, პოზიციების დათმობის სანაცვლოდ, დროის მაქსიმალურად მოგებას ენიჭება.

შემაკავებელ ბრძოლაში მონაწილე ქვედანაყოფები მოწინააღმდეგესთან შედარებით ტოლი, ან უფრო მაღალი მანევრირების შესაძლებლობის მქონენი უნდა იყვნენ. ამიტომ ამ სახის ბრძოლაში ძირითადად ჯავშნიან და მექანიზებულ ქვედანაყოფებს გამოიყენებენ.

ქვეითი ოცეული, ან ათეული ძირითადად უფრო დიდი ქვედანაყოფების შემადგენლობაში ღებულობენ მონაწილეობას.

შემაკავებელი ოპერაციის კონტროლისა და კოორდინირების ღონისძიებები:

– შემაკავებელი ხაზები;

– შეხვედრის წერტილები;

– გამმიჯნავი ხაზები;

– დაფარვა და შემდგომი შემაკავებელი ხაზები;

– შემდგომ პოზიციაში უკანდახევის მიმართულება, ან გზები;

– კონტროლის წერტილები.

უკანდახევა წარუმატებელი საბრძოლო ოპერაციის ბოლო საფეხურია, რომელიც ბრძოლის შეწყვეტას, ან შემაკავებელ ოპერაციას შეიძლება მოჰყვეს.

ოცეულის დონეზე, ასეულის შეკრების რაიონამდე მიღწევისას ბრძოლის შეწყვეტის ოპერაცია მთავრდება. ასეულის შეკრების რაიონიდან სიღრმეში გასვლის ჩატარებულ ოპერაციას უკანდახევა ჰქვია.

უკანდახევა უკუსვლითი ტაქტიკური მარშია. ამ მარშისას ასეულის ერთი ოცეული ზურგის სალაშქრო საგუშაგოში ინიშნება. გარდა ამისა, შეიძლება იყოს ფრონტისა და ფლანგების უსაფრთხოებისათვის განწესებული.

ზურგის სალაშქრო საგუშაგოში განწესებული ქვეითი ოცეული უკანიდან წინ, ტაქტიკური მარშზე მეწინავე რაზმის მსგავსად, განლაგდება და იგივე ტექნიკის გამოყენებით წინ მიიწევს.

უკანდახევა ტაქტიკური მარშის მსგავსად იგეგმება და იგივე ფორმით სრულდება საბრძოლო ოპერაციის პარალელურად.

ლექცია 8

შეიარაღებული ძალების განსხვავებული გამოყენება და პარტიზანული მოძრაობა

შეიარაღებული ძალები დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებში

ყოველ ქვეყანას აქვს სხვადასხვა საშუალებები, რომლითაც შეუძლია მიაღწიოს თავის ეროვნულ მიზნებს. აქ შედის ქვეყნის ძლიერების პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სამხედრო ელემენტები.

ძლიერების პოლიტიკური ელემენტი შედგება მორალური და პოლიტიკური მოდელისაგან, სამოკავშირო თანამშრომლობის, სახალხო დიპლომატიის და დიპლომატიური შუამავლებისგან. მეთოდები, რომლებსაც ქვეყანა იყენებს თავისი ეკონომიკური ძლიერებისათვის, მოიცავს ეკონომიკურ სტიმულს და სანქციებს, განვითარების ხელშეწყობას და ფინანსურ დახმარებას. საინფორმაციო ელემენტში შედის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ სფეროებში თანამშრომლობა, საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობა და ინფორმაციით უზრუნველყოფა.

ომის მდგომარეობა არის ძალადობის გარემო, რომლის დროსაც მეომარი მხარეების გადარჩენა რისკთან არის დაკავშირებული. ომის დროს, სამხედრო ძალა იბრძვის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. იგი ეძებს გზებს, რომ შექმნას გარემო, რომელიც შესაძლებელს გახდის მიღწეულ იქნეს სასურველი სტრატეგიული საბოლოო მდგომარეობა. ეროვნული ძლიერების პოლიტიკური, ეკონომიკური და ინფორმაციული ელემენტები ეხმარება სამხედრო ძალისხმევას ასეთი მდგომარეობის შექმნაში.

ამასთან ერთად, ნაკლები ძალადობის გარემოში შეიარაღებული ძალები მოქმედებენ მშვიდობის ან კონფლიქტის პირობებში. "ომამდელი" არის კრებსითი ტერმინი გარემოს ასეთი პირობებისათვის. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი არის ძირითადი კონცეფცია, რომელიც შეესაბამება ამ მდგომარეობას. ეს არის პოლიტიკურ სამხედრო კონცეფცია ორ მოქიშპე სახელმწიფოს ან ჯგუფს შორის, რომელიც ჯერ არ არის გადასული ომში, მაგრამ აღარც ჩვეულებრივი მდგომარეობაა. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი არის დაპირისპირებული პრინციპებისა და იდეოლოგიების დროში გაწელილი ბრძოლა. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი მიმდინარეობს სხვადასხვა საშუალებების – პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სამხედრო ელემენტების კომბინაციის გამოყენებით. ჩვეულებრივ, ისინი წარმოიშობა მესამე სამყაროში, მაგრამ გავლენა აქვთ რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებაზე. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტში სამხედრო ძალის წვლილი სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზანში არაპირდაპირია. სამხედრო ოპერაციები ეხმარება არასამხედრო მოქმედებებს, რომელიც ქმნის პირობებს, როდესაც შესაძლებელია სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია. ხშირად ასეთი მოქმედებები ეხმარება მეგობარ სახელმწიფოებს ან დაპირისპირებულ ჯგუფებს [11]; [12]; [13]; [14]; [15].

ძირითადი განსხვავება დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოსა და ომს შორის მდგომარეობს სახელმწიფო ძლიერების ელემენტების გამოყენების გზებში. ომის დროს ქვეყანა პირდაპირ იყენებს სამხედრო ელემენტს ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელიც საშუალებას მისცემს, მიაღწიოს თავის სტრატეგიულ მიზნებს. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოში სახელმწიფო პირდაპირ იყენებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საინფორმაციო ელემენტებს იმისათვის, რომ შექმნას სტრატეგიული მიზნების უსაფრთხოების დამხმარე პირობები.

სახმელეთო ძალები მშვიდობიანობის დროს

მშვიდობიან ვითარებაში ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და საინფორმაციო ელემენტები წარმოადგენს მთავარ მექანიზმს ეროვნული მიზნების მისაღწევად.

მშვიდობიანი პერიოდის განმავლობაში სამხედრო ელემენტის მთავარი ამოცანაა კონფლიქტის და საომარი მოქმედებისაგან თავის შეკავება. გაწვრთნილი და მზადყოფნაში მყოფი ძალა ამცირებს შანსს, რომ ოპერაციები განხორციელდება უფრო მტრულ გარემოში. ამ ამოცანის შესასრულებლად შეიარაღებული ძალებისათვის უნდა არსებობდეს ორი პირობა. პირველი – უნდა იგრძნობოდეს, რომ ძალებს უნარი შესწევთ, უპასუხონ ნებისმიერ მუქარას ან იმოქმედონ გაუთვალისწინებელ ვითარებაში. ეს უნარი უკავშირდება ხალხით დაკომპლექტებისა და გაწვრთნილობის დონეს, მატერიალურ მდგომარეობას და ძალების გაშლას. მეორე – საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მთავრობა მიმართავს სამხედრო ელემენტებს. ეს ორივე პირობა აწონასწორებს მუქარას.

მშვიდობიანობის დროს სამხედრო ელემენტის მეორადი ამოცანაა მხარი დაუჭიროს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ძალისხმევას მიზნების მისაღწევად. ამ ვითარებაში, სამხედრო ოპერაციები უზრუნველყოფს სამხედრო ელემენტის სიძლიერის არაპირდაპირ გამოვლენას, მაშინ, როდესაც იგი პირდაპირ ვლინდება საბრძოლო მოქმედებების გარემოში. მშვიდობიან ვითარებაში შეიარაღებული ძალების მოქმედებები კოორდინირებული უნდა იყოს სხვა ელემენტების გამოყენების ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ ორგანოსთან. ეს აუცილებელია, რათა გარანტირებული იყოს ერთობლივი ძალისხმევა.

მშვიდობის ხელშემწყობი სამხედრო ოპერაციები ხორციელდება სხვა სამთავრობო პროგრამების დასახმარებლად. ხშირად, ამ პროგრამების მიზანი არის ქვეყანაში ან მსოფლიოს რომელიმე რეგიონში სტაბილურობის დამყარება. ამ კონტექსტში – სტაბილურობა არ წარმოადგენს სტატუს-კვოს შენარჩუნებას, არამედ იგი წარმოჩინდება თანამიმდევრულ პროგრესის სახით ქვეყნის ან რეგიონის განვითარებაში.

სამხედრო უწყებების შიგნით საინჟინრო ძალები განსაკუთრებით კარგად შეეფერებიან ოპერაციების განხორციელებას ასეთ გარემოში. სამხედრო საინჟინრო შენაერთების შესაძლებლობები, მოქნილობა და, ჩვეულებრივ, მუქარის არმქონე ხასიათი, სწრაფად ეხმარება იმ ტიპის პროგრამებს, რომლებიც შექმნილია ეროვნული მიზნების მისაღწევად.

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი

არსებობს ბევრი ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ ქვეყანაში ან რეგიონში დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის წარმოშობას. მათ შორისაა სწრაფი ცვლილებები, სიღარიბე და უკმაყოფილება. თავისი ბუნების გამო, მოდერნიზაციას მიჰყავს ხალხი იმის მიხვედრამდე, თუ რა განსხვავებაა ქონებასა და უქონლობას შორის. ამას მოსდევს იმ მოლოდინის გაზრდა, რომელიც შეიძლება ვერ გაამართლოს ქვეყნის მთავრობამ.

ნარკოტიკებით საერთაშორისო უკანონო ვაჭრობის სწრაფმა ზრდამ ასევე შეიტანა წვლილი მსოფლიო საზოგადოების არასტაბილურობაში. ნარკოტიკებით მოვაჭრეები თავიანთ ოპერაციებში ეყრდნობიან კავშირების, ტრანსპორტირების და მომარაგების კიდევ უფრო რთულ სისტემებს. ისინი კიდევ უფრო ძლიერ იარაღს იყენებენ ხელისუფლებასთან დაპირისპირების დროსაც. ხშირ შემთხვევაში ნარკოტიკებით მოვაჭრეების მიერ გამოყენებული იარაღი ბევრად უფრო თანამედროვეა, ვიდრე ის, რომელსაც იყენებს სამთავრობო ძალები მათთან საბრძოლველად. ერთადაღებული, ეს ფაქტორები ძალადობის მაღალ პოტენციალს სთავაზობს მსოფლიოს. მესამე სამყაროში მიმდინარე მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ მომავალი კონფლიქტები ყველაზე უფრო სავარაუდოა, წარმოიშვას სწორედ ამ რეგიონებში და დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების ვითარების კონტექსტით.

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოში ინტერესების ყველაზე დიდი მუქარა არ მომდინარეობს ცალკეული ამბოხებებიდან, ეკონომიკური არასტაბილურობიდან, ნარკოტიკებით ვაჭრობიდან ან ტერორიზმის ცალკეული გამოვლინებებიდან. იგი უფრო ასეთი მოვლენებიდან გამომდინარე არასასურველი შედეგია. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოში წარუმატებლობამ შეიძლება გამოიწვიოს:

- სახელმწიფოს იზოლირება მისი მოკავშირეებისაგან, მსოფლიო სავაჭრო პარტნიორებისა და მსოფლიო საზოგადოებისაგან.
- სტრატეგიული მინერალებისა და ენერგოშემცველების მარაგებთან მისასვლელი გზების დაკარგვა.
- ბაზების, ტრანზიტის და მოხმარების უფლების დაკარგვა.
- ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო მხარდაჭერის დაკარგვა.
- მეგობრებისა და მოკავშირეების გადასვლა მოწინააღმდეგის ბანაკში.
- ხანგრძლივი გამარჯვება მოწინააღმდეგისათვის.

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოში წარმატებულმა ოპერაციებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთ საერთაშორისო მიზნებს, როგორიცაა თავისუფლების, დემოკრატიული სისტემების და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ზრდა.

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოში წარმატების მიღწევა მოითხოვს დაგეგმვას და ისეთი ოპერაციების ჩატარებას, რომლებიც ეფუძნება შემდეგ აუცილებლობებს:

- პოლიტიკური ელემენტის პირველობა.
- ძალისხმევის ერთიანობა.
- შეგუება და ადაპტაცია.
- კანონთან შესაბამისობა.
- მდგრადობა და შეუპოვრობა.
- ძალის შეზღუდული რაოდენობით გამოყენება

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოში მიმდინარე ოპერაციების დროს პოლიტიკური მიზნები მართავს სამხედრო გადაწყვეტილებებს ყველა დონეზე – სტრატეგიულიდან ტაქტიკურამდე. მეთაურებს და მათი შტაბის ოფიცრებს უნდა ესმოდეთ სპეციფიკური პოლიტიკური მიზნები და სამხედრო ოპერაციების გავლენა მათზე. მათ უნდა აირჩიონ მოქმედების ისეთი კურსი, რომელიც კანონიერად დაეხმარება ამ მიზნებს, თუნდაც მოქმედებების ეს კურსი არ ემთხვეოდეს იმას, რასაც შეიცავს ტრადიციული სამხედრო დოქტრინა.

ძალიახმევის გაერთიანება გულისხმობს, რომ სამხედრო ხელმძღვანელებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან, რათა მიიღონ საერთო სარგებლობა დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოში. მეთაურებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რა წვლილს შეიტანს მათი გეგმები, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და საინფორმაციო ხასიათისა ინიციატივებში. გაერთიანებული ძალისხმევა მოითხოვს უწყებათაშორისო კოორდინაციას და ინტეგრაციას, რომელიც მთავრობის ჩარჩოებში იძლევა საშუალებას ეფექტური მუშაობისათვის.

ადაპტაცია არის არსებული სტრუქტურების და მეთოდების შეცვლის ან მოდიფიცირების უნარი და სურვილი, რათა მოხდეს სხვადასხვა სიტუაციების ერთმანეთთან შეთანხმება. ეს მოითხოვს ამოცანის ყურადღებიან ანალიზს, კომპლექსურ დაზვერვას და რეგიონულ ექსპერტიზას. ადაპტაცია უფრო მეტია, ვიდრე მორგება ან მოქნილობა, იგი გულისხმობს სხვადასხვა შემთხვევებისათვის სტანდარტული მეთოდების ან სტრუქტურების გამოყენებას. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოში წარმატებულმა მოქმედებამ შეიარაღებული ძალებისაგან შეიძლება მოითხოვოს, შეეგუოს არსებულ მეთოდებს და შექმნას ყოველი ცალკეული სიტუაციისათვის შესაფერისი მეთოდი.

კანონიერება არის ხალხის მიერ აღიარება მთავრობის მართვის უფლებისა, ან ჯგუფის თუ ქვეყნის უფლებისა, მიიღოს და განახორციელოს გადაწყვეტილება. აქ, აგრეთვე, შედის ქვეყანაში სამთავრობო უწყებების წარმომადგენლების ყოფნისა და მოქმედებების აღიარება. კანონიერება არ არის ადვილად შესამჩნევი და ხშირად რთული საქმეა მისი სიდიდის დადგენა. კანონიერება ჩნდება იმ შეგრძნებიდან, რომ ხელისუფლება არის გულწრფელი და ეფექტური, და შესაბამის უწყებებს იყენებს სამართლიანი მიზნებისათვის. არც ერთ ჯგუფს ან ძალას არ შეუძლია თვითონ განსაზღვროს კანონიერება. მას შეუძლია თავისი მოქმედებებით შექმნას და ხელი

შეუწყოს კანონიერებას. კანონიერება არის კონფლიქტში ჩართული ყველა მხარის მთავარი საზრუნავი.

შეუპოვრობა არის ეროვნული მიზნებისაკენ მოთმინებით, შეუფერხებლივ და სტაბილურად სვლა. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებს იშვიათად აქვს გარკვეული საწყისი წერტილი ან დასასრული, რომელიც აღინიშნება რაიმე გადამწყვეტი მოქმედებებით და სრულდება გამარჯვებით. კონფლიქტი თავისი ბუნებით არის დროში გაწელილი ბრძოლა. ის მოკლე, მოულოდნელი შეტაკებები, რომლებიც ხდება ხოლმე, უნდა შეფასდეს მათი წვლილის მიხედვით ხანგრძლივი მიზნების კონტექსტში. შეუპოვრობა ხელს არ უშლის გადამწყვეტ მოქმედებებს. ფაქტობრივად, იგი საჭიროებს ყოველგვარ ძალისხმევას, რომ განხორციელდეს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინიციატივები. შეუპოვრობა საჭიროა, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ლიდერებისათვის, რათა არ დასჯერდნენ მცირე მიზნებს.

ძალების შეზღუდული რაოდენობით გამოყენება ეხება ძალების კეთილგონივრულ, წინდახედულ და გააზრებულ შერჩევას და გამოყენებას მისიის შესრულების დროს. ძალების შეზღუდული გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში არ გამორიცხავს მრავალრიცხოვანი ძალის გამოყენებას, რომელიც წარმოაჩენს განზრახვას და ვალდებულებას. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის ვითარებაში ბრძოლაში შესვლის წესები, ჩვეულებრივ, უფრო შეზღუდული, დეტალური და პოლიტიკურად გააზრებულია, ვიდრე სხვა ტიპის კონფლიქტების დროს. გადაჭარბებულმა ძალადობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კანონიერების დამყარებასა და შენარჩუნებაზე და შეაფერხოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მიღწევა.

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის ვითარებაში ყველა მოქმედება უნდა იყოს დაგეგმილი იმ რეგიონის ხალხის გათვალისწინებით, რომელშიც მიმდინარეობს მოქმედება.

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის გარემოში საბრძოლო ოპერაციები გამოიყენება გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ქვეყნის ინტერესების დაცვა სხვა საშუალებით. როდესაც საჭირო ხდება რეაგირება, იგი უნდა განხორციელდეს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონის პრინციპების შესაბამისად. ეს პრინციპები ადასტურებენ სახელმწიფოების განუყოფელ უფლებას, გამოიყენონ ძალა ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის დროს.

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის ვითარებაში არსებობს ოპერაციების ოთხი კატეგორია. ეს არის დახმარება ამბოხებისას და ამბოხების ჩახშობის დროს, ბრძოლა ტერორიზმთან, მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები და დაუგეგმავი ოპერაციები. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის ვითარებაში მოქმედი ძალა შეიძლება მონაწილეობდეს ერთ ან რამდენიმე ოპერაციაში ერთდროულად.

დახმარება ამბოხებისას და ამბოხების საწინააღმდეგო ღონისძიებებში

ამბოხება არის შეიარაღებული პოლიტიკურად ორგანიზებული ბრძოლა. მისი მიზნები შეიძლება იყოს ძალაუფლების ხელში ჩაგდება რევოლუციური გზით და

არსებული მთავრობის შეცვლა. სხვა შემთხვევებში, ამბოხების მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ მცირე პოლიტიკური დათმობების მიღება.

მაგალითად, ამბოხების მიზანი შეიძლება იყოს ტერიტორიის განთავისუფლება სამთავრობო კონტროლისაგან და ავტონომიური სახელმწიფოს შექმნა ტრადიციული ეთნიკური ან ტერიტორიული საზღვრების შიგნით. ამბოხება და ამბოხების წინააღმდეგობა არის ერთიდაიგივე პროცესის ორი ასპექტი. ამბოხება ფოკუსირებულია პოლიტიკური კონტროლის შეცვლაზე და მოითხოვს დამალული ხერხებისა და მეთოდების ფართო გამოყენებას. მეორე მხრივ, ამბოხების წინააღმდეგობა იყენებს ღია მეთოდებს. აქ შედის დაპირებები არსებული სისტემის შეგნით თანამიმდევრული ცვლილებების თაობაზე.

რადგან ამბოხებაშიც და ამბოხების საწინააღმდეგო მოქმედებაშიც არის პოლიტიკური მიზანი – პოლიტიკური წინამძღოლობა იძენს უპირველეს მნიშვნელობას. სამხედრო ძალაუფლება ასრულებს მხარდამჭერ როლს. ხელმძღვანელობამ შეიძლება აირჩიოს, დაეხმაროს ამბოხებას თუ შეეწინააღმდეგოს მას. ეს დამოკიდებული იქნება ამბოხებულთა მიზნებზე. ამ არენაზე ეფექტური მოქმედებისათვის უნდა განისაზღვროს ამბოხების გამომწვევი მიზეზები. ამის შემდეგ უნდა შეფასდეს არსებული სიტუაცია, ამბოხებულთა უახლოესი კურსი, და შემუშავდეს ზომები, ან მხარი დაუჭირონ მათ, ან ხელი შეუშალონ.

რაც უფრო კარგად ესმის გადაწყვეტილების მიმღებს ამბოხების მოთავეთა მოტივები, სავარაუდოა, რომ მით უფრო უკეთ შესძლებს იგი გავლენის მოხდენას მათ საქციელზე. მიუხედავად იმისა, მხარს უჭერს, თუ ეწინააღმდეგება მთავრობა ამბოხებას, შესაბამისი მოქმედებების კურსის დადგენისათვის აუცილებელია კონფლიქტის ბუნების, კულტურული და გეოგრაფიული გარემოს ცოდნა.

ამბოხების წარმატებისათვის საჭიროა ადამიანების და მატერიალური რესურსების მობილიზაცია, რომელიც აქტიურ და პასიურ დახმარებას გაუწევს ამ მოძრაობას. ამ რესურსებში შედის გამოცდილი მუშაკები და მოხალისე მებრძოლები, ფულის შეგროვება და იარაღის მოპოვება, დაზვერვა და ყველა სახის მარაგი. ამბოხების მოძრაობის მობილიზაცია შეიძლება დაიწყოს არსებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური, კულტურული ან რელიგიური ვითარებით, ხალხის უკმაყოფილების ზრდით. მეამბოხე ლიდერები მასმედიის საშუალებით აცხადებენ ამ უკმაყოფილებას და ცდილობენ ამ ვითარებისათვის ბრალი დასდონ არსებულ მთავრობას. ისინი ისწრაფვიან, დაარწმუნონ ხალხი, რომ მთავრობას არ შეუძლია ან არ სურს მოქმედება ამ პრობლემების მოსაგვარებლად. ამავე დროს, ისინი სთავაზობენ პროგრამას ან წინადადებებს ამ ვითარების გასაუმჯობესებლად. მთავრობის უუნარობამ ან ნების არქონამ, გამოიჩინოს ეკონომიკური წინდახედულობა, რომ აღიაროს ხალხის გასაჭირის მასშტაბი და გაატაროს ეფექტური კოორდინირებული მოქმედებები, შეიძლება შეაკავოს სოციალური პროგრესი. ეს კი ზრდის ამბოხების რისკს.

ამბოხება ცდილობს გამოიყენოს მთავრობის ფაქტობრივი ან საგრძნობი სუსტი მხარეები, როგორიცაა კანონიერების და წესრიგის ვერშენარჩუნება ან ზედმეტი

რეაგირება სამოქალაქო მღელვარებაზე. საამბოხო მოძრაობისათვის აუცილებელია ჩამოაყალიბოს მხარდაჭერის ბაზა მოსახლეობას შორის, მიუხედავად იმისა, იქნება ძალისმიერი დახმარება ნებაყოფლობითი თუ იძულებითი. მეამბოხეების მთავარი საზრუნავი არის ორგანიზაციული და მართვითი უნარის გამომუღავნება, რათა უკმაყოფილო ხალხისაგან ჩამოაყალიბოს ქმედითი პოლიტიკური ელემენტი. მეამბოხეები, რომლებიც მოუწოდებენ მთავრობის გადადგომისაკენ ჩამოაყალიბებენ რევოლუციურ დოქტრინას და იყენებენ შეიარაღებულ ძალას, როგორც პოლიტიკის ელემენტს. მეამბოხეები ეჯიბრებიან არსებულ მთავრობას პოლიტიკურ სამართლიანობაში და იმის უფლებაში, რომ გაუძღვნენ ხალხს და იყვნენ მათი წარმომადგენლები.

მხარდაჭერა წინააღმდეგობის მოძრაობისადმი შეიძლება განხორციელდეს ღიად ან ნაკლები თვალსაჩინოებით, დახმარება მეტწილად უნდა იყოს დაფარული. ასეთმა მოქმედებამ შეიძლება მოითხოვოს არალეგალური მეთოდების გამოყენება. აქ შედის უარყოფითი პროპაგანდა, საიდუმლო დაფინანსება, მოტყუება, გასამხედროებული მოქმედებები და დაფარული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ქსელი.

სამხედრო მხარდაჭერა უმთავრესად მდგომარეობს მეამბოხე ძალების ტაქტიკაში, მეთოდებისა და სპეციალური მეთოდების გამოყენებით საბრძოლო მოქმედებებში წვრთნისა და სწავლების დროს. ამ კონტექსტში საბრძოლო მოქმედებები სპეციალური მეთოდების გამოყენებით არის დამცავი პოლიტიკურ-სამხედრო ქმედობა, რომელიც ცდილობს, დაასუსტოს არსებული მთავრობის კონტროლი და ლეგიტიმურობა ან ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება. ამავე დროს, იგი ცდილობს, გაზარდოს წინააღმდეგობის მოძრაობის კონტროლი და ლეგიტიმურობა.

სახელმწიფო იყენებს თავის სამხედრო რესურსებს, რათა დახმარება გაუწიოს კონკრეტული ქვეყნის ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციებს საგარეო უცხოური დახმარების კონტექსტით. საგარეო უცხოური დახმარება არის სამოქალაქო და სამხედრო უწყებების მონაწილეობა სხვა ქვეყნის სამოქმედო პროგრამებში, რათა გააათავისუფლოს და დაიცვას ქვეყნის საზოგადოება ძირგამომთხრელი საქმიანობისაგან, არეულობისა და ამბოხებისაგან. საგარეო უცხოური დახმარების ოპერაციები არის ძალისხმევა, დაეხმაროს მეგობარ მთავრობას, რომელიც დგას მისი შიდა სტაბილურობის და უშიშროების საფრთხის წინაშე. შეიარაღებულმა ძალებმა შეიძლება დახმარება გაუწიონ მასპინძელი ქვეყნის ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციებს ისეთი რესურსებით, როგორიცაა მატერიალური დახმარება, მრჩევლები და ინსტრუქტორები. მასპინძელი ქვეყნის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, როდესაც ეს შედის ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებში, მან შეიძლება გასწიოს სამხედრო დახმარება უფრო პირდაპირი ფორმითაც.

ტერორიზმთან ბრძოლა

ტერორიზმი განისაზღვრება, როგორც ძალადობის ან ძალადობის მუქარის გაანგარიშებული გამოყენება, რომლის მიზანია დათესოს შიში, აიძულოს ან დააშინოს

მთავრობა თუ საზოგადოება, რათა ტერორისტებმა განახორციელონ თავიანთი მიზნები, ჩვეულებრივ, პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური.

ტერორისტების მიზნების სპექტრი შეიძლება იყოს ეთნიკური წყენის, შურისძიებისათვის სეპარატისტული მიზეზებიდან დაწყებული, ფუნდამენტალისტურ, სოციალურ და პოლიტიკურ რევოლუციამდე. გაუცხადებელი მიზანი შეიძლება იყოს მათი მოწინააღმდეგის მხრიდან გადაჭარბებული რეაქციის პროვოცირება ან საპასუხო ზომების მიღების სტიმულირება, რომელიც აღიარებს ტერორისტების ძალას და კანონიერებას.

ტერორისტთა მეთოდების არსენალი მრავალფეროვანია. მათ შეიძლება, დააყენონ ასაფეთქებელი მოწყობილობები საზოგადოებრივ ადგილებში, განახორციელონ გატაცებები და მკვლელობები. სხვა მეთოდებში შედის უეცარი რბევა და აწიოკება, გადაწვა და შეიარაღებული თავდასხმა. მიუხედავად მიდგომებისა, ყველა ტერორისტის მიზანი ერთია: თავს მოახვიოს საზოგადოებას თავისი ნება, გამოიყენოს ძალადობა, რათა შექმნას შიშის ატმოსფერო. ტერორისტებს სურთ, რომ ხალხი გრძნობდეს თავს დაუცველად და ეჭვი შეეპაროს თავისი მთავრობის უნარში დაიცვას ისინი. ეს, თავის მხრივ, ძირს უთხრის მთავრობის კანონიერებას, მის პოლიტიკას ან ორივეს ერთად.

მთავარი ნიშანი, რომელიც განასხვავებს ტერორიზმს სხვა ფორმის პოლიტიკური ძალადობისაგან, არის ტერორისტების მზადყოფნა შეუტიონ "უდანაშაულო" სამიზნეებს. საერთაშორისო კანონი ზღუდავს შეიარაღებული ძალის გამოყენებას, რათა მინიმალური ზიანი მიადგეს არამებრძოლ მხარეებს. იგივე კანონები ეხება აღიარებულ ამბოხებებს. ტერორისტს არ აქვს ასეთი შეზღუდვები და იგი ხშირად თავს ესხმის ხალხს სრულიად უმიზეზოდ. ამის გამო ტერორისტული მოქმედებები მშვიდობიანი, საკონფლიქტო ან საომარი მდგომარეობის დროს განისაზღვრება, როგორც უკანონო. ამავე მიზეზის გამო, ძალადობის უკანონო ქმედობის განხორციელებით მეამბოხეები შეიძლება გადაიქცნენ ტერორისტებად.

ტერორისტული ჯგუფები უმთავრესად განსხვავდებიან მთავრობასთან მიკუთვნების ნიშნით. ეს ეხმარება უშიშროების მგეგმავებს, გათვალონ ტერორისტის მოსალოდნელი სამიზნე და მათი დაზვერვის და შეიარაღების სირთულის დონე. ძირითადად, ტერორისტები კლასიფიცირდებიან, როგორც სახელმწიფო მხარდაჭერის არმქონე, სახელმწიფო მხარდაჭერის მქონენი ან სახელმწიფოს მიერ მართულნი. თუმცა, ქსელის ჩამოყალიბება და ურთიერთდახმარება ყველა კატეგორიას ერთგვარად თავისუფალს ხდის.

სახელმწიფო მხარდაჭერის არმქონე ტერორისტული ჯგუფები მუშაობენ ავტონომიურად და არ იღებენ რაიმე მნიშვნელოვან დახმარებას ნებისმიერი მთავრობისაგან.

ტერორისტული ქმედობის კლასიფიცირება შეიძლება მათი უშუალო მიზნების მიხედვით. განასხვავებენ ტერორისტული მიზნების ხეთ ტიპს. ესენია:

- აღიარება,
- იძულება,

- დაშინება,
- პროვოკაცია,
- ამბოხების დახმარება ან მხარდაჭერა.

თავისთავად, ტერორისტული კამპანიის მიზანი შეიძლება იყოს ეროვნული ან საერთაშორისო აღიარება. ჯგუფები, რომლებიც ეძებენ ასეთ აღიარებას, იყენებენ ინციდენტებს, რომლებმაც შეიძლება მიიზიდოს მედიის ყურადღება. აქ შედის თვითმფრინავის გატაცება, გამოჩენილი ადამიანების დატყვევება, შენობების დაკავება ან მძევლების აყვანა. იძულება არის მცდელობა, ძალის საშუალებით მიიღონ სასურველი ქმედობა ადამიანების, ჯგუფების ან მთავრობისაგან. ეს მიზანი მოითხოვს შერჩევითი დაგეგმვის სტრატეგიას.

დაშინება განსხვავდება იძულებისაგან. დაშინება არის მცდელობა არ მისცე ადამიანებს ან ჯგუფებს მოქმედების საშუალება. ტერორისტებმა შეიძლება გამოიყენონ დაშინება, რათა შეამცირონ უსაფრთხოების ძალების ეფექტურობა, დააშინებენ რა მათ. დაშინებამ შეიძლება ხელი აიღებინოს კომპეტენტურ მოქალაქეს, შეეცადოს დაიკავოს თანამდებობა ან დარჩეს თანამდებობაზე მთავრობაში. ძალადობის მუქარამ შეიძლება, აგრეთვე, არ მიაღებინოს ფართო საზოგადოებრიობას მონაწილეობა ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებში, როგორიცაა ხმის მიცემის პროცედურები. როგორც იძულების დროს, ტერორისტები იყენებენ შერჩევითი დაგეგმვის სტრატეგიას.

ტერორისტული აქტების მიზანი შეიძლება იყოს სამთავრობო ძალების ზომაზე მეტი რეაქციის პროვოცირება. ეს სტრატეგია მოითხოვს სამთავრობო სიმბოლოების სამიზნეებზე შეტევას. ასეთი ტიპის შეტევები წარმოაჩენს მოუმზადებლობას ტერორისტული აქტების გამკლავებისათვის და დიდი წვლილი შეაქვს იმ რწმენის შერყევაში, რომ მთავრობას შესწევს უნარი უზრუნველყოს უსაფრთხოება. და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ უსაფრთხოების ძალების პასუხი იქნება არაადეკვატური, შედეგად შეიძლება მივიღოთ საზოგადოებრივი სიმპათია, პასიური დათნხმება ან აქტიური მხარდაჭერა ტერორისტული ჯგუფისადმი.

ამბოხების მხარდამჭერი ტერორიზმი სავარაუდოდ მოიცავს პროვოკაციას, დაშინებას, იძულებას და აღიარების მცდელობას. ტერორიზმი შეიძლება, აგრეთვე, დაეხმაროს ამბოხებას აიძულებს რა მთავრობას გადააჭარბოს თავის შესაძლებლობებს ყველა შესაძლო სამიზნის დაცვის მცდელობით. ამბოხების დროს ტერორისტული ხერხების გამოყენების სხვა მაგალითებია ფულადი სახსრების მოზიდვა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიღება და შიდა დისციპლინის დამყარება. ამ მეთოდების გამოყენება აწონილ-დაწონილი უნდა იყოს.

ტერორისტული ორგანიზაცია შეიძლება ისახავდეს ერთ-ერთ ან ყველა ამ მიზანს. ტერორისტულმა ორგანიზაციამ შეიძლება თვითონ დაისახოს მიზნები და სტრატეგია, ან მის მართვას შეიძლება ახორციელებდეს მთავრობა, რომელიც მხარს უჭერს ტერორისტულ ორგანიზაციას. ყველა შემთხვევაში, სამხედრო მგეგმავებმა უნდა მოახდინონ ამ მიზნების და სტრატეგიის იდენტიფიცირება, რათა დაამარცხონ ტერორისტული ორგანიზაცია.

ტერორიზმი შეიძლება იყოს ინტერნაციონალური და ზოგიერთ შემთხვევაში მას ეხმარებიან და ხელს უწყობენ სახელმწიფო სპონსორები. ამის გამო, საფრთხემ, რომელიც ემუქრება მოქალაქეებს და საზღვარგარეთ მათი უსაფრთხოების ინტერესებს, შეიძლება მოითხოვოს შეიარაღებული ძალების ჩარევა. ეს ჩარევა შეიძლება მოხდეს ორგვარად: ტერორიზმის მოქმედებების შეჩერება აქტიური და პასიური ზომებით ან ძალების გამოყენება ტერორისტებთან პირისპირ ბრძოლაში.

ანტიტერორიზმი არის მთელი რიგი თავდაცვითი ზომები, რომელიც გამოიყენება ტერორიზმისაგან ადამიანების და ქონების დაზიანების შესამცირებლად. ანტიტერორიზმის საფუძვლებში შედის მუქარის შესახებ ინფორმაციის დროული შეგროვება და გავრცელება, ტერორიზმის არსის გაგების საინფორმაციო პროგრამების შექმნა და ჩვეულებრივი თავდაცვითი ზომების გამოყენება.

კონტრტერორიზმი არის შეტევითი ზომების მთელი სპექტრი, რომელიც გამოიყენება ტერორიზმის თავიდან ასაცილებლად, მის შესაკავებლად ან მასზე საპასუხოდ. კონტრტერორიზმი ეფუძნება ფართო მომზადებას და დაგეგმვას. კონტრტერორისტული მოქმედებები, ჩვეულებრივ, მოითხოვს სპეციალურად გაწვრთნილ პერსონალს, რომელსაც შეუძლია სწრაფად და ეფექტურად მოქმედება. საპასუხო ზომებში შეიძლება შედიოდეს სადამსჯელო და სამაშველო ოპერაციები. კონტრტერორისტულ ოპერაციებში გამოყენებული ძალების ტიპი და მართვისა და კონტროლის ურთიერთობა დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, ინციდენტის ტიპზე და საჭირო ძალების დონეზე. ძალის შერჩევის კრიტერიუმს, ჩვეულებრივ, მართავს იურიდიული და პოლიტიკური შეზღუდვები. კონტრტერორისტული ოპერაციების დაგეგმვის და შესრულების დროს აუცილებელია მომზადდეს რეალური და გონივრული ბრძოლაში ჩაბმის წესები, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სამოქალაქო და/ან თანმხლები ნგრევა. ბრძოლაში ჩაბმის წესები შეიძლება შეიქმნას არმიის დახმარების ელემენტის მიერ, მათი სამხედრო და სამოქალაქო მრჩეველების დახმარებით.

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები არის სამხედრო ოპერაციები, რომლებიც ტარდება კონფლიქტში ჩაბმული მეომარი მხარეების თანხმობით. მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს დაზავების მოლაპარაკება და გააადვილოს მხარეებს შორის კონფლიქტის დიპლომატიური გადაწყვეტა. სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებში გაერთიანებული ერების ან სხვა ორგანიზაციის სპონსორობით, სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით ან ცალმხრივად. მოქმედებებმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა. შესაძლო მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებში შედის მეთვალყურეობა:

- დაზავებაზე;
- იარაღის ამოღებასა და მხარეთა დაშორიშორებაზე;

- ტყვეთა გაცვლაზე;
- დემილიტარიზაციაზე და დემობილიზაციაზე.

ამ ოპერაციების დროს ხშირად ვაწყდებით არაერთგვაროვან სიტუაციებს, როდესაც სამშვიდობო ძალებს უხდება ძლიერ დაძაბულობასთან და ძალადობასთან გამკლავება ისე, რომ არ გახდეს მისი მონაწილე. მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები მოჰყვება დიპლომატიურ მოლაპარაკებას, რომელიც დაადგენს სამშვიდობო ძალების მანდატს. მანდატი დეტალურად აღწერს მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების შესაძლებლობებს. ხშირად, იგი ადგენს თითოეული მონაწილე ქვეყნის ძალების რაოდენობას და ტიპს. მანდატი ნათლად უნდა განსაზღვრავდეს შემდეგს:

- ვადებს ან პირობებს, რომელსაც მასპინძელი ქვეყანა აკისრებს ადგილზე მყოფ ძალას ან მისიას;
- საერთაშორისო სააგენტოების იურისდიქციის ქვეშა მყოფი ძალების ან მისიის წევრების უფლებებს;
- სამშვიდობო ძალის ფუნქციებს.

ამის შემდეგ, მანდატის საფუძველზე, შესაბამისი მეთაურის რჩევით, დიპლომატები მიაღწევენ ძალების განლაგების შეთანხმებას. ამას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ძალთა შეთანხმებების სტატუსს. მასპინძელ ქვეყანას, სპონსორსა და მონაწილეთა შორის მიღწეული ეს შეთანხმებები დაადგენს ძალების ან მისიის დეტალურ იურიდიულ სტატუსს. სამშვიდობო მანდატისა და განლაგების შეთანხმებების საფუძველზე დგინდება პირობები, შემდგომი დირექტივები და ბრძოლაში ჩაბმის წესები. პირობებში შედის ის, თუ როგორ განახორციელებს სახელმწიფო თავის მონაწილეობას მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებში. აქ შედის:

- ამოცანა;
- მართვის ურთიერთდამოკიდებულება;
- ორგანიზაცია;
- ლოგისტიკის უზრუნველყოფა;
- ანგარიშგებითი პროცედურები;
- სახელმწიფოს კონტიგენტის ვალდებულებები სამშვიდობო ძალების წინაშე;
- კოორდინაცია და კავშირი.

აქ, აგრეთვე, შეიძლება შედიოდეს საზოგადოებრივი საქმიანობა და სხვა ქვეყნის კონტიგენტთან ნებისმიერი ორმხრივი ურთიერთობები, გარდა იმისა, რაც აღწერილია მანდატში.

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებს ზოგადად აქვს ორგანიზაციის სამი დონე: პოლიტიკური საბჭო, მშვიდობისმყოფელთა სამხედრო კონტროლი და ტერიტორიის სამხედრო კონტროლი.

ტერმინი "მშვიდობისმყოფელთა ძალა" მოიცავს სამივე დონეს.

ორგანიზაციის უმაღლესი დონე არის პოლიტიკური საბჭო. იგი უზრუნველყოფს მოლაპარაკებებისა და მონაწილე მხარეთა ლიდერებთან კოორდინაციის მექანიზმს.

საბჭო ხელს უწყობს ყველა მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღებას მოლაპარაკებების გზით. პოლიტიკური საბჭო იღებს მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების მანდატს და ათანხმებს ძალების სტატუსს მოწინააღმდეგე მხარეებს შორის. მშვიდობისმყოფელთა ძალის უფროსი შეიძლება იყოს პოლიტიკური საბჭოს წევრი.

სრული კონტროლი სამშვიდობო ძალებზე ხორციელდება მშვიდობისმყოფელთა სამხედრო დონეზე. ჩვეულებრივ, ამ დონეზე მართვა და პერსონალით დაკომპლექტება არის მრავალეროვანი. შერეული ძალების ოპერატიულ კონტროლს მეთაური ახორციელებს იმ მმართველობითს ფუნქციებთან ერთად, რაც რჩება ქვეყნის ფარგლებს შიგნით. სამხედრო მმართველობას იშვიათად აქვს უფლება, აწარმოოს მოლაპარაკებები სამხედრო საკითხებზე. სამხედრო კონტროლის ამოცანებში შედის:

- მოლაპარაკებების მონაწილეთა შეკავება ძალისმიერი მეთოდებისაგან;
- სასიცოცხლო ნაგებობების და მნიშვნელოვანი მომსახურების საშუალებების დაცვა;
- პოლიტიკური საბჭოს ინფორმირება სამშვიდობო ძალების მოთხოვნების შესახებ;
- პოლიტიკური საბჭოსათვის ინფორმაციის შეგროვება და მიწოდება;
- სამშვიდობო ძალების მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.

სამხედრო კონტროლი გამოსცემს დირექტივებს და ინსტრუქციებს მოქმედებების და პროცედურების შესახებ.

სამშვიდობო ძალების ოპერატიული დონე არის ტერიტორიის სამხედრო კონტროლი. ტერიტორიის სამხედრო კონტროლი, ჩვეულებრივ, შედგება ერთი ქვეყნის ძალებისაგან. მას აქვს ვალდებულებების განსაზღვრული სფერო და ანგარიშვალდებულია სამხედრო სამშვიდობო მართვასთან. მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება სამშვიდობო მმართველობიდან ან საკუთარი ქვეყნის არხებით. ისინი სპეციალურ მარკირებას უკეთებენ თავიანთ ფორმის ტანსაცმელს და აღჭურვილობას, რათა ნათელი იყოს, რომ წარმოადგენენ სამშვიდობო ძალას. ტერიტორიის კონტროლი აკავებს ძალისმიერ მოქმედებებს თავისი ყოფნით ამ ტერიტორიაზე. იგი აგროვებს ინფორმაციას ღია წესით პოსტებზე დაკვირვების, პატრულირების, საჰაერო რეკოგნოსტირების და ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრების საშუალებით.

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების საფუძველს შეადგენს შემდეგი რვა პრინციპი:

- თანხმობა;
- ნეიტრალიტეტი;
- ბალანსი;
- მართვის ერთიანი კონტროლი;
- პარალელური მოქმედება;
- სპონსორის უპირობო დახმარება;

- გადაადგილების თავისუფლება;
- თავდაცვა.

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებში ჩაბმული ყველა მხარის თანხმობის ხარისხს დიდი გავლენა აქვს მის წარმატებაზე; მხარეების ოპერაციებში მონაწილეობის სურვილს ისინი გამოხატავენ თანხმობის ხარისხით. ამის გაკეთება უნდა მოხდეს უპირობოდ ან შეზღუდვის გარეშე. ისინი სრულად უნდა ეთანხმებოდნენ სამშვიდობო ოპერაციებს თავისი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ან წმინდა ჰუმანიტარული მიზეზების გამო. თანხმობას უნდა გამოხატავდნენ სხვა დაინტერესებული სახელმწიფოებიც. მათ შეიძლება დახმარება გაუწიონ მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებს ან, ყოველ შემთხვევაში, არ წავიდნენ მაინც მათი ჩატარების წინააღმდეგ.

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების ხელშემწყობმა ორგანიზაციებმა ან ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ოპერაციები სრული და უპირობო დახმარებით შესაბამისი მანდატის პირობების თანახმად. ეს დახმარება შეიძლება იყოს ლოგისტიკის, ფინანსური ან პოლიტიკური. მათ საშუალება უნდა მისცენ სამშვიდობო ძალებს, იმოქმედონ თავისუფლად, პოლიტიკური მითითებების გარეშე, მაგრამ არააუცილებელი ჩარევის გარეშე.

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციების კონცეფციისათვის აუცილებელია თავდაცვითი ძალის გამოყენება. თავდაცვა არის განუყოფელი უფლება. ეს არის ერთადერთი პრინციპი, რომელზეც ვერ იმოქმედებს თანხმობა. ბრძოლაში ჩაბმის წესები აღწერს გარემოებებს და ხერხებს, როდესაც სამშვიდობო ძალებმა შეიძლება გამოიყენონ ძალა იმ მცდელობების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ხელს უშლის მათ შეასრულონ თავისი მოვალეობები. ბრძოლაში ჩაბმის წესები ნათლად და დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული მანდატში.

მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები მეთაურებისაგან მოითხოვს, განალაგონ თავიანთი შენაერთები პოტენციურად მტრულ გარემოში. ეფექტურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის სამშვიდობო ძალები უნდა იყოს მიუკერძოებელი. მეთაურმა უნდა გამოიყვანოს თავისი ძალები, თუ პირობები გაუარესდება და ძალის მიუკერძოებლობას საფრთხე დაემუქრება. მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებში ძალადობის კონტროლი მოითხოვს სხვადასხვა მეთოდების კომბინაციას. აქ შედის მეთვალყურეობა, პატრულირება, საჩივრების განხილვა, მოლაპარაკებები და შუამავლობა.

დაუგეგმავი ოპერაციები

დაუგეგმავი ოპერაციები არის პოლიტიკურად დელიკატური სამხედრო ოპერაციები. ჩვეულებრივ, ისინი მოკლევადიანია და სწრაფად დაგეგმილი, ან ძალების გამოყენება ხდება ომამდელ ვითარებაში. ხშირად ისინი ტარდება კრიზისის თავიდან ასაცილებლად ან კრიზისის მართვის ვითარებაში, როდესაც საჭიროა სამხედრო ელემენტების გამოყენება დიპლომატიური და საინფორმაციო ინიციატივების

დასახმარებლად ან მათი გამართვის მიზნით. დაუგეგმავ ოპერაციებში შედის შემდეგი ამოცანები:

- უბედურების დროს დახმარება ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
- ნარკოტიკების საწინააღმდეგო ოპერაციები;
- უშიშროებაში დახმარების ტენდენცია;
- ბრძოლაში არმონაწილე პირების ევაკუაცია;
- გადარჩენისა და აღდგენის ოპერაციები;
- ძალის ჩვენება და დემონსტრირება;
- წესრიგის აღდგენის ოპერაციები.

დაუგეგმავ ოპერაციებში მონაწილეობენ შესაფერისი ძალები და, ჩვეულებრივ, ისინი შეერთებული ან გაერთიანებული ძალით მოქმედებენ. მგეგმავებმა უნდა შექმნან მართვის ზუსტი ურთიერთობები და საკომუნიკაციო პროცედურები, რადგან ხელმძღვანელი სტრუქტურა იცვლება ოპერაციის ტიპის მიხედვით. დაუგეგმავ ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ძალები თავისი ამოცანის შესასრულებლად, ჩვეულებრივ, იყენებენ სამსახურის შესაბამის ტაქტიკურ დოქტრინას ან ერთობლივ ტაქტიკას, მეთოდებს და პროცედურებს. მონაწილე ძალები შერჩეული იქნება ამ ოპერაციებისათვის განსაზღვრული ძალებიდან, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სტანდარტის წვრთნა, რაც აუცილებელია ოპერაციების სწრაფად და წარმატებით ჩატარებისათვის.

დაუგეგმავი ოპერაციებისათვის სამი მნიშვნელოვანი პრინციპია: კოორდინაცია, დაბალანსება და გაურკვეველი სიტუაციისათვის დაგეგმვა.

მონაწილე ძალების ხასიათისა და იმ ფაქტის გამო, რომ ოპერაციები ტარდება პოლიტიკური მიზნების მხარდასაჭერად, წარმატებისათვის აუცილებელია კოორდინაცია. კოორდინაცია უნდა იყოს იმ ძალებს შორის, რომლებიც რეალურად ატარებენ ოპერაციას. მეთაურს ესაჭიროება ნათლად განსაზღვრული მიზნები და ოპერატიული პარამენტრები, რათა დააბალანსოს უსაფრთხოებისათვის საჭირო მოთხოვნები პოლიტიკურ კურსთან.

გაურკვევლობით სავსე სიტუაცია მოითხოვს დეტალურ, მაგრამ მოქნილ დაგეგმვას, რომელიც მოიცავს კოორდინაციისა და დაბალანსების პრინციპებს. აქ საჭიროა სადავო ტერიტორიის პოლიტიკური და სოციალური რეალობების კარგი ცოდნა. დაუგეგმავი ოპერაციის მომზადებისას დაგეგმვისთვის საჭირო ოპერატიული, ლოგისტიკის, საინჟინრო და სადაზვერვო უზრუნველყოფა უნდა იყოს ყოველმხრივი.

დაუგეგმავ ოპერაციებს ძლიერი ფსიქოლოგიური გავლენა აქვს ადგილობრივი და უცხოური აუდიტორიის დამოკიდებულებასა და საქციელზე. ოპერაციები ამის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს.

პარტიზანული მოქმედებები

წინააღმდეგობის გაწევის კონცეფცია გამოიყენება ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ ორგანიზებული ძალისხმევისას, როგორიცაა წინააღმდეგობა, ოპოზიციონერობა, ან არსებული ხელისუფლების დამხობა.

წინააღმდეგობის გაწევის ხერხების უმეტესობა რევოლუციური მოძრაობის ერთერთი საუკეთესო შემადგენელია. რევოლუცია არ შეიძლება მოხდეს წინააღმდეგობების გამწევი მოძრაობის გარეშე, მაგრამ წინააღმდეგობის გამწევი მოძრაობა შეიძლება იყოს რევოლუციის გარეშეც, მაშინ როდესაც მოწინააღმდეგე ობიექტი არ წარმოადგენს ძალაუფლების მქონე პირს.

ეს კონცეფცია ეხება ორგანიზებულ აჯანყებას, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო მთავრობის დამხობას. ამ მეთოდით, ამჯანყებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს დაფუძნებული ოპოზიციურ ორგანიზაციაზე.

აქ არის სამი აუცილებლობა, რომლებიც უნდა არსებობდეს აჯანყების შესაძლო დაწყებისათვის.

— ნებისმიერი მიზეზების გამო, მოსახლეობა მომართულია თავისი მდგომარეობის შეცვლისათვის. მათ აჯანყება სთავაზობს ცვლილებების იმედს და არსებული მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილობის გამოხატვის საშუალებას.

— დაუცველ მოსახლეობას მარტო არ ძალუძს აჯანყების მოწყობა. აქ აუცილებლად უნდა არსებობდეს ლიდერობის შემძლე ელემენტი, რომელსაც ხელეწიფება გეზი მისცეს უიმედო, დაუკმაყოფილებელი მასის აჯანყებას სტრატეგიულად გათვლილ პერიოდში.

— მთავრობის კონტროლის აუცილებლობა შეიძლება იყოს რეალური ან მისაღები. უდიდესია კონტროლი, რომელსაც მთავრობა უნდა იჩენდეს სიტუაციის დამთავრებამდე. ყურადღება შესაძლებლობაა აჯანყების წარმატებისა.

აქ არის რამდენიმე გარემოება რომლებიც უნდა არსებობდეს ან იქმნებოდეს აჯანყების მოძრაობის მიზნის მისაღწევად:

— *სახალხო მხარდაჭერა.* მხარდაჭერა შეიძლება იყოს პასიური ან აქტიური. არ არის სავალდებულო აქტიური მხარდაჭერა მთლიანი მოსახლეობისაგან, მაგრამ მას მოსახლეობის უმეტესობა პასიურად უნდა უჭერდეს მხარს.

— *ძალისხმევათა ერთიანობა.* მეამბოხეთა მოძრაობის საერთო მხარდაჭერამ უნდა აწარმოოს სიძლიერეთა ერთიანობა, რომელიც ენიჭება მათ, ვინც ჩართულია საერთო გეგმების შესრულებაში.

— *წინააღმდეგობის სურვილი.* მოსახლეობისათვის საკმარისი არ არის თავისი მთავრობისათვის პასიური წინააღმდეგობის გაწევა. მიახლოებით, მოსახლეობის ნახევარს მინც უნდა ჰქონდეს სურვილი აქტიური წინააღმდეგობის გაწევისა.

— *ლიდერობა.* მეამბოხეთა მოძრაობის მოქმედება და ძალისხმევა მთლიანად უნდა იქნეს მიმართული ეფექტური ლიდერობის გამოყენებით.

— *დისციპლინა.* მოძრაობის ასპექტი აუცილებლად მკაცრად უნდა იქნეს დაცული, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოება და მორჩილება.

— *გაანალიზება.* აჯანყების მოძრაობა, ჩვეულებრივ დამოკიდებულია რაოდენობაზე და სამთავრობო ძალების საბრძოლო შესაძლებლობაზე და დაზვერვითი ოპერაციების წარმატებაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მეამბოხეთა ორგანიზაციის უსაფრთხოება და ინფორმაციის შეგროვება.

— *პროპაგანდა* გამოიყენება ხალხის მხარდაჭერის მიღებისათვის და რიგითი მოსახლეობის მთავრობისადმი დაპირისპირებისათვის.

— *კეთილგანწყობილი ვითარება* შეიცავს ხალხის დამოკიდებულებას, პოლიტიკურ გარემოებას, და ეკონომიკურ მდგომარეობას.

— *თვითუზრუნველყოფა.* მოცემული რვა მდგომარეობა თეორიულად ერთადერთი საშუალებაა აჯანყების წარმატებისა. ისტორიულად, ჩანს, რომ უნდა იყოს ერთი დამატებითი შეთანხმება, რომელიც უნდა არსებობდეს გარე მხარდაჭერის სახით.

ეს მხარდაჭერა შეიძლება იყოს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური. ფიზიკური, გარე მხარდაჭერის მაგალითებია: ტექნიკა, იარაღი, სათადარიგო აღჭურვილობა, საბრძოლო მასალები, თავშესაფარები, სამხედროები და საბრძოლო ერთეულები.

ფსიქოლოგიური გარე მხარდაჭერის მაგალითები მოიცავს მოწინააღმდეგეთათვის პოლიტიკური მხარდაჭერის გაწევას მაშინ, როდესაც ამას ქვეყანა იაზრებს, რომ აქცია მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ზეწოლამ შეიძლება მთავრობას განზრახ დააძაბვინოს პოლიტიკური ან ეკონომიკური მდგომარეობა, რათა გავლენა მოახდინოს მსოფლიოს აზრზე აქციის სასარგებლოდ.

როდესაც მეამბოხე ორგანიზაცია დაფუძნებულია და იწყებს მოქმედებას, ის რამდენიმე ფაზის გავლით აღწევს წარმატებას თავის საქმიანობაში, რომელიც ხორციელდება მთავრობის დამხობის მიზნით. როდესაც აჯანყება გადადის ერთი ფაზიდან მეორეში, ძნელია მისი დარეგულირება.

ასევე არის შესაძლებლობა იმისა, რომ აჯანყება მოსალოდნელია პირდაპირ გადაიზარდოს I ფაზიდან III ფაზად. ხოლო, აქციის წარუმატებლობისას, აგრეთვე შეიძლება მოხდეს უკუდაბრუნება III ფაზიდან II ფაზამდე, ან უფრო უკან I-ამდე.

ფაზა I: *დაფარული და ახლად დაწყებული აჯანყება.* ის გამოსვლები, რომლებიც ამ ფაზაში ისაზღვრება, ქმნის მხოლოდ პოტენციურად საშიშ სისტუაციას. იგი მოიცავს საკმაო რაოდენობის დაუნდობელ ან არაკონტროლირებად მანიფესტაციებს. პარტიზანული ჯარები არ ახორციელებენ მოქმედ ოპერაციებს, მაგრამ პრივილეგიას ტერორისტულ აქტებს ანიჭებებენ.

ფაზა II: *პარტიზანული ომი.* ეს ფაზა მიღწეულია მაშინ, როდესაც აჯანყების მოძრაობა, რომელსაც მოპოვებული აქვს დიდი რაოდენობის ადგილობრივი და გარე მხარდაჭერები, იწყებს ორგანიზებულ მიმდინარეობას პარტიზანული ომებით ან დაუნდობლობის მიახლოებითი ფორმებით მთავრობის წინააღმდეგ. ეს არის მცდელობა,

რომლითაც აიძულებენ მთავრობას გამოიყენოს თავდაცვითი საშუალებები. როგორც კი პარტიზანული დაჯგუფება ძლიერდება, ის იწყებს ფართომასშტაბიან ოპერაციებს.

ფაზა III: *მოძრაობის ომი.* როდესაც პარტიზანული დაჯგუფება აღწევს ძალოვან სტრუქურას და ძლიერდება, იგი პირდაპირ აიძულებს მთავრობას საბრძოლო გადაწყვეტილების მიიღებას. შემდეგ პროგრესულად იწყებს კონვენციური ტაქტიკის გამოყენებას და შეუძლია მიიღოს ძალები გარე რესურსებიდან. მას აგრეთვე შეუძლია დაიწყოს უფრო დიდი დამცავი ოპერაციები, რათა უზრუნველყოს თავისი საკონტროლო ობიექტის დაცვა.

ამჯანყებელთა მოძრაობის მიზანი თუ მიღწეულია, ის შედეგად იღებს სახელმწიფო მთავრობის ჩანაცვლებას მოჯანყეთა მოძრაობის მიერ დაფუძნებული სამთავრობო სტრუქტურით. ამის განხორციელება აჯანყებულთათვის პოლიტიკური გამარჯვებაა. მის შესასრულებლად მეამბოხეთა მოძრაობას არ ჭირდება ადგილსამყოფელი ქვეყნის იძულებით დაპყრობა. პარალელურად ან ამ უსიამოვნებებისას მთავრობა შეიძლება განვითარდეს მეამბოხეთა ძალების საშუალებით. მან პოლიტიკური გამარჯვების განხორციელებისათვის, როგორმე უნდა წაართვას სახელმწიფო მთავრობას ხალხის მხარდაჭერა.

მთავრობის აჯანყებასთან საბრძოლველ იარაღს კონტრაჯანყება წარმოადგენს. მთავრობისაგან მისია შეიცავს გასატარებელი ზომების ფუნქციონალურად მთლიან შესაძლებლობებს, რათა გაათავისუფლოს და დაიცვას თავისი საზოგადოება გადატრიალების, უკანონობისა და აჯანყებისაგან.

მათი მოქმედების არეალი მიღებულია ქვეყნის წინ წაწევისათვის საარსებო აღმშენებლობის ინსტიტუტების განვითარებიდან, რომელიც აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნებს. აქ არის სამი მიზნობრივი ჯგუფი, რომელთაც მთავრობა მიმართავს: მოსახლეობა, მეამბოხეები და გარე წარმომადგენლობა.

მთავრობამ უკან უნდა დაიბრუნოს ხალხის მხარდაჭერა. ეს კეთდება მათი დაცვის უზრუნველყოფით და გულწრფელ ქმედობათა ჩვენებით, რომლებიც ასახავენ იმ გარემოებათა გამოსწორებას, უკმაყოფილება რომ გამოიწვიეს.

სტრატეგია დაფუძნებულია დაბალანსებული განვითარების, მობილიზაციის და ნეიტრალურობის კონცეფციაზე. ეს სამი კომპონენტი ურთიერთდამოკიდებულია და ერთდროულად უნდა იქნეს გამოყენებული. თუ თავისი მიზანი განახორციელა, ამით მთავრობა დაიბრუნებს ხალხის მხარდაჭერას.

სამხედრო ძალები მონაწილეობას იღებენ პროგრამის ექვსი მნიშვნელოვანი ოპერაციის განხორციელებაში: საინფორმაციო, ფსიქოლო-გიური პროგრამების, სამოქალაქო საქმეების, მოსახლეობისა და რესურსების კონტროლის, საკონსულტაციო მომსახურებისა და საბრძოლო ოპერაციებში.

ამ ოპერაციების შედეგიან გამოყენებას პროგრამისათვის წარმატება მოაქვს.

ლექცია 9

საჰაერო-კოსმოსური სტრატეგიული მიმართულება და ახალი ორბიტული კომპლექსები

კოსმოსური ტექნიკა და პირველი ქართული კოსმოსური ობუექტი

კოსმოსისადმი ადამიანის და საერთოდ ცივილიზაციის ინტერესს და დამოკიდებულებას განაპირობებს ორი ძირითადი მოთხოვნა – კოსმოსის შესწავლა და კოსმოსის ათვისება. ორივე მათგანი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მათი განვითარების დონე დამოკიდებულია მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის პროგრესზე, ასევე კაცობრიობის მიერ აღნიშნულ სფეროებში დასახულ მიზნებზე და ამოცანებზე.

კოსმოსის შესწავლისა და ათვისების გარემოა კოსმოსური სივრცე, რომელიც მოიცავს მთელს სამყაროს. ამასთან, დედამიწის მდებარეობის მიმართ, კოსმოსური სივრცე პირობითად განიხილება ცალკეულ სივრცეებად (ნახ.7), რომლებსაც ეწოდებათ დედამიწის ახლო, პლანეტათშორისი და ვარსკვლავთშორისი კოსმოსური სივრცეები. ამასთან, დედამიწის ახლო კოსმოსური სივრცე დაყოფილია დედამიწასთან არსებულ, ახლო, საშუალო და შორეულ კოსმოსებად (ნახ. 8).



ნახ. 7



ნახ. 8

უნდა აღინიშნოს ის, რომ დედამიწასთან ახლო კოსმოსური სივრცე ვრცელდება დედამიწის ბუნებრივი რადიაციული სარტყელების ქვემოთ, რის გამოც ხასიათდება შეფარდებით მაღალი სიმკვრივის ატმოსფეროთი, რაც მას ხანგრძლივი კოსმოსური ფრენისათვის პრაქტიკულად გამოუსადეგარ სივრცედ ხდის.

კოსმოსური სივრცე, თავისი მოვლენებით, მრავალმხრივი და მრავალდარგიანი კვლევების სფეროა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან კოსმოსურ სივრცეში მყოფ კოსმოსურ სხეულებს და კოსმოსურ ობიექტებს. საერთაშორისო კოსმოსურ სამართალში ტერმინი "კოსმოსური ობიექტი" გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნურად შექმნილი ობიექტების აღნიშვნისათვის. რაც შეეხება კოსმოსური სივრცის ბუნებრივი წარმოშობის ობიექტებს, მაგალითად - ვარსკვლავებს, პლანეტებს, ასტეროიდებს, კომეტებსა და მეტეორიტებს, მათ ეწოდებათ ციური სხეულები.

ამდენად, ბუნებრივია, რომ ადამიანის მიერ კოსმოსის შესწავლისა და ათვისების მიღწევები უშუალოდ არის დამოკიდებული კოსმოსური ობიექტების შექმნისა და ექსპლუატაციის სამეცნიერო, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დონესთან.

ამ მხრივ, კაცობრიობამ პირველი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან შესძლო, როდესაც 1957 წლის 4 ოქტომბერს ორბიტაზე გავიდა პირველი კოსმოსური ობიექტი – დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი (ნახ. 9).



ნახ. 9

მას შემდეგ – ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ შეძლო შექმნა კოსმოსური ობიექტები. ამ მხრივ, წარმატებულ სახელმწიფოთა ჩამონათვალში საქართველოც არის. 1999 წლის 23 ივლისს ორბიტაზე გატანილ იქნა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – "რეფლექტორი" (ნახ. 10), რომელიც რუსი და ფრანგი კოსმონავტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სრულმასშტაბიანი გამოცდის შემდეგ 28 ივლისს ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურ "Мир"-ს და გადავიდა დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე.

ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი დედამიწის თანამგზავრულ ორბიტაზე



ნახ. 10

კოსმოსური ობიექტებისა და სხვა კოსმოსური ტექნიკის შექმნის წინაშე მრავალი ზოგადი და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა ისახება. ზოგად ამოცანებს შორის უმთავრესია სამი მოთხოვნის დაკმაყოფილება – კოსმოსში გადაადგილების აუცილებელი სიჩქარის მიღწევა, გადაადგილების ენერგორესურსით დაკმაყოფილება და ტექნიკისა და კოსმონავტების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება კოსმოსური ობიექტების დედამიწიდან გატანის, მათი კოსმოსურ სივრცეში განთავსების, მანევრის, გადაადგილების, ორიენტაციისა და სტაბილიზაციის და ინფორმაციის მიღება-გადაცემის საშუალებების შექმნას.

აღსანიშნავია, რომ კოსმოსის ათვისება უმთავრესად დედამიწიდან კოსმოსში გადაადგილების სიჩქარის მიღწევით გახდა შესაძლებელი. ცნობილია, რომ დედამიწიდან, სხვადასხვა დაშორების კოსმოსურ სივრცეებში, კოსმოსური ობიექტის გასაყვანად აუცილებელია მას მიენიჭოს პირველი, მეორე და მესამე კოსმოსური სიჩქარეები შესაბამისი სიდიდეებით – დაახლოებით 7,91; 11,19 და 16,67 კილომეტრი წამში, რომლებიც რიგითობის მიხედვით აუცილებელია ჯერ დედამიწის, ხოლო შემდეგ სხვა პლანეტებისა და მზის სისტემის მიზიდულობის დასაძლევად.

სწორედ კოსმოსურ სივრცეში კოსმოსური ობიექტების გადაადგილებას უკავშირდება ტერმინი “კოსმონავტიკა”, რომლის სანაცვლოდ ზოგიერთ სახელმწიფოებში გამოიყენება ტერმინი “ასტრონავტიკაც”.

კოსმონავტიკა, თანამედროვე გაგებით, წარმოადგენს ერთიან სამეცნიერო-ტექნიკურ დარგს, რომელიც მოიცავს კოსმოსის შესწავლისა და ათვისების თეორიასა და პრაქტიკას, მათ შორის – კოსმოსური ობიექტების შექმნას; კოსმოსურ სიფრცეში მათ გაფრენას, ფუნქციონირებას და ენერგოუზრუნველყოფას; ტექნიკისა და კოსმონავტების უსაფრთხოებას და სიცოცხლისუნარიანობის პირობის შექმნას; კოსმოსური საშუალებების გამოყენებას სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნებისათვის და სხვა მრავალ მიმართულებებს.

კოსმონავტიკის რეალური განვითარების საფუძველია კოსმოსური ტექნიკა, რომლის დაპროექტება, დამზადება და ამოქმედება მრავალი დარგის მიღწევებზეა დამოკიდებული.

ამ მხრივ, კოსმოსური ტექნიკა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად – რაკეტამატარებლებად და კოსმოსურ აპარატებად.

რაკეტამატარებლები წარმოადგენენ მრავალსაფეხურიან ბალისტიკურ რაკეტებს (ნახ.11), რომელთა დანიშნულებაა კოსმოსში კოსმოსური აპარატების გაყვანა.

ნახ. 11

კოსმოსური აპარატი არის საერთო სახელწოდება კოსმოსური ან საჰაერო-კოსმოსური საფრენი ტექნიკისა, რომლებიც ავტომატურ ან პილოტირებად რეჟიმში გამიზნულია სხვადასხვა დაშორების კოსმოსურ სივრცეში სამეცნიერო ან გამოყენებითი ამოცანების გადასაწყვეტად.

კოსმოსური აპარატების უკვე შექმნილი სახეობებია ავტომატური პლანეტათშორისო სადგურები (ნახ.12), დედამიწისა და სხვა პლანეტების ხელოვნური თანამგზავრები, ორბიტალური სადგურები (ნახ.13), ორბიტათშორისო ბუქსირები, ასევე სატრანსპორტო და კოსმოსური ხომალდები.



ნახ. 12

ნახ. 13

კოსმოსურ ხომალდებს უწოდებენ პილოტირებად კოსმოსურ აპარატებს, რომლებსაც გააჩნიათ ჰერმეტული კაბინები და კოსმონავტების სიცოცხლის უზრუნველყოფის ყველა საშუალება და პირობა (ნახ.14).



ნახ. 14

იმ შემთხვევაში, როდესაც კოსმოსური ხომალდები გადააადგილებენ არა კოსმონავტებს, არამედ სხვა ეგრეთ წოდებულ "სასარგებლო ტვირთს", როგორც წესი, მათ სატრანსპორტო კოსმოსურ ხომალდს უწოდებენ (ნახ.15).



ნახ. 15

კოსმოსური ხომალდები არის როგორც ერთჯერადი, ასევე მრავალჯერადი გამოყენების. კოსმოსური ხომალდების, მათ შორის მრავალჯერადი გამოყენებისას, რომლებსაც ატმოსფეროს გავლა უწევთ, ასევე ეწოდებათ საჰაერო-კოსმოსური ხომალდები (ნახ.16).



ნახ. 16

ზოგადად, კოსმოსური აპარატების ნაირსახეობათა შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით ნახ. 17-ზე.



ნახ. 17

კოსმონავტიკის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა ხორციელდება კონკრეტული სამეცნიერო, სამოქალაქო თუ სამხედრო დანიშნულების კოსმოსური კომპლექსების მეშვეობით, რომელიც შედგება შეთანხმებულად მომუშავე კოსმოსური კომპლექსებისაგან. თავისთავად კოსმოსური კომპლექსები წარმოადგენენ ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ ორბიტალურ და დედამიწისეულ მოძრავ და უძრავ ტექნიკურ საშუალებებს.

მოცემულ ეტაპზე, კოსმოსური სისტემები იყოფა საინფორმაციო-ტექნიკურ, სატრანსპორტო-ტექნიკურ და სამხედრო-საბრძოლო ჯგუფებად, რომლებსაც რიგ შემთხვევებში ერთი და იგივე თვისებების მქონე კოსმოსური კომპლექსები გააჩნიათ.

სამივე სახის, განსაკუთრებით კი საინფორმაციო-ტექნიკური და სამხედრო-საბრძოლო კოსმოსური სისტემებისათვის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ორბიტული და ასევე დედამიწისეული რადიოტექნიკური კომპლექსები. მათი უმთავრესი ინსტრუმენტია რეფლექტორული ანტენები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ელექტრომაგნიტური ტალღების ნაკადის კონცენტრაცია, მიმართვა კონკრეტული რეგიონებისა და ობიექტებისადმი და მიღება-გადაცემა.

საკუთრივ რეფლექტორული ანტენა, უმეტეს შემთხვევებში, წარმოადგენს პარაბოლოიდური ფორმის, ელექტრომაგნიტური ტალღების არეკლის უნარის მქონე ზედაპირს-ეკრანს, რომელზე დაცემული და შემდგომ არეკლილი ელექტრომაგნიტური ტალღები, ერთ შემთხვევაში, იკრიბება ფოკალურ სიბრტყეში განთავსებულ მიმღებში – ფოკალურ კონტეინერში (ნახ. 18).



ნახ. 18

ასეთ რეფლექტორულ ანტენებს, რომლებიც ელექტრომაგნიტური ტალღების – სიგნალის მიღებაზე მუშაობს, მიმღები ანტენები ეწოდებათ. მათ ასევე უწოდებენ პასიურ ანტენებს.

მეორე შემთხვევაში, რეფლექტორული ანტენის ასევე ფოკალურ სიბრტყეში განთავსებული გამომსხივებლიდან, გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ტალღები

პარაბოლოიდური ფორმის ეკრანიდან აირეკლება და მახვილად მიმართული ნაკადის სახით ვრცელდება განსაზღვრული ორიენტაციით (ნახ.19).



ნახ. 19

ნახ. 19-ზე წარმოდგენილი სქემით მომუშავე რეფლექტორულ ანტენებს გადამცემი ანტენები ეწოდებათ.

თანამედროვე ორბიტულ რადიოტექნიკურ კომპლექსებში, სულ უფრო ხშირად, გამოიყენება ელექტრომაგნიტური ტალღების მიღებისა და გადაცემის რეჟიმით ერთდროულად მომუშავე რეფლექტორული ანტენები. მათ აქტიურ ანტენებსაც უწოდებენ (ნახ. 20).



ნახ. 20

იმის გამო, რომ რეფლექტორულ ანტენებში ტალღების არეკვლის პრინციპი მეტწილად თითქმის ანალოგიურია ჩაზნექილი სარკის ოპტიკური თვისებებისა, ხშირად მათ სარკისებრი რადიოტელესკოპის სახელით მოიხსენიებენ.

იმისათვის, რომ რეფლექტორული ანტენა იყოს მაღალი მგრძნობიარობის, ანუ შეძლოს შორ მანძილზე საძიებო ობიექტის აღმოჩენა, მისი კოორდინატების განსაზღვრა და გააჩნდეს თვისებები ელექტრომაგნიტური ტალღების დიდი მოცულობით და დროის უმცირეს შუალედში მაღალი ხარისხითა და დიდი ენერგიით მიღება-გადაცემისა, მისი ეკრანი უნდა იყოს ძალიან ზუსტი გეომეტრიული ფორმის, დიდი ზომის, ნაკლებად დეფორმირებადი და რადიოტალღების არეკვლის მაღალი თვისებების მქონე.

კოსმოსურ ტექნიკაში და ზოგადადაც, რეფლექტორულ ანტენებს ძირითადად გამოიყენებენ ზემაღალი სიხშირის რადიოტალღების მიღება-გადაცემისათვის. ეს ისეთი ელექტრომაგნიტური ტალღებია, რომელთა ტალღის სიგრძე სანტიმეტრობით და მილიმეტრობით იზომება. ასეთი ტალღების მიღება-გადაცემისათვის ძალიან დიდი ზომის, თითქმის ათსართულიანი სახლის სიმაღლის ტოლი დიამეტრის, რეფლექტორის რეალური ზედაპირის გადახრა, საპროექტო ზედაპირის პარამეტრებთან შედარებით, მილიმეტრების ფარგლებშია დასაშვები.

ასეთი რეფლექტორების შექმნა ძალიან რთული ტექნიკური და ტექნოლოგიური ამოცანაა არათუ კოსმოსში, არამედ დედამიწაზეც კი. რეფლექტორებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება დედამიწაზე ასევე გაძნელებულია რეფლექტორზე გრავიტაციული ძალების, ქარის, თოვლის, წვიმისა და ტემპერატურული ზემოქმედების გამო.

კოსმოსურ სივრცეში განხილული ამოცანის გადაწყვეტის ხელისშემშლელი პირობები კიდევ უფრო რთულია.

ერთი მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ სამ-ოთხ მეტრზე მეტი გაბარიტის მქონე რეფლექტორის კონსტრუქცია, როგორც წესი, ვერ თავსდება კოსმოსურ სატრანსპორტო ხომალდშიც კი, რაც გამორიცხავს დიდი ზომის რეფლექტორის დაუკეცავად ან დაუნაწევრებლად გატანას კოსმოსში. ეს კი, დამატებით, მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის, როგორც კონსტრუქციის შექმნის, ასევე, ექსტრემალურ პირობებში – კოსმოსში, მისი გაშლის ან აწყობის დროს.

მეორე მხრივ, კოსმოსში რეფლექტორის კონსტრუქცია, მონაცვლეობით – ძალიან ცხელდება და ძალიან ცივდება. ისე რომ, ტემპერატურათა სხვაობა, უმეტეს შემთხვევებში, 300 ჩ-საც კი აჭარბებს. ასევე დიდია რადიაციის ზემოქმედებისა და სხვა ფაქტორების მნიშვნელობა. ყოველი მათგანი, კონსტრუქციების შექმნისას, კიდევ უფრო მკაცრ მოთხოვნებს განაპირობებს.

სწორედ ამიტომ, ხანგრძლივი დროს განმავლობაში მრავალი ქვეყნის სპეციალისტებმა ვერ შეძლეს, შეექმნათ და კოსმოსურ სივრცეში წარმატებით

გამოეცადად დიდი ზომის ხისტი და ზუსტი გეომეტრიული ფორმის რეფლექტორული ანტენა.

ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნით და ორბიტულ სადგურ "მირ"-ზე მისი წარმატებული გამოცდით პრინციპულად დაძლეული იქნა აღნიშნული სიძნელეები.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნას წინ უსწრებდა ქართული სამეცნიერო-ტექნიკური სკოლის სამუშაოები, ჯერ სამხედრო-სტრატეგიულ პროგრამებში, რისთვისაც საქართველოში, მცხეთის რაიონში, არაგვის ველზე, სოფელ საგურამოსთან და ბორჯომის მთიან ზონაში, ცემის მახლობლად, შეიქმნა კოსმოსური და დედამიწისეული სამხედრო-საინჟინრო სისტემების აგებისა და გამოცდების მსოფლიოში უნიკალური სასტენდო კომპლექსები (ნახ.21) და ბაზა (ნახ. 22).



ნახ. 21

ნახ. 22

უნიკალური სასტენდო კომპლექსი შედგება მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰიდროაუზისაგან, სადაც ტივტივის პირობებით ხდება კოსმოსური უწონობის "ჰიდროიმიტაცია"; ორბიტული კონსტრუქციების გაშლის დიდი სტენდისაგან,

რომლის შიდა სივრცის ზომებია 40მ ხ 40მ ხ 40 მეტრი; პრეციზიული სტენდისაგან, რომლის 1 200 მ2 ლითონის ბლოკებით აგებული იატაკი 1 მმ-ის სიზუსტით რეგულირდება და დედამიწის პირობებში კოსმოსური, დიდი რეფლექტორების, ვარსკვლავების საშუალებით ტესტირების მბრუნავი სტენდისაგან, რომლის მსგავსი არცერთ ქვეყანას არ გააჩნია.

შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნაში მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალი თაობის რეფლექტორების კონსტრუირების ერთობლივი წარმატებული სამუშაოები ცნობილ გერმანულ კომპანიასთან "დაიმლერ-ბენც აეროსპეის"-თან. ამასთან დაკავშირებით გერმანული პრესაც კი აღნიშნავდა ქართველების პოტენციალს. უფრო მეტიც, გერმანელებმა სარეკლამო ბარათიც მოამზადეს (ნახ.23), სადაც განმარტებულია, რომ: საქართველოსთან ერთად მათ შეუძლიათ შექმნან დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორები.

Pressefoto/Photo
Nr. 51144

Daimler-Benz Aerospace
Dornier
Dornier Satellitensysteme GmbH

Abdruck honorarfrei
Publication free of charge

Urhebervermerk/copyright
Dornier Satellitensysteme GmbH

Dornier Satellitensysteme GmbH
Presse und Öffentlichkeitsarbeit
88039 Friedrichshafen
Telefon (0 75 45) 8-91 22/91 23
Telefax (0 75 45) 8-55 89

Belegexemplar erbeten an
Please send a reference copy to

Titel/Title
Die Möglichkeiten einer Zusammenarbeit bei großen, entfaltbaren Satellitenantennen untersucht jetzt die zum Daimler-Benz Aerospace Konzern gehörende Dornier Satellitensysteme GmbH (DSS, Friedrichshafen) zusammen mit Partnern in Georgien.

Dornier Satellitensysteme GmbH (DSS, Friedrichshafen), a unit of the Daimler-Benz Aerospace Group, is investigating the possibilities of a cooperation with partners in Georgia in the field of large extendable satellite antennas.

ნახ. 23

განსაკუთრებულ მიღწევად არის მიჩნეული ის, რომ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნის პრინციპები, იტალიური კომპანია "ალენია სპაციოს" წინადადებით, საფუძვლად დაედო ევროპული კოსმოსური სააგენტოს ახალ პროგრამას, რომელშიც მონაწილეობენ იტალიის, საქართველოს, ავსტრიის, რუსეთის, შვეიცარიისა და ესპანეთის სპეციალისტები.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა საშუალებას იძლევა კოსმოსური კომპლექსებით, მაღალეფექტიანად, გადაწყდეს – მოძრავ და უძრავ ობიექტებთან კავშირის, სანავიგაციო, მეტეოროლოგიური, ბუნებრივი რესურსების დადგენის, ტვირთებისა და ტრანსპორტის გადაადგილების მონიტორინგის, ნავთობგაზსადენების უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის კონტროლის, საძიებო-სამაშველო სამუშაოების, ინტერნეტის, ტელემედიცინის, ტელესწავლების, ასტრონომიული კვლევების, გეოგრაფიული, გეოდეზიური, ტელე-რადიო-მაუწყებლობის, გარემოს დაცვისა და სხვა მრავალი ინფორმატიკული ამოცანა.

ქართული კოსმოსური "რეფლექტორი" ასევე წარმოადგენს უმთავრეს ინსტრუმენტს საბრძოლო თანამგზავრებისა, რომლებიც სამხედრო-კოსმოსური კომპლექსების შემადგენლობაში მაღალი ეფექტურობით უზრუნველყოფენ წყალში, ხმელეთზე, ჰაერში და კოსმოსში სამიზნეების, მათ შორის, ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეულ აღმოჩენას, წყალქვეშა ნავების გადაადგილების კოორდინატების განსაზღვრას, ასევე სხვა სადაზვერვო, ობიექტების თანხლებისა და შეიარაღების კომპლექსების მართვას.

პრაქტიკულად, ქართული კოსმოსური რეფლექტორის კონსტრუქცია შესაძლებლობას იძლევა, უშუალოდ იყოს მიმაგრებული სერიულ თანამგზავრებზე და ორბიტიდან განახორციელოს (ნახ.24) საინფორმაციო-ტექნიკური და საბრძოლო კომპლექსის ფუნქციები.



ნახ. 24

ამასთან, ქართული კოსმოსური რეფლექტორის განსაკუთრებული კონსტრუქციული ფორმები – მისი სიხისტე, მზიდი რგოლის არსებობა და თითქმის 30 მეტრამდე დიამეტრის ანტენის შექმნის შესაძლებლობები, განაპირობებენ მათ ბაზაზე ავტონომიური რადიოტექნიკური საბრძოლო და საინფორმაციო ახალი თაობის თანამგზავრების შექმნას სრულიად განსაკუთრებული პრინციპით და სქემით (ნახ.25).

ნახ. 25

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კონსტრუქცია, დაკეცილი კოსმოსური სატრანსპორტო პაკეტის სახით (ნახ. 26) განთავსებულ იქნა კოსმოსურ ხომალდ "პროგრეს – - 42"-ზე, რომელიც კოსმოსდრომ "ბაიკანურ"-იდან 1999 წლის 16 ივლისს, "ღამის სტარტით" ორბიტაზე გაიყვანა რაკეტამატარებელმა "სოიუზ თ. -22"-მა. კოსმოსური ხომალდი "პროგრეს – -42"-ი ორბიტულ სადგურ "მირ"-ს შეუპირაპირდა 1999 წლის 18 ივლისს და კოსმონავტებთან – სერგეი ავდეევთან, ვიქტორ აფანასიევთან და ჟან-პიერ ენორიესთან მიიტანა "სასარგებლო ტვირთი" – ქართული რეფლექტორის დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტი და ვიდეოფილმი მისი მონტაჟისა და გაშლის შესახებ. აღსანიშნავია, რომ, ჯერ კიდევ, დედამიწაზე კოსმონავტებმა "ვარსკვლავთქალაქის" ჰიდროაუზში, სადაც წყალში ჩაძირულ სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალით მიიღწევა უწონობის ეფექტი – ჰიდროუწონობა, რეფლექტორის მაკეტის გამოყენებით, გაიარეს სწავლება მისი სადგურ "მირ"-ზე დამონტაჟებისა და გაშლის პროცესების მომზადებისა (ნახ. 27).

ნახ. 26



ნახ. 27

23 ივლისს რუსულ-ქართული ერთობლივი პროგრამით, რუსი და ფრანგი კოსმონავტების მიერ დაიწყო ქართული რეფლექტორის ჯერ დამონტაჟება სპეციალურ კონსტრუქციაზე “სოფორა”-ზე, რომლის საბაზო ნაწილი 80-იან წლებში საქართველოში დამზადდა (ნახ. 28), ხოლო შემდეგ მისი გაშლა.



ნახ. 28

გაშლის დროს 23 ივლისს მოხდა დაგეგმილი საშტატო ვითარებიდან გადახრა, ანუ არასაშტატო კოსმოსური ვითარების შექმნა. მიზეზი უმნიშვნელო იყო: რთულ პირობებში, ღია კოსმოსურ სივრცეში მყოფმა კოსმონავტებმა, რეფლექტორის ძრავების ელექტროსადენი, ნაცვლად 27 ვოლტის ძაბვის მქონე ბუდისა, ჩართეს გვერდით ბუდეში, სადაც ძაბვა 7 ვოლტი იყო. მიუხედავად ამისა, კონსტრუქციამ, რომელიც მრავალ შესაძლო სიძნელის გათვალისწინებით და სათანადო პირობებში საიმედო მუშაობის უნარის შენარჩუნების პრინციპით იყო დამზადებული, მაინც დაიწყო გაშლა, ოღონდ შენელებული რეჟიმით. 23 ივლისს რეფლექტორის გაშლის სიდიდემ მისი ზომის 40-45%-ს მიაღწია.

ექსპერიმენტი გაგრძელდა 28 ივლისს. მანამდე მთელი 5 დღე-ღამის განმავლობაში კონსტრუქცია იმყოფებოდა ღია კოსმოსურ სივრცეში, რაც კონსტრუქციის გაშლის გაგრძელებისათვის ზედმეტად მკაცრი გამოცდის პირობად ითვლება. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა მთელი მსოფლიოს სპეციალისტების ინტერესი ექსტრემალური ექსპერიმენტისადმი.

28 ივლისს კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრიდან მრავალი ჟურნალისტი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გადასცემდა პირდაპირ რეპორტაჟს იმის შესახებ თუ რა ხდებოდა კოსმოსურ ორბიტაზე, სადაც ქართულ რეფლექტორს უნდა ეჩვენებინა ის შედეგი, რომელიც მანამდე, თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო.

ექსპერიმენტი განახლდა და ამ დროს კოსმონავტმა აღმოაჩინა, რომ ჩართვა არასწორი იყო, საკმარისი იყო ელექტროკვება გადართულიყო 27

ვოლტზე, რომ ყველაფერი საშტატო რეჟიმში ჩადგა – ქართულმა რეფლექტორმა გამოაჩინა ყველა ის თვისება, რომელიც მანამდე მიუღწევლად იყო მიჩნეული. იგი გაიშალა და მიიღო საპროექტო ფორმა (ნახ. 29).

ნახ. 29

მისი პარამეტრები - მაქსიმალური გაბარიტი - 6,4 მ; სიზუსტე - 0,5 მმ; სიხისტე; რხევის სიხშირე, ეკრანის დაჭიმულობის ხარისხი და სხვა მრავალი, უდავოდ აჭარბებდა არა მარტო სხვა არსებული ანალოგების მაჩვენებლებს, არამედ იმ მოთხოვნასაც, რასაც ქართულ რეფლექტორისაგან მოელოდა მსოფლიოს მრავალი სპეციალისტი.

გამარჯვების, რეფლექტორის წარმატებული გამოცდისა და სილამაზის ეფექტის განცდებს ვერც კოსმონავტები მალავდნენ და ვერც მკვლევარები. ცისფერ ეკრანზე მრავალი ქვეყნის ტელემაყურებლები ხედავდნენ ქართველების გამარჯვებას კოსმოსში. ამ მომენტში, საქართველოს ისტორიის მატიანეში ოქროს ასოებით იწერებოდა დიდი გამარჯვება.

28 ივლისს, არა მარტო მსოფლიოს მრავალი სპეციალისტის წინაშე, არამედ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი, მეტსახელად “КРАСАВЧИК”-ად მონათლული, ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ჩამოსცილდა ორბიტალურ სადგურ “მირ”-ს და გადავიდა დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე - იგი ასევე გახდა ისტორიაში დედამიწის პირველი ქართული კოსმოსური თანამგზავრული სისტემა (ნახ. 30).



ნახ. 30

ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა, მისი წარმატებული გამოცდა და საერთაშორისო აღიარება, ასევე არის აღმნიშვნელი კოსმოსური ტექნიკის დარგში ქართული სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური სკოლის მიღწევებისა, ურომლისწდაც შეუძლებელია მნიშვნელოვანი შედეგის მიღება ნებისმიერ სფეროში, მით უმეტეს – კოსმონავტიკაში.

ფუნდამენტური სამეცნიერო შრომა – ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების თეორია, გამოგონებები და პროექტები, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში; და კოსმოსური დიდგაბარიტიანი კონსტრუქციების აგებისა და გამოცდის კომპლექსი – იყო და არის საწინდარი მნიშვნელოვან კოსმოსურ პროგრამებში საქართველოს წარმატებული მონაწილეობისა. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მრავალი კოსმოსური კონსტრუქციის დამზადების შესაძლებლობები გააჩნია თბილისის სააქციო გაერთიანებას "თბილავიამშენს", სადაც დამზადდა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი. (ნახ.31).

ნახ. 31

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში სამხედრო-კოსმოსური და საინფორმაციო-ტექნიკური კომპლექსებისათვის შეიქმნა არა მარტო ორბიტული ტექნიკა, არამედ აღნიშნული კომპლექსების უმთავრესი მიწისზედა ინსტრუმენტი – დიდი ზომის გასაშლელი, ტრანსპორტირებადი, მაღალი სიზუსტის რადიოტელესკოპი (ნახ.32), რომლის დანიშნულება, ერთ შემთხვევაში, იყო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის რადიოტექნიკურ-საინჟინრო უზრუნველყოფა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ექსტრემალურ პირობებში, უმოკლეს ვადებში კავშირის აღდგენა ორბიტალური სტრატეგიული სამხედრო კომპლექსებთან (ნახ.33).

ნახ. 32



ნახ. 33

ქართველების წარმატება კოსმოსური ტექნიკის შექმნაში აღიარებულ იქნა მსოფლიოს მრავალი ექსპერტისა და სპეციალისტის მიერ, ევროპული კოსმოსური სააგენტოს ოფიციალურ დოკუმენტებში, მრავალ საერთაშორისო კონფერენციებზე და სამეცნიერო ლიტერატურაში, მათ შორის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და სერგეი კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის "ენერგია"-ს ფუნდამენტურ გამოცემაში, სადაც პირველი ქართული კოსმოსური ობიექტით ჩატარებული პროგრამა "რეფლექტორი" მოხსენიებულია – ... "მსოფლიო კოსმონავტიკის პრიორიტეტულ მიღწევად", რომელმაც "... დასაბამი მისცა სამუშაოთა ახალ მიმართულებას დიდი ზომის ანტენების (რეფლექტორების) შექმნაში". მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გატანისა და გაშლის თარიღები შეტანილია კოსმონავტიკის "მოვლენათა ძირითადი ქრონიკის" ჩამონათვალში.

ამდენად, ისტორიაში პირველი კოსმოსური ობიექტი და მისი ორბიტაზე გატანის აღნიშვნის დღე, 23 ივლისი, სიმბოლურად, არის გამოხატულება საქართველოს წარმატებული წარმოჩენისა მსოფლიოს ინტელექტუალურ არენაზე, რასაც ერისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს, და რასაც სპეციალური საფოსტო მარკების გამოცემაც კი მიეძღვნა (ნახ. 34).

ნახ. 34

XXI საუკუნეს საქართველო არა მარტო დედამიწაზე შეეგება, არამედ მას კოსმოსში მიეგება ქართველების ნიჭის, შრომისა და გამარჯვების სიმბოლო – ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.

სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების როლი თანამედროვე სამხედრო ხელოვნების კონცეფციაში საჰაერო-კოსმოსური ვითარების უზრუნველყოფისათვის

საომარი მოქმედების თეატრის მომზადება ურთულესი სახელმწიფოებრივი სისტემაა იმ განსაკუთრებული ღონისძიებებისა, რომლებიც ხანგრძლივ პერიოდს, დიდი მოცულობის ფინანსურ, მატერიალურ და საკადრო რესურსებს მოითხოვს და რაც მთავარია, საჭიროებს ორგანიზაციულ, ტექნიკურ და საინჟინრო უზრუნველყოფას, მეცნიერებათტევადი და მაღალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით [16]; [17].

ეს მოთხოვნები ასევე შეეხება საომარი მოქმედების თეატრზე მდებარე ცალკე სახელმ

წიფოს ტერიტორიას.

იქიდან გამომდინარე, რომ საომარი მოქმედების თეატრი წარმოადგენს არა მარტო კონტინენტის სახმელეთო ნაწილს და მასთან მიმდებარე ზღვებსა და ოკეანეებს თავისი კუნძულებით, არამედ მისი საზღვრების შესაბამის საჰაერო და კოსმოსურ არეალსაც, მისი სამხედრო-საინჟინრო აღჭურვის სტრუქტურა, ფუნქციონირების ეფექტის გაზრდისათვის უნდა გავრცელდეს მთელს სივრცეში.

სრულიად არასწორია სამეცნიერო თუ პრაქტიკული მიდგომები, როცა საომარი მოქმედებების თეატრის ან მისი შემადგენელი სახელმწიფოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების, თუნდაც კონცეპტუალურ მიმართულებებში, უმეტესწილად ხმელეთის ან, უკეთეს შემთხვევაში, ასევე აკვატორიის სამხედრო-საინჟინრო მომზადების სპექტრია განხილული. ეს მაშინ, როდესაც XX საუკუნის ადრეულ პერიოდებშიც კი პრაქტიკამ დაადასტურა საჰაერო სივრცის საინჟინრო აღჭურვის რეალური მნიშვნელობა, რისი მაგალითია დიდი ზომის ბურთებით და დირიჟაბლებით საჰაერო სივრცეში საჰაერო თავდაცვისათვის წინააღმდეგობის შექმნა.

არ იქნებოდა მართებული, თუ ქართული სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების სამეცნიერო-ტექნიკური კვლევები და მიღწევები მხოლოდ იმ ამოცანებს რომ შეეხებოდა, რომლებსაც საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნები და საქართველოს სამხედრო მუქარებისა და საფრთხეების ხასიათი და შინაარსი განაპირობებენ. ასეთი მიდგომით ქართული სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება, როგორც სამხედრო მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, თავის ნაჭუჭში გამოიკეტებოდა და იქნებოდა, შეზღუდული ერთიან სამხედრო-სამეცნიერო და სამხედრო-ტექნიკურ სივრცეში.

ქართულმა სამხედრო-საინჟინრო ხელოვნებამ, ქვეყანაში არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის სრული რესურსით უნდა მოიცვას ის პრიორიტეტული მიმართულებებიც, რომლებიც შეიარაღებული ბრძოლების პერსპექტივებს შეეხება.

ამ მხრივ, განსაკუთრებული და თვისებრივად ახლებური მოთხოვნები დგება სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების იმ მიმართულებაზე, რომელიც უნდა განვითარდეს ორბიტული საიარაღო კომპლექსების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მხრივ. აღნიშნული დარგის განვითარება მეტნაკლებად 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, უკვე ფრაგმენტალურ ხასიათს იძენს, მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისშივე ერაყის ომის მაგალითმა პრაქტიკულად წარმოაჩინა უკონტაქტო ომების გარდაუვალობა და, ამ მხრივ, კოსმოსური შეიარაღების განსაკუთრებული როლის მნიშვნელიბა, თუმცა სამხედრო-საინჟინრო კოსმოსური ხელოვნების საგანგებო მოთხოვნები უკვე განიხილებოდა ცნობილ კონცეფციებში "ვარსკვლავური ომის" შესახებ, სადაც დიდი ზომის ორბიტული კონცენტრატორები, ეკრანები, ტექნოლოგიური მოედნები, იალქნები და სხვა ნაგებობები უმთავრეს ენერგეტიკულ, საინფორმაციო და საიარაღო კომპლექსებს წარმოადგენენ ერთიან კოსმოსურ საიარაღო სისტემებში.

როდესაც საკითხი მაღალტექნოლოგიურ დედამიწისეულ და კოსმოსურ საინჟინრო კომპლექსებს შეეხება, არეალების და პოზიციების სამხედრო-საინჟინრო აღჭურვის საშუალებათა, ომისთვის ტერიტორიის მომზადების ობიექტების და სამხედრო-საინჟინრო შეიარაღებისა, ტექნიკის და საერთოდ ჯარებისა და ძალების საინჟინრო უზრუნველყოფის მრავალფუნქციური სპექტრის კლასიფიცირება იძლევა საშუალებას ტერიტორიის ომისთვის მომზადების სამხედრო-საინჟინრო სისტემების შემდეგი სისტემატიზაციისა:

1. პასიური სისტემები – რომლებიც მათთან შეხების და მათი, საკუთარი ძალების ან მოწინააღმდეგე ძალების მიზნობრივი გამოყენების გარეშე, არავითარ საწინააღმდეგო ან თანმხვედრ ზემოქმედებას არ იწვევს. მათ რიცხვს მიეკუთვნება: აეროდრომების ქსელი; სამხედრო-საზღვაო ბაზების და ნავსადგურების საინჟინრო კომპლექსები; მილგაყვანილობები, რკინიგზა, ავტოგზა, ხიდები; გვირაბები და სხვა მიწისზედა, საზღვაო და მიწისქვეშა ნაგებობები, არაფეთქებადი ღობურები, შენიღბვის საშუალებები, დირიჟაბლები, საჰაერო ბურთები და სხვა ანალოგიური ობიექტები.

2. აქტიური კონტაქტიანი სისტემები – რომლებთან შეხება ან მათზე ზემოქმედება იწვევს საიარაღო და საცეცხლე ზემოქმედებას, მათ მიეკუთვნება: საინჟინრო

შეიარაღება; დანაღმული ობიექტები და ველები; კომბინირებული და ფეთქებადი ღობეები, საბრძოლო მასალების საწყობები და სხვა ობიექტები;

3. აქტიური უკონტაქტო სისტემები – რომლებიც არა მისი განთავსების ადგილას, არამედ დისტანციაზე განაპირობებენ ან უზრუნველყოფენ საიარაღო ზემოქმედებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება: სარაკეტო ბაზები და სასტარტო პოზიციები; რაკეტსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის სტაციონარული და ტრანსპორტირებადი სახმელეთო-საინჟინრო კომპლექსები; მართვის ცენტრების და კავშირის კვანძების სტაციონარული და მობილური საინჟინრო კომპლექსები; კოსმოსური სტრატეგიული შეიარაღების მრავალფუნქციური ორბიტული და დედამიწისეული სამხედრო-საინჟინრო კომპლექსები და სხვა.

ასეთი სისტემატიზაციის შემოღება, პრინციპულად ცვლის ფუნქციონალური პასუხისმგებლობის სპექტრს სამხედრო-საინჟინრო დარგში, რომლის კომპეტენცია მოცემულ ეტაპზე ფორმალურად ნაკლებად ვრცელდება ბევრ ჩამოთვლილ მიმართულებაზე, რომელთა საკვალიფიკაციო სპეციალობების, პროფესიონალური საბაზო, საგანმანათლებლო პროგრამები მთლიანად მოიცავენ საინჟინრო საფუძვლებს. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება განხილული პასიური, აქტიური, უკონტაქტო და აქტიურ კონტაქტიანი სისტემები, რომლებიც მთლიანობაში მოიცავენ საომარი მოქმედებების თეატრს, მისი ტერიტორიის, აკვატორიის, ჰაერისა და კოსმოსური სივრცის ომისათვის საინჟინრო მომზადების მთელ დიაპაზონს.

XX საუკუნის ბოლოს და მით უმეტეს XXI საუკუნეში სრულიად ახალი სიტუაცია იქმნება სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების პერსპექტივებისა და განვრცობის მხრივ. მრავალი ტრადიციული და სრულიად ახალი სამხედრო ამოცანების გადაწყვეტისათვის, აუცილებელი ხდება კოსმოსურ სივრცეში და ორბიტაზე საინჟინრო სისტემების განთავსება და მათი ახალი თაობების შექმნა.

მაღალი სიზუსტის იარაღი, რომელთა დამიზნების ადგილზე ან ობიექტამდე მიმტანი უმეტეს შემთხვევაში საჰაერო და საზღვაო მატარებლები არიან, მათი განადგურებისათვის მოითხოვენ ასევე მაღალი თავდაცვის საიარაღო სისტემების შექმნას. მოცემულ ეტაპზე, მიუხედავად გამოჯვნის საზღვრების ნაწილობრივი წაშლისა, მაღალი სიზუსტის იარაღის საწინააღმდეგოდ კლასიფიცირდება საჰაერო თავდაცვის სისტემები და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები. მათი შემადგენელი საინფორმაციო და საიარაღო კომპლექსები თავისი გავრცელების არეალით მოიცავენ ხმელეთს, წყალს, ჰაერს და კოსმოსს.

საჰაერო თავდაცვის და რაკეტსაწინააღმდეგო საიარაღო კომპლექსების ფუნქციონალური დაახლოება და საჰაერო და სარაკეტო იარაღის ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრების ურთიერთშეთავსების ტენდენციები, სამხედრო ხელოვნების წინაშე აყენებს საკითხს საჰაერო თავდაცვის და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების თავდაცვის ერთიან სისტემად გადაქცევის შესახებ. ასეთი მიდგომა არ წარმოშობს განსხვავებას მათი საიარაღო კომპლექსების განთავსების სქემებში და კვლავ ძალაში დარჩება ხმელეთის, წყლის, ჰაერის და კოსმოსის არეალი.

რაც შეეხება საჰაერო თავდაცის და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სინთეზურ მოდელს, მასში, საიარაღო კომპლექსების არეალის შენარჩუნებისაგან განსხვავებით, პრინციპულად სხვა მიდგომებს დაეფუძნება დამიზნების და საინფორმაციო-საკონტროლო კომპლექსების განთავსების არეალის პრიორიტეტები, რომლებიც უპირატესობას კოსმოსურ სივრცეს მიანიჭებს.

ორბიტული საინფორმაციო-საკონტროლო და დამიზნების კომპლექსები ხდება, ის უნივერსალური ინსტრუმენტი, რომლის ფუნქციები არა მარტო საჰაერო თავდაცის და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს მოიცავს, არამედ კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდება ყველა სახის შეიარაღებაზე, ბრძოლებისა და ოპერაციების უზრუნველყოფაზე და ორიენტაციის უნივერსალურ მოწყობილობებზე.

საომარ მოქმედებათა თეატრის გლობალური სივრცის სამხედრო ფუნქციონირების ხასიათის და ხარისხის რცვლა და, შესაბამისად სტრატეგიულ მიმართულებებში საჰაერო კოსმოსური ოპერაციული მიმართულების პრიორიტეტებს ფართო სპექტრით წარმოჩენამ, მოითხოვა ცვლილებები სამხედრო ხელოვნების ყველა დონეზე და დონეთა შორის ურთიერთკავშირის კანონზომიერებებში.

აღნიშნული ფართო სპექტრის რეფორმირება ვრცელდება არა მარტო სტრატეგიულ, ოპერატიულ-სტრატეგიულ, ოპერატიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ საომარ და საბრძოლო მოქმედებებზე, ბრძოლებზე, კონკრეტულ ოპერაციებზე თუ კერძო სამხედრო აქტებზე, არამედ სამხედრო ორგანიზაციის მოდელის შექმნის მთელ იდეოლოგიაზე.

ამ მხრივ, პირველ რიგში შეიძლება განვიხილოთ ის, თუნდაც სქემატური განსხვავებები, რომლებიც არსებობს ძველ და ახალ ვარიანტებში პლანეტის გეოსტრატეგიულ დაყოფებში ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული სარდლობის პასუხისმგებლობის მიხედვით (ნახ. 35 და ნახ. 36). რა თქმა უნდა სტრატეგიულ ფუნქციათა აღნიშნულ გადაწყვეტას მრავალი არგუმენტ გააჩნია, რომელშიც სამხედრო-პოლიტიკური მოტივები და თანამედროვე ომებისა და სხვადასხვა ტიპის შეიარაღებული კონფლიქტების, ასევე ტერაქტების და დივერსიული ქმედებების ახლებური შეფასებები მეტად მნიშვნელოვანია.

რუსული გეოსტრატეგიული დაყოფა



1	ევროპის კონტინენტური სტრატეგიული რაიონი
2	ცენტრ. აზიის კონტინენტური სტრატეგიული რაიონი
3	აღმ. აზიის კონტინენტური სტრატეგიული რაიონი
4	ჩრდ. ამერიკის კონტინენტური სტრატეგიული რაიონი
5	აფრიკის კონტინენტური რაიონი
6	სამხრ. ამერიკის კონტინენტური რაიონი
7	ავსტრალიის კონტინენტური რაიონი
8	ატლანტიკის საოკეანო სტრატეგიული რაიონი
9	წყნარი ოკეანის სტრატეგიული რაიონი
10	ინდოეთის საოკეანო სტრატეგიული რაიონი
11	არქტიკის საოკეანო სტრატეგიული რაიონი

ნახ. 35


გეოსტრატეგიული დაყოფა აშშ-ს გაერთიანებული სარდლობის პასუხისმგებლობის მიხედვით (ძველი ვარიანტი)
Pacific Ocean
Atlantic C
Indian Ocean
გაერთიანებული სარდლობის პასუხისაგები გეოგრაფიული არეალი
გაუნაწილებელი ტერიტორიები
1 ევროპის (USECOM)
2 ატლანტიკის (USACOM)
3 წყნარი ოკეანის (USPACOM)
4 ცენტრალური (USCENTCOM)
5 ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის (USSOUTHCOM)

ნახ. 36

ამასთან, მისი ანალიზი წარმოაჩენს, სახელმწიფოს სარდლობის პასუხისმგებლობის მიხედვით პლანეტის სამხედრო უსაფრთხოების სივრცის გეოსტრატეგიული დაყოფის ტრანსფორმეციის სრულ შესაბამისობას ამერიკის შეერთებული შტატების ძალებისა და საშუალებების საჰაერო-კოსმოსურ დაჯგუფებასთან, ხოლო მის საფუძველზე – კოსმოსური ვითარების ახალ პოტენციალთან და მოთხოვნებთან.

ახალ ვარიანტში, უფრო გამოკვეთილია არეალების დაყოფის საზღვრის კონტურების ორთოგონალურობა, დედამიწის ეკვატორის ხაზთან მიახლოება და პარალელურობა და, ასევე მერიდიანთან პარალელურობაც, არსებული სქემით შექმნილი გეოსტრატეგიული არეალები გაცილებით უფრო კონტროლირებადი და ასახვადია კოსმოსური სამხედრო სისტემებისა და კომპლექსების მიერ, რომელთა მიღებულ ორბიტულ მდებარეობებს შეესაბამება მათი ოპტიმალური თავსებადობა ნახევარსფეროების მიმართ, სათანადო მერიდიანული და არა კონტინენტების კონტურების მიხედვით. ამ ფონზ კვლავ უცვლელი რჩება პლანეტის გეოსტრატეგიული დაყოფის (ნახ. 37) რუსული ვარიანტი.

საერთოდ სამხედრო პასუხისმგებლობის მიხედვით პლანეტის გეოსტრატეგიული დაყოფა მიმანიშნებელია სტრატეგიული ოპერაციების შესაძლო კონფიგურაციებზე, რომლებიც დიდწილად გათვლილია სწორედ სტრატეგიული შეიარაღების სისტემის და კომპლექსის და მათი გამოყენების სამხედრო ხელოვნების პოტენციალისა და პერსპექტივაზე, რომელთა შორის საჰაერო-კოსმოსური დაჯგუფების პრიორიტეტი დომინანტის პოზიციაზე გადადის.

საკითხი შეეხება ერთიანი ახალი სახის საჰაერო კოსმოსური თავდაცვის შექმნას, რომელშიც შეთავსებული იქნება მოწინააღმდეგის საიარაღო სისტემების ბლოკირების და განადგურების ფუნქცია, მოწინააღმდეგეზე საიარაღო ზემოქმედების ფუნქციებთან.

ასეთი მიდგომით ჩამოყალიბება მოხდება საერთო სახელმწიფოებრივი, ან სახელმწიფოთაშორისო საჰაერო-კოსმოსური სტრატეგიული სისტემისა, რომლითაც ფაქტობრივად შეიცვლება არა მარტო თანამედროვე ომის ხასიათი და შინაარსი, არამედ ომების წარმოების სამხედრო ხელოვნების ტრადიციული მიდგომებიც.

საკმაოდ ხანგრძლივი პერსპექტივით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კოსმოსური საიარაღო სისტემის ისეთ სქემებს, როდესაც საინფორმაციო, საკონტროლო და დამიზნების კომპლექსი განთავსდება გეოსტაციონარულ ან სადღეღამისო კვაზიგეოსტაციონარულ ორბიტაზე, ხოლო საიარაღო კოსმოსური კომპლექსები - დედამიწისახლო ორბიტებზე. ამასთან, დედამიწისახლო ან საშუალო ორბიტაზე, ასევე მიზანშეწონილია ტექნიკური გადაფარვის საინფორმაციო, სატელეკომუნი-კაციო და დამიზნების კომპლექსების განთავსებაც.

გეოსტრატეგიული დაყოფა აშშ-ს გაერთიანებული სარდლობის პასუხისმგებლობის მიხედვით (ახალი ვარიანტი)



	გაერთიანებული სარდლობის პასუხისმგებელი გეოგრაფიული არეალი
1	ჩრდილოეთ ამერიკის (USNORTHCOM)
2	ევროპის (USECOM)
3	წყნარი ოკეანის (USPACOM)
4	ცენტრალური (USCENTCOM)
5	ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის (USSOUTHCOM)

ნახ. 37

სტრატეგიული საჰაერო – კოსმოსური თავდაცვის სისტემის აღნიშნული სქემა, შეესაბამება ისეთ გადაწყვეტებს, რომელთა რადიოტექნიკური კომპლექსის ფუნქციონალური ელექტრომაგნიტური ტალღის სიხშირე ძველი შკალით თავსდება როგორც L; S; C; დიაპაზონებში, ასევე Ku; K და Ka დიაპაზონშიც, რაც მოიცავს რადიოტალღებსაც და უფრო ქვემოთ ინფრაწითელ გამოსხივებასაც.

ახალი სკალებით ეს სიხშირეები შესაბამისად წარმოადგენენ D; E; F; G; H; I და J; K დიაპაზონებს. მთლიანობაში სიხშირეთა წარმოდგენილი სპექტრი მოიცავს ელექტრომაგნიტურ ტალღებს, რომელთა სიგრძე ცვალებადობს 30 სანტიმეტრიდან 1, 1,3 სანტიმეტრამდე და 0,75 სანტიმეტრამდეც კი. აღნიშნული ტალღების შესაბამისი სიხშირეების დიაპაზონი იცვლება 2-დან 40 გიგაჰერცამდე.

აღნიშნული ტალღის სიგრძის J და K დიაპაზონი ოპტიმალური მახასიათებელია გეოსტაციონარული საიარაღო სისტემისა, ხოლო ოპტიკურ დიაპაზონში მომუშავე დაზიანების, ინფორმაციისა და კონტროლის კოსმოსური სისტემები, მაქსიმალური დუბლირებით და გადაფარვით უნდა ფუნქციონირებდნენ დედამიწისახლო ორბიტებზე.

საჰაერო-კოსმოსური სტრატეგიული თავდაცვის სისტემა, შედგება არა მარტო ორბიტული რადიოტექნიკური და სარაკეტო-კოსმოსური საიარაღო კომპლექსებისაგან, არამედ მიწისზედა, საზღვაო, მათ შორის, წყალქვეშა კომპლექსებიდანაც, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს მოწინააღმდეგის ზუსტი დამიზნების იარაღის, მასობრივი განადგურების იარაღის ლიკვიდაციას, რომელთა შორის სულ მალე ახალ ფიზიკურ ბუნებაზე დამყარებული სახეობებიც იქნება გამოყენებული.

კოსმოსური თავდაცვითი სისტემების სამხედრო-ტექნიკურმა და სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფამ უნდა განაპირობოს ისეთი სტრატეგიული და ოპერატიული კოსმოსური ვითარება, რომელიც კოსმოსური კომპლექსების ფუნქციონირებას მაქსიმალური უსაფრთხოების და ეფექტურობის გარანტიებით განაპირობებენ.

კოსმოსურმა ვითარებამ უნდა უზრუნველყოს საშტატო საიარაღო სისტემის მეშვეობით აგრესორის სახმელეთო სტარტის, საზღვაო და საჰაერო რაკეტამატარებლების და სხვა საფრენი აპარატების განადგურება მათი სტარტის ან ადრეული ფრენის ეტაპზე, სანამ ისინი ბალისტიკური ან მართვადი ფრენის მიზნობრივ ტრაექტორიაზე გადავიდოდნენ.

კოსმოსურ თავდაცვით სისტემას, როგორც სტრატეგიული და ოპერატიული კოსმოსური ვითარების ოპტიმალური პირობებისთვის, დედამიწისახლო ორბიტაზე ან საჰაერო სივრცეში, ისე მიწისზედა ან საზღვაო უზრუნველყოფით უნდა გააჩნდეს ისეთი თავდაცვითი ქვესისტემა, რომელიც ტექნიკური გადაფარვის რეჟიმში გაანადგურებს იმ რაკეტამატარებლებს, ან მათგან გაშვებულ მაღალი სიზუსტით მართვად საფრენ აპარატებს, რომლებიც გამოაღწევენ კოსმოსური თავდაცვის სისტემის ძირითადი ბლოკიდან და უკვე გაცილებით ახლოს იქნებიან სამიზნე ობიექტებთან.

კოსმოსური თავდაცვითი სისტემისათვის ოპტიმალურ კოსმოსურ ვითარებად უნდა ჩაითვალოს ის პოზიცია, როდესაც სისტემის ყველა ფუნქციონალური მიმართულება სრული საშტატო რეჟიმით მუშაობს.

კოსმოსური თავდაცვითი, ერთიანი სისტემის სრულფასოვანმა ფუნქციონირებამ უნდა მოიცვას კოსმოსური სანავიგაციო ქვესისტემის, კოსმოსური დაზვერვის ქვესისტემის, კოსმოსური კავშირის ქვესისტემის გასანადგურებელი ობიექტის აღმოჩენის, და მისი დამიზნების კოორდინატების განსაზღვრა-განადგურების დამადასტურებელი კონტროლის ქვესისტემის გამართული მუშაობა.

არ უნდა იქნეს მიჩნეული კოსმოსური ვითარების სწორ შეფასებად, ის მეთოდიკა, რომელიც ამ მხრივ მოიცავს მხოლოდ კოსმოსურ ობიექტებსა და კოსმოსურ ფაქტორებს. კოსმოსური ვითარება თავისი არა მარტო ფუნქციონირების, არამედ მთლიანად, მართვისა და სტაბილიზაციის ყველა ეტაპზე აქტიურ ურთიერთკავშირშია მიწისზედა და საზღვაო სისტემებთან და კომპლექსებთან.

ამდენად, კოსმოსური თავდაცვითი სისტემების საინჟინრო-კოსმოსური უზრუნველყოფა, გარდა ადრე არსებული ფუნქციებისა, რომლებიც მოიცავდა რაკეტამატარებლის და კოსმოსური აპარატის შენახვას, სასტარტო დისლოკაციას, სასტარტო საინჟინრო მზადყოფნას, სტარტის განხორციელებას, ორბიტაზე მომსახურებას და აღდგენითი სამუშაოების საინჟინრო-ტექნიკურ კომპლექსს, ასევე მოიცავს ორბიტაზე სამხედრო-საინჟინრო ნაგებობის შექმნას, ორბიტაზე მათს შენიღბვას და მოწინააღმდეგის მიერ დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვის სხვა საინჟინრო ღონისძიებებს, რომელთაც უნდა დაემატოს სისტემის შემადგენელი მიწისზედა სტაციონარული და მობილური სამხედრო-საინჟინრო კომპლექსების შექმნა და უზრუნველყოფა.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ ახალ მოთხოვნებს, რომლებიც ბოლო წლების ომების პრაქტიკამ ჩამოაყალიბა. საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემები, მათ შორის, საობიექტო დაცვის სისტემების ორბიტული და მიწისზედა კომპლექსები უნდა აიგოს აქტიური რადიოსალოკაციო სისტემების გამოყენების გარეშე. სხვა შემთხვევაში, როგორც ეს ერაყის ომში მოხდა, საჰაერო თავდაცვის სისტემის, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების, რადიოკავშირის ხელსაწყოების და სხვა რადიოტექნიკური დანადგარების საექსპლუატაციო მდგომარეობიდან გამოყვანას სულ რამდენიმე საათი ან დღე სჭირდება. ამას განაპირობებს აქტიური რადიოსისტემების შენიღბვის უკიდურესად რთული, ზოგჯერ შეუძლებელი პირობები.

ამდენად, სამხედრო-საინჟინრო მიდგომით სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემის აგებისათვის, აუცილებელი ხდება მაღალ მგრძნობიარობის და ეფექტური პასიური ორბიტული და მიწისზედა რადიოტექნიკური საინჟინრო კომპლექსების შექმნა და მათი ასევე მაღალი ხარისხის და საიმედობის დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა. ამასთან, სისტემის შემადგენელი მიწისზედა კომპლექსი, რომლის განადგურება მოწინააღმდეგის მიერ მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე უფრო ხელმისაწვდომია, უნდა იძლეოდნენ ტექნიკური გადაფარვის შესაძლებლობებს. ეს კი, მათი შენიღბვის გარდა, მოითხოვს არასაშტატო კოსმოსური ვითარების პირობებში სწრაფად იქნან გამოყვანილი საბრძოლო პოზიციაზე და საბრძოლო მზადყოფნაში რაც უფრო ძნელადმისაღწევია.

აღნიშნული სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-საინჟინრო მიმართულებების განვითარების რეალობა ცვლის არა მარტო უმნიშვნელოვანესი საიარაღო სისტემების ტაქტიკურ-ტექნიკურ პარამეტრებს, არამედ განაპირობებს თვით სამხედრო ხელოვნების ცვლილებას მის მთლიან სპექტრში - სტრატეგიის, ოპერატიულ ხელოვნებისა და ტაქტიკის ჩათვლით.

ოპერატიული მასშტაბის სამხედრო მოქმედების მომზადება არის მაკავშირებელი და, რაც მთავარია, ფუნქციონალური და მასისტემაზებელი რგოლი სტრატეგიული მოქმედებისას.

მაღალი სიზუსტის დამიზნების იარაღის და მისი გამოყენებას მიწისზედა, ზღვის, ჰაერის და ორბიტული კომპლექსები, ქმნიან ისეთ სტრატეგიულ კოსმოსურ სისტემებს, რომლებიც თვით ომის წარმოების მასშტაბების აუცილებლობის მოთხოვნებსაც ცვლის და მეტწილად ორიენტირებული ხდება არა სრულმასშტაბიანი ომის გაჩაღებაზე, არამედ ისეთ მოქმედებებზე რომლებიც ეფექტებს ემყარება. აღნიშნული კლასის სისტემა ეფექტს აღწევს არა იმდენად სამხედრო-დამანგრეველი მოცულობით, რამდენადაც მისი როლის გადანაცვლებით ინფორმაციული იარაღის რანგში, რომელსაც "სტრატეგიული ინფორმაციული დაპირისპირება" ეწოდება.

სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემა, აღნიშნული მიმართულებით, სახელმწიფოების გლობალურ საინფორმაციო სივრცეში და ინფრასტრუქტურაში, გამოყენებული იქნება ინფორმაციული სტრატეგიული სამხედრო ოპერაციისათვის მოწინააღმდეგის დასათრგუნავად და გასანადგურებლად და ასევე მოწინააღმდეგის მიერ საინფორმაციო სივრცეზე ზემოქმედების ბლოკირებისათვის.

საქართველო, როგორც არაერთხელ აღინიშნა, აუცილებლად მოექცევა სახელმწიფოთა კოალიციური ან სამოკავშირო ჯგუფის შემადგენლობაში ან მის ინტერესებს დაუკავშირდება ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც გააჩნიათ სამხედრო-სტრატეგიულ კოსმოსური თავდაცვის სისტემები სათანადო კომპლექსებით.

და, ბოლოს, როდესაც სამხედრო-საინჟინრო დარგის ამოცანებს ვეხებით, მას უნდა დაემატოს ჯარების, ძალების და სამხედრო ტექნიკის და შეიარაღების სისტემების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა, რაც მთელ სამხედრო-საინჟინრო ხელოვნებას თანამედროვე მოთხოვნებით სრულფასოვნად წარმოადგენს.

როგორც აღინიშნა კოსმოსური შეიარაღების სისტემების და მათი ორბიტული და დედამიწისეული სამხედრო-საინჟინრო რადიოტექნიკური კომპლექსების შექმნა, სამხედრო ხელოვნების მოთხოვნების აქტუალობით "ვარსკვლავთომების" კონცეფციასთან და თანამედროვე ომების ხასიათთან არის დაკავშირებული.

ამასთან, იგი ეყრდნობა თავისი პრაქტიკული გამოყენების თითქმის ოცწლიან პერიოდს – 80-იანი წლების დასაწყისიდან სტრატეგიულ დაპირისპირებულ ძალთა მიერ ისეთი სამხედრო კონცეფციების მიღებით და მისი რეალიზაციისათვის მზადყოფნით, როგორებიცაა:

– "ბრძოლა მეორე ეშელონებთან".
– "შერჩევითი ბირთვული დარტყმა".
– "განმაიარაღებელი დარტყმის მიყენება".

– "თავის მომკვეთი დარტყმა".

აღნიშნული კონცეფციების მიხედვით საომარი მოქმედების თეატრში, ჯარებისა და ძალების პირველი ეშელონების განადგურებასთან ერთად, რაც უპირატესად "საჰაერო-დედამიწისეული" ოპერაციის სქემით უნდა განხორციელდეს, ერთდროულად ხდება დიდი რესურსებით და მაქსიმალური ინტენსივობით დარტყმები მეორე ეშელონზე, საბრძოლო ზონის ზურგის უზრუნველყოფაზე და მთელ რესურსზე იმ მიზნით, რომ მეორე ეშელონი ვერ შევიდეს ან დაგვიანებით და ნაკლები საბრძოლო პოტენციალით ჩაებას ბრძოლაში.

თუ სტრატეგიული სქემით "საჰაერო-დედამიწისეული" ოპერაციის წარმოებისათვის არსებული კოსმოსური და დედამიწისეული შეიარაღების თანამედროვე სისტემები აკმაყოფილებენ სამხედრო-ტექნიკურ მოთხოვნებს, "აქტიური დაპირისპირებული ბრძოლისას" კონცეფცია, რომელიც აერთიანებს "შერჩევითი დარტყმის", "განმაიარაღებელი დარტყმის მიყენების" და "თავის მომკვეთი დარტყმის" კონცეპტუალურ მიმართულებებს, გარდაუვალი აქტუალობით დგება ახალი სპექტრის სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების საჭიროება.

ახალი თაობის კოსმოსური შეიარაღების ორბიტული სამხედრო-საინჟინრო კომპლექსების პერსპექტივების განხილვა, 80-იანი წლების დასაწყისში, უკვე პრაქტიკულად განსაზღვრავდა ახალი თაობის კოსმოსური შეიარაღების სისტემების შექმნის იდეოლოგიას.

მათ მიმართ მრავალ მოთხოვნას შორის, სამხედრო ხელოვნებისათვის დასაკმაყოფილებელ პირობებს წარმოადგენდნენ ორბიტული სამხედრო-საინჟინრო სისტემების გაბარიტები, გეომეტრიული პარამეტრების პრეცეზიულობა და კოსმოსურ სივრცეში ორიენტაციის, სტაბილიზაციისა და მართვის მაღალი კლასის სიზუსტე. ასეთი წინაპირობები განსაკუთრებით შეეხება ორბიტულ სამხედრო-საინჟინრო რადიოტექნიკურ კომპლექსებს.

საკითხის ასე დასმა, საჰაერო-კოსმოსურ თავდაცვის ორბიტული, სამხედრო-საინჟინრო კომპლექსებისათვის, აუცილებელია იმისათვის, რომ სათანადო ახალი თაობის კოსმოსური შეიარაღების სისტემებმა, მაქსიმალური შენიღბვისა და მოწინააღმდეგისაგან დაცულობის პირობებში უზრუნველყონ კოსმოსური სანავიგაციო, კოსმოსური დაზვერვის, კოსმოსური კავშირის, გასანადგურებელი ობიექტის აღმოჩენის, დამიზნების კოორდინატების განსაზღვრის და კონტროლის ქვესისტემების მუშაობის სათანადო ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრების მიღწევა და შენარჩუნება. ამისათვის კი საჭიროა მაღალი მგრძნობიარობით, სიგნალის დიდი მოცულობით და ინფორმაციის სწრაფი მიღება-გადაცემის რეჟიმის დამყარება და საიმედოობის უტყუარი გარანტიების შენარჩუნება.

საიარაღო სამხედრო-საინჟინრო კომპლექსებისათვის აღნიშნული ამოცანის მიღწევა არათუ კოსმოსურ ორბიტაზე, არამედ დედამიწაზეც კი რთულად გადასაწყვეტი ამოცანაა, რომელსაც უკავშირდება მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური საინჟინრო მიმართულებების შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია.

არ იქნებოდა სწორი, თუ კოსმოსური შეიარაღების სტრატეგიული სისტემების სამხედრო-ეკონომიკურ ეფექტს მივაღწევდით მხოლოდ მისი შემადგენელი კომპლექსების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით.

სამხედრო უსაფრთხოების გრანდიოზული მოთხოვნების დაკმაყოფილება მსოფლიოს მასშტაბით, უმთავრესად სამხედრო ეკონომიკაზეა დამოკიდებული. ამდენად თანამედროვე შეიარაღებული ბრძოლებისა და ოპერაციების პერსპექტიული მოდელის შექმნის უმთავრესი პრიორიტეტი საქართველოშიც უნდა გახდეს პირადი შემადგენლობის როლის შემცირება, რაც მიიღწევა ტექნიკური საშუალებებით და ტექნოლოგიური პროცესებით ცოცხალი ძალის გამოთავისუფლებით [18].

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა სამხედრო-საინჟინრო დარგში გატარებულ იმ საინჟინრო პოლიტიკაზეა დამოკიდებული, რომელიც აისახება თანამედროვე ერთიან სამხედრო-ტექნიკურ პოლიტიკაში.

ამ მხრივ, საქართველოში უნდა შეიქმნას სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც კოორდინირებულად განიხილავს სამხედრო მეცნიერებას, სამხედრო ტექნიკას, სამხედრო მრეწველობას, სამხედრო-საინჟინრო და ტექნიკური კადრების მომზადებას.

საჰაერო-კოსმოსური სტრატეგიულ მიმართულებათა დაჯგუფების განსხვავებული კონფიგურაცია და ახალი თაობის ორბიტული სამხედრო-საინჟინრო კომპლექსები

1999 წლის 23 ივლისს ორბიტაზე გავიდა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – რეფლექტორი, რომლის გამოცდა წარმატებით დასრულდა “МИР”-ზე და ობიექტი 28 ივლისს გადავიდა დამოუკიდებელ, დედამიწის თანამგზავრულ ორბიტაზე. ქართული დიდგაბარიტიანი კოსმოსური რეფლექტორული სისტემის ფართომასშტაბიანმა წარმატებულმა გამოცდამ რუსულ-ქართული პროგრამით – “რეფლექტორი”, რომელიც კოსმონავტების საერთაშორისო ეკიპაჟმა განახორციელა ორბიტულ სადგურ “МИР”-ზე, დასაბამი მისცა კოსმონავტიკის ახალი პრიორიტეტული მიმართულების პრაქტიკულ განვითარებას სხვადასხვა დანიშნულების ორბიტულ პროგრამებში.

ამის შესახებ მრავალ წყაროსა და ოფიციალურ დოკუმენტებში საკმაოდ დეტალური შეფასებებია, მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერ გავრცელებული მასალა:

“MS 3.2. Large Deployable Reflector Antenna for Advanced Mobile Communications ESA/Industry Briefing Meeting 9th May 2000. ESA. ASTE. Contact: e-mail: gczone@estec.esa.nl.

მასში, ერთი მხრივ, უპირატესობის ნიშნით განხილულია ქართული კოსმოსური რეფლექტორი და, მეორე მხრივ, დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ ევროპაში კოსმოსური, დიდი ზომის რეფლექტორული სისტემის შექმნის ახალი მიმართულება უნდა გახდეს ქართული კომპანიების სამუშაოების შედეგები.

ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანიდან უკვე რამდენიმე თვეში მისმა შედეგმა ასახვა ჰპოვა მრავალ საპროექტო წინადადებაში, მათ შორის, ისეთი კომპანიების მხრივ, როგორიცაა "ალენია" (იტალია) და "დაიმლერ კრაისლერ აეროსპეისი" (გერმანია) — "

აღნიშნული კომპანიების წინადადებაში გლობალური და რეგიონული კოსმოსურ სატელეკომუნიკაციო ორბიტული სისტემის აგება წარმოსახულია ქართული კოსმოსური რეფლექტორის ბაზაზე (ნახ.38 და ნახ.39).

მიუხედავად ყველაფრისა, რაც ქართული კოსმოსური დიდგაბარიტიანი რეფლექტორის შემდეგი გამოყენების ფართო სპექტრში წარმოჩინდა, უმთავრესი, რაც შეფასებას და მინიშნებას მოითხოვდა, ეს იყო მისი საშუალებით ახალი თაობის კოსმოსური საიარაღო-სადაზვერვო კომპლექსის აგება. ამას განაპირობებდა მისი შექმნის მიზანდასახულობის ეტაპები და თვით რეფლექტორის კონსტრუქციული სრული მზადყოფნა მის ბაზაზე სამხედრო თანამგზავრის ახალი პრინციპით აგებისა.

პირველი ინფორმაცია ქართული კოსმოსური რეფლექტორის სამხედრო ინტერესებთან კავშირის შესახებ იკითხება იმ ტექსტში, რომელიც ევროპული კოსმოსური სააგენტოს 2000 წლის /007.00 დოკუმენტშია გადმოცემული: "To unable European industry to offer systems with S-UMTS, the large deployable antenna is a key strategic element and the guarantee of supply is a pre-requisite to being a viable system supplier. In USA, this technology is ready available, but the guarantee of supply is questionable and some of the developments have been made with (Department of Defense) funding which can severely restrict the guarantee of supply. Other developments are ongoing in Japan under NASDA funding and there is heritage and capability in Georgia/ Russia (former USSR) which could offer joint venture opportunities with ESA supporting the European elements of such a venture with the guarantee of supply to European primes being ensured ".

ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დიდგაბარიტიანი რეფლექტორული კოსმოსური სისტემები, რომლებიც თავდაცვის დეპარტამენტის შეკვეთით არის შექმნილი, რიგ შემთხვევაში ევროპისათვის შეიძლებ მიუწვდომელი იყოს და, ამსთან, ევროპისათვის ყველაზე რეალურ გზად რჩება ქართულ-რუსული წარმოების სისტემა.

ოდნავ დაგვიანებით, შემდგომში, უკვე რუსეთმა ღია ტექსტით, ერთნიშნად მიუთითა ქართული რეფლექტორული სისტემის სამხედრო დანიშნულების აქტუალობაზე ჟურნალ "Военный парад"-ის 2002 წლის ოქტომბრის 5 ნომერში.

რუსეთის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის გენერალური კონსტრუქტორის, აკადემიკოს იური სიმიონოვის რუბლიკაციაში "Мировой уровень качества, кратчайшие сроки создания", სადაც ასევე დაბეჭდილია ქართული კოსმოსური რეფლექტორის ფოტო, რომელიც გადაღებულია ორბიტაზე ფრენის დროს, განმარტებულია, რომ: Эта разработка открывает широкие перспективы исследования таких конструкций в интересах Минобороны РФ


LEO-MEO-GEO Trade-off Summary (IV)
..... then GO FOR GEO!
Alenia
DaimlerChrysler Aerospa
GEO User Link Coverage
Possible Beams : 169 x 2 f-slot
Active Beams : 85 x 2 f-slot
Sub-Beam Frequency Mapping
S Band (10 MHz)
Low
High
Frequency
GEO Feeder/User Link Coverage
Baseline is global feeder link
FDM feeder link beam multiplexin
Optional adoption of multi-bea feeder link
To reduce GW EIRP
To possibly reduce feeder link bandwdith

Նկ. 38.


GEO Constellation
Extension
Covera
Zone that could exploit
Diversity
Possible
System
Evolution
Alenia
SPAZIO
DaimlerChrysler Aerospa

Նկ. 39.

ამდენად, ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევებმა, სამხედრო ამოცანათა სისტემურმა ანალიზმა, პროექტირებამ, კონსტრუქციათა შექმნამ, სრულმასშტაბიანმა გამოცდებმა და, რიგ შემთხვევაში, შეიარაღებაში გადაცემამ, წლების განმავლობაში, სახელმწიფო კოსმოსური თავდაცვითი პროგრამებით, თავდაცვის სამინისტროს დავალებით და შემდგომში, საზღვარგარეთის კომპანიებთან საქართველოს თანამშრომლობამ, განაპირობა როგორც კოსმოსური, ასევე დედამიწისეული კომპლექსების შექმნა, რომლებიც თვისებრივად ცვლის არა მარტო ცალკეული საიარაღო კოსმოსური სისტემების პარამეტრებს, არამედ მოითხოვს კოსმოსური ვითარების ტრანსფორმაციას, სათანადო სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მიმართულების კოსმოსური ძალების და საშუალებების დაჯგუფებას ახალი არქიტექტურითა და კონფიგურაციით.

კოსმოსური ძალების და საშუალებების ოპერატიული მოწყობით, ოპერაციული მიმართულების ხასიათით, ფორმითა და შემადგენლობით, საომარი მოქმედების თეატრის ხმელეთის, წყლის, ჰაერისა და კოსმოსის არეალების სტრატეგიულ მიმართულებაზე, უშუალო კავშირშია კოსმოსური შეიარაღების ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპლექსებთან, როგორებიც არიან საბრძოლო კოსმოსური აპარატები და სათანადო მიწისზედა და საზღვაო კომპლექსები, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან კოსმოსურ სისტემებს.

ჩვენ განვიხილეთ კოსმოსური დაჯგუფების ისეთი სამხედრო-საინჟინრო და რადიოტექნიკური სტრუქტურების სინთეზით შექმნილი კომპლექსები, რომლებიც თანამედროვე სამხედრო ხელოვნების მოთხოვნათა ფართო სპექტრს აკმაყოფილებს. მათი შექმნის და სამხედრო გამოყენების მიზანია ისეთი საბრძოლო კოსმოსური აპარატების აგება, რომლებიც აქტიური და/ან პასიური მუშაობის რეჟიმით უზრუნველყოფენ მაღალი გარჩევისუნარიანობით, სიზუსტით და მანევრულობით ინფორმაციის დიდი მოცულობით სწრაფად ათვისებას და გადაცემას, რაც განაპირობებს დღეღამისა და ნებისმიერი ამინდის პირობებში ობიექტის ადრეულ აღმოჩენას, მიზნის გაყოლას და სათანადო საიარაღო ზემოქმედების კომპლექსების მართვას დროის რეალურ მასშტაბთან მაქსიმალური მიახლოებით [19]; [20]; [21]; [22]; [23]; [24].

ანალოგიური მიდგომითაა შექმნილი სამხედრო-საინჟინრო კომპლექსები, რომელთა დანიშნულებაა კოსმოსური ძალებისა და საშუალებების დაჯგუფების სამხედრო-საინჟინრო უზრუველყოფა კოსმოსური საიარაღო სისტემების მიწისზედა მართვის ცენტრების და საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის მიწისზედა სამეთვალყურეო პოსტების საშტატო სამხედრო ტექნიკით [25]; [26].

მიწისზედა მართვის ცენტრებსა და სამეთვალყურეო პოსტების აღნიშნული სამხედრო-საინჟინრო კომპლექსები უპირატესად ორიენტირებულია საჰაერო-კოსმოსური მიმართულებით, ერთი მხრივ, კოსმოსური შეიარაღების სისტემებისა და კოსმპლექსების მართვის უზრუნველყოფისათვის უმეტესწილად

ექსტრემალურ, არასაშტატო ვითარებაში და, მეორე მხრივ, საჰაერო-კოსმოსურ ზოლში მოწინააღმდეგის ობიექტების ადრეული აღმოჩენით და დამიზნების კოორდინატების განსაზღვრით შეიარაღებათა იმ არსენალის მართვა, რომელიც ხასიათდება მათი ბაზირების და სტარტის ფართო სპექტრით.

ტექნიკური წინადადების დონეზე და, რიგ შემთხვევებში, სამუშაოებში თანამონაწილეობით დამუშავებულია საბრძოლო კოსმოსური სადგურების — ტექნოლოგიური პლატფორმების და ძალოვანი კარკასების კონსტრუქციები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს სხვადასხვა პროექტებში და ასევე რეალიზებული იქნენ კოსმოსურ ორბიტაზე — რაკეტამატარებლებზე და კოსმოსურ სადგურზე.

შემუშავებული კოსმოსური შეიარაღების მიწისზედა და ორბიტული კომპლექსები, მათ ბაზაზე კოსმოსური ძალებისა და საშუალებების დაჯგუფებისა და გამოყენების სამხედრო ხელოვნების ახალი მიდგომები და არქიტექტურა წარმოადგენს კოსმოსის სტრატეგიული გამოყენების სფეროს.

აღნიშნული მიმართულების დამუშავება, საწყის ეტაპზე, ჯერკიდევ 1980 წელს დაუკავშირდა შემოღებულ განმარტებას — "საჰაერო კოსმოსური თავდასხმის საშუალებებს" [27].

შემუშავებული მიდგომები, სამხედრო-საინჟინრო ახალი გადაწყვეტების მიხელვით, კოსმოსური ძალებისა და უპირატესად საშუალებების დაჯგუფების არა მარტო სქემატური თანწყობაა იარაღის მატარებლებისა და მათი აღმოჩენა-განადგურების სისტემებისა, არამედ წარმოადგენს განსხვავებულ სტრუქტურასაც, რომელიც განსაზღვრავს შეიარაღებული ბრძოლის ხელოვნების ახალ პრინციპებს, მხოლოდ მისთვის სახასიათო სცენარებით რომ მოიცავს კოსმოსს, ჰაერს, წყალსა და ხმელეთს.

კოსმოსური და დედამიწისეული სამხედრო-საინჟინრო კომპლექსების შექმნის პროცესში, მისი სამხედრო გამოყენების და სათანადო პარამეტრების ევოლუცია განხორციელდა 1982-1984 წლებში, როდესაც კოსმოსური შეიარაღების შექმნის პოლიტიკას საფუძვლად დაედო "სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა" (СОИ) და მასთან დაპირისპირების ასევე მრავალკომპონენტიანი პროგრამა "რაუნდი", რომელიც უმეტესწილად ორიენტირებული იყო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართომასშტაბიანი სისტემის შექმნაზე და პარალელურად ამერიკული საბრძოლო-კოსმოსური კომპლექსების განადგურებაზე მათი შექმნის ადრეულ ეტაპზე. ამდენად, წარმოდგენილი კომპლექსების შექმნა სამეცნიერო მიდგომით და სახელმწიფო სამხედრო-პოლიტიკური მოთხოვნით მთლიანად მოთავსდა "ვარსკვლავთომების" კონცეფციაში.

სამუშაოთა პირველი ეტაპით დასრულდა დამუშავება მაღალ ორბიტებზე ბაზირების ისეთი სამხედრო-საინჟინრო ძალოვანი კარკასებისა და პლატფორმებისა, რომლებიც წარმოადგენდნენ სასტარტო საიარაღო სადგურებს კოსმოსში კინეტიკური იარაღის განთავსებისა და გაშლისა.

სამუშაოთა შესრულების, სამეცნიერო კვლევებისა და პრაქტიკული შედეგების მხრივ, განსაკუთრებით აქტუალურია მეორე ეტაპი, რომელიც

მოცემული სამუშაოს ფარგლებში, მოიცავს მაღალი მგრძნობიარობის და უსწრაფესი რეაგირების კოსმოსური დაკვირვებისა და დამიზნების სამხედრო-საინჟინრო რადიოტექნიკურ კომპლექსებს, რაც საგრძნობლად ზრდის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კოსმოსური სისტემის საბრძოლო შესაძლებლობებსა და პოტენციალს.

მესამე ეტაპი შეეხება კოსმოსური სისტემების მიწისზედა სტრატეგიული მართვის ცენტრების და ასევე ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო კომპლექსების შექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოს მიმართ წაყენებული მოთხოვნები სამხედრო ხელოვნების მხრივ "ვარსკვლავთომების" იდეოლოგიის გარკვეული უარყოფის შემდეგ [28] 90-ანი წლებიდან ტრანსფორმირდა "სარაკეტო-ატომურ შეზღუდულ დარტყმისაგან — გლობალური თავდაცვის სტრატეგიად", სამხედრო ტექნიკის განვითარებისა და სამხედრო ხელოვნების პერსპექტივა კვლავ "ვარსკვლავთომების" ტექნოლოგიებისა და ტენდენციების მოთხოვნების შესაბამისად უნდა წარიმართოს.

ამასთან, ტექნოლოგიების განვითარება, ეფექტურობისა და ეკონომიურობის მოთხოვნით უნდა შეესაბამებოდეს ორმაგ დანიშნულებას — სამხედროსა და სამოქალაქოს, რაც მშვიდობიანობის თუ დაბალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების პირობებში, პერმანენტულად ინაჩუნებს პროგრესს სამხედრო-სტრატეგიული შეიარაღების სისტემის შექმნის და ფუნქციური გაშლის შესაძლებლობების მხრივ.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შემუშავებული და შემოთავაზებულია კოსმოსური კომპლექსებისა და სისტემის დაჯგუფების ახალი კონცეფცია, რომელიც პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობით ასევე განპირობებულია ავტორის სამუშაოების მიხედვით ორბიტული და მიწისზედა ახალი თაობის სამხედრო-საინჟინრო კომპლექსების შექმნით.

გეოსტრატეგიული სივრცის სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მიმართულებით, კოსმოსურ არეალში საბრძოლო თანამგზავრები და საბრძოლო კოსმოსური სადგურები კოსმოსურ ვითარებას ქმნიან მათი სამშრიანი დაჯგუფებით (ნახ.40).

სამი შრის ორბიტული მახასიათებლები ვრცელდება ახლო, საშუალო და შორეული — გეოსტაციონარული ობიექტების დიაპაზონში. თვით ორბიტის გეომეტრიული მახასიათებელი, კონკრეტული დაჯგუფების კონფიგურაციის მიხედვით შეიძლება იყოს წრიული, ელიფსური და სადღეღამისო კვაზი-გეოსტაციონარული.

ბოლო ვარიანტი გამოიყენება სტაციონარულ ორბიტაზე მინიმალური რაოდენობის თანამგზავრებით გლობალური კონტროლის მიღწევისათვის.

გეოსტაციონარულ ორბიტაზე განთავსებულია ავტონომიური, სამხედრო-საინჟინრო რადიოტექნიკური თანამგზავრული კომპლექსი, რომლის დიამეტრი

აღემატება 25-30 მეტრს, ხოლო პასიური თვალთვალის რეჟიმში სამუშაო ტალღის სიგრძე 2-3,5 სმ-ს შეადგენს.

აღნიშნული საბრძოლო თანამგზავრული კომპლექსი გარდა კოსმოსური ზოგადი სადაზვერვო, კავშირის და სხვა სატელეკომუნიკაციო მაღალი ხარისხის სერვისისა, უპირატესად განკუთვნილია ბალისტიკური რაკეტების ადრეული სტარტის აღმოჩენის, მათი ტრაექტორიის და განადგურების კოორდინატების განსაზღვრისათვის და ახლო, საშუალო და შორი მოქმედების რაკეტსაწინააღმდეგო საცეცხლე კომპლექსის ამოქმედებისა და მართვის ტელემეტრული ინფორმაციის უზრუნველყოფისათვის. ორბიტული საბრძოლო კომპლექსი ასევე გამიზნულია წყალქვეშა მცურავი ობიექტების აღმოჩენისა და სხვა მოძრავი და უძრავი ობიექტების კინეტიკური პროცესების თვალთვალისათვის.

აღნიშნული სამხედრო-საინჟინრო რადიოტექნიკური კომპლექსების აგება ხდება სრულიად განსხვავებულ პრინციპზე, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია, და რომელიც ხორციელდება არა ელექტრო-მაგნიტური ტალღების მახვილმიმართული დიდი ზომის, ზუსტი და ხისტი რეფლექტორის მიმაგრებით კოსმოსურ აპარატზე, რასაც თავდაცვის შესაძლებლობის შეზღუდული პარამეტრები გააჩნია, არამედ თვით მაღალი მზიდუნარიანობის რეფლექტორის კონსტრუქციის ბაზაზე ავტონომიური სამხედრო-საინჟინრო, რადიოტექნიკური საბრძოლო თანამგზავრის შექმნით. აღნიშნული პრინციპის [29] შესწავლის, მისი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების, კომპლექსის პროექტების სისტემურმა ანალიზმა, მისი საბაზო კონსტრუქციის და სტრუქტურის კოსმოსში გამოცდამ, მთლიანად დაადასტურა აღნიშნული მიდგომის რეალობა [30]; [31]; [32]; [33]; [34].



ნახ. 40

ორბიტული კომპლექსი, თავისი ბუნებით მარტოოდენ საბრძოლო თანამგზავრის თვისებების მატარებელი როდია - ძალოვანი კარკასის დიდი სიხისტე და მზიდუნარიანობა მას ანიჭებს საბრძოლო ძალოვანი პლატფორმის ფუნქციასაც. ეს საშუალებას გვაძლევს, აღვჭურვოთ იგი სხვა დანიშნულების კომპონენტებით, მათ შორის, მის გასანადგურებლად მიმართული საიარაღო ზეიოქმედების საწინააღმდეგო ავტონომიური საცეცხლე ზემოქმედების კომპონენტებით, რაც სრულიად განასხვავებს მას არსებული მიდგომებისაგან [35]; [36]; [37]; [38]; [39]; [40]; [41].

თანამედროვე ომის წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური დონე მოითხოვს მრავალფუნქციურ უზრუნველყოფას კოსმოსური შეიარაღების კომპლექსებიდან. ამ მოთხოვნის გათვალისწინებითაც ახლო ორბიტასთან შედარებით უფრო დაცულ დიაპაზონში – საშუალო ორბიტებზე განთავსდება მიღება-გადაცემაზე მომუშავე, აქტიურ-პასიური ფუნქციის საბრძოლო თანამგზავრი ორმაგი დიდი ზომის – 15 მეტრამდე დიამეტრის მქონე რეფლექტორებით. მათი ფუნქციებია, ერთი მხრივ, საბაზო, გეოსტაციონარულ ორბიტაზე განთავსებული ავტონომიური სამხედრო-საინჟინრო, რადიოტექნიკური კომპლექსის დუბლირება არასაშტატო კოსმოსური ვითარების დროს და, მეორე მხრივ, საბრძოლო მოქმედებათა, ბრძოლებისა და კონკრეტული ლოკალური ოპერაციების სატელეკომუნიკაციო, სანავიგაციო და შეიარაღებული ქმედებების მომსახურება. ასეთ მონაცემთა მიღება და გამოყენება აუცილებელია ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზეც და ყველა სახის ჯარებისა და ძალებისათვის, თუნდაც სატანკო და საარტილერიო პროცედურებისათვის.

გადაფარვის საბრძოლო ორბიტული კომპლექსები აგებულია სერიული თანამგზავრების გამოყენებით და მათზე 15 მეტრამდე დიამეტრის ზუსტი ზედაპირის მქონე რეფლექტორის მიმაგრებით. ამის საშუალება შექმნა რეფლექტორის კონსტრუქციის სიმსუბუქემ, სიხისტემ და ფორმათწარმოქმნის საიმედოობის გაზრდამ. მათი რაოდენობა ობიექტების მახასიათებლების გამო გაცილებით მეტია, ვიდრე ავტონომიური კომპლექსებისა. ამასთან, მათი თვითღირებულება გაცილებით ნაკლებია.

კოსმოსური ძალისა და საშუალებების დაჯგუფების შემუშავებულ ვარიანტში სამხედრო-საინჟინრო კომპლექსები განთავსებისა და ამოცანების მიხედვით შემდეგი გრადაციით არიან გადანაწილებულნი.

გეოსტაციონარულ ორბიტაზე განთავსებულია საბაზო ავტონომიური სამხედრო-საინჟინრო, რადიოტექნიკური თანამგზავრული პასიური კომპლექსი, რომელიც მიზნობრივად ემსახურება სტრატეგიულ ოპერაციებს.

საშუალო ორბიტაზე განლაგებული ორრეფლექტორიანი, აქტიურ და პასიურ რეჟიმში მომუშავე, დუბლიორის ფუნქციის მქონე საბრძოლო თანამგზავრები განსაზღვრულია უპირატესად ოპერატიულ-სტრატეგიული, საომარი და საბრძოლო მოქმედებისა და ოპერაციებისათვის.

ახლო ორბიტაზე გაყვანილი, მრავალრიცხოვანი პასიური რეჟიმის, მსუბუქი და დიდი რეფლექტორით აღჭურვილი, გადაფარვის ფუნქციის მქონე საბრძოლო თანამგზავრები ოპერატიული ხელოვნების ფარგლებისათვის არის განკუთვნილი.

თანამედროვე პირობებში შეიარაღებულ ძალთა დაპირისპირებაში მეტად სახასიათო დიდმასშტაბიანი ეფექტის მქონე საიარაღო ზემოქმედება – დარტყმა, რაც მიუხედავად თავისი სასტარტო პოზიციისა, იქნება წყალქვეშა, წყალზე მცურავი საშუალებები, საფრენი ობიექტები, მიწისზედა სტაციონარული თუ მობილური კომპლექსები, უვნებელყოფილ უნდა იქნეს საჰაერო-კოსმოსურ არეალში.

დასმული ამოცანა მაქსიმალური საიმედოობით, სამმაგი დუბლირებით, რეალიზებული იქნება შემუშავებული კოსმოსურ ძალთა და საშუალებათა დაჯგუფებით შექმნილი კოსმოსური ვითარების პირობებში. როდესაც სამსაფეხურიანი დაჯგუფების კონფიგურაციასა და არქიტექტურას ვიხილავთ, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ცალკეულ ორბიტაზე მყოფი კომპლექსები საკუთრივ სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული ან ოპერატიული დონის ამოცანებს მოემსახურებიან. ჩამოთვლილი ამოცანები არის თითოეული მათგანის უპირატესი ამოცანებია, და რეალურად ნებისმიერ დონეზე ურთიერთთავსებადი და ურთიერშენაცვლებადია.

კოსმოსურ ძალთა და საშუალებათა დაჯგუფება ასევე მოიცავს დედამიწაზე განლაგებულ, კოსმოსურ საიარაღო სისტემებს, დედამიწისეულ კომპლექსებს. სამხედრო-საინჟინრო თვალსაზრისით, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ამოცანებია გადაწყვეტილი, როგორც სამხედრო ხელოვნების შესაძლებლობის გაზრდის, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებით.

საჰაერო-კოსმოსურ არეალში ძალთა დაპირისპირების სამხედრო ხელოვნებაში, ბოლო ათწლეულების კონცეფციები, სამხედრო ვითარებაში არასაშტატო რეჟიმის შესაქმნელად, რომელმაც ყველაზე მეტად შეიძლება დაბლოკოს კოსმოსურ საშუალებათა დაჯგუფების სისტემების და კომპლექსების მიერ საცეცხლე ზემოქმედების უნარი, არის მათი მართვის სისტემის და კონკრეტულ შემთხვევაში კოსმოსური საიარაღო სისტემის მიწისზედა მართვის ცენტრების განადგურება. ამის მიღწევა მრავალი და, რიგ შემთხვევაში, სრულიად დაბალტექნოლოგიური ოპერაციებითა და აქტებით შეიძლება განხორციელდეს, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა.

ამდენად, კოსმოსური ვითარების საშტატო რეჟიმის აღსადგენად აუცილებელია სასტარტო პოზიციებზე ისეთი მობილური მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო რადიოტექნიკური კომპლექსის არსებობა, რომლებიც დროის უმოკლეს მონაკვეთში შეიძლება მოყვანილ იქნეს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. შემუშავებული დაჯგუფება მოიცავს მობილურ სამხედრო-საინჟინრო რადიოტექნიკურ კომპლექსს კოსმოსური შეიარაღების სისტემების მართვისათვის, რაც საშტატო სიტუაციის აღდგენის უმნიშვნელოვანესი

გარანტია. აღნიშნული კომპლექსი სრული ბრუნვის კონსტრუქციის ბაზაზეა აგებული. სასტარტო პოზიციებზე ისინი შეიძლება უკვე გამოყენების ადგილზე იყოს მზადყოფნაში, ან განთავსებული - საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებაზე, ან სარკინიგზო ვაგონზე სათანადო ფიზიკური, ქიმიური და რადიოელექტრონული შენიღბვით.

ბალისტიკური რაკეტების ადრეული სტარტის ფიქსაციისათვის, მეტად მნიშვნელოვანია მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო რადიოტექნიკური კომპლექსები, რომლებიც გარკვეულ პოზიციაზე პასიური ლოდინის რეჟიმში განთავსებით, ორიენტირებულნი არიან გარკვეული სივრცის კონტროლისათვის.

განხილული კომპლექსის მგრძნობიარობის გაზრდა რაკეტების სტარტის აღმოჩენის მხრივ, აძლიერებს ეფექტს, რომელიც ემყარება მათ უნარს დააფიქსირონ რეაქტიული ძრავის ამუშავება ალის პლაზმის კვალის მიხედვით.

პერსპექტივის გათვალისწინებით დაჯგუფების კომპონენტები შეიცავენ სამხედრო-საინჟინრო კომპლექსებს — საბრძოლო პლატფორმებისა და ძალოვანი კარკასების სახით, რომლებზეც განთავდებიან სარაკეტო და სხვა ახალი ფიზიკური ბუნების და საიარაღო ზემოქმედების საშუალებები.

ამდენად, განხილული განსაკუთრებული კონცეფცია და შემუშავებული პრინციპები ახალი თაობის სამხედრო-საინჟინრო კომპლექსების შექმნისა, განაპირობებს სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური ვითარების ფუნქციონალური სქემის შექმნას არა მარტო არსებული წრიული-ორბიტული ან რადიალური კონფიგურაციით კოსმოსური საიარაღო კომპლექსების ფუნქციონირებისა, არამედ მათ ამოქმედებას კომბინირებული, ერთიანი სქემით.

განხილული მიდგომით, გარდა თავისი ფუნქციონირების ხარისხისა და საიმედოობის მატებისა, სამხედრო საიარაღო კოსმოსური სისტემები მეტად მნიშვნელოვანი იქნება სამოქალაქო კოსმოსური სატელეკომუნიკაციო, სხვადასხვა დანიშნულების თანამგზავრების ფუნქციური საიმედო ქსელების შექმნისათვის.

ლექცია 10

საქართველოს ტიპის სამხედრო უსაფრთხოების სისტემის მქონე სახელმწიფოების პრიორიტეტები თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში და არსებული კონცეფციების ტრანსფორმაციის აუცილებლობა

დაპირისპირებული შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის, დაზიანებისა და ბრძოლაში უშუალო და არაპირდაპირი მოქმედებების კლასიფიკაცია დინამიკური სისტემების ანალოგიით

სამხედრო თეორიის კვლევის უმთავრესი ობიექტია შეიარაღებული ბრძოლა. მისი განმარტების მრავალი ვარიანტი არსებობს, რომლებიც მოიცავენ, მარტივიდან დაწყებული, საკმაოდ რთულ კომპლექსურ ახსნასაც იმის შესახებ თუ რა არის შემრაღებული ბრძოლა. მიუხედავად ამისა, საერთო შეფასებებით შეიძლება ითქვას, რომ შეიარაღებული ბრძოლა წარმოადგენს კაცობრიობის ცივილიზაციის შედეგს, საზოგადოების ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებს შორის იარაღით ურთიერთდაპირისპირებისა ზემოქმედებისა და წინააღმდეგობის გაწევისა.

მოცემული განმარტება უშუალოდ მიუთითებს იმაზე, რომ შეიარაღებული ბრძოლის ხასიათი, ბუნება, შინაარსი, მასშტაბები და შედეგები ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია საზოგადოების ეკონომიკური, ტექნოლოგიური, იდეოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკური, დიპლომატიური, სახელმწიფოებრივი, ეროვნული, ასევე შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებული ბრძოლის წარმოების მეცნიერული საფუძვლებისა და ხელოვნების, საერთოდ სხვა მრავალი კომპონენტების რეალურ მდგომარეობებთან და მათი დინამიკის პროცესებთან.

მიუხედავად იმისა, შეიარაღებული ბრძოლა, თავისი პარამეტრული გამოვლენის მრავალი ვარიანტის შესაბამისად, პირობითი რანგის მიხედვით, იგი წოდებულია ომებად, სამხედრო კონფლიქტებად, შეიარაღებულ აჯანყებად, წინააღმდეგობად თუ პარტიზანულ მოძრაობად, ასევე საომარ მოქმედებად, საბრძოლო მოქმედებად, კამპანიად, ოპერაციად, დარტყმად, ბრძოლად ან თუნდაც გრადირებულია მისი მასშტაბებისა და გამოვლენის სივრცის გაბარიტებით, მისი რეალური ფორმულა უცვლელია შეიარაღებული ბრძოლის სისტემატიზებული გამოვლენაა ძალებით და საშუალებებით ინტეგრირებული, მოწინააღმდეგე მხარეების იარაღით ურთიერთზემოქმედებათა დინამიკური პროცესი, რომელიც განპირობებულია ძალებით, მოძრაობებით, სათანადო სივრცითა და შესაბამისი დროის პარამეტრებით.

როდესაც კვლევის ობიექტია საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები, კანონზომიერი და აუცილებელია მისი ბაზის სამხედრო თეორიის შესაბამისი საკითხების განხილვაც. ამ მხრივ, სამხედრო მეცნიერების ყველა მიმართულების “ფოკუსურ სიბრტყეს” წარმოადგენს მთავარი

მოტივი შეიარაღებული ბრძოლა, რომელიც სამხედრო ისტორიის და თანამედროვე კვლევების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო, არის და იქნება.

ამდენად, შეიძლება დაისვას კითხვა, მოცემულ შრომაში, ხომ შეიძლებოდა "შეიარაღებული ბრძოლის" უკვე არსებული თეორიული კონცეფციების საფუძველზე, განგვეხილა საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემის შექმნის პრიორიტეტები და უცვლელად გამოგვეყენებინა ყველა ის, ამ მხრივ არსებული, დოქტრინალური თეორიული პრინციპები და განმარტებები, რომლებიც საერთოდ არის აღიარებული.

აღნიშნული პოზიცია მარტივი არ არის და ის განმარტებას მოითხოვს.

ერთის მხრივ, სამხედრო მეცნიერება, როგორც კვლევის პროცესი და შედეგი, განვითარებადია და მასში ბუნებრივად ხდება ცვლილებები უარყოფა, ახლის აღიარება, დამატებები და შესწორებები. გარდა ამისა, სამხედრო თეორიის მრავალ აქტუალურ საკითხთან ურთიერთსაპირისპირო მიდგომებია და ასეთ შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ შრომაში, თუ ამის აუცილებლობა არის, მკვლევარებმა, რომელიმე მათგანი უნდა აღიაროს ან პრიორიტეტად მიიჩნიოს, უფრო მეტიც, რეალობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მიდგომით ახალი პოზიცია დაასაბუთოს და დაიკავოს.

მეორეს მხრივ, საქართველოს და მისი ტიპისა და პარამეტრების მქონე სამხედრო უსაფრთხოების სივრცის მქონე სახელმწიფოებისათვის არსებული, ასე ვთქვათ "კანონიკური დებულებები" თანამედროვე სამხედრო თეორიისა, მრავალ კონკრეტულ შემთხვევაში, არ არიან შეთავსებადი და ფუნქციონირებადი შეიარაღებული ბრძოლების თანამედროვე რეალობებისა, რომლებიც უპირატესად გამოვლინდება ასიმეტრიულ ომებში, ირიბი მიდგომის ან არაპირდაპირი მოქმედების სამხედრო სტრატეგიაში და საერთოდ თანამდროვე სამხედრო, სხვადასხვა მასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტებში.

ამდენად, არა მარტო ბუნებრივია, არამედ, სამხედრო თეორიის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის, აუცილებელია საქართველომ და მისი ტიპის სამხედრო უსაფრთხოების სივრცის მქონე სახელმწიფოებმა, რეალობიდან გამომდინარე და სამხედრო ხელოვნების პრაქტიკულად რეალიზებადი სცენარების მიხედვით, თავისი წვლილი შეიტანონ ზოგადად სამხედრო მეცნიერების განვითარებაში.

ქართულმა სამეცნიერო სკოლამ, მოცემულ ეტაპზე, უნდა დაძლიოს "რიდი", სამხედრო ძლიერებით წარმოჩენილი სახელმწიფოების სამეცნიერო წრეების წინაშე, და მრავალი მომიჯნავე სამეცნიერო დარგებიდან, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან სამხედრო მეცნიერების ცალკეულ სპეციალობას, საკუთარი კვლევებით უნდა შექმნან ინტელექტუალური ბაზა ქართული სამხედრო თეორიისა, რითაც ხელს შეუწყობენ, ერთის მხრივ, საქართველოში სამხედრო მშენებლობისა და სამხედრო ხელოვნების განვითარებას, რაც სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით არის განპირობებული, ხოლო, მეორეს

მხრივ, თავის წვლილს შეიტანენ ზოგადად სამხედრო მეცნიერების განვითარებაში, რაც, ასევე, არა მარტო მეცნიერის, არამედ თვით სახელმწიფოს ღირსებისა და პრესტიჟის საკითხია.

კონკრეტულად სამხედრო თეორიის ფუძემდებლური დებულებები, რომლებმაც, წარმოდგენილ მონოგრაფიაში, საქართველოს სამხედრო სივრცეში ასახვისას, მოითხოვა დამატებითი კვლევები, ცვლილებები და სათანადო დასაბუთებები, მოიცავენ ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს სამხედრო მეცნიერებისა, როგორებიცაა: ბრძოლისუნარიანობის, არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიის, ასიმეტრიული ომების პირობების, სტრატეგიული სამხედრო ოპერაციის, სამხედრო ოპერაციების დაგეგმარებისა და თვით სამხედრო ხელოვნების უპირველესი ქვაკუთხედის – ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნებისა და სტრატეგიის ურთიერთდამოკიდებულების სისტემური ტრანსფორმაციების პრინციპების სისტემატიზაცია შეიარაღებული ბრძოლის ფორმალიზებული პარამეტრებით, ფორმებითა და მოდელებით.

მოწინააღმდეგე მხარის ბრძოლისუნარიანობა

შეიარაღებული ბრძოლის წარმოების სასტარტო პარამეტრია ჯარებისა და ძალების ცალკეული ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთებისა და გაერთიანებების ბრძოლისუნარიანობა.

ბრძოლისუნარიანობა უნდა იქნას განხილული ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში მის უმთავრეს არგუმენტთან საბრძოლო შესაძლებლობებთან. შესაბამისად ბრძოლისუნარიანობა წარმოადგენს ძალებისა და საშუალებების სისტემატიზირებადი და არასისტემატიზირებადი გარემოებებით და პირობებით კომპლექსურად შექმნილ მდგომარეობას, რომელიც კონკრეტულ შეიარაღებულ ბრძოლაში განაპირობებს დროის გარკვეულ ინტერვალში და სივრცეში, საბრძოლო შესაძლებლობის რეალიზაციის პარამეტრებს.

აღნიშნული მიმართულებით სამხედრო თეორიაში ასევე არსებობს საბრძოლო მდგრადობის ცნებაც, მაგრამ მისი ტრადიციული განმარტება არაზუსტია [9], დაუკონკრეტებელია, მოკლებულია არსობრივ შეფასებას და, რაც მთავარია, სამხედრო თეორიის დარგში კვლევებში გამოყენებისათვის არგუმენტებს არ შეიცავს. ამდენად, ისევე, როგორც აუცილებელია პარამეტრის "ბრძოლისუნარიანობის" განმსაზღვრელი დებულების შემუშავება, ასევე დასაზუსტებელია და ადგილმისაჩენი პარამეტრი "საბრძოლო მდგრადობა". ამისათვის კი უფრო ვრცლად უნდა იქნას განხილული "ბრძოლისუნარიანობა", როგორც შეიარაღებული ბრძოლის უმთავრესი სახასიათო პარამეტრის არსი.

ამ მხრივ, უნდა დაისვას შემდეგი კითხვები:

1. რას შეიძლება გააჩნდეს ბრძოლისუნარიანობა;
2. რას წარმოადგენს ის, რასაც გააჩნია ბრძოლისუნარიანობა;

3. როგორ და რით შეიძლება შეიცვალოს ბრძოლისუნარიანობის პარამეტრები.

პრაქტიკული ფორმით და შინაარსით, უნდა განიმარტოს, რომ ბრძოლისუნარიანობა გააჩნია ნებისმიერ შეიარაღებულ ფორმირებას, რომლის შექმნის საფუძველია ძალისა და საშუალების ინტეგრაცია.

ტრადიციულად კი, სამხედრო ორგანიზაციაში, საბრძოლო შესაძლებლობის რეალიზაციისათვის, ბრძოლისუნარიანობის მდგომარეობაში განიხილებიან ქვედანაყოფები, სამხედრო ნაწილები, შენაერთები და სხვადასხვა გაერთიანებები. ასეთი მიდგომა ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მართებულია, მაგრამ საკითხის ზოგადი სახით სისტემატიზაციისათვის მიუღებელია.

ბრძოლების, ოპერაციებისა და საბრძოლო მოქმედებების ლოგიკით, შეიარაღებულ ბრძოლაში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარეები, როგორც ბრძოლისუნარიანები, წარმოადგენენ რთულ სისტემებს, რომელსაც პირობითად ვუწოდოთ "მებრძოლი სისტემა".

"მებრძოლი სისტემა" უნდა იქნას განხილული სივრცეში განლაგებულ "მებრძოლი ელემენტების" სიმრავლედ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან, გარკვეული სქემით განთავსებული, "ფუნქციონირების კავშირებით" "საბრძოლო კავშირებით" (ნახ. 41).

"მებრძოლი სისტემა" და "მებრძოლი ელემენტები" სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა შინაარსის მატარებელნი არიან. მაგალითად, თუ "მებრძოლი სისტემა" არის გაერთიანება, მაშინ მისი "მებრძოლი ელემენტია" შენაერთი, ხოლო თუ შენაერთს განვიხილავთ "მებრძოლ სისტემად", მაშინ მისი "მებრძოლი ელემენტები" სამხედრო ნაწილებია და ასე შემდეგ.

"მებრძოლი ელემენტების" ასეთი შესაძლო, საფეხურებიანი მნიშვნელობები თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ზედა საფეხურის "მებრძოლი ელემენტი" თვითონ არის "მებრძოლი სისტემა", რომელიც შედგება ქვედა საფეხურის "მებრძოლი ელემენტებისაგან" (ნახ. 42).

"მებრძოლ სისტემას" გააჩნია საკუთრივი "საბრძოლო შესაძლებლობა", რომელიც განისაზღვრება ორი პირობით ცალკეული მებრძოლი ელემენტის "საბრძოლო შესაძლებლობით" და "მებრძოლი სისტემის" ფუნქციონირების "საბრძოლო კავშირების" ფორმით, გეომეტრიით, შინაარსით, მწარმოებლობით და საიმედოობით. ამდენად, ბუნებრივია დასკვნა იმისა, რომ "მებრძოლი სისტემის" "საბრძოლო შესაძლებლობები" შეიძლება იყოს ნაკლები "მებრძოლი ელემენტების" "საბრძოლო შესაძლებლობების" ალგებრულ ჯამზე, მისი ტოლი ან მეტი, რაც დამოკიდებულია "მებრძოლი სისტემის" შექმნის გეომეტრიაზე და "ფუნქციონირების კავშირების" ეფექტურობაზე.

ამდენად, კითხვაზე თუ რას გააჩნია "ბრძოლისუნარიანობა" პასუხია "მებრძოლ სისტემას".

რაც შეეხება კითხვას – როგორ შეიძლება შეიცვალოს “ბრძოლისუნარიანობის” პარამეტრები – მასზე პასუხი შემდეგ ლოგიკას ექვემდებარება.

რადგანაც “ბრძოლისუნარიანობა” გააჩნია “მებრძოლ სისტემას”, როგორც ერთმანეთის მიმართ ურთიერთობებში კავშირებით მყოფ ელემენტთა სიმრავლეს, რომლებიც წარმოქმნიან მთლიანობას, ცვლილების შესაძლებლობის სამი შესაძლო ვარიანტი გააჩნია.

I. სისტემის ცვლილება მისი შემადგენელი “მებრძოლი ელემენტების” თვისებებისა და რაოდენობის შეცვლით;
II. სისტემის ცვლილება მისი შემადგენელი “მებრძოლ ელემენტებს” შორის ფუნქციონირების “საბრძოლო კავშირების” საკუთრივი თვისების, ბუნების, განლაგების გეომეტრიისა და რაოდენობის შეცვლით;
III. სისტემის ცვლილება კომბინირებულად “მებრძოლი ელემენტების” და “საბრძოლო კავშირების” ერთობლივი შეცვლით.



ნახ. 41 – მებრძოლი სისტემა



ნახ. 42 – მებრძოლი სისტემის საფეხურიანი სქემა გაერთიანების დონეზე

ამასთან იმდენად, რამდენადაც შეიარაღებული ბრძოლა დინამიკური პროცესია და მისი რეალიზაცია "მებრძოლი სისტემით" ხორციელდება, ბუნებრივია, რომ შეიარაღებული ბრძოლის მომზადების, წარმოებისა და დამთავრების ყველა ეტაპზე, დროში და სივრცეში უწყვეტად ან წყვეტილად, მიმდინარეობდეს "მებრძოლი სისტემის" ცვალებადობა, რაც განაპირობებს "ბრძოლისუნარიანობის" ცვლილებას ან მის შენარჩუნებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთ განხილული სამი ვარიანტიდან, პირველი შემთხვევა გულისხმობს "მებრძოლი სისტემის" ცვლილებას, მისი "მებრძოლი ელემენტების" თვისების "საბრძოლო შესაძლებლობის" შესუსტებას, ან გაზრდას, მათი განადგურებით, გაძლიერებით ან ახლის დამატებით.

ამ მხრივ, შეიარაღებული ბრძოლის მოდელირების ლოგიკას თუ ძალოვანი მექანიკური სისტემების ანალოგიებს დავაფუძნებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბრძოლისუნარიანობის ერთ-ერთი განმაპირობებელია "მებრძოლი სისტემის სიმტკიცე". ანუ საბრძოლო შესაძლებლობების პოტენციალი, საბრძოლო დაძაბულობის პირობებში, "მებრძოლი ელემენტების" "საბრძოლო შესაძლებლობის რღვევის" თუნდაც საკმარის ზღვრულ სიდიდეებში შენარჩუნებისა.

"მებრძოლი სისტემის" ბრძოლისუნარიანობის მეორე განმაპირობებელია "მებრძოლი სისტემის" "საბრძოლო მდგრადობა". ეს ის ზემოთ აღნიშნული II შემთხვევაა, როდესაც "მებრძოლი სისტემის" "მებრძოლი ელემენტები" ინარჩუნებენ საკმარის საბრძოლო შესაძლებლობებს, მაგრამ "მებრძოლი ელემენტებს" შორის ფუნქციონირების "საბრძოლო კავშირების" თვისებების, ბუნების, განლაგების სქემისა და გეომეტრიის ცვალებადობით ხდება "მებრძოლი სისტემის" სტრუქტურის რღვევა ან დეფორმაციები. ასეთი სიტუაციები განაპირობებენ ბრძოლისუნარიანობის ცვლილებით ან დაკარგვით, "მებრძოლი სისტემის" "საბრძოლო ადგილობრივი მდგარობის" ან "საბრძოლო მთლიანი მდგრადობის" დაკარგვისა.

"საბრძოლო ადგილობრივი მდგრადობა" და ან "საბრძოლო მთლიანი მდგრადობა" არის შემადგენელები მათი გამაერთიანებელი ცნებისა "საბრძოლო მდგრადობა".

"საბრძოლო ადგილობრივი მდგომარეობის" დაკარგვა წარმოადგენს პროცესს, როდესაც "მებრძოლი სისტემის" ბრძოლისუნარიანობა ძირითადში კლებულობს ან ზოგჯერ მთლიანადაც იკარგება, მებრძოლი სისტემის ცალკეული "მებრძოლი ელემენტების", როგორც დაბალი საფეხურის, "მებრძოლი სისტემის" საერთო მდგომარეობის დაკარგვით.

"საბრძოლო მთლიანი მდგომარეობის" დაკარგვა წარმოადგენს პროცესს, როდესაც მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის დაკარგვა ან ზოგჯერ შემცირება ხდება მთლიანად "მებრძოლი სისტემის" მდგომარეობის დაკარგვით.

ამდენად, შეიძლება განიმარტოს, რომ ბრძოლისუნარიანობა დამოკიდებულია ორ პირობაზე "ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცეზე" და ბრძოლისუნარიანობის მდგრადობაზე (ნახ.43).

წარმოდგენილი სისტემატიზაცია ბრძოლისუნარიანობისა, როგორც აღინიშნა დაფუძნებულია მექანიკური სისტემების დინამიკის ლოგიკაზე, რაც შეიარაღებული ბრძოლის, როგორც ძალებისა და საშუალებების მიერ სივრცესა და დროში წარმოებული პროცესის გარკვეული იდეალიზაციაა, რომელიც შეიცავს პირობით დაშვებებსაც და აპროქსიმაციებსაც.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხების სისტემეტიზაციისას, მექანიკის პრინციპების გამოყენება მაქსიმალურად მარტივად, ლაკონურად, შეზღუდვით და მიზნობრივი შეოჩევით არის გამოყენებული ისე, რომ არ მოხდეს სამხედრო ხელოვნების სტანდარტების არსის და საფუძვლების, ერთის მხრივ, გადატვირთვა და, მეორეს მხრივ, არაბუნებრივი მოდელირება.

მას შემდეგ, რაც შემუშავებული მოდელით განისაზღვრა ბრძოლისუნარიანობა, როგორც "მებრძოლი სისტემის" ერთ-ერთი სახასიათო პარამეტრი, რომელსაც გააჩნია ორი თვისება ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობის მდგრადობა, გარკვეულ წილად აუცილებელი ხდება, მოცემული სისტემატიზაციით კლასიფიცირებული დებულებებით განვიხილოთ არსებული და სამხედრო ხელოვნების პრაქტიკაში მიღებული ცნებები – ბრძოლისუნარიანობის შესაძლებლობისა და საბრძოლო მდგრადობის მიმართებაში.

სამხედრო ლიტერატურაში არსებული განმარტებების მიხედვით ბრძოისუნარიანობა წარმოადგენს საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთ შემადგენელს. იგი ახასიათებს ჯარებსა და ძალებს, რათა მათ წარმატებით აწარმოონ საბრძოლო მოქმედება და სათანადოდ გამოიყენონ საბრძოლო შესაძლებლობები. ომების ისტორიის შეფასებებით ბრძოლისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვად მიჩნეულია პირადი შემადგენლობისა და საბრძოლო ტექნიკის 50-60%-მდე განადგურება. ხოლო ბრძოლისუნარიანობის მთლიანად დაკარგვად მიჩნეულია ძალებისა და საშუალებების 50-60%-ზე მეტის მწყობრიდან გამოყვლა ან მართვის რღვევა.

რაც შეეხება ცნებას საბრძოლო მდგრადობა, მისი შინაარსობრივი დატვირთვა არსებულ შეფასებებში პრაქტიკულად დაყვანილია იქამდე, რომ საბრძოლო მდგრადობა არის ჯარებისა და ძალების თვისება, რათა მათ შეინარჩუნონ ზემოთ აღნიშნული ბრძოლისუნარიანობა და მოწინააღმდეგის აქტიური მოქმედებების პირობებში განახორციელონ დასახული საბრძოლო ამოცანები, რაც დამოკიდებულია მათ საბრძოლო მზადყოფნაზე, საბრძოლო უნარზე და მართვის სისტემაზე, ასევე ძალებისა და საშუალებების სიცოცხლისუნარიანობაზე.



ნახ. 43 – მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის სტრუქტურა

აღნიშნული შინაარსი, სამხედრო თეორიის ხელოვნებაში არსებული ცნებებისა, ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მდგრადობისა არავითარ სისტემურ საფუძველს არ შეიცავს. შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო თეორიაში კვლევებისათვის და მით უმეტეს სამხედრო დაგეგმარებისათვის, მათი კონკრეტულ პარამეტრად გამოყენების მზადყოფნა რეალურად არ გააჩნიათ. უფრო მეტიც, ეს ორი ცნება, არსებული განმარტებებით, ძალიან მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც მათი მნიშვნელობის აღრევასაც კი იწვევს.

ბრძოლისუნარიანობის ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვა, ბუნებრივია, რომ მისი დაზიანების, მოცემულ შემთხვევაში საბრძოლო დაზიანების მასშტაბებით არის განპირობებული. ამდენად, ასევე მნიშვნელოვანია, არსებული განმარტებები თვით "დაზიანების", როგორც სამხედრო ხელოვნებაში მიღებული ცნებისა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც განმარტება არ ეფუძნება შეიარაღებული ბრძოლის პროცესების სისტემურ განხილვას და ზოგადად მიუთითებს იმაზე, რომ დაზიანება, რომელიც მიიღწევა მოწინააღმდეგეზე, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში, ძალებისა და საშუალებების ზემოქმედებით, განაპირობებს მისი ბრძოლისუნარიანობის ნაწილობრივ ან მთლიან დაკარგვას. მაგრამ არის კიდევ ერთი საგულისხმო ელემენტი ზოგიერთ არსებულ განმარტებებში, სადაც ბრძოლისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვასთან ერთად მინიშნება კეთდება ბრძოლისუნარიანობის დროებით დაკარგვაზე. ეს ელემენტი უკვე შეიცავს გარკვეულ შინაარსობრივ დატვირთვას, რომელიც სისტემურ მიდგომაში პოულობს ასახვას.

ამდენად, ცნებების ბრძოლისუნარიანობის, საბრძოლო მდგრადობისა და საბრძოლო დაზიანების, არსებული განმარტებები, მხოლოდ საბოლოო შედეგის სტატიკუ სურათზეა ორიენტირებული და ის, სამივე შემთხვევაში ერთი და იგივე ფრაზებით და, რაც მთავარია, კლასიფიცირების გარეშე ახასიათებს რა ვითარებას, არ ეფუძნება სისტემურ ანალიზს და, რაც მთავარია, როგორც ფუნქციის არგუმენტი, ვერ იქნება გემოყენებული შეიარაღებული ბრძოლის დინამიკური პროცესების პროგროზირებასა და დაგეგმარებაში.

შესაბამისად, შემუშავებული მოდელის საფუძველზე, აუცილებელი ხდება კლასიფიცირება არა მარტო ბრძოლისუნარიანობის, ბრძოლისუნარიანობის მდგრადობისა და ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის, როგორც მოვლენისა, არამედ შეიარაღებული ბრძოლის პროცესში, "მებრძოლ სისტემაზე" "იარაღის ძალის" ზემოქმედებით, მათი ცვალებადობის შემცირების და დაკარგვის სისტემური გრადაციისა, რომელიც ასევე სისტემატიზებული პროცესებით იქნება ახსნილი და განმარტებული.

დასმული ამოცანის გადაწყვეტა, პრაქტიკულად უკვე მიღწევადი იყო, როდესაც კონკრეტულად იქნა გაანალიზებული "მებრძოლი სისტემის", როგორც "საბრძოლო კავშირებით" გაერთიანებული "მებრძოლი ელემენტების" მთლიანი მექანიზმის, ბრძოლისუნარიანობის და შესაბამისი "ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცისა" და "ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის" პარამეტრები. მიუხედავად ამისა, გარკვეულად მაინც, აუცილებელია ბოლომდე იქნას მიყვანილი მსჯელობა, რათა შემოთავაზებული სისტემური მოდელის ანალოგიის მიხედვით, კლასიფიცირებული გრადაციით, განისაზღვროს ბრძოლისუნარიანობის დაკარგვის და შესაბამისად "მებრძოლი სისტემის" დაზიანების სახეები და მათი ურთიერთდამოკიდებულებები.

შემუშავებული მოდელით, აღნიშნული საკითხების სისტემატიზაციით, არსი ბრძოლისუნარიანობისა, როგორც აღინიშნა, კონკრეტულად განმარტებულია "ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცით" და "ბრძოლისუნარიანობის მდგრადობით". ამდენად, კვლავ ხაზი ესმება იმას, რომ ბრძოლისუნარიანობის დაკარგვა, შეიძლება განისაზღვროს პროცესებით, როდესაც "მებრძოლი სისტემის" დაზიანებით ხდება "ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის" და "ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის" დაკარგვა ან შემცირება.

ასევე, თუ გავიხსენებთ შემუშავებულ განმარტებას, "მებრძოლი სისტემის" ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცე დამოკიდებულია მის უნარზე და შესაძლებლობებზე, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში "იარაღის ძალით" ზემოქმედებისას შეინარჩუნოს, თუნდაც რღვევის ზღვრულ მნიშვნელობებამდე, მისი შემადგენელი "მებრძოლი ელემენტების" რაოდენობა, მათი საბრძოლო შესაძლებლობები და ფუნქციონირების უნარი სათანადო "საბრძოლო კავშირებისა".

ამ მხრივ, რაც შეეხება "მებრძოლი სისტემის" "ბრძოლისუნარიანობის მდგრადობას", იგი დამოკიდებულია "მებრძოლი სისტემის" უნარზე, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში, "იარაღის ძალით" ზემოქმედებისას, შეინარჩუნოს "მებრძოლ ელემენტებს" შორის არსებული "საბრძოლო კავშირები", მათი თვისებები, ბუნება, განლაგების სქემა, გეომეტრია და ასევე "მებრძოლი ელემენტების" საპროექტო ანუ სასურველი მდგომარეობა სივრცეში.

ასეთი მიდგომით, "მებრძოლი სისტემის" "იარაღის ძალით", ნებისმიერი დაზიანების დროს, რაც განპირობებულია შეიარაღებული ბრძოლის პროცესით, "მებრძოლი სისტემა" იძულებით განიცდის ჯამურ დეფორმაციას, რაც შედეგია,

ერთის მხრივ, “ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის” და, მეორეს მხრივ, “ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის” სიდიდეების და შესაძლებლობების ცვალებადობისა. აქ სიტყვა “იძულებით” მიანიშნებს იმაზე, რომ “მებრძოლმა სისტემამ” თვით შეიარაღებული ბრძოლის და, თუნდაც, “იარაღის ძალით” ზემოქმედების პროცესში, ასევე შეიძლება განიცადოს ბრძოლისუნარიანობის ცვლილება სათანადო დეფორმაციებით, საკუთარი მხარის გადაწყვეტილების და გეგმის შესაბამისად, რაც მოცემული მსჯელობის ობიექტი არ არის.

“მებრძოლი სისტემის” “იარაღის ძალით”, იძულებითი დეფორმაცია (დაზიანება) შეიძლება იყოს მხოლოდ სამი სახის – დრეკადი დეფორმაცია (დაზიანება); დრეკად-პლასტიკური დეფორმაცია (დაზიანება); პლატიკური დეფორმაცია (დაზიანება). თითოეული მათგანის სისტემური ანალიზი საშუალებას იძლევა ბრძოლისუნარიანობის ცვლილების – დაკარგვის კლასიფიცირებისა.

“მებრძოლი სისტემის” “იარაღის ძალით” იძულებითი დრეკადი დაზიანება არის, “მებრძოლი სისტემის” “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვით” ისეთი დეფორმაცია, რომელიც წარმოიქმნება არა “მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი ელემენტების” რღვევით ან განადგურებით, არამედ ფუნქციონირების უნარის პირობებში, “საბრძოლო კავშირების” გეომეტრიული და ფიზიკური პარამეტრების ცვლილებით, მათი შემდგომი თვითაღდგენის თვისებების შენარჩუნებით.

ამდენად, “მებრძოლი სისტემის” დრეკადი დაზიანება მიეკუთვნება მისი “ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის” სფეროს, როდესაც “იარაღის ძალით” გამოწვეული დეფორმაციები, მთლიანად აღდგენადია (ნახ. 44).



ნახ. 44 – მებრძოლი სისტემის, იარაღის ძალით დრეკადი დაზიანების შესაძლო სქემების ეტაპები

— “მებრძოლი სისტემის” “იარაღის ძალით” იძულებით დრეკად-პლასტიკური დაზიანება არის, შუალედური ფორმა დაზიანებისა, რომელიც ერთდროულად მიეკუთვნება “ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის” და “ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის” სფეროებს, როდესაც “იარაღის ძალით” გამოწვეული დეფორმაციები ნაწილობრივ აღდგენადია.

აღნიშნული შემთხვევა მიუთითებს იმაზე, რომ “მებრძოლ სისტემაზე” “იარაღის ძალით” ზემოქმედება იწვევს როგორც მთელი რიგი “საბრძოლო კავშირების”, ასევე “მებრძოლი ელემენტების” გარკვეული რაოდენობის ნაწილობრივ რღვევას იმ ხარისხში, რომ მათი საწყისი სახით აღდგენა შეუძლებელი ხდება, ან საერთოდ განადგურებას.

ამასთან, “მებრძოლ სისტემაში” კვლავაც რჩება შენარჩუნებული ფუნქციონირებადი “საბრძოლო კაშირები” და “მებრძოლი ელემენტები”, რომლებიც განაპირობებენ მთელი “მებრძოლი სისტემის” დეფორმაციების გარკვეული ნაწილის აღდგენას, ანუ “მებრძოლი სისტემა” ნაწილობრივ ინარჩუნებს ბრძოლისუნარიანობას (ნახ. 45).



ნახ. 45 – მებრძოლი სისტემის, იარაღის ძალით დრეკად-პლასტიკური დაზიანების შესაძლო სქემების ეტაპები

— “მებრძოლი სისტემის” “იარაღის ძალით” იძულებით პლასტიკური დაზიანება არის “მებრძოლი სისტემის” “შეიარაღებული ბრძოლის დატვირთვით” ისეთი დეფორმაცია, რომელიც წარმოიქმნება “მებრძოლი სისტემის” “საბრძოლო კავშირებისა” და “მებრძოლი ელემენტების” იმ ხარისხით და რაოდენობით რღვევისა და განადგურების დროს, როდესაც “მებრძოლი სისტემის” დეფორმაციები თვითაღდგენას აღარ ექვემდებარება. (ნახ. 46).



ნახ. 46 – მებრძოლი სისტემის იარაღის ძალით პლასტიკური დაზიანების შესაძლო სქემების ეტაპები

შესაბამისად, როდესაც სამხედრო დაგეგმარების ეტაპზე იგეგმება მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” დაზიანების მასშტაბი და სახე, სათანადო გათვლებით უნდა განისაზღვროს “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვის” ისეთი

პარამეტრები, რომლებითაც მათ მიეკუთვნებათ სახელწოდებები: “შეიარაღებული ბრძოლით დრეკადი დატვირთვა”; “შეიარაღებული ბრძოლით დრეკად-პლასტიკური დატვირთვა” და “შეიარაღებული ბრძოლით პლასტიკური დატვირთვა”.

საერთოდ კი მექანიკის იდეოლოგიისა და პრინციპების გამოყენება სამხედრო თეორიაში, როგორც სისტემატიზაციის ლოგიკური საფუძვლებისა, სამხედრო მეცნიერებისათვის და, უფრო მეტიც, სამხედრო ხელოვნების პრაქტიკული შეფასებებისათვის, ახალი სრულებით არ არის და, მომავალშიც, მას პერსპექტივა გააჩნია. აღნიშნულის მაგალითებია სამხედრო თეორიაში დამკვიდრებული და აპრობირებული ცნებები – ბრძოლის ველის გეომეტრია; დაძაბულობის თეორია; გრავიტაციული ცენტრი; ხახუნის თეორია; ასიმეტრია; არაპირდაპირი მოქმედება; სიმკვრივე; სიმძიმის ცენტრი და სხვა მრავალი შეფასებებიც, თუნდაც ნაპოლეონ ბონაპარტისა, რომელიც ბრძოლისუნარიანობის უმთავრეს პარამეტრად მასისა და მისი გადაადგილების სიჩქარის ნამრავლის ანალოგიას ასახელებს.

ამ მხრივ, კიდევ უფრო დამაჯერებელია სამხედრო თეორიის ფუძემდებლების შეფასებები. კარლ ფონ კლაუზევიცი აღნიშნავდა, რომ “ომის წარმოება ჩამოჰგავს უდიდესი ხახუნის მქონე რთული მექანიზმის მუშაობას, ამიტომ კომბინაციები, სულ იოლად რომ იგეგმება ქაღალდზე, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი ძალისხმევის გამოყენებით”. ამასთან, დასძენდა, რომ “ომი ვითარდება ერთდროულად მრავალი მიმართულებით და არ გააჩნია მკაფიოდ გამოკვეთილი ფარგლები, მაშინ როდესაც ნებისმიერ სისტემას ან მოდულს აქვს სასრული ბუნება. სწორედ ამიტომ, თეორიასა და პრაქტიკას შორის თითქმის გამუდმებით მიმდინარეობს შეურიგებელი კონფლიქტი”.

კლაუზევიცის აღნიშნული ორი შეფასება, შეიძლება ითქვას, ფუძემდებლურია სამხედრო ხელოვნების თეორიის, როგორც მეცნიერების და სამხედრო ხელოვნების, პრაქტიკული პოზიციების გასამიჯნად. ამ მხრივ, სამხედრო ისტორია იცნობს ცნობილი მხედართმთავრების მსგავსი ხასიათის გამონათქვამებს და დებულებას, მაგრამ ისინი არ ეფუძნებიან ემპირიულ ლოგიკას და, ამდენად, მხოლოდ შეხედულების სტატუსს ინარჩუნებენ. კლაუზევიცის “ხახუნის თეორიამ” და შემდეგ “სიმძიმის ცენტრმა” სამხედრო მეცნიერებაში, რიგი საკითხების სისტემატიზაციით, მაღალი საიმედოობით აღიარა მექანიკის პრინციპების გამოყენება შეიარაღებული ბრძოლის მოდელირებაში. ამასთან, კლაუზევიცმა თვითონვე განმარტა ცდომილებათა ის რეალობები, რომელიც არსებობს მოდელისა და რეალობის ბუნებებს შორის. ასეთმა ორმაგმა მიდგომამ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხედრო ხელოვნების თეორიის განვითარებაში.

როგორც მაგალითი, ერთის მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო ხელოვნებაში “გრავიტაციული (სიმძიმის) ცენტრის” დებულების არსებობით

შეიძლება აიხსნას მრავალი პრინციპული მიმართულებების არსი და, ასევე, მათ შორის არსებული წინააღმდეგობრივი პოზიციები, რომლებიც წარმოჩნდა ლიდდელ ჰარტის კონცეფტუალურ შრომაში – "არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია" [45].

მეორეს მხრივ, კლაუზევიცის, ემპირიული ლოგიკის საფუძველზე, განმარტებულმა პოზიციამ – "თეორიასა და პრაქტიკას შორის თითქმის ყოველთვის არსებობს შეურიგებელი კონფლიქტი", კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა იმ სისტემური მოდელის ვარგისიანობა, რომელიც ერთობლიობაში ან პირიქით სრულიად განცალკევებულად განიხილავს სამხედრო თეორიას და სამხედრო პრაქტიკას. მეცნიერული მიდგომით შეუძლებელია აღიარო თეორია თუ იგი თითქმის ყოველთვის წინააღმდეგობაშია პრაქტიკასთან.

აქ განხილული ორივე შემთხვევის კვლევა, გარკვეული მიმართულებით და კონკრეტული მიზნით, წარმოდგენილი მონოგრაფიის ფარგლებში განხორციელდა. ამის აუცილებლობა განაპირობა არა მარტო მოთხოვნამ იმისა, რომ ზოგადად სამხედრო მეცნიერების აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში შეტანილიყო წვლილი, არამედ უპირადესად იმ რეალობამ, რომ საქართველოსა და მისი მსგავსი სამხედრო უსაფრთხოების სივრცის სახელმწიფოებისათვის, თანამედროვე შეიარაღებული ბრძოლების ფორმებისა და შინაარსის მიხედვით, როგორც პოტენციურად ასიმეტრიული ომის პირობებში მყოფი ქვეყნისათვის, პრიორიტეტულია არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის დაზუსტებული გაგება და გამოყენება.

ასევე პირველხარისხოვანია საქართველოს სახელმწიფოს ომისათვის მომზადების და საბრძოლო მოქმედების წარმოების ისეთი თეორიული საფუძვლების განსაზღვრა, რომელიც სამხედრო ხელოვნების შესაძლო პრაქტიკული სცენარების პროგნოზირებად შედეგებზე იქნება ორიენტირებული და არ დაუპირისპირდება მას. ამის გარკვეულ აუცილებლობას საქართველოსათვის განაპირობებს საკუთარი სამხედრო პოტენციალისა და მისთვის აქტუალურ საომარი მოქმედებების თეატრზე განთავსებული სახელმწიფოების სამხედრო პოტენციალთა თანაფარდობები, რაც პრაქტიკულად რეზერვის დიდ რესურსს გამორიცხავს.

ძირითადი კვლევის პრობლემატიკის გარდა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების მომზადებას და საქართველოში საბრძოლო მოქმედებების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას შეეხება, საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლების შემუშავებისათვის, აუცილებლობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ მონოგრაფიაში სამხედრო თეორიის შემდეგი პრობლემატიკა და ამოცანები არის განხილული.

1. ბრძოლისუნარიანობა; 2. მებრძოლი სისტემის დინამიკური და გეომეტრიული პარამეტრები; 3. არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია და ასიმეტრიული ომები; 4. სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და

ტაქტიკის ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულების ახალი კონცეფცია; 5. დაგეგმარება, როგორც შუალედური სივრცე სამხედრო გეგმასა და სამხედრო ხელოვნებას შორის; 6. სამხედრო სტრატეგიული ოპერაციის საქართველოსადმი ადაპტირებული მოდელი.

"მებრძოლი სისტემის" დინამიკური და გეომეტრიული პარამეტრები

"მებრძოლი სისტემის" პარამეტრების დადგენა, სამხედრო თეორიის მრავალი ამოცანის მათემატიკური მოდელირების და კვლევებში სისტემატიზაციის აუცილებელი პირობაა. ამასთან, სისტემას, რომელიც მექანიკური პროცესების ლოგიკით არის მოდელირებული, მრავალი პარამეტრი შეიძლება შეესაბამებოდეს, რომლებიც გარკვეულ დიაპაზონში და გარკვეული მიახლოებით ასახავენ და ახასიათებენ შეიარაღებული ბრძოლის სხვადასხვა გამოვლენებსა და სიტუაციებს. მაგრამ ასეთი განზოგადოებული მიდგომა, რომელიც აუცილებლად მოითხოვდა უნივერსალიზაციის პრინციპების შემუშავებასაც, საკმაოდ და ხშირ წემთხვევაში გადაულახავ სირთულეებს შექმნიდა, იგი იქნებოდა ზედმეტად ხელოვნური, ასევე მათემატიკური აპარატით ზედმეტად გადატვირთული და ნაკლებად მიესადაგებოდა შეიარაღებული ბრძოლის რეალურ ბუნებას, რომელშიც არასისტემატიზირებული პარამეტრების მნიშვნელობა და წილი ძალიან დიდია.

მოცემული კვლევის ფარგლებში ამოცანა უფრო კონკრეტული, მაქსიმალურად ლაკონური და მიზანმიმართულია. კვლევები უპირატესად მოიცავენ "მებრძოლი სისტემების" ისეთ პარამეტრებს, რომლებიც შინაარსობივად და გამოვლენის ფორმითა და ბუნებით ახლოს არიან ზოგადად ცნობილი მექანიკური სისტემების და მათი დინამიკური პროცესების პარამეტრებთან. ამასთან, რაც უმთავრესია, საკითხები შეეხება ისეთი პარამეტრების განსაზღვრას, რომელთა სისტემატიზირებული განხილვით შესაძლებელი იქნება "შეიარაღებული ბრძოლის" მოდელში, მათემატიკური ლოგიკით "გრავიტაციული (სიმძიმის) ცენტრის" და "არაპირდაპირი მოქმედებების" ფორმალიზებული განსაზღვრა და შესწავლა. ამის აუცილებლობის პირველადი ნიშნები არის ის, რომ სამხედრო თეორიაში ფართოდ გავრცელებული მექანიკის დარგიდან შემოტანილი დებულებები, თუნდაც "სიმძიმის ცენტრის" და "არაპირდაპირი მოქმედების" შესახებ, ერთის მხრივ, წინააღმდეგობაში მოდიან თვით მათ საბაზო მოდელთან – მექანიკურ სისტემასთან, მექანიკის დებულებებთან და, მეორეს მხრივ, უკვე სამხედრო თეორიაში ტრანსფორმირებულნი, წინააღმდეგობრივი ახსნით და არგუმენტაციის გარეშე, რიგ შემთხვევაში, სრულიად განსხვავებული შინაარსის ინტერპრეტაციებს მოიცავენ, რომლებიც თვით სამხედრო ხელოვნების თეორიული საფუძვლების მიმართ ხდებიან შეთავსებულები.

აღნიშნული კვლევის მეორე აუცილებლობას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების ერთიანი სისტემის პრიორიტეტებისა და კანონზომიერების დადგენაში, რაც გარკვეულწილად მოცემული მონოგრაფიის ამოცანაც არის, რეალური არსით, შინაარსით, ბუნებით და, რაც მთავარია, ნაკლები შეცდომებით და მიზანდასახულად იქნას გამოყენებული და რეალიზებული მეთოდები და პრინციპები არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიისა.

როგორც განისაზღვრა "მებრძოლი სისტემა" წარმოადგენს სისტემას "მებრძოლი ელემენტების" სიმრავლისა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ფუნქციონირების "საბრძოლო კავშირებით". ამდენად, "მებრძოლი სისტემის" მასების გეომეტრია, რომელიც, როგორც წესი, განიხილავს მასების გადანაწილებას მექანიკურ სისტემაში და წარმოადგენს დინამიკის დარგის შემადგენელს, რაც შეიარაღებული ბრძოლის მოდელში ბუნებრივია გულისხმობს "მებრძოლი ელემენტების" გადანაწილებას "მებრძოლ სისტემაში".

კლასიკურ მექანიკაში ცნობილი, მასების გეომეტრიით განსაზღვრული, მექანიკური სისტემის მასის "მებრძოლი ელემენტით" იდეალიზაცია, მოითხოვს შემდეგი პირობების ჩამოყალიბებას.

— ცალკეული "მებრძოლი ელემენტი", "მებრძოლ სისტემაში" განიხილება მატერიალურ წერტილად, რომელსაც გააჩნია "მებრძოლი მასა", რაც პარამეტრალურად ხასიათდება მოცემული კონკრეტული "მებრძოლი ელემენტის" ბრძოლისუნარიანობით.
— ცალკეულ "მებრძოლ ელემენტს", როგორც მატერიალური წერტილის სახით წარმოდგენილ "მებრძოლ მასას", "მებრძოლ სისტემაში", როგორც სივრცეში განთავსებულ სიმრავლეში, გააჩნია თავისი მდებარეობის კოორდინატები, კონკრეტულ ათვლის სისტემაში. ამასთან, "მებრძოლ ელემენტს", როგორც მატერიალური წერტილის სახით წარმოდგენილს, რეალობაში გააჩნია საკუთარი გაბარიტები, რაც მოითხოვს იმას, რომ საკუთრივ "მებრძოლი ელემენტის" სივრცეში განისაზღვროს ის კოორდინატები, რომლითაც ის დაიკავებს საკუთარ ადგილს "მებრძოლ სისტემაში", როგორც მისი შემადგენილი მატერიალური წერტილი, რომელსაც გააჩნია თავისი "მებრძოლი მასა".
— "მებრძოლ სისტემაში", მატერიალურ წერტილებად განხილული "მებრძოლი ელემენტების" "მებრძოლ მასებს" შორის არსებობს ფუნქციონირების – "საბრძოლო კავშირები", რომლებიც მიეკუთვნებიან სისტემის შიდა კავშირებს.
— "მებრძოლ სისტემას" გააჩნია ასევე სისტემის გარე კავშირები. იმ შემთხვევაში, თუ "მებრძოლი სისტემის" სივრცეში გადაადგილება შეზღუდულია, არსებული გარე კავშირების გამო, მაშინ სისტემა არის

“არათავისუფალი მებრძოლი სისტემა”. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც კავშირები არ ზღუდავენ “მებრძოლი სისტემის” გადაადგილება, სისტემა წარმოადგენს “თავისუფალ მებრძოლ სისტემას”.

იმ შემთხვევაში, როდესაც “მებრძოლი სისტემის” შეფასება ხდება იმ თვისების მიხედვით “თავისუფალია” იგი, თუ “არათავისუფალი”, გარე კავშირების ნაცვლად, დაზუსტებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ტერმინი – “საბრძოლო ბმები”. ასეთი განმარტება აკონკრეტებს იმას, რომ “საბრძოლო კავშირები” შინაარსობრივად “მებრძოლი სისტემის” “მებრძოლ ელემენტებს” შორის ფუნქციონალური უზრუნველყოფის “საბრძოლო კავშირებია”. რაც შეეხება “საბრძოლო ბმებს”, მათი შინაარსი უფრო შეესაბამება იმ ვირტუალურ თუ ფიზიკურად არსებულ გარემოებებს, პირობებს, ვითარებებს, შესაძლებლობებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც განაპირობებენ რეალობებს მისცეს თავისუფლების ხარისხი “მებრძოლ სისტემას” ან შეზღუდოს მისი გადაადგილება დროსა და სივრცეში.

— “საბრძოლო კავშირები” და “საბრძოლო ბმები”, როგორც კავშირები, მიუხედავად იმისა მათი გამოვლენა და არსი მატერიალური, ინტელექტუალური თუ ვირტუალურია, სისტემური თვალსაზრისით ძირითადში შემდეგი სახით კლასიფიცირდებიან:

- ორმხრივი საბრძოლო კავშირი;
- ცალმხრივი საბრძოლო კავშირი;
- დროზე დამოკიდებული სტაციონარული კავშირი;
- დროზე და ვითარებებზე დამოკიდებული არასტაციონარული კავშირი;
- დაბალი წარმადობის კავშირი;
- მაღალი წარმადობის კავშირი;
- საიმედო კავშირი;
- არასაიმედო კავშირი;
- ხაზოვანი კავშირი;
- სიბრტყითი კავშირი;
- სივრცითი კავშირი;
- შორეული კავშირი;
- ახლო კავშირი;
- კავშირი დამოკიდებული ფიზიკურ ბუნებაზე;
- კავშირი დამოკიდებული ვირტუალურ ბუნებაზე

ჩამოთვლილი და ჩამოყალიბებული პირობები, პრაქტიკულად მათემატიკური მოდელირების მხრივ უზრუნველყოფენ “მებრძოლი სისტემის” დინამიკური პროცესების შესწავლას იმ კონკრეტული ამოცანების სპექტრში, რაც მოცემულ შემთხვევაში განიხილება.

“მებრძოლი სისტემის” დინამიკური პროცესები შეიძლება განპირობებული იყოს სამი ვითარებით:

ვითარება I – შიგა ენერგეტიკული უზრუნველყოფით დაიწყოს სისტემის გადაადგილების და ცვალებადობის პროცესები, როგორც "თავისუფალი მებრძოლი სისტემისა" (ნახ. 47).



ნახ. 47 – თავისუფალი მებრძოლი სისტემის, შიგა ენერგეტიკული უზრუნველყოფით, გადაადგილების და ცვალებადობის პროცესების სქემები.

ვითარება II – შიგა ენერგეტიკული უზრუნველყოფით დაიწყოს სისტემის გადაადგილების და ცვალებადობის პროცესები, როგორც "არათავისუფალი მებრძოლი სისტემისა". ასეთ ვითარებაში წინამორბედი შემთხვევისაგან განსხვავებით აუცილებელია "საბრძოლო ბმის" დაძლევა – მისი რღვევის ან "საბრძოლო ბმის" რეაქციის დაძლევით. "საბრძოლო ბმა" შეიძლება იყოს განპირობებული საკუთარი მხარის და განთავსების ვითარებით და პირობებით, აგრეთვე მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემისაგან" გამოწვეული უკუქმედება, ან მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემისაგან" უშუალო საბრძოლო შეხების გარეშე სხვა ხელოვნური, ბუნებრივი ან ფიზიკური თუ ვირტუალური ფაქტორები (ნახ.48).



ნახ. 48 – არათავისუფალი მებრძოლი სისტემის, შიგა ენერგეტიკული უზრუნველყოფით, გადაადგილების და ცვალებადობის პროცესების სქემები.

რადგანაც საკითხის განხილვაში, გამოყენებული იქნა ტერმინი – საბრძოლო შეხება, აუცილებელია განიმარტოს, რომ ის ახასიათებს შეიარაღებული ბრძოლის სცენარებს ხმელეთზე, წყალზე და წყალში, ჰაერში და კოსმოსში და ჩამოთვლილი არეალების სხვადასხვა კომბინაციების შეფასებით. ყველა შემთხვევაში, საბრძოლო შეხება განსაზღვრავს მოწინააღმდეგე ძალებისა და საშუალებების ინტეგრირებული ჯგუფების ისეთ ურთიერთგანთასებას, როდესაც მათ დამატებითი გადაადგილების გარეშე, და დროის ფიქსირებულ ინტერვალში, გააჩნიათ შესაძლებლობები ერთმანეთზე იარაღით ზემოქმედებისა.

ვითარება III – მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემის" ან რამოდენიმე "მებრძოლი სისტემის" საკუთარი ენერგეტიკული უზრუნველყოფით, ურთიერთის მიმართ ზემოქმედება – როგორც ფაქტორი იარაღით ზემოქმედებისა.

"მებრძოლი სისტემის" ურთიერთზემოქმედება, განისაზღვრება "მებრძოლი სისტემის" მდებარეობებით სივრცეში, მათი გადაადგილებებით და გავრცელების არით, ასევე დაზიანების სათანადო სახეობით. (ნახ. 49).



ნახ. 49 – მოწინააღმდეგე მებრძოლი სისტემების, საკუთარი ენერგეტიკული უზრუნველყოფით, ურთიერთზემოქმედებით გადაადგილების და ცვალებადობის პროცესების სქემები.

ამ მხრივ, ყოველ "მებრძოლ სისტემას", როგორც აღინიშნა, გააჩნია ორსაფეხურიანი გავრცელების არე – "მებრძოლი სისტემის" გავრცელების "ფუნქციონალური არე" და "მებრძოლი სისტემის" "აქტიური არე".

"ფუნქციონალური არე" მოიცავს "მებრძოლი სისტემის" შემადგენელი "მებრძოლი ელემენტების" სიმრავლის გავრცელების "გეომეტრიულ არეს", რომელიც შემოფარგლულია სიმრავლის გეომეტრიული ფორმის განმსაზღვრელი მიჯნით.

“აქტიური არე” მოიცავს “მებრძოლი სისტემის” შემადგენელი “მებრძოლი ელემენტების” სიმრავლის საბრძოლო შესაძლებლობების – “საიარაღო ზემოქმედების” შესაძლებლობის გავრცელების მაქსიმალურ არეალს, ანუ “საიარაღო ზემოქმედების არეალს”, რომელიც შემოფარგლულია “მებრძოლი სისტემის” მაქსიმალური საიარაღო ზემოქმედებების შესაძლებლობის მიჯნით – “საიარაღო ზემოქმედების მიჯნით”. (ნახ. 50).



ნახ. 50 – მებრძოლი სისტემის გავრცელების გეომეტრიული და აქტიური არეალების შესაძლო სქემა

III ვარიანტის შესაბამისი – მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” ურთიერთზე ზემოქმედება, ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” პირველი საფეხურის გავრცელების არიდან – “გეომეტრიული არიდან” გადასვლით მეორე საფეხურის გავრცელების არეალზე – “საიარაღო ზემოქმედების არეალზე”. ასეთ შემთხვევაში “მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი ელემენტების” ექვივალენტური, “საბრძოლო მასის” მქონე მატერიალური წერტილები საწყის ეტაპზე სივრცეში განლაგების გეომეტრიას არ იცვლიან – ანუ სისტემის “მებრძოლი ელემენტების” სიმრავლე, თავისი მათემატიკური გაგებით, უცვლელი რჩება (ნახ. 51).



ნახ. 51 – მოწინააღმდეგე მებრძოლი სისტემების გავრცელების აქტიური არეალებით შეიარაღებული დაპირისპირების სქემა, მებრძოლი სისტემების გავრცელების გეომეტრიული არეალების შეუცვლელად.

III ვარიანტის შესაბამისი – მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემების" ურთიერთზე ზემოქმედება, მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია დაპირისპირებული "მებრძოლი სისტემების" ურთიერთგადაადგილებით. ასეთ შემთხვევაში "მებრძოლი სისტემების" "მებრძოლი ელემენტების" ექვივალენტური "საბრძოლო მასების" მქონე მატერიალური წერტილები სივრცეში განთავსების გეომეტრიას იცვლიან ისე, რომ საწყის ეტაპზე "მებრძოლი ელემენტების" სიმრავლე თავისი საკუთრივი ფორმით, შემადგენლობით და სტრუქტურით უცვლელი რჩება (ნახ. 52).

III ვარიანტის შესაბამისი – მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემის" ურთიერთზე ზემოქმედება, მესამე შემთხვევაში, შესაძლებელია დაპირისპირებული "მებრძოლი სისტემების" შემადგენელ "მებრძოლი ელემენტების" ექვივალენტური "საბრძოლო მასების" მქონე, მატერიალური წერტილების სიმრავლის ცვალებადობით – ანუ მათი ურთიერთის მიმართ გადაადგილებით, "მებრძოლი ელემენტების" რაოდენობის და მათი "საბრძოლო მასების" ცვლილებით და, რა თქმა უნდა, სისტემის სტრუქტურის შეცვლით (ნახ. 53).

ასეთ შემთხვევაში ხდება "მებრძოლი სისტემების" "გეომეტრიული არეალების" და "საიარაღო ზემოქმედების არეალის" ცვლილებები ისე , რომ "საიარაღო ზემოქმედების მიჯნა" გადაკვეთს დაპირისპირებული "მებრძოლი სისტემის" გავრცელების "გეომეტრიულ არეალს" და ან "საიარაღო ზემოქმედების არეალს".



ნახ. 52 – მოწინააღმდეგე მებრძოლი სისტემების ურთიერთზე შეიარაღებული ზემოქმედება, სივრცეში მათი გადაადგილებით და საკუთარი სტრუქტურებით, და გეომეტრიული არეალის უცვლელად შენარჩუნებით



ნახ. 53 – მოწინააღმდეგე მებრძოლი სისტემების ურთიერთზე შეიარაღებული ზემოქმედება საკუთარი გეომეტრიული და სათანადოთ აქტიური არეალების ცვლილებით

ყველა შემთხვევაში, განხილული ვარიანტებით ან მათი კომბინაციებით, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” ურთიერთზე ზემოქმედება რეალიზდება საბრძოლო შეხების რეჟიმში, როგორც კონტაქტური ამოცანა, იარაღის ზემოქმედებით საბრძოლო დაძაბულობის მიღწევისა ურთიერთშეხების სივრცეში.

მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” ურთიერთზემოქმედება მოდელში განიხილება, როგორც დინამიკური პროცესი ძალით – “იარაღის ძალით” ზემოქმედებისა.

უფრო დაზუსტებით კი – ერთი “მებრძოლი სისტემის” და მთლიანობაში მისი შემადგენელი “მებრძოლი ელემენტების”, როგორც “საბრძოლო მასის” მქონე მატერიალური წერტილების “იარაღის ძაოით” ზემოქმედება მეორე “მებრძოლ სისტემაზე” და მთლიანობაში მის შემადგენელ “მებრძოლ ელემენტებზე”, ასევე “საბრძოლო მასის მქონე მატერიალურ წერტილებზე”.

ამის საფუძველს ასევე იძლევა ის, რომ “მებრძოლი სისტემების” ურთიერთზემოქმედების – იარაღით ზემოქმედების შემთხვევაში, კონკრეტულად

ურთიერთზემოქმედებენ სისტემის “მებრძოლი მასების” მქონე “მებრძოლი ელემენტების” იდეალიზებული გამოხატულება – მატერიალური წერტილები.

ამდენად, მოცემულ მოდელში “მებრძოლი სისტემების” ურთიერთზემოქმედებების არსის დაყვანა მატერიალური წერტილების ურთიერთზემოქმედების პროცესებზე, როდესაც ერთი მატერიალური წერტილი ცდილობს შეცვალოს მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” მატერიალური წერტილის უძრაობის (სიმშვიდის) მდგომარეობა ან მოძრაობა, სრულ შესაბამისობაშია ძალის ფიზიკურ არსთან. ამასთან, მოდელში გამოყენებული ტერმინი “იარაღის ძალა”, ასევე სრულად შესაბამისია მოდელის აგების ლოგიკასთან.

მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” ერთი კონკრეტული მატერიალური წერტილის ზემოქმედება, მეორე მატერიალურ წერტილზე ერთმანეთის სიმშვიდის მდგომარეობის ან მოძრაობის შესაცვლელად, ასევე განაპირობებს მეორე მატერიალური წერტილის ზემოქმედებასაც პირველ მატერიალურ წერტილზე, რაც არის უკუქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ “მებრძოლი სისტემის” ურაიერთზემოქმედების დაყვანა “იარაღის ძალასთან” – ძალასთან და შესაბამისად მატერიალური წერტილების უძრავობის (სიმშვიდის) მდგომარეობასთან ან მოძრაობის შეცვლასთან, განაპირობებს შეიარაღებული ბრძოლის ფორმალიზებულ სისტემატიზაციაში ინერციის ცნებას და მასთან დაკავშირებული მოვლენების შემოტანის შესაძლებლობებს, რაც აფართოებს კვლევების დიაპაზონს.

“იარაღის ძალით” ზემოქმედება “მებრძოლ სისტემაზე”, აღნიშნული სისტემის მიმართ, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” მიერ, შეიარაღებული

ბრძოლის წარმოდგენილ მოდელში, წარმოადგენს “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვას”.

“შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” “იარაღის ძალით” ის ურთიერთზემოქმედება, რომლითაც განპირობებულია ცალკეული “მებრძოლი სისტემის” დაზიანების სახე და ხარისხი, რის შესახებაც სათანადო სისტემატიზაციით დამუშავდა “მებრძოლი სისტემის” დრეკადი, დრეკად-პლასტიკური და პლასტიკური დაზიანებები (იხ. ნახ. 44; ნახ. 45 და ნახ. 46). მოცემულ ეტაპზე, უკვე დამატებით შემოტანილი პარამეტრები იძლევა საშუალებას სისტემურად იქნას განხილული თვით “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვის” ლოგიკური საფუძვლები და თანმხლები მოვლენები.

თავის ფიზიკური ბუნებით “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა” არის განსახილველი “მებრძოლ სისტემაზე” აქტიურ გარე ძალების – “იარაღის ძალების” ერთობლიობის ზემოქმედება.

“მებრძოლ სისტემაზე” “იარაღის ძალით” ზემოქმედების განმარტებაში, მისი მნიშვნელობის დასაზუსტებლად “აქტიური გარე ძალის” ტერმინის შემოტანა, მისი არსით არის განპირობებული.

აქტიურ ძალას, რომელსაც ასევე მამოძრავებელ ძალასაც უწოდებენ, გააჩნია თვისება – გამოწვის მოძრაობა.

აქტიური ძალა იმ სისტემის ელემნეტებში და საერთოდ არათავისუფალ სისტემაში, რომელზეც ის ზემოქმედებს, იწვევს პასიური ძალების წარმოშობას. ჩვენს შემთხვევაში, შეიარაღებული ბრძოლის მოდელირებისათვის, უმჯობესია შემოტანილი იქნას ცნება “საქრძოლო წინააღმდეგობის ძალისა”, რომელიც თავისთავად არის პასიური ძალა, წარმოქმნილი მატერიალური წერტილების ამოძრავებით.

ფიზიკური ბუნებით, “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა” შეიძლება იყოს უშუალო ან არაპირდაპირი.

“შეიარაღებული ბრძოლით უშუალო დატვირთვა” წარმოადგენს “მებრძოლ სისტემაზე” – მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” მიერ უშუალოდ “იარაღის ძალით” ზემოქმედებას. ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, “მებრძოლი სისტემის” ფუნქციონალური – “აქტიური არე” თავისი “საიარაღო ზემოქმედების მიჯნით”, გადალახავს მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” “საიარაღო ზემოქმედების მიჯნას”, იწყებს გავრცელებას მის “აქტიურ არეში” და “გეომეტრიულ არეშიც”.

განხილული იდეოლოგია სისტემატიზირებული მოდელისა, სამხედრო ხელოვნების განმარტებით აღწერს ისეთ სცენარს, როდესაც მოვლენები ვითარდება მოწინააღმდეგე ძალების განთავსებით, გადაადგილებით და ურთიერთზემოქმედებებით საბრძოლო ურთიერთშეხების სივრცეში.

რაც შეეხება “შეიარაღებული ბრძოლით არაპირდაპირ დატვირთვას” ეს განსხვავებული მოვლენაა. ასეთ ვითარებაში, რეალურად მოწინააღმდეგე ძალები არ იმყოფებიან საბრძოლო ურთიერთშეხებაში, ან იმყოფებიან საბრძოლო ურთიერთშეხებაში, მაგრამ ურთიერთის მიმართ არ გამოიყენებენ იარაღს.

წარმოდგენილ მოდელში “შეიარაღებული ბრძოლით არაპირდაპირი დატვირთვა, “შეიარაღებული ბრძოლით უშუალო დატვირთვისაგან” განსხვავებით გულისხმობს იმას, რომ “მებრძოლი სისტემა” მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე” “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვას”, მასზე უშუალოდ “იარაღის ძალით” ზემოქმედების გარეშე, ახორციელებს სხვა დამატებითი ფიზიკური და ვირტუალური ფაქტორებით ზემოქმედებების საშუალებით.

დროში ცვალებადობის მიხედვით “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, როგორც შეიარაღებული ზემოქმედება “მებრძოლ სისტემაზე”, შეიძლება იყოს “შეიარაღებული ბრძოლით მუდმივი დატვირთვა”; “შეიარაღებული ბრძოლით ცვლადი დატვირთვა”; “შეიარაღებული ბრძოლით დინამიკური დატვირთვა”.

“შეიარაღებული ბრძოლით მუდმივი დატვირთვა”, რომელიც ხორციელდება “იარაღის ძალის ზემოქმედებით” დროის დამყარებულ ინტერვალში თავისი სიდიდით არის უცვლელი, იგი არ იცვლის მიმართულებას და ზემოქმედების მატერიალურ წერტილს.

რაც შეეხება “შეიარაღებული ბრძოლით ცვალებად დატვირთვას”, რომელიც ასევე ხორციელდება “იარაღის ძალის ზემოქმედებით” იგი , დროში და სივრცეში გარკვეულ ზღვრებში იცვლის სიდიდის, მიმართულებისა და მოდების წერტილის პარამეტრებსა და კოორდინატებს.

ხოლო “შეიარაღებული ბრძოლით დინამიკურ დატვირთვისას” ადგილი აქვს მისი სიდიდის – ანუ სათანადო “იარაღის ძალის ზემოქმედების” ცვლილებას დროს უმცირეს შუალედში.

სამხედრო ხელოვნების შესაბამისად, მეტად სახასიათოდ უნდა იქნეს მიჩნეული განმარტება – “შეიარაღებული ბრძოლით მოძრავი დატვირთვა”. ეს ის შემთხვევაა, როდესაც “მებრძოლ სისტემაზე” ხდება “იარაღის ძალით ზემოქმედება” ისე, რომ ზემოქმედების იარაღის ძალა “მებრძოლი სისტემის” შემადგენელ ცალკეულ “მებრძოლ ელემენტებზე” სხვადასხვა დროს მოქმედებს.

“შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვას”, მისი გამოვლენის ფიზიკური ბუნებით, გააჩნია ასევე პარამეტრი – “შეიარაღებული ბრძოლით ზემოქმედების ინტენსივობა”, რომელიც განისაზღვრება დროის ერთეულში, “მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი ელემენტების” “მებრძოლი მასის” ერთეულზე მოქმედ “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვით”.

“შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა” ხასიათდება არა მარტო ფიზიკური გამოვლენით, არამედ გეომეტრიითაც.

ამ მხრივ, აუცილებელია ორი ძირითადი ფორმის “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვის” ხაზგასმა:

— “შეიარაღებული ბრძოლით შეყურსული დატვირთვა”. ასეთ შემთხვევაში სათანადო იარაღის ძალით ზემოქმედება ხორციელდება “მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი ელემენტის” ერთ წერტილზე.

— “შეიარაღებული ბრძოლით უწყვეტი დატვირთვა” ისეთი შემთხვევაა, როდესაც სათანადო იარაღის ძალით ზემოქმედება, სხვადასხვა გეომეტრიული ფორმით, ერთდროულად ხორციელდება “მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი ელემენტების” სხვადასხვა წერტილებზე ან თვით სხვადასხვა “მებრძოლ ელემენტებზე”.

იარაღის ძალით ზემოქმედება, ყოველთვის მიზნობრივ შედეგამდე ვერ აღწევს. უფრო ხშირად კი, მხოლოდ ნაწილობრივ ხდება იარაღის ძალის მიზნობრივი გამოყენება. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს “შეიარაღებული ბრძოლით სასარგებლო დატვირთვას”.

მოცემულ მოდელში ფართოდ გამოიყენება ცნება “დატვირთვა, როგორც მექანიკური სისტემის ერთ-ერთი დინამიკური და სტატიკური მახასიათებელი. ასეთი მიდგომით “დატვირთვის”, როგორც ცნების, არსია გარე ძალების ერთიანობა, რომელიც ზემოქმედებენ მთლიანად სისტემაზე და მის მატერიალურ წერტილებზე.

სამხედრო ხელოვნების თეორიაში – შეიარაღებული ბრძოლის მოდელში ზემოთ აღნიშნული ცნების – “დატვირთვის” შემოტანა, მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს “მებრძოლი სისტემების” ურთიერთზე, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში, “იარაღის ძალით ზემოქმედების” ძალოვანი ბუნების, სიდიდის, მიმართულების, ცვლილების, ინტენსივობისა და სივრცეში განთავსების ფორმის კრებით განმარტებას. რა თქმა უნდა, ნაცვლად ტერმინისა – “დატვირთვა” შეიძლებოდა სამხედრო ხელოვნებისათვის უფრო “შეჩვეული” ტერმინების გამოყენება, მაგრამ ის არ იქნებოდა ამ მეტად ტევადი ტერმინის - “დატვირთვის” არსისა და შინაარსის მატარებელი, რომელიც მექანიკაში არის აღიარებული.

მოცემულ შემთხვევაში, კვლავაც შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ ფორმალიზებულ სისტემატიზაციაში “შეიარაღებული ბრძოლისა”, ზედმეტად ხომ არ არის გამოყენებული მექანიკის პრინციპები.

რა თქმა უნდა კვლევებში მიღებულ სისტემიტიზაციებში, მით უმეტეს კი, ფორმალიზებული ლოგიკით მოდელირების შექმნისას, როდესაც იდეალიზაცია შეეხება ისეთ ძნელად სისტემატიზებად სფეროს, როგორიცაა სამხედრო ხელოვნება, რეალობის ასახვის ხარისხი და სიზუსტე მნიშვნელოვნად დეფორმირდება. ამასთან, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც განიხილება ძალისა და საშუალებების ინტეგრაციით შექმნილი “მებრძოლი სისტემები” და მათი ურთიერთზე “იარაღის ძალით” ზემოქმედება, თანხვედრა, მოვლენათა ბუნება და პროცესები მით უმეტეს დინამიკური, ძალიან ახლოს და უმეტეს შემთხვევებში ემთხვევა მექანიკის კანონზომიერებებს.

ჭურვებისა და ფეთქებადი იარაღის ძალოვანი ზემოქმედება მოწინააღმდეგის შეიარაღებაზე, ტექნიკაზე, გარემოზე და მრავალ შემთხვევაში ჯავშნით დაცულ თუ დაუცველ პირად შემადგენლობაზეც კი, თავისი ნგრევის, განადგურების, სივრცეში გადაადგილების, რღვევის, მწყობრიდან გამოყვანის და სხვა სცენარებით მექანიკის პრინციპებით აიხსნება. ასევე მექანიკურ სისტემების თვისებათა ერთნიშნა მატარებლები არიან თვით იარაღი, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ინფრასტრუქტურა და სხვა კომპონენტები, რომლებიც ჩვენს შემთხვევაში "მებრძოლი სისტემის" "მებრძოლი ელემენტების" და მათი "საბრძოლო კავშირების" ძირითადი შემადგენლები არიან.

ასეთი მიდგომით კვლევის შემდგომ ეტაპზე განიხილება სამი უმნიშვნელოვანესი სახეობა "შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვისა" – "შეიარაღებული ბრძოლით ზღვრული დატვირთვა", "შეიარაღებული ბრძოლით მრღვევი დატვირთვა" და "შეიარაღებული ბრძოლით კრიტიკული დატვირთვა".

მათ ცალკეულ დახასიათებამდე, უნდა განიმარტოს ის, თუ რატომ არის მიჩნეული ისინი უმნიშვნელოვანეს სახეობებად. ამისათვის კი დამატებით შეფასებებს მოითხოვს თვით "მებრძოლი სისტემის" ფიზიკური – დინამიკური ბუნება.

როგორც ადრე აღინიშნა "ბრძოლისუნარიანობა გააჩნია" "მებრძოლ სისტემას" და იგი ორი შემადგენელი სახით გამოვლინდება. ეს არის "ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცე" და "ბრძოლიუნარიანობის მდგრადობა".

"მებრძოლი სისტემა" "ბრძოლისუნარიანობის" მისი ორივე გამოვლენით "ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცეს" და "ბრძოლისუნარიანობის მდგრადობას" ინარჩუნებს მანამ, სანამ "მებრძოლ სისტემაზე" ზემოქმედი "შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა" არ გადააჭარბებს "შეიარაღებული ბრძოლით ზღვრულ დატვირთვას".

"შეიარაღებული ბრძოლით ზღვრული დატვირთვის" შემდგომში გაზრდით, ის "მებრძოლი სისტემა", რომელზეც დატვირთვა ხორციელდება "იარაღის ძალის ზემოქმედებით" იმისდა მიხედვით დაკარგავს ბრძოლისუნარიანობას "ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის" ან "ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის" მიხედვით, თუ შესაბამისად, როგორია თვით "მებრძოლი სისტემის" "საბრძოლო სიმტკიცის პირობა" ან "საბრძოლო სიხისტის პირობა".

"მებრძოლი სისტემის" "საბრძოლო სიმტკიცის პირობა" არის ის მოთხოვნა და რეალობა, რომლის მიხედვითაც "მებრძოლ სისტემაზე" "შეიარაღებული ბრძოლით ზღვრულ დატვირთვისას" ჯერ კიდევ არ ხდება სისტემის "მებრძოლი ელემენტების" რღვევები და განადგურებები იმ რაოდენობით და ხარისხით, რომ "მებრძოლ სისტემამ" დაკარგოს ბრძოლისუნარიანობა, მოცემულ შემთხვევაში "ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის" დაკარგვის სახით.

აღნიშნულის შესაბამისად, "მებრძოლი სისტემის" "საბრძოლო სიმტკიცის" პირობის დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება იმ მომენტში, როდესაც მასზე

“იარაღის ძალის ზემოქმედებით” განპირობებული “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა” თავისი სიდიდით გადააჭარბებს “შეიარაღებული ბრძოლით ზღვრულ დატვირთვას”. ასეთ ვითარებაში, როდესაც “მებრძოლი სისტემის” “ბრძოლისუნარიანობის” დაკარგვა ხდება “ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის” დაკარგვით, ადგილი აქვს “მებრძოლ სისტემაზე” “შეიარაღებული ბრძოლით მრღვევი დატვირთვის” ზემოქმედებას.

რაც შეეხება “მებრძოლი სისტემის” “საბრძოლო სიხისტის პირობას”, იგი არის მოთხოვნა და რეალობა, რომლის მიხედვითაც “მებრძოლ სისტემაზე” “შეიარაღებული ბრძოლით ზღვრულ დატვირთვისას” არ ხდება რღვევები, მოშლები და დეფორმაციები, იმ რაოდენობით და ხარისხით, რომ “მებრძოლმა სისტემამ” დაკარგოს ბრძოლისუნარიანობა, მოცემულ შემთხვევაში “ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის” დაკარგვის სახით.

აღნიშნულის შესაბამისად, “მებრძოლი სისტემის” “საბრძოლო სიხისტის” პირობის დაცვა შეუძლებელი ხდება იმ მომენტში, როდესაც მასზე “იარაღის ძალის ზემოქმედებით” განპირობებული “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, თავისი სიდიდით გადააჭარბებს “შეიარაღებული ბრძოლის კრიტიკულ დატვირთვას”. ასეთ ვითარებაში, როდესაც “მებრძოლი სისტმის” “ბრძოლისუნარიანოქბის” დაკარგვა ხდება “ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის დაკარგვით” ან “მებრძოლი სისტემის” მიუღებელი დეფორმაციით, ადგილი აქვს “მებრძოლ სისტემაზე” “შეიარაღებული ბრძოლით კრიტიკული დატვირთვის” ზემოქმედებას.

“მებრძოლი სისტემის” ბრძოლისუნარიანობის “ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცით” და “ბრძოლისუნარიანობის მდგრადობით” დაკარგვებს და სათანადო ცნებებს – “შეიარაღებული ბრძოლით მრღვევი დატვირთვის” და “შეიარაღებული ბრძოლით კრიტიკული დატვირთვის” განსაზღვრას, მრავალმხრივი მნიშვნელობები შეიძლება მიენიჭოს სამხედრო თეორიაში. (იხ. ნახ. 50).

საკითხისადმი ასეთი მიდგომით “მებრძოლი სისტემის” ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება მოითხოვს სისტემის როგორც “ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის”, ასევე “ბრძოლისუნარიანობის სიხისტის” პირობების დაცვას.

ამდენად, “მებრძოლი სისტემის” შექმნის – ძალებისა და საშუალებების ინტეგრირების პროცესში, დაგეგმარების შედეგის ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია, რომ “მებრძოლი სისტემის” ბრძოლისუნარიანობის რესურსის განსაზღვრა დამოკიდებული იყოს “ზღვრული საბრძოლო დატვირთვის” პირობებში “ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის” და “ბრძოლისუნარიანობის სიხისტის” სიდიდეების ტოლფასობაზე ან მათ მოთხოვნილ თანაფარდობებზე. ასეთი დაგეგმარება განაპირობებს “მებრძოლ სისტემაში” ბრძოლისუნარიანობის რესურსის სრულ და მიზანმიმართულ ამოქმედებას ისე, რომ ადგილი არ ექნება ამ მხრივ ზედმეტი და გამოუყენებელი რესურსისა და პოტენციალის მოზიდვას.

მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” ურთიერთზემოქმედების დინამიკური პროცესების მოდელირებისათვის, შეიარაღებული ურთიერთზემოქმედება, როგორც ურთიერთის “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, ხშირად განიხილება, როგორც ერთჯერადი დარტყმა, დროის ერთი და იგივე მომენტში მრავალი კონკრეტული მიმართულების მქონე დარტყმები და დროის ინტერვალში, სხვადასხვა კანონზომიერებებით განხორციელებული ერთჯერადი ან მრავალი დარტყმების პროცესი.

დარტყმის, როგორც ფიზიკური მოვლენის, არსი, ფორმები და სახეობები მექანიკის დარგში საკმაოდ ამომწურავად არის სისტემატიზირებული და კლასიფიცირებული.

დარტყმა, მათ შორის საიარაღო ზემოქმედება იარაღის ძალით, არის სხეულთა დროის მცირე ინტერვალში ურთიერთზემოქმედება, რომლის დროსაც ხდება მათი მოძრაობის რაოდენობის ცვლილება სასრული რაოდენობით.

დარტყმას, ზოგადად და, მათ შორის, იარაღის ზემოქმედებით, გააჩნია დარტყმის ხაზი და დარტყმის ნორმალი.

წარმოდგენილ მოდელში – “მებრძოლ სისტემებში” ურთიერთზე საიარაღო ზემოქმედებისას, დარტყმის ხაზი არის ის წრფე, რომელიც გადის მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” იმ ორ მატერიალურ წერტილებზე, რომლებსაც, როგორც “მებრძოლ ელემენტებს”, გააჩნიათ “მებრძოლი მასა” და საკუთრივი ბრძოლისუნარიანობა.

განხილულ მოდელში შეიარაღებული ბრძოლისა, მნიშვნელოვანია სოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” ურთიერთზე “იარაღის ძალით” ზემოქმედებების გეომეტრიული ფორმების დაზუსტება და წემოღება, რომლებიც განმარტავენ “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვის” ძალოვან ფაქტორებს, მათ შორის, დარტჩმების გამოვლენის ორიენტაციებს.

ამ მხრივ, დასაძლევი ამოცანების მიხედვით, აუცილებელია განხილვა ძალოვანი ურთიერთზემოქმედებების შემდეგი სახეებისა – პირდაპირი, ირიბი, გვერდითი, ცენტრალური, ღერძული და ექსცენტრული ზემოქმედებები “იარაღის ძალით”.

ამასთან, შეიარაღებული ბრძოლის გარკვეული პროცესების განხილვამდე, წარმოდგენილი მოდელის შექმნის იდეოლოგიით – აუცილებელია არა მარტო “მებრძოლი სისტემის” შიგა სტრუქტურისა და კანონზომიერებების სისტემატიზირებული ფორმალიზაცია, არამედ “მებრძოლი სისტემის”, როგორც ერთიანი “მებრძოლი მექანიზმის” სახასიათო დინამიკური პარამეტრების განსაზღვრაც.

არაპირდაპირი მოქმედებების დინამიკური პროცესების სისტემატიზაცია

როდესაც “მებრძოლი სისტემის” განხილული მოდელით ხდება შეიარაღებული ბრძოლის ფორმალიზებული განხილვა, რომელსაც საფუძვლად

მექანიკური სისტემებისა და მათი დინამიკის იდეალიზაციის ლოგიკა უდევს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სამხედრო ხელოვნებაში თავისთავად ცნობილი პარამეტრები ან მოდელში შემოტანილი პირობითი სიდიდეები გაანგარიშებულგი იქნან მხოლოდ იმ ფორმულებით, რომლებიც მექანიკაში გამოიყენება. ამის არც შესაძლებლობა არსებობს და არც აუცილებლობა. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა "ბრძოლისუნარიანობა" ან, თუნდაც, "საბრძოლო დაძაბულობა", "საბრძოლო შესაძლებლობები" და სხვა. მათი ობიექტური შეფასების და დადგენის მეთოდები სამხედრო პრაქტიკაში საკმაოდ დაზუსტებულია. რიგ შემთხვევაში კი, მი უმეტეს ისეთი პარამეტრების შეფასებისას, რომლებიც მეტწილად არასისტემატიზებულ ფაქტორებზეა დამოკიდებული, პრაქტიკაში უპირატესობა ენიჭება სიდიდეების და ვითარების განსაზღვრისათვის ანალოგიების, ემპირული მონაცემების და თვით სამხედრო სპეციალისტების პროფესიონალიზმის, პროფესიული გამოცდილებისა და უნარის ფაქტორებს.

კვლავაც შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს ის, რომ მოცემულ შემთხვევაში, შემუშავებული, "მებრძოლი სისტემების" ურთიერთზე "შეიარაღებული ძალით ზემოქმედების" დინამიკური პროცესების მოდელირების უმთავრესი ამოცანაა, განზოგადოებული ფორომით და შინაარსით წარმოაჩინოს ის უმთავრესი პრინციპები და მიდგომები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს შეიარაღებულ ბრძოლებში მოქმედების იდეოლოგიას სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე. შემუშავებული მოდელის ასევე უმთავრესი დანიშნულებას წარმოადგენს, სისტემური მიდგომით მისი გამოყენება, სამხედრო თეორიაში არსებული, ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაპირისპირო შეხედულებების შეფასებებისათვის, ანალიზისათვის და სათანადო დასკვნების გაკეთებისათვის.

ასეთი მიდგომით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, განიხილება ცნობილი მიმართულება სამხედრო ხელოვნებისა – არაპირდაპირი მოქმედება, რომლის მიმართ მრავალი მიდგომები და განსხვავებული პოზიციაც არსებობს.

ამდენად, ისმება კითხვა სისტემატიზირებული სახით რა არის არაპირდაპირი მოქმედება, როგორია მისი, როგორც პროცესის დინამიკა, და რა კანონზომიერებებს ემყაება მისი რეალიზაცია სამხედრო სფეროში.

მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემების" "შეიარღებული ბრძოლით დატვირთვა", როგორც "იარაღის ძალით" ურთიერთქმედება შეიარაღებული ბრძოლის პროცესში, სივრცის კონკრეტულ არეალში და რეალური დროის მასშტაბში, მრავალი შესაძლო სცენარით შეიძლება განხორციელდეს. წარმოდგენილ მოდელში, საკითხების შემდგომი სისტემატიზაციის მიზნით, როგორც ძირითადი და სახასიათო, განიხილება შესაძლო სცენარების სამი შემთხვევა:

A. სტატიკურ პოზიციაში მყოფი “მებრძოლი სისტემისა” და მოწინააღმდეგე, მოძრავი “მებრძოლი სისტემის” “იარაღის ძალით ურთიერთქმედება.

B. სტატიკურ პოზიციაში, საბრძოლო შეხებაში მყოფი, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” ურთიერთქმედება “იარაღის ძალით”.

C. მოძრავი,მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” ურთიერთქმედება “იარაღის ძალით”.

სამივე შემთხვევაში, როგორც მოდელში, ასევე რეალობაში, ადგილი აქვს დინამიკურ პროცესებს. მათი შეფასებებისათვის და მთავარი კრიტერიუმების შერჩევისა და განსაზღვრისათვის კვლავ უნდა დავუბრუნდეთ “იარაღის ძალით” ურთიერთზემოქმედ, ფორმალიზაციის ლოგიკაზე დაფუძნებულ, “მებრძოლ სისტემებს”.

“მებრძოლი სისტემების” ფორმალური არსი, მექანიკური სისტემების ანალოგიებზეა დაფუძნებული. როგორც აღინიშნა, ისინი შედგებიან “მებრძოლი მასების” მქონე “მებრძოლი ელემენტებისაგან”, რომლებიც, როგორც სისტემის მატერიალური წერტილები, ურთიერთთან დაკავშირებულნი არიან “საბრძოლო კავშირებით”, რითაც იქმნება “მებრძოლი სისტემის” “საბრძოლო სტრუქტურა”.

მოცემულ შემთხვევაში მექანიკური სისტემის, უკვე დასაბუთებული, ცნობილი და აღიარებული თვისებები და კანონზომიერებები, როგორც ფართოდ შესწავლილი და სისტემატიზირებული მოვლენები, მოცემულ მოდელში შეიარაღებული ბრძოლისა, ანალოგიის პრინციპით გადაიტანება და გამოიყენება გაცილებით ნაკლებად შესწავლილ და, მით უმეტეს, ნაკლებად სისტემატიზირებულ სფეროში – სამხედრო ხელოვნების თეორიაში. ამის საფუძველს იძლევა მრავალი მსგავსება ანალოგიის ობიექტებს შორის და, ასევე, სამხედრო თეორიის სპეციალისტების მიერ, თავიანთ კვლევებში, მექანიკის პრინციპების მიხედვით, სამხედრო ხელოვნების საკითხების სისტემატიზაციის მცდელობა.

თუმცა, მიუხედავად არსებული წინაპირობებისა ანალოგიების მრავალმხრივი დაშვებების შესაძლებლობების მხრივ, მექანიკური დინამიკური სისტემის კანონზომიერებების და შეიარაღებულ ბრძოლაში დაპირისპირებული მხარეების, ურთიერთზე იარაღის ძალით – დინამიკური ფორმითა და შინაარსით ზემოქმედება, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ შეიარაღებული ბრძოლის წარმოდგენილ მოდელში, მკაცრი შერჩევის გარეშე, გამოყენებულ იქნას მექანიკის დარგის და სათანადო მათემატიკური აპარატის ფართო სპექტრი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ მოდელში, თუნდაც მოცემული კვლევის ფარგლებში, შეიძლებოდა უფრო მაღალი ხარისხით გამოიყენება მათემატიკური აპარატით გამოსახული დინამიკური სისტემის სხვადასხვა პარამეტრების სიდიდეებისა და მათი საშუალებები შეიარაღებული

ბრძოლის კონკრეტული მოვლენების, მაღალი ხარისხით დაზუსტებული განსაზღვრაც.

ზოგადად სამხედრო თეორიის კვლევებში ასეთი პრეცედენტები ხშირია, მაგრამ შეიარაღებული ბრძოლის სცენარების დინამიკური ასახვის ზედმეტი "მეთემატიაცია", თითქმის ყოველთვის, ზედმეტი და ხელოვნური სისტემატიზაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოცემულ კერძო შემთხვევაში კი, როდესაც "მებრძოლი სისტემა", პრაქტიკულად "მექანიკის ბუნების" ლოგიკაზეა დაფუძნებული, ამის შესაძლებლობები გაცილებით პერსპექტიულად ისახება.

შესაძლებელია ისიც, რომ მათემატიკის სხვადასხვა მიდგომებით, თუნდაც მოვლენათა და სიმბოლოების ლოგიკის ალგებრის ან სხვა განხრებით გაზრდილიყო სისტემატიზაციის ფარგლები და, შემდგომ, ასევე, თუნდაც ალბათობისა და შემთხვევითი პროცესების თეორიით, გაანალიზებულიყო და დადგენილიყო არასიტემატიზებული პროცესების სისტემური ასახვის სრულყოფის მეთოდი. ამის შესაძლებლობა, კვლავაც რჩება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ასეთი "მათემატიზაცია" (მათემატიზირება) კვლევისა, გაართულებდა და გაზრდიდა გზას დასახული – კონკრეტული საკითხების გარკვევისა, რაც მოცემულ მონოგრაფიაშია დასმული.

მეორეს მხრივ, კვლევები გადაინაცვლებდა მეცნიერებათა დარგების სხვა სფეროებში, რომლებიც ასევე სხვა კომპეტენციების მრავალი სხვადასხვა სპეციალობის სფეროა. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, კვლევის საკითხია არა ცალკეული პარამეტრების კონკრეტული სიდიდეების მკაცრად სისტემატიზირებული განსაზღვრა, არამედ მათი ბუნების, გამოვლენის ფორმის, შინაარსის და სათანადო სიდიდეების მიღწევის ტენდენციებისა და კანონზმიერებების ძირითადი პრინციპების დადგენა, რაც, ერთის მხრივ, იძლევა შესაძლებლობას შეიარაღებული ბრძოლის ძირითადი კონცეპტუალური მიმართულების კლასიფიცირებისა, რაც მეტად მნიშვნელოვანია და, მეორეს მხრივ, შეიარაღებული ბრძოლის ცალკეულ შესაძლო სცენარებში გადაწყვეტილების მიღებისათვის, მთლიანობაში სისტემატიზირებული მასალების შექმნისა და გამოყენებისა.

ამდენად, ეს ადრეც აღინიშნა და შემდგომშიც იქნება ხაზგასუმლი, შეიარაღებული ბრძოლის მოცემული მოდელი ძირითადად ეფუძნება სამხედრო თეორიაში გამოყენებისათვის მექანიკის კანონებს, მექანიკური სისტემების გეომეტრიულ და დინამიკურ კანონზომიერებებს, კონკრეტული შინაარსისა და დებულებების აბსტრაჰირების მეთოდით. შესაბამისად, კვლევისა და მისი შედეგების ასახვის წარმოდგენილი მეთოდი, შეიძლება უფრო მიეკუთვნოს ფორმალურ ლოგიკას, რომელშიც მათემატიკური მიდგომით მაქსიმალურად არის მცდელობა დაცული იქნას პრინციპი, დაფუძნებული ალბათობაზე ლოგიკურად დაკავშირებული მოვლენებისა.

წარმოდგენილი განმარტების შემდეგ, თუ დავუბრუნდებით ზემოთ განხილულ, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” ურთიერთზე “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვის” სახით “იარაღის ძალით” ზემოქმედების კინეტიკურ სამ შესაძლო შემთხვევას, აუცილებელი ხდება ახალი ცნების – “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტის” შემოტანა, განხილვა და გამოყენება.

კონკრეტული “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტი”, მექანიკური სისტემის ინერციის მომენტის ანალოგიების მიხედვით, თავის არსობრივი დატვირთვით წარმოადგენს “მებრძოლი სისტემის” დინამიკურ პარამეტრს, რომლის სიდიდის მიხედვით, “მებრძოლი სისტემა” ეწინააღმდეგება მასზე “იარაღის ძალით” ზემოქმედებას. რიცხობრივად მისი გაანგარიშება შეიძლება მოხდეს, ნებისმიერი ათვლის სისტემაში, როგორც კონკრეტული წერტილის, ასევე ღერძის მიმართ.

იმისათვის, რომ შეფასდეს “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტი”, უნდა იქნას გათვალისწინებული მისი მათემატიკური გამოთვლის ალგორითმი, რომელიც მექანიკურ სისტემებში გამოიყენება. ასეთი მიდგომით “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტი” მოცემული წერტილის ან ღერძის მიმართ, სიდიდით გამოიხატება ჯამით, “მებრძოლის სისტემის” შემადგენელი, ცალკეული “მებრძოლი ელემენტების” სათანადო “მებრძოლი მასების” ნამრავლისა მოცემული წერტილიდან ან ღერძიდან “მებრძოლი მასების” წერტილამდე მანძილების კვადრატებზე. მართალია, ასეთი ფორმულირება, სამხედრო ხელოვნების მოცემული შემთხვევისათვის აუცილებელი პარამეტრების არასისტემატურობის გამო, კონკრეტულ რიცხვით სიდიდემდე არ დაზუსტდება, მაგრამ იმას კი მიანიშნებს, რომ “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტი” მით უფრო მეტია, რამდენად ბევრია “საბრძოლო კავშირებით” გაერთიანებული “მებრძოლი ელემენტები”, რაც უფრო მეტია “მებრძოლი ელემენტების” შესაბამისი “მებძროლი მასების” მნიშვნელობა, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამართლებული რეალობით, რამდენად დიდ სივრცეშია განლაგებული “მებრძოლი სისტემა” (ნახ. 54).

აქ შეიძლება დაისვას კითხვა – ხომ შეიძლებოდა ძალიან დაშორიშორებულად განთავსებულიყო ერთმანეთის მიმართ “მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი ელემენტები” და ამით უსასრულოდ გაზრდილიყო “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტი”. ასეთი მიდგომა რა თქმა უნდა არასწორია. ერთის მხრივ, მართლაც აუცილებელია “მებრძოლი ელემენტების” ურთიერთდაშორიშორება, მაგრამ ეს ისე უნდა მოხედას, რომ შენარჩუნებული იქნას მათ შორის აუცილებელი და არსებული “საბრძოლო კავშირების” ყველა ის საკუთარი თვისება, რომელიც მას უნდა გააჩნდეს

იმისათვის, რომ ურთიერთდაკავშირებულმა “მებრძოლმა ელემენტებმა”, სიტუაციის მიხედვით მაქსიმალურად და ეფექტურად წარმოაჩინოს და გამოიყენოს თავისი “საბრძოლო შესაძლებლობები”. სამხედრო ხელოვნების მოთხოვნებით, სწორედ ასეთი მიდგომა უნდა ჩაითვალოს ოპტიმალურად “მებრძოლ ელემენტებს” შორის მანძილების შერჩევისა, რაც გამორიცხავს მათ ხელოვნურად გაზრდასაც და შემცირებასაც.

განხილული მათემატიკური მოდელი “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტისა” სამხედრო დაგეგმარებაში შეიძლება გამოყენებული იქნას ალგორითმად, რომლის მიხედვით ცალკეული “მებრძოლი ელემენტის” “საბრძოლო მასების” საბრძოლო შესაძლებლობებისა და პოტენციალის შეფასებით, მათ შორის “საბრძოლო კავშირების” სახეობების ეფექტურობის დადგენით და ასევე “მებრძოლი სისტემის” სივრცეში გავრცელების გეომეტრიით, მიღწევადი ხდება “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტის” სიდიდის ფარდობითი შეფასება.

“მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტის” შემოთავაზებული გაგება და მისი სიდიდის შეფასების ალგორითმი, რომელიც კვლევის შემდეგი ეტაპისათვის აუცილებელი საფეხურია, მოცემულ ეტაპზე სისტემური მიდგომით ასაბუთებს სამხედრო ხელოვნებაში უკვე მიღებულ შეხედულებებს.

ამის ილუსტრაციისათვის შეიძლება განხილული იქნას “მებრძოლი სისტემა”, რომელიც სულ რამოდენიმე “მებრძოლი ელემენტისაგან” შედგება, და რომლებიც, სისტემისათვის აუცილებელი სახასიათო სტრუქტურით - ერთმანეთთან “საბრძოლო კავშირებით” არიან გაერთიანებული. აღნიშნული “მებრძოლი სისტემის” მიმდებარე სივრცეში ასევე განვათავსოთ უფრო მეტი რაოდენობის “სისტემის გარეშე არსებული მებრძოლი ელემენტები”, რომლებიც ურთიერთთან გამაერთიანებელ “საბრძოლო კავშირების” არ არსებობის გამო, თავიანთ საბრძოლო შესაძლებლობს მხოლოდ ავტონომიურ რეჟიმში გამოიყენებენ. ასეთ ვითარებაში, თუ შევისწავლით “მებრძოლი სისტემისა” და ცალკ ცალკე განთავსებული “სისტემის გარეშე არსებული მებრძოლი ელემენტების” საერთო მაჩვენებლებს ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტისა, შემოთავაზებული ალგორითმის გამოყენებით, აღმოჩნდება, რომ მიუხედავად “სისტემის გარეშე არსებული მებრძოლი ელემენტის” სიმრავილისა და მათი “საბრძოლო მასების” მნიშვნელოვანი სიდიდისა, ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტის საერთო მაჩვენებლებში, “საბრძოლო კავშირების” გარეშე არსებული “მებრძოლი ელემენტების” წილი თითქმის უმნიშვნელოა. ამით ხაზი ესმება იმ განსაკუთრებულ მოთხოვნას, რაც შეიარაღებული ბრძოლის დროს, “მებრძოლ სისტემაში” წაეყენება “მებრძოლი ელემენტების” ურთიერთკავშირებს “საბრძოლო კავშირების” სახით (ნახ. 55).

“მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტს”, იმ შემთხვევაში, როდესაც “მებრძოლი სისტემა” სივრცეში გადაადგილდება, ასევე სხვადასხვა ნიშნით, ალგებრულად ემატება კიდევ ერთი დინამიკური პარამეტრი “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის კინეტიკური მომენტი”.

სივრცეში გადაადგილებადი “მებრძოლი სისტემის” “ბრძოლისუნარიანობის კინეტიკური მომენტი”, არის ანალოგია მექანიკური სისტემის გადაადგილებისას მისი შემადგენელი ელემენტების მასების და მასების გადაადგილების სიჩქარეების ნამრავლების ჯამისა. ასეთი მათემატიკური ფორმულირების არსობრივი ინტერპრეტაციით “მებრძოლი სისტემის” “ბრძოლისუნარიანობის კინეტიკური მომენტი”, როგორც იარაღის ზემოქმედების მიმართ, წინააღმდეგობის გაწევის კიდევ ერთი დინამიკური პარამეტრი, თავისი სიდიდით არის ჯამი “მებრძოლი სისტემის” შემადგენელი “მებრძოლი ელემენტების” “საბრძოლო მასების” ნამრავლისა მათი გადაადგილების სიჩქარეზე.

“ბრძოლისუნარიანობის კინეტიკური მომენტი” თავისი არსით სწორედ ის სიდიდეა, რომლის ანალოგიას სამხედრო ხელოვნებაში განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნავდა ნაპოლეონ ბონაპარტი – “მასა გამრავლებული სიჩქარეზე” [42].

აღნიშნული მიდგომით, ერთი შეხედვით, თუ “მებრძოლი სისტემის” შეწინააღმდეგების ორიენტირის მიმართულება, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” იარაღის ძალით ზემოქმედების მიმართ, ემთხვევა აღნიშნული “მებრძოლი სისტემის” სივრცეში გადაადილების მიმართულებას, მაშინ შეწინააღმდეგების მთლიანი ინერციის მომენტი ყოველთვის ტოლი უნდა იყოს, განხილვადი “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტისა” და საკუთარი “ბრძოლისუნარიანობის კინეტიკური მომენტის” ჯამისა.

სამხედრო ხელოვნებაში, იარაღის ძალით ზემოქმედებისათვის, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემისკენ” კონკრეტული სიჩქარით დაძრულ “მებრძოლ სისტემას”, მართლაც გააჩნია დამატებითი ენერგეტიკული რესურსები, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, სწორედ გადაადგილებადი “მებრძოლი სისტემის” წინაშე დადგება საკითხები “მებრძოლი სისტემის” შიგა კავშირების შესუსტების, რიგ შემთხვევაში, რღვევის და, ძალიან ხშირად, “მებრძოლი ელემენტების” ურთიერთის მიმართ გადანაცვლებისა. ასეთ ვითარებაში, როდესაც ხდება გარკვეულწილად უპირატესობის ფაქტორის მიღწევა, მოძრავი “მებრძოლი სისტემის” “ბრძოლისუნარიანობის კინეტიკური მომენტის” გარკვეული სიდიდით შექმნისა, იწყებს კლებას, და ეს ძალიან ხშირ შემთხვევაში ხდება, “მებრძოლი სისტემის” მთავარი ძალოვანი პარამეტრი – “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტი”.



ნახ. 54. სქემა მებრძოლი სისტემის ინერციის მომენტის სიდიდის დადგენისათვის



ნახ. 55 – სქემები საბრძოლო კავშირების გარეშე არსებული მებრძოლი ელემენტების ჯამური ინერციის მომენტის სიდიდის შედარებისათვის, საბრძოლო კავშირებით გაერთიანებული მებრძოლი ელემენტების ინერციის მომენტის სიდიდესთან

ამდენად, შემოთავაზებული მოდელი "შეიარაღებული ბრძოლისა", გარკვეულწილად ადაპტირებულია სამხედრო ხელოვნებაში ზემოთ აღნიშნული და საკმაოდ გავრცელებული, მოქმედებათა სტანდარტების სისტემური შეფასებებისათვის.

ვეხებით რა დინამიკურ მაჩვენებლებს — “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტს”, ხაზი უნდა გაესვას მისი, როგორც შეფასების კრიატერიუმის განსაკუთრებულ თვისებას. როგორც ცნობილია მექანიკური სისტემების ინერციის მომენტი, მისი ათვლის კოორდინატების, მისი კონფიგურაციის, მასების გადანაწილებისა და, რაც მთავარია, სივრცეში გეომეტრიული განსაზღვრის არეალის მიხედვით ცვალებადია.

ინერციის მომენტის ასეთი გამოვლენა, დამატებით შესაძლებლობებს და ვარიანტებს ქმნის, მისი გამოვლენის დიაპაზონის გაფართოებისა და კვლევებისათვის სამხედრო თეორიაში. სანამ ამ მხრივ სამხედრო ხელოვნების კონკრეტულ ამოცანებს შევეხებოდეთ, მანამ “მებრძოლი სისტემისათვის” აუცილებელია განისაზღვროს ის დამატებითი პარამეტრები და მათი მნიშვნელობების დადგენის ალგორითმი, რითაც შეიძლება ხასიათდებოდეს “მებრძოლი სისტემების ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტი” მებრძოლი სისტემის სივრცეში ორიენტაციის მიხედვით.

“მებრძოლი სისტემის ინერციის მომენტს” გააჩნია თავისი ათვლის კოორდინატთა სისტემა და ათვლის სათანადო წერტილი თუ ღერძი. მათი შერჩევა კონკრეტული ამოცანების მოთხოვნაზეა დამოკიდებული. მაგრამ არის “მებრძოლი სისტემის” ისეთი პარამეტრი, რომელიც, ერთის მხრივ, “მებრძოლი სისტემის” შემადგენელი “მებრძოლი ელემენტების” “მებრძოლი მასების” საბრძოლო შესაძლებლობების და “მებრძოლი ელემენტების” სივრცეში განთავსების მიხედვით, მკაცრად სისტემატიზირებულ გათვლებს ექვემდებარება და, მეორეს მხრივ, არა მარტო სამხედრო თეორიაში კვლევებისათვის, არამედ სამხედრო დაგეგმარებისათვის ერთ-ერთი უმთავრესია – ეს არის “მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი მასების ცენტრი – ანუ ინერციის ცენტრი”. (ნახ. 56).

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღინიშნა, მასების-ინერციის ცენტრის მდებარეობის განსაზღვრა თვით “მებრძოლი სისტემისთვისაც” კი მათემატიკური აპარატით პრაქტიკულად განხორციელებადი პროცესია, რეალურად მასების-ინერციის ცენტრი თავისთავად იდეალიზებული გაგებაა, რომელიც მხოლოდ წარმოსახვით აიხსნება და არსებობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული ბრძოლის მოდელში მასების-ინერციის ცენტრის ტერმინის შემოტანა, უშუალოდ და დაუყოვნებლივ აღძრავს ასოციაციას მისი დაკავშირებისა კლაუზევიცის ცნობილ ცნებასთან – მიზიდულობის – გრავიტაციის ცენტრთან. ფიზიკური ბუნებით მასების ცენტრი და მიზიდულობის ცენტრი ერთი და იგივე დატივრთვის მატარებელია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მას, როგორც პარამეტრს, გაცილებით მეტ ამოცანებში გარკვევის მისია ეკისრება, თუმცა იმ ამოცანებისთვისაც იქნება გამოყენებული, რისთვისაც კლაუზევიცმა ის შემოიღო, და რაც შემდგომ ლიდელ ჰარტის ცნობილ არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგის განხილვის ობიექტიც გახდა.

მიუხედავად ამისა, ჯობს არ მოხდეს მოვლენათა წინსწრება და გეგმაზომიერი და მიზნბრივი თანმიმდევრობით იქნას განხილული საკითხები.

შეიარაღებული ბრძოლის წარმოდგენილ მოდეში "მებრძოლი სისტემის მასების – ინერციის" ცენტრის ცნება, როგორც პარამეტრის მნიშვნელობა სისტემურად განსაზღვრას მოითხოვს. შესაბამისად შეიძლება განიმარტოს, რომ "მებრძოლი სისტემის მასების – ინერციის ცენტრის" არის სივრცეში განთავსებული წერტილი, რომელშიც ვირტუალური წარმოდგენით განთავსებული მთელი "მებრძოლი სისტემების" მასების ჯამის ტოლი – საერთო მასის მქონე, მატერიალური წერტილის სტატიკური მომენტი ნებისმიერი სიბრტყის მიმართ, უდრის შესაბამისად განსაზღრვული რეალური "მებრძოლი სისტემის" "მებრძოლის მასების" სტატიკური მომენტების ჯამს.

როგორც "მებრძოლი სისტემის მასების – ინერციის" ცენტრის განმარტება მიუთითებს, მისი დადგენისათვის კიდევ ერთი ცნების – "მებრძოლი სისტემის სტატიკური მომენტის" განსაზღვრა არის აუცილებელი. მისი სიდიდე დგინდება "მებრძოლი სისტემის" შემადგენელი, "მებრძოლი ელემენტების" "მებრძოლი მასებისა" და სათანადო წერტილიდან ან სიბრტყიდან მათ ცენტრამდე, მანძილების ნამრავლების ჯამით.

ვიდრე შეიარაღებული ბრძოლის მოდელის სხვა პარამეტრების სისტემატიზაციის საკითხები იქნება განხილული, აუცილებელია, გარკვეული ანალოგიებით განიმარტოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება "მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტისა" და "მებრძოლი სისტემის სტატიკური მომენტისა".

როგორც განხილული იქნა, "მებრძოლი სისტემის" ბრძოლისუნარიანობა განისაზღვრება ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის პირობით და ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის პირობით. მოცემულ შემთხვევაში "მებრძოლი სისტემის სტატიკური მომენტის" შეფარდებით, "მებრძოლ სისტემაზე" "იარაღის ძალით" ზემოქმედებით წარმოქმნილი მომენტების ჯამთან ნებისმიერი "მებრძოლი ელემენტის" მიმართ, შეიძლება შეფასდეს "ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის" მდგომარეობა. ასევე, "მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტის" შეფარდებით "მებრძოლ სისტემაზე" "იარაღის ძალით" ზემოქმედებით წარმოქმნილი მომენტების ჯამთან ნებისმიერი "მებრძოლი ელემენტის" მიმართ, შეიძლება შეფასდეს "ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის" მდგომარეობა. შემოთავაზებული ალგორითმის საფუძველზე ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცისა და მდგრადობის პარამეტრების შეფასება, აბსოლუტური მნიშვნელობებით ძნელად თუ ემორჩილება მათემატიკური აპარატის და, მით უმეტეს, კონკრეტული სიდიდეებით გათვლას, მაგრამ "მებრძოლი სისტემის" "მებრძოლი ელემენტების" პოზიციების ცვლილებებისას და "მებრძოლ სისტემაზე" "იარაღის ძალით" ზემოქმედების პარამეტრების გაზრდისა თუ შემცირების პირობებში, სათანადო

ალგორითმით, ფარდობითი მაჩვენებლების დინამიკის დადგენა პრაქტიკულად მიღწევადია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ მოდელში, შეიარაღებული ბრძოლის ფორმალიზებული და იდეალიზებული სისტემატიზაცია პროცესებისა, მოცემულ შეითხვევაში მიმართულია იმ კონკრეტული საბოლოო პარამეტრების დადგენაზე, რომლებიც საშუალებას იძლევა, ასევე სამხედრო ხელოვნების კონკრეტული საკითხების – არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის და სხვა თანმხლები ამოცანების გადაწყვეტის კლასიფიცირებისა. რაც შეეხება ლოგიკური ეტაპობრივობით განსაზღვრულ ცალკეულ პარამეტრებს, ყოველ კონკრეტულ ამოცანაში მათი გამოყენება, მათი ათვისების სათანადო მეთოდის შემუშავებას ან დაზუსტებას მოითხოვს.

კვლევების ასეთი თანმიმდევრობით, დგება საკითხი "მებრძოლი სისტემის" დინამიკის, როგორც ძალაზე და მასზე – "იარაღის ძალაზე" და "საბრძოლო კავშირებით" გაერთიანებულ, "მებრძოლი ელემენტების" "მებრძოლ მასებზე" დაფუძნებული პროცესის, ისეთი ძალოვანი პარამეტრის განსაზღვრისა, რომელიც არა ზოგადად, არამედ კონკრეტული "მებრძოლი სისტემისათვის", მისი არსებობის ყოველ კონკრეტულ მომენტში, მასზე გარკვეული მიმართულების "იარაღის ძალით" ზემოქმედების სივრცეში, დაადგენდა "მებრძოლი სისტემის" საბრძოლო შესაძლებლობის მაქსიმალური კონცენტრაციით გამოყენების მიღწევადობის რეალურ სურათს და შესაბამისად დააზუსტებდა თვით "მებრძოლი სისტემის" - "მებრძოლი ელემენტების" და სათანადო "საბრძოლო კავშირების", მოწინააღმდეგის საპირისპიროდ განთავსებისა და ორიენტირების შერჩევის ოპტიმალურ ვარიანტებს.

შეიარაღებული ბრძოლის პროცესში, მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემები" ურთიერთზე "იარაღის ძალით" ზემოქმედებისას, მათი სივრცეში განთავსების და ორიენტაციების შესაბამისად, სხვადასხვა სიდიდით ამჟღავნებენ ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცეს, მდგრადობას და შესაბამის საბრძოლო შესაძლებლობებს.

"მებრძოლი სისტემის" მიერ, მოწინგააღმდეგეზე ზემოქმედებისას, ბრძოლისუნარიანობის და სათანადო საბრძოლო შესაძლებლობების, როგორც დინამიკური პარამეტრის, სხვადასხვა სიდიდით გამოვლენის დამოკიდებულება "მებრძოლი სისტემის" გეომეტრიისა და სივრცეში ორიენტაციაზე განისაზღვრება ინერციულობის კონკრეტული მაჩვენებლით – "მებრძოლი სისტემის ინერციის რადიუსით".

"მებრძოლი სისტემის ინერციის რადიუსი" წერტილის-პოლუსის ან ღერძის მიმართ, წარმოადგენს მანძილს, რომლითაც კონკრეტული მიმართულებით უნდა განთავსდეს "მებრძოლი სისტემის" საერთო-ჯამური "საბრძოლო მასების" მქონე მატერიალური წერტილი ისე, რომ აღნიშნული წერტილის-პოლუსის ან ღერძის მიმართ მითითებული მატერიალური წერტილის ინერციის მომენტი ტოლი იყოს

“მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი მასების” ჯამური ინერციის მომენტისა იგივე წერტილის ან ღერძის მიმართ. (ნახ. 57).



ნახ. 56 – მებრძოლი სისტემის მასების ცენტრი – ინერციის ცენტრი



ნახ. 57 – მებრძოლი სისტემის სხვადასხვა მიმართულებით ინერციის მომენტების რადიუსების საერთო გეომეტრიული სქემა.

დასმული ამოცანის გადაწყვეტისათვის, შემდგომში “მებრძოლი სისტემის ინერციის რადიუსი” განიხილება ისეთი პოზიციით, როდესაც რადიუსის საწყისი წერტილის კოორდინატები, ერთი და იგივე ათვლის ნებისმიერ სისტემაში, ემთხვევა “მებრძოლი სისტემის მასების – ინერციის ცენტრის” კოორდინატებს.

ბრძოლისუნარიანობის მხრივ, სათანადო საბრძოლო შესაძლებლობების პოტენციალით “მებრძოლი სისტემის” საბრძოლო წინააღმდეგობა, მასზე

მოქმედ “შეიარაღებული ბრძოლის დატვირთვაზე”, როგორც კონკრეტული მიმართულების მქონე “იარაღის ძალით” ზემოქმედების მიმართ, გაცილებით მეტი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც თავისი ორიენტაციით “მებძროლი სისტემა” მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” “იარაღის ძალით” ზემოქმედების მიმართულების ხაზს დაამთხვევს “მებრძოლი სისტემის მაქსიმალური მნიშვნელობის ინერციის რადიუსის” მიმართულებას.

მოცემული პარამეტრი ანალიზურად მიუთითებს იმაზე, რომ “მებრძოლმა სისტემამ”, მასზე მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” შეიარაღებული ბრძოლით ზემოქმედების მოლოდინში, უნდა შეძლოს “მებრძოლი ელემენტების” და მათი, ურთიერთის მიმართ არსებული, “საბრძოლო კავშირების” ისეთი გადაწყობა დროსა და სივრცეში, რომ “იარაღის ძალით” ზემოქმედების დაწყების სასტარტო მომენტში უკვე განახლებული “მებრძოლი სისტემა” თავისი “მაქსიმალური ინერციის რადიუსის” მიმართულებით დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგეს.

თავისთავად “მებრძოლი სისტემის” დროსა და სივრცეში სწრაფად გადაწყობა და ახალი პოზიციის დაკავება, სამხედრო ხელოვნების უმნიშვნელოვანესი სცენარია. მას კონკრეტულ შეითხვევაში კონკრეტული განმარტებები აქვს. იგი შეიძლება იყოს მანევრი, ოპერატიული და სტრატეგიული გაშლა, ოპერატიული მოწყობა, გადაჯგუფება და სხვა მრავალი შემთხვევა. მაგრამ ფიზიკური არსი საკმაოდ ერთნიშნაა და მარტივად ფორმულირებადი.

“მებრძოლი სისტემა” თავისი შემადგენელი “მებრძოლი ელემენტების” და მათ შორის არსებული “საბრძოლო კავშირებით” დროსა და სივრცეში იცვლის თავისი განსაზღვრის არეს, თავისი “მებრძოლი ელემენტების” მდებარეობებს შესაბამისი კავშირების შენარჩუნებით ან შეცვლით, ანუ საწყისი “მებრძოლი სისტემისაგან” წარმოიშობა ახალი “მებრძოლი სისტემა”.

მათემატიკურ მოდელში ერთი სისტემისაგან მეორეზე გადასვლა სხვადასხვა ხერხით შეიძლება. “მებრძოლი სისტემის” მდგრადობაზე ორი ძირითადი ვარიანტის განხილვა არის სახასიათო:

1. მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი ელემენტების” გადალეგება-გადაჯგუფება სივრცესა და დროში სათანადო “საბრძოლო კავშირების” მოშლით და ახალი “საბრძოლო კავშირების” დამყარებით.

ასეთი გადაწყობა, ერთი “მებრძოლი სისტემის” უკვე განახლებულ მეორე “მებრძოლ სისტემად”, თავისთავად მიზანდასახული კონფიგურაციის - შიგა “საბრძოლო კავშირების” და “მებრძოლი ელემენტების” გადაადგილების და ახალი ფუნქციის მინიჭების, გაცილებით მეტ თავისუფლების ხარისხს და შესაძლებლობებს ქმნის, რაც სამხედრო ხელოვნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ხდება შეზღუდვა, სამხედრო ხელოვნების ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოთხოვნისა – გადაწყობის უსწრაფესი განხორციელებისა. (ნახ. 58).

2. “მებრძოლი სისტემის” “მებრძოლი ელემენტების” გადალაგება-გადაჯგუფება სივრცესა და დროში საბრძოლო კავშირების სტრუქტურის შეუცვლელად.

მოცემულ შემთხვევაში, “მებრძოლ სისტემაში”, “მებრძოლი ელემენტები” იკავებენ მიზნობრივად განსაზღვრულ მდებარეობას ისე, რომ მათ შორის არსებული “საბრძოლო კავშირები” – ანუ სისტემის სტრუქტურა შენარჩუნებულია. (ნახ. 59).

მოცემულ შემთხვევაში გადაჯგუფება უსწრაფესად და ეკონომიურად ხდება. ასეთი პროცესი ფორმადწარმოქმნის თეორიაში დამახასიათებელია “ტრანსფორმირებადი სისტემებისთვის”, რაც ავტორის მიერ საკმაოდ არის შესწავლილი და ანალოგიებისთვის მაღალი შეთავსების უნარით არის მოდელირებული [43].

თუ დავუბრუნდებით საკითხს “მებრძოლი სისტემების ინერციის რადიუსის” სიდიდეების შეფასებებისა, გასათვალისწინებულია არა მარტო ის - თუ რა ორიენტაციით შეეგებება “მებრძოლი სისტემა” “შეიარაღებული ბრძოლით ზემოქმედებას”, არამედ ისიც - როგორ მიმართულებას აირჩევს მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემა” “იარაღის ძალის” გამოყენებისათვის, და რა სახით განახორციელებს “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთავს”.

ამისათვის მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემას” უნდა გააჩნდეს ინერციულობის დამატებითი პარამეტრები კონკრეტული იარაღის ძალით ზემოქმედებისათვის განსაზღვრული “მებრძოლი სისტემისა”.

ასეთ პარამეტრებს მიეკუთვნება “მებრძოლი სისტემის”, როგორც დინამიკური სისტემის, ერთ წერტილში ურთიერთგადამკვეთი “მებრძოლი სისტემის ინერციის მთავარი ღერძები”, რომლებიც ხასიათდებიან იმით, რომ მათზე ათვლილი “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტები” თავის მნიშვნელობებით აღწევენ ექსტრემუმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, “მებრძოლი სისტემის ინერციის მთავრ ღერძებზე” ათვლილი სიდიდეების ინერციის მომენტებს შეიძლება ეწოდოს “მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის მთავარი ინერციის მომენტები”.

მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი მოდელის შექმნით და შეიარაღებული ბრძოლის პროცესების ფორმალიზებული და იდეალიზებული სისტემატიზაციით და კლასიფიცირებით, ანალოგიების საფუძველზე განისაზღვრა: ბრძოლისუნარიანობა და მისი სახეები – ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობის მდგრადობა; “მებრძოლი სისტემა” მისი შემადგენელი “მებრძოლი ელემენტებით”, რომელთაც ახასიათებთ “მებრძოლი მასები” და ერთმანეთთან ურთიერთობის “საბრძოლო კავშირები”; “მებძროლი სისტემის ინერციის მომენტი”; “იენრციის რადიუსები”; “მებრძოლი სისტემის მასები ცენტრი”; იარაღის ძალით ზემოქმედებების გამოწვეველი “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა” და სხვა მრავალი დამხმარე პარამეტრები, შესაძლებელი

ხდება სისტემურად არსობრივი შესწავლა, განხილვა და შეფასებები არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიისა. თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ კონკრეტული ამოცანის განხილვამდე, შეიძლება განმეორებითაც, კვლავ გამოითქვას რამოდენიმე შეფასება.



ნახ. 58 – იარაღის ძალით მოსალოდნელი ზემოქმედების მიმართულების მიმართ, მაქსიმალური ინერციის მომენტით დასაპირისპირებლად, მებრძოლი სისტემის გადაწყობა-გადაჯგუფება სტრუქტურის შეცვლით.



ნახ. 59 – იარაღის ძალით მოსალოდნელი ზემოქმედების მიმართულების მიმართ, მაქსიმალური ინერციის მომენტით დასაპირისპირებლად, მებრძოლი სისტემის გადაწყობა-გადაჯგუფება სტრუქტურის შეუცვლელად.

წარმოდგენილი სისტემატიზაციის მცდელობა, რომლის ერთ-ერთი ამოცანა ისიც იყო, რომ სამხედრო ხელოვნების არასისტემატიზებული მოვლენები სისტემური ლოგიკის სფეროს მოეცვა, უპირველესად გამიზნულია, ერთის მხრივ, საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სივრცეში სამხედრო თეორიის აქტუალური საკითხების სწორი გაგებისათვის და ადაპტაციისათვის, მეორეს მხრივ კი, მოცემულ ეტაპზე სამხედრო თეორიის რიგი პრიორიტეტული დებულებების არსში გარკვევისათვის, რაც გამორიცხავდა ამ მხრივ მრავალ ურთიერთგამომრიცხავ და ურთიერთსაპირისპირო პოზიციებს და განმარტებებს.

ამდენად, წარმოდგენილი სამუშაოს მიზანი არის კონკრეტულ საკითხებში გარკვევა და არა თვითმიზანი სხვა მსგავსი ხასიათის თეორიების კრიტიკსა და საკუთარი ორიგინალური მიდგომის წინა პლანზე წამოწევისა. ამიტომ, საკითხების განხილვის დროს, არ ხდება გადახვევები განმარტებებისათვის, სადაც მითითებული იქნება ცალკეული კვლევების ლოგიკასთან სიახლოვე, ანალოგიები, განსხვავებები და სიახლეები. ასეთი მიდგომა საკმაოდ ვრცელს და გადატვირთულს გახდიდა ამოცანას და მის ორიენტირებს კონკრეტიზაციიდან ფართო განზოგადოებებისაკენ გადაიტანდა, რაც წარმოდგენილი მონოგრაფიის ფარგლებში მიზნად არ არის დასახული.

სისტემური ანალიზისას, მოდელის მექანიკის პრინციპებზე დაფუძნების გამო, საკითხების განხილვის არსის თვალსაჩინო და ლაკონური წარმოდგენისათვის, მსჯელობისა და სქემატური ილუსტრაციების შექმნის დროს, ადგილი აქვს, შედარების მაგალითებად მექანიკის დარგის ანალოგიების გამოყენებას. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მოდელის შექმნის იდეოლოგია და ლოგიკა გულისხმობს, მოდელში "შეიარაღებული ბრძოლის პარამეტრების განსაზღვრას მექანიკაში ცნობილი ფორმულებით და სათანადო მათემატიკური აპარატის გამოყენებით. თუმცა კვლევებში, მექანიკის ანალოგიების თუნდაც მათემატიკურმა გამოხატვამ, სამხედრო სპეციალისტებისათვის უნდა განაპირობონ მაღალი სიზუსტის მინიშნებები იმის შესახებ თუ "მებრძოლი სისტემის" ცალკეული პარამეტრი ფუნქციონალურად, როგორ დამოკიდებულებაშია აქ მოყვანილ ცალკეულ ფაქტორებთან – ასე ვთქვათ არგუმენტებთან. ასეთი მიდგომა გარკვეული სისტემატიზაციის ეფექტებს ქმნის არასისტემატიზირებული სამხედრო მოვლენების შეფასებებისას, რაც ბუნებრივია, და რაც ანალოგიების გამოვლენის პრაქტიკისათვის სრულიად მისაღებია.

აღნიშნულის შემდეგ, ყველა წინაპირობების გარკვევით და დაცვით, შეიძლება განხილული იქნას "მებრძოლ სისტემაზე" "შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვის" – როგორც "იარაღის ძალით" სისტემური ზემოქმედების კლასიფიცირების საკითხები, რომელთა დიაპაზონმა ასევე უნდა მოცვას არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიის კონკრეტული შემთხვევები თავისი განზოგადოებული ახსნით.

კლასიფიცირებისათვის განკუთვნილი მოდელის ელემენტებად გამოყენებულია: ერთიანი “მებრძოლი სისტემა”; “მებრძოლი მასების” მქონე “მებრძოლი ელემენტები”; “საბრძოლო კავშირები”; მასების-ინერციის ცენტრი; “მებრძოლი სისტემის ინერციის რადიუსები”; კოორდინატთა სისტემა; “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, როგორც “იარაღის ძალების” ერთობლივი ან სათანადო იარაღის ტოლქმედი ძალით ზემოქმედება; “შეიარაღებული ბრძოლით უშუალო დატვირთვა”; “შეიარაღებული ბრძოლით არაპირდაპირი დატვირთვა” და სხვა პარამეტრები, რომელთა უმეტესობა წარმოდგენილ კვლევაში განისაზღვრა და დაზუსტებულია, ხოლო გარკვეული სახეობები კვლევის პროცესში განიმარტება.

სათანადოდ წარმოვადგინოთ “მებრძოლი სისტემა”, ავღნიშნოთ მისი “მებრძოლი მასის” მქონე “მებრძოლი ელემენტები”, დავიტანოთ მათ შორის “საბრძოლო კავშირები” და განვათავსოთ მთელი “მებრძოლი სისტემა” კოორდინატთა სისტემაში. განვსაზღვროთ და ავღნიშნოთ “მებძროლი სისტემის” “მებრძოლი მასების-ინერციის ცენტრი” და მის მიმართ, ავაგოთ კონტური, რომლის ყოველი წერტილის დაცილება “მებრძოლი მასების – ინერციის ცენტრიდან” შეესაბამება “მებრძოლი სისტემის ინერციის რადიუსს” სათანადო მიმართულებით.

ასეთი სისტემური მზადყოფნით “მებრძოლი სისტემის” მიმართ, კლასიფიცირების მიზნით განვიხილოთ ყველა შესაძლო – სახასიათო შემთხვევები სისტემაზე “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვისა”, როგორც ფაქტორი “იარაღის ძალების” ან მათი ტოლქმედი ძალის ზემოქმედებისა.

პირველ რიგში, კლასიფიცირებულ განმარტებას მოითხოვს ორი პოზიცია:

— “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა” “მებრძოლი სისტემისა”, როგორც შემთხვევა “შეიარაღებული ბრძოლით უშუალო დატვირთვისა”.

თავისთავად “შეიარაღებული ბრძოლით უშუალო დატვირთვა” არის “მებრძოლ სისტემაზე” მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემით” ისეთი ზემოქმედება, როდესაც შეიარაღებულ ბრძოლაში იარაღის ძალებით ზემოქმედება უშუალოდ ხორციელდება და ვრცელდება “მებრძოლ სისტემაზე” და “მებრძოლი სისტემის” სივრცეში გავრცელების არეზე.

— “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, რომელიც მოწინააღმდეგე მებრძოლ სისტემაზე ხორციელდება არაპირდაპირი ზემოქმედებით.

“შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, რომელიც “მებრძოლ სისტემაზე” მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” მიერ ხორციელდება არა უშუალოდ საბრძოლო შეხების რეჟიმით, არამედ სხვა, ფიზიკური თუ ვირტუალური ბუნების მქონე შუალედური სისტემით ან ფაქტორით, არის “მებრძოლ სისტემაზე” არაპირდაპირი ზემოქმედება.

მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი მოდელის შექმნის მიზანი იყო არა ის, რომ მისთვის მიგვენიჭებია ისეთი თვისება, რომლითაც დადასტურდებოდა ან

უარყოფილი იქნებოდა განზოგადოებული და პრაქტიკულად აღიარებული დებულებები, არამედ ის, რომ მოდელის ამოქმედებით – განზოგადოებული კანონზომიერებების წარმოჩენით, სისტემურად მომხდარიყო აქტუალური დებულებების საფუძვლების და შესაბამისობის მართებულობის ანალიზი დღემდე მიღებულ ტერმინოლოგიასთან.

“მებრძოლი სისტემის” მოდელის შესაბამისად ყველა შემთხვევაში ეს იქნება ჯერ კიდევ პირობითად კლასიფიცირებული “შეიარაღებული ბრძოლით უშუალო დატვირთვა”, “შეიარაღებული ბრძოლით არაპირდაპირი დატვირთვა” თუ ზოგადად ყველა შესაძლო და დაუკონკრეტებელი სახის “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, როგორც “იარაღის ძალებით” და შესაბამისად მათი “ტოლქმედი იარაღის ძალით” ზემოქმედება გეომეტრიულად შეიძლება იყოს შემდეგი შესაძლო ფორმის.

I. ცენტრალური, როდესაც “ტოლქმედი იარაღის ძალით” ზემოქმედების ვექტორი მიმართულია “მებრძოლი სისტემის მასების ცენტრისაკენ” ან თავის მიმართულებით არ გამოდის “მებრძოლი სისტემის კვეთის გულიდან – ბირთვიდან”. “მებრძოლი სისტემის” ასეთი გეომეტრიით “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა” მიეკუთვნება “მებრძოლ სისტემაზე” “იარაღის ძალით ცენტრალურ ზემოქმედებას”.

გარკვეულ მსჯელობას და განმარტებას მოითხოვს ახლად შემოტანილი ცნება “მებრძოლი სისტემის კვეთის გული – ბირთვი”. მისი აზრობრივი შეთავსება სამხედრო ხელოვნებასთან, ოღონდ მექანიკის ანალოგიით, შემდეგი დებულებით შეიძლება განიმარტოს – “მებრძოლი სისტემის კვეთის გული – ბირთვი” წარმოადგენს “მებრძოლი სისტემის” გავრცელების არეში, ვირტუალურ წერტილთა ჯგუფურ სიმრავლეს, რომელიც ასევე მოიცავს “მებრძოლი სისტემის მასებს – ინერციის ცენტრს”, და რომლებზეც მოქმედ “იარაღის ძალას”, საპირისპიროდ და მიმათრულების ერთი ნიშნით, შეუძლია აამოქმედოს “მებრძოლი სისტემის” უკლებლივ ყველა “მებრძოლი ელემენტი”.

საინტერესოა ის, რომ შემუშავებული მოდელით, ავტონომიურ და განზოგადოებულ რეჟიმში შეიარაღებული ბრძოლის პროცესების ფორმალიზებული და იდეალიზებული ლოგიკით სისტემატიზაციისა, თავის მხრიდან აკეთებს მინიშნებებს ისეთ აქტუალურ ტერმინებზე, რომელიც ეფუძნება კლაუზევიცის თეორიის სიმძიმის-გრავიტაციის ცენტრს და “თვით არამოკეთე ძალის ბირთვს” – “...ნამდვილი განადგურება მოწინააღმდეგისა მიიღწევა არა იმით, რომ ჩვენ წყნარად, ჭარბი ძალებით, დავიპყრობთ არამოკეთის რომელიღაც პროვინციას და, ამ მცირე ნადავლით, დავიწყებთ ფიქრს დიდი გამარჯვებების შესახებ, არამედ იმით, რომ ჩვენ შეუჩერებლივ ვივლით მოწინააღმდეგის ბირთვისაკენ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მოვიგოთ...”.

მოცემულ შემთხვევაშიც, კლაუზევიცი “არამოკეთე ძალების ბირთვზე”, არა ანალოგიებისა და სისტემური მოდელების საფუძველზე, არამედ კვლევის

ემპირული ლოგიკით, მიუთითებს როგორც პარამეტრზე, რომელზეც ინტენსიური და დიდი ძალებით, შეიარაღებული ბრძოლით ზემოქმედებისას მოხდება მოწინააღმდეგის მთელი პოტენციალის გამოწვევა და შესაბამისად განპირობდება შესაძლებლობები მისი სრულად განადგურებისა

II. ექსცენტრული, როდესაც "იარაღის ტოლქმედი ძალის" ზემოქმედების ვექტორი გარკვეული მანძილით – ექცენტრისიტეტით აცილებულია "მებრძოლი სისტემის მასების ცენტრისაგან" და, ამასთან, მისი დამიზნების ხაზი გადის "მებრძოლი სისტემის კვეთის გულის – ბირთვის" არისაგან.

ასეთ შემთხვევაში "მებრძოლი სისტემის" მოწინააღმდეგე "მებრძოლ სისტემაზე" "იარაღის ძალით" ზემოქმედებისას განიხილება ორი კერძო შემთხვევა:

1. როდესაც ექსცენტრული თავსდება "მებრძოლი სისტემის" გავრცელების სივრცის არეში, ანუ "იარაღის ტოლქმედი ძალის" ვექტორი თავისი მიმართულების ხაზით კვეთის "მებრძოლი სისტემის" სივრცეში გავრცელების არეს. ეს შემთხვევა განიმარტება – "იარაღის ძალით შიგა ექსცენტრული ზემოქმედების" ტერმინით.
2. როდესაც ექსცენტრისიტეტი არ თავსდება "მებრძოლი სისტემის სივრცეში გავრცელების არეში" ანუ "იარაღის ტოლქმედი ძალის" ვექტორი თავის მიმართულების ხაზით ცდება "მებრძოლი სისტემის" სივრცეში გავრცელების არეს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემა" კონკრეტულ "მებრძოლ სისტემაზე" თავისი იარაღის ძალით უშუალოდ ვერ და არ ზემოქმედებს. ეს შემთხვევა განიმარტება "იარაღის ძალით გარე ექსცენტრისიტეტის ზემოქმედების" ტერმინით.

ამდენად, ახლა უკვე, სამხედრო ხელოვნებისადმი მიმართებით, სისტემური მიდგომით შეიძლება განიმარტოს, რომ მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემის", შეიარაღებული ბრძოლის ფორმით, ურთიერთზე იარაღის ძალით უშუალო ზემოქმედებას წარმოადგენს ცენტრალური და შიგა ექსცენტრული ზემოქმედებები. ხოლო "მებრძოლი სისტემის" ურთიერთზე არაპირდაპირი ზემოქმედება "იარაღის ძალით გარე ექსცენტრისიტეტით ზემოქმედება".

"მებრძოლი სისტემის" ურთიერთზე, "იარაღის ძალით" ცენტრალური და შიგა ექსცენტრული ზემოქმედება რამოდენიმე შემთხვევას აერთიანებს, რომელთა ჩამონათვალია: I.1. – ცენტრალური პირდაპირი ზემოქმედება; I.2. – ცენტრალური გვერდითი ზემოქმედება; I.3. – ცენტრალური ირიბი ზემოქმედება და II.1. – ექსცენტრული პირდაპირი ზემოქმედება; II.2. – ექსცენტრული გვერდითი ზემოქმედება; II.3. – ექსცენტრული ირიბი ზემოქმედება.

ცალკეული განხილული შემთხვევა მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემების" ურთიერთზე, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში, იარაღის ძალით ზემოქმედებისა, სათანადო სქემებით მოითხოვს განმარტებებს.

I.1. – მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე”, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში “იარაღის ძალით” ცენტრალური პირდაპირი ზემოქმედება.

მოცემულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე”, “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, განხილული როგორც “იარაღის ძალით ზემოქმედება”, ხორციელდება იარაღის ისეთი ტოლქმედი ძალით, რომლის ვექტორი მდებარეობს “მებრძოლი სისტემის” მთავარი – მაქსიმალური ინერციის რადიუსის განთავსების ხაზზე ან მის პარალელურად, და მიმართულია “მებრძოლი სისტემის მასების ცენტრისაკენ” ან “მებრძოლი სისტემის” “კვეთის გულის – ბირთვის” სივრცეში განთავსებულ ნებისმიერი წერტილისაკენ (ნახ. 60).

ასეთი გეომეტრიით მოწინააღმდეგე ძალაზე, შეიარაღებულ ბრძოლაში, იარაღის ძალით ზემოქმედების შესახებ კლაუზევიცის მიდგომა შემდეგი იყო – “მტერი შეიძლება ნამდვილად გავანადგუროთ, თუ აღმოვაჩენთ მისი ძალების ბირთვს და ყველა ძალებს მივმართავთ ამ ბირთვისაკენ” [44].

საფიქრებელია, რომ კლაუზევიცი გულისხმობდა, სწორედ აქ განხილულ, მოწინააღმდეგეზე “იარაღის ძალით” ცენტრალურ პირდაპირ ზემოქმედებას. ასეთი მიმართებით, შეიარაღებულ ბრძოლაში ხდება მოწინააღმდეგის მიერ ბრძოლისუნარიანობის და სათანადო საბრძოლო საშუალების რესურსის და პოტენციალის მაქსიმალური კონცენტრაცია იმ მიმართულებით, რომელიც ხასიათდება, სათანადო მასების ცენტრის მიმართ, მათი ბრძოლისუნარიანობის ინერციის მომენტის, ინერციის რადიუსის და, ასევე, კვეთის გულის – ბირთვის, მაქსიმალური სიდიდით.

ასეთ ვითარებაში კლაუზევიცის მოწოდება რეალიზებადია, რამდენადაც შესაძლებელია მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე” იარაღის ძალით ზემოქმედება ისეთი ორიენტირით, როდესაც მოწინააღმდეგე მაქსიმალურ შესაძლებლობას წარმოაჩენს და მისი დამარცხების შემთხვევაში მაქსიმალურად დაიცლება საბრძოლო შესაძლებლობებისაგან და სათანადოდ დაკარგავს ბრძოლისუნარიანობას.

I.2. – მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტმაზე”, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში “იარაღის ძალით ცენტრალური გვერდითი ზემოქმედება”.

ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე”, “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, განხილული როგორც “იარაღის ძალით ზემოქმედება”, ხორციელდება იარაღის ისეთი ტოლქმედი ძალით, რომლის ვექტორი მდებარეობს “მებრძოლი სისტემის” მთავარი – მინიმალური ინერციის რადიუსის განთავსების ხაზზე ან მის პარალელურად, და მიმართულია “მებრძოლი სისტემის” მასების ცენტრისაკენ” ან “მებრძოლი სისტემის კვეთის გულის – ბირთვის” სივრცეში განთავსებულ ნებისმიერი წერტილისაკენ (ნახ. 60).

სამხედრო ხელოვნებაში, მოცემულ შემთხვევაში განხილულ მოდელზე, სისტემატიზებული ცენტრალური გვერდითი ზემოქმედება, ოპტიმალურ შედეგზეა ორიენტირებული, როდესაც მიზნად არის დასახული მოწინააღმდეგეზე “გამკვეთი

დარტყმის” განხორციელება, როდესაც მიზნად ისახება მოწინააღმდეგეს “მებრძოლის სისტემის” დანაწევრება გაცილებით მცირე, მინიმუმ ორ, ერთმანეთისაგან “საბრძოლო კავშირებით” იზოლირებულ და გაცილებით ნაკლები ბრძოლისუნარიანობის “მებრძოლ სისტემებად”.

I.3. – მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე”, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში “იარაღის ძალით” ცენტრალური ირიბი (ცერა) ზემოქმედება.

მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე” “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, განხილული როგორც “იარაღის ძალით ზემოქმედება”, ხორციელდება იარაღის ისეთი ტოლქმედი ძალით, რომლის ვექტორი მდებარეობს “მებრძოლი სისტემის” მთავარი – მაქსიმალური და მთავარი – მინიმალური ინერციის რადიუსების განთავსების ხეზებს შორის, მათ მიმართ კუთხით მდებარე ხაზზე ან აღნიშნული ხაზის პარალელურად, რომელიც გადის “მებრძოლი სისტემის”

მასების ცენტრზე ან “მებრძოლი სისტემის კვეთი კულის – ბირთვის” სივრცეში განთავსებულ ნებისმიერ წერტილზე (ნახ. 60).

ირიბი – ცერა დარტყმის კლასიკურ მაგალითად, ზოგადად სამხედრო თეორია და კონკრეტულად სამხედრო ისტორია, განიხილავს ფრიდრიხ მეორეს მიერ, შვიდწლიანი ომის დროს (1756-1763 წწ.), დღევანდელი ლატვიის ტერიტორიაზე, მაშინ კი პოლონეთის სახელმწიფოში, ლეიტენთან, 1757 წლის 5 დეკემბერს, ირიბი საბრძოლო წყობის — ირიბი დარტყმის გამოყენებას. ასეთი მოქმედებით ფრიდრიხ მეორემ, რომლის არმია წარმოდგენილი იყო 40 ათასი მებრძოლით და 167 ზარბაზნით, გაანადგურა ავსტრიელების არმია, რომელთაც ყავდათ 66 ათასი მებრძოლი და 300 ზარბაზანი. საინტერესოა, რომ ავსტრიულმა არმიამ დაკარგა 27 ათასი მებრძოლი და 116 ზარბაზანი მაშინ, როდესაც პრუსიის არმიის — ფრიდრიხ მეორის დანაკარგი იყო 6,5 ათასი მებრძოლი.

მას შემდეგ სამხედრო ხელოვნებაში ირიბი — ცერა დარტყმა აღიარებულია ტაქტიკის მნიშვნელოვან პრინციპად.

თუ ცენტრალურ გვერდით დარტყმას, შემუშავებული მოდელის ფარგლებში უფრო ფართოდ განვიხილავთ, გასაგები ხედბა, რომ ასეთი გეომეტრიით მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემა” ერთდროულად და საკმაოდ კრიტიკული ფორმით იწყებს მისი ბრძოლისუნარიანობის ორი სახით — ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცისა და,რაც უფრო მნიშვნელოვანია, ბრძოლისუნარიანობის მდგრადობის დაკარგვას, რომლის შემდეგ ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცის შემცირება კიდევ უფრო ზრდადი მაჩვენებლებით ხდება.

და, კიდევ ერთი, “გვერდითი დარტყმა” ის შუალედური და მოხერხებული ორიენტირია მოწინააღმდეგეზე ზემოქმედებისა, როდესაც ნაკლები ძალისხმევით განხორციელებული სწრაფი მანევრით, შესაძლებელი ხდება, სიტუაციის მიხედვით მოწინააღმდეგეზე იარაღის ძალით ზემოქმედების ორიენტირის შეცვლა

და მისი გადაყვანა ცენრტარულ პირდაპირი ან ცენტრალურ გვერდითი დარტყმის პოზიციაში, რაც მოწინააღმდეგეს დამატებით სირთულეებს უქმნის.

მოწინააღმდეგე "მებრძოლ სისტემაზე", შეიარაღებული ბრძოლით "იარაღის ძალით" ასევე უშუალო ზემოქმედებას მიეკუთვნება – "შიგა ექსცენტრული ზემოქმედება", რომლის გეომეტრიული პარამეტრები და ფიზიკური ხასიათი უკვე იქნა განხილული. მოცემულ შემთხვევაში, ცალკ-ცალკე განხილვას მოითხრვს ასევე აღნიშნული სამი შემთხვევა:

II.1 – ექსცენტრული პირდაპირი ზემოქმიედება;

II.2. – ექცენტრული გვერდითი ზემოქმედება;

და

II.3. – ექსცენტრული ირიბი ზემოქმედება. ასევე შესათანხმებელია ისიც, რომ ჩამოთვლილი პირდაპირი, გვერდითი თუ ირიბი ექსცენტრული ზემოქმედებები და შესაბამისად მათი აქ მიღებული ტერმინები აღნიშნავენ მხოლოდ და მხოლოდ "მებრძოლ სისტემაზე" "იარაღის ძალით" უშუალო ზემოქმედებას, რაც რეალიზებადია მხოლოდ და მხოლოდ შიგა ექსცენტრისიტეტის მქონე ძალით.

"მებრძოლ სისტემაზე" შეიარაღებული ბრძოლის პროცესში "იარაღის ძალით" შიგა ექსცენტრისიტეტით ზემოქმედება, სამხედრო ხელოვნებაში, ცენტრალურ ზემოქმედებების სახეობებთან შედარებით, სახასითო სცენარების ნაკლებად სისტემატიზაციის პარამეტრებს შეიცავს. ზოგადად, შიგა ექსცენტრისიტეტით ზემოქმედებები ყველაზე უფრო ტიპიური სახით ვლინდება ფლანგებზე დარტყმის დროს, რაც ასევე ხშირად ხორციელდება მოწინააღმდეგეზე შემოვლისა და შემორტყმის მიზნითაც, ან კიდევ გარღვევის გარკვეული სახის ოპერაციების დროს.

მიუხედავად ამისა "მებრძოლ სისტემაზე" "იარაღის ძალით" შიგა ექსცენტრული ზემოქმედებები მაინც კლასიფიცირდება მათი ორიენტირების მიხედვით:

II.1. – "მოწინააღმდეგე "მებრძოლ სისტემაზე", შეიარაღებული ბრძოლის პროცესში "იარაღის ძალით" "შიგა ექსცენტრული პირდაპირი ზემოქმედება".

მოცემულ შემთხვევაში "მებრძოლ სისტემაზე", "შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა", განხილული როგორც "იარაღის ძალებით ზემოქმედება", ხორციელდება იარაღის ისეთი ტოლქმედი ძალით, რომლის ვექტორი მდებარეობს "მებრძოლი სისტემის" მთავარი-მაქსიმალური ინერციის რადიუსის განთავსების ხაზის პარალელურად, და გააჩნია მოქმედების შიგა ექსცენტრისიტეტი, სიდიდით ტოლი აღნიშნული ინერციის რადიუსის განთავსების ხაზიდან მანძილისა ვექტორამდე (ნახ. 60).

II.2. – "მოწინააღმდეგე "მებრძოლ სისტემაზე", შეიარაღებული ბრძოლის პროცესში "იარაღის ძალით" "შიგა ექსცენტრული გვერდითი ზემოქმედება".



ნახ. 60 – მებრძოლ სისტემაზე იარაღის ძალით ზემოქმედების შესაძლო სქემა

ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე”, “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, განხილული როგორც “იარაღის ძალით ზემოქმედება”, ხორციელდება იარაღის ისეთი ტოლქმედი ძალით, რომლის ვექტორი მდებარეობს “მებრძოლი სისტემის” მთავარი-მინიმალური ინერციის რადიუსის ხაზის პარალელურად, და გააჩნია ექსცენტრისიტეტი, სიდიდით ტოლი აღნიშნული ინერციის რადიუსის განთავსების ხაზიდან მანძილისა ვექტორამდე (ნახ. 60).

II.3. – მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე”, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში “იარაღის ძალით” “შიგა ექსცენტრული ირიბი (ცერა) ზემოქმედება”.

მოცემულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე “მებრძოლ სისტემაზე”, “შეიარაღებული ბრძოლით დატვირთვა”, განხილული როგორც “იარაღის ძალით ზემოქმედება”, ხორციელდება იარაღის ისეთი ტოლქმედი ძალით, რომლის ვექტორი მდებარეობს “მებრძოლი სისტემის” მთავარი-მაქსიმალური და მთავარი-მინიმალური ინერციის რადიუსების განთავსების ხაზებს შორის, მათ მიმართ კუთხით მდებარე ცერა ხაზის პარალელურ ხაზზე, ის, რომ აღნიშნული ცერა ხაზი გადის “მებრძოლი სისტემის” მასების ცენტრზე ან “მებრძოლი სისტემის კვეთის გულის - ბირთვის” სივრცეში განთავსებულ ნებისმიერ წერტილზე, ექსცენტრისიტეტი კი სიდიდით ტოლია მანძილისა ვექტორიდან ცერა ხაზამდე (ნახ. 60).

სამივე შემთხვევაში, როდესაც განიხილება იარაღის ძალების ტოლქმედი, “მებრძოლ სისტემაზე” შიგა ექსცენტრული ზემოქმედება, აუცილებელია, რომ დაცული იქნას შემდეგი მოთხოვნები:

“იარაღის ძალებით” ზემოქმედების ტოლქმედი ძალა - ვექტორი, არ უნდა მდებარეობდეს ხაზზე, რომელიც გადაკვეთს “მებრძოლი სიტემის” კვეთის გულს - ბირთვს” – ვექტორის განთავსების ხაზი აუცილებლად უნდა იყოს კვეთის გულის ბირთვის განთავსების სივრცის მიმართ.

“იარაღის ძალებით” ზემოქმედების ტოლქმედი ძალა - ვექტორი, არ უნდა მდებარეობდეს ხაზზე, რომელიც ცდება “მებრძოლი სისტემის” გავრცელების არეს. სხვა შემთხვევაში ადგილი ექნება არაპირდაპირ - გარე ექსცენტრულ ზემოქმედებას, რაც ქვემოთ იქნება სისტემატიზებული.

საერთოდ კი, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” შეიარაღებულ დაპირისპირებისას, იარაღის ძალებით უშუალო ზემოქმედების პირობებში, ტოლქმედი ძალის შერჩევის დროს დაცული უნდა იყოს პირობა იმისა, რომ იგი წარმოადგენს ტოლქმედებს ერთი ჯგუფის, უწყვეტი ფორმის “იარაღის ძალით დატვირთვისა”, სხვა შემთხვევაში შეიძლება შექმნას სცენარი, როდესაც მოდელში ორი ექსცენტრული ზემოქმედების ტოლქმედი, ფორმალურად შეიძლება წარმოჩინდეს როგორც მათი ჯამის, მხოლოდ ვირტუალურად არსებული ცენტრალურად მოქმედი ჯამური ვექტორის სახით, რაც სამხედრო ხელოვნების რეალური სცენარის არსს არ შეესაბამება.

ცალკე და საფუძვლიან შეფასებებს მოითხოვს “მებრძოლ სისტემაზე”, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” მიერ გარე ექსცენტრული ზემოქმედება. როგორც აღნიშნა გარე ექსცენტრული ზემოქმედების შემთხვევაში, ექსცენტრისიტეტის სიდიდან გამომდინარე და სათანაო იარაღის ძალით ზემოქმედების ტოლქმედი ძალა – ვექტორი, თავისი მიმართულების ხაზით არ კვეთს და, უფრო ზუსტად, აცილებულია კონკრეტული “მებრძოლი სისტემის” სივრცეში გავრცელების არეს (ნახ. 60).

ამდენად, და ესეც კლასიფიცირდა, “მებძროლ სისტემაზე” დიდი ექსცენტრისიტეტის ზემოქმედება, არ მიეკუთვნება მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” მიერ მოცემულ “მებრძოლ სისტემაზე” უშუალო ზემოქმედებას და მისი არსი განმარტებულია, როგორც არაპირდაპირი ზემოქმედება. ეს კი რეალურად ნიშნავს იმას, რომ მოცემულ “მებრძოლ სისტემაზე” არაპირდაპირი ზემოქმედება, მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემის” მიერ შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მისი ზემოქმედებით, “მებრძოლი სისტემისაგან” დამოუკიდებლად არსებული, ფიზიკური ან ვირტუალური ბუნების მქონე, სხვა ეგრეთ წოდებულ “შუალედურ” ფაქტორზე – ობიექტზე, რომელიც თავის მხრივ უშუალოდ კავშირშია “მებრძოლ სისტემასთან” და ამით, ახლა უკვე თვითონ შესწევს უნარი პირდაპირ გადასცეს მას ის ზემოქმედება, რომელიც მისი საშუალებით, როგორც არაპირდაპირი განახორციელა “მებძროლმა სისტემამ”.

შეიარაღებული ბრძოლის პროცესში ურთიერთზე “იარაღის ძალით” ზემოქმედების კლასიფიცირება ტერმინებით – “უშუალო ზემოქმედება” და “არაპირდაპირი ზემოქმედება”, პირობითობით არ იყო განსაზღვრული. ამ მხრივ, მხოლოდ სრული სისტემატიზაციით შეიძლებოდა, ისეთი ტერმინების შერჩევა, რომელთა არსი, ერთის მხრივ, საკმაოდ მყარი პოზიციებიდან, მოაწესრიგებდა იმ მიდგომებს და აზრთა საპირისპირო აღქმას, რაც დღეს არაპირდაპირი მოქმედებების გავრცელებული სტრატეგიის თეორიულ სპექტრში არსებობს. მეორეს მხრივ, ტერმინები თავის შინაარსით და მოვლენათა ასახვით, სისტემურ კვლევებში მიღებული და აღიარებული, მკაცრად განსაზღვრული კანონზომიერებების მქონე დებულებებზე უნდა დაფუძნებულიყო. სწორედ ამიტომ, საფუძვლად იქნა შერჩეული მექანიკური სისტემების ძალოვანი სპექტრი, რადგანაც მოწინააღმდეგე “მებრძოლი სისტემების” “იარაღის ძალით” ურთიერთზე ზემოქმედება, როგორც იარაღის ძალით დატვირთვა, არის ძალოვანი დინამიკური პროცესი, რომელიც საკმაოდ მსგავსი ანალოგიაა მექანიკის დარგის ძალოვანი სისტემების ურთიერთზემოქმედებისა.

კლასიკური მექანიკის ტერმინებით (Сборник терминов по классической механике на 5 языках – русский, немецкий, английский, французский, польский. WYDAWNICTWA NAUKOWO – TECHNICZNE. WARSZAWA. 1965) უშუალო დატვირთვა – Ru: Непосредственная нагрузка; De: Unmittelbare Belastung; En: direct load;

Fr: Charge directe; Pl: obciazenie bezposrednie - განმარტებულია - დატვირთვა უშუალოდ მოდებული მოცემულ სხეულზე.

ხოლო არაპირდაპირი დატვირთვა – Ru: Косвенная нагрузка; De: Mittelbare Belastung; En: Transmitted load; Fr: Charge Transmise; Pl: Obciazenie posrednie - განმარტებულია – დატვირთვა გადაცემული მატერიალურ წერტილებისადმი, სხვა მასთან მყოფი სხეულის საშუალებით.

წარმოდგენილი მასალის გადმოცემის სტილი და მეთოდი განსაზღვრულია ის, რომ ყოველი ცნებისა და ფრაზის ტექსტებში ხდება, სრული აღწერით და ტერმინების ხშირი განმეორებით, დეტალური ახსნა მოდელის და პროცესების ცალკეული ფრაგმენტებისა.

ასეთი გადაწყვეტა ტექსტისა, ყოველი განმარტების დროს ერთი და იმავე ცნებების სრული ფორმატით ჩამოთვლებით გამეორებებისა შემთხვევითი არ არის. მისი მიზანია გაუადვილოს მკითხველს იმ ახალი მიდგომების არსში გარკვევა ისე, რომ შესაძლებლობის მიხედვით აუცილებელი არ იყოს ადრე ხსენებული ტერმინებისა და მათი პრინციპული განმარტებების მოძიება.

ჩატარებული სისტემატიზაცია, ანალოგიების საფუძველზე, მებრძოლი სისტემის და მასზე მოწინააღმდეგის მიერ, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში იარაღის ძალით ზემოქმედების კლასიფიცირების იდეალიზებული მოდელისა, იძლევა საშუალებას, სათანადო დასკვნეისათვის განვიხილოთ ის კონცეფციები, რომლებიც აღიარებულია, და რომლებიც უკავშირდება არაპირდაპირ მოქმედებათა სტრატეგიას.

ბუნებრივია, რომ, ამ მხრივ, ყველაზე უფრო დაზუსტებული, ვრცელი და მრავალმხრივი პასუხის მიღების მოლოდინი უკავშირდება ლიდდელ ჰარტის შრომას – "არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგია".

თავის მხრივ, ლიდდელ ჰარტი, როგორც სამხედრო ისტორიისა და სამხედრო თეორიის სპეციალისტი, თავისი ეპოქის და არა მარტო თავისი ეპოქის, სამხედრო ხელმძღვანელობის და სამხედრო დარგის მკვლევარების მძაფრი კრიტიკით, სიახლის ძიების მცდელობით, ეხება სამხედრო ძლიერების პრობლემატიკის ისეთ საკითხებს, რომლებიც მოიცავენ სამხედრო საქმეში ახალი ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას, ბრძოლის წარმოების მეთოდების ცვლილებების აუცილებლობას და სტრატეგიის ახლებურ ახსნასაც.

აღნიშნულ საკითხები ლიდდელ ჰარტის მიერ ასახულია მის წიგნებში, რომლებიც გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში გამოიცა.

სტრატეგიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩევა მისი წიგნი "არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგია", რომელიც ორმოციან წლებში ორი გამოცემით არის ცნობილი, ხოლო მისი ხელახალი გამოცემა მოხდა ნიუ-იორკში 1954 წელს.

მოცემულ შემთხვევაში საკითხები განხილული იქნება სწორედ ამერიკული გამოცემიდან [45].

აღნიშნულმა წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის გამოიცა რუსულადაც [46].

ავტორი, თავის წიგნში, ყოველგვარი სისტემური საზღვრების, ან გარკვეული კლასიფიცირებისა თუ შეზღუდვების გარეშე, მიიჩნევს, რომ კაცობრიობის ისტორიის თითქმის ორიათას ხუთასი წლის პერიოდში, გამოჩენილი მხედარმთავრები გამარჯვებებს აღწევდნენ და უზრუნველყოფდნენ, საუკეთესო არაპირდაპირი მოქმედებებით. ასეთი პოზიციის ობიექტური შეფასებებისათვის აუცილებელი იყო გაცნობა იმისა, თუ სამხედრო ხელოვნების რა სცენარებს მოიცავს, თავის შრომაში ლიდდელ ჰარტი, როდესაც ეხება არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიას.

ამ მხრივ, საინტერესოა სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, გენერალ-ლეტენანტ ს.ნ. კრასილნიკოვის მიერ, ლიდდელ ჰარტის კვლევების მიხედვით სისტემატიზებული ჩამონათვალი [46] იმ მოქმედებებისა, რასაც ლიდდელ ჰარტი არაპირდაპირი მომედებების სტრატეგიის კომპეტენციას მიაკუთვნებს:

1) თავის არიდება გადამწყვეტი მოქმედებისა და ბრძოლებისათვის და ლოდინი, როდის შეცდება მოწინააღმდეგე, რათა დრო იხელთო და მიაყენო მარცხი დიდი ძალისხმევისა და მსხვერპლის გაუღებლად, ან ლოდინი, როდის დაუდგება უკიდურესი დაუძლურებისა და დემორალიზაციის მომენტი, რომლის გამოც აღარ ექნება სერიოზული წინააღმდეგობის თავი, და იძულებული შეიქნება დაყაროს ფარ-ხმალი;
2) უარის თქმა ფრონტალურ დარტყმებზე, თუ არ არის უზრუნველყოფილი უეცრობის ელემენტი, დარტყმის მიყენება ნაკლებად მოსალოდნელი მიმართულებიდან;
3) საომარი მოქმედებების თეატრის მასშტაბით მანევრირების გადამწყვეტი მნიშვნელობის აღიარება;
4) დარტყმები მოწინააღმდეგის პირაპირებსა და სუსტ უბნებზე;
5) დარტყმები მის ბაზებისა და კომუნიკაციებზე;
6) დარტყმები მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრებზე, საზღვაო ბლოკადა;
7) პოლიტიკური ღონისძიებები მოწინააღმდეგის ზურგის სიმტკიცის ძირგამოსათხრელად;
8) მოწინააღმდეგის დემორალიზაცია და დეზინფორმაცია;
9) სამხედრო ეშმაკობის ხმარება;
10) ბრძოლის ახალ საშუალებათა გამოყენება.

ჩამოთვლილი პოზიციების განხილვამდე და შეფასებებამდე შემუშავებული სისტემური მოდელის მიხედვით, საინტერესოა წინასწარ გავეცნოთ ამ მხრივ შეფასებებს, რომელსაც თვით კრასილნიკოვი აკეთებს:

„ ... როდესაც ავტორი ასე ფართოდ განმარტავს არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიის ცნებას, პირდაპირი მოქმედებების სტრატეგიისათვის გვრჩება მხოლოდ ტლანქი შაბლონური ჯიქური და ფრონტალური დარტყმები, რომლებიც გამორიცხავენ მანევრირების და საბრძოლო თუ არასაბრძოლო ზემოქმედების შესაძლო მეთოდებს“.

ახლა კი, ზემოთ განხილული პოზიციები, რომელიც ლიდდელ ჰარტის მიერ მიჩნეულია არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიად, განვიხილოთ შემუშავებული სისტემური მოდელის ფუნქციონალურ სივრცეში.

არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიის მაგალითად ლიდდელ ჰარტის მიერ, როგორც აღინიშნა მიჩნეულია:

“თავის არიდება გადამწყვეტი მოქმედებისა და ბრძილებისათვის, და ლოდინი, როდის შეცდება მოწინააღმდეგე..... ან ლოდინი მომენტისა, როდის დაუდგება უკიდურესი დაუძლურებისა და დემორალიზაციის მომენტი, რომლებითაც შეგეძლება ისარგებლო და მიაყენო მარცხი დიდი ძალისხმავის გაუწევერლად”.

მოცემული მაგალითი შეიცავს მოწინააღმდეგე სისტემებს შორის, შეიარაღებული ბრძოლის ფორმით, უშუალო საიარაღო ძალით ზემოქმედებას და მას არაფერი აქვს საერთო არაპირდაპირ ზემოქმედებასთან, რომელიც ერთი მოწინააღმდეგის მიერ, მეორეზე არა უშუალოდ, არამედ სხვა, მათთან შეხებაში მყოფი ვირტუალური და ფიზიკური ფაქტორების მატარებელი ობიექტის საშუალებით ხორციელდება.

რაც შეეხება იმას, რომ გამოიყენო მოწინააღმდეგის შეცდომა, ეს სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთ ფუძემდებლური დებულებაა და არ წარმოადგენს განმსაზღვრელს იმისა, რომ შეიარაღებული ბრძოლით ზემოქმედება უშუალო თუ არაპირდაპირი მოქმედებებით განხორციელდება.

დემორალიზაციის თუ შუალედური ძალის საშუალებით მიღწეული მოწინააღმდეგის გამოფიტვა, იქნება მაგალითი არაპირდაპირი ზემოქმედებისა. ამასთან, მოწინააღმდეგის გამოფიტვა და დემორალიზაცია შეიძლება იყოს ასევე თვითმყოფადი პროცესის ან შედეგი მასზე მოწინააღმდეგე სისტემის სხვადასხვა ხასიათის და ფორმის უშუალო ზემოქმედების ციკლისა, რაც არ მიეკუთვნება არაპირდაპირი ზემოქმედების მაგალითს.

— არაპირადაპირი მოქმედების მეორე მაგალითად ლიდდელ ჰარტის შრომებში შემოთავაზებულია შემთხვევა, როცა ხდება უარის თქმა ფრონტალური დარტყმიდან მაშინ, როდესაც არ მიიღწევა მოულოდნელობის ეფექტი და უმჯობესი ხდება სათანადო დარტყმის განხორციელება ნაკლებადმოსალოდნელი მიმართულებით.

ორივე სიტუაცია უარყოფილიც და არაპირდაპირ სასურველ მოქმედებად მიჩნეული, არც ერთ შემთხვევაში არ თავსდება არაპირდაპირი მოქმედებების სისტემურად კლასიფიცირებულ მახასიათებლებში.

ნებისმიერი – ეს იქნება მოულოდნელი თუ მოლოდინის პირობებში განხორციელებული, შეიარაღებული ბრძოლის პროცესში იარაღის ძალით ურთიერთზემოქმედება მებრძოლი სისტემების, არც ერთ შემთხვევაში, არ მიეკუთვნება არაპირდაპირ მოქმედებებს და იგი წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს უშუალო ზემოქმედებისა მისი განხორციელებისას ნებისმიერ ნაკლებად მოსალოდნელ მიმართულებით.

შემუშავებული მოდელით აღნიშნული ნაკლებადმოსალოდნელი მიმართულება იარაღის ძალით ზემოქმედებისა, რომელიც შეიარაღებული ბრძოლით უშუალოდ ხორციელდება შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი სახეობების: ცენტრალური ან ექსცენტრული პირდაპირი, გვერდითი ან ირიბი ზემოქმედებები.

— არაპირდაპირი მოქმედებების პრინციპულ მაგალითად ასევე შემოთავაზებულია საომარი მოქმედებების თეატრზე მანევრირების გადამწყვეტი მნიშვნელობის აღიარება.

შეიძლება ერთნიშნად აღინიშნოს, რომ მანევრის გადამწყვეტი მნიშვნელობის აღიარება, თავის სისტემატიზაციით, არავითარ კავშირში არ არის მოწინააღმდეგეების მოსალოდნელ ზემოქმედებებთან, იქნება ისინი უშუალო თუ არაპირდაპირი.

ჩამონათვალის დეტალური განხილვა მიუთითებს იმაზე, რომ არაპირდაპირ მოქმედებად სრულიად არასწორად არის მიჩნეული დარტყმები მოწინააღმდეგის შეპირაპირების და სუსტ მონაკვეთებზე. კვლავაც აღსანიშნავია ის, რომ საიდანაც ხდება მოწინააღმდეგის მიერ მოწინააღმდეგეზე, თუნდაც მის ყველაზე სუსტ და დაუცველ პოზიციებზე, მოწინააღმდეგის მიერ უშუალო ზემოქმედება, ასეთი რეალობა უკვე შეუთავსებელია არაპირდაპირი მოქმედებისა და იგი არაპიდაპირ მოგმედებად წოდებული არ შეიძლება იყოს.

რაც შეეხება მოწინააღმდეგეს კომუნიკაციებზე და ბაზებზე ზემოქმედებას, აქ ორი შემთხვევა უნდა იქნას განხილული:

თუ უშუალო ზემოქმედება ხორციელდება იმ ბაზებზე ან კომუნიკაციებზე, როგორც განხილული მოდელის მიხედვით წარმოადგენს "მებრძოლი სისტემის" "საბრძოლო კავშირების" შემადგენელ ელემენტს, მაშინ ადგილი არ აქვს არაპირდაპირ მოქმედებას.

ხოლო თუ ზემოქმედება ხდება კომუნიკაციებზე ან ბაზებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ კონკრეტული "მებრძოლი სისტემის" სტრუქტურის ელემენტს, და მის ბრძოლისუნარიანობის ფაქტორებზე სახელმწიფოებრივი ან რეგიონალური მასშტაბით ახდენს ზეგავლენას, მაშინ კი ადგილი აქვს არაპირდაპირ მოქმედებას.

ასევე მიუღებულია იმის მტკიცება, რომ არაპირდაპირი მოქმედებების ჩამონათვალს მიეკუთვნოს ბრძოლის ახალი საშუალებების გამოყენება.

ამდენად, თუ წინ წამოვწევთ იმ შემთხვევას, რომელიც განხილულია “არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიის” ნაშრომში, შეიძლება ითქვას, რომ კლასიფიცირებული პარამეტრების მიხედვით, არაპირდაპირი მოქმედების კომპეტენციას მიეკუთვნება:

- პოლიტიკური ღონისძიებები;
- მოწინააღმდეგის ზურგის მოშლა;
- მოწინააღმდეგის დემორალიზაცია და დეზინფორმაცია;
- გარკვეულ შემთხვევებში დარტყმები კომუნიკაციებზე;
- დარტყმები მოწინააღმდეგის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრებზე;
- ბლოკადები და სხვა მსგავსი ღონისძიებები.

არაპირდაპირი მოქმედებებს მიკუთვნებული ჩამონათვალი და მისი განხილვა, მნიშვნელოვან კითხვებს სვამს - მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ:

— “არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიაში” ვის არაპირდაპირ მოქმედებებზეა საუბარი;

— “არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიის” მიხედვით, ვისზე ზემოქმედებაზეა საუბარი;

— რა უნდა იყოს მთავარი ორიენტირი არაპირდაპირი მოქმედებების დროს მიზნის არჩევისა.

ამ კითხვებზე სისტემური პასუხი, “არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიაში”, როგორც სამხედრო მეცნიერების დარგის ნაშრომში, გაცემული არ არის

ამდენად, გარკვეული კლასიფიცირების პროცესი, შემუშავებულ მოდელში “მებრძოლი სისტემისა” და მასზე იარაღის ძალით ზემოქმედებების სისტემტიზაციისა შეიარაღებული ბრძოლის პირობებში, გარკვეულ გაგრძელებასა და გავრცობას მოითხრვს.

რადგანაც საკითხი შეეხება სცენარებს სამხედრო ხელოვნებისა, რომელიც განიხილავს შეიარაღებული ბრძოლის პროცესებს, მოწინააღმდეგე ძალები არის “მებრძოლი სისტემები” და ეს ბუნებრივიცაა.

ამდენად, არაპირდაპირი მოქმედებები უნდა შეეხოს ერთ “მებრძოლ სისტემაზე” მისი მოწინააღმდეგე მეორე “მებრძოლი სისტემის” იარაღის ძალით არაპირდაპირ ზემოქმედებას და ეს იქნება სისტემატიზაცია სამხედრო პროცესისა.

ასეთი მიდგომით, თუ განვიხილავთ იმ პოზიციებს, რომლებიც მოიცავენ მოწინააღმდეგე მხარეების არაპირდაპირ ზემოქმედებას, პოლიტიკური ღონისძიებებით, მოწინააღმდეგის ზურგის მოშლით, გარეშე კომუნიკაციების რღვევით, დარტყმებით მოწინააღმდეგის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოტენციალზე და სხვა ხერხებით, რომელსაც მიუთითებს ლიდდელ ჰარტი და,

ამ მხრივ, განსაკუთრებით სხვა ჩამონათვალებისა იგი არ შედის წინააღმდეგობაში არაპირდაპირი მოქმედებების ცნებასთან და განმარტებასთან.

ამასთან დასტურდება შემუშავებული მოდელის მიხედვით, "მებრძოლ სისტემაზე" იარაღის ძალით ზემოქმედებების კლასიფიცირების მართებულობა იმ მხრივაც, რომ არაპირდაპირი მოქმედება არის ზემოქმედების ის ძალა, რომელსაც მებრძოლის სისტემის მასების ინერციის ცენტრის მიმართ გააჩნია დიდი გარე ექცენტრისიტი, რომლის მიხედვით აღნიშნული იარაღის ძალის ვექტორი არ კვეთს არ ეხება მოწინააღმდეგე "მებრძოლი სისტემის" გავრცელების არეს სივრცეში.

მაშინ რაზეა დამიზნებული გარე ექსცენტრული ძალა ანუ არაპირდაპირი მოქმედებების საიარაღო ზემოქმედების ეფექტი თუ ფაქტორი.

თუ ავტორს "არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიისა" მიაჩნია, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ზემოქმედებები მოწინააღმდეგე მებრძოლი სისტემის ბრძოლისუნარიანობის შესასუსტებლად უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, დიპლომატიური და სხვა მეთოდებით სხვის მიერ და შემდეგ შეებრძოლოს დასუსტებულ მოწინააღმდეგე "მებრძოლ სისტემას", ეს კიდევ უფრო განსხვავებული შემთხვევა იქნებოდა. აღნიშნული ლოგიკით, ადგილი ექნებოდა არა "არაპირდაპის მოქმედებას", არამედ ორ უშუალო მოქმედებას. ერთის მხრივ, მოწინააღმდეგე "მებრძოლ სისტემაზე" არა შეიარაღებული ბრძოლით, არამედ ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური და სხვა არასამხედრო მეთოდებით, უშუალო ზეწოლას და ზემოქმედებას. მეორეს მხრივ კი, დასუსტებულ მოწინააღმდეგე "მებრძოლ სისტემაზე" ჩვეულებრივი უშუალო ზემოქმედებას საკუთარი "მებრძოლი სისტემის" მიერ იარაღის ძალის გამოყენებით. ასეთი დიფერენციაცია აზუსტებს იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში არაპირდაპირი ზემოქმედება არ არსებობს.

"მებრძოლი სისტემის" მიერ, მოწინააღმდეგე "მებრძოლ სისტემაზე" არაპირდაპირი ზემოქმედება, ასევე ორი ან შეიძლება მეტი საფეხურის მქონე უშუალო ზემოქმედებისას, არსებობს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგეზე, ზემოთ აღნიშნული გარეშე ფაქტორებით ზემოქმედება განპირობებულია საკუთარი "მებრძოლი სისტემის" ზემოქმედებით.

ამ მხრივ, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა კონკრეტული სისტემური მოდელის შემოთავაზება, რაც არ იქნებოდა რთული ამოცანა, მაგრამ, ერთის მხრივ, ამის საჭიროება არ არის და, მეორეს მხრივ, ეს არ იქნებოდა სამეცნიერო ეთიკით გამართლებული, რადგანაც, ამ მხრივ, გაცილებით ადრე კლაუზევიცმა თავის ფუნდამენტურ შრომაში ომის შესახებ – მიზიდულობის – გრავიტაციის ცენტრის შემოღებით და მარტივი, მაგრამ საკმაოდ განზოგადოებული სისტემით, სრულყოფილი მოდელი შემოგვთავაზა, რომელიც სრულიად შეთავსებადია ჩვენს მიერ შემუშავებულ მოდელთან და კლასიფიცირების ლოგიკასთან.

“... ალექსანდრეს, გუსტავ-ადოლფს, კარლოს XII-ს ფრიდრიხ დიდს თავიანთი სიმძიმის ცენტრი ჰქონდათ არმიაში – ამ უკანასკნელის განადგურება მათი როლის აღსასრულის მომასწავლებელი იქნებოდა; სახელმწიფოებს, რომლებსაც პარტიები სჯიჯგნიან თავიანთი გაუთავებელი ბრძოლით, სიმძიმის ცენტრი მეტწილად დედაქალაქებში აქვთ; წვრილ-წვრილ სახელმწიფოებს, მძლავრ მოკავშირეებს რომ ეყრდნობიან, - ამ უკანასკნელთა არმიებში; მოკავშირეებს – მათი ინტერესების ერთობლიობაში; სამოქალაქო ომის დროს – ბელადების პიროვნებასა და საზოგადოებრივ აზრში. სწორედ ამ ცენტრების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიმართული დარტყმა თითოეულ კერძო შემთხვევაში.

თუ მოწინააღმდეგე პირველი დარტყმისთანავე დაჰკარგავს წონასწორობას, სული არ უნდა მოათქმევინო და გონს მოსვლა არ უნდა დააცადო; გამუდმებით უნდა ურტყა სულ ერთი და იგივე მიმართულებით, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამარჯვებულმა მუდამ უნდა წარმართოს დარტყმა მთლიანად მოწინააღმდეგეზე, და არ გამოეკიდოს კერძო წვრილმანებს. მოწინააღმდეგეს კუდით ქვას ვასროლინებთ არა მაშინ, როდესაც უპირატესი ძალით არხეინად შეუდგაბით მტრის რომელიმე პროვინციის დაფყრობას და ვამჯობინებთ ამ მცირედ ნადავლს დიდი წარმატების სათუო შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც სულს არ მოვათქმევინებთ, ძირისძირამდე ჩავყვებით მოწინააღმდეგის ძალების თვით ბირთვს და უკლებლივ ყველაფერს გავიღებთ იმისათვის, რომ ყველაფერი მოვიგოთ.

მაგრამ როგორიც უნდა იყოს მოწინააღმდეგის სიმძიმის ცენტრი, რომლის წინააღმდეგაც უნდა წარვმართოთ ჩვენი ძალისხმევა, გამარჯვება და მისი შეიარაღებული ძალების განადგურება მაინც ყველაზე საიმედო დასაწყისია და ყველაზე არსებითია ყველა შემთხვავაში.

ამიტომ, ვეყრდნობით რა მთელი დაგროვილი გამოცდილების მონაცემებს, ჩვენ მივიჩნევთ, რომ მიწინააღმდეგის შემუსვრას უპირატესად განაპირობებს შემდეგი გარემოებანი:

1. მისი არმიის განადგურება, როდესაც იგი გარკვეულწილად ძალის დამოუკიდებელ წყაროდ გვევლინება.

2. მოწინააღმდეგის დედაქალაქის დაკავება, თუ იგი არის არა მარტო ადმინისტრაციული ცენტრი, არამედ წარმომადგენლობითი დაწესებულებებისა და პარტიების სამყოფელ პუნქტადაც გვევლინება.

3. ქმედითი დარტყმის მიყენება მთავარი მოკავშირესათვის, თუ ეს უკანასკნელი თავისთავად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი მოწინააღმდეგე.

აქამდე ჩვენ ომში დაპირისპირებულ მოწინააღმდეგეს ვიაზრებდით ერთ მთელად, რაც საკითხისადმი ფართო მიდგომისას სავსებით დასაშვები იყო. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ვთქვით, რომ მოწინააღმდეგის შემუსვრა გულისხმობს მის სიმძიმის ცენტრში კონცენტრირებულ წინააღმდეგობის დაძლევას, ჩვენ უნდა

უკუვაგდოთ ეს წანამძღვარი და წინა პლანზე წამოვწიოთ ის შემთხვევა, როდესაც საქმე გვაქვს ერთზე მეტ მოწინააღმდეგესთან...“

ამდენად არაპირდაპირი მოქმედებების თეორიის კვლევას უფრო ადრინდელ ხანაში, კლაუზევიცამდე მივყავართ. რომ არა თეორია მისი მიზიდულობის – გრავიტაციის შესახებ, ჩვენ ვერ გავაკეთებდით სათანადო დასკვნებს. ამდენად, ლიტერატურაში არსებული მრავალი მცდელობებისა, არაპირდაპირი მოქმედებების კლასიკური გაგების, ლიდდელ ჰარტის თეორიით გამართლებისა, დასკვნა საპირისპიროა – ჩვენ კლაუზევიცის მოდელის უპირატესობას ვაღიარებთ.

ამ მხრივ, საინტერესოა ქართული მაგალითები.

ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიდგორის ბრძოლას. ეს ბრძოლა საინტერესოა სიმძიმის ცენტრის არჩევითაც. დიდგორის ბრძოლის განმაპირობებელი იყო დავით აღმაშენებელის მიერ თურქი-სელჩუკების განდევნა, დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისათვის წარმატებული ბრძოლა და შექმნილი საგარეო ვითარება, რომელიც აიძულებდა მუსლიმანურ სამყაროს მეთაურთ, ძლიერი საქართველოს სახით ღირსეული მტერი დაენახათ [47].

ასე, რომ დავით აღმაშენებელის წინაშე სამი ამოცანა იდგა სამი გრავიტაციის ცენტრით. I გრავიტაციის ცენტრი უკვე გადატანილი იყო და ბრძოლები თურქ-სელჩუკებთან საქართველოს ჩატარებული ქონდა. II გრავიტაციის ცენტრი მდებარეობდა დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისათვის ბრძოლაში. III გრავიტაციის ცენტრი თვით არმიაში იყო, რომელსაც თურქ-სელჩუკების კოალიციურ ძალაში ხედავთ.

დავით აღმაშენებელი არჩევანის წინაშე იდგა და მან ეს გააკეთა. 300 000 მეომრისაგან შემდგარ მტრის ლაშქარს დაუპირისპირა 55 600 მოლაშქრე. აქედან 40000 ქართველი, 15 000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ევროპელი მეომარი.

“თურქ-სელჩუკების კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებელის ლაშქარს შორის ცენტრალური ბრძოლა, როგორც ყოველი წყარო მიუთითებს, დიდგორთან გაიმართა”.

“დიდგორი, მთა თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, დაბა მანგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადის – ვერესა და ნიჩბისი წყლის სათავეებში. სიმაღლე 1 648 მ. აგებულია ზედა – და შუაეოცენის თიხებით, ქვიშაქვებით, ტუფბრექჩიებითა და ტუფებით. კალთები დამრეცია, დანაწევრებულია ეროზიული ხეობებით. შემოსილია წიფლის ტყით. მწვერვალზე მეორეული სუბალპური მდელოა. ამ მიდამოებში 1121 წ. მოხდა დიდგორის ბრძოლა”.

“თრიალეთისა და დიდგორის შერჩევა შეკრების ადგილად არ იყო შემთხვევითი. აქედან მტერი ადვილად წამოვიდოდა თბილისისაკენ”.

დავით აღმაშენებელის სიტყვიდან აშკარა ხდება, რომ ქართული ლაშქარი იდგა ხეობაში, რომლის შემოსასვლელიც საგანგებოდ ჩაუხერგავთ. ეს, რაღა საკვირველია, საგანგებო ღონისძიება იყო. ქართველ მოლაშქრეთა წინაშე იდგა ერთი ამოცანა – ან გამარჯვება ან ზურგშეუქცეველი სიკვდილი".

ჯარები საბრძოლველად მოეწყვნენ. ამ დროს ქართველებს გამოეყო 200 მხედარი. მუსლიმანებმა იფიქრეს, რომ ისინი ჩაბარებას ითხოვდნენ და ამიტომ არ მიიღეს შესაბამისი ზომები. ორასი მეომარი ბრძოლით და ისრების სროლით შევიდა მუსლიმანთა რიგებში. ამან დიდი არეულობა გამოიწვია. დაიწყო უწესრიგო უკანდახევა. მოწინავე რიგები ხედავდნენ ბრძოლის რეალობას, ხოლო სიღრმეში ყველაფერი სხვანაირად ჩანდა. ასეთი იყო ომის დასაწყისი. ეს ორასი მეომარი ზოგს ყივჩაღად, ზოგს ფრანგად და ზოგს ქართველად მიაჩნდათ, მაგრამ სათქმელი მაინც ითქვა და საქმეც გაკეთდა. ქართველებმა ბრძოლა წარმატებით დაიწყეს.

დიდგორის ბრძოლის აღმწერი ყველა ისტორიკოსი მიუთითებს იმ დიდ ზარალზე, რომელიც თურქ-სელჩუკთა კოალიციურმა ლაშქარმა განიცადა.

დავით აღმაშენებლის სარდლობით ქართველთა ლაშქარმა "მოისრნა სახელოვანნი იგი მებრძოლი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვით და განძალულად სდევნნა და მოსრა, მოლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა" (ქართლის ცხოვრება I, გვერდი 341).

რა თქმა უნდა, საქართველოს მოლაშქრეთა შორისაც იქნებოდა გარკვეული მსხვერპლი, მაგრამ ეს მტრის ლაშქართან შედარებით იმდენად მცირე ყოფილა, რომ ისტრიკოსი ხმამაღლა აცხადებს დავით აღმაშენებელმა "თავისნი სპანი დაიცვა უვნებლათო".

ამჯერად, დიდგორის ბრძოლა, რომელსაც ბრძოლაზე მეტი – "ბატალიის", "ბიტვის" ან "სრაჟენიის" ტერმინით უფრო გაიგებენ, თავისთავად იყო სამი სიმძიმის ცენტრიდან, შეიარაღებულ ბრძოლაში არსებული "ცენტრის" უშუალოდ დაპყრობის, კარგი მაგალითი.

ამ ბრძოლით დავითმა ბოლო მოუღო ძველ შუღლს და გახსნა ახალი გზა გამარჯვებებისა.

მოცემულ შემთხვევაში სიმძიმის ცენტრს – გრავიტაციის ცენტრს გაცილებით რთული დატვირთვა აქვს. მათ დასადგენათ აუცილებელია ანალიზი ორი, სამი ან მეტი ძალებისა, რომლებიც ერთიან პროცესში არიან ჩართული.

სიმძიმის ცენტრის განსაზღვრისათვის, შესაბამისად ხდება დასკვნების გაკეთება ყველა მოწინააღმდეგე ძალაზე, გამოიყოფა მათი სტრატეგიული და სამოქმედო დონეები. გაანალიზდება საერთაშორისო, სამხედრო, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორები.

განისაზღვრება მოწინააღმდეგე ძალის რაოდენობა და, ამასთან, შეჯერდება ყოველი მხარის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

გრავიტაციის ცენტრის დადგენაში უმნიშვნელოვანესია მოწინააღმდეგე ძალების შემადგენლობა, ალიანსში მათი როლი და მნიშვნელობა.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია მმართველი ორგანო, სამხედრო ჯგუფი ან კლანი, უკანონო ეკონომიკური ჯგუფი ან კანონიერი ბიზნეს ჯგუფი, ხდება შეფასებები დემოკრატიისა, ტოტალიტარიზმისა ან კიდევ ფეოდალური მეფური წყობილებისა. შესაბამისად დგინდება ცივილიზაციის დონის შეფასება, რომელიც შეიძლება იყოს ინდუსტრიული, ინდუსტრიამდელი ან ინფორმაციული.

ასეთი ლოგიკით ხდება სიმძიმის ცენტრის დადგენა, რაც თანამედროვე რთულ ურთიერთობებში პირველი რიგის ამოცანად არის მიჩნეული.

რაც შეეხება ასიმეტრიულ საფრთხეებს, იგი ტერმინის სახით გავრცელდა 1997 წელს ოფიციალურ დოკუმანტებში. მაგრამ უკვე ყოველწლიურ გამოცემაში, ნაციონალური და თავდაცვის უნივერსიტეტმა, 1998 წელს, ასიმეტრიულ საფრთხეებს დაუთმო მთელი თავი. ბოლო ვერსიაში აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოებისა, ამოქმედებულია დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სამ კატეგორიას: რეგიონალური – შეიარაღებული კონფლიქტები; ტრანსნაციონალური – ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა და სხვა; და ასიმეტრიული.

“ასიმეტრიული ომი”, ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსების კომიტეტის მიერ, მიჩნეულია იმ ომათ, როდესაც რომელიმე მხარეს აქვს გაცილებით მეტი რესურსი ვიდრე მეორე მხარეს.

“ასიმეტრიული ომი” სწარმოებს შედარებით სუსტი მოწინააღმდეგის მიერ. იგი ამისათვის იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, რომელსაც ვერ დაუპირისპირდება, ან მთლიანათ ვერ აკონტროლებს ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა ძლიერი სახელმწიფოები.

ასიმეტრიულ ომში მართალია აღწევენ ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ მომენტებს, მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტორით მოხერხებულად გამოყენებული ტაქტიკური სიახლე იწვევს თვის სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობებს.

ამდენად, ასიმეტრიული საფრთხეები – ომი, დღევანდელი დღის რეალობაა და მას ანგარიშის გაწევა სჭირდება.

ლექცია 11

საქართველოს ტიპის სამხედრო უსაფრთხოების სისტემის მქონე სახელმწიფოების პრიორიტეტები თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში და არსებული კონცეფციების ტრანსფორმაციის აუცილებლობა

სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკუდებულების ახალი სქემები

საქართველოში შეიარაღებული ძალების ინტენსიური, დაჩქარებული და მიზანდასახული მშენებლობის რეალობა კიდევ უფრო ზრდის პასუხისმგებლობას თუ სამხედრო მეცნიერების რომელი მიმართულება და სამხედრო ხელოვნების რა კონცეფცია დაედება საფუძვლად საქართველოში სამხედრო უსაფრთხოების სისტემის შექმნას.

არჩევანის გაკეთება, რასაც სათანადო კვლევა უნდა დაედოს საფუძვლად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საკითხი სახელმწიფოს სამხედრო-საინჟინრო მომზადებას შეეხება. ეს, მრავალ ფაქტორთა შორის, განპირობებულია დარგის მაღალტექნოლოგიურობით და, რაც მთავარია, მისი დამოკიდებულებით სამოქალაქო კომპონენტებთან.

ერთი კი ცხადია, შეიარაღებული ძალების მშენებლობა აუცილებლად უნდა განხორციელდეს მთლიანად სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობის სივრცეში, სადაც ტრადიციულ მიდგომებთან ერთად, პრიორიტეტები უნდა მიენიჭოს სამოქალაქო კომპონენტების განსაზღვრას, მათი რესურსის შექმნას და ამოქმედებას.

ყველაფერი ეს რეალობაა და აქცენტებიც ტრადიციულად არის დასმული, მაგრამ მათი კონკრეტული რეალიზაცია, კონკრეტულ სახელმწიფოში და კონკრეტულ სამხედრო პასუხისმგებლობის მსოფლიო არეალში არატრადიციულ მიდგომას მოიახოვს, რაც საკმაოდ აქტუალურად განიხილება სამხედრო ხელოვნების თეორიის მრავალი ქვეყნის სპეციალისტების მიერ.

ამ მხრივ, თუ სახელმწიფო, სამხედრო მეცნიერების არაშესატყვისს, ან არასწორ პოზიციაზე შეაჩერებს არჩევანს, დიდი რესურსის ამოქმედების, განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა და მომთხოვნეობის შემთხვევაშიც, შეიძლება მიზნის მიღწევის ეფექტი არაოპტიმალური იყოს.

ახლა ვერ ვიტყვით იმას, რომ სახელმწიფოს თავდაცვის სისტემის ოპტიმალური მოდელის შექმნის უნივერსალური და მრავალმხრივი მეთოდიკა სამხედრო მეცნიერებას უკვე შემუშავებული და აპრობირებული აქვს. ეს რომ ასე არ არის, ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს. მათ შორის, განსაკუთრებით სახასიათო გახდა ტერორისტების ქმედებათა მასშტაბები და ახალი ფენომენი, როდესაც საბრძოლო და საომარი მოქმედებების კამპანიის გამარჯვებით დამთავრება აღარ ნიშნავს ომის მოგებას, დამთავრებასა და, რაც მთავარია, შეიარაღებული ბრძოლით ომის უმთავრესი მიზეზის, პოლიტიკური მიზნის მიღწევას.

მოცემულ ეტაპზე, მობილურობის, მანევრის, მართვის და საიარაღო სისტემების და მაღალტექნოლოგიური კომპლექსის პირობებში, კვლავ შესწავლას მოითხოვს ომის თეორიის ოთხი კარდინალური მიმართულება:

1. ომის თანამედროვე ხასიათი;
2. საინფორმაციო ომის თანამედროვე არსი და მისი მნიშვნელობა;
3. სამხედრო ხელოვნების თანამედროვე მოდელის პრინციპული სტრუქტურა;
4. სამხედრო ხელოვნების თანამედროვე მოდელის შესაბამისი ინტეგრაცია შეიარაღებული ძალების მშენებლობაში.

როდესაც ვეხებით ომების თანამედროვე ხასიათისა და ბუნების შეფასებას, ექსპერტთა და ამ დარგის თეორეტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა, თავიანთ შრომებში და პუბლიკაციებში შეფასების ძირითად მეთოდათ იყენებენ დიფერენცირებული შეფასების პრინციპს. ამის საფუძველზე ხდება არა თვით ომის ხასიათის და ბუნების ერთიანი შეფასება, როგორც ინტეგრირებული კომპლექსის, არამედ წინა პლანზე ისეთი ცნობილი კონკრეტული მიმართულებების წამოწევა, როგორებიცაა დაპირისპირება ცივილიზაციებს შორის, სოციალურ-ეკონომიკურ დონეებს შორის მკვეთრი განსხვავებები, სეპარატისტული, ნაციონალური, რელიგიური და კერძო პოლიტიკური, ტერიტორიული და სხვა მრავალი ინტერესები.

შეფასების ასეთი ლოგიკა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მისი კვლევის ობიექტი ხდება არა ერთიანი თეორიული საფუძველი თანამედროვე ომების ხასიათისა, არამედ მიზეზები მისი წარმოშობისა და სათანადო პროგნოზირებადი სტილი და მეთოდები შესაბამისი შეიარაღებული ბრძოლების ფორმებისა და შინაარსისა.

ამასთან, უმეტეს შეფასებებში და შრომებში ავტორები ცდილობენ, თანამედროვე ომებისა და კონფლიქტების კონკრეტული მოტივაცია და შესაბამისი სამხედრო დაპირისპირების სახეები, წარმოაჩინონ ახალ, XX საუკუნის ბოლო ათწლეულის და XXI საუკუნის ფენომენად.

ასეთი მიდგომა გარკვეულ კორექციას მოითხრვს. მისი ამოსავალი პოზიცია უნდა გახდეს ომების, როგორც მოვლენის, შემდეგი სისტემატიზაცია.

1. ომი სახელმწიფოებს შორის.
2. ომი სახელმწიფოსა და საზოგადოების ან სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის, რომელიც ქვეყნის შიგნით ან სხვა სახელმწიფოს მიმართებაში შეიძლება განხორციელდეს.
3. ომი სამხედრო-პოლიტიკურ ჯგუფებს ან სამხედრო-პოლიტიკურ ჯგუფსა და საზოგადოებას შორის, რომელიც ასევე სახელმწიფოს შიგა ან რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიძლება წარმოებდეს.

ასეთი სისტემატიზაცია, პირველ რიგში, იმ თეორიებს უარყოფს, რომლებიც თვლიან, რომ სამხედრო ხელოვნებამ, თავისი ტრადიციული, კლასიკური სქემით, დაკარგა მნიშვნელობა და ის ისტორიას ჩაბარდა.

დროში ყველაფერი ტრანსფორმირდება და ეს სამხედრო ხელოვნებასაც შეეხება, მაგრამ სამხედრო ხელოვნების კლასიკას არ დაუკარგავს თავისი

აქტუალობა და იგი მყისიერად ამოქმედდება თუ მეტნაკლებად თანაბარ სამხედრო სახელმწიფოებს ან კოალიციებს შორის დაიწყება საომარი და საბრძოლო მოქმედებები. ამდენად, აღნიშნული რეალობა შეეხება ნაშრომში შემოთავაზებული სისტემატიზაციის პირველ პოზიციას.

რაც შეეხება დღევანდელ მსოფლიოში წარმოებულ საომარ და საბრძოლო მოქმედებათა ხასიათს და ბუნებას, რომლებიც სისტემატიზაციით მეორე და მესამე პოზიციებს შეესაბამება, სამხედრო ისტორიისათვის ისინი სრულებითაც არ არის ახალი მოვლენები და მათ თვისებრივად ანალოგიური მაგალითები ბევრი გააჩნიათ, თუმცა თანამედროვე საიარაღო სისტემები, მობილურობის და მანევრის ახალი საშუალებები და საბრძოლო მოქმედების არეალის ზრდა ხარისხობრივად გაცილებით მასშტაბურსა და ინტენსიურს ხდის მას.

სწორედ იმან, რომ საომარ მოქმედებებში ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფო და საზოგადოება ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაჯგუფება, განსაკუთრებით გაზარდა აქტუალობა ინფორმაციული ომისა.

ინფორმაციული ომების, განსაკუთრებით დიდი სიდიდის მარგი ქმედების კოეფიციენტი, მას მეტად ეფექტური "იარაღის" სტატუსს ანიჭებს, რაც განაპირობებს არა მარტო მისი გამოყენების დიდ სიხშირეს, არამედ ფუნქციონალური დანიშნულების დიაპაზონის ზრდასაც.

ამასთან, ინფორმაციული ომების სახეებიც არ არის ერთფეროვანი, მათ სხვადასხვა მექანიზმები და სხვადასხვა ხასიათის ზემოქმედებების სპექტრი გააჩნიათ. ამდენად, რიგ შემთხვევაში, შეიძლება მოულოდნელიც კი აღმოჩნდეს ეგრედწოდებული "უახლეს სახეობად" აღიარებული მე-3 თაობის საინფორმაციო ომის მეთოდის გამოყენება, შედარებით ტრადიციულ პირველ და მეორე თაობების საინფორმაციო ომებთან.

თუ პირველი და მეორე თაობის საინფორმაციო ომები ზოგადად მოიცავენ დიაპაზონს მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაციის მოპოვებიდან, დაპირისპირებული სახელმწიფოების და საზოგადოების განწყობის, შეხედულებების, მიზანდასახულობის ან თუნდაც კოლექტიური გადაწყვეტილების სასურველი ფორმით და შინაარსით ჩამოყალიბებისა მათი იდეოლოგიური დამუშავებით, რაც შემეცნებითი პროცესის გარკვეულ დროსაც მოითხოვს, მესამე თაობის საინფორმაციო ომი გაცილებით სწრაფადმოქმედია შედეგის მიღწევისათვის და მას სათანადო მეცნიერული საფუძველი გააჩნია [48].

ამას თავისი ახსნა აქვს. მე-3 თაობის ინფორმაციული ომი, ხორციელდება არა იდეოლოგიურ ვირტუალურ შემეცნებითი ინფორმაციით, არამედ ინფორმაციული უზრუნველყოფის რეალური საინფორმაციო "საბრძოლო მოქმედების", "დარტყმებისა" თუ "სამხედრო ძალების" დემონსტრირებით.

ამ შემთხვევაშიც არ უნდა ავჩქარდეთ და არ უნდა გავაკეთოთ დასკვნები იმის შესახებ, რომ მე-3 თაობა საინფორმაციო ომისა ასევე უახლესი ფენომენია და მას ანალოგი არ გააჩნია ისტორიულ წარსულში. აღნიშნული ხასიათის ინფორმაციული ომები თანმხლები პროცესია ომების და სამხედრო ხელოვნების

ისტორიისა. ამის მაგალითია თუნდაც "ერეკლე მეფის ზარბაზნები" კრწანისის ომში. მსოფლიოს ისტორიაში მე-3 თაობის ინფორმაციული ომის უპრეცენდენტო მოვლენა იყო აშშ-ის მიერ ნაგასაკში და ხიროსიმაში ატომური ბომბემის აფეთქება, რომელიც განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის ფინალში, სხვა შემთხვევაში მსოფლიოს სამხედრო-პოლიტიკური სურათი ალბათ განსხვავებული იქნებოდა.

მე-3 თაობის ინფორმაციული ომის ხელოვნება მთელი სისრულით და ეფექტით გამოყენებული იქნა ერაყ-კუვეითის და ერაყთან ბოლო ომებში. ზუსტი დამიზნების იარაღი, მათი მართვა თანამგზავრული სისტემით, ღამის საჰაერო მასიური ოპერაციები, ბაღდადზე ორიენტირებული სამხედრო მარში, ერაყის დედაქალაქის აღება, ჰუსეინის ძეგლის ჩამოგდება და ყველაფერი ეს, სრული პირდაპირი საინფორმაციო უზრუნველყოფით, ის უმძლავრესი იარაღია, რომელმაც განაპირობა დაგეგმილი საომარი კამპანიის და საბრძოლო მოქმედებების წარმატებული დასასრული. ამასთან, ბოლომდე მიღწეული ვერ იქნა ომის პოლიტიკური მიზანი და საომარი მოქმედებების შეწყვეტა. ეს რეალობა ახასიათებს გარკვეულ თავისებურებებს მე-3 თაობის საინფორმაციო ომებისა და ამით ის, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებულ შედეგს იძლევა პირველი და მეორე თაობის საინფორმაციო ომებისაგან, რაც საქართველოს სამხედრო ხელოვნებაშიც და საერთოდ სამხედრო პოლიტიკაშიც აუცილებლად მოითხოვს გათვალისწინებას.

პირველი და მეორე თაობის საინფორმაციო ომების დროს, მოწინააღმდეგე მხარეზე იდეოლოგიური ზემოქმედებით, ხდება საზოგადოებრივი ცნობიერების სასურველი ტრანსფორმაცია. ამასთან, ასეთ ვითარებაში გარკვეულად ძლიერდება მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებული ძალების და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პარამეტრები, მაგრამ სუსტდება და, რიგ შემთხვევაში, საპირისპირო პოზიციაზე გადაინაცვლებს საზოგადოების განწყობა, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის საბრძოლო ძლიერებისა და რესურსის უმთავრესი პოტენციალია.

რაც შეეხება მე-3 თაობის საინფორმაციო ომს, ის იწვევს მოწინააღმდეგის დათრგუნვას შიშის ფაქტორით, ამასთან ასეთი მეთოდით ნაკლებად მიიღწევა მათი მსოფლმხედველობის სასურველი ტრანსფორმაცია და, რაც მთავარია, ნაკლებად ზარალდება მათი საბრძოლო რესურსი, რაც შიშის ფაქტორის გავლის შემდეგ, კვლავ იწყებს ამოქმედებას, უკვე თუნდაც დამარცხებულ სახელმწიფოში, სხვადასხვა მოძრაობისა და ამბოხების სჭხით, რომელთან დაპირისპირების დებულებებში ქმედებათა საკმაოდ მრავალმხრივ და რთულ სპექტრს მოითხოვს თუნდაც სამხედრო ხელოვნების მხრივ [49]; [12]; [13] და [14].

ამ მხრივ, გაცილებით ეფექტურია და მას ბუნებრივად მივყავართ დასახულ პოლიტიკურ მიზნამდე, როდესაც საინფორმაციო ომის წარმოება, ერთის მხრივ, ხორციელდება იდეოლოგიური აღზრდის საფუძველზე და, მეორეს მხრივ, მისი

რეალიზაცია ხდება “კატასტროფების თეორიით” განსაზღვრულ დროში და საზოგადოების მდგომარეობებში [50].

ეს, ის შემთხვევაა, როდესაც საზოგადოების პროტესტის მოტივს ემთხვევა იდეოლოგიური ზემოქმედების არგუმენტები და, რაც მთავარია, საზოგადოება იმყოფება იმ ექსტრემალურ მდგომარეობაში, როდესაც “კრიტიკული წერტილების” შემდეგი გადალახვა ენერგიის გამონთავისუფლებას იწვევს. ასეთი ვითარების ანალოგი ბევრია. მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოში 2003 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენებიც.

ეს მეთოდოლოგია სამხედრო ხელოვნების უმთავრესი ინსტრუმენტი უნდა გახდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამხედრო ხელოვნების განვითარებას ვეხებით.

სამხედრო ხელოვნების არაკლასიკური მოდელების ფართო გამოყენება უპირველესად განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე ეპოქისათვის სახასიათო გახდა საიარაღო დაპირისპირება არათანაბარი საბრძოლო ძლიერების სახელმწიფოებისა და გაცილებით ნაკლები სამხედრო პოტენციალის მქონე სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის. ამასთან, არაკლასიკური მოდელების რეალიზაცია სამხედრო ხელოვნებაში შესაძლებელი ხდება ახალი ფიზიკური ბუნების იარაღის შექმნით, გადაადგილების და მიტანის საშუალებების მაღალი მანევრირებით, სიჩქარით, სიშორით და მიღწევადობის დიდი უნარით, ინფორმაციული ქსელის გლობალიზაციით და სახელმწიფოთა ურთიერთკომუნიკაციური პროცესების გაძნელებული კონტროლით.

მაგრამ არაკლასიკური სამხედრო ხელოვნებით მიღწეული სამხედრო-პოლიტიკური ეფექტი დონეების მიხედვით, რომ იყოს თანაზომადი, რასაც ადგილი ჰქონდა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, იგი ასეთ მნიშვნელობას არ შეიძენდა. თანაზომადობაში იგულისხმება ის, რომ ტაქტიკური სვლით მიიღწევა ტაქტიკური ეფექტი, ხოლო სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის საჭიროა სტრატეგიული სამხედრო ოპერაციის განხორციელება.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულის და, მით უმეტეს, XXI საუკუნის რეალობები, იმით გამოირჩევა, რომ ტაქტიკური აქციით, ტაქტიკური საიარაღო სისტემით მიღწევადი ხდება სტრატეგიული სამხედრო, სამხედროპოლიტიკური და თვით სახელმწიფო პოლიტიკური შედეგი. იარაღის შემდგომი სრულყოფა, მისი განთავსების არეალის კოსმოსურ სივრცეში გადატანა, საინფორმაციო და მართვის სისტემების შემდგომი განვითარება უფრო გაზრდის აღნიშნული ეფექტით სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნის მიღწევის შანსს.

ამასთან დაკავშირებით მრავალი პუბლიკაციები მიგვითითებენ იმაზე, რომ სამხედრო ხელოვნებიდან ეტაპობრივად იდევნება მისი შემადგენელი ოპერატიული ხელოვნება, რომელიც შუალედური პოზიციაა ტაქტიკასა და სამხედრო სტრატეგიას შორის. ეს არასწორი მიდგომაა და ამის შესახებ კიდევაც არის ჩემი განმარტებები სხვა მასალებში. საერთოდ პოზიციები ოპერატიული ხელოვნების გაქრობის შესახებ, მიუხედავად იმისა არსებობდა

ადრე, თუ არა, ეს სახელწოდება საბრძოლო მოქმედებებში, ყოველთვის აღინიშნებოდა, როდესაც არენაზე გამოჩნდებოდა ახალი ფიზიკური ბუნების იარაღი და მას ფლობდა მხოლოდ ერთი მხარე, მაგრამ როგორც კი მეორე მხარეც აღიჭურვებოდა აღნიშნული ტიპის იარაღით და აღდგებოდა საიარაღო წონასწორობა, დღის წესრიგში კვლავ დგებოდა აქტუალობა ოპერატიული ხელოვნებისა, როგორც რეალობისა.

მოცემულ შრომაში, საკითხის განხილვის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის, შესწავლილი იქნას სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილების კონფიგურაციული და შინაარსობრივი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. ამის გარეშე ძნელია განისაზღვროს სტრუქტურა თვით შეიარაღებული ძალებისა [51].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თეორიის სპეციალისტები [52] იყენებენ შემდეგ სქემას (ნახ. 61.) – სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთ-დამოკიდებულების:



ძნელია დაეთანხმო ასეთ პრინციპულ სქემას, მით უმეტეს, როცა აღიარებ, რომ ტაქტიკით წყდება სტრატეგიული ამოცანები, ანუ ხაზს უსვამ მათ ურთიერთრბას.

აღნიშნული მოთხოვნებისადმი, გარკვეულად ადაპტაციისათვის, რიგ სტატიებში სტრატეგიის და ტაქტიკის ურთიერთობას შემდეგი სქემით წარმოაჩენენ (ნახ. 62.).



მაგრამ მოცემული სქემა, ტაქტიკისა და სტრატეგიის ფუნქციონალური არეების შემდგომი დაახლოებით, მინიმუმამდე ამცირებს ოპერატიული ხელოვნების არსებობას, რაც არარეალურია.

ასევე ხელოვნური წარმოშობის ნიშნების მატარებელია სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნების და ტაქტიკის ერთობლივი – სამხედრო ხელოვნების სტრუქტურაში წარმოდგენის სქემა (ნახ. 63.).



საკითხის რეალური წარმოსახვისათვის აუცილებელი ხდება განხილული სქემის სხვა კონფიგურაციებით შეცვლა.

ამდენად, სამხედრო ხელოვნების შეფასების ლოგიკას და თანამედროვე ომების ხასიათს და შინაარსს შეესაბამება შემდეგი სქემა (ნახ. 64.), რომელიც დამუშავდა რიცხვთა სიმრავლისა და მათი გადაკვეთების ლოგიკით.



ნახ. 64

ასევე, რეალობას უკეთ ასახავს სამხედრო ხელოვნების შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურული სქემა (ნახ. 65.):



აქ წარმოდგენილი სქემების სისტემა, კონფიგურაცია და შინაარსი ასაბუთებს იმ კონცეფციას [58], რომელიც სულ უფრო დამაჯერებელი ხდება და რომლის მიხედვით უძლიერესი სახელმწიფოს წინაშე დგება საკითხი სრულიად ახალი მოდელის მქონე შეიარაღებული ძალების შექმნისა. პრინციპი ამ სიახლისა ის გახლავთ, რომ შეიარაღებული ძალები არ უნდა დაიყოს სამხედრო, საჰაერო, საზღვაო თუ კოსმოსურ ჯარებად და ძალებად, რომლებიც სათანადო ვითარებაში ახორციელებენ შეტევით ან თავდაცვით ბრძოლებს, საბრძოლო მოქმედებებს, ოპერაციებს და საომარ მოქმედებებს, არამედ შეიარაღებული ძალები უნდა იყოს სპეციალიზირებული და მხოლოდ ორი სახის:

— თავდაცვითი სტრატეგიული, ინტეგრირებული შეიარაღებული ძალები;

— შეტევითი სტრატეგიული, ინტეგრირებული შეიარაღებული ძალები.

ყოველი სახეობის შეიარაღებულ ძალებს, კომბინირებული მოდელით, მომავალში ეყოლებათ ბრძოლების, საბრძოლო მოქმედებების, ოპერაციების და საომარი მოქმედებების არეალის შესაბამისი ფუნქციონალური კომპლექსები.

ასეთი უნიფიკაცია და ტიპიზაცია შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა, არ შეიძლება გარკვეულ წილად არ აისახოს საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პერსპექტიულ ტენდენციაში, მით უმეტეს, ამის აუცილებლობა ნამდვილად არის, რაც საქართველოს ომისათვის მომზადების ძირითადი დებულებებით არის განპირობებული.

ასეთი მოთხოვნა აიხსნება იმ სამხედრო საფრთხეებითა და მუქარებით, რომელიც სისტემური ჯგუფების სახით, პოზიციების მიხედვით, განსაკუთრებულ ამოცანებს სვამს საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ახალ მიდგომებს მოითხოვს.

საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს წინაშე მდგარი შემდეგი სამხედრო ამოცანების გადაწყვეტას:

I. საკუთრივ საქართველოს საშინაო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საგარეო თუ საშინაო საფრთხეები და მუქარები. მათი გადაწყვეტა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მოუწევთ დამოუკიდებლად ან გარეშე დახმარებითაც.
II. საქართველოს ტერიტორიის განთავსების არეალში, ტრადიციული განმარტებით ახლო აღმოსავლეთის საომარი მოქმედებების თეატრზე, განვითარებულ საომარ მოქმედებებში საკუთარი ინტერესებით ან სამოკავშირო ვალდებულებით მონაწილეობა. მათი გადაწყვეტა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მოუწევთ დამოუკიდებლად ან მოკავშირეებთან ერთად, რიგ შემთხვევაში, კოალიციაში ყოფნითაც.
III. საომარ და საბრძოლო მოქმედებებში, ბრძოლებში და ოპერაციებში მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული მისიის შესრულება მოიცავს მის განხორციელებას ავტონომიურ რეჟიმში, მოკავშირეებთან ერთად, კოალიციაში ან ინტერნაციონალურ მოქმედებებში.

შეიძლება ითქვას, და აქ ყველაფერი გასაგები და მისაღებია, რომ თანამედროვე სამხედრო დოქტრინების, სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგიების და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველოსადმი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, პირდაპირი დახმარება მეტწილად განპირობებული იქნება II და უპირატესად III პირობის დაკმაყოფილებისათვის.

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ოპტიმალური სისტემა იქნება შერჩეული საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობისა ისე, რომ რამოდენიმე პოზიციაში დახმარებით, შესაძლებელი გახდეს უნივერსალური სამხედრო ორგანიზაციის ბაზაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ძლიერების გაზრდა სამივე პირობის მომზადებისათვის.

საქართველოში სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციისათვის, შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის, სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობისათვის, სამხედრო ხელოვნების განვითარებისათვის, სამხედრო-ტექნიკური, სამხედრო-საინჟინრო პოლიტიკის, სახელმწიფო-სამხედრო პოლიტიკის ფორმირებისათვის და აღსრულებისათვის აუცილებელია ქვეყანაში სამხედრო მოღვაწეობა ერთდროულად განახორციელოს სამმა საზოგადოებრივმა შრემ:

1. სამხედრო მეთაურებმა;
2. სამხედრო ინტელიგენციამ;
3. სახელმწიფო სამხედრო მოღვაწეებმა.

მათი რეალურად მოქმედი კადრების მომზადება და შეთანხმებული თანამშრომლობის მიღწევა ასევე უმთავრეს მიმართულებად უნდა იქნას დასახული.

და ბოლოს, ყველა შემთხვევაში, მით უმეტეს საქართველოსათვის, თავდაცვის საიმედო, ეკონომიური და ეფექტური სისტემის შესაქმნელად აუცილებელია სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში სამოქალაქო კომპონენტების ამოქმედება, მათ შორის დომინანტია ტერიტორიული თავდაცვის ფუნქციონალური მიმართულების განხორციელება და სახელმწიფოს, ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის მომზადება ომისთვის. მიუხედავად ამისა, "ტერიტორიული თავდაცვა", როგორც სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, შეიქმნება თუ არა მისი ფუნქციონალური მიმართულებების უზრუნველყოფა და რეალიზაციისათვის მთელი სამოქალაქო სპექტრი უნდა იყოს მობილიზებული და მას გააჩნდეს საკადრო, მატერიალური, ტექნიკური, ინტელექტუალური, ორგანიზაციული და საკანონმდებლო სახელისუფლებო რესურსი.

სამხედრო დაგეგმარების ფუნქციური სივრცის განსაზღვრა

სამხედრო ხელოვნება მთლიანად, ან მისი კონკრეტული დარგი – სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება, არ უნდა იქნას გაიგივებული მხოლოდ "ხელოვნების" ცნების ვიწრო გაგებასთან, რომელიც ხშირ შემთხვევაში ინდივიდუალურია. იგი, მოცემულ კონტექსტში, განიხილება, როგორც სამხედრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილი. ამ მიდგომით, სამხედრო ხელოვნება, მისი სამეცნიერო რესურსისა და საბაზო საფუძვლების მიხედვით, ორმაგი დატვირთვისაა. ერთის მხრივ, სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება, როგორც კონკრეტული მიმართულება სამხედრო ხელოვნებისა და შემადგენელი ნაწილი სამხედრო მეცნიერებისა, ურთიერთკავშირშია სამხედრო მეცნიერების საერთო საფუძვლებთან, შეიარაღებული ძალების მშენებლობის თეორიასთან, სამხედრო სწავლებასთან და აღზრდასთან, შეიარაღების თეორიასთან, შეიარაღებული ძალების მართვასთან, სამხედრო ეკონომიკასთან და შეიარაღებული ძალების ზურგთან, შეიარაღებული ძალების სახეობათა თეორიასთან და სამხედრო ისტორიასთან.

ამასთან, სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება აღმოცენდა და განვითარდა საინჟინრო-სამშენებლო ხელოვნებასთან და შემდგომშიც დაეფუძნება მას და მასთან დაკავშირებულ ფართო სპექტრის სხვადასხვა სამშენებლო დარგებს.

მიუხედავად ამისა, არსებული ფორმულირებები სამხედრო მეცნიერებისა და სამხედრო ხელოვნებისა, შემდგომში მაინც, მოითხოვს დაზუსტებას და ფუნქციონალური ზღვრებისა და მათ წინაშე მდგარი ამოცანების განსაზღვრას.

ლოგიკურად ბოლომდე გამართული არ არის ტოლობის ნიშნის დასმა ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის, თუმცა ნებისმიერი ფენომენი ხელოვნებისა მით უფრო აღწევს მიზანს და მით უფრო მაღალი კლასისაა, რამდენადაც მასში შეთავსებული და შეთვისებულია მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული

საფუძვლები. საკითხი, ყველაზე უფრო თამამად, კარლ ფონ კლაუზევიცის მიერ იქნა დაყენებული.

მისი შრომების შეფასებებში [44] განმარტებულია: - "ადრე ტერმინები "ომის ხელოვნება" და "სამხედრო მეცნიერება" ყოველთვის გამოიყენებოდა, როგორც მიმათითებელი მხოლოდ ცოდნისა და ჩვევების გამოყენებაზე". შემდეგ ეტაპზე, იმდენად რამდენადაც "ომის წარმოება სტიქიური საქმეა, როდესაც საკმაოდ ძნელია სქემის შექმნა, რომელიც სისტემატიზაციას გაუკეთებს მთელ მრავალსახეობას ომის წარმოების ხელოვნებისა და მეთოდების" ..... "არსებობს შეურიგებელი კონფლიქტი თეორიას შორის და, როგორც ასეთი, რეალობას შორის".

განსაკუთრებული მოტივე ასეთი დაპირისპირების შექმნისა არის ის, რომ "ხელოვნებისათვის" უმთავრესი და მისაღები ფაქტორი – მებრძოლებისა და მეთაურების ინდივიდუალური უნარი, პოტენციალი და განწყობა თუ ინტუიცია ვერ, ან ძალიან ძნელად პოულობს დაზუსტებულ ასახვას სამხედრო სამეცნიერო დასაბუთებებში.

ერთი შეხედვით, ასეთი დაპირისპირებისაგან უფრო შორს იყოს სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება, რომელიც საინჟინრო შემადგენელი აღიარებული და დასაბუთებული სამეცნიერო-საინჟინრო დარგია. მაგრამ აქაც შემდგომში აუცილებელი იქნება დაზუსტებები.

ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში, ინგლისელმა მეცნიერმა ჯონი ჯონსმა შეეცადა შეექმნა სისტემატიზირებული, განზოგადოებული მეთოდიკა საინჟინრო და მხატვრული კონსტრუირებისა და პროექტის ანალიზისა [54] თავის შრომაში ავტორი სვამს შეკითხვას: "რა არის პროექტირება – ხელოვნება, მეცნიერება თუ მათემატიკის განყოფილება?" და იძლევა პასუხს:

"აღსანიშნავია, რომ დაგეგმარება არ უნდა იყოს აღრეული არც ხელოვნებასთან, არც მეცნიერებასთან, არც მათემატიკასთან.

ამ რთული შემოქმედების სახეობაში წარმატების მიღწევა დამოკიდებულია შემეცნების აღნიშნული სამივე საშუალების სწორ შეხამებაზე; წარმატების მიღწევის ალბათობა დაგეგმარების ერთერთ მათგანთან გაიგივებით ძალიან მცირეა. ძირითადი განსხვავება დაკავშირებულია დროით ურთიერთობებთან.

ხელოვანსა და მეცნიერს საქმე აქვს ფიზიკურ (რეალურ ან სიმბოლურ) სამყაროსთან, იმ სახით, რომელიც არსებობს აწმყოში. ხოლო მათემატიკოსს კი აბსტრაქტულ ურთიერთობებთან; რომლებიც არ არიან დამოკიდებული კალენდარულ დროზე.

დამგეგმარებელი კი მუდმივად იძულებულია რეალურად ჩათვალოს ის, რაც არსებობს მხოლოდ წარმოსახვით მომავალში, და ეძებოს წინასწარ წარმოსახული ობიექტების განხორციელების გზები."

სამხედრო ხელოვნებისა და სამხედრო მეცნიერების შორის კავშირის დადგენისათვის აღნიშნული პოზიცია მეტად მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას,

რომ სამხედრო თეორიის საერთო საფუძვლებში აუცილებლად უნდა მოხდეს ზღვრების გატარება სამხედრო ხელოვნებასა და სამხედრო მეცნიერებას შორის. მაგრამ ეს არ იქნებადა არც შეიძლება იყოს სრულყოფილი სქემა, თუ ისინი იქნებიან მოსაზღვრე სფეროები და მათ შორის ცალკე ჯგუფებად არ გამოიყენება სრულიად თვითმყოფადი სფერო სამხედრო შემეცნებისა – სამხედრო დაგეგმარება.

ასეთი სქემით სამხედრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილი არ შეიძლება იყოს სამხედრო ხელოვნება. ამასთან, ის საკითხები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია სამხედრო მეცნიერებაში და მოიცავენ სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ სივრცეებს და იწოდებიან სამხედრო ხელოვნებად, ხშირ შემთხვევაში, სავსებით სწორად განისაზღვრა ტერმინით – "სამხედრო ხელოვნების ისტორია", რომელთაც მართლაც გააჩნიათ მეცნიერული დასახელებები.

სამხედრო მეცნიერების კვლევის შედეგები, დებულებები და დასკვნები, უშუალოდ, შუალედური შრის გარეშე, არ შეიძლება იქნას რეალიზებული სამხედრო ხელოვნებით.

პრაქტიკულად ეს ეფექტი, სამხედრო მეცნიერების სცენარსა და სამხედრო ხელოვნების რეალურ სცენებს შორის, არატოლფასოვნობისა და არაიდენტურობისა კარგა ხანია წარმოჩნდა სამხედრო თეორეტიკოსების შრომებში. მაგრამ, მათი შემეცნება არასწორად ხორციელდებოდა. თვით კლაუზევიციც კი იძლევა თავის შეფასებას ამ განსხვავებისა, რაც სამხედრო მეცნიერებასა და სამხედრო ხელოვნებას შორის არის, მაგრამ ამას აკეთებს მათ შორის დამატებითი სივრცობრივი შრის არსებობის გარეშე, ანუ მათი ურთიერთმოსაზღვრე და ურთიერთშეხებადი ეფექტის ბაზაზე. ამის საილუსტრაციოდ, კვლავ შევეხოთ ცნობილ შეფასებებს კლაუზევიცის შრომებისა [44] – "ხახუნი არის ის ცნება, რომელიც ყველაზე სწორად უახლოვდება იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს რეალურ ომსა და ქაღალდზე ომს შორის".

"ხახუნის" ცნება, რომელიც ავტორის მიერ სამხედრო მოდელირებაში მექანიკური პროცესების ანალოგიებს ფართო ძიების კიდევ ერთი გამოხატულებაა, შეეხება ეფექტებისა და მიზანდასახულობით შედეგების დანაკარგებს, რომლებიც არსებობს თეორიის – სამხედრო მეცნიერების დონესა და მისი შედეგების რეალიზაციის – სამხედრო ხელოვნების დონეს შორის.

მაგრამ, თუ არ იქნება შემოღებული და ამოქმედებული ამასთან რეალური შუალედური შრე სამხედრო მეცნიერებასა და სამხედრო ხელოვნებას შორის, მაშინ უპასუხოდ რჩება კითხვა: როგორ უნდა ხდებოდეს ომის წარმოების მეცნიერული საფუძვლების მაქსიმალური ეფექტით მიღწევა სამხედრო ხელოვნებით. სწორედ აქ, ბუნებრივად ჩნდება შუალედური სივრცობრივი შრე – სამხედრო დაგეგმარება. (ნახ. 66).

ნახ. 66

სამხედრო დაგეგმარების მიზნობრივი ფუნქციაა სამხედრო მეცნიერების თეორიული საფუძვლებისა და მეთოდიკის ბაზაზე, ინდივიდუალური და კოლექტიური ინტუიციის, გამოცდილების, განწყობილებებისა და, რაც მთავარია შემოქმედებითი უნარის და მათი აღსრულების პოტენციალის მიხედვით შექმნას სცენარი მოქმედებებისა. ანუ არსებული სამხედრო ხელოვნების რესურსით დააგეგმაროს ოპერაციები.

თავისთავად სამხედრო დაგეგმარება, როგორც შუალედური შრე და ეტაპი პროცესებისა თვითმყოფადი და საკუთარი თვისებების მატარებელია, მაგრამ მისი სტრუქტურა კომპლექსურია და იგი წარმოადგენს სინთეზურ სივრცეს, რომელიც მოიცავს სამხედრო მეცნიერებასა და სამხედრო ხელოვნებას.

სწორედ ამით განისაზღვრება მისი შუალედური პოზიცია, როგორც გარდამავალი ინტელექტუალური სივრცისა სამხედრო მეცნიერებიდან სამხედრო ხელოვნებაზე.

ასეთი თვისება მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ყოველი მყისიერი მომენტის მიახლოებისას და ყოველი სიტუაციის ცვლილების მომენტისას, სამხედრო მეცნიერების პარამეტრები ფიქსირებულია, ასევე ფიქსირებულია სამხედრო ხელოვნების რესურსი, არჩევანი ან ადრეულ ეტაპზე დასახული გეგმის ცვლილება და მისი რეალიზაციის ქმედების დასახვა დინამიკური პროცესია, რომელიც "სამედრო დაგეგმარების" სივრცობრივ შრეში ხორციელდება.

მის განსხვავებულ მნიშვნელობაზე ოღონდ არა ცალკე პოზიციაზე სამხედრო მეცნიერებისა და სამხედრო ხელოვნების შორის, თავის დროზე მიუთითებდა ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფომ მოლტკე, როდესაც განმარტავდა, რომ "დაგეგმარება – ეს ყველაფერია: გეგმები – არაფერი".

განხილული მიდგომა სამხედრო მეცნიერების, სამხედრო დაგეგმარებისა და სამხედრო ხელოვნების მიხედვით სამხედრო პროცესების სამ ეტაპობრივ ჯგუფებად სისტემატიზაციისა, უკუქმედების შესაძლებლობის მოთხოვნებს განაპირობებს. სამხედრო მეცნიერების საფუძველზე შემუშავებული ნებისმიერი გეგმა ადაპტირებული უნდა იყოს მისი შესაძლო ცვლილებებისათვის მინიმალური შეზღუდვებით.

ასეთი იდეოლოგია უნდა გავრცელდეს საქართველოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების ომისათვის მომზადებისა და საბრძოლო

მოქმედებათა ერთიანი, სახელმწიფო საინჟინრო უზრუნველყოფის სისტემების შექმნაზე. ეს აიხსნება იმით, რომ მისი შემადგენელი ნაწილები სტრატეგიულ და ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეებს მიეკუთვნება, რომელთა ფუნქციონალური გამოვლენები და გამოყენება უნდა მოხდეს ოპერატიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ დონეებზე, სადაც ქმედებათა სქემებისა და იდეოლოგიის განსაზღვრა სწორედ დაგეგმარების ეტაპებზე მოხდება ვითარებათა ყოველმხრივი ცვლის პროცესების შესაბამისად.

ამდენად მეტად მნიშვნელოვანია, არა მარტო თეორიული განსჯის, არამედ სათანადო ლოგიკის საფუძველზე სისტემატიზირებული მოდელის შემუშავება, რომელიც წარმოაჩენს სამხედრო მეცნიერების, სამხედრო დაგეგმარებისა და სამხედრო ხელოვნების სივრცობრივ ურთიერთკავშირს და სტრუქტურას.

სამხედრო მეცნიერება, როგორც მიზანმიმართული მოძღვრება კონკრეტული სამხედრო დარგებისა, თავისთავად, მოდელის სახით, წარმოადგენს სისტემატიზებულ ელემენტთა სიმრავლეს, რომელსაც შ სიმბოლოთი აღვნიშნავთ. აღნიშნულ სიმრავლეში სამხედრო მეცნიერების კომპონენტები განვიხილოთ სიმრავლის ელემენტებად - $s_1, s_2, \ldots, s_n$. ამდენად, $s_1 \in S; s_2 \in S; \ldots; s_n \in S$. სიმრავლის ელემენტთა ცვალებადობის ინდექსი $i = \overline{1, n}$.

სამხედრო მოქმედებათა და ღონისძიებათა განზოგადებული პრინციპების და კონკრეტული გეგმების სამეცნიერო ანალიზი, სამეცნიერო დასაბუთება და შემუშავება მოითხოვს სამხედრო მეცნიერებასთან კომპლექსში სხვა მეცნიერებათა დარგების გამოყენებას, ამასთან, რიგ შემთხვევებში, აღნიშნული მიზნებისათვის აუცილებელია მეცნიერული სისტემატიზაციის გარეშე წარმოქმნილი როგორც არსებული, ისე - მოსალოდნელი ფაქტორებისა და გარემოებების გათვალისწინება.

ამდენად, შეიარაღებულ ძალთა დაპირისპირებისა და ინტეგრაციის პროცესების და შედეგების პროგნოზირების მეცნიერული საფუძვლები სცდება მხოლოდ სამხედრო მეცნიერების **S** სიმრავლის შემადგენელი ელემენტების - s_i ელემენტების ჩამონათვალს.

ასეთი მიდგომით, სამხედრო მეცნიერება ფართო გაგებით უნდა იქნას განხილული **S** სიმრავლის მომცველ $\mathbf{S}_{\text{საერთო}}$ სიმრავლედ, რომელიც, გარდა უშუალოდ სამხედრო მეცნიერების **S** სიმრავლისა შეიცავს მის ქვესიმრავლეებს.

აღნიშნული სამხედრო მეცნიერების სიმრავლის შემადგენელ სხვა ქვესიმრავლეებად შეიძლება, განხილულ იქნას სისტემატიზებულ $\mathbf{s_j}$ ელემენტთა სიმრავლეები და არასისტემატიზებულ s_k ელემენტთა სიმრავლეები, $\mathbf{j} \notin (\overline{1, n})$, $\mathbf{k} \notin (\overline{1, n})$.

სისტემატიზებულ ელემენტთა $\mathbf{S_j}$ ქვესიმრავლეებად უნდა იქნან განხილულნი ის სამეცნიერო დარგები, რომლებიც კვლევის პროცესში ექვემდებარებიან სისტემატიზაციის კანონებს. ამასთან, სისტემატიზებულ ელემენტთა $\mathbf{A\ S_j}$ ქვესიმრავლის ყოველი $\mathbf{m_j}$ ელემენტის მიმართ სამხედრო მეცნიერების **S** სიმრავლის ყოველი $\mathbf{s_i}$

ელემენტი ისეთ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია, როდესაც $s_i = F(m_j)$, რაც გულისხმობს მათ შორის დამოკიდებულების სისტემური ხასიათის არსებობას, და ეს ხასიათი პროგნოზირდება სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით.

რაც შეეხება არასისტემატიზებულ ელემენტთა **A** ქვესიმრავლეს - S_k, მისი ყოველი m_k ელემენტის მიმართ სამხედრო მეცნიერების **S** სიმრავლის ცალკეული s_i ელემენტი არ იმყოფება პროგნოზირებად და სისტემურ დამოკიდებულებაში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სამხედრო მეცნიერების სიმრავლეში - **S,** წარმოჩნდებიან S_k ქვესიმრავლის ელემენტთა სახით ისეთი რეალობები, ფაქტები, გარემოებები, ფაქტორები და მოსალოდნელი მოვლენები, რომელთა გათვლა, პროგნოზირება და დასაბუთება, მოცემულ ეტაპზე მაინც, არ ექვემდებარება სისტემატიზაციას.

ამდენად, ერთგვარად, როგორც ელემენტთა სიმრავლეებად წარმოდგენილი და განსხვავებულ ურთიერთკავშირში მყოფ ელემენტთა სტრუქტურა, ჩვენ განვიხილეთ მოდელი სამხედრო მეცნიერების საერთო სფეროსი.

შემადგენელ კომპონენტთა და მათ სიმრავლეთა ხასიათისა და ურთიერთდამოკიდებულების სურათი გააჩნია სამხედრო ხელოვნების სფეროსაც. უნდა გავიხსენოთ ის პოზიცია, რომ განსხვავების ნიშანი დავსვათ სამხედრო ხელოვნებასა და სამხედრო ხელოვნების თეორიას შორის. სამხედრო ხელოვნება, თავისი ბუნებით, მრავალ არაპროგნოზირებად და არასისტემატიზებად პარამეტრთან არის დაკავშირებული, რასაც ობიექტურ და სუბიექტურ ჩამონათვალში ემატება ცალკეული ინდივიდის და ინდივიდთა ჯგუფის განწყობაც, შემართებაც და უნარიც დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზაციისა.

სწორედ ამიტომ სამხედრო მეცნიერების საერთო სიმრავლეში - $S_{საერთო}$, როგორც მისი შემადგენელი სამხედრო მეცნიერების სიმრავლის - **S**-ის ქვესიმრავლეები, რიგ შემთხვევებში სწორედ სამხედრო ხელოვნების არასისტემატიზებულ კომპონენტთა სიმრავლეს წარმოადგენენ.

რაც შეეხება სამხედრო ხელოვნების თეორიულ საფუძვლებს, იგი ერთმნიშვნელოვნად არის კომპონენტთა ის ჯგუფი, რომელიც შედის უშუალოდ სამხედრო მეცნიერების სისტემატიზებულ კომპონენტებში და მიეკუთვნება მათ სიმრავლეს – **S** სიმრავლეს.

ამდენად, სრულიად კანონზომიერია სამხედრო მეცნიერებიდან სამხედრო ხელოვნების ცალკე გამოყოფა, რასაც თავისთავად თანამედროვე სამხედრო აზრი და მისი ევოლუციური განვითარების ეტაპების შეფასება სავსებით ეთანხმება. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში საკითხი შეეხება მისი, როგორც კომპონენტთა სიმრავლის მოდელის, ფორმისა და შინაარსის განსაზღვრას.

სამხედრო ხელოვნება წარმოადგენს არასისტემატიზებად, რიგ შემთხვევებში – ნაკლებადსისტემატიზებად და, აგრეთვე, სისტემატიზებად კომპონენტთა სიმრავლეს, რომელსაც **A** სიმბოლოთი აღვნიშნავთ. წარმოდგენილი ლოგიკის შესაბამისად, ამ სიმრავლის შემადგენელი კომპონენტები შეიძლება იყოს სისტემატიზებული a_j

ელემენტები და არასისტემატიზებული $\mathbf{a_k}$ ელემენტები; შესაბამისად, $a_1 \in A; a_2 \in A; \ldots; a_l \in A$, სადაც $i = \overline{1, l}$.

რეალობიდან გამომდინარე, სამხედრო ხელოვნება, მიუხედავად მისი რეალიზაციისა ინდივიდის თუ ინდივიდთა ჯგუფის მიერ, ეფუძნება სხვადასხვა დარგის, მათ შორის – სამხედრო სფეროს მეცნიერებებს, რომელთა კომპონენტები ქმნიან სამხედრო ხელოვნების **A** სიმრავლის სისტემატიზებულ $\mathbf{a_j}$ ელემენტთა **A** $\mathbf{A_j}$ ქვესიმრავლეს.

1. ქვესისტემებს შორის აუცილებლად უნდა იქნას განხილული სამხედრო ხელოვნების კომპონენტთა ის დაჯგუფებები, რომლებიც არაპროგნოზირებადია, ამასთან – არასისტემატიზებადი და, რიგ შემთხვევებში, მოულოდნელიც. ამ ელემენტებით იქმნება არაპროგნოზირებად $\mathbf{a_k}$ ელემენტთა $\mathbf{A_k}$ ქვესიმრავლე. ამდენად, სამხედრო ხელოვნების ელემენტებისაგან შემდგარი **A** სიმრავლე და მისი ქვესიმრავლეები - $\mathbf{A_j}$ და A_k, ერთობლიობაში წარმოადგენენ სამხედრო ხელოვნების საერთო სფეროს, ანუ საერთო სიმრავლეს - $A_{საერთო}$. ისევე, როგორც სამხედრო მეცნიერების მოდელის ამსახველ სიმრავლეში, მოცემულ შემთხვევაშიც $A_{საერთო}$ სიმრავლის შემადგენელი სიმრავლეებია **A, $\mathbf{A_j}$** და **$\mathbf{A_k}$,** ანუ - $\mathbf{A} \subset \mathbf{A}_{საერთო}$; $\mathbf{A_j} \subset \mathbf{A}_{საერთო}$; $\mathbf{A_k} \subset \mathbf{A}_{საერთო}$.

სამხედრო ხელოვნების სიმრავლეთა სივრცეში ასევე შენარჩუნებულია ურთიერთდამოკიდებულება ქვესიმრავლეთა ელემენტებს შორის, რომლებიც ატარებენ სისტემატიზებად, პროგნოზირებად და არასისტემატიზებად, შემთხვევით ხასიათებს.

ამდენად, სიმრავლეთა ბაზაზე, ჩამოყალიბდა ორი სივრცე: ერთის მხრივ, სამხედრო მეცნიერების საერთო სივრცე და მეორეს მხრივ – სამხედრო ხელოვნების საერთო სივრცე. სწორედ ამ ორი სივრცის მდგომარეობა, მათი თვისებები, ხასიათი და ცვალებადობა დროში, და, რაც მთავარია, ურთიერთმდებარეობა, განაპირობებენ განსხვავებული ხასიათის შემეცნებისა და მოქმედების სივრცის – დაგეგმარების შექმნას.

დაგეგმარება თავისთავად, მისი მოდელად განხილვის სპექტრში, ორ მდგომარეობაში შეიძლება არსებობდეს სტატიკურ პირობებში, როდესაც არ ხდება მისი ცვალებადობა, ან შედგენა, საკითხი შეეხება გეგმის არსებობას. მაგრამ დაგეგმარების დაწყების, ან გეგმის ცვალებადობის პროცესში წარმოიქმნება განსხვავებული ხასიათის სივრცე დაგეგმარების სახით.

დაგეგმარება ასევე მრავალკომპონენტიანი ფუნქციაა, რომელიც წარმოადგენს ელემენტთა ტრანსფორმირებად სიმრავლეს - **P** სიმრავლეს. აღნიშნული სიმრავლე შედგენილია სისტემატიზებადი და არასისტემატიზებადი ელემენტებით: $\mathbf{p_1, p_2, \ldots, p_r}$. ჩამოთვლილი ელემენტები თავისთავად ის კომ პონენტებია, რომელთა ნაწილი იქმნება ან განისაზღვრება სამეცნიერო საფუძვლებით, როგორც თეორიული, ასევე – ექსპერიმენტული მეთოდებით, ხოლო გარკვეული ნაწილი კომპონენტებისა ხასიათდება

მათი არაპროგნოზირებადი მოულოდნელობით და ინდივიდის თვისებებზე დამოკიდებულობით, აგრეთვე - სხვა მრავალი ფაქტორით.

დაგეგმარების სიმრავლეს გააჩნია ტრანსფორმაციის ეტაპები, რომლებიც სხვადასხვა შემთხვევაში განსაზღვრავენ, გეგმას შეეხება საკითხი თუ – დაგეგმარებას.

I ეტაპი მოიცავს იმ შემთხვევას, როდესაც ხდება გეგმის შედგენა ან შედგენილი გეგმა არ იცვლება. აღნიშნული ეტაპის გავრცელების დროის ინტერვალია გეგმის შედგენიდან დაწყებული, ოპერაციისა და საბრძოლო მოქმედებათა დაწყებით დამთავრებული. ამ ეტაპზე გეგმაც და დაგეგმარების პროცესიც სამეცნიერო სივრცეში არის განთავსებული და ის მხოლოდ სისტემატიზებულ ლოგიკას ეფუძნება. ამდენად, პირველ ეტაპზე დაგეგმარების კომპონენტთა **P** სიმრავლე არის სამხედრო მეცნიერების საერთო სიმრავლის - $\mathbf{S}_{\text{საერთო}}$ სიმრავლის დამატება სამხედრო ხელოვნების $\mathbf{A}_{\text{საერთო}}$ სიმრავლემდე.

II ეტაპზე, როდესაც იწყება ლოგიკურად დასაბუთებული გეგმის მიხედვით მიმდინარე საბრძოლო ოპერაციები, გეგმა ხდება შემადგენელი ნაწილი შეიარაღებული დაპირისპირებისა, მისი განხორციელებისა და მართვის კომპონენტებისა. ამდენად, ერთიან მოდელში ხდება მისი გადაადგილება. ის უკვე გადაიქცევა სამხედრო ხელოვნების კომპონენტთა საერთო სიმრავლის - $\mathbf{A}_{\text{საერთო}}$-ს დამატებით სიმრავლედ სამხედრო მეცნიერების საერთო სიმრავლემდე - $\mathbf{S}_{\text{საერთო}}$-მდე.

პირველ და მეორე ეტაპებზე იგულისხმება, ერთ შემთხვევაში, ის, რომ დაგეგმარების პროცესი ხორციელდება სისტემატიზებული ლოგიკის საფუძველზე, რომლის შედეგად მიიღება ასევე ობიექტურად დასაბუთებული და სისტემატიზებული გეგმა.

III ეტაპი განსხვავებული ხასიათისაა, რომელიც მოიცავს იმ რეალობას, როდესაც საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე ან მის პროცესში უნდა მოხდეს გეგმის ცვალებადობა ან, თუნდაც, შედგენა, შექმნილი არაპროგნოზირებადი ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც, სისტემატიზებულ ლოგიკასთან ერთად, წინა პლანზე გამოდის ინდივიდის გადაწყვეტილებები, დაფუძნებული პროფესიონალიზმზე, ინტუიციაზე, ნებისყოფაზე და სხვა მრავალ ისეთ ფაქტორზე, რაც შეიძლება, მრავალმა ობიექტურმა და სუბიექტურმა ცვლილებამ გამოიწვიოს.

ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ხდება შემეცნების პროცესში ერთი სივრცის შემადგენლობაში ორი სიმრავლის ურთიერთქმედებით, რის საფუძველზეც წარმოიშობა სრულიად განსხვავებული ბუნებისა და ხასიათის კომპონენტები, რომლებიც, ელემენტების სახით, ქმნიან P სიმრავლეს. ამ მომენტში P სიმრავლე წარმოადგენს ორი სიმრავლის - $S_{\text{საერთო}}$ -სა და $A_{\text{საერთო}}$-ს თანაკვეთას, ანუ $P = S_{\text{საერთო}} \cap A_{\text{საერთო}}$.

ამდენად, მოცემული მოდელის მიხედვით, ახსნადი ხდება მრავალი ცნობები სამხედრო თეორეტიკოსის და მხედართმეთაურის შეხედულებები და თეორიები, რომლებიც, რიგ შემთხვევებში, ერთი ავტორისთვისაც კი ურთიერთწინააღმდეგობრივია.

აზრთა დაპირისპირების საილუსტრაციოთ შეიძლება განვიხილოთ ორი ციტატა: “ომში არაფერი არ მიიღწევა გაანგარიშების გარეშე. ყველაფერი, რაც წინასწარ და დაწვრილებით არ იყო დაგეგმილი უშედეგოდ იქცევა”. ნაპოლეონი – ჟოზეფ ბონაპარტს, 18 სექტემბერი 1806 წ. [55].

“შეიარაღებული შეტაკებები შესაძლოა მიმდინარეობდნენ თეორიული კომბინაციებიდან სრულიად დამოუკიდებლად და ღებულობდნენ ჭეშმარიტად დრამატულ ხასიათს (შებრუნებას); მათ მმართველ ელემენტებად ხშირად ხდება პირადი თვისებები, შთაგონება და ასობით სხვა რამ”. ანტუან-ანრი დე ჟომენი [56].

შემუშავებული მოდელის მიხედვით, როდესაც მოხდა სისტემატიზაცია სამხედრო მეცნიერების, სამხედრო ხელოვნების და სამხედრო დაგეგმარებისა, წარმოდგენილი პოზიციები ერთმანეთს აღარ უარყოფენ, იმდენად რამდენადაც ყოველი მათგანი მართებულია თავისი გავრცელების სივრცეში და ეს სივრცეები განსაკუთრებულ პარამეტრებისაგან შედგებიან.

ლექცია 12

საქართველოს ტიპის სამხედრო უსაფრთხოების სისტემის მქონე სახელმწიფოების პრიორიტეტები თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში და არსებული კონცეფციების ტრანსფორმაციის აუცილებლობა

სტრატეგიული მახასიათებლების განსაზღვრა საქართველოს ტიპის უსაფრთხოების სივრცის მქონტ ქვეყნებისათვის

როდესაც საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დინამიკურ პროცესებს განვიხილავთ, უპირველესად უნდა დაისვას საკითხი, რომ კლასიკური მიდგო-მებისათვის, ჩვენი სახელმწიფო ვერ აკმაყოფილებს უმეტეს მოთხოვნებს სამხედრო სტრატეგიის კლასიკური პარამეტრებით. ამ მხრივ არსებული, გავრცელებულ შეხედულებათა მეთოდიკით უპირველეს განხილვას მოითხოვს სტრატე-გიული დინამიკის მახასიათებლები – ომისთვის მოსამზადებელი ტერიტორიის სიდიდის, ომის წარმოების ძალთა და საშუალებათა რიცხოვნობისა და ომის მწარმოებლების ორგანიზაციულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა.

საქართველოს ისტორიული მაგალითები და უმეტეს წილად არსებული სამხედრო-პოლიტიკური და გეოპოლიტიკური რეალობა, თუნდაც სახელმწიფოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის შეფასებებით არ არის თავსებადი სტრატეგიული დინამიკის აუცილებელ მახასიათებლებთან ომისთვის მოსამზადებელი ტერიტორიის სიდიდის და ომის წარმოების ძალთა და საშუალებათა რიცხოვნობის და სახეობების მხრივ [57].

ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ორი მახასიათებელი მიუღებელი იყოს ვითარებისა და ქმედებების სტრატეგიული დონის აუცილებლობისათვის. რეალური სისტემური მოდელი თუნდაც საქართველოს მასშტაბების დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, ასაბუთებს იმას, რომ, სამხედრო გარემოს, ვითარებისა და ქმედებების სტრატეგიული დონის აღიარებისათვის სტრატეგიული დინამიკის აბსოლუტური მაჩვენებლები კი არ არის უნივერსალური მახასიათებლები, არამედ მათი ფარდობითი სიდიდეები:

1) ომისათვის ტერიტორიის მომზადების გეომეტრიული მახასიათებელი;
2) ომის წარმოების ძალთა და საშუალებათა რიცხოვნობის მახასიათებელი;
3) ომისათვის მომზადების და წარმოების სახელმწიფოებრივი მახასიათებლები.

ყოველი ცალკეული მახასიათებელი გაანგარიშდება სიდიდეთა ფარდობით და მათ შემდეგი სახე აქვს:

1. ომისთვის ტერიტორიის მომზადების გეომეტრიული მახასიათებელი ტოლია "ომისთვის კონკრეტულად და მიზნობრივად მოსამზადებელი ტერიტორიის ფართის" შეფარდებისა "მთელი სახელმწიფოს ტერიტორიის საომარი მოქმედების სრულ საანგარიშო ფართზე".

   ამასთან საომარი მოქმედების სრული საანგარიშო ფართი, სახელმწიფოს მთლიანი ტერიტორიის ფუნქციაა და მისი სიდიდე განვითარების ყოველ ეტაპზე

დამოკიდებულია საიარაღო სისტემების, ტექნიკის მობილიზების და სამხედრო ხელოვნების იმ დონეზე, რომლითაც ხდება ტერიტორიების ათვისება საბრძოლო გამოყენებისათვის, უზრუნველყოფისათვის, მოსახლეობის ევაკუაციისათვის და თავშესაფრებისათვის.

2. ომის მიზნობრივი წარმოების ძალთა და საშუალებათა რიცხოვნობის მახასიათებელი“ ტოლია “ომის კონკრეტულად და მიზნობრივად წარმოების ძალთა და საშუალებათა რაოდენობის“ ფარდობისა “ომისათვის აღნიშნული მიზნისათვის სახელმწიფოს შესაძლებლობებით განსაზღვრულ ძალთა და საშუალებათა რიცხვზე“.
3. ომის წარმოების სახელმწიფოებრივი მახასიათებელი ტოლია “ომის მიზნობრივი და კონკრეტული წარმოების ორგანიზაციული სისტემის“ ფარდობისა “ომის წარმოების კონკრეტული მიზნობრივი მიმართულებით მთელი სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციულ სისტემასთან“.

აღნიშნული სამი მახასიათებელი აბსოლუტური დოგმა არ არის. სამხედრო ხელოვნების სტრატეგიულ დონეს მრავალი პარამეტრი გააჩნია და ყოველ მათგანზე შეიძლება ასევე დამატებითი, ოღონდ ფარდობითი მახასიათებლები იქნას შემოღებული და განხილული.

ამ მხრივ სახელმწიფოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არა მარტო სტრატეგიული გაშლის საინჟინრო გარემოს და პირობის შექმნაა, არამედ სტრატეგიული მიმართულების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფაც. ამ სფეროში ფარდობითი მახასიათებლები ორი კრიტერიუმით შეფასებას მოითხოვს.

I. საქართველოს ტიპის ტერიტორიაზე სტრატეგიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ისეთი ინტენსიობის და მასშტაბის საომარი მიმართულება რომელთა ზემოთ აღნიშნული ფარდობითი მახასიათებლები განსხვავებულად დიდი იქნება.

როდესაც საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადებისა და ერთიან სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივ მახასიათებლების დონის სტრატეგიულს უტოლებთ, აქ მისი მნიშვნელობის და სტატუსის გაზრდის ხელოვნურ მიდგომასთან არ გვაქვს საქმე. საკითხი უფრო რთულად დგას და იგი შეეხება იმ ფორმათა და მოთხოვნილებათა სტრატეგიულ პასუხისმგებლობას, სტრატეგიული პოზიციების მომზადებას და სტრატეგიული ქმედებების სრულყოფილი სტრუქტურით ამოქმედებას, რასაც სამხედრო მეცნიერება სისტემურად შეიცავს სტრატეგიის დარგში, და რაც სრული ფუნქციით ტვირთავს სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტებს.

II. თავისთავად ტერიტორიის ომისათვის მომზადება და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსი, სამხედრო ხელოვნების სტრატეგიულ დარგს მიეკუთვნება და აქ არსებული პოზიციის შეცვლა აუცილებელი არ არის. აუცილებელია ის, რომ საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, არ იხელმძღვანელოს მიღებული სამხედრო ნორმებით და თავისი ტერიტორიისა და

შეიარაღებული ძალების და საშუალებების სიმცირით არ აღიაროს თავისი სამხედრო უსაფრთხოების მიღწევის უმთავრესი მიმართულებები არასტრატეგიულად.

წარმოდგენილი პოზიცია არა მარტო საქართველოსათვის არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი, არამედ იგი აქტუალურია მთლიანად საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის და საერთოდ სამხედრო ხელოვნების შემდგომი სრულყოფისათვის.

რაც შეეხება "ომისათვის ტერიტორიის მომზადების გეომეტრიულ მახასიათებელს", "ომის წარმოების ძალთა და საშუალებათა რიცხობრივ მახასიათებელს" და "ომისათვის მომზადების და წარმოების სახელმწიფოებრივ მახასიათებლებს", მათი, როგორც კოეფიციენტების სიდიდის სტრატეგიულობისათვის საკმარისობის პირობები ცალკე მოითხოვს განხილვას.

აღნიშნული სამი მახასიათებლიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში სამხედრო-საინჟინრო ხელოვნებას შეეთავსება, უმთავრესია "ომისათვის მომზადების და წარმოების სახელმწიფოებრივი მახასიათებელი". მისი უმთავრესობა შეესაბამება "აუცილებელ" პოზიციას. ეს იმას ნიშნავს, რომ ფუნქციის სტრატეგიულად ჩათვლისათვის "აუცილებელი პირობაა", "ომისათვის მომზადების და წარმოების სახელმწიფოებრივი მახასიათებლის" მაღალი მაჩვენებელი. მხოლოდ ამის შემდეგ დგება მოთხოვნა "საკმარისობის პირობების" დაცვისა, რაც მიიღწევა "ომისათვის ტერიტორიის მომზადების გეომეტრიულ მახასიათებელის" და "ომის წარმოების ძალთა და საშუალებათა რიცხობრივი მახასიათებლის" ასევე მაღალი სიდიდით.

სტრატეგიულობის მახასიათებელ კოეფიციენტთა ზღვრული სიდიდეები, იმისდა მიხედვით, თუ როგორია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, სახელისუფლო ინსტიტუტების, ეკონომიკის და სხვა პარამეტრები, მეტნაკლებად სხვადასხვა შეიძლება იყოს.

აღნიშნული კოეფიციენტები საშუალებას იძლევა საომარი მოქმედების თეატრის ან დიდ ტერიტორიაზე განლაგებული, მრავალრიცხოვანი და დიდი სამხედრო ძლიერების მქონე სახელმწიფოს სტრატეგიული მოდელი სამხედრო ხელოვნებისა, მასშტაბური "პადობიეს" ანალოგიით, შეათავსოს საქართველოს ტიპის მცირე ტერიტორიის, ნაკლები სამხედრო ძლიერების და პოტენციალის მქონე სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების და სათანადო სამხედრო ორგანიზაციის მოდელს. ეს კი განაპირობებს სახელმწიფოს თავდაცვითი ფუნქციების სრულფასოვანი წარმოჩენის და მისი მართვის პროგნოზირების სტრუქტურას სამხედრო ხელოვნების ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნების და სტრატეგიის დონეზე.

ფარდობითი მახასიათებლების კოეფიციენტების სისტემა, საშუალებას იძლევა არა მარტო სტრატეგიულ, არამედ ოპერატიულ დონეზე დინამიკური პროცესების კრიტერიუმების შეფასებისა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სტრატეგიული გაშლის დაგეგმარების ტევადობის ცნების შემოტანა და განსაზღვრა. საკითხი შეეხება სტრატეგიული გაშლის პირობების და დინამიკური პროცესების დაგეგმარების დონეზე, სტრატეგიული გაშლის მოდელში მაქსიმალური ტევადობით, ოპტიმალური რაოდენობის შესაძლო ოპერატიული გაშლების მოთხოვნას. ამდენად, სტრატეგიული გაშლის მახასიათებლად, მისი დაგეგმარების საწყის ეტაპზე, მიზანშეწონილია "სტრატეგიული

გაშლის ტევადობის მახასიათებლის“ დადგენა და განსაზღვრა, რომელიც შემდეგი სქემით გაიანგარიშება:

“სტრატეგიული გაშლის ტევადობის მახასიათებელი“ ტოლია “დაგეგმილი ოპერატიული გაშლის ვარიანტების რაოდენობა“ შეფარდებული “ოპერატიული გაშლის რეალურად შესაძლო, მოსალოდნელი ყველა ვარიანტის რიცხვთან“. აღნიშნული ფარდობითი კოეფიციენტების ოპტიმალური სიდიდეები, იმისდა მიხედვით შეიძლება თუ არა, რომ მახასიათებელი მიეკუთვნოს სტრატეგიის სფეროს, დგინდება ემპირიულად იმ ანალოგების მიხედვით, რომელიც სათანადო მეთოდიკით გაანგარიშებით გააჩნიათ სიტუაციების საომარი მოქმედების თეატრში და დიდი ტერიტორიის მქონე ძლიერ სახელმწიფოებს სამხედრო-ხელოვნების სცენებს.

სახელმწიფოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა სტრატეგიული გაშლის პირობების შექმნა. ხოლო ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისა – აღნიშნული სტრატეგიული გაშლის სივრცობრივ ველში ოპერატიული გაშლის მრავალმხრივი, მანევრული და მობილური პირობების უზრუნველყოფა. რაც შეეხება ადგილ-მდებარეობების სამხედრო-საინჟინრო აღჭურვას და ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას, მათი ფუნქციონალური დატვირთვა, ყველა სახის შეიარაღებული კონფლიქტების საინჟინრო უზრუნველყოფაა ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე.

სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება უზრუნველყოფის საშუალებაა ტერიტორიული დაცვის სისტემის და მათი შემადგენლების – საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვისა.

თავისთავად მცდელობა სრულყოფილი სამხედრო სტრატეგიული სივრცის საომარი მოქმე-დების თეატრის, რომლის ტერიტორიების ომისათვის მომზადება სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების სტრატეგიის კომპეტენციაა, ფუნქციონალური შემცირებული მოდელით გატოლებისა ცალკეული სახელმწიფოს საომარ სივრცესთან, ოღონდ არგუმენტაციის გარეშე, იგივე ხედვაა, რაც წარმოდგენილია მეთოდიკაში.

აღნიშნული მიდგომები სამხედრო ხელოვნების ერთიან სქემაში საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის შექმნის, სტრატეგიულ დონისათვის მიკუთვნებისა, არ ისახავს მიზნად თვით სამხედრო სტრატეგიის სტრუქტურაში შეიტანოს ცვლილებები სამხედრო სტრატეგიული შეიარაღებული მოქმედებების შინაარსობრივი, რაოდენობრივი და ვექტორული კრიტერიუმების მხრივ. საკითხი ძირითადში შეეხება იმას, რომ სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების სახელმწიფოებრივი მასშტაბების სცენარების დაგეგმარებას და რეალიზაციას მიენიჭოს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ნებისმიერი სამხედრო პროგრამის და ქმედებების რანგის განსაზღვრის კრიტერიუმი ხდება ის, რომ მათი დასახვისათვის და რეალიზაციისათვის სახელმწიფო-სამხედრო ან სახელმწიფო სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკური გადაწყვეტილებაა საჭირო, იმდენად, რამდენადაც მათი შედეგები სახელმწიფოებში უშუალოდ უკავშირდება და

ზემოქმედებს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე. სახელმწიფოებრივი მიდგომით, მიუხედავად სამხედრო სტრატეგიის მახასიათებელი ვექტორისა, ნებისმიერი სფერო თავდაცვითი კომპლექსის, სამხედრო უსაფრთხოების და შეიარაღებულ კონფლიქტში ქმედებებისა მიჩნეული უნდა იყოს, როგორც "სტრატეგიული მნიშვნელობის" თუ მის შესახებ ხდება სახელმწიფო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მისი შედეგი პირდაპირ უკავშირდება სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სპექტრის ცვალებადობას.

საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების მეტად რთული სისტემა, სტრატეგიულ დონეზე გადაუდებლად მოითხოვს ფინანსურ, საკადრო, საწარმო, ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და სამეცნიერო უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი კომპლექსების შექმნას და ამოქმედებას. არა თუ საქართველოში, არამედ ამ მხრივ ძლიერ განვითარებულ სახელმწიფოებშიც, ტერიტორიის ომისათვის მომზადების მეტად რთული, შრომატევადი, მეტად ძვირადღირებული, ინტელექტუალური და ხანგრძლივპერიოდიანი პროცესი, როგორც წესი ძირითადში მშვიდობიანობის დროს ხორციელდება. რაც შეეხება ომის პერიოდს, რა თქმა უნდა, ოპერატიული მოთხოვნებით, გარკვეული ახალი მშენებლობები და რეკონსტრუქციები შესაძლებელია, მაგრამ სტრატეგიული ხასიათის ცვლილების შეტანა საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადებისას პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

ლექცია 13

სამხედრო-სამრეწველო ბაზა და მისი ფუნქცია საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში

დამოუკიდებლობის ადრეულ ეტაპზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საწყისი ბაზა და თავდაცვის სამხედრო-საინჟინრო სპექტრი

ეროვნული უსაფრთხოების საკითხები მრავალი კონცეპტუალური მიმართულების ამოსავალი პოზიციაა და ბუნებრივია, ასევე განუყრელად უკავშირდება ქვეყნის ერთიან სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების არათუ ბაზა, არამედ პრინციპების ძირითადი ხასიათიც განვითარების ახლანდელ ეტაპზე უპირველესად სწორედ ინტელექტუალური პოტენციალის, სამხედრო-ტექნიკური რესურსებისა და მათი პროგრესის შესაძლებლობით არის განპირობებული [58].

სწორედ მეცნიერების, ტექნიკის, ტექნოლოგიების, კომუნიკაციების, კავშირის, ენერგეტიკის და ინფორმატიკის საინჟინრო კომპლექსის თვისებრივად განსხვავებულ სიახლეებს, აღმოჩენებსა და ცვლილებებს ემთხვევა თვით ეროვნული უსაფრთხოების პრინციპების ასევე თვისებრივი და სისტემური ცვლილებები.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, კონცეპტუალური შეფასებებიდან, რეალურ პოზიციებზე გადაინაცვლა ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურის კომპლექსურმა უზრუნველყოფამ, რომელშიც სამხედრო ძლიერებასთან ერთად წინა პლანზე იქნა წამოწეული ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური რესურსებით განპირობებული ინტელექტუალური და ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა კომპონენტები.

ეროვნული უსაფრთხოების ასეთი სპექტრით შევსებას განაპირობებს არა მარტო სახელმწიფოს განვითარების განსაკუთრებულ ეტაპებზე მისი ტერიტორიული მთლიანობის და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის და მართვის სისტემის დაცვის მარტივი სქემით გაძლიერების საჭიროება, არამედ სახელმწიფოს მდგრადი უსაფრთხო განვითარების პროცესად გადაქცევის აუცილებლობაც.

XXI საუკუნეში სახელმწიფოს მდგრადი უსაფრთხო განვითარების პროცესი უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო საშინაო, სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებით, არამედ იგი უნდა ფუნქციონირებდეს აგრეთვე რეგიონულ და გლობალურ გეოპოლიტიკურ სივრცესთან სრული შესაბამისობით, სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტის დაცვისა და სხვების მიმართ, ურთიერთშეთავსებადი გამოყენებით ქვეყნის, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. საკითხთა ასეთი კავშირის კომპლექსური ერთიანობის დინამიკური განვითარების პროცესის წონასწორობის დაცვა და შენარჩუნება უმთავრესი სტრატეგიული მოთხოვნაა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს უსაფრთხოების აუცილებელ პირობას.

უსაფრთხოების ასეთი მოდელი კაცობრიობისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. მისი ცალკეული მოთხოვნების ჩამოყალიბება და შესაბამისი პროცესების ფრაგმენტული უზრუნველყოფა ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში მიმდინარეობდა.

XX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბებული ეროვნული უსაფრთხოების საბაზო პრინციპების გამოკრისტალების ძირითადი პროცესები განვითარებას იწყებს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, ხოლო სამოცდაათიანი წლების შუა პერიოდისთვის უკვე იძლევა პროგნოზირების საშუალებას, რომლის ძირითადი ხასიათი ზესახელმწიფოებისა და ბირთვული იარაღის არსებობის ფონზე განსაზღვრეს ახალმა სამხედრო ტენდენციებმა.

აღნიშნული სამხედრო ტენდენციები მოიცავენ ისტორიული ვითარების ნიშნებს, ზესახელმწიფოების კონკურენციას, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ რევოლუციებს, კომუნიზმის ექსპანსიის მცდელობას მსოფლიოში, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების როლის ზრდას, სწრაფვას პოლიცენტრიზმისადმი, ძალისხმევას განიარაღების მიღწევისა და შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესებისათვის და, ზოგადად, ომის სტრატეგიის ახალ ელემენტებს.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ცალკეული სახელმწიფოს გარკვეული კრიზისული მომენტისა და ექსტრემალური პირობებისათვის, უსაფრთხოების კრიტერიუმები ფასდება – არა როგორც მყისიერი ან ხანმოკლე პერიოდისათვის სახელდახელოდ მიღწეული სამხედრო ძლიერების, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფონის კომპონენტების უბრალო არითმეტიკული ჯამი, არამედ – მხოლოდ მდგრადი, უსაფრთხო განვითარების პროცესის მაჩვენებლებით ყველა ზემოხსენებული კრიტერიუმისათვის, რომელთა დინამიკა უნდა იყოს მართვადი, ჰქონდეს მდგრადი და საიმედო ხასიათი და, რაც მთავარია, უზრუნველყოფდეს ეროვნული უსაფრთხოების კომპლექსურ ბაზას.

სწორედ უსაფრთხო განვითარების პარამეტრებზე დამყარებული, საიმედო და მართვადი სიდიდეებით შეიძლება განხორციელდეს მისი ცალკეული შემადგენელი კომპონენტების ოპტიმალური ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ უსაფრთხოების იმ დაგეგმილი ინტენსივობის და პოტენციალის მიღწევას, კონკრეტული მომენტის, პერიოდისა და ვითარებისათვის, რომელიც არის საჭირო ქვეყნის ინტერესების დასაცავად და სამომავლო გარანტიების შესაქმნელად.

უსაფრთხოების თეორიის შესწავლასა და პრაქტიკულ ანალიზს თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევებში განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც თავისთავად, ურთულეს მიმართულებად რჩება, რადგანაც მისი გავრცელებისა და გამოყენების სფერო მოიცავს საზოგადოებას, ბუნებას, ინტელექტუალურ და ხელოვნურ პროცესებსა და პროდუქციას, ინტერესების თანხვედრა - განსხვავებასა და დაპირისპირებას.

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების არსის თეორიული მოდელი მრავალ და ცვლადპარამეტრიანი ფუნქციის სახით არის წარმოდგენილი, მისი ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი, სახელმწიფოს თავდაცვის სტრუქტურის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სოციალური, ინტელექტუალური,

ტექნოლოგიური და სამართლებრივი პარამეტრები, ქვეყნის მართვის სტრუქტურული სქემა და ტერიტორიის, მოსახლეობისა და სუვერენიტეტის დაცვის მექანიზმი უმთავრეს პარამეტრებად რჩება. ამასთან, შენარჩუნებულია მათი ურთიერთზემოქმედების აქტიური თვისებრიობა.

სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის, ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევიდან მისი განვითარების ყველა ეტაპზე და პერსპექტივაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა პრინციპით იქნება ორგანიზებული ეროვნული უსაფრთხოების მდგრადი განვითარების პროცესის შემადგენელი პარამეტრების ერთიანი კომპლექსი. ამასთან, ქვეყანაში მშვიდობის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით უმთავრესია ისიც, რომ მიღწევადი იყოს აღნიშნული პარამეტრების ურთიერთკავშირით, ყოველი მოთხოვნის დროს, სტაბილურ პერსპექტივაზე გათვლილი და დამყარებული პროცესის ინერციის დაძლევა და კომპლექსის მაქსიმალური წარმადობით ამოქმედება კონკრეტულად ქვეყნის საომარი მდგომარეობისა და საბრძოლო მოქმედების ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის.

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება ყოველთვის მოქცეულია ინტერესთა განსხვავებებს, თანხვედრებსა და დაპირისპირებებს შორის. ამდენად, რომ არაფერი ვთქვათ მისი ცალკეული კომპონენტების შექმნასა და მათი ურთიერთკავშირის პროცესების წარმართვაზე, თავისთავად, მარტო ინტერესთა სფერო წარმოშობს სახელმწიფოს უსაფრთხოების ერთობ მრავალფეროვან სპექტრს, რომელიც წამოჭრილ წინააღმდეგობათა დასაძლევად ერთიანი მოქმედების მთელ კომპლექსს მოითხოვს.

ეროვნული უსაფრთხოების სისტემა და მისი შემადგენელი ნაწილი – სახელმწიფოს თავდაცვა საზოგადოების განვითარების ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სტრუქტურული შემადგენლობითა და რანგით, სხვადასხვა სირთულეებით ხასიათდება. ამასთან, ყოველი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ინტელექტუალური განვითარების მაღალი დონე თავისთავად მდგრადი უსაფრთხო განვითარების კიდევ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს განაპირობებს. უსაფრთხოების მოდელის ეს თვისება განეკუთვნება არა მარტო კონკრეტულ სახელმწიფოებს, არამედ მათს ერთობლიობასაც რეგიონულ და გლობალურ გეოპოლიტიკურ სივრცეში. კონკრეტული სახელმწიფოს უსაფრთხოების საკუთრივ ნორმატივებს ემატება ამ სივრცეში მოქცეულ ურთიერთდაპირისპირებულ სახელმწიფოთა, მოკავშირე ქვეყნების ან ცალკეული სახელმწიფოების ინტერესთა გააქტიურება მოცემული კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების შეცვლის ან მისი ტერიტორიებისა და მასზე გავლენის სფეროების დასაკუთრების მიზნით, რაც ხშირად - რელიგიური, პოლიტიკური, დივერსიული, კრიმინალური, ეთნიკური თუ ეკონომიკური კონფლიქტების მოტივებითაა შენიღბული და როგორც აღინიშნა, მიზნად ისახავს სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის, ტერიტორიული ან სახელისუფლებო ცვლილების გატარებას თუ შენარჩუნებას.

თანამედროვე მსოფლიოში ეროვნული უსაფრთხოების გარანტიების შექმნის მხრივ ურთულესი პრობლემა დგება ახლადწარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების

წინაშე, განსაკუთრებით, როდესაც იგი წარმოიქმნა ერთი პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმაციის სახელმწიფოსაგან გამოყოფის გზით ან მისი ნგრევის შედეგად და ხალხი იღებს გადაწყვეტილებას განსხვავებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლის შესახებ.

ასეთ პირობებში შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების დონე არათუ არ შეესაბამება მისი მდგრადი განვითარების ერთიან პროცესს, არამედ უკეთეს შემთხვევაში, განისაზღვრება მისი შემადგენელი კომპონენტების განვითარების საწყისი ეტაპის მაჩვენებლებით, რომელთა შენარჩუნებაც კი გართულებულია ბუნებრივი გარემოებებით. იგი ასევე აწყდება ხელოვნურ წინააღმდეგობებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარედანაც.

რთულ პირობებში წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პირველად პრაქტიკულ მიზანს, მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფოს თავდაცვის სისტემის შექმნა, რაც ძნელად მისაღწევი ხდება იმის გამო, რომ საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ტერიტორიული მთლიანობისა და მართვის სისტემის, ეკონომიკის, სოციალური და სამართლებრივი ბაზის კომპონენტები კრიზისულ მდგომარეობაშია. ეფექტიანობის ზრდის დაჩქარება საწყის ეტაპზე ურთულესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს დროს, თუნდაც ახალი მეთოდოლოგიის პრაქტიკული შემუშავების, მისი რეალური ამოქმედებისა და დახვეწისათვის. ქვეყანაში მშვიდობის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობის შესანარჩუნებლად საჭირო სამრეწველო, ენერგეტიკული და სხვა პოტენციალი ახალი ვითარების პირველ საფეხურებზე, როგორც წესი, მეტად პასიური და ინერციული ხდება და პარამეტრების ზრდის დინამიკაზე დროულ ზემოქმედებას ვერ ახდენს.

სახელმწიფოს თავდაცვის პარამეტრები, ცალ-ცალკე, მათი თვისებრიობიდან გამომდინარე, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დაწყებული ეტაპების მიხედვით, განსხვავებულ ხასიათს და დინამიკას იძენს.

ისტორიული და არსებული ვითარების ანალიზი მოწმობს, რომ უმთავრესია პრიორიტეტის და მისი რეალიზაციის დინამიკური პროცესის განსაზღვრა, რაც მეტწილად ეკონომიკის განვითარების აუცილებლობას გულისხმობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური მოქმედების, ტერიტორიების ჩამოცილებისა და სუვერენიტეტის ხელყოფის მიზნების მისაღწევად ხორციელდება, პირველ რიგში, ეკონომიკის სფეროზე პირდაპირი და ფარული ზემოქმედების ღონისძიებები, რომელთა შორის განსაკუთრებით საშიშია ეკონომიკის განვითარების ბლოკირება და მოშლა ქვეყნის ძირგამომთხრელი სეპარატისტული, დივერსიული საქმიანობითა და ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერებით, რასაც ყველა შესაძლო მომენტში ემატება ენერგეტიკული ბლოკადა, როგორც ეკონომიკის რღვევის, სოციალური უკმაყოფილების გაღვივებისა და დესტაბილიზაციის გამომწვევი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

სახელმწიფოს თავდაცვის ძირითადი სტრატეგია მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული, მაგრამ უმთავრესი ინდიკატორია ახლადშექმნილი სახელმწიფოს რეალურ შესაძლებლობათა თანაფარდობა იმ ქვეყნის შესაძლებლობებთან, რომელიც უპირისპირდება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესებს. აღნიშნულ შესაძლებლობათა თანაფარდობა შეიძლება, ასე გამოიხატებოდეს:

– რეალურ შესაძლებლობათა ტოლობა;
– ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს რეალური შესაძლებლობების სიჭარბე მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით;
– რეალურ შესაძლებლობათა სიმწირე მოწინააღმდეგესთან შედარებით.

ამ ცნებაში აკუმულირებულია შესაძლებლობები, რომლებიც ემყარება როგორც საკუთარ რესურსებს, ასევე მოკავშირეთა უშუალო თანადგომით ან არაპირდაპირი ზემოქმედებით გაზრდილ შესაძლებლობებს.

რეალურ შესაძლებლობათა თანაფარდობის პირველი და მეორე შემთხვევისათვის სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მოდელის შექმნის ვარიანტებს ნაკლები სიძნელეები სდევს, ვიდრე მესამე შემთხვევაში.

მოწინააღმდეგესთან შედარებით საკუთარი რეალური შესაძლებლობების სიმწირე ასახვას პოვებს ქვეყნის ეკონომიკური უზრუნველყოფის ყველა ეტაპზე, საგარეო პოლიტიკაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და შენარჩუნებაში, ქვეყნის სისტემის სტრუქტურის შერჩევაში, სოციალურ ვითარებაში, სამართლებრივ უზრუნველყოფასა და სამხედრო აღმშენებლობაში.

ყოველ მათგანს ცალკეულ ეტაპზე თავისი პრიორიტეტები აქვს, რომლის თანმიმდევრობა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა სქემით ვითარდება.

ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენს საგარეო პოლიტიკა, ამასთან იმ ეტაპზე, როდესაც ეკონომიკა არ არის შეგუებული ახალ გარემოებებთან, როდესაც ფაქტობრივად არ არსებობს ფინანსური უსაფრთხოება და მოუმზადებელია ქვეყნის სამართლებრივი და საკანონმდებლო ბაზა, როდესაც სოციალური ფონი არ არის პროგნოზირებადი, საგარეო პოლიტიკის ეფექტიანობას, ძირითადად, განაპირობებს საერთაშორისო მხარდაჭერა, საშინაო პოლიტიკა, სამხედრო პოტენციალი, პოლიტიკისა და დიპლომატიის ხელოვნება.

იმდენად, რამდენადაც დამოუკიდებლობის მომპოვებელი ქვეყნების ასეთი სასტარტო სურათი ტიპობრივია და ფართოდ არის გავრცელებული, მსგავსი კანონზომიერებები ვლინდება თვით საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა დამახასიათებელ ეტაპებზეც. მიუხედავად სახეცვლილებათა მრავალფეროვნებისა, საგარეო პოლიტიკაში შესაძლებელია, გამოვყოთ ცალკეული ეტაპების დამახასიათებელი შეფასებები, რომლითაც ხდება ახლადშექმნილი სახელმწიფოს დიპლომატიური სვლების მანიპულირება:

- დათმობები, რიგ შემთხვევებში იძულებითაც, ძირითადი მიზნის – დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად სხვა მნიშვნელოვან, თუნდაც სტრატეგიულ პოზიციებში.
- პრიორიტეტების გამოკვეთა და დაცვა, თუნდაც მნიშვნელოვანი კომპრომისების ფასად.
- სტრატეგიული პოზიციების შენარჩუნება სხვადასხვა ტაქტიკური პოზიციის დათმობითაც კი, ასევე კომპრომისები და სხვა ღონისძიებები, რაც ემსახურება სტრატეგიული პოზიციების გაძლიერებას.
- პრიორიტეტების პრინციპული უზრუნველყოფა.

ჩამოთვლილ ეტაპებს თან სდევს, ერთი მხრივ, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ჩამოყალიბების სისტემური პროცესი და, მეორე მხრივ, ასევე ორი ინტენსიური პროცესის სინთეზი:

შეთავსებადობა დაპირისპირებულ მხარესა და საკუთარ ინტერესებს შორის, ინტერესთა და ქმედებათა წონასწორობა დაპირისპირებულ მხარესა და მოკავშირეს, ან მოკავშირეებს შორის;

მეგობარი ქვეყნების რიცხვის ზრდა და მათთან ურთიერთობის თვისებრივი გაუმჯობესება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგარეო პოლიტიკის განვითარების ეტაპების დამახასიათებელი თანამიმდევრობა არ გამორიცხავს ქვეყნის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერი მათგანის გამოყენებას. ამის მთავარ მოტივს, საჭიროებას და შესაძლებლობას განაპირობებს დამოუკიდებელი ქვეყნის ხალხთა პოლიტიკური და ეროვნული კონსოლიდაცია, მოწინააღმდეგე მხარის გარკვეული სირთულეები საშინაო და საგარეო ასპარეზზე, ქმედითი საერთაშორისო დახმარება და უწინარესად, პოლიტიკისა და დიპლომატიის ხელოვნების ეფექტიანი გამოყენება.

ყველა შემთხვევაში ქვეყნის საშინაო ვითარება უმთავრესი ბაზაა საგარეო პოლიტიკური შედეგების მიღწევისა. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი წარმოვაჩინოთ და გამოვააშკარავოთ ის ძირგამომთხრელი მოქმედება, რომელსაც მოწინააღმდეგე მიმართავს არა საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ არალეგალურად, ზოგჯერ კი ლეგალურადაც, ქვეყნის საშინაო პროცესებზე გარედან და შიგნიდან ზემოქმედებით.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარანტიების დეფიციტის დროს და შემდგომშიც, როდესაც უსაფრთხოების ეკონომიკური, სამხედრო და სხვა კომპონენტები საკმარის განვითარების დონეს აღწევენ, ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებათა სპექტრში, საგარეო და საშინაო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა არა მარტო სამხედრო, პოლიტიკური და სხვა კავშირების შესუსტება მოწინააღმდეგე მხარესა და მის მოკავშირეებს შორის, არამედ ისეთი შესაძლო გაერთიანებების უვნებელყოფაც, პირველ რიგში, სამხედრო და დივერსიული აგრესიის მხრივ, რომელიც შეიძლება, ერთობლივად განხორციელდეს მოწინააღმდეგე ქვეყნისა და ამ ქვეყნისადმი თუნდაც მტრულად განწყობილი სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოს შიგნით არსებული

დაჯგუფებების მიერ, რაც ძალიან ხშირად განპირობებულია მათი ინტერესების ხანგრძლივი თუ დროებითი თანხვედრით.

ქვეყნის შიდა სტაბილურობის ძირითად საწყის პირობებს, ეკონომიკური და სოციალური ბაზის შექმნასთან ერთად, წარმოადგენს რელიგიური ურთიერთობების ჰარმონიულობის და სტაბილურობის გარანტიები.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის რეალიზაცია, დამოუკიდებლობისა და განვითარების ადრეულ ეტაპებზე, ძალიან ხშირად გაძნელებულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფოს საამისოდ არ გააჩნია მყარი და სტაბილური ისტორიული ტრადიციები.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოს, თითქმის ყველა შემთხვევაში, გარკვეული დრო სჭირდება შეიარაღებული ძალების შესაქმნელად, ან ახალ ვითარებასთან შესაბამისობაში მოსაყვანად და გასაძლიერებლად. სწორედ ამიტომ, ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში ადრეულ ეტაპებზე ხშირად სტიქიურად ფუნქციონირებენ ძალოვანი სისტემები მოხალისეების, ლაშქრის, წინააღმდეგობის, მეამბოხეების, პარტიზანების და სხვა შეიარაღებული ჯგუფების სახით, რომელთა კონტროლირებული მოქმედების უზრუნველყოფა, ერთიანი სისტემით მართვა, წესრიგის დაცვა, სამხედრო სტრუქტურებთან და შეიარაღებულ ძალებთან კავშირის დამყარება ურთულესი პრობლემაა.

ამდენად, ეროვნული უსაფრთხოების თუნდაც ელემენტარული პროგნოზირება სამხედრო სპექტრით შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებული ძალების შექმნით. ამასთან, როდესაც სახელმწიფოს ჰყავს შესაფერისი შეიარაღებული ძალები, გაცილებით მეტი ორგანიზებულობით, ნაკლები საფრთხითა და მეტი ეფექტიანობით შეიძლება სახალხო მოძრაობების, წინააღმდეგობების. ლაშქრების, შეიარაღებული ჯგუფებისა და პარტიზანული მოძრაობების გამოყენება. ასეთი სინთეზი უაღრესად ეფექტიანია დროებით დაკარგული, ნაკლებად კონტროლირებადი, ან "ცეცხლსაშიში" ტერიტორიების გასაკონტროლებლად, შესანარჩუნებლად და ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში ჩასართველად. ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ აღნიშნული მიზნების მიღწევა მხოლოდ სამხედრო მეთოდებით შეიძლება. ქვეყნის ერთიანობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების მდგრადი და ერთიანი კომპლექსია საჭირო, რომელიც სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ყველაზე ეფექტიანი გარანტიაც არის.

აღნიშნულ ურთულეს პროცესებს ქვეყნის შიგნით წარმართავს საშინაო პოლიტიკა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი, მისი მდგრადობისა და ეფექტიანობის განმსაზღვრელი შემადგენელი ნაწილი.

ძალიან მნიშვნელოვანია საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება. როგორც წესი, ერთი შეხედვით, მათი აუცილებელი ურთიერთკავშირის გამო ისინი ერთმანეთისაგან არ უნდა განსახვავდებოდნენ, მაგრამ ეს ხშირად არც არის სავალდებულო. მთავარი, რაც უნდა აკავშირებდეს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, არის ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკის სტრატეგიული

ამოცანების უზრუნველყოფა. რაც შეეხება მათ მიღწევას, ამისათვის ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე ხშირად აუცილებელიც კი ხდება არა იდენტურობა საგარეო და საშინაო პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და მოქმედებისა, არამედ ზოგჯერ მათი თითქოსდა რადიკალური განსახვავებაც. როგორც წესი, ასეთ პირობებში მანევრირებისა და მოქნილობის მეტი არე იქმნება სამხედრო პოლიტიკისა და ქმედებისათვის, რაც გაცილებით ძლიერ ეფექტს იძლევა, თუნდაც მოწინააღმდეგე მხარისთვის ნაკლებად პროგნოზირებადობის გამო.

თუ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლის პროცესი მეტად ინერციულია და სახელმწიფოს განვითარების გზაზე დიდ ძვრებთან არის დაკავშირებული, ეს ნაკლებად ითქმის საშინაო პოლიტიკაზე, მაგრამ, ამასთან, იგი არ უნდა გასცდეს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს და, მეტწილად მის სტრატეგიასთან უნდა იყოს შეთავსებული.

ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად ყოველმხრივი ზრუნვაც კი ვერ გამორიცხავს აქტიურ, ხშირად სპონტანურ და უკონტროლო პროცესებს ქვეყნის შიგნით, და მის განსხვავებულ და არაპროგნოზირებად კონკრეტულ შედეგებს, რომლებსაც განაპირობებს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ სწრაფვა. დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, ნაკლებად კონტროლირებადი რეგიონები და ცენტრისადმი ცალკეული რეგიონის დაუმორჩილებლობის უმნიშვნელო გამოვლინებაც კი არა მარტო დაღს ასვამს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სპექტრს, არამედ ანიჭებს გარეშე და შინაურ მტერს შესაძლებლობას, გამუდმებით მიმართონ ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ძირგამომთხრელ საქმიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თითქოს პირველ რიგში გადასაწყვეტი, გადაუდებელი ამოცანაა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის დაყოვნებაც კი დაუშვებელია.

აღნიშნული მიზნის მიღწევა მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული და რაც მთავარია, მის მომზადებას ესაჭიროება მინიმუმ პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური უზრუნველყოფა.

ასეთი დებულების დაცვა აუცილებელია მაშინაც, როდესაც სახელმწიფო ძალები მრავალგზის აღემატება ტერიტორიების სეპარატისტულ ძალებს.

საკითხის ასეთი შეფასება გამოწვეულია იმით, რომ მოწინააღმდეგე ძალა როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით, წინასწარი პოლიტიკური უზრუნველყოფის გარეშე, არც ერთ შემთხვევაში ნეიტრალური არ დარჩება იმ პროცესების მიმართ, თუ სახელმწიფო მხოლოდ საკუთარი ძალის იმედად დაიწყებს დაკარგული ტერიტორიების შემოერთებასა და მისი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შემორიგებას. კარგად არის ცნობილი, რომ ომის მოგების აუცილებელი პირობაა სწორი სახელმწიფო პოლიტიკა. თუმცა, პოლიტიკა მანამ არ ამოქმედდება ეფექტიანად, სანამ ქვეყანაში არ იმძლავრებს ეკონომიკა, სანამ არ გაუმჯობესდება სოციალური ფონი და სანამ ეს ფაქტორები, არ უზრუნველყოფენ სამხედრო ძლიერებას, რომელსაც

აუცილებლად სჭირდება გაძლიერება საერთაშორისო აღიარებით, თანამშრომლობითა და კავშირებით, რისთვისაც საწყის პირობას წარმოადგენს ქვეყნის მიერ დემოკრატიული აღმშენებლობის გზისა და პროცესების შეუქცევადობის უზრუნველყოფა, სათანადო სამართლებრივი სივრცე და კანონთა მოქმედების გარანტიები.

სახელმწიფოებრივ, რეგიონულ და გლობალურ სივრცეებში უსაფრთხოების მდგრადობის დაკარგვაზე, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტიურ ზემო-ქმედებას ახდენს ანომალიები და განსხვავება სახელმწიფოს შიგნით და მის გარემოცვაში ცივილიზების ხარისხებს, იდეოლოგიურ საფუძვლებს, ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ პოტენციალებს შორის. ამ გარემოებას თანამედროვეობის უმთავრეს პრობლემად რომ იქცა, ამწვავებს ისიც, რომ აღნიშნული შინაარსის და ხასიათის გართულებების გამოსწორება მეტად ინერციულია. ამდენად, ამ მხრივ საჭიროა წონასწორობის აღდგენა, რაც მდგომარეობის სტაბილიზაციის ბუნებრივ და საიმედო ფონს ქმნის და მოითხოვს მძლავრი ეკონომიკური, ფინანსური, ორგანიზაციული და ინტელექტუალური ბერკეტების გამოყენებას უაღრესად ოპტიმალურად გათვლილი სტრატეგიით ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ცალკეული კონკრეტული ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მდგრადი პროცესის რღვევის აღნიშნული ფაქტორები შეიძლება წარმოშვას არა ქვეყნის შიგნით ან მის მოსაზღვრე და მასთან დაპირისპირებული სახელმწიფოს წინაშე მდგომმა ანალოგიურმა პრობლემებმა, არამედ კულტურათა, ტექნოლოგიათა და ინტელექტთა კონფრონტაციამ გლობალურ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რაც, ალბათ, მეტად დამახასიათებელი იქნება XXI საუკუნის პირველი ნახევრისათვის, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით წარმოქმნის სრულიად ახალ პოლიტიკურ სპექტრს.

მართალია, დღეს ძნელია, ისევე დააკონკრეტო ახალი რეალობიდან გამომდინარე ახალი ტენდენციები მსოფლიოს უსაფრთხოების პროცესებში, მაგრამ უსაფრთხოების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც უკვე XX საუკუნის ბოლოს საკმაოდ ეფექტიანად იქნა აპრობირებული ახლადშექმნილ სახელმწიფოებს შიგნით არსებული დაპირისპირებისა და სახელმწიფოთა-შორისი კონფლიქტების დასარეგულირებლად, უდავოდ პრიორიტეტული გახდება XXI საუკუნის პოლიტიკასა და მოქმედებებში.

უსაფრთხოების ინტერნაციონალიზაცია განაპირობებს საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებების შეთავსებადობის აუცილებლობას სახელმწიფოს არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო სპექტრშიც.

საერთაშორისო გარანტიებით ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით შეიძლება იქნეს განხილული. მათ შორის, მეტად აქტუალურად განიხილება სახელმწიფოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადების საკითხი. ბევრი თვლის, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადებით სახელმწიფო შესაძლო მინიმუმამდე ამცირებს მისი უსაფრთხოების ხელყოფას და ამ მოტივით მოუწოდებს სახელმწიფოს, გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი. ასეთი ცალმხრივი, სახელმწიფოს მიერ ერთპიროვნულად გამოცხადებული ნეიტრალიტეტი მხოლოდ და მხოლოდ ფუჭი

პოლიტიკური აქციაა და მას დადებითი კი არა, ზოგჯერ უარყოფითი შედეგი უფრო მოაქვს.

სახელმწიფოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადების და რაც მთავარია, ეფექტიანი რეალიზაციის განმსაზღვრელია არა მარტო კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკური დეკლარაცია და მოსახლეობის ნება, არამედ, უწინარესად, მსოფლიოსა და რეგიონებში იმ სახელმწიფოთა პოზიციური შეთანხმება, რომელთა გავლენა და ინტერესები, ერთი მხრივ, სტრატეგიულად უკავშირდება კონკრეტულ სახელმწიფოს და, მეორე მხრივ, მძლავრი დაპირისპირების ფონზე მათი ურთიერთკონფრონტაციის რეალურ საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, მხოლოდ პოლიტიკური ილუზიაა, მცირე, ამასთან, სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მყოფმა სახელმწიფომ მოითხოვო, ნეიტრალიტეტის გამოცხადება სხვისგან დამოუკიდებლად, ამ გეოპოლიტიკური სივრცის სტრატეგიული პოლიტიკის განმსაზღვრელი საპირისპირო ინტერესების მქონე სახელმწიფოების შეთანხმებისა და კომპრომისების გარეშე.

მსოფლიოს განზოგადებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ზოგჯერ წარმოიშობა სიტუაციები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზისა გამო შეიძლება განპირობებული იყოს მოწინააღმდეგე ძალების საშინაო და საგარეო პოლიტიკური გარემოებებით, და რეალური გახდეს, სახელმწიფოს საკუთარი, თუნდაც შეზღუდული შესაძლებლობებით, გადაწყვეტა დაკარგული ტერიტორიების შემოერთების საკითხისა. ასეთი შემოერთების რეალობა ძლიერდება, თუ მსგავს სიტუაციაში ქვეყნის შიგნით ყველა პოლიტიკური ძალა და მთლიანად ცალკეულ ჯგუფებად დაყოფილი საზოგადოება მიაღწევს ხელისუფლებასთან სრულ კონსოლიდაციას და ამასთან ერთად, სახელმწიფოს თავისი მეგობარი ქვეყნები და მოკავშირეები აღმოუჩენენ დახმარებას, თუნდაც არაპირდაპირი გზით. მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის საკითხის ასეთი ფორსირებული გადაწყვეტა ქვეყნების განვითარების ადრეულ ეტაპზე მოქმედების კლასიკურ სქემაში არ ჯდება. ამას ემატება ისიც, რომ სახელმწიფოს დაბალი დონის ეკონომიკის პირობებში შემოერთებული ტერიტორიების აგრესიულად განწყობილი მოსახლეობის შემორიგების და მასთან შეთავსებადობის პროცესი ძალზე ძნელდება, რამაც შეიძლება, სხვა მხრივ გაამწვავოს სიტუაცია. ასე რომ, ქვეყნის უსაფრთხოების ქვაკუთხედად, კვლავაც წინა პლანზე რჩება სახელმწიფოს ეკონომიკა, რომლის საბაზო პოტენციალის შექმნა და შემდგომი განვითარება თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და საბაზრო ეკონომიკის გარეშე, რაც თავისთავად საერთაშორისო ინტეგრაციას გულისხმობს.

აღნიშნულ მასალებში ძირითადი კვლევისა და დასკვნების საგანს თავისთავად არც ეროვნული კონცეფცია და პრინციპები წარმოადგენს და არც ეკონომიკის განვითარების ოპტიმალური კანონზომიერებების დადგენა, რომლებიც ახლოსაა საქართველოს რეალობასთან და რომლის პრინციპები კონკრეტულად მიგვანიშნებს სახელმწიფოს თავდაცვის უზრუნველყოფის ცალკეულ ეტაპებზე სამხედრო ძალების როლზე, ამოცანაზე და მათი მოქმედების თვისებრივ შეთავსებადობაზე ეროვნული უსაფრთხოების ცალკეულ კომპონენტთან.

ქვეყნის უსაფრთხოებას ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოში აქვს საკუთარი მატერიალური ბაზა, განვითარების პოტენციალი და იდეოლოგია. ამ სამი პოზიციის ოპტიმალური ურთიერთშეთავსებადობა და ინტენსიური თანამოქმედება განაპირობებს უსაფრთხოების ეფექტიანობას, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საკანონმდებლო ბაზით, სტრუქტურით, სისტემური კომპლექსითა და ფუნქციონირების მექანიზმით.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მოდელის და მისი მდგრადი განვითარების პროცესის ასეთი განზოგადებული შეფასების მიუხედავად, კონკრეტიზაციას მოითხოვს უსაფრთხოების საკითხთა ის კომპლექსი, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საქართველოს ტერიტორიის მომზადებას ომისათვის, სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებას და ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას.

ასეთი მიდგომით წინა პლანზე გადმოდის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც უპირობოდ მოითხოვს საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოების სხვადასხვა დონეები და მათი კომპონენტები, ეკოლოგიურ სპექტრთან ერთად ასევე აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს მდგრადი განვითარების პრინციპებზე სტრატეგიულ ქმედებათა სტრუქტურულ მოდელს. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება უსაფრთხოების კონტექსტში მოიხსნას ანტაგონიზმი ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს შორის.

მაგრამ უსაფრთხოების აღნიშნული მოდელის ეფექტურობა, რამდენადაც პროგნიზორებადი და ეფექტურია სახელმწიფოს ტერიტორიის მომზადებისას ომისათვის და თვით სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებისას იმ ეტაპზე, როცა ისინი მშვიდობიანობის დროს სრულდება, იმდენად არაეფექტურია მათი რეალიზაციისას საომარი მდგომარეობებისას და კიდევ უფრო ნაკლებად პროგნოზირებადი და "აგრესიულიც" არის ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის დროს.

ყველა შემთხვევაში ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის ფუნქციონირებისას, უმთავრესი მოთხოვნა უნდა გახდეს საქართველოს გარემოს დაცვის პრიორიტეტების მაქსიმალური დონით დაცვა. რიგ შემთხვევებში კი შეიძლება გარემოს, მათ შორის კულტურის მემკვიდრეობის დაცვის მოტივით, სამხედრო უსაფრთხოების ალტერნატიული ვარიანტის შერჩევაც.

საქართველოს ეროვნული უშიშროების სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს თავდაცვის ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტის თანმხლები მიზანი უნდა გახდეს შავი ზღვის და მისი სანაპირო ზოლის გარემოს დაცვითი, ბიომრავალფეროვნების და ტყის მასივების, მათ შორის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, კოლხეთის და აღმოსავლეთ საქართველოს დაცული ტერიტორიების შენარჩუნების, კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობების გადარჩენის, წყლის

რესურსების გაფრთხილების, დიდი კაშხლების და ხალხმრავალი საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების მზიდუნარიანობის შენარჩუნების, გარემოს დატბორვის, განსაკუთრებით დიდი მასების და ღვარცოფების, მეწყერებისა და ზვავების აღკვეთის და ასევე გარემოს ბიოლოგიური, რადიაციული და ქიმიური დაბინძურების ბლოკირების მაქსიმალური უზრუნველყოფა.

ყველა შემთხვევაში ეროვნული უსაფრთხოების უპირობო მოთხოვნაა ნებისმიერი საფრთხის შექმნის ან პროგნოზირებისას, ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის მიერ მოსახლეობის მასობრივი ევაკუაციის განხორციელება და მათი მშვიდობიანი გაყვანა სამხედრო საფრთხეებისა და კატასტროფების ზონებიდან.

საქართველოს ტერიტორიის მომზადება ომისათვის და მისი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსი, სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების ფართო სპექტრს მოიცავს და იგი მიეკუთვნება ჩვენი ქვეყნის უშიშროების პრიორიტეტულ სამხედრო მიმართულებას.

საქართველოს ეროვნული უშიშროების მდგრადი განვითარების პროცესის მიღწევისას სახელისუფლო მოდელი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რეგიონული თვითმმართველობის სტრუქტურა, სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზა, თავდაცვითი სისტემა, სამხედრო განათლება, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, თავდაცვითი თემატიკის მეცნიერება და საწარმოო-ტექნოლოგიური სიმძლავრეები აუცილებელი საბაზო მიმართულებებია ქართული სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების განვითარებისა და წარმატებული პრაქტიკული რეალიზაციისა.

ყველა შემთხვევაში სწორედ ასეთი მიდგომით იქნება მიღწეული, საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების წინაშე მდგომი იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რაც სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებით უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მისი სუვერენიტეტის დაცვას პოლიტიკური და, საჭიროების შემთხვევაში, ძალისმიერი გარანტიების შექმნით.

ამდენად, ჩამოთვლილი აუცილებელი მიმართულებები და სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების უმთავრესი პრიორიტეტები საქართველოს ტერიტორიების და პოზიციების მომზადება ომისათვის და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსი – განაპირობებს იმ სამხედრო-საინჟინრო სპექტრს, რაც აუცილებელია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სტრატეგიული და ოპერატიული გაშლისათვის და ბრძანებებისა და ოპერაციების წარმატებული სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისათვის.

დამოუკიდებელ საქართველოს თავისი მხედრული მამაცობის, ბრძოლების ხელოვნების ტრადიციების მიუხედავად, ისევე როგორც შეიარაღებული ძალების მშენებლობის, საერთოდ სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობის და სამხედრო ორგანიზაციის მხრივ, სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების განვითარებას არამარტო გახსენება და აღდგენა, არამედ მისი, როგორც სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი მეცნიერებათტევადი დარგის თანამედროვე დონეზე განვითარება ეკისრება. ამის

აუცილებლობა განპირობებულია შეიარაღების ახალი სისტემების, კონფლიქტების განსხვავებული ხასიათის და თვით სამხედრო ხელოვნების დონისა და მასშტაბის გაზრდით, როდესაც ის მოიცავს ხმელეთს, ზღვას, ჰაერსა და კოსმოსს.

საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბების სახასიათო ისტორიული პერიოდი

საქართველოს თავდაცვის და მთლიანად ეროვნული უსაფრთხოების განვითარების მდგრადი პროცესის უმთავრესი შემადგენელი უნდა გახდეს ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის საერთო მრეწველობის ნაწილს.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უმთავრეს მიზანს საქართველოშიც უნდა შეადგენდეს ქვეყნის შეიარაღებული ძალების და სხვა შეიარაღებული ფორმირებებისა და სტრუქტურების უზრუნველყოფა იარაღით და ტექნიკით, მათი შექმნა, საწარმოო ათვისება, გამოცდები, შეიარაღებაში გადაცემა და, ასევე, მათი შესყიდვა [59].

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების დონეს, მასშტაბსა და ხასიათს განაპირობებს სამეცნიერო-ტექნიკური და, ტექნოლოგიური ბაზა, საგარეო და საშინაო პოლიტიკა მსოფლიოში, რეგიონში და სახელმწიფოში სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა და თავისთავად, ეკონომიკური პოტენციალი.

საერთოდ, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა განვლო განვითარების სხვადასხვა ეტაპები, რომლებიც ისტორიულად, თავისი გამოხატული ფორმით უკავშირდება XX საუკუნეს, განვითარებით კი პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს.

თავისი განვითარების სქემა აქვს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს საქართველოში, რომელშიც, როგორც შემადგენელ ნაწილში საბჭოთა კავშირისა, აისახებოდა სწორედ საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კანონზომიერებები.

დღეს კი ყოფილი კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების სისტემატიზაცია გადაფასებას მოითხოვს. ამ მხრივ, თუნდაც ტრადიციული მიდგომები, როდესაც დარგის განვითარება იარაღის სახეობათა წარმოჩენით და მათი გამოშვების მოცულობით და ინტენსივობით ხასიათდება, ვერ არის სრულყოფილი.

სახელმწიფოებრივ მიდგომებს და სამხედრო-პოლიტიკურ სპექტრს უფრო მეტი ინფორმაციით წარმოაჩენს დარგის განვითარების ეტაპობრივად და კლასიფიცირებულად დახასიათება.

30-იანი წლებიდან, პირველ ეტაპზე, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესის თანმხლები გახდა, უმკაცრესად ცენტრალიზებული სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური, საწარმოო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოლიტიკური სისტემა იყო, რომლის უმნიშვნელო დეტალებიც კი, მხოლოდ და მხოლოდ, უმაღლესი სახელმწიფო და პოლიტიკური ხელისუფლების და პირველი პირების მიერ წყდებოდა და ზუსტდებოდა. აღნიშნულ პერიოდში, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, იყო მცდელობა "იზოლირებული"

სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარებისა, როდესაც შეიარაღების ნებისმიერ სახეობაში უპირატესობა "საბჭოთა პიონერულ" გადაწყვეტილებას, გამოგონებას, პროექტსა და კონსტრუქციას ენიჭებოდა, თუმცა მათი ზოგადი სამეცნიერო იდეოლოგია, მაინც უფრო მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყნების წყაროებიდან საზრდოობდა და საწარმოო საშუალებებიც ხშირად "იმპორტული" იყო.

ასეთი "იზოლირებული" არჩევანის გაკეთება იმ პერიოდისათვის იძულებითი იყო. თუმცა ამის შესახებ არავითარი მინიშნება არ კეთდებოდა. ეს იძულებითი არჩევანი განპირობებული იყო, ერთი მხრივ, 30-იანი წლების საბჭოთა დაზვერვის, განსაკუთრებით, ტექნიკური დაზვერვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სისტემით, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეებით, რაც არ იძლეოდა ტექნოლოგიებისა და ტექნიკის მასობრივი შესყიდვის საშუალებას და რაც მთავარია, გამოწვეული იყო საბჭოთა ტექნიკური და სამრეწველო სისტემის უაღრესად შეზღუდული ინტეგრაციით მსოფლიოს სამრეწველო და სამეცნიერო სტრუქტურებთან.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა აღნიშნული ნაკლოვანებების დაძლევა დაიწყო თავისი განვითარების მე-2 ეტაპზე, უკვე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც ფორსირებულად ხდებოდა ახალი საბრძოლო ტექნიკის შექმნა, რომლის შემუშავებაც ხორციელდებოდა უკვე არამარტო საკუთარი პოტენციალის, არამედ მოწინააღმდეგეებისგან ამოღებულ და მოკავშირეების მიერ გადმოცემული სამხედრო ტექნიკის სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პრინციპებისა და სიახლეების გათვალისწინებით. ამას დაემატა ისიც, რომ საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი შეივსო ევროპის ტერიტორიებიდან შემოზიდული და ჩვენს ტერიტორიაზე გამართული და ამოქმედებული ტექნოლოგიური ბაზებით, კომპლექსებით, ქარხნებითა და კომბინატებით.

ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მიიღო ახალი უნიკალური შევსება. ეს იყო უახლესი ტექნოლოგიების და ახალი ფიზიკური ბუნების იარაღის და საიარაღო კომპლექსების არა მარტო სქემები და პრინციპები, არამედ ტექნიკური დოკუმენტაციების სრული კომპლექტები. და ბოლოს, მსოფლიოში თითქმის ლიდერის პოზიციები დაიკავა საბჭოთა დაზვერვამ, რომლის სამუშაოთა დიდი ნაწილი სწორედ ტექნიკური და ინტელექტუალური პროდუქციის მოპოვებას ეთმობა.

მიუხედავად აღნიშნული პრივილეგიებისა, რომლებიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა შეიძინა საბჭოთა კავშირში, მისი განსაკუთრებული წარმოჩენა და სახელმწიფოში უდავოდ პრესტიჟული დიქტატის პოზიციის დაკავება უკავშირდება საბჭოთა კავშირის სამხედრო და პოლიტიკურ დაპირისპირებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან. სწორედ ამან განაპირობა საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების სრულიად ახალი ეტაპი, რომელიც თავისთავად ორ პერიოდად იყოფა:

პირველ პერიოდში ხდება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სამუშაოთა რაოდენობის მრავალფეროვნების და ხარისხის უსწრაფესი ზრდა, რომელშიც წინა პლანზე წამოიწია ისეთმა ახალმა მიმართულებებმა, როგორიცაა ბირთვული

შეიარაღება, მათი "მიტანის" რეაქტიული საშუალებები და რადიოლოკაციური სისტემები. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ამ პერიოდში შეუდარებელი სისწრაფით ზრდის თავის ხვედრით წილს მთელს ეკონომიკაში და ითვისებს სახელმწიფო ბიუჯეტის განუსაზღვრელ ნაწილს.

მეორე პერიოდი ხასიათდება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სამუშაოთა ხარისხის, მრავალმხრივობისა და ტემპის ზრდის გაჯერებით. სამუშაოთა რაოდენობა, მოცულობა და დანახარჯები კვლავ მატულობს, მაგრამ თვისებრივი ზრდა აღარ შეესაბამება გამოყოფილ ფინანსურ და მატერიალურ ხარჯებს. დაიწყო შეიარაღების ხარისხის დანაკლისის შევსება შეიარაღების რაოდენობით. ყოველივე ამას ჰქონდა თავისი მიზეზები:

1. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში გადაწყვეტილებები მეტწილად მიიღებოდა უფრო პოლიტიკური ან პიროვნული ამბიციების შედეგად, ვიდრე სტრატეგიული, სამეცნიერო, ტექნიკური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ანალიზის გზით.

2. თავი იჩინა ჩამორჩენამ გამოთვლით და მართვის სისტემებში, მიკროელექტრონიკაში, ახალ მასალებში და საწარმოო პროცესების ტექნოლოგიებში.

3. დროისადმი შეუსაბამო აღმოჩნდა მოთხოვნები სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მართვისა და დაფინანსების სტრუქტურაში და სისტემა, რომელიც ეფექტიანობით ვეღარ უპირისპირდება საბაზრო ეკონომიკის ამ პრინციპებს, მთლიანად რომ მოიცვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი.

4. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უცვლელ პრინციპს, მთლიანად 100%-ით ყოფილიყო სახელმწიფო კმაყოფაზე, უკვე ვეღარ უძლებდა საბჭოთა კავშირი. ეს მაშინ, როდესაც დაპირისპირებულმა მხარემ წარმოაჩინა შეიარაღების სრულიად ახალი და რეკორდული ღირებულების – ახალი თაობის კოსმოსური გლობალური სტრატეგიული სისტემის შექმნის პროექტი.

5. უაღრესად არაეკონომიური, ტექნოლოგიურად ყოვლად არაეფექტიანი და არაპროგრესული გახდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საბაზო ობიექტების ტექნოლოგიური გადანაწილების სურათი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რომელსაც პოლიტიკური გადაწყვეტილებით საფუძვლად ედო საიარაღო კომპლექსების შექმნის პროცესების ხელოვნური დაჭუცმაცება, მათი ასევე ხელოვნური გადანაწილება მთელი კავშირის მასშტაბით და მხოლოდ საფინიშო ტექნოლოგიური ხაზებისა და პროცესების განთავსება ცენტრში და ცენტრისათვის "საიმედო ადგილზე".

ტექნოლოგიების და ტერიტორიების აღნიშნულმა ხელოვნურმა დაჭუცმაცებამ გამოიწვია ის პრინციპული ნაკლოვანებები და სიძნელეები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რომ იჩინა თავი საქართველოს წილ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში, სადაც ფრაგმენტების სახით არსებულ ათობით საწარმოში, აისახებოდა საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების მრავალფეროვნება და სადაც, ზოგიერთი მცირე გამონაკლისის გარდა, რეალურად, არც ერთი საიარაღო კომპლექსის შექმნა არ იყო შესაძლებელი, თუნდაც მეტნაკლები საბოლოო პროდუქციის სახით.

საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწყისი მდგომარეობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში

საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის და მისი შემადგენელი ნაწილის – საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირების ბოლო ეტაპი, ასევე ერთნაირი ნაკლოვანებებით და შეცდომებით აღინიშნა. ამ პერიოდის იდეოლოგია უკვე დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფოების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებშიც გაგრძელდა. უფრო ზუსტად, საკითხი შეეხება სამხედრო მრეწველობის კონვერსიას – შეცვლას, გარდაქმნას, რომელმაც სამხედრო მრეწველობიდან უნდა გამოათავისუფლოს სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პოტენციალი, საწარმოო საშუალებები და მიმართოს ის სამოქალაქო პროდუქციის შესაქმნელად, რაც ერთი მხრივ, განაპირობებს სამოქალაქო-სამრეწველო პროგრესს, ხოლო მეორე მხრივ, ამცირებს სამხედრო მრეწველობის საბაზო სისტემის შენახვასა და სამხედრო მიზნების განხორციელებაზე საერთო სახელმწიფო ფინანსურ და მატერიალურ დანახარჯებს.

თავისთავად კონვერსია სამხედრო მრეწველობაში არ არის სიახლე, მსოფლიო პრაქტიკაში იგი პერმანენტულად ვლინდება, მაგრამ მისი წარმატებული განხორციელება მოითხოვს სათანადო პირობებს, სადაც არ უნდა ხდებოდეს პროცესების ხელოვნური დაჩქარება, მოუმზადებელი პროექტების რეალიზება და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღება. დაუშვებელია კონვერსიის ამოქმედება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ძველებური მართვის სტრუქტურით, მოძველებული ტექნოლოგიებით და ტერიტორიულად ხელოვნურად დაქუცმაცებულ სამხედრო მრეწველობის საწარმოებით და ორგანიზაციით [60].

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კონვერსია, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ არის მომგებიანი და პერსპექტიული, როდესაც სამოქალაქო და ფართო მოხმარების პროდუქციის შექმნას საფუძვლად დაედება უმაღლესი ტექნოლოგიები, ახალი მასალები და ნაკეთობები.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისაკენ სწრაფვის დროს, მხედველობიდან იქნა გამოტოვებული საბაზრო ურთიერთობის და დემოკრატიის პრინციპებზე აშენებული სახელმწიფოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო, საკონსტრუქტორო, საპროექტო და სამრეწველო სტრუქტურების ბუნებრივად ჩამოყალიბებული და ტრადიციული სპეციალიზაცია, რომლის დროსაც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 90-იანი წლების ბოლოს მარტო 100 კომპანიაზე მოდიოდა მთელი სამხედრო შეკვეთების 2/3.

საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბების, განვითარებისა და დაშლის ისტორიული ეტაპები, თავისი ნიშნებით, მთლიანობაში აისახა აღნიშნული კომპლექსის შემადგენელ ნაწილში – საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის ფონზე 1990 წელს მოვიდა შემდეგი პარამეტრებით:

– საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მოიცავდა საკავშირო ავიაციის მრეწველობის, ელექტრონული მრეწველობის, რადიომრეწველობის, კავშირგაბმულობის, გემთმშენებლობის, თავდაცვითი მრეწველობის, ატომური ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტროების, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს 75 ორგანიზაციას, რომელთაგან საწარმოო გაერთიანებები და საწარმოები იყო 27, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები - 15; საკონსტრუქტორო ბიუროები - 3; სარემონტო-სამშენებლო სამმართველოები - 3; ქარხნების ფილიალები - 14; სხვა დაწესებულებები და ფილიალები - 13.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოში, უშუალოდ ცენტრიდან სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებით და თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალებით, სრულდებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის სამუშაოების ნაწილი, რომელთა სამხედრო გამოყენების ტაქტიკა, ოპერატიული პრინციპი და სტრატეგია მუშავდებოდა ცენტრში და არა საქართველოში. ასეთი მიდგომა 100%-ით შეეხება საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტს, რომელიც ქმნიდა კოსმოსურ და მიწისზედა რაკეტსაწინაღო სისტემებს, სტრატეგიულ კომპლექსებს და ორბიტული შეიარაღების მიწისზედა მართვის სამეთაურო მობილურ პოსტებს.

ჩამოთვლილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ობიექტები განფენილი იყო მთელი საქართველოს მასშტაბით. მათი მაქსიმალური კონცენტრაცია მოხდა თბილისში, ხოლო დანარჩენები განლაგებული იყო ქუთაისში, მცხეთაში, ცხინვალში, ნინოწმინდაში, ზუგდიდში, მარნეულში, ბათუმში, თელავში, წალკაში, ასპინძაში, ხარაგაულში, ჭიათურაში, ტყვარჩელში, გორში, ბორჯომში, ქობულეთში, სენაკში, ადიგენში, ყვარელში, სამტრედიაში, ვალეში, ფოთში, ლაგოდეხში, ხაშურში, გაგრაში, ვანსა და სოხუმში.

საქართველოში განლაგებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უმეტესი სამეცნიერო ორგანიზაციები მუშაობდნენ ახალი თაობის მასალების, ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნაზე, რომელთა საქარხნო ათვისება პერსპექტივაზე იყო გათვლილი, მაგრამ რეალურად საქართველოში არსებული სამრეწველო ობიექტების ტექნოლოგიური, მექანიკური, ოპტიკური, მიკროელექტრონული ბაზა და რაც მთავარია, სერიული პროდუქციის შესაქმნელად ათვისებული და გამოყენებული მასალები უკვე ჩამორჩებოდა მსოფლიოს ანალოგიური პრიორიტეტული მიმართულებების მაჩვენებლებს. ეს სიტუაცია დიდად არ განსხვავდებოდა 80-იანი წლების დამლევის საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სხვა რესპუბლიკების მაჩვენებლებისაგან. რეალური ჩამორჩენა სერიული წარმოების მხრივ მეტად საგრძნობი იყო კომპოზიციურ მასალებში, მიკროელექტრონიკაში, რადიო-ტექნიკაში, რადიოელექტრონიკაში, ტელესაკომუნიკაციო სისტემებში, კომპიუტერული მართვის სისტემებში და მათ შემსრულებელ მექანიზმებში.

თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიური პროცესისათვის სწორედ ასეთმა მოუმზადებლობამ უკვე მოგვიანებით, 2001 წელს, განაპირობა ის, რომ საქართველოში

ვერ მოხდა დაბანდება ევროპული კოსმოსური სააგენტოს თანხებისა ქართული სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული, ახალი თაობის თანამგზავრის სტრატეგიული რეფლექტორების დამზადებისათვის, რომელიც იტალიის, რუსეთის, შვეიცარიის, ავსტრიის ესპანეთისა და საქართველოს სპეციალისტების მიერ იქმნება ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კონსტრუქციების პრინციპებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შემდგომი ორგანიზაციის ფორმა ვეღარ შეეგუება მანამდე არსებულ მოდელს და, რაც მთავარია, მის მოქცევას ეგრეთწოდებული "სამხედრო მრეწველობის" სტრუქტურის სფეროში, მით უმეტეს, მათი ობიექტების სახელმწიფო საკუთრებად შენარჩუნებას.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან დაკავშირებით საქართველოში 90-იან წლებში შექმნილი დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და საერთოდ მიდგომები, უფრო მეტად "საბჭოთა სამხედრო სამრეწველო კომისიის" გამოძახილია, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველის რეალობები.

მართებული იქნება, თუ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ერთიანი კოორდინაციის და მით უმეტეს, სახელმწიფოს მხრივ მართვის სისტემა არა სამხედრო მრეწველობის ცნებით და სათანადო მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურებით, არამედ სამხედრო ტექნოლოგიების ცნებით განიმარტება და ამოქმედდება.

ამ, ერთი შეხედვით, ფორმალურ, ცვლილებებს განსაკუთრებული შინაარსი და, რაც მთავარია, შედეგი ახლავს, რომლის განმარტება ცალკე სამსჯელო და ვრცელი საკითხია. მოკლედ კი შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო ტექნოლოგიების ცნებაში გარკვევით ქრება ზღვარი და დაბრკოლებები სამხედრო პროდუქციის შექმნისათვის, ე.წ. "სამხედრო მრეწველობის საწარმოებსა" და, პირობითად, "სამოქალაქო მრეწველობის" საწარმოებს შორის.

საკითხის ასეთი დაყენება უფრო დადებითად პასუხობს საბაზრო ეკონომიკის აუცილებელ კანონზომიერებას, რომელიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისაგან მოითხოვს პრივილეგიებს სახელმწიფოსათვის და არა პრივილეგიებს სახელმწიფოს მხრივ სამხედრო მრეწველობისადმი, რომელიც ახასიათებს ტოტალიტარულ რეჟიმებს, და რომელიც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს ისედაც პრივილეგირებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩამორჩენას, იმდენად, რამდენადაც ბაზრის მეტნაკლები უზრუნველყოფის ფაქტორი და კონკურენტისაგან იზოლაცია ასუსტებს ბრძოლას კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების განვითარებისათვის.

აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თავდაცვით პროდუქციას და მის მწარმოებლებს სახელმწიფო არ უქმნის განვითარების განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს. ბევრ შემთხვევაში, ეს განისაზღვრება მწარმოებლებისათვის მთლიანად და არა გამორჩეულად "სამხედრო საწარმოებისათვის". ახალი ბაზრის შეთავაზებით, სადაც პოზიციების მოპოვება არა მარტო შიდა კონკურენციით არის დასაშვები, არამედ სხვა ქვეყნის ტექნოლოგიების შემოტანის ან ქვეყანაში შექმნილი ერთობლივი კომპანიების არსებობის პირობებშიც არის შესაძლებელი.

ქვეყნის ერთიან სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის საწარმოო - ტექნოლოგიური ბაზა განისაზღვრება არა მარტო აღნიშნული სფეროს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსით, არამედ აგრეთვე სამოქალაქო საინჟინრო საწარმოო-ტექნოლოგიური სიმძლავრეებით, რომელთა სფეროში შედის საავტომობილო გზები, რკინიგზა, საგზაო-საინჟინრო ნაგებობები, მათ შორის, გვირაბები და ხიდები, კაშხლები, ნავთობგაზსადენები, თხევადი და აირისებრი ნივთიერებების ტერმინალები, ნაპირგამაგრების ნაგებობები, ენერგეტიკული ქსელები, ელექტროსადგურები, წყალსადენები, საინჟინრო საზომი ხელსაწყოები და მრავალი სხვა პროფილის სამეცნიერო, ტექნიკური, ტექნოლოგიური და საწარმოო ორგანიზაციები, შესაბამისად, სათანადო კონსტრუქციული მასალების - ცემენტის, ლითონის, ხის, სინთეზური და კომპოზიციური მასალების საწარმოები და ა.შ [61].

ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსში, სათანადო სახელმწიფო პროგრამით უნდა შეიქმნას საკანონმდებლო გარანტიებისა და წახალისების სისტემა სამოქალაქო საწარმოო ტექნოლოგიური კომპანიებისათვის, რომლებიც, ერთი მხრივ, უპირობოდ იქნებიან მზად საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს და საგანგებო სიტუაციებისას ნაწილობრივ ან მთლიანად სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტისათვის, ხოლო მეორე მხრივ, სამოქალაქო მიზნებისათვის ფუნქციონირების საკანონმდებლო პირობები ხელს უნდა უწყობდნენ მათ დაინტერესებას აღნიშნული პროფილებით დასპეციალებისათვის.

რაც შეეხება სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების კომპლექსს, ამ მხრივ ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა მოიცავს სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების სახეობებს, სამხედრო-საინჟინრო საგზაო და სამშენებლო მანქანებს, მექანიზებულ სამხედრო სპეცტექნიკას და სხვა საშუალებათა შექმნასა და კომპლექსისათვის გადაცემას.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი "სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი" თავისი დამკვიდრებული ფართო გაგებით მოიცავს სამხედრო მიზნებისათვის წარმოებულ მეცნიერულ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ კვლევებს, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, მისი განხილვა და შეფასება მაინც მოითხოვს ცალკე სისტემატიზაციას.

საკითხის ასეთი დასმა იმითაც აიხსნება, რომ საბჭოთა ეპოქაში "სამხედრო-სამრეწველო" კომპლექსი, შეიძლება ითქვას, არალეგალური და არალეგიტიმურიც კი იყო. იგი ოფიციალურად აღიარებული იყო მილიტარისტული, კაპიტალისტური სახელმწიფოს აგრესიულ ატრიბუტიკად, საბჭოთა სინამდვილეში მისი დამკვიდრება, ასე ვთქვათ, მცდარი ტერმინი იყო, თუმცა რეალურ სურათს ასახავდა. საქმე ის არის, რომ ბევრს ეშლებოდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შემოკლებული რუსული აბრევიატურა "ВПК" (Военно-промышленный комплекс) რეალურ ოფიციალურ აბრევიატურასთან "ВПК" (Военно-промышленная комиссия), რომელიც გულისხმობდა დასახელებას - "სამხედრო-სამრეწველო კომისია". ეს კომისია ჩამოყალიბებული იყო

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში და მრავალ საკითხთა შორის წარმართავდა სამ უმთავრეს მიმართულებას:

— თავდაცვითი მნიშვნელობის მრეწველობას;

— თავდაცვითი მნიშვნელობის მეცნიერებას და ტექნოლოგიებს;

— შეიარაღების სისტემების და კომპლექსების შექმნას, შეძენას და მათ სრულმასშტაბიან გამოცდილებას.

ამდენად, თავდაცვითი მეცნიერების ცალკე განხილვას თავისი წანაპირობა აქვს.

მოცემულ ეტაპზე საქართველოს სამეცნიერი-ტექნიკური და ტექნოლოგიური პოტენციალი და განვითარების აუცილებელი ორიენტაციები, თავდაცვითი მიზნებისათვის შეიძლება, შეფასდეს სამი მიმართულებით:

1. გამოყენებითი თეორიული კვლევები, საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები და ტექნოლოგიური პროცესები, რომლებსაც აქვთ ორმაგი - სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულება, უპირატესად – სამხედრო მნიშვნელობა, ან ემსახურებიან კონკრეტულ სამხედრო პროგრამებს;

2. სამხედრო-სპეციალური მეცნიერების სფეროში მიმდინარე ისეთი კვლევები და პრაქტიკული სამუშაოები, რომლებშიც შერწყმულია, ერთი მხრივ, მეცნიერების ფუნდამენტური მიღწევები და ახალი ტექნოლოგიური სისტემები, მეორე მხრივ კი, სამხედრო ხელოვნების ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული ამოცანები;

3. მეცნიერული კვლევა სამხედრო მეცნიერების დარგში.

ყოველი მიმართულების განვითარებას საქართველოში თავისი ისტორია, თავისი დღევანდელი რეალობა და პერსპექტივა აქვს.

საქართველოში თავდაცვითი მიზნებისათვის კვლევები და ტექნოლოგიები ვითარდებოდა მეტწილად არა დამოუკიდებლად, არამედ – როგორც შემადგენელი ნაწილი იმ სამეცნიერო და ტექნოლოგიური სამუშაოებისა, რომლებიც წარმოებდა საბჭოთა სახელმწიფოში ერთიანად. როგორც ცნობილია, მათგან უმეტესობა განსაზღვრული იყო სახელმწიფო პროგრამით და როგორც თავდაცვითი პრიორიტეტების მქონე ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოები, სრულდებოდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებით ან შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალებებით.

საქართველოში აღნიშნული სამუშაოების შესრულებაში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტები, სასწავლო ინსტიტუტები, სხვადასხვა სამინისტროების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, საკონსტრუქტორო ბიუროები და სხვა ორგანიზაციები.

სამუშაოთა კომპლექსი ხასიათდებოდა მათი თემატიკისა და მიმართულებების მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოში სრულდებოდა გარკვეული ფრაგმენტული სამუშაოები თითქმის მთელი იმ სამეცნიერო პრობლემატიკის მასშტაბით, რისი კვლევაც ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირში.

ამასთან, ასეთი მრავალრიცხოვნობა და მრავალფეროვნება სამეცნიერო სამუშაოებისა და უმეტესწილად, მათი არა დასრულებული, არამედ ფრაგმენტული ხასიათი საქართველოში განაპირობებდა სამუშაოთა შესრულებას და მის გაგრძელებას მხოლოდ და მხოლოდ იმ კოოპერაციაში, რომელიც მაშინდელ საბჭოთა კავშირში იყო ჩამოყალიბებული.

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც პრაქტიკულად გაწყდა ინტენსიური თანამშრომლობისა და ერთობლივი სამუშაოების კავშირები, მათ შორის, თავდაცვითი მიზნებისათვის მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურ საქმიანობაში, ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებმა, საქართველომაც ვეღარ შეძლო, მსოფლიო ბაზრისათვის დამოუკიდებლად შეეთავაზებინა რეალურ შედეგამდე მიყვანილი სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროექტები. და ეს მაშინ, როდესაც 90-იანი წლების დამდეგს საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე უმძლავრესი სამეცნიერო კადრები თავისუფლად ართმევდნენ თავს მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას. ასეთ ზოგად კანონზომიერებაში, რა თქმა უნდა, იყო ისეთი გამონაკლისებიც, როდესაც საქართველოში ხორციელდებოდა თითქმის მთელი დასრულებული ციკლი სამუშაოებისა, რომლებიც უკვე თავისთავად უზრუნველყოფდნენ შეიარაღების სისტემებისათვის ცალკეული კომპლექსების დამოუკიდებლად შექმნის გარანტიებს.

დამოუკიდებელ საქართველოს სრულიად განსხვავებული მიდგომა ესაჭიროება იმ სამეცნიერო მიმართულებათა განვითარებაში, რომლებიც მისი უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობას მოემსახურება და, ამავე დროს, მიღწევების საერთაშორისო აღიარებით ინტელექტუალურ შედეგების რეალიზაციას განაპირობებს.

თუ საბჭოთა პერიოდში შესაძლებელი იყო ქართული სამეცნიერო სკოლა თავდაცვის სფეროში დაფუძნდებოდა მხოლოდ ან უმეტესწილად ისეთი თემატიკის დამუშავებას, რომელიც ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების დარგებში ჩატარებული სამუშაოებით უზრუნველყოფდა საიარაღო, სადაზვერვო და სხვა სამხედრო აღჭურვილობისა, თუ ტექნიკის შექმნას, მოცემულ ეტაპზე აღნიშნულის გარდა, გარდაუვალად აუცილებელი და დასაჩქარებელია უშუალოდ სამხედრო მეცნიერების ყოველი დარგის უსწრაფესი და საქართველოს მოთხოვნათა შესაბამისი მრავალმხრივი განვითარება. სხვა შემთხვევებში საქართველოს სამხედრო უსაფრთხოება, არაეფექტური, არაპროგრესული იქნება ან სახელმწიფოს დიდ ტვირთად იქცევა. საერთოდ, სამხედრო მეცნიერებამ და თავდაცვითმა ტექნოლოგიებმა და კვლევებმა და სამხედრო ტექნიკის წარმოებამ დამაჩქარებელი და კონკურენტუნარიანობის ფაქტორი უნდა განსაზღვროს სამამულო პროდუქციის წარმოებაში, რაც სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრესი პრიორიტეტია.

სამხედრო მეცნიერების საერთო პრინციპების, სამხედრო ხელოვნების საფუძვლების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის და მის სახეობათა განვითარების, ასევე მართვის, სწავლების, წვრთნის და შეიარაღების თეორიის შემუშავებაში

სამხედრო სამეცნიერო პოტენციალთან ერთად სამოქალაქო სამეცნიერო ცენტრების განსაკუთრებული ინტენსივობით ამოქმედება ისეთივე სახელმწიფოებრივი აუცილებლობაა, როგორც სამხედრო ეკონომიკის, ზურგის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს სამხედრო ისტორიის მეცნიერული საფუძვლების მიზანდასახული განვითარება.

საქართველოში ბრძოლებისა და ოპერაციების უზრუნველყოფისათვის სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების, ტექნიკისა და კონსტრუქციული სისტემების ბაზის შექმნის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები

საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადება და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსი – ეს არის ის სახელმწიფო სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის პრინციპებით შექმნილი სტრატეგიული სივრცე, რომელიც ერთიან სისტემად აერთიანებს ოპერატიული და ტაქტიკური დონის მოთხოვნებით შექმნილი ცალკეული ტერიტორიების და ასპარეზების სამხედრო-საინჟინრო მოწყობის და აღჭურვის კომპლექსებს და ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სტრუქტურებს [62].

ამდენად, სამხედრო-საინჟინრო სტრატეგია საქართველოში, სამხედრო ხელოვნების კლასიკური შეფასებებით, გამიზნული იქნება ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე ბრძოლებისა და ოპერაციების უზრუნველყოფისათვის.

ამ მხრივ, ცალკეული ტერიტორიის საინჟინრო აღჭურვის და მოწყობის კომპლექსებმა უნდა განაპირობოს საქართველოს და მის მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების და სხვა შეიარაღებული ფორმირებების ბრძოლებისა და ოპერაციების მომზადების, წარმოების და მათგან გამოსვლის განსაკუთრებული საინჟინრო გარემო და პირობები. ამასთან, საინჟინრო კომპლექსი უნდა ქმნიდეს განსაკუთრებულ რთულ, გაძლიერებულ, რიგ შემთხვევაში დამანგრეველ და გამანადგურებელ საინჟინრო წინაღობებს და გარემოს მტრული ძალებისადმი და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, უნდა იძლეოდეს საშუალებას, ნებისმიერი მდგომარეობის და სიტუაციის დროს, ჩვენი მოსახლეობის საფრთხეებიდან გამოსაყვანად.

იმისათვის, რომ საქართველოს ცალკეული ტერიტორიების საინჟინრო აღჭურვა და მოწყობა შეესაბამებოდეს დასახული ამოცანების დონეს, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის და შეიარაღებული ძალების მიერ ორი პირობის დაკმაყოფილებაა საჭირო.

— პირველი პირობა შეეხება სტრატეგიული პოზიციის – საქართველოს ტერიტორიის ომისთვის მომზადების ისეთ სამხედრო-საინჟინრო იდეოლოგიის და სქემების შემუშავებას და რეალიზაციას, რომელიც შექმნის მომზადებულ გარემოს ცალკეული ტერიტორიის საინჟინრო აღჭურვისა.

— მეორე პირობა შეეხება ტერიტორიის საინჟინრო აღჭურვისას, საჭირო სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების, მოწყობილობების, ტექნიკისა და კონსტრუქციების

სისტემატიზაციას, მათი შექმნისა და შერჩევის საინჟინრო იდეოლოგიას და პრიორიტეტების განსაზღვრას საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დარგში.

ეს პირობა მოითხოვს უფრო ვრცელ განხილვას, რომელმაც უნდა მოიცვას ფართო სპექტრი სამხედრო-საინჟინრო ფუნქციონალური მიმართულებებისა – შენიღბვის, ხიდური გადასასვლელების და წყლისმიერი დაბრკოლებების გადალახვის, საინჟინრო შეიარაღების მანქანების, დანაღმვისა და განაღმვის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებები და სხვა საინჟინრო დანიშნულების მრავალსახეობა სისტემებისა [63]; [64]; [65].

ამ მხრივ, საქართველოსათვის, დაბალი დონის სამხედრო-საინჟინრო მზადყოფნის და სამხედრო ტექნიკის, შეიარაღების სისტემების და არსებული საფრთხეებისა და მუქარების სახეების თანამედროვე ხასიათი განსაკუთრებულ მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებათტევადი სისტემების გამოყენებას მოითხოვს არა მარტო სამხედრო ტექნიკის, ჯარებისა და განლაგების პოზიციებისა და ობიექტების შენიღბვისათვის, არამედ სხვა სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების დასაცავად. შეიძლება ითქვას, რომ თავისი მნიშვნელობით და სირთულით ეს მიმართულება ტერიტორიის და გარემოს საინჟინრო მოწყობისა და აღჭურვისა, თანამედროვე სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების ყველაზე ნაკლებად დაუფლებულ დარგს წარმოადგენს. განსაკუთრებით იზრდება მისი აქტუალობა საქართველოში. ეს, პირველ რიგში, გამოწვეულია იმით, რომ არც მოცემულ ეტაპზე და არც ახლო მომავალში საქართველოს არ ექნება სრული სპექტრის, ავტონომიური სტრატეგიული საჰაერო თავდაცვა და, მით უმეტეს, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები. ასეთი ვითარება ფაქტობრივად "მიმზიდველს" ხდის მტრისთვის საქართველოს ტერიტორიას საჰაერო და სარაკეტო საიარაღო სისტემებით საცეცხლე ზემოქმედებისათვის. ამასთან, ობიექტების და ადგილმდებარეობის შენიღბვითი დაცვა აუცილებელია არა მარტო შორეული დარტყმებისაგან, არამედ საქართველოს ან მისი მახლობელი ტერიტორიიდან "მიწა-მიწა", "ჰაერი-მიწა", "წყალი-მიწა" ტიპის იარაღის ზემოქმედებისაგანაც.

საქართველოში ტრადიციული შენიღბვისა და იმიტაციის საშუალებების გარდა, უმოკლეს პერიოდში უნდა მოხდეს შექმნა და ათვისება რადიოლოკაციური, სითბური, ბგერითი, რადიაციული, განსხვავებული ფიზიკური ბუნების და სხვა იმიტატორებისა, რომელთა ერთობლიობით საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის, სამოქალაქო თავდაცვის და ტერიტორიული თავდაცვის სისტემებს მიეცემათ შესაძლებლობა სამხედრო-საინჟინრო კომპლექსური ღონისძიებებით, სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბის შენიღბვის სისტემების შექმნისა და ეფექტური გამოყენებისა, რომელიც დამიზნების და დაზვერვის თანამედროვე საშუალებების, მათ შორის ოპტიკური, ოპტიკურელექტრონული, რადიოლოკაციური, რადიოელექტრონული, ბგერითი, ჰიდროაკუსტიკური და სხვა თანამედროვე სისტემების მიმართ იქნებიან შეუმჩნეველნი.

ამ მხრივ, მეტად რთულ საინჟინრო ამოცანას წარმოადგენს თვით საკუთარი საიარაღო, დაზვერვის და სანავიგაციო სისტემების რადიოტექნიკური კომპლექსების

შენიღბვის მიღწევა. ეს ამოცანა გარკვეულწილად სცილდება სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების იმ გავრცელებულ, თუნდაც უახლეს მიდგომებს, რომლებიც მოიცავენ "რადიოგამჭვირვალე" საფარით შენიღბვას რადიოტექნიკური კომპლექსებისა ან მათი სხვადასხვა მხრიდან სითბური ამრეკლებით და სხვა საშუალებებით დაცვას. სრულიად თანამედროვე შენიღბვის იდეოლოგია დღის წესრიგში აყენებს არა აქტიური, არამედ პასიური რადიოტექნიკური კომპლექსების ახალი ტიპების შექმნას, რომელიც მაღალეფექტურობასთან ერთად ძნელად აღმოსაჩენნი არიან დაზვერვის საშუალებისათვის. ეს ის დარგია სამხედრო-საინჟინრო ხელოვნებისა, რომელიც არათუ გადადის საერთო ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის სფეროში, არამედ სცილდება სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების გამოყენების თანამედროვე არეალს და გადის კოსმოსურ სივრცეში. საკითხი შეეხება საინჟინრო-კოსმოსურ უზრუნველყოფაში, სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების ფუნქციას არა მარტო კოსმოსური ხომალდის განთავსების, გადაადგილების და სასტარტო პოზიციის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისა, არამედ კოსმოსურ ორბიტაზე მისი, როგორც რადიოტექნიკური ორბიტული კომპლექსის ფუნქციის შენიღბვის ღონისძიებას და მათი შექმნის ტექნიკური პრინციპების შემუშავებას.

ანალოგიური სქემაა სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების სინთეზისა საინჟინრო-რადიოტექნიკურ უზრუნველყოფასთან, რომელიც გარდა კოსმოსურისა, ასევე მიწისზედა და საზღვაო სხვადასხვა ტიპის დაზვერვის, იარაღის დამიზნებისა და ნავიგაციის კომპლექსებს მოიცავს სხვადასხვა სახეობის საიარაღო სისტემებში.

საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებისათვის, რომელმაც ტერიტორიის ეფექტური საინჟინრო აღჭურვა და მზადყოფნა უნდა უზრუნველყოს, ასევე მეტად აქტუალურია გადასასვლელების მომზადება და დაცვა. ეს სამხედრო-საინჟინრო პროცედურა ამ დარგის ხელოვნების ურთულეს პროცედურად ითვლება არა მარტო დაბრკოლების ფორსირების, არამედ ჩვეულებრივი გადასვლის დროს, იმ პირობებშიც კი, როცა გარემოს რელიეფი და დაბრკოლების პროფილი მშვიდია და ტექნიკური მზადყოფნის დონე – მაღალი.

საქართველოში კი გადასასვლელების მომზადება და ექსპლუატაცია ორივე აღნიშნული პირობის მიხედვით, უმეტესწილად, დიდ სირთულეებს უკავშირდება. უფრო მეტიც, რთული რელიეფი, თავის მხრივ, ზრდის ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრების მოთხოვნებს აღნიშნული მიზნით გამოსაყენებელი საინჟინრო ტექნიკისა და კონსტრუქციების მიმართ.

ამ სფეროში, მიუხედავად იმისა, იქნება ეს საქართველოსთვის პარტნიორული თუ სამოკავშირო დახმარება, შესყიდვა თუ ქართული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პროდუქცია, პრიორიტეტები ორი მიმართულებით უნდა გამოიხატოს:

- სტანდარტული მიდგომების საინჟინრო შეიარაღების მანქანების პარკის შექმნა, რომელიც გადასასვლელების ასაგებად იქნება განკუთვნილი;
- არასტანდარტული, უპირატესად საქართველოს ტიპის რელიეფზე წყლისმიერი დაბრკოლებების გადასალახავი ტექნიკის შექმნა და შეიარაღებაში გადაცემა.

რაც შეეხება პირველ პრიორიტეტულ მიმართულებას, საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე გამოყენებული სამხედრო-საინჟინრო მანქანებისაგან განსხვავებით, უფრო გაზრდილი და უნივერსალური მაჩვენებლების ტექნიკა უნდა იქნეს შეძენილი და ათვისებული.

ამ მხრივ განსაკუთრებული მოთხოვნები შეეხება არა მარტო გადასასვლელების მოწყობის სამხედრო-საინჟინრო მანქანების პარამეტრებს, არამედ მათ სახეობებსა და ტიპებსაც.

გადასასვლელების სამხედრო-საინჟინრო მანქანები, ტექნიკა და თვით კონსტრუქციებიც კი სამ სახეობად უნდა განვიხილოთ:

– საიერიშო დანიშნულების;
– გამყოლი დანიშნულების;
– ზურგის დანიშნულებისა.

სახეობათა ასეთი დაყოფა, უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, ლამის დავიწყებულია, მაგრამ ახალი მიდგომა, როდესაც სახიდე გადასასვლელები და მათი მოწყობის ტექნიკა ორ ძირითად სახეობად, მხოლოდ "საიერიშო დანიშნულების" და "ყველა სხვა დანარჩენ" სახეობებად განიხილება, არ არის სწორი თუნდაც საინჟინრო იდეოლოგიის მხრივ და ეს განსაკუთრებულ ნაკლოვანებებს ამჟღავნებს ბრძოლებისა და ოპერაციების საინჟინრო დაგეგმარებაში, მათი ტექნიკური გადაფარვის, სარეზერვო ძალებისა და საშუალებების სწრაფ მანევრში და, ბოლოს, თვით ზურგის საინჟინრო უზრუნველყოფაში.

მოცემულ ეტაპზე გადასასვლელების მოწყობის სამხედრო-საინჟინრო ტექნიკისა და თვით გადასასვლელის კონსტრუქციის ორ სახეობად განხილვა ემყარება იმას, რომ, ეგრეთ წოდებული პირველი სახეობის – "შეტევითი დანიშნულების" გადასასვლელების ტექნიკა მეტნაკლებად გამძლეა საცეცხლე და სხვა საიარაღო ზემოქმედებისადმი და მისი აგება ხდება სწრაფად. ამ მხრივ საპირისპირო არგუმენტაცია არ არსებობს. მაგრამ "ყველა სხვა სახეობების" მხოლოდ ერთ ჯგუფში განხილვა, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი უარყოფითი შედეგების მატარებელია.

არ შეიძლება, არ განცალკევდეს ფუნქციონალური, ტექნიკური და ტექნოლოგიური მოთხოვნები გამყოლი სახიდე გადასასვლელების და ზურგის უზრუნველყოფის სახიდე გადასასვლელების.

ასეთი პოზიცია კვლავაც ზოგადი ხასიათის უნდა იყოს, მაგრამ მის რეალიზაციას საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი სახელმწიფოს გეოგრაფიულ გარემოდან, ინდუსტრიული და სასიცოცხლო რესურსების ტერიტორიული განაწილებიდან და მოსალოდნელი საფრთხეების ტერიტორიული არეების მდებარეობებიდან, ძირითადი ბრძოლებისა და ოპერაციების ვექტორი მიმართულია რთული რელიეფური რაიონებისაკენ ისე, როგორც საომარი მოქმედებების ზონები, სადაც ხშირად შეტევითი სახეობის სამხედრო სახიდე გადასასვლელები იქნება აუცილებელი, ასევე, მათი მომდევნო, მოწინავე კომუნიკაციური ზონები საომარი მოქმედებისა მთაგორიან მასივებშია განთავსებული.

რაც შეეხება თვით ზურგის კომუნიკაციურ რაიონს, მათი მდებარეობა პროგნოზირდება უფრო მშვიდი რელიეფის და ეკონომიურად, ინფრასტრუქტურით და კომუნიკაციებით განვითარებულ ცენტრალურ რეგიონებში.

ასეთი გეოგრაფიული სურათი საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და საომარი მოქმედებების მეტნაკლებად პროგნოზირებადი მიმართულებებისა, საომარი მოქმედებების მიმართულებების მოწინავე კომუნიკაციური ზონების და ზურგის საკომუნიკაციო რაიონისა პრინციპულად აყენებს საკითხს განცალკევებული მოთხოვნებისა გამყოლი და ზურგის უზრუნველყოფის სახიდე გადასასვლელების მიმართ.

ისედაც სუსტად განვითარებული სამოქალაქო ინფრასტრუქტურის, ურთულესი რელიეფის და მტრის ხელთ არსებული სახიდე გადასასვლელების მწყობრიდან გამოყვანის მცდელობების გამო, საომარი მოქმედებების მიმართულებების მოწინავე საკომუნიკაციო ზონებში სახიდე გადასასვლელების შექმნა მოითხოვს მის შეთავსებადობას ექსტრემალურ გარემოსთან, აგების სისწრაფეს და ამასთან ერთად, სხვადასხვა ზემოქმედებისას მზიდუნარიანობის შენარჩუნების მაღალ უნარს.

ასეთი მკაცრი პარამეტრები გამყოლი სახიდე გადასასვლელებისა, გარდა რელიეფის სირთულისა, განპირობებულია, ჯერ ერთი, რეზერვის ძალებისა და საშუალებების უსწრაფესი და მანევრული მიწოდებით საომარ მოქმედების მიმართულებებზე და, მეორე მხრივ, მათი ტექნიკური გადაფარვის მინიმალური, ზოგჯერ ნულოვანი შანსით.

პროგნოზირებადი საომარი მოქმედებების მიმართულებებით და მოწინავე საკომუნიკაციო ზონებში სახიდე გადასასვლელების ფონებით შეცვლა, მათი მრავალ ადგილას არსებობის შემთხვევაში, უმეტესწილად მიუღწეველიც იქნება იმის გამო, რომ კლდოვან პირობებში ძირითადად მხოლოდ არსებული გზების გამოყენებაა შესაძლებელი, იმდენად რამდენადაც საფონე გზების გაკეთება დიდ დროსთან და უმძიმეს შრომასთან იქნება დაკავშირებული. ამით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი იმას, რომ სწორედ სტრატეგიულმა დონემ – სახელმწიფოს ტერიტორიის დროულად მომზადებამ, უნდა შექმნას წინაპირობები, ოპერატიულ დონეზე ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისა, რაც საქართველოსათვის განსაკუთრებით სახასიათოა.

რაც შეეხება ზურგის უზრუნველყოფის სახიდე გადასასვლელებს, რომლებიც ძირითადად კონცენტრირებული იქნება ზურგის საკომუნიკაციო რაიონში, აქ მათ მიმართ მოთხოვნები განსხვავებულია.

პირველ რიგში, ეს განსახვავება განპირობებულია იმით, რომ თვით ინფრასტრუქტურაში ხიდები და მიმდებარე გზების ქსელი და სიმრავლე იძლევა ხიდების ტექნიკური გადაფარვის საშუალებას. ამდენად, მრავალი ხიდის დაზიანებისას, ზურგის საკომუნიკაციო რაიონის ფუნქციონალური ხარისხი შენარჩუნებული იქნება.

რაც შეეხება ზურგის საკომუნიკაციო რაიონში ზურგის უზრუნველყოფის ახალი სახიდე გადასასვლელების აგების და ძველის აღდგენის პრინციპებს, ისინი უფრო

ნაკლები სიმკაცრის მოთხოვნებს აყენებენ აგების ხანგრძლივობის მიმართ და, აქედან გამომდინარე, სხვა, უფრო გავრცელებული და, ამასთან, მეტი წარმადობის სამშენებლო და საგზაო მანქანების და მოწყობილობების გამოყენებაზე არიან ორიენტირებულნი.

ამდენად, ჩვენი სახელმწიფოს სტრატეგიული პოზიცია, ოპერატიულ დონეზე ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისათვის სახიდე გადასასვლელების და სათანადო საინჟინრო შეიარაღების მანქანების საკმარისი ინტენსივობის პარკის შექმნისა, გამიზნული უნდა იყოს პრიორიტეტების მიხედვით შესაბამისად "შეტევითი დანიშნულების" "გამყოლი დანიშნულების" და ამის შემდეგ "ზურგის უზრუნველყოფის" მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

საერთოდ, სამხედრო-საინჟინრო დარგი ასევე მოითხოვს სახიდე გადასასვლელების ფუნქციონირებას სამოქალაქო თავდაცვის და ტერიტორიული თავდაცვის სისტემებში, როდესაც სხვადასხვა სიტუაციაში საჭირო ხდება სამხედრო სახიდე გადასასვლელების ჩანაცვლება სამოქალაქო ინფრასტრუქტურაში. ამ მხრივ სახელმწიფოს მოთხოვნა უფრო მეტად შეეხება ისეთი სახეობის ხიდების დარეზერვებას, როგორებიცაა "ზურგის უზრუნველყოფის" და "გამყოლი დანიშნულების". აღნიშნული სიტუაციებისას "ზურგის უზრუნველყოფის" ხიდებს, მათი კონკრეტული გამოყენების ადგილას, როგორც წესი, საკმაოდ დიდხანს, ათეული წლების განმავლობაში უწევენ ექსპლუატაციას, მაშინ როდესაც "გამყოლი დანიშნულების" ხიდები კონკრეტულ შემთხვევაში ხანგრძლივი დროით გამოყენებისათვის არაეფექტურია თავისი დიდი ღირებულების, დეფიციტურობის და გადასასვლელის განივი და გრძივი პროფილების და ჰიდროპარამეტრების დინამიკის მიმართ ცვალებადი საექსპლუატაციო თვისებების გამო.

საქართველოში, შეიარაღებული ძალების და სხვა შეიარაღებული ფორმირების აღჭურვაში საინჟინრო შეიარაღების მანქანების და შესაბამისი სახიდე გადასასვლელების პარკის შექმნისას, მათი ცალკეული სახეობები, როგორც აღვნიშნეთ უნდა აკმაყოფილებდნენ ახალ გაზრდილ მოთხოვნებს. ეს შეეხება აღნიშნული სისტემების ორივე ტიპს, იქნება იგი ჯავშნისსაფარიანი, თუ უჯავშნო.

პირველ რიგში აუცილებელი გახდება ფართო სპექტრის "საიერიშო ხიდებით" შეიარაღებული ძალების აღჭურვა. ამ მხრივ გამოყენების უპირატესობა და პრივილეგიები უდავოდ უნდა მიენიჭოს ხიდგამდებებს ტანკის ბაზაზე – სატანკო ხიდგამდებებს. მათი მომსახურე პერსონალის - ეკიპაჟის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 2-3 მებრძოლს. მეტად მნიშვნელოვანია სატანკო ხიდგამდებების სატრანსპორტო გაბარიტები, მით უმეტეს, საქართველოში არსებული, ხშირ შემთხვევებში, ვიწრო, რთული მოხაზულობისა და პროფილის მქონე გზებისათვის.

ამ მხრივ თანამედროვე მოთხოვნებს მეტნაკლებად აკმაყოფილებს მაქსიმუმ 11,5 მეტრამდე სიგრძის ტრანსპორტირებადი სახიდე სისტემა. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც სახიდე გადასასვლელით შესაძლებელი ხდება 18-22 მეტრის სიგანის წინააღმდეგობების დაძლევა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ, მიუხედავად დიდი მცდელობისა,

თანამედროვე სატანკო ხიდგამდებების თვით ხიდის სავალი ნაწილის სიგანის გაზრდა 3,8 მეტრზე მეტად ვერ მოხერხდა.

თითქმის სტანდარტულ მოთხოვნად არის მიჩნეული ხიდის ტვირთამწეობა 60 ტონამდე. განსაკუთრებული ძრავების და დინამიკური პარამეტრების გაუმჯობესებით თანამედროვე სატანკო ხიდგამდებების გადაადგილების სიჩქარე 40 კმ/სთ-დან 60 კმ/სთ-მდე გაიზარდა. ასეთი საშუალო კლასის სატანკო ხიდგამდებების გარდა, რიგ შემთხვევაში, საქართველოს პირობებში აუცილებელი იქნება "საიერიშო ხიდებისათვის", როგორც მძიმე კლასის სატანკო ხიდგამდებების, ასევე მსუბუქი სატანკო ხიდგამდებების გამოყენება, რომელთა ხიდების ტვითამწეობები და სიგრძეები შესაბამისად შეადგენენ – პირველ შემთხვევაში 31 მეტრს და 70 ტონას და მეორე შემთხვევაში 10 მეტრსა და 45 ტონას.

მძიმე კლასის სატანკო ხიდგამდებების სატრანსპორტო გაბარიტული სიგრძე არასტანდარტულია და 16 მეტრს აღწევს, სიჩქარე კი მომატებული აქვს და 75 კმ/სთ-ს შეადგენს. ასეთი სისტემა, მისი განსაკუთრებით მაღალი ეფექტის მიუხედავად, საქართველოს უმეტეს პროგნოზირებად საომარ მოქმედებათა მიმართულებით და მათ მოწინავე საკომუნიკაციო რაიონებში დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული. თუმცა განსაკუთრებულ პირობებში მისი გამოყენება ეფექტურად შეიძლება საგზაო ინფრასტუქტურის მაღალი კლასის საავტომობილო გზებზე და მშვიდი რელიეფის პირობებში.

აღნიშნული მიდგომებით განსაკუთრებით ეფექტურია მსუბუქი კლასის ხიდგამდებები, რომლებიც ხშირ შემთხვევებში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, არა მარტო საომარი მოქმედების მიმართულების პროგნოზირებად საბრძოლო ზონებში და მათ მოწინავე კომუნიკაციებში, არამედ, მათმა ტექნიკურ-ტაქტიკურმა პარამეტრებმა შეიძლება დააკმაყოფილოს საქართველოს პირობებში შეზღუდული საბრძოლო მოქმედებების მოთხოვნები მთიან რაიონებშიც.

ამდენად, თუ პრიორიტეტულად ვაღიარებთ ჩამოთვლილი პარამეტრების მქონე სატანკო ხიდგამდებების ოპერატიულ დონეზე გამოყენებას ტერიტორიის და გარემოს საინჟინრო აღჭურვისა და მოწყობისათვის, მაშინ შეიარაღებულ ძალებს უნდა მიეცეთ რეკომენდაცია, სათანადო დანიშნულების ტექნიკით აღჭურვის დაგეგმვისას პრიორიტეტულად მიიჩნიონ შემდეგი სისტემები:

- დიდი ბრიტანეთის სატანკო ხიდგამდები FV4205 ტანკ "ჩიფტენის" ბაზაზე.
- ფრანგული ხიდგამდებები AMX-30 CPP, საბაზო ჯავშანიანი მანქანით.
- ამერიკის შეერთებული შტაბების სატანკო ხიდგამდებები AVLB და AVLB-70 ტანკ M60A1-ის ბაზაზე.
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სატანკო ხიდგამდებები "ბიბერ"-ი ტანკ "ლეოპარდის" ბაზაზე.
- იაპონური სატანკო ხიდგამდები "67" საბრძოლო ტანკის "61"-ის ბაზაზე.

- რუსული წარმოების "МТУ"-ს "МТИ-20"-ს სერიის სატანკო ხიდგამდებები სხვადასხვა თაობის რუსული ტანკების ბაზაზე.

თითქმის ყველა თანამედროვე სატანკო ხიდგამდების, მათ მიერ გადასასვლელი ხიდის მოწყობის და მანიპულირების დრო არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმუმ 10 წუთს. როგორც წესი, თანამედროვე პარამეტრები, ამ მხრივ იცვლება 3-დან 8 წუთამდე.

რაც შეეხება "გამყოლ" ხიდებს, მათი კონსტრუქციული სქემები და გადასასვლელზე გამართვის კინემატიკა, რიგ შემთხვევებში, იდენტურია, ზოგჯერ კი, პრინციპულად განსხვავებული "შტევითი" ხიდებისაგან. ამასთან, მათ აქვთ თავისი თვითმყოფადი ნიშნები. როგორც წესი, მათი უმეტესობა მრავალმალიანია და იძლევა დიდი სიგანის წინააღმდეგობის დაძლევის საშუალებას. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პირობებში მრავალმალიანი ტრანსპორტირებადი მექანიზებული სწრაფად ასაგები "გამყოლი ხიდების" ეფექტური გამოყენება პრაქტიკულად შეზღუდულია. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ აღნიშნული ტიპის თანამედროვე ტექნიკა შესაძლებელს ხდის ისეთი გადასასვლელის დაძლევას, რომლის სიღრმე არ აღემატება 4 მეტრს. გარკვეულწილად შეზღუდულია მდინარის დინების სიჩქარეები, რაც მთის პირობებში ამ ნიშნითაც ზღუდავს მათ გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ "გამყოლი ხიდების" ის ტიპები, რომლებიც ერთმალიანია, ამასთან, ტრანსპორტირებადი და მექანიზებული მომზადებისათვის, მათი მალის შეზღუდვის გამო, მაინც გადაუწყვეტელი რჩება მთის რელიეფის პირობებში, გრძელ გადასასვლელებზე, ახალი ტიპის ერთმალიანი ხიდის სრულფასოვანი კონსტრუქციის შექმნა, რასაც საქართველოს სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების ფუნქციონირების დიაპაზონის გაზრდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

და მაინც, თუ საკითხი შეეხება საქართველოში არსებული ტიპის მრავალმალიანი ხიდების გამოყენების აუცილებლობას, რაც გარკვეულ გარემო პირობებში შესაძლებელი და აუცილებელიცაა, რეკომენდაცია უნდა გაეწიოს კონსტრუქციულ სისტემებს რუსული "TMM"-ის სქემის და მისი ანალოგიების მიხედვით, თუმცა მათგან მაინც გამოირჩევა გერმანული წარმოების თვითმავალი მრავალმალიანი ხიდი "SAS" ტანკ "ბიბერის" ბაზაზე.

თავისთავად, ამ კლასის და სახეობის ხიდების გამოყენება მეტნაკლები რისკით "შტევითი ხიდის" სახითაც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში იარაღის ზემოქმედებისაგან დაუცველია ხიდის ნაწილების გადამტანი მანქანები და მომსახურე პერსონალი.

რაც შეეხება ერთმალიან, დიდი სიგრძის და მაღალი ტვირთამწეობის მექანიზებულ, ტრანსპორტაბელურ და მრავალჯერადი გამოყენების ხიდებით სამხედრო ოპერაციებში სარგებლობას "გამყოლი ხიდების" რანგში, აქ არჩევანი დიდი არ არის და უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ არსებულ ვარიანტებს, რომელთა საინჟინრო იდეოლოგია, კონსტრუქცია და მონტაჟის სქემა შეესაბამება გერმანიის უნივერსალური ერთმალიანი ხიდის DoFB მოდიფიკაციებს.

მისი გამოყენებით საქართველოს პირობებში არსებულ დიდი სიღრმის და ხშირად სწრაფი დინების მდინარეებზე შეიძლება მოეწყოს 14 მეტრიდან 46 მეტრამდე სიგრძის გადასასვლელი. თუმცა თვით ამ ხიდის ტრანსპორტირების საავტომობილო და სამონტაჟო თვითმავალი ტექნიკის გადაადგილება რთული გამავლობის გზებზე დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ "გამყოლი ხიდების" შესაქმნელად, საქართველოს სამხედრო-საინჟინრო ხელოვნებაში მაღალტექნოლოგიური, დიდმალიანი, ტრანსპორტაბელური, მექანიზებული და მრავალჯერადი ხიდების გამოყენება ახლო მომავალში და შემდგომშიც ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებთანაც იქნება დაკავშირებული.

აქედან გამომდინარე, ალბათ, "გამყოლი ხიდების" კონსტრუქციული და ტექნიკური გადაწყვეტა საქართველოში შეთავსებადი უნდა გახდეს "ზურგის უზრუნველყოფის ხიდებისა" და მათი შესრულება და გამოყენება უნდა დაეყრდნოს ასაწყობი, ინვენტარული, ტრანსპორტირებადი, მრავალჯერადი გამოყენების არა მექანიზებულ სისტემებს, რომელთა მონტაჟი არ არის სპეციალიზებული, არამედ, ძირითადად, უნდა მოხდეს ჩვეულებრივი საგზაო და სამონტაჟო მექანიზაციით და ტრანსპორტით.

საშუალო საავტომობილო დასაშლელ-ასაწყობი ხიდის "CAPM"-ის და დიდი საავტომობილო საგზაო დასაშლელ-ასაწყობი ხიდის "BAPM"-ის ტიპის სისტემებით, საქართველოში პრაქტიკულად არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო მიზნებისათვის კვლავაც წარმატებით შეიძლება ასეულობით მეტრი სიგრძის ხიდების სწრაფად აგება ისეთ გადასასვლელებზე, რომელთა სიმაღლე 9 მეტრსაც კი აღწევს. ასეთი ტიპის ხიდის 100 გრძივი მეტრის აგებას საშუალოდ 20-25 საათი სჭირდება.

ასაწყობი ხიდების მხრივ მეტად წარმატებული იქნება ამერიკული "MGB" და "ბეილი M2-ის, ასევე, გერმანულ E50/80-ის გამოყენება.

საერთოდ, განსაკუთრებით დიდი სიღრმის წინაადმდეგობებზე, საქართველომ უნდა აითვისოს და სისტემურად გამოიყენოს ისეთი ტიპის, ნაპირზე ასაწყობი და მზა სახით გადასასვლელზე გადასრიალებით მოსაწყობი ხიდები, როგორიცაა 'COMPACT 200".

საქართველოს სამხედრო-საინჟინრო ერთიანი სტრატეგიის საინჟინრო-ტექნიკური იდეოლოგიის მეტად თავისებურ მიმართულებად უნდა განვიხილოთ სწრაფადსაგები, მრავალჯერადი გამოყენების და ტრანსპორტირებადი პონტონის ხიდებით საქართველოს შეიარაღებული ძალების აღჭურვის აუცილებლობა.

საქართველოს რელიეფის, ინფრასტრუქტურის უმეტესი საავტომობილო გზების და რკინიგზის სამდინარო გადასასვლელების და ოპერატიული ვითარების მოთხოვნით სავარაუდოდ შესაქმნელი სახიდე გადასასვლელების მოწყობის, აღდგენისა და ტექნიკური გადაფარვის საინჟინრო ნაგებობებად პონტონების გამოყენება, როგორც წესი, შეუძლებელი ან არაეფექტურია.

ტერიტორიის და გარემოს სამხედრო-საინჟინრო გამართვის ასეთი მახასიათებელი, სრულიად გამორიცხავს იმ პოზიციას, რომ საქართველოს, არ სჭირდება პონტონების ხიდების პარკი.

მათი საშუალებით რიგ შემთხვევებში, როგორც კომბინირებული ტიპის სახიდე გადასასვლელის ფრაგმენტული შემადგენელი კონსტრუქცია, მრავალი სამხედრო-საინჟინრო ამოცანა მეტად ეფექტურად შეიძლება გადაწყდეს.

გარდა აღნიშნულისა, სულ რამდენიმე ადგილას, მათ შორის მდინარე რიონზე, მტკვარზე, ალაზანზე და ზოგიერთ სხვაზეც, მართლაც არის ადგილები, სადაც მისასვლელების პროფილები, წყლის სიღრმე, დინების სიჩქარე და საკმაო სიგრძე გადასასვლელისა, ტექნიკური პირობებით მოითხოვენ პონტონების გამოყენებას.

საქართველოს საინჟინრო შეიარაღებაში, უპირატესად უნდა გააჩნდეს არა გარკვეული, თუნდაც მაღალი კლასის და კონკრეტული სახის დიდი რაოდენობის პონტონები, არამედ ცალკეული ტიპების შეზღუდული რაოდენობის, ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს თვითმავალ, მექანიზებულ და ჩვეულებრივ პონტონების პარკს. ამასთან, აუცილებელია შეიარაღებაზე სრულ მზადყოფნაში იყოს ტაქტიკური პონტონების პარკი, რომლის უპირატესი დანიშნულებაა ბრძოლებისა და ოპერაციების პირველი ეშელონებისათვის გადასასვლელების მოწყობის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა და აეროტრანსპორტაბელური პონტონების პარკი, რომელიც თავისი ასაწყობი კონსტრუქციული სახის და სხვა პარამეტრებით შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოყენებული საჰაერო-სადესანტო ნაწილების საინჟინრო უზრუნველყოფაში და ძნელადმისადგომ ადგილებში.

საერთოდ, თანამედროვე კონსტრუქციის პონტონების ტვირთამწეობა 50-60 ტონის ფარგლებშია, მაგრამ შეიარაღების თანამედროვე საშუალებების მიერ გადასასვლელების მიმართ წაყენებული მოთხოვნები მათი ტვირთამწეობის მხრივ, საქართველოს პირობებშიც კი, უპირატესობას ანიჭებს პონტონების ისეთი ტიპის გადასასვლელებს, რომელთა ტვითამწეობა 60 ტონაა. ამ მხრივ ნაკლები მოეთხოვება აეროტრანსპორტაბელური პონტონების პარკის საშუალებით შექმნილ გადასასვლელებს, რომელთა ტვირთამწეობა 14-17 ტონის ფარგლებში სრულიად მისაღებია.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საიარაღო კომპლექტაციისათვის, პონტონებით აღჭურვის შემთხვევაში, მათი შერჩევის დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი ტიპებისადმი უპირატესობის მინიჭებას, რომელთა აგება და ექსპლუატაცია შესაძლებელია მდინარეების შედარებით სწრაფი დინებებისათვის. ასეთი მიდგომით საქართველოსათვის ძალიან ნაკლებად ეფექტური იქნება ის ტიპები, რომელთა ტაქტიკურ-ტექნიკური მოთხოვნა უფრო ნაკლებია, ვიდრე 3 მ/წმ მდინარის დინების სიჩქარისა. ამასთან უპირველესი მოთხოვნა პონტონების პარამეტრების მიმართ უნდა შეეხოს მათი წყალში ჩაძირვის სიმაღლეს და უპირატესობა მიენიჭოს იმ კონსტრუქციულ სისტემებს, რომელთა გამოყენება უფრო მოსახერხებელი იქნება წყალმცირე მდინარეებში. რაც შეეხება პონტონების საშუალებით გადასასვლელების გამართვის სიჩქარეს, თანამედროვე საშუალებებით გადასასვლელის ყოველი გრძივი მეტრის შექმნა შესაძლებელი უნდა იყოს 15-30 წამში. ასეთი ტაქტიკური მაჩვენებლებით პონტონის ხიდებს ფართო არჩევანის მიუხედავად,

წინასწარ უნდა იქნეს განსაზღვრული ის, რომ საქართველოს რელიეფი, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მდინარეების და მისასვლელების განივი პროფილი და დინების სიჩქარე, გადასასვლელების ასეთი სიჩქარით აგების საშუალებას პრაქტიკულად გამორიცხავს.

ნებისმიერი თანამედროვე პონტონის პარკის ტიპის გამოყენების დროს, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება მისი მექანიზაციის დონე გადასასვლელების მოწყობისას, ზოგადად დროის 75-95% საჭირო იქნება გადასასვლელების მომზადებისათვის. ეს – იმ შემთხვევაში, როდესაც ხიდის გამართვა დაიგეგმება არსებული გზების და მისასვლელების გამოყენებით. სხვა ვითარებაში გადასასვლელის აგების ხანგრძლივობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე გაანგარიშებას მოითხოვს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საინჟინრო სისტემებით აღჭურვის განხილული იდეოლოგიის მოთხოვნები, შეესაბამება თანამედროვე სახეობების და კლასების პონტონების პარკების ტაქტიკურ-ტექნიკურ პირობებს. ამ მხრივ, სრულიად მისაღებია არა მარტო რუსული სისტემები, რომლებიც ტრადიციულად ცნობილია საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალისტებისათვის, არამედ გერმანიის თვითმავალი პონტონების პარკი “ 2”; ფრანგული თვითმავალი პონტონების პარკები - “MAF-2”; იაპონური პონტონების პარკი “70“; ასევე გერმანული პონტონების პარკი “FSB” და ფრანგული მექანიზებული პარკი “TA-1”. რაც შეეხება საჰაერო-სადესანტო ოპერაციებისათვის მისაღებ პონტონების კონსტრუქციას, ამ მხრივ უპირატესი პოზიცია უკავია ინგლისური წარმოების აეროტრანსპორტაბელურ პონტონების პარკს.

საქართველოში პონტონების გამოყენების მხრივ მეტად საინტერესო და მისაღებია ფრანგული «Jilluas» და ამერიკული ტაქტიკური «რიბონ ბრიდტის» ტიპის პონტონების პარკები.

საერთოდ საქართველოში ბრძოლებისა და ოპერაციების, ასევე სამხედრო გადაზიდვებისა და მიმოსვლების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისათვის, წყლისმიერი დაბრკოლებების გადალახვისათვის აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რიგ შემთხვევებში, სამხედრო საბორნე გადასასვლელების მეტად ეფექტური გამოყენების აუცილებლობა და ამისათვის წინასწარი მზადყოფნა.

საქართველოს შესატყვისი და შედარებით ფართო გამოყენებისათვის მისაღებია მსუბუქი ტიპის, ასაწყობ-დასაშლელი, ტრანსპორტირებადი და მრავალჯერადი გამოყენების ბორნები. მათი მეშვეობით, მძიმე ჯავშანტექნიკის გადაყვანა წყლისმიერ გადასასვლელებზე, მართალია, ვერ ხერხდება, მაგრამ სხვა ტიპის ტექნიკის, საბრძოლო მასალების და პირადი შემადგენლობის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლისათვის აღნიშნული სისტემები მეტად ეფექტურია. ამასთან, იმის გამო, რომ შედარებით მცირე ზომის გაბარიტების და წონის მქონე, მისი შემადგენელი ცალკეული ელემენტების იოლი ტრანსპორტირების და ექსპლუატაციის ადგილზე, ფაქტობრივად წყლისმიერი დაბრკოლების ნაპირას, მისი ხელით აწყობის შესაძლებლობიდან გამომდინარე,

გაცილებით გამარტივებულია გადასასვლელთან მისასვლელების მოწყობა. უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ მათი ტრანსპორტირება შეიძლება ჩვეულებრივი სატვირთო ავტომობილებით, რომელთა ტვირთამწეობა 5 ტონასაც არ აღემატება. ასეთი ტიპის ბორნების სატვირთო გემბანის სიგრძე 12 მეტრს უნდა აღემატებოდეს, ხოლო სიგანე 3 მეტრს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ მაქსიმალური სტანდარტული გაბარიტების სატრანსპორტო საშუალებების და ტვირთების გადატანა წყლისმიერ დაბრკოლებებზე.

აღნიშნულის გარდა, განსაკუთრებულ პირობებში, დასავლეთ საქართველოში რკინიგზისა და საავტომობილო გადაზიდვებისათვის, შეიძლება კოლხეთის დაბლობის წყალუხვ მდინარეზე, დიდმალიანი ხიდების რღვევის გამო, აუცილებელი გახდეს სარკინიგზო შემადგენლობის დანაწევრებული და ავტოტრანსპორტის ბორნებით გადაყვანა. ამდენად, საქართველოს სამხედრო აღჭურვა მოითხოვს მძიმე ტიპის ბორნების არსებობასაც სამხედრო-საინჟინრო მანქანების ერთიან პარკში. აღნიშნული ბორნების ტვირთამწეობა 100 ტონაზე მეტი უნდა იყოს, ხოლო გემბანის სიგრძე ნებისმიერი სიგრძის სარკინიგზო ვაგონის და გამწევი საშუალების სიგრძეზე მეტი.

ამ მხრივ თავისი პარამეტრებით საქართველოში გამოყენებისათვის არსებული გზების გათვალისწინებითაც, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისრაელის მძიმე ბორანს - "2TFR"-ს.

მიუხედავად არსებული შესაძლებლობებისა, რასაც მსოფლიოში შექმნილი სამხედრო გადასასვლელების სამხედრო-საინჟინრო მანქანები და ტექნიკა იძლევა, საქართველოს ტიპის რელიეფის სახელმწიფოებში, დღის წესრიგში კვლავაც რჩება რთული გარემოსადმი შეთავსებადი, სწრაფადსაგები, ტრანსპორტირებადი და მრავალჯერადი გამოყენების სამხედრო-საინჟინრო ხიდების შექმნა და, სრულმასშტაბიანი გამოცდების შემდეგ, შეიარაღებაში გადაცემა, რაც წარმოდგენილი სამუშაოს ერთ-ერთი მიმართულებაა.

საქართველოში ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის და ტერიტორიის საინჟინრო აღჭურვისათვის, საინჟინრო შეიარაღების, საინჟინრო მანქანების და სხვა ტექნიკური ბაზის შექმნაში, უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა მიეკუთვნოს დამაბრკოლებელი ღობურების შექმნას, მათში გასასვლელების მოწყობას, სანაღმო ველების შექმნას, უვნებელყოფის სისტემების კომპლექტაციას და მათი გამოყენების ათვისებას. ეს სფერო საქართველოში, რომელიც ჯერ მხოლოდ, ხმელეთზე ვრცელდება, ისიც, შეზღუდულად, უმოკლეს ვადებში უნდა გახდეს აკვატორიის მომცველიც. საკითხის ასეთი დასმა დიდი წინააღმდეგობების დაძლევას მოითხოვს, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების სათანადო სპეცტექნიკით აღჭურვის, ასევე მათი გამოყენების სპეციალიზაციის მხრივაც.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს შეიარაღებული ძალების საინჟინრო ქვედანაყოფებს მფლობელობაში უნდა გააჩნდეთ სახმელეთო ნაღმების ღიობურების მოწყობის ტექნიკა. შეიარაღებაში გადაცემისათვის უპირატესობა უნდა მიეცეს ამ

დანიშნულების ბოლო თაობის სისტემებს, მათ შორის – ფრანგულ ‘‘F1"-ს; იტალიურ ‘‘SY-TT’’-ს; შვედურ ‘‘FFV’’-ს; გერმანიის დანაღმვის სისტემა ‘‘MIWS’’-ს ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსალური დანაღმვის სისტემა ‘‘GEMSS’’-ს და ჩვეულებრივ ‘‘M57".

გარდა აღნიშნული სისტემებისა, არა მარტო ადგილისა და გარემოს სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისა, არამედ საქართველოს შეიარაღებული ძალების საიარაღო ზემოქმედების გაზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, უპირობოდ უნდა გახდეს დანაღმვის საარტილერიო, საშვეულმფრენო, საავიაციო და სარაკეტო სისტემების შეიარაღებაზე მიღება და მათი გამოყენების ხელოვნების დახვეწა. დისტანციური და თვითმართვადი ნაღმების და მათი გაფანტვის ყველა სახეობის ტექნიკის გამოყენება, ბრძოლებისა და ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფასთან ერთად, მეტად ზუსტად მიმართულ დიდი სიმძლავრის იარაღად შეიძლება ჩაითვალოს საარტილერიო სისტემების გამოყენება, რასაც საქართველოს რელიეფი და ინფრასტრუქტურაც განაპირობებს.

ასეთი სახის იარაღის საქართველოში შემოტანისა და ჩვენი შეიარაღებული ძალების მიერ მათი ათვისებისა და გამოყენების მხრივ, გარდა რუსული სისტემებისა, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ სისტემებს, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების დანაღმვის საარტილერიო სისტემა ‘‘ADATM‘‘-ი, დანაღმვის ამერიკული სავერტმფრენო სისტემა ‘‘M56’’; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დანაღმვის სარაკეტო სისტემა და დანაღმვის იტალიური საშვეულმფრენო სისტემა ‘‘SY-AT’’.

საქართველოს შეიარაღების სტანდარტი უნდა შეესატყვისებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოში შემავალი სხვა სახელმწიფოების სტანდარტებს, არა მარტო შეიარაღების სისტემების, არამედ საბრძოლო მასალების მხრივაც, მათ შორის ისეთი ეფექტური სახეობისა, როგორიცაა საავიაციო კასეტები და კასეტური საბრძოლო მასალები.

ასეთი ტიპის იარაღით ჯგუფური ან ტერიტორიის ფართით განსაზღვრული სამიზნების გასანადგურებლად, ავიაციის გამოყენებით ძალიან სწრაფად, ზუსტი ორიენტაციით და დიდი ინტენსიობით შეიძლება შეიქმნას დანაღმული ველები.

როდესაც საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების სფეროს განვიხილავთ და ვეხებით ავიაციით დანაღმვის საკითხებს, აუცილებლად უნდა გაანალიზდეს საქართველოში განსაკუთრებული სახის ნაღმების გამოყენება არა მარტო ჩვენი შეიარაღებული ძალების, არამედ მოწინააღმდეგის მიერადაც.

საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების ურთულეს და ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის ჯერ კიდევ რეალურად შეუვსებელ ვაკუუმს წარმოადგენს აკვატორიის ზონაში დანაღმვის არეალების შექმნაც და მათი გაუვნებელყოფაც. ეს მეტად დამაფიქრებელი და უსწრაფესად მოსაგვარებელი საკითხია, და იგი უკავშირდება არა მარტო უშუალოდ ბრძოლებისა და ოპერაციების

სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას, არამედ ჩამოცილებული ტერიტორიების მიმართ სხვადასხვა რეჟიმების რეალიზაციის პრაქტიკულ ქმედებებს.

ამ მხრივ, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს "ნაღმ-ტორპედულ აღჭურვას. ნაღმტორპედული შეიარაღების სისტემები შედგება საავიაციო ტორპედოების და ქვეითსაწინააღმდეგო, ტანკსაწინააღმდეგო, საზღვაო ნაღმების მოწყობილობისაგან, მათი ჩამოკიდება გადმოყრის და მართვის სისტემისაგან. ის შემადგენილი ნაწილია საავიაციო დანაღმვის სისტემისა, რომელიც ემსახურება ხმელეთის ნაწილების ან ზღვის დანაღმვის საქმეს, თავისი ჯარის მოშორებით და უსწრაფეს ვადებში.

საქართველოს აკვატორიაში სახელმწიფოს მოწინააღმდეგის ან დაპირისპირებული მხარის მცურავი ობიექტების განადგურების ან გადაადგილების შეზღუდვისათვის, მათ მიერ ნაღმსაწინააღმდეგო სისტემების აქტიური გამოყენების შესაძლებლობების ადეკვატურად, საქართველოს საზღვაო საბრძოლო მასალების არსენალის სპექტრმა უნდა მოიცვას თითქმის ყველა სახეობის საზღვაო ნაღმები. მათ შორის: საავიაციო, აკუსტიკური, ინდუქციური კომბინირებული, კონტაქტური, არაკონტაქტური, მაგნიტური, მცურავი, ნავსაწინააღმდეგო, ანტენური, ჰიდროდინამიური, ფსკერული, რეაქტიულ-ამოსაყვინთი, თვითმმართავი და ღუზური. ყოველი მათგანი თავისი განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება.

საზღვაო ნაღმების გამოყენების განსაკუთრებული შემთხვევა საქართველოსათვის, ასევე შეიძლება იყოს, დესანტსაწინააღმდეგო ოპერაციებში, დესანტსაწინააღმდეგო ღობურების მოწყობა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების პოტენციური დონე აისახება, არა მარტო საზღვაო ნაღმების არსენალის ქონასა და გამოყენების ხელოვნების და საშუალებების არარსებობაში, არამედ მათი განადგურებასა თუ უვნებელყოფის საშუალებების დეფიციტშიც.

საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალებში დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, ტრალვის ყველა სახეობის – კონტაქტურის, არაკონტაქტურის და კომბინირებული მეთოდების რეალიზაციის საშუალებებით დაკომპლექტება და მათი მზადყოფნის უზრუნველყოფა. კომპლექსები უნდა მოიცავდნენ წყლისა და საჰაერო სისტემებს, რომელთა საშუალებით, პირველ რიგში მაინც, შესაძლებელი უნდა იყოს წყლის ფეთქებად ღობურებში ფარვატერების ტრალვა.

განაღმვის და საერთოდ ნაღმების განადგურების და უვნებელყოფის საკითხები, არა მარტო საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალებში მოითხოვს უსწრაფეს მოწესრიგებას, არამედ მისი სრულფასოვანი გადაწყვეტა აუცილებელია სახმელეთო ჯარებშიც, სპეციალური დანიშნულების ძალებში, ეროვნულ გვარდიაში და თვით სამხედრო-საჰაერო ძალებში, რომ არაფერი ვთქვათ საზღვრის დაცვის თუნდაც ცალკეულ ფრაგმენტებზე.

სახმელეთო ნაღმების აღმოჩენისა და განსაკუთრებით უვნებელყოფის ან განადგურების მრავალი სახეობა არსებობს. ამ მხრივ, საქართველოსთვის უფრო მისაღებია ისეთი სახეობები ტექნიკისა, როგორიცაა რუსული წარმოების განაღმვის

საინჟინრო მანქანა ‘‘ИМР’’ და ამერიკული განაღმვის ტრალი ‘‘TMM CR’’. თანამედროვე პრაქტიკაში განაღმვის ტრალები ჩამოსაკიდი ან მისაბმელი სქემით არის განხორციელებული ტანკის ან ჯავშანტრანსპორტიორის ბაზაზე.

ბრძოლებისა და ოპერაციების დროს, შეტევითი პოზიციების პირობებში, საქართველოს შეიარაღებაში ფართოდ უნდა შემოვიდეს განაღმვის წაგრძელებული მუხტები. ამ პრინციპის მრავალი დანადგარი არსებობს, მაგრამ მათ შორის ჩვენი პირობებისათვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამერიკული წარმოების სისტემას - ‘‘M58A’’-ს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო’ში, სხვადასხვა ვითარების გამო, ძალიან ხშირად გამოიყენება – და ამას მომავალშიც ექნება ადგილი - დიდი ინტენსივობით დანაღმული, ასევე დიდი გაბარიტების მქონე ტესტორები, მათზე სწრაფი გადაადგილების პირობების შექმნისას, უკვე უახლოეს პერიოდში ჩვენს შეიარაღებულ ძალებს უნდა გააჩნდეს განაღმვის სარაკეტო სისტემები. ამ მხრივ მაქსიმალურად სრულყოფილი სისტემაა ამერიკის შეერთებული შტატების წარმოების განაღმვის სარაკეტო სისტემა ‘‘XM124 SLU-FAE’’.

საქართველო’ში ბრძოლებისა და ოპერაციების უზრუნველყოფის და ტერიტორიის მომზადებისათვის, სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების ტექნიკისა და კონკრეტული სისტემების შერჩევის საინჟინრო იდეოლოგიის ძირითადი პრიორიტეტები, გარდა აღნიშნული მიმართულებებისა, ასევე მოიცავს მრავალი დანიშნულების და მათი კომბინირებული ვარიანტის, საინჟინრო შეიარაღების და მანქანების გამოყენების აუცილებლობას.

მართალია, ყველა ხელოვნური ნაგებობის თუ გარემოს ხელოვნური სახეცვლილების რეალიზაციის ტექნიკა, ჩვეულებრივი სამშენებლო, საგზაო თუ სხვა სპეციფიკური მანქანებისა და დანადგარების სახით, საქართველო’ში მოიპოვება, მაგრამ უშუალოდ საიარაღო ზემოქმედებისას, ბრძოლებისა და ოპერაციების დროს საინჟინრო უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ჯავშნით აღჭურვილი მანქანების მოდიფიკაციები.

ამ მხრივ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ნულოვანი პოზიციიდან მოუწევთ სათანადო სამხედრო-საინჟინრო მანქანების და ტექნიკის პარკის შექმნა, რომელთა შორის ფართოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი მიწასათხრელი მანქანები, საბრძოლო საინჟინრო მანქანები, სპეციალური ტანკები, დაჯავშნული საინჟინრო მანქანები, დაჯავშნული მუხლუხა ბულდოზერები, უნივერსალური საინჟინრო მანქანები, ჩამოსაკიდი საბულდოზერო მოწყობილობები, მსუბუქად დაჯავშნული სარემონტო-საევაკუაციო მანქანები და სხვა.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს რთული რელიეფის გადასასვლელებს, მრავალფეროვან გრუნტებს და მთის მდინარეთა სწრაფ დინებებს, უპირველესი მოთხოვნა შეეხება შეიარაღებაში საინჟინრო-სადაზვერვო მანქანების ყოლას.

საერთოდ, აღნიშნული ტექნიკის მხრივ, მსოფლიო სამხედრო ტექნიკის ბაზარზე ფართო არჩევანია, თუმცა მათი ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრები წინა პლანზე წარმოაჩენს შემდეგ მოდელებს:

რუსულ საველე-მიწასათხრელ მანქანა ‘‘ПЗМ-2’’-ს; დიდი ბრიტანეთის საბრძოლო საინჟინრო მანქანას ‘‘FV 180’’; იაპონურ ჯავშნიან მუხლუხებიან ბულდოზერს „78“; ამერიკულ უნივერსალურ საინჟინრო მანქანას ‘‘M9 ACE’’; ამერიკულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ტანკებს - ‘‘M 728’’; ‘‘AVRE’’ და ‘‘EBG’’; ფრანგულ ჯავშნიან საინჟინრო მანქანას ‘‘Vჩ ’’; გერმანულ ჩამოსაკიდებელ ექსკავატორულ მოწყობილობას; დიდი ბრიტანეთის მიწასათხრელ მანქანას ‘‘MHI250’’; ამერიკულ მსუბუქ სარემონტო-საევაკუაციო მანქანას ‘‘M 578’’; ‘‘AMX-30 Engin Blinde du Genie’’-ს; ინგლისურ ჯავშნიან სარემონტო-საევაკუაციო მანქანას ‘‘CR ARRV’’-ს და გერმანულ საინჟინრო სადაზვერვო მანქანას ‘‘APE’’-ს.

ეტაპობრივად, გარდა სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის იმპორტისა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა უნდა უზრუნველყოს არა მარტო შედარებით დაბალი ტექნიკური სირთულის სამხედრო-საინჟინრო აღჭურვილობის შექმნა და შეიარაღებისათვის გადაცემა, არამედ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მეცნიერებათტევადი, მაღალტექნოლოგიური და ახალი კონსტრუქციული მასალებისაგან დამზადებული, რთული და მრავალფუნქციური სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების შექმნაც.

საქართველოს სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების, ტექნიკისა და სათანადო ტექნოლოგიური ბაზის შექმნა, წინამდებარე ნაშრომში შემუშავებული რეკომენდაციებით, უშუალოდ უკავშირდება საქართველოს პირობებში ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ხელოვნების თავისებურებებსა და მოთხოვნებს, რაც სრულად არის აღწერილი მონოგრაფიაში [66].

ამასთან, არ იქნებოდა სწორი მხოლოდ საქართველოს სპექტრით შეზღუდულიყო აღნიშნული პრინციპებისა და რეკომენდაციების განსაზღვრა. ამდენად, მათ ასევე საფუძვლად უდევს ამერიკის შეერთებული შტატების საველე წესდებების სათანადო ვრცელი სპექტრის ანალიზი და ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული რუსული სამხედრო-საინჟინრო სკოლის დებულებები [67];[68];[69];[70];[71];[72];[73].

ლექცია 14

ლოგისტიკა

NATO-ს ლოგისტიკა

არსებობს სამოქალაქო და სამხედრო მოღვაწეობის ბევრი სფერო, რომელსაც პირდაპირი და არაპირდაპირი შეხება აქვს ალიანსის წევრი ქვეყნების საერთო უსაფრთხოებასთან. თავდაცვის ძალებისათვის გაწეული დახმარება შეიცავს შესაძლებლობას, ლოგისტიკის დახმარებით სარგებლობისა, რომელიც საჭიროა მათი ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ყოველი წევრი ქვეყანა გარანტირებულად, ინდივიდუალურად და ურთიერთშეთანხმებით პასუხისმგებელია ხანგრძლივ დახმარებაზე თავისი საკუთარი ძალებით. ამიტომაც, კოორდინირებული ლოგისტიკური დაგეგმვა არის მნიშვნელოვანი ასპექტი რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენებისათვის.

ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების მაგალითად შეიძლება დასახელდეს: ლოგისტიკის აღჭურვილობის დაფინანსება, ნატოს „უსაფრთხოების საინვესტიციო პროგრამის" თანახმად; სამოქალაქო ლოგისტიკის რესურსების კოორდინაცია „სამოქალაქო საგანგებო მდგომარეობის დაგეგმვის პროგრამის" მიხედვით და შეიარაღების წარმოების და მიწოდების ლოგისტიკური ასპექტები [74].

სწორედ ასეთი შეთანხმებების თანახმად შეიძლება მოხდეს მოწყობილობების, სატრანსპორტო რესურსების, მიწისზედა ტრანსპორტის, იარაღის, ამუნიციის, საწვავის მარაგის და სათადარიგო ნაწილების კოორდინირება.

ყოველმა ერმა განავითარა ლოგისტიკის საკუთარი ორგანიზაცია და პრაქტიკა. იგი დამუშავდა საგარეო და საშინაო პოლიტიკის, სამხედრო გამოცდილების და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინების შედეგად. ნატოს პრინციპები ასახავს ერთად მუშაობის დამატებით მოთხოვნებს მრავალეროვან ალიანსში.

არსებობს ლოგისტიკის სხვადასხვა განსაზღვრება და ყოველი მათგანი გამოყოფს სტრატეგიის, ტაქტიკის, მოძრაობისა და წარმოების სხვადასხვა ასპექტს. თუმცა, ნატოში შეთანხმებული ლოგისტიკის განსაზღვრება შემდეგნაირად ჟღერს:

ლოგისტიკა არის მეცნიერება ძალების მოძრაობისა და შენახვის დაგეგმვისა და შესრულების შესახებ. უფრო გასაგებად კი სამხედრო ოპერაციების ასპექტები, რომლებიც შეეხება:

— მატერიალური ნაწილის დაგეგმვას და განვითარებას, შეძენას, დასაწყობებას, ტრანსპორტირებას, განაწილებას, შენახვას, ევაკუაციას და განლაგებას;

— მოსამსახურეთა ტრანსპორტირებას;

— მოწყობილობების შეძენას ან დაპროექტებას, შენახვას, მოვლას და განლაგებას;

— სამსახურების აღჭურვას;

— სამედიცინო და ჯანმრთელობის სამსახურების ხელშეწყობას.

ეს განსაზღვრება მოიცავს პასუხისმგებლობათა ფართო არეალს, რომელიც შედის ნატოს ორგანიზაციის სხვადასხვა სფეროში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლოგისტიკა შეიცავს მარაგისა და შესაძლებლობების შექმნას და იარაღისა და ძალების შესაბამის მდგომარეობაში შენახვას, მაშინ ნათელია, რომ განსხვავება ლოგისტიკის ორ მნიშვნელოვან ასპექტს შორის არის ის, რომ პირველი ეხება წარმოებას, ხოლო მეორე კი მოხმარებას. ამ ასპექტების განსაზღვრებები, რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი, მისაღებია ნატოს ლოგისტიკის ჯგუფის საზოგადოებისათვის.

წარმოების ლოგისტიკა. ლოგისტიკის ეს ნაწილი ეხება მატერიალური ნაწილის კვლევას, დაგეგმვას, განვითარებას, წარმოებას და მიღებას.

ამრიგად, წარმოებითი ლოგისტიკა შეიცავს: სტანდარტიზაციას და ურთიერთქმედებას, კონტრაქტების გაფორმებას, ხარისხიანობაში დარწმუნებას, სათადარიგო ნაწილების მიწოდებას, პასუხისმგებლობასა და თავდაცვის ანალიზს, მოწყობილობების უსაფრთხოების სტანდარტებს, ტექნიკური მომსახურებისა და წარმოების პროცესებს, გამოცდასა და შემოწმებას, კოდიფიცირებას, მოწყობილობების დოკუმენტაციის წარმოებას, კონფიგურაციების კონტროლს და მოდიფიკაციას.

სამომხმარებლო ლოგისტიკა. ლოგისტიკის ეს ნაწილი ეხება საწყისი პროდუქციის მიღებას, შენახვას, ტრანსპორტირებას, მოვლას, მატერიალური ნაწილის მართვას და განკარგვას.

ამრიგად, სამომხმარებლო ლოგისტიკა მოიცავს: შენახვის კონტროლს, მოწყობილობებით მომარაგებას ან კონსტრუირებას, მოძრაობის კონტროლს, საიმედოობის და დეფექტების დადგენას, შენახვის უსაფრთხოების სტანდარტებს, ტრანსპორტირებას, მოხმარებას და სათანადო წვრთნას.

რადგანაც ლოგისტიკის ზემოთ აღწერილი ორი ასპექტი ეხება მწარმოებლისა და მომხმარებლის ურთიერთობას, არსებობს კიდევ ორი დამატებითი ასპექტი, რომელიც შეეხება ლოგისტიკის ფუნქციონირებას და მოქმედებას.

კოოპერატიული ლოგისტიკა. დღესდღეობით არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული კოოპერატიული ლოგისტიკის ნატოსეული განსაზღვრება, მაგრამ იგი შეიძლება აღწერილ იქნეს შემდეგნაირად:

„ნატოს კოოპერატიული ლოგისტიკა" არის ჯამი სამომხმარებლო და წარმოებითი ლოგისტიკის ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებისა, რომელიც ეხება ნატოს ძალების ლოგისტიკური დახმარების ოპტიმიზაციას - კოორდინაციას და რაციონალურობას.

ნატოს კოოპერატიული ლოგისტიკის მიზანია, მიღწეულ იქნეს ფასების შენარჩუნება ეკონომიის საშუალებით და მშვიდობიანობის დროს ეფექტურობის გაზრდა, ლოგისტიკის დახმარება კრიზისებისა და საომარი მოქმედებების დროს.

ნატოს კოოპერატიული ლოგისტიკის შეთანხმებების განვითარება ძალზე გაადვილებულია ნატოს „წარმოებისა და ლოგისტიკის ორგანიზაციების" გამო. ნატოს „მხარდაჭერისა და მომარაგების სააგენტო" იყენებს თანამედროვე ტექნიკას, მატერიალური ნაწილის მართვისა და შეძენის სფეროში.

მრავალეროვანი ლოგისტიკა. მრავალეროვან ოპერაციებში ლოგისტიკა უნდა ფუნქციონირებდეს, როგორც ეფექტური ძალის გამაძლიერებელი. მრავალმართვადი, შემცირებული ლოგისტიკის რესურსების და ლოგისტიკის პასუხისმგებლობის განაწილების რისკის გამო, მრავალეროვანმა ლოგისტიკამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ჯერ არ არსებობს მრავალეროვანი ლოგისტიკის ნატოსეული განსაზღვრება, მაგრამ შეიძლება შემოთავაზებულ იქნეს შემდეგი:

„წმინდა ეროვნული ლოგისტიკური დახმარების სხვადასხვა საშუალებები, როგორიცაა მრავალეროვანი ინტეგრირებული ლოგისტიკური დახმარება, სპეციალიზებული დახმარების როლი და ეროვნული დახმარების მართვა."

ლოგისტიკის ფუნქციები. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ლოგისტიკის სხვადასხვა ფუნქციები თავს იყრის ერთად, რათა შეიქმნას ლოგისტიკური დახმარების ერთიანობა. ნატოს ლოგისტიკის ერთი მიმართულების ოფიცერმა უნდა იმუშაოს მეორე მიმართულების ოფიცერთან და ისინი უნდა ითვალისწინებდნენ ერთმანეთის პრობლემებს. მაგალითად, ქვეყნის შიგნით ან ნატოს ხელმძღვანელობით შესრულებული დაგეგმვა შეთანხმებული უნდა იყოს მასთან დაკავშირებულ ყველა განყოფილებასთან, მიუხედავად მათი ოპერატიული, ადმინისტრაციული თუ ლოგისტიკური, სამხედრო თუ სამოქალაქო ფუნქციებისა. ამას მკაფიოდ ასახავს ლოგისტიკის მთავარი ფუნქციების მოკლე მიმოხილვა.

ლოგისტიკის მატერიალური ნაწილის ფუნქცია. წარმოებითი ან შეძენის ლოგისტიკა მოიცავს მატერიალურ ნაწილს, ინვენტარის ვარგისიანობას ციკლის პირველი ფაზიდან უკანასკნელამდე. ციკლის პირველი ნაწილი – ტექნიკური პირობები, დიზაინი და წარმოება, არის წარმოებითი ლოგისტიკის ფუნქცია. აღჭურვილობის სამსახურში ჩაყენება, მისი განაწილება და დასაწყობება, შეკეთება, შენახვა და ხმარებიდან ამოღება არის სამომხმარებლო ლოგისტიკის საქმე. თუმცა, აღჭურვილობის საწყისი დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეკეთებისა და შენახვის სამომხმარებლო ასპექტებიც.

ლოგისტიკის მომარაგებითი ფუნქცია. მომარაგება მოიცავს მთელ მატერიალურ ნაწილს და აღჭურვისათვის გამოსაყენებელ ნივთებს, სამხედრო ძალების მომარაგებას და შენახვას. მომარაგების ფუნქციებში შედის მარაგის დონის, მომარაგების, განაწილების და შევსების დადგენა.

ლოგისტიკის მოვლის და შეკეთების ფუნქცია. მოვლა ნიშნავს ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რაც მიმართულია მატერიალური ნაწილის შენარჩუნების ან აღდგენისაკენ. სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ოპერატიულობის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული აღჭურვილობისა და მასთან დაკავშირებული მატერიალური ნაწილის, მშვიდობიანობის დროს მოვლის მაღალი სტანდარტების დაცვაზე. შეკეთება შეიცავს უმოკლეს ვადაში, რემონტის მეშვეობით, მატერიალური ნაწილის მუშა მდგომარეობაში ჩაყენებას.

ბრძოლაში მიყენებული ზიანის გამოსწორება. ოპერაციების მსვლელობის დროს, არის მოვლის მნიშვნელოვანი ელემენტი. იგი გამიზნულია, რომ დაზიანებული

მატერიალური ფასეულობა, რაც შეიძლება სწრაფად იქნეს აღდგენილი საბრძოლველად ვარგის მდგომარეობამდე. ზიანის შეფასება სწრაფად უნდა მოხდეს და არ არის სავალდებულო შემოწმებისათვის გამოყენებულ იქნეს ავტომატური მოწყობილობა ან განსაკუთრებული ხელსაწყო. დათვალიერების შედეგის განხილვა გამიზნულია ზიანის, მისი გამომწვევი მიზეზის, ზიანის გამოსწორების გეგმის დადგენისათვის და ოპერატორის რისკის მინიმუმამდე შემცირებისათვის. მას შემდეგ, რაც განხორციელდება ოპერატიული მისია, უნდა მოხდეს აღჭურვილობის შეკეთება და აღდგენა სრულ მუშა მდგომარეობამდე.

ლოგისტიკის მომსახურების ფუნქცია. ჯარების დახმარების მიზნით საბრძოლო ნაწილების მომარაგება და ტექნიკით უზრუნველყოფა, ანუ ლოგისტიკური მოქმედებები მოიცავს მომსახურების ფართო სპექტრს. აქ შედის ბრძოლების ხელახალი მომარაგება, რუკების დისტრიბუცია, მუშა რესურსები, საფოსტო და საკურიერო მომსახურება, სამხედრო მადაზიები. სამრეცხაოები და აბანოები, დასაფლავება და სხვა. ასეთი მომსახურება შეიძლება შესრულდეს ქვეყნის საკუთარი ძალებით ან სხვა ქვეყნის დახმარებით. მისი ეფექტურობა დამოკიდებულია ოპერატიული, ლოგისტიკის და სამოქალაქო დაგეგმვის პერსონალის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაზე.

ლოგისტიკის ასაფეთქებელი საარტილერიო მასალების განკარგვის ფუნქცია. ასაფეთქებელი საარტილერიო მასალის განკარგვის ფუნქცია მოიცავს გამოუყენებელი არტილერიის გამოკვლევას, შემოწმებას, ადგილმდებარეობის დადგენას, მარკირებას, საწყის იდენტიფიკაციას და პატაკის შედგენას, რასაც უნდა მოჰყვეს ამ მასალების შეფასება, გუვნებელყოფა, აღდგენის შესაძლებლობის განსაზღვრა და საბოლოო განადგურება. აქვე შეიძლება შევიდეს ასაფეთქებელი საარტილერიო მასალა, რომელიც საშიში გახდა დაზიანების ან ამორტიზაციის გამო. ნატოს ტექნიკური ინფორმაციის ცენტრს აქვს წარსულში და დღეისათვის არსებული საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალების აღრიცხვა. ამ სამსახურმა შეიძლება გასწიოს დაუყოვნებლივი საკონსულტაციო მომსახურება ასაფეთქებელი საარტილერიო მასალების განკარგვის პრობლემებზე.

ლოგისტიკის გადაადგილებისა და ტრანსპორტირების ფუნქცია. სავალდებულოა არსებობდეს ძალების დროული და მოქნილი გადაადგილების შესაძლებლობა, რათა გარანტირებულად სრულდებოდეს ალიანსის როლისა და ამოცანების მთელი სპექტრი.

ლოგისტიკის საინჟინრო ფუნქცია. ლოგისტიკის საინჟინრო სფერო მოითხოვს ლოგისტიკასთან მჭიდრო კოორდინაციას, რადგან მისი მისია ახლოა ლოგისტიკასთან - აადვილებს ლოგისტიკის ამოცანას საკომუნიკაციო ხაზების და დამხმარე ნაგებობების აგების მხრივ. საინჟინრო მისია ხიდად არის გადებული ლოგისტიკიდან ოპერაციებისაკენ და მჭიდროდ უკავშირდება ორივეს წარმატებას.

ლოგისტიკის სამედიცინო ფუნქცია. ეს ფუნქცია უკავშირდება ეფექტური სამედიცინო დახმარების სისტემის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს ავადმყოფი, დაშავებული და დაჭრილი მოსამსახურეების მკურნალობას და ევაკუაციას, ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო კაცდღეების მინიმუმამდე დაყვანას და დაზარალებულთა

მწყობრში ჩაყენებას. ამრიგად, ეფექტური სამედიცინო დახმარების სისტემა განიხილება, როგორც ძალების რიცხოვნების პოტენციური ზრდის საშუალება. თუმცა, ჩვეულებრივ, სამედიცინო დახმარება არის ქვეყნის ვალდებულება. მისი დაგეგმვა უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს კოორდინირებულ მრავალეროვან მიდგომას სამედიცინო დახმარებისადმი.

ლოგისტიკის საკონტრაქტო ფუნქცია. ეს ფუნქცია სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ოპერაციების განხორციელებისათვის, როდესაც იგი მოქმედებს ნატოს პასუხისმგებლობის არეალს მიღმა. ეს არის გამორჩეული საშუალება, რათა სწრაფად გახდეს ხელმისაწვდომი ქვეყნის შიდა რესურსები და გამოყენებულ იქნას მარაგები და მომსახურება, რომელიც ესაჭიროება ნატოს სარდლობას.

ლოგისტიკის საბიუჯეტო და საფინანსო ფუნქცია. საბიუჯეტო და საფინანსო სფეროები ფაქტობრივად ზეგავლენას ახდენენ ლოგისტიკის ოპერაციების ყველა ასპექტზე. უნიკალურია ძალების განლაგებისა და შენახვის ხარჯების ანაზღაურების საბიუჯეტო და ფონდწარმომქნელი პოლიტიკა. მაშინ, როდესაც ქვეყნისაგან მოელიან, რომ მან ზოგადად დააფინანსოს საკუთარი ოპერაციები, თითოეული ოპერაციის მახასიათებლები განსაზღვრავენ ნატოს დახმარების ტიპს და ფულად ოდენობას. ხშირად ნატოს ფულადი დახმარება მიემართება ნატოს სხვადასხვა შტაბბინების დახმარებისათვის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის.

ურთიერთდამოკიდებულების ფუნქციები. თუმცა, მასპინძელი ქვეყნის დახმარება და სამოქალაქო საგანგებო მდგომარეობის დაგეგმვა არ არის ლოგისტიკის ფუნქცია, ისინი მაინც მჭიდროდ უკავშირდებიან ლოგისტიკას და გავლენას ახდენენ ლოგისტიკის დაგეგმვაზე. მასპინძელი ქვეყნის დახმარების არსებობა ანაზღაურებს მოთხოვნებს ორგანულ სამხედრო დახმარებაზე და ამით ამცირებს ბრძოლის მომსახურების დახმარების აუცილებლობას. სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვაც ანალოგიურად მოქმედებს და ამასთან ერთად აადვილებს ამოცანის შესრულებას იმით, რომ ხელმისაწვდომს ხდის სამოქალაქო სექტორის რესურსების გამოყენებას სამხედრო მიზნებისათვის, განსაკუთრებით გაშლის სფეროში.

ნატოს მომარაგების სისტემა ჩამოყალიბებულია ხუთკლასიან სისტემად და შემდეგნაირად განისაზღვრება:

I კლასი. არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები – საკვები და ფურაჟი, რომელსაც მოიხმარს მომსახურე პერსონალი ან ცხოველები დაახლოებით დადგენილი ნორმით, ბრძოლაში ან ტერიტორიულ პირობებში მომხდარი ლოკალური ცვლილებების მიუხედავად.

II კლასი. რესურსები, რომლებზეც საორგანიზაციო ცხრილებით დადგენილია სარგოები – ტანსაცმელი, იარაღი, სამუშაო იარაღი, სათადარიგო ნაწილები, სატრანსპორტო საშუალებები.

III კლასი. ნავთობი, ზეთები და საპოხი მასალები ყველა მიზნისათვის, გარდა საჰაერო ტრანსპორტის ან ცეცხლსასროლი იარაღისა - ბენზინი, საწვავი, ზეთი, საპოხი მასალები, ნახშირი და კოქსი.

IV კლასი. რესურსები, რომლებისთვისაც არ არის დადგენილი საწყისი ნორმა. ჩვეულებრივ, აქ შედის საფორტიფიკაციო და საშენი მასალები, აგრეთვე, დამატებითი რაოდენობა II კლასში შემავალი რესურსებისა - დამატებითი სატრანსპორტო საშუალებები.

V კლასი. ყველა ტიპის ამუნიცია, ასაფეთქებელი და ქიმიური ნივთიერებები.

აღნიშნელთან ერთად ინტერესმოკლებული არ არის NATO-ს სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს მისი საქმიანობის ყველა სფეროს:

1. ნატოს ძირითადი კომიტეტები;
2. თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი;
3. ჩრდილოატლანტიკური საბჭო;
4. ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი;
5. სამხედრო კომიტეტი;
6. აღმასრულებელი მუშა ჯგუფი;
7. ჩვეულებრივი იარაღის კონტროლის მაღალი დონის დავალების ჯგუფი;
8. გავრცელების ერთიანი კომიტეტი;
9. სამშვიდობო პარტნიორების პოლიტიკურ-სამხედრო მართვის კომიტეტი;
10. ნატოს საჰაერო დაცვის კომიტეტი;
11. ნატოს საკომუნიკაციო, სამეთაურო და საკონტროლო სამმართველო;
12. ნატოს საჰაერო საკომანდო და საკონტროლო სისტემების მართვის ორგანიზაცია;
13. უფროსი დონის პოლიტიკური კომიტეტი;
14. ატლანტიკის პოლიტიკის მრჩეველთა ჯგუფი;
15. პოლიტიკური კომიტეტი;
16. ხმელთაშუა ზღვის თანამშრომლობის ჯგუფი;
17. გავრცელებაზე მომუშავე ზემდგომი პოლიტიკურ-სამხედრო ჯგუფი;
18. შემოწმების საკოორდინაციო ჯგუფი;
19. კურსის საკოორდინაციო ჯგუფი;
20. თავდაცვის ზედამხედველობის კომიტეტი;
21. ეროვნული შეიარაღების დირექტორთა სათათბირო;
22. ნატოს სტანდარტიზაციის კომიტეტი;
23. ინფრასტრუქტურის კომიტეტი;
24. სამოქალაქო საგანგებო მდგომარეობის დაგეგმვის მთავარი კომიტეტი;
25. ნატოს ლოგისტიკოსთა მთავარი სათათბირო;
26. მეცნიერების კომიტეტი;
27. თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნათა კომიტეტი;
28. სამოქალაქო და სამხედრო საბიუჯეტო კომიტეტი;
29. რესურსების მთავარი სამმართველო;
30. გავრცელებაზე მომუშავე თავდაცვის მთავარი ჯგუფი;
31. მაღალი დონის ჯგუფი;

32. იარაღის დაცვის მაღალი დონის ჯგუფი;
33. ეკონომიკური კომიტეტი;
34. საინფორმაციო და კულტურული ურთიერთობების ჯგუფი;
35. საბჭოს ოპერაციებისა და ვარჯიშების კომიტეტი;
36. ნატოს საჰაერო მიმოსვლის მართვის კომიტეტი;
37. ცენტრალური ევროპის მილსადენთა მართვის ორგანიზაცია;
38. ნატოს მილსადენთა კომიტეტი;
39. ნატოს უსაფრთხოების კომიტეტი;
40. სპეციალური კომიტეტი.

ლექცია 15

შეიარაღება, მასობრივი განადგურების იარაღი, ეკოლოგია და საბანგებო ღონისძიებები

იარაღი და სამხედრო ტექნიკა

შეიარაღებული ბრძოლის რეალიზაციის საფუძველია სამხედრო შეიარაღება, რომლითაც ცოცხალ ძალასთან ერთად რეალურ სამგანზომილებიან სივრცეში ხორციელდება მოწინააღმდეგეზე ზემოქმედება და მისი მოგერიება.

შეიარაღება, როგორც სამხედრო ხელოვნების ფართო სპექტრის კომპლექსური ნაწილი, ერთობ მრავალმხრივი და ნაირგვაროვანია. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია მისი შესწავლისა და განხილვის მეთოდიკა.

ძნელია, მოიძებნოს სამხედრო მეცნიერების და მისი უმთავრესი შემადგენელის – სამხედრო ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის სფერო, უშუალოდ და ფუნქციურად რომ არ იყოს დაკავშირებული შეიარაღებასთან, მის სახეობებთან და, ყოველ კერძო შემთხვევაში, კონკრეტულ ტაქტიკურ და ტექნიკურ პარამეტრებთან.

ასეთი პოზიცია, ბუნებრივია ვრცელდება სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების დოქტრინის საფუძვლების შემუშავებაზე. სახელმწიფოს ტერიტორიის ომისთვის მომზადების საბრძოლო მოქმედებების საინჟინრო უზრუნველყოფისა და საინჟინრო ხელოვნების ტაქტიკის პრინციპები და მათი რეალიზაციის დიაპაზონი თუ ინტენსივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ეფექტით ხორციელდება მოწინააღმდეგეზე საიარაღო ზემოქმედება; რა პარამეტრის იარაღისაგან უნდა იქნეს დაცული საკუთარი მხარე, და რა შესაძლებლობების სამხედრო ტექნიკის მოქმედების ბლოკირება ან განადგურების ამოცანები დადგება დღის წესრიგში.

სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების წინაშე მდგომი ამოცანების შუქზე განსაკუთრებით საინტერესოა არა მარტო შეიარაღების სახეობები, რომლებიც მოპირისპირე შეიარაღებულ ძალებზე ზემოქმედებისაკენ იქნება მიმართული, არამედ იარაღისა და სამხედრო ტექნიკის ის ნაირსახეობებიც, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდება ზემოქმედება ინფრასტრუქტურაზე, კომუნიკაციებზე, კონკრეტულ ობიექტებსა და მოსახლეობაზე, აგრეთვე შეიარაღების კლასები და ტიპები, რომელთა გამოყენებითაც უნდა იქნეს მიღწეული მოწინააღმდეგის სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების რღვევა და სხვა.

ზოგადად შეიარაღება, ცნობილი განმარტების მიხედვით, არის ომის წარმოებისათვის განკუთვნილ საშუალებათა ერთობლიობა. განსხვავდება იარაღის ტიპის, იარაღმატარებლის სახეობის, ორგანიზაციული კუთვნილების მიხედვით და სხვა.

ამასთან, პირველი მიახლოებით, შეიარაღება შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად.

პირველი, ეს არის თვით იარაღი, რომელიც გამოიყენება შეიარაღებულ ბრძოლაში, მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებად, როგორც თავდასხმის, ისე მოგერიების დროს.

შეფასებებში კვლავ პირველ ადგილზეა ჩვეულებრი იარაღი, რომლის საბრძოლო გამოყენება უშუალოდ არ იწვევს მასობრივ დანაკარგებს და ნგრევას, ჩვეულებრივი იარაღის ცნება გაჩნდა გასული საუკუნის 50-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ზოგიერთი არმია აღიჭურვა ბირთვული იარაღით, რომელსაც "მასობრივი დაზიანების იარაღი" ეწოდა. ჩვეულებრივ იარაღს განეკუთვნება ცეცხლსასროლი, რეაქტიული, საარტილერიო-სარაკეთო, ყუმბარმტყორცნი, ტორპედული, ცეცხლგამჩენი იარაღი, საინჟინრო და საზღვაო ნეგებობები და სხვა ისეთი სახეობანი, რომელთა დაზიანების საშუალებები აღიჭურვება ბრიზანტული ასაფეთქებელი ან საწვავი ნივთიერებებით, ან არ გააჩნიათ აღჭურვილობა – ტყვიები და მთლიანი ჯავშანგამტანი ყუმბარები. ჩვეულებრივ იარაღს განეკუთვნება აგრეთვე სატყორცნი და ცივი იარაღი.

იარაღის მეორე სახეობას წარმოადგენს მასობრივი დაზიანებისიარაღი. დღესდღეობით ეს არის ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, თუმცა, შესაძლებელია სხვა სახეობების გაჩენაც, რომლებიც მოქმედების სხვაგვარ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. მასობრივი დაზიანების იარაღი ძალებისა და საშუალებების შეზღუდული მოზიდვის პირობებში უზრუნველყოფს მასობრივ დანაკარგებს და ისეთი მასშტაბის ნგრევას, რომელმაც შეიძლება გარემოს შეუქცევადი თვისებრივი ცვლილებები გამოიწვიოს. ამ სახეობის იარაღს, სხვებისაგან განსხვავებით, ახასიათებს ფრავალფაქტორული დამაზიანებელი მოქმედება, ხანგრძლივი დამაზიანებელი ფაქტორების არსებობა და გავრცელება დაზიანების ობიექტის ფარგლებს გარეთ, მძიმე გენეტიკური და ეკოლოგიური შედეგები. ამასთან, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული მასობრივი დაზიანების იარაღისაგან ჯარებისა და მოსახლეობის დაცვა, მისი გამოყენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა.

მასობრივი დაზიანების იარაღის ქვესისტემად განცალკევებით განიხილება სამი მიმართულება: ბირთვული იარაღი, ქიმიური იარაღი და ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღი [75]; [76]; [77]; [78].

ბირთვული იარაღი წარმოადგენს აფეთქებით მოქმედების მასობრივი დაზიანების იარაღს. იგი ეფუძნება შიდაბირთვული ენერგიის გამოყენებას, რომელიც წარმოიშობა ურანისა და პლუტონიუმის ზოგიერთი იზოტოპის მძიმე ბირთვების დაყოფის ჯაჭვური რეაქციის დროს, ან ისეთი მსუბუქი ბირთვების სინთეზის რეაქციის დროს, როგორიც არის დეიტერიუმი, ტრიტიუმი, ლითიუმი. მასობრივი დაზიანების იარაღის ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორებია დამრტყმელი ტალღა, შუქური გამოსხივება, გამღწევი რადიაცია, რადიაქტიული

დასნებოვნება და ელექტრომაგნიტური იმპულსი. იგი იყოფა სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ იარაღად და მოიცავს ბირთვულ საბრძოლო მასალებს, მართვის და სამიზნესთან მათი მიტანის საშუალებებს. ყველაზე მეტი რაოდენობით აქვთ რუსეთსა და აშშ-ს, აგრეთვე ბრიტანეთს, საფრანგეთს და ჩინეთს. პირველი იარაღი გამოყენებულ იქნა 1945 წელს, როდესაც ამერიკელებმა დაბომბეს ჰეროსიმა და აგასაკი. მას შემდეგ ამ იარაღის ფლობელი სახელმწიფოები ბირთვული შეკავების პოლიტიკას ადგანან.

ქიმიური იარაღი ეფუძვნება საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებების, ტოქსინებისა და ფიტოტოქსიკანტების გამოყენებას. არის ერთჯერადი და მრავალგზისი გამოყენებისა. გამოირჩევა მაღალი ტოქსიკურობით – მცირე დოზაც კი იწყებს ცოცხალი ძალის უმძიმეს მასობრივ დაზიანებს ან განადგურებას. მას ახასიათებს დიდი გამწევუნარიანობა. მისი მიტანა ხორციელდება ავიაციით, რაკეტების, არტილერიის, ქვეითი ჯარის საშუალებების, საინჟინრო და ქიმიური ჯარების გამოყენებით. გამოირჩევა გამოყენების ფაქტის დროული აღმოჩენისა და მომწამვლელი ნივთიერების ტიპის ამოცნობის სიძნელით, მოქმედების ხანგრძლივობით. აკრძალულია ჟენევის 1925 წ. ოქმით და პარიზის 1993 წ. კონვენციით.

ბიოლოგიური (ბაქტეოროლოგიური) იარაღი ემყარება ბიოლოგიური საშუალებების გამოყენებას. მოიცავს ბიოლოგიური საშუალებებით აღჭურვილ საბრძოლო მასალებს – რაკეტების ქომინები, ავიაბომბები, არტილერიის ჭურვები და მათი მიტანის საშუალებებს – რაკეტები, თვითმფრინავები, აეროსტატები, ქვემეხები და სხვა. გამოირჩევა დიდ ტერიტორიებზე გამოყენების ფარული ხასიათით, მცირე მაინფიცირებელი დოზით, ინდიკაციის სიძნელით, ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მისგან ჯარებისა და მოსახლეობის დაცვის და შედეგების აღმოჩენის სირთულით, აგრეთვე მოქმედების შერჩევითობით. აიკრძალა 1972 წ. საერთაშორისო კონვენციით.

განსაკუთრებული როლი ენიჭება ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დამყარებულ იარაღს, რომელიც პერსპექტივაში დიდ დიაპასონს და პრაქტიკულ მნიშვნელობას შეიძენს. ეს არის არატრადიციული იარაღი, ახალი შესაძლო სახეობა, რომლის დამაზიანებელი მოქმედება ეფუძვნება მასში აქმდე გამოყენებულ პროცესებსა და მოვლენებს.

მოცემულ ეტაპზე ძნელია, კონკრეტულად და, მით უმეტეს, დიდი ალბათობით განისაზღვროს მათი ქვესისტემები და პრაქტიკული გავრცელების მასშტაბები. და, მაინც, შეიძლება ცალკე მოინიშნოს გარკვეული სახეობები ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დამყარებული იარაღებისა.

იზონურ იარაღს შეუძლია არსებითად შეცვალოს ბიოლოგიური პროცესები და ორგანული სიცოცხლე გეორგაფიულ რაიონებში ატმოსფეროს ოზონის შრის წარმოშობის ბუნებრივი პროცესების განზრახ შენელების ან დაჩქარების გზით, დედამიწის ატმოსფეროში გარკვეული სიგრძის ტალღების ულტრაიისფერი

რადიაციის გავლის შედეგად. ასეთი იარაღის შექმნაში არ არის ტექნიკური სირთულენი, მაგრამ ძალზე სათუოა მისი გამოყენების შედეგები – არავინ იცის, რას მოუტონს იგი არა მარტო მოპირისპირე მხარეებს, არამედ აგრეთვე მთლიანად დედამიწას. ოზონური იარაღი შეიძლება მოიცავდეს ქიმიურ რეაგენტს, მათი მიტანის და გაფრქვევის საშუალებებს.

მიმართული ენერგიის იარაღის დამაზიანებელი მოქმედება ხორციელდება ვიწრო კონად კონცანტრირებული ენერგიის გამოსხივების გზით. განასხვავებენ სხივურ ლაზერულ იარაღს, რომელიც გამოიყენება ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკაზე თერმომექანიკური ზიმოქმედების ძირითად დამაზიანებელი ფაქტორით, ზემაღალი სიხშირის იარაღს და ინფრაბგერით იარაღს. აღნიშნული ტიპის იარაღის ყველა სახეობა პრაქტიკულად არაინერციულია და ინფრაბგერითის გარდა, ახასიათებთ მყისიერი მოქმედება – ენერგიის გადატანა ხორციელდება სინათლის ან მასთან მიახლოებული სიჩქარით.

არამომაკვდინებელი მოქმედების იარაღს შეუძლია მცირე ხნით ან ხანგრძლივი ვადით მოუსპოს მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა აწარმოოს საბრძოლო მოქმედება. განკუთვნილია ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ჩვეულებრივი იარაღის გამოყენება მიუღებელია ამა თუ იმ მოსაზრების გამო. იყოფა იარაღად, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ცოცხალ ძალაზე – პოლიციური გაზებო, არამომაკვდინებელი ტყვიების ვაზნები, ფსიქოტროპული პრეპარატები, ინფრაბგერითი იარაღი და სხვ., დამატერიალურ საშუალებებად – ელექტრომაგნიტური იარაღი, რადიოელექტრონული ზემოქმედებისა და ჩახშობის საშუალებანი და სხვ.

კონური იარაღი ეფუძნება იმ ნაწილაკების - მაგალითად, წყალბადის ატომების ან ელექტრონების, კონის დამაზიანებელ ფაქტორად გამოყენებას, რომლებიც დაჩქარებულია სინათლესთან მიახლოებულ სიჩქარემდე. დამაზიანებელი მოქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს რაკეტის საბრძოლო ქობინის მექანიკური დაზიანებითა და აფეთქებით, ელექტრონულ აპარატურაზე რადიაციული ზემოქმედებით, ქიმიური რეაქციის ინიცირებით. მისი მოქმედება არ არის შეზღუდული ამინდის პირობებით. სავარაუდოა კონური იარაღის გამოყენება ჰაერსაწინაღო თავდაცვის, რაკეტსაწინაღო თავდაცვის და სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის სისტემებში, განაღმვის საშუალებად და სხვ.

ბირთვული აფეთქების ენერგიის გამოყენებით მოქმედი იარაღი წარმოადგენს ბირთვული იარაღის ნაირსახეობას რომელიც ეფუძნება ბირთვული აფეთქების ენერგიის გარდაქმნას გარკვეული მიმართულების ე.წ. მეორეულ დამაზიანებელ ფაქტორებად. აქვს მცირე სიმძლავრის ბირთული მუხტი და ენერგიის გარდამქმნელი. ამ უკანასკნელის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბირთული დამუხტვის რენტგენული ლაზერი, რადიოსიხშირული დიაპაზონის ენერგიის გამომსხივებლები, მაღალენერგეტიკულ ნაწილაკთა გენერატორები შესაბამისი დაჩქარებით, ბირთვული

მუხტის სპეციალური გარსი, რომელიც აფეთქებისას წარმოშობს მიმართული მოქმედების მაღალი სიჩქარის ლითონის ნაწილაკთა ნაკადს და სხვა.

ზემაღალი სიხშირის იარაღი წარმოადგენს მიმართული ენერგიის იარაღს, რომლის დამაზიანებელი ფაქტორია ზემაღალი სიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივება. მაღალი სიშირის იარაღს განეკუთვნება აგრეთვე ე.წ. ელექტრომაგნიტური ბომბები, რომელთა მოქმედება ეფუძნება ასაფეთქებელ ნივთიერებათა ენერგიის გარდაქმნას მაღალი სიხშირის ნაწილაკთა გამოსხივებად. მიმართული ენერგიის იარაღი განკუთვნილია სამხადრო ტექნიკის დასაზიანებლად მისი რადიოელექტრონული ელემენტების მწყობრიდან გამოყვანის გზით. მოიცავს გამოსხივების წყაროებს – მძლავ რელატივისტურ მაღალი სიხშირის გენერატორებს, ციკლოტრონული რეზონანსის ლაზერებს და სამიზნის აღმოჩენისა და გამოსხივების მართვის საშუალებებს.

ელექტრომაგნიტურ იარაღში დამაზიანებელ ფაქტორად გამოიყენება რადიოსიხშირული ელექტრომაგნიტური გამოსხივების მძლავრი იმპულსური ნაკადი რადიოელექტრინულ საშუალებებზე. ასეთი დასხივების ზემოქმედებისას მის წრედებში გადადის დენი, რომელიც იწვევს ნახევარგამტარი ელემენტების დროულ ან სტაბილურ დაზიანებას. იარაღის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდნენ ელექტრომაგნიტური ენერგიის მძლავრი წყაროები – აფეთქებამაგნიტური გენერატორები და გამომსხივებლები, რომლებსაც შეუძლიათ ამ ენერგიის კონცენტრირება ვიწრო სივრცულ კუთხეში. მცირე გაბარიტი შესაძლებელს ხდის, შეიქმნას ელექტრომაგნიტური საბრძოლო მასალები რაკეტებისა და თვით საარტილერიო ჭურვების საბრძოლო ნაწილების სახით.

გენეტიკურ იარაღს შეუძლია დააზიანოს ადამიანის გენეტიკური – მემკვიდრეობითი აპარატი. სავარაუდოდ, გენეტიკური იარაღის მოქმედი საწყისი შეიძლება იყოს ზოგიერთი ვირუსი, რომელიც მუტაგენური აქტიურობით ანუ მემკვიდრეობითი ცვლილებების გამოწვევის უნარით გამოირჩევა. იგი ინერგება შემცველ უჯრედის ქრომოსომაში. გმოიყენება ქიმიური მუტაგენები, რომლებიც ბუნებრივი წყაროებიდან მიიღება. ასეთი ზემოქმედება მძიმე დაავადებებს და მათს მემკვიდრეობით გადაცემას განაპირობებს.

გეოფიზიკური იარაღი – გარემოზე დედამიწის მყარ, თხევად თუ აირისებრ გარსებში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებზე განზრახ ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებათა ერთობლიობაა. ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებები შეიძლება იყოს ბირთვული და ჩვეულებრივი იარაღი, სპეციალური ქიმიური რეაგენტები, ელექტრომაგნიტური გამოსხივების მძლავრი გენერატორები და სხვ. არსებობს ვარაუდი, რომ გეოფიზიკური იარაღის მეშვეობით შეიძლება, შეიცვალოს ამინდი ან ჰავა, წარმოიშვას წყალდიდობები, მიწისძვრები, შტორმები, „სარკმელები” ოზონის შრეში და სხვ. ასეთი იარაღის შემუშავებასა და გამოყენებაზე ვრცელდება გარემო ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული გამოყენების აკრძალვის 1977 წლის კონვენცია.

ინფრაბგერითი იარაღი წარმოადგენს არამომაკვდინებელი მოქმედების იარაღის შესაძლო სახეობას. ადამიანზე მისი გავლენა ხორციელდება მძლავრი ინფრაბგერითი რხევების მიმართული დასხივების გამოყენებით. შეიძლება გამოიწვიოს ორიენტაციის ორგანოების და მოძრაობის კოორდინაციის მოშლილობა, თაბრუსხვევა, ნერვულ-ფსიქოლოგიური აშლილობანი, სმენისა და მხედველობის დაკარგვა.

კინეტიკური იარაღი – ეფუძნება დამაზიანებელი ელემენტების კონეტიკური ენერგიის გამოყენებას. ახასიათებს ამ ელემენტების დაბრკოლებასთან შეჯახების მნიშვნელოვანი სიჩქარე – 1 კმ/წმ-ზე მეტი. დამაზიანებელ ელემენტებად შეიძლება, გამოყენებულ იქნეს მცირე გაბარიტის მართული და არამართული რაკეტები, საარტილერიო ჭურვები, ლითონის ნაწილაკები. მიზანშეწონილია კონეტიკური იარაღის გამოყენება რაკეტსაწინაღო და თვითმფრინავსაწინაღო თავდაცვის სისტემაში.

საინფორმაციო იარაღი გამოიყენება ფსიქოლოგიურ ბრძოლაში, რაც გამოიხატება მოშულღლე მხარეების აქტიური მოქმედებით საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ სფეროში. წარმოებს როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს. მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია, შეცვალონ გარკვეული ჯგუფების, ადამიანებისა თუ ცალკეული პირების ემოციური განწყობა სასურველი მიმართულებით. იგი მიჩნეულია სპეციფიკურ იარაღად, რომლის მეშვეობითაც მაღლდება საბრძოლო მოქმედების ეფექტიანობა. ფსიქოლოგიური ბრძოლა წარმოებს ფსიქოლოგიური ოპერაციების განხორციელებების გზით. მის ძირითად ფორმებს წარმოადგენს ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდა, ტელე-რადიო – და ვიდეო საშუალებების მეშვეობით მიმდინარე და სხვა ფორმების პროპაგანდა. 21-ე საუკუნიდან ფსიქოლოგიური ბრძოლის საშუალებათა სახით სულ უფრო დახვეწილი ხდება ე.წ. საინფორმაციო იარაღი. რადიოელექტრონული ბრძოლის სხვადასხვა საშუალებანი, ზემაღალი სიხშირის გენერატორები, საინფორმაციო ვირუსები და სხვ.

მეორე ჯგუფში შემავალი სამხედრო ტექნიკა, თავის მხრივ, შეიძლება განვმარტოთ როგორც ერთობლიობა სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებისა, რომლებითაც აღჭურვავენ შეიარაღებულ ძალებს მათი საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველასაყოფად. სამხედრო ტექნიკაში შედის შეიარაღების შემცველები. თვითმფრინავი, ხომალდი, ტანკი და სხვ.; ჯარების და ძალების მართვის საშუალებანი; სპეციალურ-ტექნიკური საშუალებანი და ზურგის საშუალებანი, სწავლების საშუალებანი და სხვ.

შეიარაღებას ზოგჯერ გამოჰყოფენ დამოუკიდებელ ცნებად – აქედან გამომდინარეობს გამოთქმა „შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა". სამხედრო ტექნიკა შეიძლება დაიყოს შეიარაღებული ძალების სახეობების ან ჯარების გვარეობებისადმი კუთვნილების მიხედვით – სახმელეთო, სარაკეტო ჯარები, სამახედრო-საჰაერო ძალები, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, არტილერია, საინჟინრო ჯარები და სხვ. იარაღის შემცველების მიხედვით – საავიაციო, სახომალდო, ჯავშანსატანკო, სარაკეტო და სხვ. სამხედრო ტექნიკის სწრაფი განვითარება არმიების ბრძოლისუნარიანობის მაღალი დონის ერთ-ერთი პირობაა.

მთელ რიგ შემთხვევებში, სამხედრო ტექნიკისაგან ცალკე მიმართულებად გამოჰყოფენ საბრძოლო ტექნიკას, სამხედრო ტექნიკის ძირითად ნაწილს, რომელიც განკუთვნილია საბრძოლო ამოცანების უშუალო გადაწყვეტისათვის. საბრძოლო ტექნიკას წარმოადგენენ როგორც შეიარაღების ცალკეული სახეობანი, ისე კომპლექსები და სისტემები, აგრეთვე ტექნიკური საშუალებანი, რომლებზეც აყენებენ ამ შეიარაღებას – საბრძოლო მანქანები, თვითმფრინავები და ხომალდები.

ასეთი ზოგადი განმარტების ფონზე, გარკვეული დაზუსტებისათვის, აუცილებელია იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შედარებით სისტემატიზებული და კლასიფიცირებული სახით განხილვა.

იარაღის სახეობათა ცალცალკე დახასიათება საკმაოდ მოცულობითი, შინაარსობრივად დატვირთული და ტევადი ინფორმაციაა, თუმცა, გარკვეულწილად, ზოგადი შეფასებების დონეზე, მათი განცალკევებულ სახეობებად განხილვა მაინც საჭიროა.

შეიარაღების უფრო დეტალურ გაშუქებამდე, აუცილებელია განხილულ იქნეს მისი კლასიფიცირების მიმართულებები, რომლებიც კრებსითი მნიშვნელობით ხასიათდება და აერთიანებს იარაღისა და სამხედრო ტექნიკის განსახილველი ჯგუფის ცალკეულ სახეობებს.

აღნიშნული კრიტერიუმებით ხასიათდება მაღალი სიზუსტის, ანუ მართული იარაღი ჭურვები, რაკეტები, ავიაბომბები, რომელთა ეფექტიანობას, უმთავრესად განაპირობებს ზუსტი მოხვედრება მიზანში. ეს ტერმინი აღნიშნავს იარაღს, რომლის მიზანში პირდაპირი მოხვედრების ალბათობა შეადგენს არა ნაკლებ 0,5–ს სროლის და გაშვების ნებისმიერ სიხშირეზე, მიწვდენის ზონის ფარგლებში. თანამედროვე მაღალი სიზუსტის იარაღი ფასდება 1-5მ წრიული შესაძლო გადახრით. ამ იარაღის პერსპექტიულობა, რეალური მონაცემების მიხედვით, პრაქტიკულად მოიცავს შეიარაღების უმეტეს სახეობებს.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხედრო უსაფრთხოების სისტემის დომინანტი ხდება სტრატეგიული შეიარაღება, ანუ იარაღის სხვადასხვა სახეობანი, სპეციალური საინფორმაციო-მმართველი სისტემები და უზრუნველმყოფი ტექნიკური საშუალებანი, რომლებიც განკუთვნილია სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად. იგი იყოფა სტარეგიულ შეტევითს შეიარაღებად – სახმელეთო-სარაკეტო კომპლექსები საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტებითა და საშუალო სიშორის რაკეტებით, სტრატეგიული წყალქვეშა ნავები და სტარტეგიული ბომბდამშენები; და სტრატეგიულ თავდაცვითს შეიარაღებად – რაკეტსაწინაღო თავდაცვის, ჰაერსაწინაღო თავდაცვის, ნავსაწინაღო თავდაცვის და სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის სარაკეტო კომპლექსები.

თანამედროვე სტრატეგიული შეიარაღების საფუძველს შეადგენს ბირთვული, ბირთვულ-სარაკეტო და მაღალი სიზუსტის იარაღი, ხოლო მათი განვითარების მთავრი მიმართულებაა სახმელეთო და საზღვაო ბაზირების დიდი სიშორის მართული ბალისტიკური რაკეტების შექმნა. სტრატეგიული შეიარაღების საინფორმაციო-მმართველ სისტემებს განეკუთვნება საბრძოლო მართვისა და კავშირგაბმულობის

სისტემა, საინფორმაციო-საანგარიშო სისტემა, რაკეტული თავდაცხმის შესახებ გაფრთხილების სისტემა, კოსმოსური და საჰაერო სივრცის კონტროლის სისტემა, დაზვერვის კოსმოსური სისტემა და სხვ. სტარტეგიული შეტევითი შეიარაღების გამოყენების შესაძლო გლობალური კატასტროფული შედეგები იწვევს საომარი კონფლიქტების შეკავების ფორმებისა და ხერხების ძებნის საჭიროებას.

სწორედ სტრატეგიული შეიარაღების გაშუქებით შეიძლება განვიხილოთ შეიარაღების კონკრეტული კლასიფიცირებული ჩამონათვალი. ამასთან, გასათვალისწინებელია, ისიც, რომ შეიარაღების განხილვა ნაკლებად ეფექტიანი იქნება მხოლოდ მის მსგავს ტექნიკურ-ტაქტიკურ კომპონენტთა დაჯგუფების მიხედვით. უფრო მისაღებია შეიარაღების სინთეზური განხილვის მეთოდიკა, როდესაც იარაღის და სამხედრო ტექნიკის სისტემატიზება ხდება სამხედრო ძალების ნაირსახეობებთან სინთეზით. ასეთი მიდგომით შეგვიძლია განვიხილოთ შეიარაღება შემდეგი დაჯგუფებების მიხედვით.

სტრატეგიული ძალები და მასობრივი დაზიანების იარაღი:

— ბირთვული შეიარაღება;
— სტრატეგიული ძალები;
— საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტები;
— საშუალო სიხშირის ბალისტიკური რაკეტები;
— წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტები;
— ფრთოსანი რაკეტები;
— საჰაერო ბაზირები რაკეტები;
— ბირთვული ბომბები;
— არასტრატეგიული ბირთვული ძალები;
— ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი;
— კოსმოსის სტრატეგიული კვლევა.

სამხედრო-საჰაერო ძალები:

— ბომბდამშენები;
— ავიაგამანადგურებლები;
— საიერიშო ავიაცია;
— სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავები;
— სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავები;
— სადაზვერვო ავიაცია;
— შვეულმფრენები;
— სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები;
— ჰაერში საწვავით კმაგაწყობა;
— საავიაციო შეიარაღება.

სამხედრო-საზღვაო ძალები:

— წყალქვეშა ნავები;
— ავიამზიდები;
— კრეისერები;
— საესკადრო ნაღმოსნები;
— ფრეგატები;
— სადესანტო ხომალდები;
— ნაღმსატრალავი ძალები;
— საბრძოლო კატარღები;
— დამხმარე გემები.

სახმელეთო ჯარები:

— ტანკები;
— საბრძოლო სადაზვერვო მანქანები;
— ჯავშანტრანსპორტიორები;
— ქვეითი ჯარის და დესანტის საბრძოლო მანქანები;
— საინჟინრო შეიარაღება;
— საველე არტილერია;
— „დედამიწა – დედამიწის" კლასის ტაქტიკური და ოპერატიულ-სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსები;
— ტანკსაწინააღმდეგო საშუალებანი;
— სასროლი იარაღი;
— საბრძოლო მოქმედების უზრუნველყოფის ელექტრონული საშუალებანი.

შეიარაღების მეცნიერება მოიცავს განსაკუთრებით დიდ დარგს – საბრძოლო მასალებსა და მათი გამოყენების საშუალებებს - ჭურვებს, ყუმბარებს, ნაღმებს, ბომბებსა და სხვა სახეობებს.

ამ ჩამონათვალთაგან, ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტიურად განიხილავენ ისეთი საიარაღო ზემოქმედების სახეობას, როგორიც არის მოცულობითი აფეთქება. ეს არის საწვავი ნივთიერებისა და მჟანგველის აირისებრი ან აეროზოლური ნაზავის აფეთქება, რომელიც მოქცეულია დახშულ ან ნახევრადდახშულ სივრცეში ან წარმოადგენს გარემოში არსებულ თავისუფალ ღრუბელს. მოცულობითი აფეთქების საჭირო პირობაა საწვავისა და მჟანგველის გარკვეული თანაფარდობა და მაინიცირებელი იმპულსი. მოცულობითი აფეთქებისათვის ატმოსფეროს ჟანგბადის გამოყენების შესაძლებლობამ განაპირობა მოცულობითი დეტონირების საბრძოლო მასალების შექმნა, რომლებიც დატენილია მხოლოდ საწვავი კომპონენტებით – ეთილენის ჟანგი, მეთანი, ბენზინი, ალუმინი და სხვ. საწვავ-ჰაერის ნაზავის ღრუბლის აფეთქების ენერგია შეიძლება რამდენჯერმე აღემატებოდეს იგივე მასის ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერების აფეთქების ენერგიას. მოცულობითი აფეთქების

დამაზიანებელ მოქმედებას აძლიერებს ამ ნაზავის უნარი, ჯერ კიდევ აფეთქებამდე შეაღწიოს არემარის ნაოჭებსა და ნახევრად დახშულ არეებში.

ბირთვული იარაღი

ბირთვული იარაღი ფეთქებადი მოქმედების მასობრივი დაზიანების იარაღია, რომელშიც გამოყენებულია შიდა ბირთვული ენერგია.

შიდა ბირთვული ენერგია გამოიყოფა ქიმიური ელემენტების ურანის ან პლუტონიუმის იზოტოპების ბირთვების გაყოფის ჯაჭვური რეაქციის ან წყალბადის იზოტოპების, დეიტერიუმის ტრიტიუმთან შეერთების – სინთეზის თერმობირთვული რეაქციის შედეგად.

ბირთვული მუხტის აფეთქების სიმძლავრე გამოიხატება ტროტილის ეკვივალენტით, ე.ი ტროტილის იმ რაოდენობით, რომლის აფეთქების დროს გამოიყოფა იმდენივე ენერგია, რამდენიც მოცემული ბირთვული მუხტის აფეთქებისას.

ტროტილის ეკვივალენტის ზომის ერთეულია – ტონა.

1000 ტონა = 1კილოტონას (კტ).

1000 კილოტონა = 1 მეგატონას (მტ).

ბირთვული მუხტების დაყოფა სიმძლავრის მიხედვით:

I. ზემცირე – 1 კილოტონამდე;

II. მცირე – 1 კტ-10 კილოტონამდე;

III. საშუალო – 10 კტ- 100 კილოტონამდე;

IV. დიდი – კტ-1 მეგატონამდე;

V. ზედიდი – 1 მტ-1 და მეტი.

ბირთვული აფეთქების სახეობანი:

1. მაღლივი ბირთვული აფეთქება;
2. საჰაერო ბირთვული აფეთქება(მაღლივი და დაბალი)
3. მიწისზედა ბირთვული აფეთქება
4. მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება
5. წყალზედა ბირთვული აფეთქება
6. წყალქვეშა ბირთვული აფეთქება

ბირთვული აფეთქება შემდეგნაირად მიმდინარეობს:

აფეთქება იწყება მოკლე გაელვებით, რის შედეგაც გამოჩნდება მოკაშკაშე – მნათი არე – დისკო. ეს ცეცხლოვანი სფერო დიდი სიჩქარით ადის მაღლა და ყალიბდება სოკოსებრი ღრუბელი.

მაღლივი ბირთვული აფეთქება – ისეთი აფეთქებაა, რომელიც ხორციელდება დედამიწის ტროპოსფეროს საზღვრის ზემოთ, ე.ი. 10 კმ მაღლა იმ მიზნით, რომ გაანადგუროს მაღლა მფრინავი ობიექტები – თვითმფრინავი, რაკეტა, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი და კოსმიური ობიექტი.

საჰაერო ბირთვული – ხორციელდება 10 კმ სიმაღლემდე და იყოფა ორ სახეობად:

მაღალი – როცა მოკაშკაშე არე არ ეხება მიწის ზედაპირს და აქვს სფეროს – დისკოს ფორმა. მტვრის სვეტი არ არის შეერთებული აფეთქებს ღრუბელთან.

დაბალი – მოკაშკაშე არ ეხება მიწის ზედაპირს, მაგრამ ფორმას არ იცვლის.

მიწისზედა და წყალზედა ბირთვული აფეთქება – ხორციელდება მიწის ან წყლის ზედაპირზე, მოკაშკაშე არე ეხება მიწის ან წყლის ზედაპირს, აქვს ნახევარსფეროს ფორმა და მტვრის ან წყლის სვეტი შეერთებულია აფეთქების ღრუბელთან.

მიწისქვეშა და წყალქვეშა ბირთვული აფეთქება – ხორციელდება მიწის ან წყლის ქვეშ. ამ დროს ამოიყრება დიდი რაოდენობით მიწა ან წყალი, წარმოიქმნება სეისმური ტალღა, მიწაში ჩნდება აფეთქების ძაბრი, წყალში კი წყლის სვეტი და წყლის სვეტის ჩაქცევის შედეგად წარმოქმნილი ბაზისური ტალღა.

ბირთვული მუხტის აფეთქების დროს ტემპერატურა ათეულობით მილიონ გრადუსს აღწევს. ტემპერატურის აწევა წნევის უდიდეს ზრდას და აფეთქების მძლავრ ტალღას იწვევს. იმავდროულად წარმოიქმნება მძლავრი გამოსხივება. ჯაჭვური და სინთეზის რეაქციების პროდუქტები ძლიერ რადიაქტიურია და დიდ საშიშროებას წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმისათვის. აი, ამ ფიზიკური პროცესების შედეგად ყალიბდება ბირთვული იარაღის დამაზიანებელი ფაქტორები.

ბითვული იარაღის დამაზიანებელი ფაქტორებია:

1. დარტყმითი ტალღა;
2. შუქური გამოსხივება;
3. შემღწევი რადიაცია;
4. ადგილის რადიაქტიური დასნებოვნება,
5. ელექტრომაგნიტური იმპულსი.

დარტყმითი ტალღა ეს არის ძლიერად შეკუმშული ჰაერის ნაკადი, რომელიც ზებგერითი სიჩქარით ვრცელდება აფეთქების ცენტიდან ყველა მიმართულებით.

დარტყმითი ტალღა პირველ კმ-ს გადის 2 წამში, მე-2-ს კმ-ს 5 წამში, -მე-3-ს კმ-ს 8 წამში. საეთოდ მიღებული 1 კმ 3 წმ-ში. დარტყმითი ტალღით დაზიანება გამოწვეულია ჭარბი წნევით და მისი ტყორცნითი მოქმედებით.

პირადი შემადგენლობისა და ტექნიკის დაზიანების, ნაგებობების დანგრევის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიმძლავრისა და სახეობისაა აფეთქება, რა მანძილზე იმყოფებიან ისინი აფეთქების ცენტრიდან – ეპიცენრტიდან, რა მდგომარეობაში არიან დარტყმითი ტალღის მოქმედების მომენტში, როგორია ადგილის რელიეფი და არის თუ არა საიმედო თავშესაფრები.

პირად შემადგენლობას დარტყმითი ტალღა აყენებს სამი ხარისხის ტრამვას: მსუბუქს, საშუალოს და მძიმეს.

მსუბუქი ტრამვები– – როცა ჭარბი წნევა= 0,2-0,4 კგ/სმ^2;

საშუალო 0,4-0,5კგ/სმ^2;

მძიმე 0,5კგ/სმ^2 და მეტი; 1კგ/სმ^2- ზე მეტი სასიკვდილოა.

პირადი შემადგენლობა შეიძლება დაზიანდეს დარტყმითი ტალღის არაპირდაპირი მოქმედებით – ქვების, აგურების დაცემა, შენობის ნანგრევები ქვეშ, გადაბრუნებული ტექნიკის ქვეშ მოყოლა და ა. შ.

დაცვა: საინჟინრო ნაგებობები – სანგარი, ტრანშეა, თავშესაფარი, ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი; ქვეითთა საბრძოლო მანქანა და სხვა.

შუქური გამოსხივება – ხილული ულტრაიისფერი და იფრაწითელი გამოსხივებაა. ამ გამოსხივების წყაროა აფეთქების მოკაშკაშე არე. მოქმედებს რამდენიმე წამს.

შუქური გამოსხივების დამაზიანებელი მოქმედების დამახასიათებელი პარამეტრია სინათლის იმპულსი. სინათლის იმპულსი ეწოდება სინათლის ენერგიის იმ რაოდენობას, რომელიც შუქური გამოსხივების მთელი დროის განმავლობაში ეცემა 1სმ^2 ზედაპირს, განლაგებულს სინათლის სხივებისადმი პერპენდიკულარულად. მანძილის გადიდებით სინათლის იმპულსი მცირდება.

სინათლის იმპულსს ასუსტებს: ღრუბლების ეკრანისებული მოქმედება, კვამლის ფარდა, მტვერი, ტყე, ადგილის მდებარეობის რელიეფი და შენობები. შუქურმა გამოსხივებამ შეიძლება გამოიწვიოს პირადი შემადგენლობის კანის დამწვრობა, თვალების დაზიანება, დროებით დაბრმავება, ტექნიკისა და სხვადასხვა საგნების აალება. პირადი შემადგენლობის დამწვრობას იწვევს, როგორც შუქური გამოსხივების პირდაპირი მოქმედება, ასევე აალებული საგნებისა და ტექნიკის ცეცხლი.

დამწვრობა იყოფა ოთხ ხარისხად:

1-ლი ხარისხის დამწვრობა – კანის გაწითლება და მცირე სიმსივნე.

მე–2 ხარისხის დამწვრობა – კანზე ბუშტულების გამოჩენა, რომლის დროსაც საჭიროა სპეციალური მკურნალობა.

მე–3 ხარისხის დამწვრობა – კანის ნეკროზი, წყლულების გაჩენა, რომლის დროსაც საჭიროა ხანგრძლივი მკურნალობა.

მე–4 ხარისხის დამწვრობა – კანისა და უფრო ღრმად მდებარე ქსოვილების ნეკროზი – დანახშირება.

შუქური გამოსხივება იწვევს იარაღის, სამხედრო ტექნიკისა და ნაგებობების დაზიანებას. არაწვადი მასალებისაგან გაკეთებული ნაწილები ჩამოდნება ან მიიღებს დეფორმაციას, ხოლო წვადი თუა, დანახშირდება, აალდება და გაჩნდება ხანძრის კერები.

შუქური გამოსხივებისაგან დასაცავად უნდა გამოვიყენოთ ხრამების, ღარტაფების, ადგილობრივი საგნების, საინჟინრო ნაგებობების, კანის დაცვის საშუალებებისა და ტექნიკის მაეკრანირებელი თვისება. თვალების დასაცავად არსებობს სპეციალური სათვალეები. უნდა ჩატარდეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი.

შემღწევი რადიაცია გამა სხივებისა და ნეიტრონების ერთობლივ გამოსხივებას აფეთქების ზონიდან ეწოდება შემღწევი რადიაცია. მოქმედების დრო 5–15 წამია.

გამა სხივები და ნეიტრონები ვრცელდებიან ნებისმიერ სივრცეში და იწვევენ სივრცის იონიზაციას. ამის გარდა, სივრცის არარადიაქტიური ატომები მათზე

ნეიტრონების მოქმედების შედეგად რადიაქტიური ხდებიან. ამ მოვლენას ეწოდება გამოწვეული – ხელოვნური რადიაცია. ადამიანის ორგანიზმის უჯრედთა ატომები იონიზაციის შედეგად ზიანდება, ირღვევა უჯრედებისა და ორგანოების ნორმალური მოქმედება, რის შედეგადაც ადამიანი ავადდება სხივური დაავადებით.

შემღწევი რადიაცია აშავებს ოპტიკას, აფუჭებს ფოტომასალას და მწყობრიდან გამოჰყავს რადიოელექტრონული აპარატურა. შემღწევი რადიაციის დამაზიანებელი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ხასიათდება გამოსხივების დოზის სიდიდით, ე. ი. რადიაქტიური გამოსხივების ენერგიის იმ რაოდენობით, რომელიც შთანთქმული აქვს მასის ერთეულს დასხივების მთელი დროის განმავლობაში.

დოზა არის ექსპოზიციური და შთანთქმული

ექსპოზიციური დოზის ზომის ერთეულია რენტგენი.

1 რენტგენი – ეს გამა სხივების ისეთი დოზაა, რომელიც 1 სმ^3 ჰაერში ქმნის 2,1 მილიარდამდე წყვილ იონებს.

შთანთქმული დოზის ზომის ერთეულია რადი.

1 რადი – ეს ისეთი დოზა, როდესაც ერთ გრამ ნივთიერებას გადაეცემა 100 ერგის რაოდენობის გამოსხივების ენერგია. შთანთქმული დოზის ერთეულად ში სისტემაში მიღებულია გრეი.

1 გრეი = 100 რადს,

1 რადი = 100 ერგს.

პირადი შემადგენლობის შემღწევი რადიაციით დაზიანება განისაზღვრება მათ მიერ მიღებული შემაჯამებელი დოზით და დასხივების ხანგრძლივობით.

დასხივების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მიღებულია ერთჯერადი და მრავალჯერადი დასხივების უსაფრთხო დოზები.

ერთჯერადი ან პირველი 4 დღე – ღამის განმავლობაში – 50 რადი;

მრავალჯერადი:

ერთი თვის განმავლობაში – 100 რადი;
სამი თვის განმავლობაში – 200 რადი;
ერთი წლის განმავლობაში – 300 რადი.

სხივური დაავადება სიმძიმის მიხედვით იყოფა 4 ხარისხად:

პირველი ხარისხის სხივური დაავადება: დოზა 100 – 200 რადი;

მეორე ხარისხის სხივური დაავადება: დოზა 200 – 400 რადი;

მესამე ხარისხის სხივური დაავადება: დოზა 400 – 600 რადი;

მეოთხე ხარისხის სხივური დაავადება: დოზა 600 რადზე მეტი.

შემღწევი რადიაციისაგან პირადი შემადგენლობის დასაცავად გამოიყენება: საინჟინრო – ფორტიფიკაციული ნაგებობები – სანგრები, ხვრელები, ბლინდაჟები, თავშესაფრები, სამხედრო ტექნიკა – ტანკი და რადიაციის საწინააღმდეგო პრეპარატები. პრეპარატების შეყვანა ორგანიზმში უნდა მოხდეს იმ ანგარიშით, რომ მათ მოასწრონ ორგანიზმის ყველა უჯრედში და ქსოვილში შეღწევა შესაძლო

დასხივებამდე. აბების მიღება 30-40 წუთით ადრე დასხივებამდე, ინექცია კი კეთდება 5 წუთით ადრე.

ადგილისა და მასზედ მდებარე ობიექტების რადიაქტიური დასნებოვნება ხდება ბირთვული მუხტის აფეთქების ღრუბლიდან რადიაქტიური ნივთიერებების ჩამოცვენის შედეგად. ღრუბელი მოძრაობს ქარის მიმართულებით, რადიაქტიური ნივთიერებები თანდათანობით ილექება დედამიწის ზედაპირზე და იქმნება რადიაქტიურად დასნებოვნებული მიწის და წყლის ნაკვეთი, რომელსაც ჰქვია რადიაქტიური კვალი და ვრცელდება ათეულიდან ასეულობით კილომეტრზე. რადიაქტიური დასნებოვნების ძირითადი წყაროა ბირთვული მუხტის გაყოფის ნამსხვრევები და გრუნტის გამოწვეული რადიატიურობა.

ამ რადიაქტიური ნივთიერების დაშლა ხდება α და β გამოსხივებით. ადგილის რადიაქტიული დასნებოვნების მახასაითებელია რადიაციის დონე. ეი ექსპოზიციური დოზის სიმძლავრე, რომლის ზომის ერთეულია რენტგენი/საათში.

პირადი შემადგენლობისათვის საფრთხის მიხედვით რადიაქტიური კვალი იყოფა ოთხ ზონად:

ზონა ა – ზომიერი დასნებოვნების ზონა;

ზონა ბ – ძლიერი დასნებოვნების ზონა;

ზონა გ – საშიში დასნებოვნების ზონა;

ზონა დ – საგანგებოდ საშიში დასნებოვნების ზონა.

ამ ზონების გარეშე რადიაციის დონე – დოზის სიმძლავრე, აფეთქებიდან ერთი საათის შემდეგ. უდრის 8, 80, 240 და 800 რენტ/სთ და 10 საათის შემდეგ-0,5, 5, 15 და 50 რენტ/სთ.

იმის გასაგებად, თუ როგორია სხვადასხვა ობიექტების, პირადი შემადგენლობის, ტანსაცმლისა და კანის დასნებოვნება რადიაქტიული ნივთიერებებით, უნდა გავზომოთ გამოსხივების ექსპოზიციური დოზის სიმძლავრე დასნებოვნებული ობიექტების, საგნების, ტანსაცმლისა და კანის ზედაპირზე.

ზომის ერთეულია მილირენტგ/საათში.

1 მრ/სთ= 10^{-3}რ/სთ; 1 რ= 1000 მრ.

ადგილი ითვლება დასნებოვნებულად, გაჭუჭყიანებულად, თუ რადიაციის დონე უდრის 0,5 რ/სთ-ს.

დასნებოვნებულ ადგილზე მოქმედი პირადი შემადგენლობის დასაცავად გამოიყენება სამხედრო ტექნიკა, ბუნებრივი საფრები და ფორტიფიკაციული ნაგებობები.

ქიმიური იარაღი

მომწამლავ ნივთიერებებს და მათი გამოყენების საშუალებებს ეწოდება ქიმიური იარაღი. მომწამლავი ნივთიერებები წარმოადგენენ ძლიერ ტოქსიკურ ქიმიურ შენაერთებს, რომელთაც აქვთ სპეციფიკური თვისებები.

ქიმიური იარაღის განსაკუთრებული თვისებებია:

1. მომწამლავ ნივთიერებას ჰაერთან ერთად შეუძლია შეაღწიოს არაჰერმეტულ ობიექტში, ტექნიკაში და დააზიანოს იქ მყოფი პირადი შემადგენლობა;

2. აზიანებს ცოცხალ არსებას – ადამიანს, პირუტყვს, ფრინველს, წამლავს ტექნიკას, ობიექტებს, რის გამოც მათი გამოყენება შეიძლება დეგაზაციის შემდეგ;

3. მომწამლავ ნივთიერებას აქვს მოცოლობითი მოქმედების უნარი, ე.ი. ნაწილდება ჰაერის დიდ მოცულობაში და ადგილის დიდ ფართობზე;

4. მომწამლავ ნივთიერებას შეუძლია გარკვეული დროის განმავლობაში შეინარჩუნოს დამაზიანებელი თვისებები ჰაერში, მიწაზე. ტექნიკაზე და სხვადასხვა ობიექტებზე;

5. მომწამლავი ნივთიერების ორთქლი გამოყენების ადგილიდან ვრცელდება დიდ მანძილზე ქარის მიმართულებით;

6. მომწამლავ ნივთიერებას აქვს კუმულატიური თვისება, ე.ი. ორგანიზმში ტოქსიკური ეფექტის დაგროვების თვისება.

ადამიანის ორგანიზმში მომწამლავი ნივთიერების მოხვედრის გზებია:

1. სუნთქვის ორგანოები – ინჰალაცია;
2. თვალების, ყელისა და ცხვირის ლორწოვანი გარსი;
3. კანი – დეზორბცია;
4. ჭრილობები – მიქსტური;
5. კუჭ-ნაწლავი – პერორარული.

საბრძოლო გამოყენების შემდეგ მომწამლავმა ნივთიერებამ შეიძლება მიიღოს ორთქლისებური, აეროზოლისებური და სითხე-წვეთოვანი მდგომარეობა. მიწის ზედაპირის ჰაერის მოსაწამლავად მომწამლავი ნივთიერება გადაჰყავთ ორთქლისებურ და აეროზოლურ – კვამლის და ბურუსის მდგომარეობაში. ადგილის, შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, ტანსაცმლისა და ადამანის კანის მოსაწამლავად კი – სითხე-წვეთოვან მდგომარეობაში.

მომწამლავი ნივთიერების ორთქლს ან აეროზოლის ღრუბელს, რომელიც ჩნდება ქიმიური ჭურვის – ბომბისა და ნაღმის აფეთქების მომენტში, ეწოდება მოწამლული ჰაერის პირველადი ღრუბელი, ხოლო ღრუბელს, რომელიც ყალიბდება მიწის ზედაპირთან მომწამლავი ნივთიერების აორთქლების შედეგად, მოწამლული ჰაერის მეორადი ღრუბელი.

მოწამლული ღრუბელი ვრცელდება ქარის მიმართულებით ათეულ კილომეტრებზე მოწამლული ღრუბლის გავრცელების სიღრმე დამოკიდებულია ადგილის რელიეფზე. მაგალითად, მთაგორიან ადგილზე და ტყეში გავრცელების სიღრმე მაქსიმუმ სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ღია ადგილზე. მომწამლავ ნივთიერებას აქვს აგრეთვე ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა მომწამლავი ნივთიერების მდგრადობა, ე.ი დრო რომლის განმავლობაშიც მომწამლავ ნივთიერებას გამოყენების შემდეგ შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანს.

მომწამლავი ნივთიერების გამოყენების საშუალებებია:

1. რაკეტების კასეტები;
2. საავიაციო ბომბები;
3. საარტილერიო ჭურვები და ნაღმები;
4. ქიმიური ფუგასები, კოჭები და ხელყუმბარები;
5. აეროზოლის გენერატორები.

ქიმიური რაკეტების საბრძოლო ნაწილი წარმოადგენს კასეტას, რომელშიც ჩაწყობილია ბურთისებრი ბომბები. ბომბებში ჩასხმულია 600 გრ. მომწამლავი ნივთიერება – ზარინი, კასეტა იხსნება 1,5 კმ სიმაღლეებზე, ბომბები იფანტება 1კმ^2 ფართობზე და აფეთქების შემდეგ წამლავენ ჰაერსა და მიწას.

საავიაციო ბომბებში ჩასხმულია მომწამლავი ნივთიერება. ასაფეთქებელი მუხტი პატარაა, ასევეა საარტილერიო ჭურვები და ნაღმები, რომელთა შეკაზმულობის დიდ ნაწილს წარმოადგენს მომწამლავი ნივთიერება.

საავიაციო გამომსხმელი დანადგარის დანიშნულებაა დააზიანოს პირადი შემადგენლობა, მოწამლოს ადგილი და ტექნიკა სითხე –წვეთოვანი მომწამლავი ნივთიერებით. ქიმიური ფუგასების დანიშნულებაა დააზიანოს პირადი შემადგენობა, მოწამლოს ადგილი და საინჟინრო ნაგებობები. მაგალითად, ერთ-ერთი ქიმიური ფუგასი წარმოადგენს 5–ლიტრიან ბიდონს, რომლის აფეთქებისას მოიწამლება ადგილი 12,5 მ რადიუსით.

აეროზოლის გენერატორები გამოიყენება დიდ მოცულობის ჰაერის მოსაწამლად. არსებობს მექანიკური და თერმული გენერატორები.

მექანიკური გენერატორებით გამოიყენება მომწამლავი ნივთიერებები CS–ი და CR–ი, თერმული კი – BZ, CS, CR, CN.

თერმული გენერატორი მუშაობს მომწამლავი ნივთიერების აქროლების და მისი შემდეგი კონდესაციის პრინციპით. ქიმიური ხელყუმბარები, პატრონები და კოჭებიც მოქმედებენ ამ პრინციპით.

ბინარული იარაღი წარმოადგენს ქიმიურ ჭურვს, მასში ერთმანეთისაგან იზორილებულად მოთავსებულია ორი ქიმიური ნივთიერება, რომლებიც ცალცალკე არ წარმოდგენენ შხამებს. ამ ჭურვის აფეთქებისას ირღვევა მაიზოლირებელი მემბრანა, კომპონენტები შეერთდებიან და კატალიზატორის საშუალებით წარმოიქმნება მომწამლავი ნივთიერება. ასეთი ჭურვები ძალიან აადვილებს მათ ექსპლუატაციას , მაგრამ ტექნიკურად რთულია და ძვირი.

ქიმიური იარაღის გამოყენების გარე ნიშნები:

1. თვითმფრინავი ჰაერში ტოვებს მუქ ზოლებს, რომლებიც სწრაფად იფანტება და ილექება.
2. საავიაციო ბომბის ან საარტილერიო ჭურვის აფეთქებისას ისმის დაბალი ხმა და წარმოიშობა თეთრი ან ოდნავ შეფერილი ღრუბელი.
3. თვითმფრინავით ან არტილერიით დაბომბვის შემდეგ ადგილზე, ტექნიკაზე, მცენარეთა ფოთლებზე შეიმჩნევა ზეთისებრი წვეთები.

4. მცენარეების ყვავილები და ფოთლები დამჭკნარია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ადრეა.
5. დახოცილია ფრინველები და პირუტყვი.
6. სპეციფიკური სუნი.

ნატოს სტანდარტების მიხედვით მომწამლავი ნივთიერების კლასიფიკაცია ხდება ტაქტიკური დანიშნულების, ადამიანის ორგანიზმზე ფიზიოლოგიური მოქმედებისა და მოქმედების სიჩქარის მიხედვით.

ტაქტიკური დანიშნულების მიხედვით კლასიფიკაცია:
1. სასიკვდილო მომწამლავი ნივთიერება;
2. მწყობრიდან დროებით გამომყვანი მომწამლავი ნივთიერება;
3. გამაღიზიანებელი მომწამლავი ნივთიერება.

ფიზიოლოგიური მოქმედების მიხედვით კლასიფიკაცია:
1. ნერვულ–პარალიზური მოქმედების მომწამლავი ნივთიერება;
2. კანდამაჩირქებელი მოქმედების მომწამლავი ნივთიერება.

ნერვულ–პარალიზური მოქმედების მომწამლავ ნივთიერებების ჯგუფს მიეკუთვნებიან მომწამლავი ნივთიერებები ვი-იქსი (VX), ზარინი (CB) და ზომანი (CD). ძლიერ ტოქსიკური მომწამლავი ნივთიერებები ორგანიზმში მოხვედრისას აზიანებენ ნერვულ სისტემა. დაზიანების გამორჩეული მახასიათებელია თვალის გუგების შევიწროება – მიოზი.

VX – უფერო უსუნო სითხეა. ზამთარში არ იყინება. ცუდად იხსნება წყალში - 5%, კარგად ორგანულ გამხსნელებში და ცხიმში. ღია წყალსაცავებს წამლავს ექვსი თვით. ძირითადი საბრძოლო მდგომარეობაა აეროზოლი. წამლავს მიწის ზედაპირის ჰაერს. მოწამლული ღრუბელი ვრცელდება ქარის მიმართულებით 5-დან 20 კმ-მდე. ადამიანს აზიანებს სუნთქვის ორგანოებში და კანზე მოხვედრისას. წამლავს ნიადაგს იარაღს და ტექნიკას.

იგი გამოიყენება არტილერიის, ავიაციის და ქიმიური ფუგასების მეშვეობით. მდგარადობა ადგილზე: ზაფხულში – 7-დან 15 დღემდე და ზამთარში - სანამ სითბო არ დადგება. დაცვა VX–საგან არის აირწინაღი, საერთო საჯარისო დამცავი კომპლექტი, ჰერმეტული ობიექტები – საბრძოლო მანქანები და თავშესაფარები.

ზარინი – უფერო ან მოყვითალო აქროლადი სითხეა. პრაქტიკულად უსუნო, ზამთარში არ იყინება. იხსნება წყალში და ორგანულ გამხავებლებში, ნებისმიერი პროპორციით, წყალს წამლავს 2 თვემდე. ადამინის კანზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, მოხვედრისას ჩქარა შეიწოვება მათში. ზარინი ვრცელდება არტილერიით, რაკეტებით და ავიაციით. ძირითადი საბრძოლო მდგომარეობაა – ორთქლი. ვრცელდება 20 კმ-მდე. მდგრადობა ზაფხულში რამდენიმე საათია, ზამთარში კი 2 დღე. ზარინი განკუთვნილია პირადი შემადგენლობის დაზიანებისათვის. ზარინისაგან დაცვა ხდება აირწინაღით. ტანსაცმელი შეიწოვს ზარინის ორთქლს.

აირწინაღის მოხსნა შეიძლება მას სემდეგ, როცა ჩატარდება ტანსაცმლის სპეციალური დამუშავება და მოწამლული ჰაერის კონტროლი.

ზომანი – თავისი თვისებებით ჰგავს ზარინს. დაზიანების სიმპტომებია: ძლიერი მიოზი, ჰაერის უკმარობა, ნერწყვის და ოფლის გამოდენა, შიშის გრძნობა, გულის რევა და კუჭის აშლა, კრუნჩხვები, გონების დაკარგვა. შიკვდილი დგება პარალიზების შედეგად.

პირველადი დახმარება: დაზიანებულს ჩამოვაცვათ აირწინაღი, თუ სახეზე აქვს წვეთები სანამ აირწინაღს ჩავაცვამდეთ, კანი უნდა დავამუშაოთ ინდივიდუალური ქიმსაწინააღმდეგო პაკეტით. შპრიც-ტიუბიკით შეუყვანოთ ორგანიზმში ანტიდოტი. თუ წუთში კრუნჩხვებმა არ გაუარეს მეორედ უნდა მიიღოს ორგანიზმმა ეს პრეპარატი და თუ სუნთქვა გაუჩერდა, გავუკეთოთ ხელოვნური სუნთქვა.

კანდამაჩირქებელი მომწამლავი ნივთიერებებია:

იპრიტი – ტექნიკური (H) და გამოხდილი – გასუფთავებული (HD).

იპრიტი – მოყვითალო ან მუქი ფერის სითხეა, ნივრის ან მდოგვის სუნით. ცუდად ზავდება წყალში, კარგად ორგანულ გამზავებლებში. წყალზე მძიმეა, იყინება $+14^0$. კარგად შეიწოვება რეზინის და ფორიანი ნივთების მიერ. საბრძოლო მდგომარეობა – იგი არის წვეთების ან აეროზოლის სახით, მაგრამ შეუძლია შექმნას ორთქლის საშიში კონცენტრაცია. იარაღი ვრცელდება არტილერიით, ნაღმსატყორცნებით, ავიაციით და ფუგასებით. გავრცელების მანძილი 1-20 კილომეტრის ფარგლებში. მდგრადობა შეადგენს: ზაფხულში 2 დღეს, ზამთარში –2-3 კვირას.

იპრიტს აქვს მოქმედების ფარული პერიოდი – 2-8 საათი. კანის დაზიანება იწყება 2-6 საათის შემდეგ მისი გაწითლებით, ერთი დღის შემდე კანზე ჩნდება ბუშტულები, გავსებული სითხით. 2-3 დღის შედეგ ბუშტულები სკდებიან და წარმოიქმნება ძნელად მოსარჩენი წყლულები. იპრიტის ორთქლის ან აეროზოლის შესუნთქვის შემთხვევაში დაზიანების სიმპტომებია: სიმშრალე და წვა ყელში და ცხვირში, მათი დასიება და ჩირქის დენა. მძიმე შემთხვევებში ფილტვების ანთება და 3-4 დღის შემდეგ სიკვდილი. თვალში მოხვედრისას –სიწითლე, დაჩირქება, და ბოლოს, სინათლის დაკარგვა.

დაცვა: აირწინაღი და საერთო საჯარო დამცავი კომპლექტი.

პირველადი დახმარება: იპრიტის წვეთები კანზე დაუყონებლივ დეგაზირებული უნდა იქნეს ინდივიდუალური ქიმსაწინააღმდეგო პაკეტით. თვალების, ცხვირის, პირის და ყელის გამობანა 2% სოდის ხსნარით.

თუ მოწამვლა წყლით ან საჭმლით მოხდა უნდა გამოვიწიოთ ღებინება და შემდეგ მივიღოთ აქტივიებული ნახშირის ფაფა – 100 გრ წყალზე 25 გრ აქტივირებული ნახშირი. იპრიტის აღმოსაჩენად გამოიყენება ქიმიური დაზვერვის საჯარისო ხელსაწყო. არ უნდა დავივიწყოთ იპრიტის სუნი, რის გამოც მუდამ შეიძლება მისი აღმოჩენა ორგანოლეპტიკურად.

ადამიანის ორგანიზმში ციანმჟავისა და ქლორციანის მოხვედრისას ირღვევა უანგბადის გადაცემა სისხლიდან უჯრედებში, რის შედეგადაც ადამიანის ორგანოები და პირველ რიგში ტვინი კარგავს ფუნქციონირების უნარს და ადამიანი იღუპება.

ციანმჟავა და ქლორციანი ეკუთვნიან სწრაფად მოქმედი მომწამლავი ნივთიერებების ჯგუფს.

ციანმჟავა უფერო სწრაფად აქროლადი სითხეა, მწარე ნუშის სუნით. ღია ადგილზე სწრაფად აქროლდება – 10-15 წამში. არ წამლავს ადგილსა და ტექნიკას. დეგაზაცია არ სჭირდება. შენობა, თუ იქ მოხვდა მოწამლული ჰაერი, უნდა განიავდეს. გაყინვის ტემპერატურა უდრის – 14^0-ს, ამიტომ დიდ ყინვაში გამოიყენება ქლორციანთან ან სხვა მომწამვლავ ნივთიერებასთან ნარევში.

გავრცელება ხდება დიდი კალიბრის საავიაციო ბომბებით. ადამიანი ზიანდება მოწამლული ჰაერის შესუნთქვის შედეგად.

დაცვა: აირწინაღი, საფარი და ტექნიკა, აღჭურვილი მფილტრავი სავენტილაციო დანადგარით. ციანმჟავით მოწამვლისას ადამიანი პირში გრძნობს წვას, ლითონის გემოს, ენის წვერი უბუჟდება, თვალები ეწვის, ემართება მიოზი, სისუსტე, თავბრუხვევა, პულსი უვარდება და ეწყება კრუნჩხვები, პარალიზება და შემდეგ სუნთქვაც უჩერდება. მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში – ელვისებური სიკვდილი.

პირველადი დახმარება: გავჭყლიტოთ ანტიდოტი და მოვათავსოთ აირწინაღის ნიღბის ქვეშ. თუ საჭიროა, უნდა გავუკეთოთ ხელოვნური სუნთქვა. აღმოჩენა ხდება ქიმიური დაზვერვის საჯარისო ხელსაწყოთი.

ლორიციანი – უფერო, ციანმჟავაზე უფრო აქროლადი სითხეა, ძალიან არასასიამოვნო სუნით. ტოქსიკური თვისებებით ჰგავს ციანმჟავას. მისგან განსხვავებით აღიზიანებს თვალებს და სასუნთქ ორგანოებს. გამოყენების საშუალებები, დაცვა, დეგაზაცია, პირველადი დახმარება იგივეა, რაც ციანმჟავასათვის.

მხუთავი მოქმედების მომწამლავი ნივთიერება ფოსგენი–უფერო აირია, დამჭკნარი თივის ან დამპალი ხილის სუნით. ჰაერზე 3,5-ჯერ მძიმეა, წყალში ცუდად ზავდება და იშლება.

საბრძოლო მდგომარეობა - ორთქლი. მდგრადობა ადგილზე - 30-50 წუთი. ტრანშეებში, სანგრებში, ხევში შეიძლება დაგუბდეს 2-დან 3 საათამდე. მოწამლული ჰაერის გავრცელების სიღრმე შეიძლება იყოს 2 დან 3 კმ-მდე.

ფოსგენი აზიანებს ადამიანის ორგანიზმს მხოლოდ ორთქლის შესუნთქვის შემთხვევაში.

ადამიანი გრძნობს თვალების უმნიშვნელო გაღიზიანებას, ეწყება ცრემლისდენა, ხველა, გულის რევა, მოწამლული ატმოსფეროდან გამოსვლის შემდეგ ეს მოვლენები ქრება და 4-5 საათის განმავლობაში ადამიანი კარგად გრძნობს თავს. მაგრამ შემდეგ ფილტვების გასიების შედეგად სწრაფად უარესდება მდგომარეობა. ცხვირი, ტუჩები ულურჯდება, ეწყება ძლიერი ხველა, თავის ტკივილი, ტკივილი გულის არეში, სისუსტე და სუნთქვის უკმარისობა, ტემპერატურა აღწევს 38-39^0-ს, ფილტვების გასიება რამდენიმე დღის შემდეგ კლავს ადამიანს. პირველადი დახმარება; დაზიანებულს ჩამოვაცვათ აირწინაღი, გამოვიყვანოთ მოწამლული ატმოსფეროდან, შევუქმნათ სრული სიწყნარე, გავუადვილოთ სუნთქვა, დავახუროთ თბილი რამ,

დავალევინოთ ცხელი სასმელი და რაც შეიძლება ჩქარა მივიყვანოთ სამედიცინო პუნქტში.

ფოსგენისაგან დაცვა – აირწინაღი, თავშესაფარი და ტექნიკა, რომელშიც დამონტაჟებულია მფილტრავსავენტილაციო დანადგარი.

ფოსგენის აღმოჩენა ჰაერში ხდება ქიმიური დაზვერვის საჯარისო ხელსაწყოთი. დაზიანებულისათვის ხელოვნური სუნთქვის გაკეთება არ შეიძლება.

ფსიქო-ქიმიური მოქმედების მომწამლავი ნივთიერება ძ - უსუნო, თეთრი, კრისტალური ნივთიერებაა. წყალში არ იხსნება კარგად ზავდება ქლოროფორმში, დიქლორეთანში და შემჟავებულ წყალში. საბრძოლო მდგომარეობაა აეროზოლი. ვრცელდება საავიაციო კასეტებით და აეროზოლის გენერატორით. აზიანებს ადამიანს იმ შემთხვევაში, თუ იგი შეისუნთქავს მოწამლულ ჰაერს, დალევს მოწამლულ წყალს, შეჭამს მოწამლულ პროდუქტს. ძ–ის მოქმედება იწყება მოწამვლის მომენტიდან 0,5–3 საათის შემდეგ. თუ კონცენტრაცია მცირეა, მაშინ ადამიანს ეძინება და მისი ბრძოლისუნარიანობა ქვეითდება. მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში კი ადამიანს ჯერ აქვს შიშის გრძნობა, გულის აჩქარებული ცემა, თვალების მიოზი, ლაპარაკისას ებმის ენა. ეს მოვლენები შეიმჩნევა 8 საათს. ამის შემდეგ კი ადამიანი ნელ-ნელა უბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას.

პირველადი დახმარება: დაზიანებულს ჩამოვაცვათ აირწინაღი და გამოვიყვანოთ მოწამლული ადგილიდან. პირი, ყელი, ცხვირი გამოვბანოთ სუფთა წყლით. კანის ღია მონაკვეთები უნდა დამუშავდეს ინდივიდუალური ქიმსაწინააღმდეგო პაკეტით. ტანსაცმელი უნდა გაიფერთხოს.

აღმოჩენა ჰაერში ხდება ქიმიური დაზვერვის საჯარისო ხელსაწყოთი.

დაცვა: აირწინაღი, ტექნიკა და საინჟინრო ნაგებობები, რომლებშიც დამონტაჟებულია მფილტრავ-სავენტილაციო აგრეგატი. ახლა მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობა, რომ გამოინახოს ამ ტიპის სხვა ნივთიერებები, რათა გამოიყენონ ქიმიურ იარაღად.

გამაღიზიანებელი მოქმედების მომწამლავი ნივთიერებების ჯგუფს ეკუთვნიან CS (სი-ესი), CR (სი–არ) და ქლორაცატოფენონი.

CS თეთრი კრისტალური ნივთიერებაა წიწაკის სუნით. ცუდად ზავდება წყალში, კარგად – აცეტონში, ქლოროფორმში. საბრძოლო მდგომარეობა – აეროზოლი.

გავრცელების საშუალებებია – საავიაციო ბომბები, საარტილერიო ჭურვები, აეროზოლის გენერატორები და კვამლის ყუმბარები.

მცირე კონცენტრაციით CS აღიზიანებს თვალებს და სუნთქვის ორგანოებს. მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში კი შეუძლია გამოიწვიოს პარალიზება და სიკვდილი.

დაზიანების ნიშნებია: თვალების წვა, ტკივილი, ცრემლისდენა, ცხვირის დაცემინება, სურდო, ხველა, ტკივილი გულმკერდის არეში.

CR ყვითელი კრისტალური ნივთიერებაა. თავისი ფიზიკურ-ქიმიური და საბრძოლო თვისებებით ჰგავს CS, მაგრამ უფრო ძლიერია.

დაცვა – აირწინაღი და ტექნიკა, საინჟინრო ნაგებობები, რომლებშიც დამონტაჟებულია მფილტრავ-სავენტილაციო აგრეგატი.

პირველადი დახმარება – ჩამოვაცვათ აირწინაღი, გამოვიყვანოთ მოწამლული ადგილიდან. გამოვბანოთ პირი, თვალები, ყელი 2% სოდის ხსნარით ან სუფთა წყლით.

მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცილისებრ ქიმიურ ნივთიერებებს ეწოდებათ ტოქსინები.

ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში მოხვედრისას შეუძლიათ გამოიწვიონ მათი ავადმყოფობა და სიკვდილი. ცნობილია ტოქსინები XR – იქსარი და PJ - პი-ჯი, რომლებიც ეკუთვნიან ძლიერ ტოქსიკურ, სასიკვდილო მომწამლავ ნივთიერებათა ჯგუფს.

XR ტოქსინი ბაქტერიული წარმოშობის ბოტულიზმის გამომწვევი თეთრი ან ყვითელი ფერის ფხვნილია, კარგად იხსნება წყალში. საბრძოლო მდგომარეობა – აეროზოლია. ვრცელდება ავიაციით, არტილერიით და რაკეტებით, ადამიანის ორგანიზმში შედის სასუნთქი ორგანოებიდან და კუჭნაწლავიდან. აქვს ფარული პერიოდი 3 საათიდან 2 დღემდე. ავადმყოფობა იწყება უეცრად ტკივილით მუცლის არეში, ღებინებით, თავის ტკივილით. ავადმყოფი ვერ ყლაპავს წყალს და საჭმელს. მხედველობა გაორებული აქვს ან ვერ ხედავს და კვდება. არასასიკვდილო მოწამვლისას მკურნალობას სჭირდება 2-6 თვე.

PG – სტაფილოკოკური ენტეროტოქსინია. საბრძოლო მდგომარეობა – აეროზოლი. ორგანიზმში მოხვედრის გზები: სუნთქვის ორგანოები და კუჭ-ნაწლავი. მოქმედების ფარული პერიოდი – რამდენიმე წუთი. სიმპტომები, როგორც საჭმლით მოწამვლისას: გულის რევა, ძლიერი ტკივილი მუცელში და კუჭის აშლილობა. სიმპტომები გრძელდება 24 საათს. პირველადი დახმარება ტოქსინებით დაზიანებისას: აირწინაღი ან რესპირატორი, კუჭისა და ნაწლავების გამორეცხვა, მოთავსება სამედიცინო პუნქტში და კვალიფიცირებული სამედიცინო დახმარება.

დაცვა: აირწინაღი, რესპირატორი, ტექნიკა და საფარები, რომლებშიც დამონტაჟებულია მფილტრავ-სავენტილაციო დანადგარი.

ფიტოტოქსიკანტები – ქიმიური ნივთიერებებია, რომლებიც აზიანებენ მცენარეებს. ფიტოტოქსიკანტებით დამუშავებულ მცენარეებს სცვივა ფოთლები, შემდეგ კი ხმებიან და იღუპებიან. არსებობს სამი ტიპის რეცეპტურა: ”ნარინჯისფერი”, “თეთრი” და “ლურჯი”. თვითმფრინავებში დამონტაჟებული სპეციალური დანადგარების საშუალები ხდება მათი დაშხეფება მცენარეებზე “ნარინჯისფერის” გამოყენების 1 კვირის შემდეგ მცენარეები იღუპებიან. “თეთრისა” და “ლურჯის” გამოყენებიდან 2-3 დღის შემდეგ მცენარეს მთლიანად სცვივა ფოთოლი და 7 დღის შემდეგ იღუპება.

ქიმიურ, ნავთობგადასამუშავებელ, ცელულოზის, ქაღალდის დამმუშავებელ, ხორცის, რძის გადასამუშავებელ და კვების პროდუქტების გამომშვებ საწარმოებში, რომლებიც ამზადებენ ან ხმარობენ ძლიერ მოქმედ შხამიან ნივთიერებებს, შეიძლება მოხდეს ავარია. ავარიის მიზეზები შეიძლება იყოს: მარაგის ნორმატივების გადაჭარბება, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების დარღვევა, აგრეგატების,

მექანიზმებისა და მილგაყვანილობის მწობრიდან გამოსვლა. იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობისაა ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერება, როგორია მისი ფიზიკური და ტოქსიკური თვისებები, რა სიჩქარე აქვს ქარს, როგორია ატმოსფეროს ვერტიკალური მდგომარეობა, ადგილის რელიეფი და ჰაერის ტემპერატურა, შეიძლება იმ ობიექტის გაერშემო, რომელიც აწარმოებს ან ხმარობს ძლიერ მოქმედ შხამიან ნივთიერებას დიდ ტერიტორიაზე შეიქმნას მოწამლული ზონა, რის შედეგადაც მომსახურე პერსონალმა და ახლომცხოვრებმა მოსახლეობამ შეიძლება მიიღოს მძიმე დაზიანება შხამიანი ნივთიერებით. ძლიერ მოქმედი სხამიანი ნივთიერება აზიანებს ადამიანებს იმ შემთხვევაში, თუ მათ შეისუნთქეს მოწამლული ჰაერი ან იმყოფებიან ადგილზე, ან ეხებიან იმ საგნებს, რომლებზედაც დაიღვარა ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერება. მათ მიერ შექმნილი კერის მთავარი მახასიათებელია მოწამვლის მდგრადობა. ძლიერ მოქმედი შხამიანი ნივთიერების აქროლების სიჩქარე დამოკიდებულია ნიადაგსა და ჰაერის ტემპერატურაზე, ქარის სიჩქარეზე და ატმოსფეროს ვერტიკალურ მდგრადობის ხარისხზე. დიდი მნიშვნელობა აქვს დროულად და ხარისხიანად ჩატარებულ ქიმიურ დაზვერვას დაზიანების კერაში, რის შედეგაც უნდა დადგინდეს შხამის სახეობა, მოწამლული რაიონის საზღვრები, რაიონიდან გასასვლელი გზები და მოწამვლის ხარისხი.

ძლიერმოქმედ შხამიან ნივთიერებებს ეკუთვნიან ქლორი და ამიაკი, რომლებსაც ფართოდ იყენებენ სასმელი წყლის დეზინფექციისათვის, ამიაკს კი სამრეწველო მაცივრებში.

ბიოლოგიური იარაღი, მისი გამოყენების ხერხები და საშუალებები

ბიოლოგიური იარაღი მასობრივი დაზიანების იარაღია. მისი მოქმედება დაფუძნებულია საბრძოლო ბიოლოგიური საშუალებების თვისებებზე გამოიწვიონ დავადებები. ამ იარაღის დანიშნულებაა მასობრივად დააზიანოს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა, სასოფლო – სამეურნეო კულტურები, პირუტყვი და აგრეთვე ზოგიერთი სამხედრო მასალა.

ბიოლოგიური საშუალებები – ეს სპეციალურად შერჩეული ბიოლოგიური აგენტებია, რომლებიც ადმიანის ცხოველისა და მცენარის ორგანიზმში მოხვედრისას გამოიწვევს მძიმე ინფექციურ დაავადებას – ინტოქსიკაციას.

ბიოლოგიურ საშუალებებს განეკუთვნება მიკრობებისა და ვირუსების ცალკეული სახეობები. ბიოლოგიური იარაღის დამაზიანებელი მოქმედება მოგვიანებით ვლინდება. ამ ვადას ეწოდება საინკუნბაციო პერიოდი, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახეობისა და რა რაოდენობის მიკრობები მოხვდნენ ორგანიზმში და როგორია ორგანიზმის ფიზიკური მდგომარება. საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობა 2–დან 5 დღემდეა. გამოწვეული დაავადება შეიძლება იყოს კონტაგიოზური, ე.ი. გადამდები – შავი ჭირი ყვავილი ქოლერა, ციებცხელება დენგე, ციებცხელება მარბურგი, ებოლა,

ლასა და სხვა; და არაგადამდები, ე.ი. არაკონტაგიოზური – ციმბირული წყლული, ტულარემია და სხვა.

ბიოლოგიური საშულებების გამოყენების მეთოდებია:

I. აეროზოლური – ჰაერის მოწმვლა ბიოლოგიური აეროზოლით.

II. ტრანსმისიური – დავადებების გავრცელება მწერების, ტკიპების და მღრნელების საშუალებით.

III. დივერსიული.

ადამიანის ორგანიზმში ბიოლოგიური საშუალებების მოხვედრის გზებია:

1. სასუნთქი;
2. ლორწოვანი გარსი;
3. კანი;
4. კუჭ-ნაწლავი.

ბიოლოგიური იარაღი ვრცელდება საავიაციო ბომბებით, სარაკეტო კასეტებით, საარტილერიო ჭურვებით, ნაღმებით, საავიაციო გამრფქვევი დანადგარებით, სპეციალური კონტეინერებით, ყუთებითა და ტომრებით რომლებსაც აგდებენ თვითმფრინავებიდან.

ბიოლოგიური – ბაქტერიოლოგიური იარაღის გავრცელება ვლინდება შემდეგი ნიშნებით:

– ჭურვების და ბომბების აფეთქების შემდეგ აეროზოლის ღრუბლის გაჩენა;
– დიდი რაოდენობის მწერების, ტკიპების და მღრნელების აღმოჩენა;
– დაავადებული, დახოცილი პირუტყვის, დამჭკნარი ან გამხმარი მცენარეების არსებობა;
– პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილის ავადმყოფობა.

ბიოლოგიურ საშუალებებს ეკუთვნიან პათოგენური მიკროორგანიზმები, ინფექციური დავადებების გამომწვევები, რომლებიც ზომით ძალიან მცირენი არიან, არა აქვთ ფერი, სუნი და გემო, ამიტომ ადამიანს არ შეუძლია გმოიცნოს ისინი ორგანოლეპტიკურად. ზომის, მოწყობილებისა და თვისებების მიხედვით მიკროორგანიზმები ნაწილდებიან კლასებად:

— ბაქტერიები – სხვადასხვა ფორმის ერთუჯრედიანი მიკროორგანიზმებია. ზომა 0,5-მ-10 მილიმიკრონი. მრავლდებიან გაყოფით, ყოველ 28-30 წუთში წარმოიშობა ორი უჯრედი. იღუპებიან მზის სხივების, დეზინფექციური ნივთიერების და მაღალი ტემპერატურის – $+60^0$ მოქმედებით. სიცივეს კარგად იტანენ, გაყინვა-25^0. ზოგიერთ ბაქტერიას არასასურველ პირობებში ყოფნის დროს შეუძლია თავის გარშემო შექმნას დამცავი კაფსულა ან გადაიქცეს სპორად, რომ გადაურჩეს გარე არის მოქმედებას. პათოგენური ბაქტერიები იწვევენ ინფექციურ დავადებებს როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებში – შავი ჭირი, ციმბირული წყლული, ლენგიონელეზი, საპი და ქოლერა. ზოგიერთი ბაქტერია გამოიმუშავებს ტოქსინს, მაგალითად – ბოტულიზმის ტოქსინს,

რომელიც სასიკვდილოა ადამიანისათვის. 1 გრ ბოტულიზმის ტოქსინს შეუძლია დააზიანოს 8 მილიონი ადამიანი.

— რიკეტსიები – თავისებური, ბაქტერიების მსგავსი მიკროორგანიზმების ჯგუფია. პატარა ზომის 0,4 დან 1 მილიმიკრონამდე, უჯრედი – ჯოხია. მრავლდება ბინარული გაყოფით ცოცხალი ქსოვილის უჯრედში, სპორს არ ქმნის და ძალიან გამძლეა. კარგად იტანს გაყინვას, გაშრობას და მაღალ ტემპერატურას. იწვევს დაავადებას: პარტახიან ტიფს და ციებცხელებას.

— სოკოები - მცენარეული წარმოშობის ერთი ან მრავალუჯრედიანი მიკროორგანიზმებია და ბაქტერიებისაგან განსხვავდებიან აგებულებით და გამრავლების მეთოდით. სოკოების სპორები ძალიან კარგად იტანე გაშრობას, მზის სხივებისა და სადეზინფექციო ნივთიერებების მოქმედებას. იწვევენ ადამიანს მძიმე ინფექციურ დავადებებს.

— ვირუსები – ყველაზე წვრილი მიკროორგანიზმებია. არა აქვთ უჯრედული სტრუქტურა, მრავლდებიან ცოცხალ უჯრედებში მათი ბიოსინთეზული აპარატის გამოყენებით.

ზომა 0.02 – 0,4 მილიმიკრონი. ცუდად იტანენ გაშრობას, მზის სინათლეს – ულტრაიისფერ სხივებს; ტემპერატურას $+60^0$ და, აგრეთვე, დეზინფექციის საშაულებებს. იწვევენ დავადებებს: გრიპს, წითელას, ენცეფალიტს, ყვითელ ციებ-ცხელებას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე მწერებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: კალია, კარტოფილის კოლორადოს ხოჭო, ჰესენის ბუზი. სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის დასაზიანებლად გამოიყენება ბაქტერიები, რომლებიც იწვევენ ადამიანისა და პირუტყვის დავადებებს – პირუტყვის შავი ჭირი, ღორების აფრიკული შავი ჭირი, თურქული და სხვა. სამხედრო მასალისა და პროდუქტების გასაფუჭებლად იყენებენ მიკროორგანიზმებს, რომლებსაც შეუძლიათ დაშალონ ბენზინი, გააფუჭონ იზოლაცია, გამოიწვიონ ძვირადღირებული მასალების კოროზია და სხვა.

ბიოლოგიური საშუალებებით დაზიანებისაგან დასაცავად გამოიყენება:

– ინდივიდუალური და კოლექტიურ,ი დაცვის საშუალებები, რომლებიც საიმედოდ იცავენ ადამიანის სუნთქვის ორგანოებს და კანს;
– წყლის კვების პროდუქტების და სხვა ქონების დაცვის და გაუსნებოვნების სპეციალური საშუალებები;
– მწერების და ტკიპების კბენისაგან ადამიანის დასაცავად დამცავი ბადეები და საცხები.

ორგანიზმის შეუვალობის ასამაღლებლად პირადი შემადგენლობა იყენებს ექსტერნულ პროფილაქტიკის საშუალებებს - ანტიბიოტიკებს, სულფანილამიდებს და სხვა.

ბიოლოგიური დაზიანების კერად ითვლება ტერიტორია მასზედ მყოფ ჯარებთან ერთად, რომლებიც მოხვდნენ ბიოლოგიური საშუალებების დარტყმის არეში, რის შედეგადაც ადამიანთა შორის წარმოიშვა მასობრივი ინფექციური დაავადებები.

ბიოლოგიური საშუალებებით დასნებოვნებულად ითვლება ყველა ის ვინც იმყოფება დაზიანებ,ის კერაში და აგრეთვე ისინი, რომლებმაც გამოიყენეს დასნებოვნებული კვების პროდუქტები, წყალი, ან კონტაქტი ჰქონდათ დასნებოვნებულ საბრძოლო ტექნიკასთან. დასნებოვნებულ ადგილზე მოქმედებისას პირადმა შემადგენლობა უნდა შეასრულოს ქცევის განსაზღვრული წესები, რაც მას დაიცავს დასნებოვნებისაგან. ამ წესების თანახმად დაუშვებელია:

— დაზიანების კერიდან გამოსვლამდე და ნაწილობრივი ან სრული სპეციალური დამუშავების ჩატარებამდე, მეთაურის უნებართვოდ, დამოუკიდებლად ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გახდა. გახდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეთაური კონკრეტული მდგომარეობის შეფასების შემდეგ.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია:

— ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე შეხება საბრძოლო ტექნიკასა და სხვა ქონებასთან, სანამდე არ ჩატარდება მათი სპეციალური დამუშავება;

— კონტაქტში შესვლა მეზობელი დანაყოფების პირად შემადგენლობასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან;

— ექსტერნული პროფილაქტიკის, აცრების და სხვა ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების თავიდან აცილება;

— წყლის და კვების პროდუქტების გამოყენება სამედიცინო სამსახურის ნებართვის გარეშე.

ავადმყოფობის პირველივე სიმპტომების გაჩენისას – თავის ტკივილი, სიცხის აწევა, გულის რევა, ღებინება, კუჭის აშლა და სხვა, დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს ან ფერშალს. პირადი შემადგენლობის დაცვა ბიოლოგიური საშუალებებით დასნებოვნებული, სისხლისმწოვი მწერებისა და ტკიპებისაგან ხორციელდება საჯარისო ტანსაცმლის სწორი გამოყენებით, ე.ი. ტანსაცმელი კარგად უნდა იყოს მორგებული ტანზე, შეკრული ყველა ღილზე და დუგმაზე, მანჟეტები კი გადახვეული ბინტით ან ლენტით.

კანის ღია ადგილებს - სახეს, კისერს, ხელის მტევანს და, აგრეთვე, საყელოს და მანჟეტებს, უნდა წაესვას სპეციალური პრეპარატი, რომელიც დააფრთხობს მწერებს და ტკიპებს.

ცეცხლგამჩენი იარაღი

ყველა ქვეყნის შეიარაღების სისტემაში ცეცხლგამჩენ იარაღს დიდი ადგილი უკავია. კაცობრიობის ისტორიაში გადატანილი მრავალი ომის მაგალითი ადასტურებს, რომ ცეცხლგამჩენ იარაღს ძალიან ფართოდ იყენებდნენ საუკუნეების მანძილზე.

ბრძოლის ველზე გამოიყენებოდა, ეგრეთ წოდებული "ბერძნული ცეცხლი", რომელიც თანემედროვე ცეცხლგამჩენი ნარევების პროტოტიპია.

მე-19 საუკუნეში, ნაპოლეონის მიერ ჩატარებული ომების ეპოქაში, პირველად იყო გამოყენებული ცეცხლგამჩენი რაკეტები. შემდეგი განვითარება ამ იარაღმა მიიღო პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. 1898 წელს გერმენელი ტექნიკოსების მიერ გამოგონებულ იქნა ზურგსაკიდი ცეცხლსატყორცნი და პირველ მსოფლიო ომში უკვე ფართოდ გამოიყენებოდა ცეცხლგმჩენი იარაღი. ცეცხლგამჩენი იარაღის განვითარებაში დიდი ნახტომი მოხდა 1942 წელს, როცა სამხედრო მიზნებისათვის გამომუშავებულ იქნა ცეცხლგამჩენი ნარევი ბენზინის საფუძველზე, გასქელებული ნავთენური და პალმეტინური მჟავეები ალუმინის მარილებით. ასეთ ცეცხლგამჩენ ნივთიერებებს ეწოდებათ "ნაპალმი". მეორე მსოფლიო ომის დროს მეომარი მხარეები ფართოდ იყენებდნენ ცეცხლგამჩენ იარაღს. 1976 წელს ისრაელმა არაბების წინაღმდეგ გამოიყენა ნაპალმი. ამერიკელები იყენებდნენ მას კორეასა და ვიეტნამში, რამაც კატასტროფული მსხვერპლი გამოიწვია.

ცეცხლგამჩენ ნივთიერებებს და მათი გამოყენების საშუალებებს ეწოდება ცეცხლგამჩენი იარაღი. ცეცხგამჩენი იარაღის დანიშნულებაა დააზიანოს მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობა, გაანადგუროს შეიარაღება, ტყე და ნათესები. ცეცხლგამჩენი ნივთირებების გამოყენების საშუალებებია:

1. ცეცხლგამჩენი საავიაციო ბომბები, ავზები და კასეტები;
2. საარტილერიო ჭურვები და ნაღმები;
3. სატანკო და ზურგსაკიდი ცეცხლსატყორცნი;
4. ცეცხლგამჩენი ყუმბარები დ ფუგასები.

ცეცხლგამჩენი იარაღის მიერ დაზიანების ძირითადი ფაქტორებია თბური ენერგია და ადამიანისათვის მავნე ტოქსიკური პროდუქტები, რომლებიც გამოიყოფა წვის შედეგად. ეს დამაზიანებელი ფაქტორები მოქმედებენ დროსა და სივრცეში. ისინი შეიძლება დაყოფილ იქნან პირველად და მეორად დამაზიანებელ ფაქტორებად.

პირველადი ფაქტორები - თბური ენერგია, კვამლი და წვის ტოქსიკური პროდუქტები, მოქმედებენ ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენების მომენტში რამდენიმე წუთს. მეორადი ფაქტორები კი, როგორც ხანძრების შედეგად წარმოქმნილნი, მოქმედებენ რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე ან დღეებამდე.

ცეცხლგამჩენი ნივთიერებები და ცეცხლგამჩენი ნარევები არის სპეციალურად შერჩეული ნივთიერებები ან ნივთიერებების ნარევები, რომლებსაც აქვთ აალების, მდგარადი წვის და დიდი თბური ენერგიის გამოყოფის უნარი.

ცეცხლგამჩენი ნივთიერებები და ნარევები იყოფიან შემდეგ ჯგუფებად:

1. ცეცხლგამჩენი ნარევები ნავთობპროდუქტების საფუძველზე – ნაპალმები;
2. მეტალიზებული ცეცხლგამჩენი ნარევები ნავთობპროდუქტების საფუძველზე – პიროგელები;

3. ცეცხლგამჩენი ნივთიერებები - ფოსფორი, პლასტიცირებული ფოსფორი, ტუტე ლითონები და თვითაალებადი ნარევი თრიეთილენალუმინის საფუძველზე;
4. ცეცხლგამჩენი ნარევი თერმიტის საფუძველზე.

ცეცხლგამჩენი ნარევები ნავთობპროდუქტების საფუძველზე ორი სახისაა - გაუსქელებელი და გასქელებული.

ნაპალმები NP_1 NP_2 NP_3 NB – ნავთობის საფუძველზე მომზადებული ჟელესებრი, ბლანტი, მწებვარე სითხეებია. იგი შეიცავს ბენზინს, გამასქელებელ პალმეტინურ მჟავას ალუმინის მარილს, ნაფთენის მჟავას ალუმინის მარილს და ოლეინუმის მჟავას ალუმინის მარილს. მისი წვის ტემპერატურე 1100^0. გავრცელების საშუალებებია: სატანკო, ზურგსაკიდი ცეცხლსატყორცნი, ცეცხლგამჩენი ბაკი. გაუსქელებელი ცეცხლგამჩენი ნარევები მზადდება ბენზინის, დიზელის საწვავის და მანქანის ზეთებისაგან. ისინი კარგად აალდებიან და ძირითადად გამოიყენებიან ზურგსაკიდი ცეცხლმტყორცნელით.

მეტალიზებული ცეცხლგამჩენი ნარევები ნავთობპროდუქტების საფუძველზე – პიროგელები, წარმოადგენენ ნაპალმის სახეობის ცეცხლგამჩენ ნარევებს წვის მაღალი ტემპერატურით – 1600^0 C. წვის დროა 3 წუთი. პიროგელი მზადდება შემდეგი წესით: ნაპალში ამატებენ მაგნიუმისა და ალუმინის ფხვნილს. ასფალტს, მაზუთს და პოლიმერებს, რომლებიც იწვიან. ზოგჯერ ნაპალმს უმატებენ ნატრიუმს. ასეთ ნაპალმს ეწოდება "სუპერნაპალმი". იგი თვითაალდება მიზანზე – განსაკუთრებით კარგად წყალზე და თოვლზე.

ცეცხლგამჩენი ნარევები თერმიტის საფუძველზე არის თერმიტი რკინის ჟანგის და ალუმინის ფხვნილისებური ნარევი.

თერმიტულ ნარევს შეიძლება დაემატოს ბარიუმის ნიტრატი, გოგირდი და ლაქი. აალების ტემპერატურა 1300^0, წვის კი 3000^0C. თერმიტულ ნარევები იწვიან ჟანგბადის და ჰაერის მიწოდების გარეშე.

თეთრი ფოსფორი წარმოადგენს მყარ სანთლისებურ ნივთიერებას, რომელიც ჰაერზე თვითაალდება და ენერგიულად იწვის მწვავე თეთრი ბოლის გამოყოფით. ჭვის ტემპერატურა 1200^0C. თეთრი ფოსფორი გამოიყენება როგორც კვამლის წარმოების საშუალება, ასევე ნაპალმისა და პიროგელის დენთი. პლასტიცირებული ფოსფორი წარმოადგენს თეთრი ფოსფორის და ბლანტი სინთეზური კაუჩუკის ხსნარის ნარევს. იგი დაწნეხილია გრანულებად. პლასტიცრებული ფოსფორი კარგად ინახება ჭურვებში და ნაღმებში.

ცეცხლგამჩენი ნივთიერებების გამოყენების საშუალებებია:

— საავიაციო ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალა;
1. ნაპალმის ცეცხლამჩენი ბომბები,
2. ცეცხლგამჩენი კასეტები,
3. ცეცხლგამჩენი კასეტური დანადგარები.

— საარტილერიო ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალა;

1. რაქტიული მრავალლულიანი დანადგარები,
2. სატანკო ცეცხლსატყორცნი,
3. მექანიზებული ცეცხლსატყორცნი,
4. ზურგსაკიდი ცეცხლსატყორცნი.

— ქვეითთა ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალა;

1. თოფის, ავტომატის, ტყვიამფრქვევის ცეცხლგამჩენი ვაზნები,
2. ცეცეხლგამჩენი და ბოლისგამჩენი პატრონები, ფუგასები,
3. თერმიტის კოჭები, გუნდები და პაკეტები.

ცეცხლგამჩენი იარაღი პირად შემადგენლობას აზიანებს სიდამწვრით.

ნაპალმით დაზიანებას აქვს მთელი რიგი თავისებები:

1. ადამიანის კანზე მოხვედრისას იგი ეწებება კანს, რაც იწვევს არა მართო კანის, არამედ კუნთების და ძვლების დაზიანებას.
2. ნაპალმით დაზიანებული ადამიანი პირველ 30–60 წამის განმავლობაში შოკში ვარდება.
3. ნაპალმით დაზიანებისას ერთდროულად ხდება ზემო სასუნთქი ორგანოების დაწვა, ფილტვების დაზიანება და ორგანიზმის საერთო მოწამვლა.

დიდი რაოდენობის ნაპალმის წვის ადგილიდან ასი მეტრის მანძილზე ხდება დაზიანება გახურებული ჰაერის ნაკადით. ორგანიზმის მოწამვლა ხდება ნახშირბადის ჟანგით, რომელიც წარმოიშობა იმის შედეგად, რომ წვის დროს ჰაერში მყოფი ჟანგბადი იწვის და ნახშირბადის ჟანგის კონცენტრაცია მატულობს. თუ ჰაერში CO-ს კონცენტრაცია უდრის 4%, ხუთწუთიანი ექსპოზიცია სასიკვდილოა.

საბრძოლო ტექნიკაზე ცეცხლგამჩენი ნივთიერებების მოქმდების შედეგად ტექნიკას უჩნდება ცეცხლი, იგი იწვის და გამოდის მწყობრიდან. მანქანებზე ნაპალმის წვეთების მოხვედრაც კი საკმარისია. რომ მათ ცეცხლი წაეკიდოს. თუ ტანკი ადგილზე დგას, ნაპალმი შეიძლება მოხვდეს ტანკის შიგნით, ღია ლუქებიდან, მოძრაობისას კი ჰაერის შემწოვი მოწყობილობიდან. რეზინის დეტალები, შლანგები, იზოლაცია, ბრეზენტის ტენტები, ელექტროგაყვანილობის კაბელები ადვილად აალდებიან. ძრავის მუშაობა შეიძლება შეწყდეს, ვინაიდან ჰაერში იქმნება ჟანგბადის უკმარისობა.

ფორტიფიკაციულ ნაგებობებზე ცეცხლგამჩენი იარაღის მოქმედების შედეგად მწყობრიდან გამოდინ ის ნაგებობები, რომლებიც აშენებულ არიან წვადი მასალისაგან ან აქვთ ამ მასალით გაკეთებული კონსტრუქციები.

ცეცხლგამჩენი იარაღისაგან დაცვა ორგანიზებული უნდა იყოს იმ მიზნით, რომ არ დაუშვან ან მაქსიმალურად დაასუსტონ ცეცხლგამჩენი იარაღის ზემოქმედება პირად შემადგენლობასა და საბრძოლო ტექნიკაზე. ამისათვის საჭიროა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. დროულად გამოვლინდეს მოწინააღმდეგის მიერ ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენების მომზადება;

2. განხორციელდეს ადგილის ფორტიფიკაციული მომზადება;
3. გატარდეს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები;
4. გამოყენებულ იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ტექნიკის დამცავი თვისებები.

მოპწინააღმდეგის მიერ ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენებისათვის მზადება შეიძლება გამომჟღავნდეს შემდეგი გარეული ნიშნებით:

1. მოწინააღმდეგის ჯარისკაცებს აქვთ რეზერვუარები შლანგებით და აცვიათ სპეციალური დამცავი ტანსაცმელი;
2. ტანკზე, ჯავშანსატრანსპორტიორებზე მოწობილია ბრანდსპოიტები, რომლებიც არა ჰგავს ზარბაზანის ლულას;
3. ტანკებზე და ჯავშანტრანსპორტიორებზე დადგმულია რეზერვუარები ცეცხლგამჩენი ნარევებისათვის.

ადგილის ფორტიფიკაციული მომზადება ეფექტურად იცავს პირად შემადგენლობას, საბრძოო ტექნიკას და მატერიალურ ფასეულობას ცეცხლგამჩენი იარაღისაგან. საიმედო დაცვას უზრუნველყოფენ თავშესაფრები, ბლინდაჟები, გადახურული ტრანშეების ნაკვეთები. ხანძარი რომ ტრანშეაში არ გავრცელდეს, ყოველ 50 მეტრზე კეთდება ხანძარსაწინააღმდეგო გათიშვა.

ხანძარსაწინააღმდეგო–პროფილაქტიკური ღონისძიებები მოიცავენ:

1. ხის კონსტრუქციების დაფარვისათვის სპეციალური წასასმელი ნარევების მომზადებას;
2. დანაყოფის განლაგების ადგილიდან გამხმარი ბალახისა და ბუჩქების მოშორებას;
3. წყლის წყაროების რეკოგნოსცირება;
4. ხანძარსაწინააღმდეგო დაფების მოწყობა.

საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვა

თანამედროვე პირობებში მოსახლეობის დაცვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს:

- სამოქალაქო თავდაცვის დაცვითი ნაგებობები;
- ქალაქიდან მოსახლეობის განცალკევება და მოსახლეობის ევაკუაცია უშიშარ ზონაში.

თავშესაფარი ეწოდება ჰერმეტიზებული ტიპის ნაგებობას, რომელიც იცავს ადამიანებს ბირთვული აფეთქების ყველა დამაზიანებელი ფაქტორისაგან, მომწამლავი ნივთიერებებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებებისაგან. თავშესაფარში, რომელიც არის მასიური ხანძრის წარმოშობის ზონაში, ან მეორეული ქიმიური მოწამვლის

კერაში, გათვალისწინებულია აგრეთვე დაცვა მაღალი ტემპერატურისა და ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებებისაგან.

თავშესაფრებს უმეტესად აგებენ იმ ქალაქებში, რომლებიც წარმოადგენენ მოწინააღმდეგის პირველი თავდასხმის სავარაუდო ობიექტს.

თავშესაფრად შეიძლება გადავაკეთოთ მიწაში ჩაღრმავებული ნაგებობები – საცხოვრებელი სახლების, ადმინისტრაციულ-საწარმოო შენობების სარდაფები, სხვადასხვა სახის გვირაბები და სხვა, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაო ადგილები და მაღაროები.

თავშესაფარი ჩვეულებრივ შედგება: ძირითადი შენობის, მფილტრავ-სავენტილაციო კამერის, შესასვლელში ტამბურისა და სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო კვანძისაგან. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ორი შესასვლელი – ერთი ან ორი ჰერმეტული კარები და საავარიო ამოსასვლელი. დიდი ტევადობის თავშესაფრებში შეიძლება გამოიყოს საკუჭნაო საკვები პროდუქტისათვის და სამედიცინო ოთახი.

თავშესაფრის ძირითად ნაკვეთურში აკეთებენ ორ და სამ იარუსიან ტახტებს, რომელთა ქვედა იარუსი გამოიყენება როგორც დასაჯდომად ასევე დასაწილად, ხოლო ზედა იარუსები დასაწოლად.

მფილტრავ-სავენტილაციო კამერაში განლაგებულია სავენტილაციო მოწყობილობა. ამ მოწყობილობამ შეიძლება იმუშაოს ორ რეჟიმზე – სუფთა ჰაერისა – თავშესაფარში ჰაერი შედის გასუფთავებული მხოლოდ მტვრისაგან, მათ შორის რადიაქტიური მტვრისაგან და ფილტროვენტილაციის რეჟიმზე – ჰაერი სუფთავდება მომწამვლავი ნივთიერებებისაგან, ბაქტერიული საშუალებებისა და რადიაქტიური მტვრისაგან. თავშესაფარში ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა უნდა იყოს ზომიერი: ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 70%-ს, დასაშვებია 80%, ხოლო ტემპერატურა – 23^0C, დასაშვებია 31^0C.

თავშესაფარი უნდა იქნეს მოწყობილი წყლის მომარაგების, კანალიზაციის, გათბობის და განათების სისტემით. უნდა ჰქონდეს რადიო და ტელეფონი. გარდა ამისა, თითოეული თავშესაფარი უნდა იყოს აღჭურვილი დაზვერვის საშუალებებით, აგრეთვე დაცვის ტანსაცმლით, რადიაცი-ული და ქიმიური დაზვერვის ხელსაწყოებით, დაზიანების ადგილების აღმნიშვნელი ნიშნე-ბით, სხვადასხვა ინვენტარით - ხანძარსაწინააღმდეგო ჩახერგილი თავშესაფრის შესასვლელების გაწმენდისათვის, სამედიცინო აფთიაქითა და საავარიო განათების საშუალებებით. თავშესაფრის ძირითადი სათავსოს სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა, ამასთან, შენობის იატაკის დონე გრუნტის წყლის დონიდან 20 სმ-ით ზევით უნდა მდებარეობდეს.

თავშესაფარს ღებულობს სპეციალური კომისია. თითოეულ თავშესაფარზე დგება გეგმა, განლაგების ბარათი და მისგან ადამიანების საევაკუაციო გზების სქემა.

თავშესაფარში აკრძალულია ხმაური, თამბაქოს მოწევა, ასანთის ანთება ნებართვის გარეშე, შეტანა ადვილად აალებადი და მკვეთრი სუნის ნივთიერებების, შინაური ცხოველების მიყვანა, ნარჩენების გადაყრა გამოყოფილი ადგილების გარდა, განსაკუთრებული საჭიროების გარეშე სიარული. მომსახურე რგოლის უფროსის

ნებართვის გარეშე არ შეიძლება თავშესაფრის შიდამოწყობილობის მოქმედებაში მოყვანა, შეფარებულნი ვალდებულნი არიან მზადყოფნაში იქონიონ ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებანი.

რადიაციის საწინააღმდეგო საფარი ისეთი ნაგებობაა, რომელიც იცავს ადამიანებს ბირთვული აფეთქების რადიაქტიური და სინათლის გამოსხივებისაგან, აგრეთვე თხევადი მომწამლავი ნივთიერებებისაგან. რადიაციის საწინააღმდეგო საფრები ძირითადად შენდება პატარა ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებსა და სოფლებში. ასეთ საფრებს აშენებენ უშუალოდ ადგილსამყოფელის ახლოს.

რამდენადაც მაღალია რადიაციის დოზის შემცირების კოეფიციენტის სიდიდე, მით უფრო საიმედოა რადიაციის საწინააღმდეგო საფარი. კოეფიციენტის სიდიდე დამოკიდებულია მასალის სისქესა და სიმკვრივეზე.

რადიაციის საწინააღმდეგო საფრების სამ ჯგუფს არჩევენ:

ა) საფრები, რომლებიც რადიაციის დონეს ამცირებენ 200-ჯერ და მეტად;

ბ) საფრები, რომლებიც რადიაციის დონეს ამცირებენ 50-დან 200-მდე;

გ) საფრები, რომლებიც რადიაციის დონეს ამცირებენ 20-დან 50-მდე.

უმარტივესი ტიპის საფრები, მიწურები, თხრილები, სასილოსე ორმოები, მიწისქვეშა გვირაბები, გადასასვლელები და სხვა ჩაღრმავებული ადგილები მოკლე ვადაში შეიძლება იყოს აშენებული ან გადაკეთებული ადამიანების შესაფარებლად. ისინი მნიშვნელოვნად შეამცირებენ მასობრივი დაზიანების იარაღების დამაზიანებელ მოქმედებას.

რეკომენდებულია უმარტივესი საფრები აშენდეს ყველგან: საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საცხოვრებელი სახლების ტერიტორიაზე, შემკრებ საევაკუაციო პუნქტში, რკინიგზის, საზღვაო-სამდინარო, ავტოსადგურებში, აეროდრომებზე, ევაკუირებული მოსახლეობის ჩასხდომის პუნქტსა და ადამიანების თავშეყრის სხვა ადგილებში.

საფრებს, ჩვეულებრივ, აგებენ წინასწარ, მშვიდობიანობის დროს. ისინი შეიძლება მოეწყოს სამეურნეო ობიექტების სათავსოებში, აგრეთვე ჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინების გადაკეთების გზით.

პირველ რიგში, რადიაციის საწინააღმდეგო საფრად უნდა გადაკეთდეს სარდაფები და პირველი სართულის შენობა-ნაგებობები. კერძო სახლებში რეკომენდებულია მოეწყოს საფარი 5-10 ადამიანისათვის, ხოლო საზოგადოებრივი და საწარმოო ობიექტების საჭიროებისათვის გამოყენებულ ნაგებობებში 50 და მეტი ადამიანისათვის.

მშვიდობიანობისა და ომის დროს საფრების ექსპლუატაციის მოთხოვნილების შესაბამისად გათვალისწინებულია ვენტილაცია, გათბობა, წყლით მომარაგება, კანალიზაცია და განათება, ეწყობა ტახტები შეფარებულთა დასასვენებლად საერთო რიცხვის 25-30%-სათვის.

სათავსოების დამცავი თვისებების ამაღლება ხდება კედლის, გადახურვის, კარების სისქის მომატებით, ფანჯრებისა და სხვა ელემენტების ამოშენებით. ამისათვის, გარედან

მიწის ზევით ამოწეულ კედელს მიაყრიან გრუნტს, ამოაშენებენ ფანჯრებსა და ზედმეტ კარებს. გადახურვაზე აყრიან გრუნტს.

სათავსოების ჰერმეტიზაციისათვის გულდასმით ამოქოლავენ ყველა ნაპრალს, ბზარს, ნახვრეტს ჭერზე, კედელზე, ფანჯრებზე, კარის ღიობზე, გათბობისა და წყალსადენის მილების გასვლის ადგილებს, კარზე ამოაკრავენ ქეჩას, რუბეროიდს, ლინოლეუმს ან სხვა მტკიცე მასალას, ხოლო კარების ნაპირებს რეზინებს უკეთებენ.

რადიაციის საწინააღმდეგო საფრების დაცვითუნარიანობას განსაზღვრავს საფრის რადიაციის დოზის შემცირების კოეფიციენტი, რამდენადაც დიდია ეს კოეფიციენტი, იმდენად საფარი საიმედოა. ამა თუ იმ მასალის შემცირების კოეფიციენტის სიდიდე დამოკიდებულია მასალის სიმკვრივესა და სისქეზე, აგრეთვე გამა-გამოსხივების ენერგიაზე.

რადიაციისაგან დაცვის კარგ შედეგს იძლევა მრავალსართულიანი შენობის სარდაფების გადაკეთება საფრებად.

რადიაციის საწინააღმდეგო საფრად ეწყობა აგრეთვე გადახურული თხრილი, მიწური, საფარი ფიჩხის კონისაგან, სასილოსე ორმოები.

გადახურული თხრილი უმარტივესი რადიაციის საწინააღმდეგო საფარია. მათ აშენებენ უმეტესად ისეთ ტერიტორიაზე, რომელსაც არ მოუწევს შენობების ნგრევისაგან ჩახერგვა – ხევებში, დაუსახლებელ ადგილას, მოედნებზე და სხვა. იგი წარმოადგენს გადახურულ თხრილს, რომელსაც ორივე მხარეს აქვს ამოსასვლელი. თხრილი შეიძლება მოეწყოს რამდენიმე ათეული ადამიანისათვის. მის გასამაგრებლად გამოიყენება ფიცარი, წნული, მორები, შპალი, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, აგრეთვე სახელდახელო მასალები. თხრილს გადახურავენ, ზემოდან ასხამენ 20 სმ სისქის ტალახს და შემდეგ აყრიან მიწას 80 სმ-ზე, ჩასასვლელად აკეთებენ საფეხურებს, ვენტილაციისათვის მიწის ზემოდან დააყოლებენ 3 მ სიმაღლის ამომქაჩავ მილს. ზევით მას აფარებენ ხუფს. ქვევით მოწყობილია სპეციალური სახურავი. რადიაქტიურ ნივთიერებათა ცვენისას, რეკომენდებულია სახურავის დაკეტვა 2-3 საათით. სახურავი უნდა დაიხუროს აგრეთვე ქარის დროს, რადგან რადიაქტიური ნივთიერებები შეიძლება მტვერთან ერთად ჰაერში ავიდეს. კარები თხრილში ჰერმეტულად იხურება, ხოლო შესასვლელში კეთდება 1 მეტრზე გამოწეული გადახურვა. იატაკზე უკეთდება წყლის საწრეტი ჭა. კედლის ერთ მხარეს სკამებია დასაჯდომად და წყლის კასრის დასადგმელად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტებზე შენდება უფრო საიმედო რადიაციის საწინააღმდეგო საფარი – მიწური. მათში ადამიანებს შეუძლიათ უფრო დიდხანს დაჰყონ. მიწურის კედლებსა და გადახურვას აკეთებენ მორების, შპალების, ფიცრის, აგურის ან სხვა, რომელიმე მასალისაგან. პირველად აკეთებენ ტრასირებას, შემდეგ კი თხრილს სიგანით 2 მეტრამდე, სიმაღლით – 2 მეტრს, სიგრძით – არანაკლებ 3 მ-ს. მიწურის ძირზე გაკეთებულია დრენაჟი. მიწურის კედლებს ამაგრებენ მორებით, ფიცრებით ან სხვა რომელიმე მასალით. ზემოთ ხურავენ 18 სმ დიამეტრის მორებით. სახურავსა და კედლებს შორის ჰიდროიზოლაციის მიზნით ყრიან 20-25 სმ სისქის

თიხას, შეიძლება ვიხმაროთ ტოლი, რუბეროიდი და სხვა. ზემოდან აყრიან მიწას 80 სმ-ზე. შესასვლელი საფეხურიანია. მიწურში აწყობენ გათბობას, შესასვლელს ორმაგი კარები აქვს.

საფარი შეიძლება აშენდეს ფიჩხის, ლერწმის, მცენარეების ღეროებისაგან და სხვა. ფიჩხის შესაკრავად გამოიყენება რბილი მავთული 1,3 მმ დიამეტრით,. გადახურვისათვის გამოიყენება სათაღე ფიჩხები ლელქაშის 20-25 სმ დიამეტრით. აწყობენ მათ მკვრივად ერთიმეორეზე და ამაგრებენ საფრის მიმართულებით, შუაზე მავთულის ერთი წვერით გადამსვლელ ბოლოზე.

საჭიროების შემთხვევაში საფრები შენდება დარტყმითი ტალღის მოქმედების გათვალისწინებით. უნდა ვიცოდეთ, რომ თხრილები, მიწურები და სასილოსე ორმოები, რომლებიც გადახურულია 1 მეტრ სისქის მიწის ფენით, რადიაციას 1000-ჯერ ამცირებენ.

ხის შენობის კედლები ასუსტებენ რადიაქტიურ გამოსხივებას მხოლოდ 2-3-ჯერ. ასეთი შენობების დამცავი თვისებების გაძლიერებისათვის, უპირველეს ყოვლისა, გაამაგრებენ კედლებს, ამისათვის კედლების სიმაღლეზე, 40-50 სმ დაშორებით, აყენებენ ლასტის ან ფიცრის ფარებს, ხოლო ფარებსა და სახლის კედელს შორის ჩაყრიან გრუნტს. თუ ამის გაკეთება რთულია, მაშინ სახლის კედელს გრუნტს მიაყრიან.

მრავალსართულიან შენობებში რადიაციის საწინააღმდეგო საფრის მოწყობა ყველაზე უკეთესია მის შიდასათავსოებში. ამისათვის, ამოაშენებენ ფანჯრის ღიობებს, ამოქოლავენ სხვადასხვა ბზარებსა და ხვრელებს, მოარგებენ და აკრავენ კარებს მჭიდრო მასალას, ამაგრებენ გადახურვას და აკეთებენ ვენტილაციას.

რადიაციის საწინააღმდეგო საფრებში ადამიანების ხანგრძლივი ყოფნის დროს მთავარია უზრუნველყონ სუფთა ჰაერის შეუფერხებელი მიწოდება, რადგან ნახშირორჟანგის შემცველობა, შეფარდებითი ტენიანობა და ჰაერის ტემპერატურა ასეთ ნაგებობებში მატულობს.

ჩვეულებრივ, ჰაერში 0,02% ნახშირორჟანგია. ხანგრძლივი სუნთქვის დროს ჰაერში ნახშირორჟანგის 2%-ზე მეტის არსებობა ძალზე საშიშია.

მოსახლეობის დაცვის ერთ-ერთ საშუალებად ითვლება ევაკუაცია ქალაქგარეთ უსაფრთხო ზონაში და სოფლის რაიონებში.

განცალკევება – ეს არის იმ საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების ქალაქგარეთ ზონაში გაყვანა და განლაგება, რომლებიც ომის პირობებში განაგრძობენ მუშაობას.

ევაკუაცია წარმოადგენს იმ ობიექტების მუშებისა და მოსამსახურეების ორგანიზებულ გაყვანას, რომლებიც წყვეტენ ქალაქში ან აგრძელებენ ქალაქგარეთ ზონაში მუშაობას, აგრეთვე წარმოებაში დაუსაქმებელი მოსახლეობის ქალაქიდან ქალაქგარეთ რაიონებში ორგანიზებულ გაყვანას.

მოსახლეობის განცალკევებისა და ევაკუაციის უშუალოდ ჩასატარებლად საევაკუაციო კომისიების ხელმძღვანელობით იქმნება შესაკრები საევაკუაციო პუნქტები. მათთვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება სკოლები, კლუბები და სხვა საზოგადოებრივი

შენობები, რომლებიც ახლოსაა განლაგებული საწარმოებთან და მოსახლეობის ტრანსპორტში ჩასასხდომ სადგურებთან. ზაფხულობით ასეთი სადგურები შეიძლება მოეწყოს შენობის გარეთაც.

შესაკრებ საევაკუაციო პუნქტში მისული მოსახლეობა გაივლის რეგისტრაციას, შემდეგ ისინი ნაწილდებიან – ტრანსპორტის ხაზებზე, ეშელონებად და ავტოკოლონებად, ხოლო ქალაქიდან ფეხით გამსვლელნი – კოლონებად.

განცალკევებული და ევაკუირებული მოსახლეობის განლაგების რაიონს წაეყენება შემდეგი ძირითადი მოთხოვნილებები:

— უსაფრთხოება ბირთვული აფეთქებისაგან;
— მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დანგრევის შემთხვევაში დატბორვისაგან;
— ადამიანთა ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური, მათ შორის სანიტარიულ-ეპიდემიური პირობების არსებობა.

ჩასხდომის პუნქტი ეწყობა რკინიგზის ვაგზლებზე, სადგურებზე, ბაქნებზე, აეროდრომებზე, ნავსადგურებსა და საწარმოებთან მისასვლელ გზებზე. ავტომანქანებში ჩასხდომის პუნქტს აწყობენ ევაკუირებული მოსახლეობის განლაგების ადგილის ახლოს.

სასოფლო დასახლების ევაკომიმღები კომისიები ამყარებენ კავშირს ქალაქის ობიექტის საევაკუაციო კომისიებთან და აზუსტებენ მოსახლეობის მიღებისა და დაბინავების გეგმას, ეშელონების, ავტომანქანებისა და ფეხით მოსიარულე კოლონების მოძრაობის გრაფიკს.

ევაკუირებულთა მისაღებ ობიექტებზე ათავისუფლებენ სადგომებს მოსახლეობისა და ობიექტის განლაგებისათვის. აზუსტებენ ადგილობრივ მცხოვრებთა სახლებში, პანსიონატებში, დამხმარე საწარმოებსა და სხვა საზოგადოებრივ შენობებში ევაკუირებულთა ჩასახლების საკითხებს. რაიონის ევაკომიმღები კომისიის მითითებით, მოსახლეობის ქალაქიდან მისაღებად აწყობენ მიმღებ საევაკუაციო პუნქტებს, მათ ქმნიან სკოლებში, საბავშვო ბაღებში, კლუბებსა და სხვა საზოგადოებრივ შენობებში, მოსახლეობის ჩამოსხდომის უახლოესი სადგურის ახლოს.

მიმღები საევაკუაციო პუნქტების მოვალეობაა ქალაქიდან მისული მოსახლეობის შეხვედრა და განაწილება დასახლებულ პუნქტში, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და ორგანიზებულად გაგზავნა დასაბინავებლად.

მიმღები საევაკუაციო პუნქტის პირად შემადგენლობას მუდმივი კავშირი აქვს რკინიგზისა თუ სხვა ჩამოსხდომის სადგურთან, ხვდება რკინიგზის ეშელონს, ავტომანქანების კოლონას, ეხმარება ადამიანებს ჩამოსხდომაში, დახმარებას უწევს მოხუცებს, ინვალიდებს, ფეხმძიმე და მცირეწლოვან ბავშვებიან ქალებს.

მოსახლეობის შეხვედრის, მიღებისა და დროებითი განლაგების ჯგუფი ხვდება, ღებულობს და დროებით აღრიცხავს პუნქტში ქალაქიდან მოსულ მოსახლეობას.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფი უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოებას.

ევაკუირებულნი ვალდებულნი არიან შეასრულონ ადგილობრივი ორგანოების ყველა მითითება, მკაცრად დაიცვან მოქმედების წესები.

განცალკევებულ და ევაკუაციის ადგილებში წინასწარ მზადდება კოლექტიური დაცვის საშუალებები, აშენებენ უმარტივესი ტიპის რადიაციის საწინააღმდეგო საფრებს, ღებულობენ ზომებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დასამზადებლად.

სამხედრო ეკოლოგია

სამხედრო ძალების პირველადი დანიშნულება თავისი ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე ომში გამარჯვებაა, რისთვისაც საჭიროა უზარმაზარი სიმძლავრის მქონე საბრძოლო იარაღის გამოყენება. ომი, თავისი ბუნებით გამანადგურებელია როგორც ადამიანთა სიცოცხლის, ასევე ბუნებრივი გარემოსთვისაც. მძლავრი იარაღის გამოყენებას აუცილებლად თან ახლავს გარემოს დაზიანება. საკმაოდ ხშირად საველე მეთაურს სთხოვენ შეზღუდოს მძლავრი იარაღის გამოყენება. იგი ვალდებულია საბრძოლო მოქმედებების დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს და წესებს დაემორჩილოს, რომლებიც მოითხოვს არასასურველი დანაკარგების თავიდან აცილებას და მშვიდობიანობის აღდგენისთვის მაქსიმალურ ხელშეწყობას.

სამხედრო ძალებს გააჩნიათ ისტორიულად ჩამოყალიბებული თვითშეზღუდვები უმნიშვნელოვენესი ომების დროსაც კი. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში მოქმედ სამხედრო ძალებს ნაბრძანები ჰქონდათ მაქსიმალურად შეემცირებინათ ხელოვნების ნიმუშების, ეკლესიების, კულტურის ძეგლების, არქივების და ბიბლიოთეკების დაზიანება, როდესაც ეს შესაძლებელი იყო ისე, რომ ზიანი არ მიეყენებინათ ჯარისკაცების სიცოცხლის, ან სამხედრო მისიისთვის. საველე მეთაურები ამ ბრძანებას ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებდნენ და საბოლოო დასკვნას სამხედრო აუცილებლობიდან გამომდინარე აკეთებდნენ. რამდენადაც ახალი საუკუნის მიჯნაზე სამხედრო ერთეულები უნდა შეეცადონ, რომ თავიდან აიცილონ გარემოს არასასურველი დაზიანება არა ამარტო წრთვნების, არამედ სხვადასხვაგვარი სამხედრო ამოცანების შესრულების დროსაც. მისიის წარმატება შეიძლება განისაზღვროს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობით, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ბუნებრივი გარემოს მახასიათებლებთან და რესურსებთან. სახმელეთო და საზღვაო ძალებს უნდა შეეძლოთ ბუნებრივი გარემოს დაცვის საშუალებების გამონახვა საბრძოლო ოპერაციების სრული ძალებით წარმოების დროსაც კი. ამისათვის საჭიროა:

- გეგმების შედგენისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაითვალისწინონ გარემოს ბუნებრივი რესურსი სახელმწიფოს სხვა აუცილებელ კანონებთან ერთად;

- დაიცვან ბანაკის ან სამხედრო ოპერაციების ჩატარების ტერიტორიები, როგორც მისიის ჩასატარებლად აუცილებელი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების საშუალებები;
- ეკოლოგიური რისკის შეფასებისა და ეკოლოგიური მართვის პრინციპების გავალისწინებით მოახდინონ ეკოლოგიური ფაქტორების ინტეგრირება მისიის განხორციელების პროცესთან;
- რიგით სამხედროებში დანერგონ ეკოლოგიური ეთიკა;
- გააცნობიერონ მჭიდრო კავშირი გარემოს დაცვისა და სამხედრო მოსამსახურეების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს შორის.

სამხედრო ეკოლოგია არის ბუნებრივი გარემოს დაცვის ყველა ასპექტის გათვალისწინება სამხედრო ოპერაციების წარმოების პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოს დაცვას განსაზღვრავს, როგორც მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას ყოველი სამხედრო ამოცანის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

XXI საუკუნის გარიჟრაჟზე სამხედრო მოქმედებები, მათი წარმოების მეთოდები, იარაღი და თვით სტრატეგიული ობიექტებიც კი რევოლუციურ ცვლილებებს განიცდის. ტექნოლოგიების არნახულმა მიღწევებმა და ამასთან ერთად დედამიწის მოსახლეობის უპრეცენდენტო ზრდამ, ბრძოლის ველის სურათი სრულიად შეცვალა. ახლა ყოველი ჯარისკაცი მზად უნდა იყოს, რათა განახორციელოს ოპერაციათა მთელი სპექტრი ჰუმანიტარულიდან სამხედრომდე და ამასთან ერთად კიდევ ოთხი კატეგორიის სამხედრო მოქმედება – შეტევა, თავადაცვა, სტაბილურობა და დამხმარე ოპერაციები. მეომრებმა უნდა მოახერხონ არ დაარღვიონ გარემოს დაცვის მოთხოვნები და ამავე დროს სამხედრო მოქმედების მაღალი ეფექტურობა შეინარჩუნონ.

ეს ახალი მოთხოვნაა და იგი სრულიად განსხვავდება ტრადიციული, ორგანიზებული ძალადობისგან, რაც სამხედრო ძლიერების საფუძველს წარმოადგენს. იგი ეფუძნება ადამიანების უნარს, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ სასიცოცხლო მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების სისტემებს და იმ შედეგების გაცნობიერებას, რაც ასეთ ქმედებას მოჰყვება. იყო დრო, როდესაც ისეთი ბუნებრივი რესურსები, როგორებიცაა სუფთა ჰაერი, წყალი, ნიადაგი და მწვანე საფარი ამოუწურავი იყო. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ მათი რაოდენობა შეზღუდულია და რომ ისინი დაცვას საჭიროებენ. ეკონომიკური კეთილდღეობისა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის მათი მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო სწრაფად იზრდება.

იმ რეგიონებში, სადაც ადამიანების მზარდი რაოდენობა იკავებს შემოსაზღვრულ და მჭიდროდ დასახლებულ არეებს, ურბანიზაციის, მიგრაციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ლტოლვილების საკითხების სტრატეგიული მნიშვნელობა იზრდება. ასეთ პირობებში ბუნებრივი რესურსები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ კონფლიქტების წარმოქმნაშიც და დარეგულირებაშიც. ნებისმიერი ქვეყნის სახმელეთო ძალების სამოქმედო არეალი უფრო და უფრო მეტად იქნება დაკავშირებული

მშვიდობის შენარჩუნებაზე ურბანულ გარემოში ან მის სიახლოვეს. მაგალითად, შეიძლება მათ მოუწიოთ სტაბილურობის დამყარება, ან იმ ოპერაციების ხელისშეწყობა, რომელთა მიზანი სამოქალაქო მღელვარებების და ომების, ხელისუფლების დამხობის, ან უკანონობის შემთხვევაში წესრიგის დამყარება იქნება. ამ მისიის შესრულება გაძნელდება სუფთა წყლის, საკვების, ან საწავავის ნაკლებობის შემთხვევაში. ამგვარად, ბუნებრივი რესურსები შეიძლება იყოს არა მარტო ყოველდღიური, არამედ სტრატეგიული ფაქტორიც.

ნებისმიერი სამხედრო სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალები უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი და შეეძლოს სწრაფი გადაადგილება, რათა უზრუნველყოს სამხედრო ამოცანის განხორციელება დაწყებული ჰუმანიტარულიდან ტოტალური ომით დამთავრებული. დღევანდელმა მდგომარეობამ აჩვენა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა მოქნილობა ასევე აუცილებელია სრატეგიული და ყოველდღიური ამოცანების ფარგლებშიც. მაგალითად, სამხედრო ქვედანაყოფებმა შეიძლება შეზღუდულ დროსა და გარემოში საბრძოლო მოქმედებები აწარმოონ უფრო დიდი მასშტაბის სამშვიდობო ოპერაციის ფარგლებში. მათ ასევე წარმატებით უნდა შეძლონ გარემოს დაცვითი ღონისძიებები მოცემული სიტუაციის გათვალისწინებით გაატარონ.

ეკოლოგიური საფრთხის გაცნობიერებამ საფუძველი დაუდო მრავალ კანონს, წესს და საერთაშორისო ხელშეკრულებას. ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეები სათანადოდ აფასებენ და მოითხოვენ სუფთა და ჯანსაღ გარემოს. სამხედრო ძალებმა ყოველთვის ქვეყნის პოლიტიკური კურსისა და ხალხის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა იმოქმედონ. მათ პატივი უნდა სცენ ეროვნულ ღირებულებებს და დაემორჩილონ ქვეყანაში არსებულ კანონებს. სწორედ ამიტომ მათ უნდა გამოიმუშაონ სათანადო ჩვევები და დასახონ შესაბამისი გარემოს დაცვის პროგრამები.

აუცილებელია გარემოს დაცვის საკითხებში სამოქალაქო და სამხედრო სამსახურების ინტეგრაცია. ეს მასალა მიზნად ისახავს გვიჩვენოს, რომ შესაძლებელია ეს ინტეგრაცია სავსებით უმტკივნეულოდ მოხდეს და ბუნმებრივად შეერწყას სახმელეთო და საზღვაო ძალებში უკვე მიმდინარე პროცეებს. სამხედრო ეკოლოგიის ინტეგრაცია უფრო ევოლუციური პროცესია, ვიდრე ჩვენს სამხედრო ძალებში მიმდინარე ცვლილებებთან რევოლუციური ადაპტაცია. ეს ახალი კონცეფცია ყოველი ჯარისკაცისა და მეზღვაურის ბუნების ნაწილად უნდა იქცეს. შესაძლებელი და აუცილებელია, რომ სტანდარტად იქცეს ბუნებრივ გარემოსთან სწორი დამოკიდებულების შერწყმა ტაქტიკის, ტექნიკისა და მოქმედების გონივრულ ტაქტიკურ დოქტრინებთან. სამხედრო ეკოლოგია პირდაპირ უკავშირდება რისკის მენეჯმენტს და ჯარისკაცების უსაფრთხოებას. იგი დამხმარე ელემენტია მეთაურებისთვის და, ამდენად, სამხედრო დაგეგმვის, წრთვნებისა და ოპერაციების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ასეთ ვითარებებში დაისმის კითხვა, რა არის სამხედრო ეკოლოგია და როგორ გამოვიყენოთ იგი:

- საფუძვლიანი ცოდნის შესაძენად;
- სახელმძღვანელოდ დაგეგმარების პროცესში;
- სახელმძღვანელოდ წრთვნის პროცესში;
- სახელმძღვანელოდ ოპერაციების ჩატარების პროცესში;
- სახელმძღვანელოდ აპარატურის დაყენებისა და შესაბამისი მომსახურე პერსონალის დანიშვნისას;
- სახელმძღვანელოდ მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობაზე გარემო პირობების ზემოქმედების გათვალისწინებით.

განმარტება საშუალებას იძლევა უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ ინფორმაციას, რომელსაც მასალის ძირითადი ნაწილი გვაწვდის. ფაქტობრივად, იგი სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს საწყის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია დაგეგმვის, წრთვნისა და ყოველგვარი სამხედრო ოპერაციის ჩატარებისას.

სამხედრო ძალების უპირველესი ამოცანა საკუთარი ქვეყნის, მისი მიწის, მოსახლეობის და ტრადიციების დაცვაა. ეროვნული უშიშროების სტრატეგია სადღეისოდ აუცილებელია გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებსაც შეიცავდეს. გარდა ამისა, საზოგადოება, საკუთარი სახსმელეთო და საზღვაო ძალებისგან მათთვის მინდობილი ფინანსური, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების მოთხოვნის შესაბამის დონეზე, დაცვას მოელის. სახმელეთო და საზღვაო ძალების წესები და მსოფლმხედველობა ამ საკითხებთან დაკავშირებით, ისევე როგორც ლიდერების პასუხისმგებლობა, უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გაასაგებად, თუ როგორ განვახორციელოთ გარემოს დაცვა სამხედრო მოქმედებების დროს.

სტრატეგიული ფაქტორები, რომლებიც საერთაშორისო უსაფრთხოებას და სტაბილურობას განაპირობებდა, მკვეთრად შეიცვალა. დედამიწის მოსახლეობა და ინდუსტრიალიზაცია მკვეთრად გაიზარდა. ტექნოლოგიური განვითარება დაჩქარდა. ამ მოვლენებმა სტრატეგიული ანალიზის საფუძვლები შეცვალა. ფუნდამენტურად შეიცვალა მოსახლეობისა და ბუნებრივი რესურსების ურთიერთმიმართება.

ბუნებრივი გარემოს განსაზღვრებაა, როგორც "ადამიანურ ეკოსისტემა, რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც ფიზიკურ, ასევე ბიოლოგიურ სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანების სიცოცხლისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსების - სუფთა ჰაერის, სუფთა წყლის, ჯანსაღი გარემოს, ჯანსაღი საკვების საკმარისი რაოდენობის შენარჩუნებას. ბუნებრივ გარემოში იგულისხმება აგრეთვე ადამიანის ხელით შექმნილი ისეთი სტრუქტურები, როგორებიცაა ბუნებრივი და გამოყენებული წყლის გამწმენდი მოწყობილობები.

რესურსების ნაკლებობით გამოწვეული, ან გაღრმავებული კონფლიქტები ახალი არაა. ის, რაც ერთ დროს ადგილობრივი, ან რეგიონალური პრობლემა იყო, ახლა მთელ დედამიწას მოიცავს. რესურსების ნაკლებობა ქვეყნებს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ თავისი მოსახლეობის მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ. ამის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტები სამხედრო დაპირისპირებებამდეც კი მიდის.

სტრატეგიული რესურსები ხშირად ხდება კონფლიქტების მიზეზი. გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირებული ფართო დისტრიბუციისა და მასალათა შემცვლელების წარმოება, უკმარისობის შესუსტებას განაპირობებს. ისეთი სასიცოცხლო რესურსებით დაკმაყოფილებაც კი, როგორიცაა სუფთა ჰაერი, წყალი, ნაყოფერი მიწები და ტყეები, შეუძლებელია. ამდენად, შესაძლებელია ისინი რეგიონალური არასტაბილურობის კატალიზატორებადაც იქცნენ.

ეკოლოგიური დეგრადაცია, სტიქიური უბედურებები, შიმშილობა, ეპიდემიები და კლიმატური ცვლილებები შეიძლება ქვეყნის ეკონომიკას დაემუქროს და მისი მოსახლეობა აიძულოს ქვეყნის საზღვრებს გარეთ ეძებოს თავშესაფარი.

სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის ეკოლოგიური საფრთხის შექმნა შეიძლება გამოიწვიოს საომარმა მოქმედებებმა და ტერორისტულმა აქტებმა. ეკოლოგიური საფრთხე შეიძლება შექმნას, ასევე, განვითარებულმა ქვეყანამ.

ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასთან, როგორიცაა მაგალითად ჯებირების მშენებლობა, რომელიც მდინარის მიმართულებას ცვლის და წყალს უჭრის მეზობელ ქვეყანას, შეიძლება რეგიონში არასტაბილურობისა და კონფლიქტის ხელშემწყობ ფაქტორად იქცეს. რეგიონალურმა ეკოლოგიურმა საფრთხემ შეიძლება გამოიწვიოს მოვლენები, რომლებმაც შეიძლება სიღარიბის ზრდამდე მიგვიყვანოს. ასეთი სიტუაციები მოქალაქეებს ძალადობრივი ქმედებებისაკენ უბიძგებს.

მსგავსი ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილება ხდება: ბუნებრივი რესურსების დაცვით; სამხედრო მოსამსახურეების უსაფრთხოების ზომების მიღებით; შეტევითი, თავდაცვითი და პრევენციული ოპერაციების ჩატარებით, როდესაც ამას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს. ეკოლოგიურმა საფრთხემ შეიძლება სიძნელეები შეუქმნას მეთაურებს ბუნებრივი რესურსების გაუფრთხილებლობით, როგორც საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობის, ასევე მოსამზადებელ და ოპერაციის შემდგომ პერიოდებში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

[1]. ე. მეძმარიაშვილი. საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკური წინაპირობები და სამხედრო უსაფრთხოების კონცეფტუალური მოთხოვნები. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება“. სპეციალური გამოცემის ჟურნალი. თბილისი, 2005 წ. 49-59 გვ.

[2]. Н.А.Нартов. Геополитика. UNITY. М. 2003. 439стр.

[3]. А. Дугин. М. АРКТОГЕА. Основы геополитики. 1997 г. 410стр.

[4]. Плешанов К.В. Геополитика в свете глобальных времен. Международная жизнь. № 10. 1994 г. Стр. 32-34.

[5]. В.И.. Слипченко. Подготовку государства и Вооруженных Сил необходимо вести к будущим войнам, а не к прошедшим..Военное обозрение № 31. 2003. Стр. 22-23.

[6]. საქართველოს კანონი თავდაცვის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 ოქტომბრის № 1030-ს ბრძანებულება.

[7]. Общие Военные проблемы. Зарубежное военное обозрение. №6. 2000 г.

[8]. ე. მეძმარიაშვილი. თავდაცვისათვის საქართველოს ტერიტორიის მზადყოფნისა და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საომარი, საგანგებო და ექსტრემალური გარემო. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება“. სპეციალური გამოცემის ჟურნალი. თბილისი, 2005 წ. 77-79 გვ.

[9]. Военный Энциклопедический Словарь. Том I и Том II. Москва. Издательство «РИПОАКЛАССИК». 2001.

[10]. Operations. FM 3-0 (100-5). Headquarters Department of the Army. Washington. 14 July 2001.

[11]. Peace Operations. FM 3-07.3 (old 100-23). Headquarters Department of the Army. Washington. 1 Jun 2000.115 p.

[12]. Operations in a Low-Intensity Conflict. FM 3-21.98 (old7-98). Headquarters Department of the Army. Washington.19 October 1992. 201 p.

[13]. Counterguerrilla Operations. FM 90-8. Headquarters Department of the Army. Washington. 29 August 1986. 176 p.

[14]. Civil Disturbances. FM 19-15. Headquarters Department of the Army. Washington. 25 November 1985.159 p.

[15]. Peace Operations: Multi-Service Tactics, Techniques, And Procedures For Conducting Pease Operations. FM 3-07.31. Headquarters Department of the Army. Washington. 26 October 2003.

[16]. ე. მეძმარიაშვილი. სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების როლი თანამედროვე სამხედრო ხელოვნების პერსპექტიულ კონცეფციებში. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება“. სპეციალური გამოცემის ჟურნალი. თბილისი, 2005წ. 147-154 გვ.

[17]. Space Support to Army Operations. FM 3-14 (100-18). Headquarters Department of the Army. Washington. May 2005.

[18]. С. Гриняев. Философия войн XXI века .НВО. #40- 2003г.

[19]. Э. Медзмариашвили и др. космическая система «СС-1». АС СССР. № 232040, 1986г.

[20]. E. Medzmariashvili, G.Beducadze. Creation of Mobile/Transformable Constructions (Deployable Space Antenna Reflectors, Engineering Bridges, Warehouses etc. A report for the NATO LG – 9 Meeting. Orlando, Florida (USA), 2000. 4 p.

[21]. E. Medsmariaschwili und anderen. Untersuchung von Mechanishen Entfaltkonzepten fur Grosse Entfaltantennen und Deren Verfikation. Technisher Bericht. Gemass dem Vertag Nr. 150104-95011334. “Daimler Benz Aerospace” – “Dornier Satellitensysteme” Gmbh (DSS), 1997. 68 p.

[22]. E. Medzmariashvili, G. Kinteraia, L. Datashvili. 5-30 Meter Deployable High-Precision Lightweight Space Antenna Reflectors and the Ground-Based Stand-Test Complex for Assembling and Testing Large Deployable Space Structures. Proceedings of European Conference on Spacecraft Structures, Materials and Mechanical Testing, Braunschweig (Germany), 1999. 8 p.

[23]. E. Medzmariashvili, V. Blagov, A. Cherniavsky. A Space Experiment Confirms Reflector’s High Reliability. Aerospace Courier, No 6, 1999. 4 p.

[24]. E. Medzmariashvili, a. Cherniavsky. New experiment at orbital Mir Station. Aerospace Courier, No 4, 1999. 2 p.

[25]. Э. Медзмариашвили. Технические предложения по созданию СВЧ системы обнаружения баллистических ракет «Першинг-2», стартующих с территории ФРГ. specialuri tomi გრიფით „სრულიად საიდუმლო” 1984წ. განახლებულია 2005 წელს.

[26]. Э. Медзмариашвили и др. Наземная, перебазируемая, полноповоротная, трансформируемая радиоантенна «НПР» диаметром зеркала 12 м. Научные Труди СКБ – Тбилиси, специальное Конструкторское Бюро. Сборник № 1. Трансформируемые конструкции. Тбилиси, 1989 г. 8 стр.

[27]. “Энциклопедия современного оружия и боевой техники”. Том 1. Полигон. АСТ. Санкт-Петербург. 1997г.

[28]. А.А. Арбатов. А.А.Васильев. Е.П.Велихов и др. Космическое оружие дилемма безопасности. М. 1986. Space Weapons. Peterrence or Pelusion. Bylkeley R. Spinardig. Cambrige 1986. XV

[29]. E. Medzmariashvili. Deployable Space Reflector Antenna. International publication number WO 03/003517 A1 2003. International Application Published under the patent cooperation Treaty (PCT). 83 p.

[30]. Э. Медзмариашвили. О проведении технического эксперимента «Рефлектор» в рамках программы полета станции «Мир». Книга. Итоговый отчет утвержден и зарегистрирован в ракетно-космической корпорации «Энергия». П 35016-2Ц2, Москва, 1999г. 101 стр.

[31]. E. Medzmariashvili, I. Efremov, A. Cherniavsky. Space Experiment “Reflector” on “Mir” O/S. Final report; HTTP://egs.codmod.ru/freport.htm November 20, 1999. 3 p.

[32]. E. Medzmariashvili and others. Building Blocks of Advanced Large Stowable Precision Membrane Reflector. Proceedings of European Conference on Spacecraft Structures, Materials and Mechanical Testing; Noordwijk, 2000. 7 p.

[33]. E. Medzmariashvili, V. Blagov, A. Cherniavsky. A Space Experiment Confirms Reflector High Reliability. (Printed for a new time). Memorandum “Large Deployable Antennas and Related Presentations”; European Space Agency, ESTEC, 2000. 4 p.

[34]. E. Medzmariashvili, I.Efremov, G. Kinteraia, A. Cherniavsky. Space Experiment “Reflector” Abroad the “Mir” Orbital Station. (Printed for a new time). Memorandum “Large Deployable Antennas and Related Presentations”; European Space Agency, ESTEC, 2000. 9p.

[35]. E. Medzmariashvili, g. Kinteraya, L.Datashvili. 5-30 Meter Deployable High-Precision Lightweight Space Antenna Reflectors and the Ground-Based Stand-Test Complex for

Assembling and Testing Large Deployable Space Structures. (Printed for a new time). Memorandum “Large Deployable Antennas and Related Presentations”; European Space Agency, ESTEC, 2000. 8 p.

[36]. Э. Медзмариашвили, А. Чернявский. Новый эксперимент на орбитальной станции «Мир». Журнал «Аэрокосмический курьер», №4, 1999г. 2стр.

[37]. Э. Медзмариашвили, В. Благов, А. Чернявский. Космический эксперимент подтвердил надежность «рефлектора». Журнал «Аэрокосмический курьер», №6, 1999г. 4стр.

[38]. E. Medzmariashvili and others. Space Experiment “Reflector” on Testing the Large-Scale Deployable High-Precision offset Antenna Reflector of a New Generation at the Orbital Station “Mir”. Proceedings of Millennium Conference on Antennas & Propagation; Davos (Switzerland), 2001, vol.1. p 1.

[39]. E. Medzmariashvili and others. Theoretical and Ground Experimental investigations of a Large-Scale Deployable Space Antenna Reflector by the Space Experiment Program “Reflector”. Proceedings of Millennium Conference on Antennas &Propagation; Davos (Switzerland), 2001, vol.1. 1p.

[40]. E. Medzmariashvili and others. Complexes of Engineering Constructions and Large Space and Mobile Ground Antennas Testing. 4th International Symposium on “Environmental Testing for Space Programmers; Liege (Belgium), 2001. 4 p.

[41]. E. Medzmariashvili and others. Large Deployable Space Antenna. 25th ESA Antenna Workshop on Satellite Antenna Technology, 18-20 September 2002. ESTEC, Noordwijk, The Netherlands.

[42]. О военном искусстве. Избранные произведения. Москва. ЭКСМО.2003.

[43]. Э. Медзмариашвили. Трансформируемые системы в космосе и на земле. Тбилиси. 1995.

[44]. Clausewitz on Strategy. Edited with commentary by Tiha von Ghyczy, Bolko von Oetingez, and Christopher Bassford. “John Wiley&Sons.Inc, New York. 2000. 218 p.

[45]. B.H. Liddel Hart. Strategy the Indirect Approach. New-York. 1954.

[46]. Б.Х. Лиддел Гарт. Стратегия непрямых действий. Издательство иностранной литературы. Москва. 1957.

[47]. როინ მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. ”საბჭოთა საქართველო”. თბილისი 1990 წ.

[48]. Арнольд В.И. Теория катастроф. М. НАУКА. 1990 г.320 стр.

[49]. Stability Operations And Support Operations. FM 3-07. Headquarters Department of the Army. Washington.. 20 February 2003. 232 p.

[50]. Н.Н Ефимов; Ф.С. Фролов. О применении теории катастроф в военном деле. Военная мысль. №4. 1996 г. Стр. 57-63.

[51]. ე. მეძმარიაშვილი. კონცეფტუალური პრინციპების ტრანსფორმირების აუცილებლობა სამხედრო ხელოვნებაში. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება“. სპეციალური გამოცემის ჟურნალი. თბილისი, 2005 წ. 19-25 გვ.

[52]. David Jablonsky. US Military Doctrine and the Revolution in the Military Affairs. Parameters, US Army College Quarterly – Autumn. 1994. p.1-16.

[53]. В.И. Слипченко. Подготовку государства и Вооруженных Сил необходимо вести к будущим войнам, а не к прошедшим. НВО №31. 2003 г. Стр.15-16.

[54]. J.Christopher Jones. Design Methods Seeds of human futures. “Wiley-Interscience”. London, New York, Sydney, Toronto. 1972. 347 p.

[55]. «Correspondance de Napoleon ler, public par orde de l'Empereur Napoleon III", XIII, 10809 (1858-1870).

[56]. ანტუან-ანრი დე ჟომენი. "სამხედრო ხელოვნების რეზიუმე". 1938 წ.

[57]. ე. მეძმარიაშვილი. საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სტრატეგიული მახასიათებლების კრიტერიუმების განსაზღვრა. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება". სპეციალური გამოცემის ჟურნალი. თბილისი, 2005წ. 99-104 გვ.

[58]. ე. მეძმარიაშვილი. დამოუკიდებლობის ადრეულ ეტაპებზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საწყისი ბაზა და თავდაცვის კანონმდებლობის სამხედრო-საინჟინრო სპექტრი. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება". სპეციალური გამოცემის ჟურნალი. თბილისი, 2005 წ. 155-165 გვ.

[59]. ე. მეძმარიაშვილი. საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბების სახასიათო საბჭოთა პერიოდი. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება". სპეციალური გამოცემის ჟურნალი. თბილისი, 2005 წ. 167-169გვ.

[60]. ე. მეძმარიაშვილი. საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწყისი მდგომარეობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება". სპეციალური გამოცემის ჟურნალი. თბილისი, 2005 წ. 171-176 გვ.

[61]. ე. მეძმარიაშვილი. სამხედრო განათლების შესახებ. გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია. თბილისი, 2001 წ. 69 გვ.

[62]. ე. მეძმარიაშვილი. საქართველოში ბრძოლებისა და ოპერაციების უზრუნველყოფისათვის ტერიტორიის საინჟინრო აღჭურვის, სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების, ტექნიკისა და კონსტრუქციული სისტემების ბაზის შექმნის საინჟინრო იდეოლოგიის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება". სპეციალური გამოცემის ჟურნალი. თბილისი, 2005 წ. 177-189 გვ.

[63]. ე. მეძმარიაშვილი. ქვეყნის ეკონომიკური, თავდაცვისუნარიანობის და საერთაშორისო პოზიციების გაძლიერებისათვის კოსმოსურ ტექნოლოგიებში საქართველოს განსაკუთრებული მიღწევების გამოყენების ძირითადი ამოცანები და პრინციპები. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო. გავრცელდა სამსახურეობრივი დანიშნულების მიხედვით. თბილისი, 1999 წ. 45გვ.

[64]. ე. მეძმარიაშვილი. ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო. გავრცელდა სამსახურეობრივი დანიშნულების მიხედვით. თბილისი, 2000 წ. 15 გვ.

[65]. ე. მეძმარიაშვილი. ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის შექმნის ძირითადი პრინციპები. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო. გავრცელდა სამსახურეობრივი დანიშნულების მიხედვით. თბილისი, 2002 წ. 25 გვ.

[66]. ე. მეძმარიაშვილი. საქართველოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საფუძვლები. სამხედრო-საინჟინრო სტრატეგია და ოპერატიული ხელოვნება. მონოგრაფია. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2002 წ. 390 გვ.

[67]. Инженерные боеприпасы. Военное издательство. Москва 1987. 93 стр.

[68]. А.П. Белоконь; В.И. Калайда.. Инженерное обеспечение марша и встречного боя мотострелкового (танкового) батальона. Военное издательство. Москва 1975. 141стр.

[69]. Б.В. Варенышев. Преодоление инженерных заграждений и препятствий. Издательство ДООСАФ. М. 1975. 51 стр.

[70]. В.К. Шамшуров. Инженерное обеспечение боевых действий войск ночью и в особых условиях. Военное издательство. Москва. 1969. 220стр.

[71]. Е.С. Колибернов, В. И Корнев, А. А. Сосков. Справочник офицера инженерных войск. Части I и II .Под редакцией С. Х. Аганова. Военное издательство1989г. Стр.190 и стр. 431.

[72]. Машины инженерного вооружения. Военное издательство. М. 1964. стр.455.

[73]. Наставление по военно-инженерному делу для советской армии. Военное издательство. Москва 1984. 575 стр.

[74]. Nato Logistic Handbook. Third Edition. Nato-1110 Brussels, Belgium. October 1997. 306p.

[75]. Nuclear, Biological, and Chemical (NBC) Protection. FM 3-4 (3-11.4). Headquarters Department of the Army. Washington. 2 June 2003.

[76]. Chemical and Biological Contamination Avoidance.FM 3-3 (3-11.3). Headquarters Department of the Army. Washington. 16 November 1992 .

[77]. Nuclear, Biological, And Chemical Defense Operations.FM 3-11 (3-11.11). Headquarters Department of the Army. Washington. 10 March 2003.

[78]. Multiservice Tactics, Techniques, and Procedures for NBC Defense of Theater Fixed Sites, Ports, and Airfields. FM 3-11.34 (3-4.1). Headquarters Department of the Army. Washington. 29 September 2000.

კომპიუტერული უზრუნველყოფა – მ. ხორხელი; გ. ქორიძე; ს. მაისურაძე

პასუხისმგებელი გამოცემაზე – ვ. ოკმელაშვილი